ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქეთევან გოდერძიშვილი

ქართველური ანთროპონიმიკის ძირითადი საკითხები

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2012

UDC (უაკ) 572 (=353.1)
გ – 621

ვუძღვნი თვალსაჩინო ენათმეცნიერს, ლექსიკოლოგს,
ლექსიკოგრაფს, ონომასტს, ფოლკლორისტს,
ალეძსანდრე ღლონტს
(დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით).

მონოგრაფია ეძღვნება ქართველური ანთროპონიმიკის (მეცნიერება პირთა საკუთარი სახელების შესახებ) ძირითად საკითხებს, რომლებიც ეყრდნობა ქართულ მწერლობასა და რეალურ ყოფაში მოძიებულ მდიდარ ანთროპონიმულ მასალას. მისი ანალიზის საფუძველზე შესწავლილია ონომასტიკურ პროცესთა სხვადასხვა ასპექტი; გამოვლინდა სახელდების ზოგადი ტენდენციები; გამოიკვეთა არაერთი სიახლე როგორც თეორიული, ისე ტერმინოლოგიური თვალსაზრისით; ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, წარმოდგენილია სტრუქტურული და სემანტიკური კლასიფიკაციები, თვალსაჩინოებისთვის – სქემები.

ვფიქრობთ, ნაშრომი დააინტერესებს სპეციალისტებს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებსა და მკითხველ საზოგადოებას.

რედაქტორები: პროფ: ზურაბ ჭუმბურიძე
პროფ: პაატა ცხადაია

რეცენზენტები: პროფ: შუქია აფრიდონიძე
პროფ: დამანა მელიქიშვილი
პროფ: მარიკა ჯიქია

© ქ. გოდერძიშვილი, 2012

გამომცემლობა „უნივერსალი", 2012
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-871-9

შინაარსი

საკითხის ისტორიისათვის 6

თავი I

§1 სახელდების მისტიკური ასპექტი ისტორიულ ჭრილში 11
§2 რელიგიური ანთროპონიმული სივრცე ქართულ სინამდვილეში 22
§3 წმინდანთა, მეფეთა, გმირთა... და ანტიგმოირთა სახელები როგორც სახელრქმეის წყარო 36
§4 ანთროპონიმთა მოტივირებული და „არამოტივირებული!“ ჯგუფები 50
§5 ინდიგენური (ლოკალური) სახელები 54
§6 საკუთარი სახელი და რეგიონი 63
§7 საკუთარ სახელთა სუფიქსური წარმოება და რეგიონი 79

თავი II

§1 ანთროპონიმთა სტრუქტურული ფორმები 90
§2 ონომასტიკურ ტერმინთათვის 100
I. ტერმინ ჰიპოკორისტიკის დავიწროებისათვის 100
II. ტერმინ დემინუტივის დაზუსტებისათვის 105
§3 სუფიქსი და ონიმის სუბიექტურ-ემოციური ელფერი 111
§4 -ო სუფიქსის კვალიფიკაციისათვის ანთროპონიმებში (ეთერო, დავითო, თაფლო, ერასტო, გელაო ტიპის ონიმებში და მამაო - დედაო ტიპის ფორმებში) 145
§5 უკვეცელ-უკუმშველ ანთროპონიმთა კუმშვად-კვეცადობის საკითხისათვის 159

თავი III

§1 მწერალი და პერსონაჟის საკუთარი სახელი 173-197
პერსონიმი და მისი ფონემატური სტრუქტურა 184
პერსონიმის ერთადერთობის პრინციპი 186
აპელატივიზებული პერსონიმი და სიტყვათწარმოება 193
§2 პერსონაჟის სოციალური, საზოგადოებრივი და პიროვნული ღირსების ასახვა ანთროპონიმით 197

თავი IV – სახელდების ტიპები

მეორე სახელები (ზოგადი მიმოხილვა) 218

§1 მეორე სახელი – **საკუთრივ ანთროპონიმი** 221

§2 მეორე სახელი – **მეტსახელი** 226-276

ა) ზოგადი მიმოხილვა 226

ბ) მესახელეთა სემანტიკური ჯგუფები 238

გ) მეტსახელთა ფუნქცია 261

დ) მეტსახელთა წარმომავლობა და სტრუქტურული კლასიფიკაცია 270

§3 მეორე სახელი – **კვაზიონიმი** (აღწერითი სახელი) 277–324

ა) ზოგადი მიმოხილვა 277

ბ) კვაზიონიმთა სემანტიკური ჯგუფები 295

გ) კვაზიონიმთა გრაფემული ჯგუფი 320

დ) კვაზიონიმთა სტრუქტურა (სქემა) 322

§4 მეორე სახელი – **ფსევდონიმი** 325-378

ა)ზოგადი მიმოხილვა 325

ბ) ფსევდონიმისა და კრიპტონიმის ტერმინოლოგიური სხვაობისათვის 326

გ) ფსევდონიმთა ფსევდონიმობის დაზუსტებისათვის 330

დ) ფსევდონიმთა რამდენიმე ჯგუფის აღმნიშვნელ ტერმინთა დაკონკრეტებისათვის 336

ე) ეპითეტ-ფსევდონიმები და ეპითეტიანი ფსევდონიმები 349

§5 ფსევდოსახელთა კლასიფიკაციისათვის 351

I. ფსევდონიმები 351

II. ფსევდო-მეტსახელები 358

III ფსევდო-კვაზიონიმები (ზოგადი მიმოხილვა) 359

ა) ფსევდო-კვაზიონიმთა ჯგუფები (სქემა №1,3) 361

ბ) ფსევდო-კვაზიონიმთა არალექსიკური და არასიტყვობრივი ერთეულები 363

სქემები (ფსევდონიმთა და ფსევდო-კვაზიონიმთა) 368

§7 ორმაგი სახელდების ტიპები (ზოგადი მიმოხილვა).....379
ეპითეტიანი საკუთარი სახელები.....**380**

თავი V

§1 ადამიანი სახელსა და გვარს შორის.....395
§2 ტერმინ „გვარსახელისათვის“.....400
§3 ზოგიერთი არსებით სახელის ონომასტიკური
სტატუსისთვის.....403
§4 საკუთარი სახელი ქართულ გრამატიკულ
ლიტერატურაში.....410
რეზიუმე (ინგლისურ ენაზე).....432
გამოყენებული ლიტერატურე.....441

ონომასტიკა მეცნიერებაა საკუთარი სახელების შესახებ. ამ დისციპლინას ითავისებს მეცნიერების სხვადასხვა დარგი: ისტორია, გეოგრაფია, ეთნოგრაფია, ლიტერატურა... საქმე ისაა, რომ ხშირად ისტორიულ-გეოგრაფიული თუ სხვა სამეცნიერო კვლევები სწორედ საკუთარ სახელზე გადის. მაგრამ საკუთარი სახელი, უპირველეს ყოვლისა, არის სიტყვა, სიტყვა კი ლექსიკური ერთეულია, რომელსაც სწავლობს ლინგვისტიკა. ენათმეცნიერება მოიცავს არა მხოლოდ ფონეტიკასა და გრამატიკას, არამედ ლექსიკოლოგიასა და ლექსიკოგრაფიასაც. ონომასტიკა ლექსიკოლოგიის მნიშვნელოვანი ნაწილია, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ დღეს იგი თითქმის დამოუკიდებელ დარგად არის გამოყოფილი მისი შესასწავლი სპეციფიკური მასალის გამო – ესაა სივრცესა და დროში დასაბამითგან განთავსებული ლექსიკური ერთეულები – საკუთარი სახელები. მეტიც, თავად ონომასტიკაში გამოიყოფა არაერთი ქვედისციპლინა, რომლებიც დღეს – როგორც სხვაგან, ისე საქართველოშიც – ასევე ცალკეულ დარგებადაა ჩამოყალიბებული. მხედველობაში გვაქვს ტოპონიმიკა-ჰიდრონომიკა (ადგილის სახელების შემსწავლელი მეცნიერება) და ანთროპონიმიკა (ადამიანის საკუთარი სახელების შემსწავლელი მეცნიერება). მოვიხმობთ პ. ცხადაიას მოსწრებულ და ზუსტ აღქმას: საზოგადოების ცხოვრება უანთროპონიმებოდ და უტოპონიმებოდ გადაიქცეოდა ქაოსად და „მივიღებდით ახალ ბაბილონის გოდოლს“ (ცხადაია, 2005, 3).

ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ისეთი მნიშვნელოვანი დისციპლინა, როგორიცაა ონომასტიკა, სპეციალურ დარგად გვიან ჩამოყალიბდა. ეს დისციპლინა **XIX საუკუნეში** ევროპასა და რუსეთში ჩაისახა, რაც ჩანს ფ. მიკლოშიჩის (ვენა), ა. ფოტის (ლაიფციგი), ა. ფიკის (გერმანია), ა. ვოსტოკოვის, ა. სოკოლოვის (რუსეთი) და სხვათა შრომებიდან. **XX ს-ის I ნახევარში** კი დასავლეთევროპელ (ა. ბახი, ს. როსპონდი, მ. ფასმერი, ფ. ბლანარი), რუს, უკრაინელ და სხვა მკვლევართა (ვ. მიხაილოვი, ა. სობოლევსკი, მ. კარპენკო, პ. პოროტნიკოვი, ა. სელიშჩევი, ლ. შჩეტინინი, ს. ზინინი) პარალელურად, საქართველოშიც

იბეჭდება ცალკეულ მეცნიერთა ონომასტიკური დაკვირვებანი: ნ. მარის, ივ. ჯავახიშვილის, სტ. ჩხენკელის, ს. ყაუხჩიშვილის, ი. იმნაიშვილის, აკ. შანიძის, გ. ახვლედიანის, ე. თოფურიას, არნ. ჩიქობავას, ს. ჯიქიას, მ. ჩიქოვანის, ი. მეგრელიძის, თ. უთურგაიძის, მ. ალავიძის, ი. სიხარულიძისა და სხვათა.

XX ს-ის 60-იან წლებში ონომასტიკა გამოიკვეთა ენათმეცნიერების დარგად. ამაზე პირდაპირ მიუთითებს ა. რეფორმატსკის ნაშრომის სათაური: **„Топономастика, как лингвистический факт"** (М., 1964).

რუსეთში ონომასტიკის, როგორც დარგის, ფუძემდებელთა შორის განსაკუთრებით ფიგურირებენ მეცნიერები: ა. ნიკონოვი, ვ. სუპერანსკაია, ა. პოდოლსკაია... მათი თეორიული ნაშრომები საქართველოს ონომასტებისთვისაც ტოპონიმიკასა და ანთროპონიმიკაში სამაგიდო წიგნებად იქცა. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ 70-იან წლებში ვ. ნიკონოვი სტუმრად ჩამოვიდა თბილისში და ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამ დარგით დაინტერესებულ პირთათვის წაიკითხა ლექციების ციკლი.

საქართველოში ონომასტიკის ლინგვისტიკის დარგად ქცევა, როგორც არაერთხელ აღნიშნულა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, დაკავშირებულია ალ. ღლონტის, ზ. ჭუმბურიძისა და ი. მაისურაძის სახელებთან.

ალ. ღლონტის პირველი ტოპონიმიკური წერილები დაბეჭდილია ჯერ კიდევ 1953, 1955 წლებში. 1964 წელს გამოცემულ წიგნში – „ქართული ლექსიკოლოგია" – ალ. ღლონტმა პირველმა ჩამოაყალიბა ონომასტიკის (ტოპონიმიკის, საკუთრივ ანთროპონიმიკისა და გვარების) თეორიული საკითხები, რითაც ეს დისციპლინა გამოიკვეთა ლინგვისტიკის დარგად (1971 და 1988 წლებში ეს მონოგრაფია კვლავ გამოიცა შევსებული სახით). ყურადსაღებია ავტორის სიტყვები, რომ 1962-1963 წლებში პირადად უმოგზაურია ზემო სვანეთსა (ჩაწერილია 1300-მდე ერთეული) და სამეგრელოში. აქ მოპოვებული ანთროპონიმული მასალა ნიმუშების სახით ამავე წიგნშია წარმოდგენილი (ღლონტი, 1964, 122-126). 1967 წელს გამოიცა ალ. ღლონტის „ქართველური საკუთარი სახელები", რომელსაც ახლავს ლექ-

სიკონი. ეს არის საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში მოძიებულ ანთროპონიმთა (საკუთრივ ონიმთა და მეტსახელთა) ლექსიკონის შედგენის პირველი ცდა (მეორე შევსებული გამოცემა – 1986 წელს). 1971-1998 წლებში დაიბეჭდა „ტოპონიმიკური ძიებანი“ 11 წიგნად. ესაა, უპირველესად, ტოპონიმიკის თეორიული ნარკვევები შესაბამისი რეგიონების ტოპონიმთა ლექსიკონებითურთ.

მეცნიერულ კვლევასთან ერთად, ალ. ღლონტმა 1970 წელს წამოაყენა საკითხი, უმაღლეს სასწავლებლებში ახალი სასწავლო დისციპლინის – ონომასტიკის კურსის – შემოღების შესახებ (ღლონტი, VIII რესპ. სამეცნიერო კონფ. თეზისები, 1970).

საბედნიეროდ, კარგა ხანია, ონომასტიკის კურსი იკითხება საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში (პედაგოგები: უ. სახლთხუციშვილი, გ. ხორნაული, შ. აფრიდონიძე, მ. ბერიძე, პ. ცხადაია).

1966 წელს გამოიცა ზ. ჭუმბურიძის „რა გქვია შენ“. ესაა ქართული ანთროპონიმებისა და ტოპონიმების ლექსიკონი. თითოეულ მონაკვეთს წინ უძღვის თეორიული ნაშრომი. ანთროპონიმთა ლექსიკონი წარმოადგენს სახელთა დარქმევის ერთგვარ სარეკომენდაციო სიასაც. ამ წიგნის პრაქტიკული დანიშნულების გამომხატველია ის, რომ იგი ხუთჯერაა გამოცემული. ყურადსაღებია ისიც, რომ სალექსიკონო ნაწილში წარმოდგენილია არა მხოლოდ მასალა, არამედ თითოეულ ანთროპონიმსა თუ ტოპონიმს ახლავს მეცნიერული ეტიმოლოგიები და შესატყვისი სტრუქტურული ფორმები. გარდა ამისა, ზ. ჭუმბურიძემ იტვირთა თავად-აზნაურთა გვარების საარქივო მასალის გამოცემაც. ყურადსაღებია ზ. ჭუმბურიძის სტატია „საკუთარ სახელთა ბრუნვა სვანურში“ (1964).

ი. მაისურაძეს ერთ-ერთი პირველი ადგილი ეკუთვნის ქართული გვარების კვლევაში. ჯერ კიდევ 1963 წელს დაიბეჭდა კონფერენციის თეზისები – „გეოგრაფიულ სახელთა ფუძეები ქართულ გვარებში“. განსაკუთრებით საგულისხმოა მისი „ქართული გვარები“ (სემანტიკა, სტრუქტურა, ეტიმოლოგია), 1979 წ. და „ქართული გვარსახელები“ (1981 წ.).

დღეს ქართველ ენათმეცნიერთა საკმაოდ დიდი ჯგუფია დაინტერესებული ტოპონიმთა და ანთროპონიმთა კვლევით. ხშირად მათი გენეზისითა და სწორი ეტიმოლოგიებით არაერთი ისტორიული საიდუმლო გამოვლენილა. მაგალითად, „ცნობილია, რომ ვოლგისპირელ ბულგარებს არ გააჩნდათ წერილობითი ძეგლები. მეცნიერებაში არსებული წარმოდგენა ამ ენის შესახებ მხოლოდ და მხოლოდ სლაეურსა და უნგრულ ქრონიკებში დაცულ **ონომასტიკონს ემყარება**... აწ გადაშენებულ ყუბანისპირელ ბულგართა... მონათესავე უთურგურების არსებობას კი ერთგვარად მხარს უჭერს ქართული ანთროპონიმისეული პირის სახელი უთურგა და ფშავსა და ხევსურეთში გავრცელებული გვარები: უთურგაიძე და უთურგაული“ (მ. ჯიქია, 2008, 3).

ასე, რომ ანთროპონიმთა და ტოპონიმთა შეგროვება-კვლევა ხშირად გლობალურ შედეგებს იძლევა, ირკვევა ამა თუ იმ ერის საცხოვრისი, მიგრაციის საკითხები და სხვა.

შევჩერდებით ანთროპონიმიკის საკითხებზე დაბეჭდილ ნაშრომთა ავტორებზე. უპირველესად დავასახელებთ შ. აფრიდონიძეს, რომელმაც არაერთი სტატია მიუძღვნა ამ დარგის თეორიულ საკითხებს. გამოიკვეთა პ. ცხადაიას ღვაწლი მთიანი სამეგრელოს, აგრეთვე სამურზაყანოსა და რაჭის (ვ. ჯოჯუასთან ერთად) რეგიონების ონომასტიკური მასალის (ტოპონიმია-ანთროპონიმიის) შეგროვებასა და გამოცემაში. გამოეყოფთ პ. ცხადაიას ერთ საინტერესო ანთროპონიმულ გამოკვლევას. შუა საუკუნეების საეკლესიო სამართლებრივ ძეგლებზე დაყრდნობით, ავტორს შედარებული აქვს კანონიკურ სახელთა ხმარების სიხშირე მეგრულ, რაჭულ და იმერული რეგიონების მიხედვით და გამოტანილია საინტერესო დასკვნები. ქართველ ონომასტთა სამაგიდო წიგნია პ. ცხადაიას „ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი“.

ანთროპონიმიკის, როგორც ონომასტიკური მეცნიერების დარგის, გაღრმავებაში ასევე თავიანთი წვლილი შეიტანეს: ფ. მაკალათიამ, გ. ხორნაულმა, გ. ბედოშვილმა, უ. სახლთხუციშვილმა, ს. მელიქიძემ, მ. ალავიძემ, ზ. სარჯველაძემ, რ. თოფჩიშვილმა, ელ. კოშორიძემ, მ. ჯიქიამ, ი. ახუაშვილმა და სხვებ-

მა. აქ წარმოვადგინეთ ანთროპონიმიკით დაინტერესებულ მკვლევართა დიდი ჯგუფის მხოლოდ ერთი ნაწილი.

როგორც ვხედავთ, ონომასტიკა (განსაკუთრებით, ტოპონიმიკა და ანთროპონიმიკა) ფართოდ აღიარებული მეცნიერებაა და არა მხოლოდ ჩვენში. სათანადო ყურადღება ეთმობა აგრეთვე ჰიდრონიმიკას, ზოონომიკას, კოსმონიმიკას, ფიტონიმიკას, ეთნონიმიკას. ონომასტიკის სწორედ ასეთმა ყოვლისმომცველობამ გამოიწვია მეცნიერთა დიდი ნაწილის ჩართვა ამ საქმეში. ონომასტერიკის დარგში პირველი ოფიციალური განყოფილება შეიქმნა 1969 წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრასთან ტოპონიმიკის ლაბორატორიის სახელწოდებით (ხელმძღვანელი ფარნაოზ ერთელიშვილი, შემდეგ: ბ. ჯორბენაძე, შ. აფრიდონიძე, პ. ცხადაია, გარკვეულ პერიოდებში ლაბორატორიის მეცნიერი ხელმძღვანელები გახლდათ აკადემიკოსი შოთა ძიძიგური და პროფ. თედო უთურგაიძე). ლაბორატორიის თანამშრომლებმა (პ. ცხადაიამ, ფ. მაკალათიამ, ვ. ჯოჯუამ უ. სახლთხუციშვილმა, მ. ბერიძემ, გ. ხორნაულმა, რ. ძნელაძემ, ს. მელიქიძემ, მ. კემულარიამ, ო. ასრათოვმა, დ. ქიტუაშვილმა, დ. შონიამ, ქ. გოდერძიშვილმა) გააფართოვეს მოღვაწეობა ონომასტიკის სხვადასხვა დისციპლინათა კვლევით, რის შედეგადაც ტოპონიმიკის ლაბორატორიას ეწოდა ონომასტიკური სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომელმაც შექმნა ძირითადად ტოპონიმიკური მასალის, შეიძლება ითქვას, „ოქროს ფონდი", გამოსცა მრავალი სამეცნიერო კრებულები: „ტოპონიმიკა" (ორი ტომი), „ონომასტიკა", „ტოპონიმიკური ძიებანი", „ონომასტიკური ძიებანი", „ქართველური ონომასტიკა" (ხუთი ტომი). დაიბეჭდა ორი სახელმძღვანელო: „ქართული ონომასტიკა" (გ. ხორნაული); „ონომასტიკის შესავალი" (პ. ცხადაია). ონომასტიკის სკ ცენტრის მეცნიერი თანამშრომლების ნაშრომები იბეჭდებოდა როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებში გამომავალ სამეცნიერო კრებულებში. ყოველწლიურად ეწყობოდა სამეცნიერო კონფერენციები.

დაბოლოს, რაც შეეხება ჩვენს მონოგრაფიას, იგი ეძღვნება ქართველურ ანთროპონიმიას. ამ საკითხზე მუშაობა მირჩია ჩემ-

მა მასწაულებელმა ალექსანდრე ღლონტმა. მას სურდა, ხელი მომეკიდა იმ დარგის შემდგომი განეითარებისთვის, რომელსაც თავად ჩაუყარა საფუძველი. თუ რამდენად შევძელი ამ საპატიო საქმეში ჩემი წვლილის შეტანა, მკითხველმა განსაჯოს.

დიდ მადლობას ვუხდით პროფესორებს: ზ. ჭუმბურიძეს, პ. ცხადაიას, დ. მელიქიშვილს, შ. აფრიდონიძესა (მისი დამსახურებაა ნაშრომში ერთ მცირე, მაგრამ საინტერესო საკითხად ქართველ მეფეთა სახელების გამოყოფა) და მ. ჯიქიას, რომელთა მითითებები შესაბამისად იქნა გათვალისწინებული, რამაც, ვფიქრობთ, უფრო ღირებული გახადა ჩვენი მრავალწლიანი შრომით შექმნილი მონოგრაფია.

თავი I

§1 სახელდების მისტიკური ასპექტი ისტორიულ ჭრილში

ბიბლიაში აღწერილია, როგორ შეიკრიბნენ ახლობლები იოანე წინამორბედის წინადაცვეთისა და სახელდების რიტუალის ჩასატარებლად. ახალშობილს დაერქვა ის სახელი, რომელიც მის დაბადებამდე გაბრიელ მთავარანგელოზმა ზაქარიას აუწყა იერუსალიმის ტაძარში.

ანთროპონიმად წოდებული პირველი საკუთარი სახელი გაჩნდა სამყაროს შექმნის მეექვსე დღეს ადამიანის გაჩენასთან ერთად. უფალი იყო შემოქმედი პირველი ადამიანისაც და პირველი საკუთარი სახელისაც. და დაარქვა ღმერთმა კაცს სახელი ადამი (ძველი აღთქმა. ღმერთი მოიცავს სამ ჰიპოსტასს: მამა ღმერთი, ძე **ღმერთი** და სულიწმიდა). ამის შემდეგ უფალმა (ღმერთმა) სახელდების შემოქმედებითი ფუნქცია ადამიანს მიანიჭა. და ადამი გახდა დედამიწაზე მეორე საკუთარი სახელის შემოქმედი, როცა მან დედაკაცს დაარქვა ევა. აქედან მოყოლებული, სახელშემოქმედება ადამიანთა პრეროგატივად იქცა, თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა (ერთ-ერთი იხ. პირველ აბზაცში). უფლის მიერ ნაბოძები შემოქმედებითი მოვალეობა კი მათ მისტიკის ბურუსში გახვიეს, რაც მრავალი საუკუნის განმავლობაში საყოველთაო ტრადიციად ჩამოყალიბდა. ამ ტრადიციამ სხვადასხვა ტომსა და სხვადასხვა ხალხში გან-

სხვაებული სახე მიიღო, თუმცა მათ აერთიანებდა ერთი რამ – ეს იყო მისტიკა.

ადამიანის მოელინება დედამიწაზე ოფიციალურ სახეს იღებდა სახელდრმევისას, რაც ხდებოდა გარკვეული რიტუალის ჩატარებით, რადგან საკუთარ სახელს მაგიურობის ძალას ანიჭებდნენ. ეს უნივერსალური მოვლენა იყო. სახელის მაგიურობა – ეს არის პირველყოფილი ადამიანის ცნობიერებაში ჩადებული ის ძლიერი კოდი, რომელიც ათასწლეულების შემდეგაც არ გამქრალა. სხვადასხვა ვარიანტებით შემორჩენილი იყო საქართველოს უახლოეს წარსულშიც (და არა მარტო ჩვენში). მისი ანარეკლი, ნაწილობრივ, დღესაც მოჩანს. მაგალითად, არ აღმოფხერილა სახელის რქმევის უძველესი პრაქტიკა, რის მიხედვითაც სახელდება ზებუნებრივ მოვლენადაა აღიარებული. სწორედ სახელდების მისტიკური ძალით, ვთქვათ, თუ ოჯახში გარდაცვლილი ადამიანი ტრაგიკული პიროვნება იყო, მშობლებისათვის არასასურველია მისი სახელით ახალშობილის მონათვლა, თუნდაც გარდაცვლილი საპატიო ადამიანი ყოფილიყო. ზოგჯერ ახალშობილს არქმევენ რომელიმე ძლიერი, წარმატებული, სილამაზიით ან რაიმე ნიშნით გამორჩეული ადამიანის სახელს, რათა მოსახელე მას დაემსგავსოს.

პირველყოფილ ადამიანთა მიერ საგნებისა და მოელენების მაგიურობის აღქმა გამოწვლილვითაა აღწერილი ფრანგი მეცნიერის, ლ. ლევი-ბრიულის, წიგნში – „Первобытное мышление." ავტორი აღნიშნავს, რომ პირველყოფილი ადამიანები თავიანთ სახელებს განიხილავდნენ როგორც რაღაც კონკრეტულს, რეალურს, ხშირად – ღვთაებრივს. ამის დასტურად იგი იმოწმებს სხვადასხვა მეცნიერის კვლევის შედეგებს: „ინდიელი პირად სახელს აღიქვამს თავისი პიროვნების ნაწილად, როგორც რაიმეს თავისი თვალების ან კბილების მაგვარს. მას სჯერა, რომ მისი სახელის ბოროტად გამოყენებით მყისვე დაეუფლება ისეთივე განცდა, როგორიც სხეულის რაიმე ნაწილისთვის ჭრილობის მიყენების დროს. ეს რწმენა გეხვდება ატლანტის ოკეანიდან წყნარ ოკეანემდე". დასავლეთ აფრიკის სანაპიროზე მცხოვრებთ სწამთ, რომ ადამიანსა და სახელს შორის არსებობს ფიზიკური სიახლოვე. შესაძლებელია ადამიანის დაჭრაც მისი სახელის გა-

მოყენებით. ..ამიტომ მეფის ნამდვილი სახელი გასაიდუმლოებული იყო"... ავტორს უცნაურობად მიაჩნია ის, რომ ეს ხალხი მაგიური ძალის მქონედ თელის მხოლოდ დაბადების სახელს, „ყოველდღიური სახელი რეალურად არ ეკუთვნის ადამიანს". ადგილობრივ მკვიდრთა რწმენით, არ შეიძლება არც თავისი საკუთარი სახელის წარმოთქმა, არც სხვისი, განსაკუთრებით, გარდაცვლილთა. მათი სახელთა ხსენება ნიშნავს მათზე გალაშქრებას, მათს პიროვნებაზე ძალადობის განხორციელებას, რათა აიძულო, გამოგეცხადოს, რაც დიდ საფრთხესთანაა დაკავშირებული (ლ. ლევი-ბრიული, 1930, 30).

სახელის ტაბუირება საყოველთაო მოვლენა იყო შესატყვისი მისტიკური მოტივაციებით. ეს ტრადიცია საქართველოს მთიან რაიონებში თითქმის უკანასკნელ ხანებამდე შემორჩა. გარკვეული მოსაზრებით, რძალი არ ახსენებდა ქმრის, მამამთილისა და მაზლის სახელებს და პირიქით. საკუთარ სახელთა ნაცვლად იყენებდნენ აპელატივებს: დიაცო, კაცო.

ქართულ სინამდვილეში მამაკაცსა და ქალს შორის სახელთა ტაბუირების გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი, ვფიქრობთ, უნდა ყოფილიყო ის, რომ **სახელი ინტიმური დატვირთვის შემცველია,** რასაც ალბათ ქვეცნობიერად გრძნობდნენ ამ ტრადიციის დამცველნი. ცოლ-ქმარს, მაზლსა და რძალს, საერთოდ, **გათხოვილ ქალსა** და მამაკაცს – ქმარს, მაზლს თუ მამამთილს – შორის ინტიმის მსუბუქი გამოვლინებაც კი საქართველოს პერიფერიებში, მით უფრო მთაში, დაუშვებელი იყო (სხვათა შორის, ამას არ ეწინააღმდეგებოდა მთაში არსებული წაწლობის ინსტიტუტის არსებობა. მართალია, წაწლები, ქალი და ვაჟი, ერთად წვებოდნენ, მაგრამ მათი სიყვარული, ლ. ბოძაშვილის თქმით, „შორს იყო გარყვნილებისაგან... სქესობრივი კავშირი გამორიცხული იყო... ეს წესი უნდა ჩაითვალოს იმ კუთხის მკვიდრთა მაღალი ზნეობისა და ვაჟის მხრიდან ქალისადმი რაინდული დამოკიდებულების დასტურად" (ბოძაშვილი, 1988, 67), რისი დარღვევაც, ტრადიციის წესით, ისჯებოდა. **გათხოვილ ქალსა** და მამაკაცს შორის სახელის ტაბუირების ერთ-ერთი მიზეზი, ვფიქრობთ, ონიმის <u>ინტიმურობის</u> ცნობიერი თუ ქვეცნობიერი განცდაც იყო, რაზედაც მიგვანიშნებს ვაჟასეული

ახსნაც: ფშაველ ცოლ-ქმარს შორის სახელით მიმართვა მიიჩნეოდა „უნამუსობად, სირცხვილად“ (ვაჟა-ფშაფელა, V, 1961, 12). ტაბუირებული იყო მიცვალებულთა სახელებიც, რასაც სხვადასხვა მოტივაცია ედო საფუძვლად: მიცვალებულს მფარველად აღიქვამდნენ, რის გამოც ზოგჯერ გასაიდუმლოებულად არქმევდნენ მის სახელს ახალშობილებს, მაგრამ იყო შიშის ფაქტორიც. ალ. ღლონტი წერს: „ტაბუირების გამოძახილს ვპოულობთ ამერიკელ ინდიელებში, სადაც, მორგანის ცნობით, უხეშობად ითვლებოდა საკუთარი სახელით მიმართვა ან სახელის კითხვა“ (ღლონტი, 1967, 28).

ოჯახის ინსტიტუტის პირველყოფილი ფორმები მეცნიერულად შეისწავლა ლ. მორგანმა („Древнее обшество“). განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომ ტომებში სახელის დარქმევა თუ გადარქმევა ისეთივე ტრადიცია იყო, როგორიც სხვა საყოფაცხოვრებო ქმედება. პირველყოფილ საზოგადოებაში არ არსებობდა პირადი სახელის დარქმევის ინდივიდუალური უფლება. საოჯახო სახელი ცივილიზაციის შედეგია. პიროვნული სახელების გარკვეული წყება მოეპოვებოდა ცალკეულ გვარს და ეს ნომენკლატურა მოცემული გვარის საკუთრებად ითვლებოდა. ინდიელთა ერთ გვარში დამკვიდრებული სახელები გამოირჩეოდა ინდივიდუალობით იმავე ტომის სხვა გვარის სახელებისგან. დედას ჰქონდა უფლება, ბავშვისთვის დაერქმია სხვა ტომის ან გვარის სახელი, მაგრამ ეს ბავშვს გადაიყვანდა იმ გვარში, რომელსაც ეს სახელი მიეკუთვნებოდა (Морган, 1934, 48). ასე რომ, სახელის დარქმევას ახლდა დიდი სიფრთხილე, რადგან ამ სახელთან იყო დაკავშირებული საგვარეულო უფლებები. ე.ი. სახელი საგვარეულო უფლებების ელემენტებსაც შეიცავდა, რადგან სახელის ნებისმიერობა შეზღუდული იყო. ბუნებრივია, ეს გამოიწვევდა სახელდების თავისებურ წესებს, რასაც ახლდა მკაცრად განსაზღვრული რიტუალი. ინდიელთა ტომებში ახალშობილის სახელს ირჩევდა დედა უახლოესი ნათესავების მონაწილეობით. ირჩევდნენ გვარის კუთვნილ და ჯერ მიმოქცევაში არარსებულ სახელს. მაგრამ დედისმიერი სახელდება პირობითი იყო მანამდე, სანამ ამის შესახებ ცხადდებოდა ტომის საბჭოზე (იქვე, 47).

ვფიქრობთ, ჯერ კიდევ პირველყოფილ საზოგადოებაში ადამიანის სახელდება გადიოდა თითქმის იმ ეტაპებს, რაც ბოლო საუკუნეებში ახასიათებდა განვითარებულ საზოგადოებას და დღესაც ნაწილობრივ იკვეთება პირველი სახელიდან სხვა სახელებამდე შესაბამისი არაოფიციალური თუ ოფიციალური სტრუქტურების გაელითა და გათვალისწინებით; პირველყოფილ ტომებში სახელთა შერჩევისა და ახალ სახელთა რქმევის ეტაპები კი სპეციფიკური მისტიკური რიტუალებით სრულდებოდა.

ლ. ბრიულის ცნობით, ავსტრალიელი ტომების ტრადიციის თანახმად, ბავშვის დაბადება გულისხმობდა რომელიმე გარდაცვლილი პიროვნების კვლავ დაბრუნებას, გარდასახვას. ამიტომ ამ ტომებში (აგრეთვე ესკიმოსებში, იროკეზებში...) ინდივიდი იბადებოდა თავისი მემკვიდრეობითი სახელით, სოციალური ფუნქციითა და გერბით. მათი რწმენით, ბავშვი არ წარმოადგენდა განაყოფიერების შედეგს. განაყოფიერება მხოლოდ ამზადებს დედას, რათა ამქვეყნად დაბადოს ბავშვი-სული. ხონდების რწმენით, ტომის მიერ სულის მიღება, ე. ი. სულის ადამიანის ფორმად ჩამოყალიბება სრულყოფილ სახეს იღებს იმ ცერემონიალის შესრულების შემდეგ, როცა ბავშვს აძლევენ სახელს. ეს ხდებოდა დაბადებიდან მეშვიდე დღეს. ახალშობილის მომავალი ცხოვრება დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რამდენად სწორად ამოიცნობდნენ – ვინ იყო, რა ერქვა იმ წინაპარს, რომლის განხორციელებაცაა ბავშვი. ახალშობილისთვის დასარქმევი სახელის ამოცნობა ხდებოდა სხვადასხვა გზით. ერთ-ერთი მათგანი იყო მისნობა: იმართებოდა რიტუალი, სახელს ქურუმი ირჩევდა, წყლით სავსე ჭურჭელში ყრიდა ბრინჯის მარცვლებს. თითოეული მარცვლის ჩაგდებისას იმეორებდა რომელიმე წინაპრის სახელს. წყალში მარცვლის მოძრაობასა და ბავშვის მიმიკაზე დაკვირვებით ქურუმი ახერხებდა „გამოეცნო“ იმ წინაპრის ვინაობა, რომელიც თითქოს ამ ბავშვის სახით დაუბრუნდა სააქაოს და ახლაშობილს იმის სახელს არქმევდნენ (ლევი-ბრიული, 1930, 234). ანალოგიურად, ახალ ზელანდიაში, როცა ბავშვს ჭიპი სძერებოდა, ასევე მიჰყავდათ ქურუმთან, ყურში უდებდნენ კერპად მიჩნეულ რაიმე საგანს, რა-

თა ამით დაეკავშირებინათ ღმერთთან. ქურუმი წარმოთქვამდა ფორმულას: „ელოდე, სანამ მე წარმოვთქვამ შენს სახელს. რა არის შენი სახელი? ყური დაუგდე შენს სახელს, აი, შენი სახელი“. ამის შემდეგ ქურუმი კითხულობდა ბავშვის წინაპრების სიას. ბავშვს შეურჩევდნენ იმ სახელს, რომლის წარმოთქმისას დააცემინებდა, რადგან სწორედ ის მიაჩნდათ სახელად იმ წინაპრისა, რომლის გარდასახვასაც, მათი რწმენით, ახალშობილი წარმოადგენდა (იქვე). მიუხედავად ასეთი მნიშვნელოვანი რიტუალებისა, დაბადებულის სახელი არ წარმოადგენდა ერთადერთს, არც ერთ-ერთ მთავარს მამაკაცთა ცხოვრებაში. განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომ უამრავ ხალხში ადამიანი ეტაპობრივად იცვლიდა სახელს. ეტაპებად კი მიიჩნეოდნენ ცხოვრების სამახსოვრო შემთხვევებს. ამის მოტივაცია ისევ და ისევ არის ის, რომ სახელი მიაჩნდათ მისტიკურ ნიშნად. როგორც ჩანს, **მისტიკა საფუძვლად ედებოდა ინდივიდის სახელს, სახელი კი — მის ცხოვრებასა და მოქმედებას**. თუ ადამიანი დადგებოდა გამორჩენილი პიროვნება, მისი სახელი იფართოებდა არეს და ერთვებოდა გვარის (ჯგუფის) სახელთა ნომენკლატურაში. ასე რომ, თუ გვარის უძველეს სახელებად გამოყენებული იყო ამა თუ იმ საგნის აღმნიშვნელი სიტყვები — მგელი, წვიმა, ირემი, ქვიშა... მათი რიგი თანდათან ივსებოდა საზოგადოებაში გამორჩეულ პირთა სახელებით. როგორც ლ. მორგანი წერს, გვარის გამორჩეული კაცი ხდებოდა ე.წ. წინაპარი-ეპონიმი (მორგანი, 1934, 169). ეფიქრობთ, ამ ვითარების შორეული გამოძახილია დღევანდელი ეპონიმური გვარები (დავითაშვილი, გოდერძიშვილი, აფრიდონიძე...).

სახელის დარქმევის საინტერესო და უჩვეულო გზას მიმართავდნენ პაპუასები ახალ გვინეაში. მათი წარმოდგენით, თითო სახელი აპირობებდა თითო ადამიანს. მაგრამ, რადგან ყველაფერს ზღვარი აქვს და, მათ შორის, სახელთა რაოდენობასაც, ხოლო ტომი მრავლდებოდა, პაპუასებმა ცხოვრების წესად აქციეს ე.წ. „სახელებზე ნადირობა“: ისინი კლავდნენ მეზობელი ტომის მამაკაცებს და სიკვდილის წინ მისგან ითხოვდნენ... სახელს! ასე მიმართავდნენ — **სახელი!** თქვი შენი სახელი! (ნიკონოვი, 1970, 33). გერმანელი პროფესორის ჰ. ნეეერმანის მიერ

მოპოვებულ და აღწერილ ამ ფაქტს იმოწმებს ალ. ღლონტიც: „მეზობლები ერთურთს თავს ესხმიან და ცდილობენ, რათა ალაფის სახით რაც შეიძლება მეტი სახელი წამოიღონ თავიანთი ბავშვებისთვის. ადამიანებს ხოცავენ, მათს ხორცს ჭამენ, ხოლო მოკლულთა სახელები ნადავლად მოაქვთ და თავიანთ ბავშვებს არქმევენ“ (ღლონტი, 1986, 55).

სახელის დარქმევა განსაკუთრებულ მოელენად დარჩა მას შემდეგაც, რაც საზოგადოება გამოეიდა გვაროენული წყობიდან. როგორც ჩანს, რწმენა სახელის მაგიურ ძალაზე კვლავ აქტუალურ საკითხად რჩებოდა ერებად ჩამოყალიბებულ ხალხში (ამით არც დღეანდელი ეპოქა ჩამოუვარდება ძველს). ა. გაფუროვი, რომელსაც აღწერილი აქვს სახელდების რიტუალები არაბთა, სპარსთა, ტაჯიკთა და თურქთა ტერიტორიებზე, გვიამბობს ამ ხალხთა ყოფაში დამკვიდრებული შესაბამისი ტრადიციების შესახებ. დავიმოწმებთ ერთ ისტორიულ ფაქტს: XVII ს-ში ირანის შაჰი სეფი (ცნობილი შაჰ-აბასის შვილი შვილი) დაავადმყოფდა. განკურნება შეუძლებელი გახდა. მაშინ, ვარსკელავთმრიცხველების რჩევით, სახელი შეიცვალა და სულეიმანი დაირქვა იმ რწმენით, რომ ავი სულები ეეღარაფერს ავნებდნენ სხვა სახელით სახელდებულს (გაფუროვი, 1971, 7). ა. გაფუროვის ცნობით, ბევრი მოხეტიალე ტომის წეს-ჩვეულებათა თანახმად, ახალდაბადებულებს სახელი რაც შეიძლება მალე უნდა დარქმეოდათ. ისინი ახალშობილს წინასწარ მოფიქრებულ სახელს არ არქმევდნენ, ე. ი. აქ არ იყო ბავშვი-სულის პრინციპი. მომთაბარე ხალხები ბავშვის სახელად ირჩევდნენ იმ საგნის (ცხოველისა თუ ფრინველის) სახელს, რაც ბავშვის გაჩენის პირველსავე წუთში თვალში მოხვდებოდათ. ამ გზით ფიქრობდნენ, რომ ახალშობილი მომენტალურად იმალებოდა მის გარემომცველ საგნებში და უჩინარი ხდებოდა დემონებისათვის. სახელის მაგიური ძალა იგრძნობა ისლამამდელი არაბების სახელებშიც. არაბები ვაჟიშვილებს არქმევდნენ შესაშინებელ სახელებს, რათა მტერი შეეშინებინათ, მონებს კი – „ლამაზ“ სახელებს, რათა ისინი გამხდარიყვნენ ისეთები, როგორიც ის სასიამოვნო საგნები და ნივთები, რომელთა სახელებიც ეწოდათ (რა თქმა უნდა, მათი გამოყენების თვალსაზრი-

სით). მომთაბარე არაბთა ამ ტრადიციას ეხება ა. სუპერანსკაია (1990, 19).

ქართველი მეცნიერები ზოგჯერ ეხებიან ამა თუ იმ კუთხეში ფეხმოკიდებულ სახელდების მისტიკურობას. **გ. ცოცანიძე** წერს, რომ თუშებისათვის უცხო იყო ქრისტიანული სახელები, „ამიტომ ან გადაუსხვაფერებდნენ, ან თუშეთში არსებული სხვა სახელით „შეუცვლიდნენ". ასე გაჩნდა ერთდროულად რამდენიმე სახელით ადამიანის სახელდება, რომელთაგან ნათლობის დროს დარქმეულ სახელს ერქვა „წიგნის სახელი". ბავშვის გაანჩხლებით განპირობებულ წინაპრის სახელით მონათვლას ერქვა „მკვდრის სახელი" (რაც გარკვეული რიტუალით ტარდებოდა), შემდგომ პერიოდში ბავშვის (მოზარდის) მიერ გამოვლენილი თვისების მიხედვით შერქმეულ ახალ სახელს უწოდებდნენ „გამოცვლილ სახელს". ეს უკანასკნელი იყო მეტსახელი. მისტიკური ძალა „მკვდრის სახელს" ჰქონდა (გ. ცოცანიძე, გიორგობიდან გიორგობამდე, 1987, 166). **ლ. ბოძაშვილის** ცნობით, ფშავში გავრცელებული იყო მოსახელეობა იმ რწმენით, რომ ბავშვს მიცვალებულის სული სწყალობდა. მიცვალებულის სახელის შერქმევით „მოსახელე" მკვდრის ფეხზე ჩაყენებას ნიშნავდა, ამიტომ მას „ფეხას" ან ფეხზე ჩაყენებულს ეძახდნენ (ბოძაშვილი, 1988, 87). **ვაჟა-ფშაველას** ცნობით, ფშავში მოსახელეზე გადმოდიოდა მიცვალებულის თვისებები და ამით გარდაცვლილი ცოცხლდებოდა. ავტორი ასახელებს მიცვალებულ გამიხარდის, რომელიც „მოსახელეს" სწყალობს საიქიოდან და პატრონობს მას (ვაჟა, 1964, 68). **ს. მაკალათიას თქმით,** ხევსურეთში, როცა ბავშვი აკვანში ანჩხლობს, იტყვიან – ეს მიცვალებულის სულია, რომელსაც სურს ბავშვი თავის მოსახელედ დაიყენოსო. "ზოგჯერ დედა სიზმარში დაინახავს, რომ მიცვალებული ბავშვის აკვანს არწევს. მაშინ მშობლები მიელენ მესულთანესთან და სთხოვენ მიცვალებელის სულის გამოცნობას. მესულთანესთან ოჯახის მიცვალებულის სუფრას დადგამენ, სანთლებს აანთებენ და მესულთანე დაიწყებს სულების ჩამოთვლას. ბოლოს ის ერთზე შეჩერდება და იტყვის მიცვალებულის სახელს, რომელიც ბავშვს ატირებს. ამის შემდეგ ბავშვს ამ მიცვალებულის სახელსაც არქმევენ (მაკალათია,

1935, 192). **ალ. ღლონტი** წერს: „სულის სახელი რელიგიურ წარმოდგენებს უკავშირდება. ანიმისტური რწმენით, მიცვალებულის სული მოითხოვს, რომ ახალშობილს რომელიმე მიცვალებულის სახელი ეწოდოს“. წარმოვადგენთ ამ ტრადიციის კიდევ ერთ მაგალითს, რომელიც ჩაწერილი აქვს გ. ცოცანიძეს. ბავშვის გააეებულ ტირილზე თუშეთში ასეთი გამოთქმა არსებობდა – „სახელს იწუნებსო“, ე.ი. არ არის კმაყოფილი თავისი ნათლობის სახელით და რომელიმე გარდაცვლილი წინაპრის სახელის დარქმევას ითხოვსო. ამ ფაქტის გამო ტარდებოდა შემდეგი რიტუალი: “ოჯახში გამოაცხობდნენ კოტრებს და სანთელ-ზედაშესთან ერთად საჯარეში გამოიტანდნენ. გაიხსენებდნენ ბავშვის წინაპრების სახელებს, თითოეულის სახელზე დანიშნულ პატარ-პატარა ჩხირებს ქუდში ჩაყრიდნენ, მერე ვინმე ხელს ჩაყოფდა და წილს ამოიღებდა. ვისი წილიც ამოვიდოდა, ბავშვს იმის სახელს დაარქმევდნენ... ამას მკვდრის სახელი ერქვა (ცოცანიძე, 1987, 166).

ამრიგად, სახელი ქრონოლოგიურად უპირველესი ნიშანი-ატრიბუტია, რომელსაც მაგიურ ძალას ანიჭებდნენ, რათა ავ სულს არ გაეთვალა ბავშვი. როგორც ზემოთ წარმოდგენილი წყაროებიდან ირკვევა, **სახელი იყო ერთგვარი სადემარკაციო ხაზი ავ ძალასა და ბავშვს შორის**. მიაჩნდათ, რომ სახელი იფარავდა მას ავი ენისგან, ავი თვალისგან. სახელით ავი სულისგან დაფარვის ერთ-ერთი გზა იყო ბავშვისთვის ცუდი სახელების დარქმევაც: „საზიზღარი“, „უვარგისი“... რათა ავ სულსაც არ მონდომებოდა მასთან შეხება. უძველესი დროიდან დამკვიდრებულმა სახელდების მისტიკურმა ტრადიციამ, შეიძლება ითქვას, გლობალური სახე მიიღო. სახელდრქმევის მაგიას ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მეტ-ნაკლებად ეზიარნენ დედამიწაზე არსებული ტომები, ხალხები, ერები, მათ შორის, ქართველები. „ბაში-აჩუკში“ ეკითხულობთ: ბაქარა ბაქრაძეს შვილი არ რჩებოდა, ამიტომ ურჩიეს მეზობლებმა ახალშეძენილი ბიჭისთვის გლახა დაერქმია და ღვთის სახელობაზე გაეშვა. ბავშვიც ჩიტივით წამოიზარდაო. ასე რომ, სახელი ერთგვარი ფარი და მფარველი იყო ბავშვებისთვის (და არა მხოლოდ ბავშვებისთვის). სახელდების მაგიურობის კიდევ ბევრი მაგალი-

თის დასახელება შეიძლება. ქრისტიანობის შემოღებასთან ერთად დეპედენტებად (სახელმდებლებად) გვევლინებიან ნათლიები, მღვდლები (რა თქმა უნდა, მშობლები გადამწყვეტ როლს ასრულებენ), რომლებიც ითვალისწინებენ ტრადიციას და ხელმძღვანელობენ კალენდრის სახელებით.

როგორც ვხედავთ, სახელი ადამიანის ამქვეყნიური მყოფობის ერთი უპირველესი ნიშანი-ატრიბუტია, რომელსაც მაგიურ ძალას ანიჭებდნენ. თანამედროვე ეპოქაშიც არის სახელით ადამიანის ბედის წარმართვის მეცნიერულად დასაბუთების ცდები, რომელთა ავტორები არიან პ. ფლორენსკი, პ. რუჟე, ს. პოპოვი, ს. მინცელოვი, ბ. ხიგირი, ა. უსპენსკი, ვ. მენდელევი და სხვები. რუსი ფილოსოფოსის, პ. ფლორენსკის აზრით, არსებობს იდუმალი და აუხსნელი ჰარმონია ადამიანის სახელსა და მისი ცხოვრების მოვლენებს შორის. ბ. ხიგირი ოცწლიანი დაკვირვების შედეგად ასკვნის, რომ არსებობს კავშირი ადამიანის სახელს, ხასიათსა და მის ბედს შორის. ფრანგი პ. რუჟე სახელის მთავარ საიდუმლო თვისებად თელის ვიბრაციის უნარს, რაც გავლენას ახდენს ირგვლივ მყოფებზე და რასაც, თავის მხრივ, მოჰყვება მათი რეაგირებაც. ამ საკითხს ეხმაურება მისი წიგნი „სახელის გავლენა ადამიანის ცხოვრებაზე“ (Тайна имени, Харьков, 1995, 3-6).

სახელ-გვარითა და მამის სახელით მკითხაობა-მაგიურობის ეს „თეორიები“, რა თქმა უნდა, ცრუმეცნიერებაა და საზრდოობს წარსულის მისტიკური აზროვნებით. ამიტომ მოულოდნელია ის, რომ ა. სუპერანსკაია კითხვაზე – ახდენს თუ არა გავლენას სახელი ადამიანის ბედზე, ასე უპასუხებს: „На этот вопрос трудно ответить однозначно“ (სუპერანსკაია, 1990, 17). ონომასტი გამოთქვამს ასეთ აზრსაც, რომ „Не достаточно хорошо обдуманный или обоснованный выбор имени может в какой-то мере повлиять на судьбу именуемого“. თუმცა დასძენს: „Разумеется, не в мистическом плане... а психологически“ (იქვე, 19). ამ აზრის ნათელსაყოფად ავტორი იხსენებს, როგორ ტიროდა ერთ-ერთ საბავშვო მოთხრობის პერსონაჟი ვანია იმის გამო, რომ თავისი სახელი მიაჩნდა მდაბიურად. მაგრამ მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ иван ერქვა მეიგავე კრილოვს, მხატვარ აივაზოვ-

სკის, მწერალ ტურგენევს... მას სხვაგვარი დამოკიდებულება გაუჩნდა თავისი სახელის მიმართ. გარდა ამისა, ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმაზეც, რომ ბავშვისთვის მნიშვნელოვანია, თუ როგორი ინტონაციით წარმოთქვამენ მის სახელს, ე.ი. ა. სუპერანსკაია ხაზს უსვამს სახელის გავლენას ადამიანის განწყობაზე, ფსიქოლოგიაზე. ფსიქოლოგიური განცდა-განწყობა, მათ შორის, სახელით განპირობებული, გარკვეულწილად, ნამდვილად განაგებს ადამიანის მოქმედებას, რასაც, შეიძლება მავანმა ბედი ან სახელის მისტიკურობა უწოდოს.

ყოველგვარი მისტიკა (და არა ფსიქოლოგიური განწყობა) დაუშვებელია მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ, რომელიც, თავის მხრივ, არ უარყოფს სახელის ფენომენს. ქრისტიანულ-რელიგიური თვალსაზრისით, ნათლობისას მიღებული წმინდანის სახელით ადამიანს ეელინება თავისი მფარველი ანგელოზი. სახელდარქმევის ეს მომენტი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მფარველი ანგელოზისადმი აღსავლენი ლოცვა-ვედრება ყოველდღიურ ლოცვებშია შეტანილი. ეკლესიური სწავლებით, კანონიკური სახელით მონათლულ ადამიანს, მით უფრო, თუ მას გათავისებული აქვს ამ სახელით მონათვლის მნიშვნელობა, მფარველობას უწევს ის წმინდანი, რომლის მოსახელეობის პატივიც ერგო მას. ეს სწავლება, მავანთათვის დაუჯერებელი, ხშირად თვალნათლივ ელინდება. ამის დასტურია ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში პირველ ოქტომბერს (ქართველი მოწამის, წმინდა ბიძინას, ხსენების დღეს) აღსრულებული ფაქტი, რაც თითქმის ერთხმად იქნა შენიშნული ერში. ჩვენს ყოფაში ასევე რეალურად დასტურდება შემთხვევები, როცა არათუ არქმევენ (ახალშობილს), არამედ მოზრდილი ადამიანი მეორე სახელად თავადაც ირქმევს იმ წმინდანის სახელს, ვისი მფარველობითაც ეძიებს მადლს.. ამ შემთხვევაში სახელდარქმევა, ბუნებრივია, ხდება ეკლესიურად და შეიძლება არ ჰქონდეს საყოველთაო ხასიათი, ერთგვარად ტაბუირებულიც იყოს.

§2 რელიგიური ანთროპონიმული სივრცე ძართულ სინამდვილეში

წინარექრისტიანულ და ქრისტიანულ ეპოქებშიც ადამიანის ყოფას ორი ასპექტით აფასებენ – ამქვეყნიური მატერიალური ცხოვრება და იმქვეყნიური მდგომარეობა. მართალია, სულის ცხოველმყოფელობა, სულის უკვდავება, ქრისტიანული რელიგიის ამოსავალია, მისი ძირითადი პრინციპია, მაგრამ ადამიანის გარდაცვალების შემდგომ პერიოდს ცნობდნენ და სხვადასხვა კუთხით აღიქვამდნენ უძველეს ხალხებსა და ტომებშიც. ამას ადასტურებს წარმართულ ეპოქაში გარკვეული ქონების (თუნდაც ვინ ჯგუფის საგნის) ჩატანება (თუ ჩაყოლება) მიცვალებულთათვის. ვფიქრობთ, ქრისტიანული ცხოვრების ატრიბუტიცაა **რწმენა იმისა**, რომ გარდაცვლილის სული ჰპატრონობს ამქვეყნად დარჩენილ მემკვიდრეებს, მას კი მემკვიდრეთაგან ეგების რაიმე, თუნდაც მოსახელეობა. ასე რომ, სულის უკვდავებას ჯერ კიდევ უძველეს საზოგადოებაში დაედო საფუძველი, რაც, გარკვეული ტრანსფორმაციის შედეგად, ქრისტიანთა ერთ უპირველეს დოგმად იქცა. ორი ერთმანეთისაგან გამიჯნული სამყაროს – რეალურისა და ირეალურის – არსებობა ოდითგანვე ამქვეყნიურ ცხოვრებაში იქნა გადმოტანილი, რამაც შექმნა მატერიალური ყოფიერების ორი მხარე: საერო და სასულიერო. თითოეულ მათგანს თავისი მისია აკისრია. ერთი ზრუნავს ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრებისათვის, მეორე კი ადამიანს ამზადებს იმქვეყნიური მარადიული არსებობისათვის. ამ უკანასკნელის მოქმედების არე იმდენად ძლიერია, რომ იგი იჭრება საერო პირთა ყოფაში: ა) თავისი მორალურ-ზნეობრივი დოგმებითა და ბ) ასევე დოგმებად ქცეული საკუთარი სახელებით (გოდერძიშვილი, 2001, პარიზი, 103-108).

ადამიანის ყოფიერების ამ ორი ფაქტორის დასაბამს ბიბლიის წიაღშივე ვხედავთ:

1) ბიბლიის თანახმად, სიცოცხლის გაჩენისთანავე სამოთხე დედამიწის ერთ გარკვეულ ნაწილს (ადგილს) შეადგენდა. მიუხედავად გარკვეული პერიოდების

დისჰარმონიისა, რაც დაიწყო ადამიანის მიერ სამოთხეშივე უფლის მცნების დარღვევით (რასაც მოჰყვა კაენის ცოდვა... უფლის ჯვარცმა, ათასწლეულების მანძილზე ერსა და ბერს შორის დაპირისპირება), სულიერება დედამიწაზე მაინც ინარჩუნებს წონასწორობას;

2) სასულიერო სივრცე აწესრიგებს საერო სივრცის გარკვეულ ტრადიციებს, მათ შორის, სახელდების ტრადიციას, რასაც, ჩვენი აზრით, ისევ ბიბლიის წიაღისაკენ მივყავართ. პირველ ადამიანს სახელი უფალმა დაარქვა, დედაკაცს კი სახელი უწოდა ადამმა, სამოთხის პირველმა მკვიდრმა. როგორც ვხედავთ, სახელდების პროცესი იქმნა სამყაროს გაჩენის მეექვსე დღესვე. და ეს მოხდა უჩვეულო სივრცეში, იქ, სადაც ერთმანეთს ერწყმოდა, ერთმანეთს ავსებდა რეალური და ირეალური სივრცე. სახელდების, როგორც განსაკუთრებული ფენომენის, დადასტურებაა ასევე ბიბლიური ცნობა, რომ **უფლის მიერაა ნაკარნახევი სახელები: აბრაამი, სარრა, ისმაელი, ისაკი, ისრაელი** (იაკობის სახელი), **მარიამი** (ღვთისმშობელი), **იოანე** (წინამორბედი), **იესო**. აქედან გამომდინარე, არც არის გასაკვირი, რომ სახელდება სასულიერო ფენის პრეროგატივად იქცა (წარმართულ ეპოქაშიც სახელმდებლებად უფრო ქურუმები მოჩანან).

სასულიერო ფენაში ადამიანის საკუთარი სახელი უდაოდ დოგმადაა ქცეული, რადგან სასულიერო პირის სახელდება არ ხდება რეალურად არსებული ყველა სახელით. ამ ასპექტით, სასულიერო ფენის თვალსაწიერს წარმოადგენს ოდენ რელიგიური, კერძოდ, კანონიკური ანთროპონიმული სივრცე. საერო ფენაში საკუთარი სახელი არ არის დოგმად ქცეული ერთეული. არაკალენდარული სახელების გამოყენებას ტაბუ არ აქვს დადებული, მაგრამ ეს გზა წყდება ან ვერ ინარჩუნებს ერთადერთობას, როცა საგანგებო კალენდარული, ანუ წმინდანთა სახელები ერქმევა პირებს გარკვეული პირობების გათვალისწინებით, კერძოდ,

I. ნათლობის საიდუმლოს აღსრულების შემდეგ. იმ ეპოქაშიც, როცა უარყოფითად ეკიდებოდნენ ახალშობილის თუ მოზრდილი ადამიანის მონათვლას, მაინც სრულდებოდა

ნათლობის რიტუალი, რომლის ერთ-ერთ ძირითად მომენტს შეადგენს ქრისტიანული სახელით რქმევა – საერო პირის სახელდება წმინდანის სახელით. ამასთან, წმინდანთა სახელები ნათლობის რიტუალისა და საგანგებო პირობების არსებობის გარეშეც დომინირებს საერო ცხოვრებაში. ყოველივე ეს მიუთითებს, რომ ანთროპონიმთა საეკლესიო ფონდი სცილდება სასულიერო სივრცეში მოქმედების არეს. ეს არც არის გასკვირი, რადგან კანონიკური სახელები გამყარებულია წმინდანთა ღვაწლით, მოწამეთა სახელებზე ა. სუპერანსკაია წერს: „это можно считать первой антропонимической кодификацией“ (სუპერანსკაია, 1981,47).

II. საერო მდგომარეობიდან სასულიერო ფენაში გადასვლის დროს, რაც გარკვეულ წესებს ემყარება:

1. თუ საერო პირის სახელი შეესაბამება წმინდანის სახელს, ხშირ შემთხვევაში, ეს სახელი გადაჰყვება ხოლმე ადამიანს სასულიერო პირად მოქცევისას, მაგრამ შესაბამისი ეპითეტის დართვით. **ამბროსი** მიქაძე გახდა **ამბროსი** ნეკრესელი, **ამბროსი** ხელაია – **ამბროსი** არქიმანდრიტი, **ნესტორ** ყუბანეიშვილი – **ნესტორ** არქიმანდრიტი, **კალისტრატე** ჩაჩუა – **კალისტრატე** მღვდელმონაზონი, **ონოფრე** შუშანია – **ონოფრე** მწირი, **იაკობ** დუმბაძე – **იაკობ** შემოქმედელი, **ალექსანდრე ბოლქვაძე** – მამა **ალექსანდრე** (ქვემო ბეთლემის ეკლესიის წინამძღვარი), **შალვა** კეკელია – მამა **შალვა** (წმინდა ანდრია პირველწოდებულის ეკლესიის წინამძღვარი). ნეკრესელი, ღვთისმეტყველი, ნოსელი, არქიმანდრიტი... სასულიერო იერარქიის აღმნიშვნელი სიტყვებია, მაგრამ, ანთროპონიმთან დართული, ისინი **ეპითეტებად იქცევიან და ონიმური ფუნქციით იტვირთებიან**. აპელატივთა ეპითეტად ქცევასა და ამ გზით მათი ონიმური ფუნქციით დატვირთვას განაპირობებს სასულიერო სივრცეში დამკვიდრებული ანთროპონიმული მოდელის ორწევრიანობა.

2. საერო მდგომარეობიდან სასულიეროში გადასვლას, ჩვეულებრივ, მაინც სდევს სახელის შეცვლის რიტუალი, თუნდაც შესაცვლელი, ანუ ადამიანის წინა სოციალური

მდგომარეობის, სახელი სასულიერო ანთროპონიმულ ფონდს განეკუთვნებოდეს: დავით X-ს ბერად შედგომის შემდეგ ეწოდა ღამიანე, გიორგი საძაგლიშვილი – კირიონ კათალიკოსი გახდა, თეიმურაზ ბატონიშვილი – ანტონ პირველი, ერისკაცობაში ირაკლი შიოლაშვილი – ილია მეორე, დავით დათუაშვილი – მიტროპოლიტი დანიელი...

მაგალითები ლიტერატურიდან: დედოფალ ბევრეულისს მონაზვნად აღკვეცის შემდეგ ანასტასია ეწოდა („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება"), ბაგინეთის დედათა მონასტერში მონაზვნად აღკვეცეს კვეტარის ერისთავის, კოლონკელიძის, ასული შორენა და შუშანიკი დაარქვეს მას (კ. გამსახურდია, „დიდოსტატის მარჯვენა"). დაეიმოწმებთ ამ საყოველთაო ტრადიციის ერთ ნიშანდობლივ მაგალითს: გლეხის ბიჭი ზალიკა მდედელთან დროებით მიაბარეს საღეთო წერილის დასაუფლებლად და მხოლოდ იმ ხნის განმავლობაში ეძახდნენ ზალიკას ზოსიმეს (ეგნატე ნინოშვილი, „ჯანყი გურიაში"). ეს დროებითი ღვაწლიც კი სახელით დაფიქსირდა, რაც კიდევ უფრო მეტად ავლენს სასულიერო სივრცისა და ადამიანის საკუთარი სახელის ცხოველ კავშირს.

.სასულიერო ფენაში გადასვლისას ახალი სახელის შერჩევა და დამკვიდრება გარკვეული ფონემატური სტრუქტურით ხდება:

ა) ზოგჯერ პიროვნების სასულიერო სახელში შენარჩუნებულია მისი საერო სახელის პირველი ასო-ბგერა. დანარჩენი იცვლება. **ი**რაკლი – ილია II, **დ**ავითი – მეუფე **დ**ანიელი, **ს**ულხანი → მამა საბა, **შ**ორენა – **შ**უშანიკი („დიდოსტატის მარჯვენა")...

ბ) პიროვნების საერო სახელში იცვლება მხოლოდ პირველი ასო (ზოგჯერ შესაბამისი რაგვარობით), დანარჩენი რჩება. მაგალითად, **ვ**ასილი → მამა **ბ**ასილი (ილია მართლის ეკლესიის წინამძღვარი). **ვ** და **ბ** ლაბიალური თანხმოვნებია, ამდენად – ერთი ჯგუფის.

გ) საღვთისმეტყველო ანთროპონიმული სისტემა იმითაც სხვაობს საერო ანთროპონიმული სისტემისგან, რომ პირველში მკაცრადაა დაცული სახელის ოფიციალური ფორმე-

ბი. უფრო მეტიც, ანთროპონიმის ვარიანტული ფორმა, მისი სახეცვლილება, სახელთა გარკვეული წყების გარდა, რელიგიური სამყაროსათვის მიუღებელია. ვასილ ბარნოვის „თეთრ გვირგვინში“ ვკითხულობთ: „დიაკვნობაში დაბერებული ვანო, აწ იოანე“. ვანო და იოანე – ეს ერთი სახელის ორი განსხვავებული ფორმაა, ისევე როგორც ვანო და ვანიკო, მაგრამ ქრისტიანული რელიგიის ანთროპონიმული სისტემისათვის ისევე მიუღებელია ვანო, როგორც ვანიკო. ანთროპონიმის პირველადი ფორმა რომ საეკლესიო ცხოვრების ურყევ დოგმადაა მიჩნეული, ადასტურებს შემდეგი მოთხოვნაც: მიცვალებულთა თუ ცოცხალთა მოხსენიებისას (წერილობით ან ზეპირად) მათი სახელების წარმოდგენას ითხოვენ ოფიციალური ფორმით და არა მათი მოფერებით-ალერსობითი ვარიანტით, რათა უფალმა აღიქვას შეევედრებულნი და შეისმინოს ვედრება. თუ შესაევედრებელი პირის საერო სახელი არ შეესაბამება კალენდარულ სახელთა ფონდს, იგი მიუღებელია ლიტურგიკული ქმედებისათვის. ამიტომ მოეთხოვება მევედრებელს, მლოცველს, რომ შესაევედრებელი საერო პირი მოიხსენიოს ნათლობის (საეკლესიო) სახელით, თუნდაც ეს სახელი არ წარმოადგენდეს მოცემული პირისათვის პრაქტიკული გამოყენების ატრიბუტს.

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტები, ვფიქრობთ, ნათლად ადასტურებს შემდეგს: თეოფორული ანთროპონიმული სისტემა აქტიურადაა შეჭრილი საერო ცხოვრებაშიც. სხვაობას ქმნის კალენდარულ ონიმთა ვარიანტულობის დაშვება-არდაშვება. კერძოდ, საერო სივრცეში გამოყენებული კალენდარული სახელები ექვემდებარებიან ამ სივრცის ანთროპონიმული სისტემისათვის დამახასიათებელ დერივაციას. რომელიმე საერო ფონდის სახელის (ეთ-ერ, ეთ-ო, ეთ-უნ-ა...) ვარიანტული მოდელი ერცელდება სასულიერო ფონდის ონიმებზედაც (დავით – დათ-ო – დათ-იკ-ო – დათ-ია...). რელიგიური სივრცისათვის კი მიუღებელია სახელთა დერივაციული ფორმები (თუკი ფორმა არ არის დაკანონებული) და, ძირითადად, ურყევ დოგმად მიიჩნევა სახელის პირველადი, საწყისი ფორმა (თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კანონიკურ

სახელთა სიაში შეტანილია რამდენიმე წარმოქმნილი სახელიც: მაკა, ანუკა... რაც არ ცვლის სისტემას).

III. საერო სივრციდან სასულიერო სივრცეში გადასვლისას ირღვევა ერთსახელიანობის მოდელი და ორმაგი სახელდების სისტემაში იკვეთება სახელდების ერთ-ერთ სპეციფიკურ ჯგუფად. კერძოდ,

ა) სასულიერო სივრცეში კალენდარული ანთროპონიმები, ჩვეულებრივ, ეპითეტ-ონიმებთანაა დაწყვილებული (მიქაელ მოდრეკილი);

ბ) იშვიათად, მაგრამ მაინც დასტურდება ორივე სახელის – ერისკაცობისა და სასულიერო მდგომარეობის – ერთდროული ხმარების შემთხვევები. ამ ტიპის ორსახელიანობის მოდელს, რომლის ერთი კომპონენტი საეროა, მეორე კი – სასულიერო, ვუწოდეთ **თავსებადი ანთროპონიმები**. ესენია: იოანე-ზოსიმე, ნიკო-ხოსრო (ქაიხოსრო ბატონიშვილის აწ უკვე ბერული სახელი ნიკოლოზ ძველს დაუკავშირეს და ახლა ნიკო-ხოსრო შეარქვეს, ლევან გოთუა, გმირთა ვარამი). საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ სულხან-საბა ორბელიანი დღემდე შემორჩა ამ ორი სახელით, უფრო მეტიც, ბერობის სახელით, მიუხედავად იმისა, რომ იგი დაუბრუნდა საერო ცხოვრებას. ამ დიდი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ერთი სახელით მოხსენიების შემთხვევაში, ჩვენი დაკვირვებით, უფრო საბა ორბელიანს იტყვიან, ვიდრე სულხან ორბელიანს. ეს ერთი ფაქტიც, ვფიქრობთ, ემოწმება საღვთისმეტყველო ანთროპონიმის სიძლიერეს.

გ) რელიგიური სივრცეში ორმაგი სახელდების, შეიძლება ითქვას, „პროზაული" მოდელიც დასტურდება: ადარნასყოფილი და მონაზონქმნილი ბასილი, დედისიმედყოფილი დებორა, სუმბატ სეიმონქმნილი, იოანე პატრიკყოფილი.

IV. კანონიკური ანთროპონიმებით ხდება სახელდება მაშინაც, როცა პირის ახალი სოციალური მდგომარეობა **ისევ საერო სივრცეა**. კერძოდ, მაღალი წოდების სტატუსით სხვა ეროვნულ-პოლიტიკურ-სარწმუნოებრივ გარემოცვაში გადასვლისას სახელი აუცილებლად შესატყვისი რელიგიურ-კალენდარული ფონდიდან უნდა იქნეს შერჩეული: ქართველ ქალს,

ხათუთას, შემდგომ უკვე ბიზანტიის დედოფალს, ბერძნული სახელით ნათლავენ და ელენეს არქმევენ (ვასილ ბარნოვი, „დედოფალი ბიზანტიისა“); ჰაისტანის ტახტის მემკვიდრე, აშხენი, საქართველოს დედოფალი ხდება, რამაც განაპირობა მისი ანად მონათვლა (ვასილ ბარნოვი, „ცოდვა სიჭაბუკისა“)...

კალენდარულ სახელთა რამდენიმე ჯგუფისთვის

კანონიკურ ანთროპონიმთა გაცნობამ დაგვანახვა, რომ მსოფლიო ქრისტიანული კალენდარული სისტემა მოიცავს:

I. ბერძნულიდან, ებრაულიდან და ლათინურიდან **ნასესხებ სახელებს,** რომელთა დიდი ნაწილი ქართულ სივრცეშია დამკვიდრებული. კალენდარულ სახელთა უმეტესობას სემანტიკურად ღვთაებასთან მიეყავართ. ესენია: **ბერძნული სამყაროდან ნასესხები** სახელები: თეოდორე („ღვთის საჩუქარი“), იოაკიმე („ღმერთმა დაადგინა“), თეოფილე („ღვთის მოყვარე“), კვირიკე („უფლისა“), იორამი („ღმერთი მაღალია“), თეკლე („ღვთის დიდება“), ზინაიდა („ღვთიური“)...[1] **ებრაული სამყაროდან ნასესხები** სახელები: ამბაკო („სიყვარული ღვთისა“), გაბრიელი („კაცი ღვთისა“), დანიელი („ღვთის სამსჯავრო“), ანანია („მადლი უფლისა“), ელდარი („ღვთის საჩუქარი“), ერემია („ღვთისაგან ამაღლებული“), ზაქარია

---

[1] მამაკაცთა ბერძნული სახელების გადმოცემას ქართულში საგანგებოდ შეეხო ს. ყაუხჩიშვილი. მისი დებულებით, მამაკაცთა სახელები – პეტრე-ალექსანდრე, ამბროსი-გიორგი და ანდრია-თომა ტიპისა – ქართულში შეთვისებულია ბერძნული ვოკატივის ფორმით: Ανδρεας → Ανδρια → ანდრია; Αλεξανδρος → Αλεξανδρε → ალექსანდრე; ი-ნიანი სახელები კი ιος-ით დაბოლოებული სახელების შემოკლებული ფორმის ვოკატივით. ბერძნული Ακακιος, Γεωργιος → შემოკლებული: Ακακις, Γεωργις → ვოკატივი: Ακακι, Γεωργι → ქართული: აკაკი, გიორგი (ყაუხჩიშვილი, 1925, 95-97). ეს იმითაა გამოწვეული, რომ ბერძნულ სახელთა ვოკატივი ფორმით ემთხვევა ქართულის სახელობით ბრუნვას.

(„ღმერთს ახსოვს“), ელისაბედი („ღვთის პატივისმცემელი“)... **ლათინურიდან** – დომინიკა („უფლისა“)...

ეს სახელები გაითავისა ქართულმა სინამდვილემ. ასეთი გათავისებული ონიმები კი, როგორც პროფ. ზურაბ ჭუმბურიძე აღნიშნავს, „ეროვნულ სახელებად არიან ქცეულნი“. ამასთან, ეროვნულ ფორმებად თვლის პროფ. ალ. ღლონტი ნასესხებ სახელთა **წარმოქმნილ ფორმებსაც:** დათო, თედო, ვანო, სიკო, კოწო, რაფო, ლადო, გიო, რომელთა შესახებაც წერს: „ზოგიერთი უცხოური საკუთარი სახელი დროთა ვითარებაში შეჰგუებია ქართულს და ისე შეუცვლია თავდაპირველი მოდელი, რომ ახლა კაცს გაუჭირდება მისი არაქართულად მიჩნევა“ (ღლონტი, 1967, 19). ამ ტიპის ფორმებზე წერს შ. აფრიდონიძეც: „ქართულის მიერ შეთვისებული მრავალი სახელი ამჟამად ისე „გაქართულებულია“, რომ ხშირად ჭირს კიდეც მათი მიჩნევა ნასესხებ სახელებად“ (აფრიდონიძე, 1981, 55).

II. ღვთაებასა და უფალთან დაკავშირებულ ქართულ ონიმებს: ქრისტინე, უფლისა, **ქრისტესია, ქრისტედულე, ღვთისავარ.**

III. ქრისტიანულ კალენდარულ სახელებშია შეტანილი აღმოსავლურ საკუთარ სახელთა ერთი ჯგუფი, რომლებიც ასევე ფეხმოკიდებულია ქართულ სინამდვილეში. ესენია: **თურქული:** ხათუნა, ელგუჯა, ალმასხანი, ასლანი, თენგიზი... **ირანული სამყაროდან ნასესხები:** ბაგრატი („ღვთის მოცემული“), ანდუყაფარ (უფლის მონა), გურამი, ზურაბი, ზეინაბი, ედიშერი, შადიმან, ბეუანი, თეიმურაზი... ბაკური („ღვთის შვილი“)... **არაბული:** რამაზი, შერმადინი, აეთანდილი, ოთარი, ასმათი...

ზემოთ წარმოდგენილი პირველადი ნასესხები სახელების (ბერძნულ-ებრაულ...) ეროვნულობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ განსხვავებულ ეროვნულ და ეროვნულ-სარწმუნოებრივ სივრცეში ისინი შესატყვისი ფორმით, მიმღები ენის ფონემატურ-ფონოლოგიური სტრუქტურით მკვიდრდებიან. აქედან გამომდინარე, დავძენთ: **მიმღები ენის ეროვნულობა მათთვის მეორეულია:** ნიკოლოზი//ნიკოლაი//ნიკ, გიორგი//ჯორჯი

(ამერიკაში დამკვიდრებული ქართველი გიორგი ბალანჩივაძე ჯორჯ ბალანჩინი გახდა). შალვა დადიანის თხზულებაში („გიორგი რუსი") ნათქვამია: ჩამოიყვანეს უფლისწული იური, „საქართველოში აწ უკვე გიორგიდ ხსენებული". ამრიგად, ქართულ ანთროპონიმთა რელიგიური ფონდში **ნასესხები საკუთარი სახელები** წარმოადგენს ერის ერთიანი ანთროპონიმული სისტემის ძირითად და მარეგულირებელ ნაწილს **მეორეული ეროვნულობით.** (ბერძნული: **Παυλος, Πετρος** → რომაული: **Paulus, Petrus**: ქართული: **პავლე, პეტრე**; რუსული: **Павел, Петр**).

IV. ამასთან, რაგინდ გასაკვირიც უნდა იყოს, ღირსთა მამათა და დედათა სახელებად დასტურდება სახელთა წარმოქმნილი ფორმებიც: მაკა (თუმცა ზ. ჭუმბურიძეს ცალკე სახელად აქვს წარმოდგენილი მაკა და არა რომელიმე სახელის ფორმად), **ანუკა** (ისტორიულად ამ ფორმამაც დამოუკიდებელი სახელის სტატუსი მიიღო, მაგ., ანუკა ბატონიშვილი და არა ანა). **გარდა ამისა, დათუნა, ბაჭუკი, გაბილა, ბუჭულა, გლახუა, იაგორა, ლომიტა გუგულა, გუჯა, მათუნა, კაკა, თიკო** (საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1999, 2003, დაბეჭდილი უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის, ლოცვა-კურთხევით). **მეორე მხრივ,** როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სასულიერო სივრცისთვის მიუღებელია წარმოქმნილი სახელების ნებისმიერი (ანუ დაუკანონებელი) ნაირობა (ქეთინო, ქეთუთა, რუსიკო, რუსკა, ნათიკა, ნანკა, მანჩო, ლიკუნა...).

V. ქრისტიანულ კალენდარულ სახელთა ერთი მცირე ჯგუფს შეადგენს:

ა) ანთროპონიმებად ქცეული **წარმართული ეპოქის** რამდენიმე ძველი ბერძნულ-რომაულ თეონიმიც: **აპოლონი** (ხელოვნების, პოეზიის, მისნობის... ღმერთი), **არესი** (ომის ღმერთი), **ბაკხუსი, დიონისე** (ღვინის ღმერთი), **ეროსი** (სიყვარულის ღმერთი), **მერკვირი** (=მერკური / კრონოსი). წარმართულ კერპთა სახელების, ისე როგორც წარმოქმნილი

სახელების... კანონიკურ ანთროპონიმებად ქცევა განაპირობა ამ ონიმებით მონათლულ პირთა მოწამეობამ.

ბ) რაც ყველაზე საყურადღებოა: **კალენდარულ სახელთა სიაში შეტანილია ქართული წარმართული ეპოქის წიაღში ჩასახული ის უძველესი წმინდა ქართული ონიმები, რომლებიც ინდიგენურ სახელებად წარმოვადგინეთ:** აფთარი, გვრიტა, ქურციკა, ხვაშაგი, კრავაი, ქაბატო, ცისკარა, სიხარულა, გამახარე, გამიხარდა, უმანკო, ლელა, ლომია, ლომიტა, ყაყიტა, მამისა, მერაბი, ლერწამისა, მონავარდისა, პატარქალი, გულმართლისა, გულნაზი, გულქანა, გულჯავრი, მამისიმედი, მამისთვალი, თმაგიშერა... ჭიკჭიკა, მეტია და სხვა.

გ) ცალკე გამოვყოფთ ქართულ კანონიკურ სახელებად მიჩნეულ იმ წარმოქმნილ და თხზულ სახელებს, რომელთა კომპონენტიცაა წარმართული ქართული ღვთაების აღმნიშვნელი სიტყვა – **მზე**: მზეხა, მზეთვალა, მზექალა, მზეხათუნი, მზისთანადარი, ხვარამზე, მამამზე. ამავე რიგისაა: მნათობი, მნათობისა, ვარსკელავისა.

სინამდვილეს ასახავს რ. თოფჩიშვილის სიტყვები: „ქართულ-ქართველური სახელები მაინც არ ეძლეოდა დავიწყებას და ხშირად მეორე, ანუ ზედმეტი სახელების სახით ერცელდებოდა. ისინი განსაკუთრებით შემორჩნენ მთის რეგიონებსა და სამეგრელოში“ (ქართველური მემკვიდრეობა, IV, 2000, 173). ამასთან, ეიტყოდით, უფრო მეტი ფაქტის გათვალისწინებაც გვიწევს. ზემოთ წარმოდგენილი მაგალითების მიხედვით ჩანს, რომ საკუთარ სახელთა თვით კალენდარული ფონდი, შეიძლება ითქვას, ეტაპობრივად ითავისებდა არა მხოლოდ აღმოსავლურ სახელებს, არამედ ქართულ წარმართულ სახელებსაც. ძირითადად, ამგვარ ეტაპად ჩაითვლება 1226 წელი, როცა ზეციურ საქართველოს შეეძინა ხვარაზმელი ჯალალედინის მიერ მოწყვეტილი 100 000 ქართველი, რომელთა სახელებმა (გამონაკლისის სახით, მათმა ფორმებმაც) გაამდიდრეს ქართული კანონიკური ანთროპონიმიკონი. ეს ვითარება ასახულია 24 (11) დეკემბრის წმინდანთა სახელებში, რომელშიც შესულია „ყოველთა ქართველთა“ სახელები. ქართულ სივრცეში არათუ აღმოფხვრილა

ქართული კოდით გაჯერებული წარმართული სახელები, **მათი უმრავლესობა თანაარსებობს კანონიზებულ სახელებთან ერთად კანონიკურ სახელებად.**

* * *

ტერმინი **„რელიგიური სახელები“** გაცილებით ფართო ცნებაა, ვიდრე „საეკლესიო სახელები.“„კალენდარული სახელები“ ძირითადი ფონდია რელიგიური სახელებისა. გარდა ამისა, „რელიგიურ ანთროპონიმებად“ ვთვლით ონიმთა იმ ჯგუფსაც, რომელშიც ფიგურირებს **წარმართულ ღმერთთა სახელები,** მაგრამ არ არის კალენდარული. ასეთები შემოჭრილია ქრისტიანულ სამყაროში, ოღონდ **საეკლესიო სივრცის გარეთ,** მის საერო სივრცეში. ამ ტიპისაა:

ა) სხვადასხვა ქვეყნის წარმართული ეპოქის ღვთაებათა სახელები: **აპოლონი** (ხელოვნების, პოეზიის... მისნობის ღმერთი, ბერძნ.), **დიანა** (ნადირობის ქალღმერთი, რომ.),

ბ) ქართული წარმართული ეპოქის ღვთაებათა სახელები: **დალი** (ნადირობის ქალღმერთი), **პირქუში, სამძიმარა...** წარმართული ეპოქის გამოძახილი უნდა იყოს ამირანიც (პრომეთეს ორეული). „თავიდანვე ქართველ ტომებს კარგად ჩამოყალიბებული ონომასტიკონი ჰქონდათ, რასაც მოწმობს წარმართულ ღვთაებათა საკუთარი სახელები, რომელთა ერთი ნაწილი ადამიანის სახელებს „შეუსისხლხორცდა“ (ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, 1967, 19).

გ)კანონიკურ სახელთა სიაში არ არის შეტანილი, მაგრამ რელიგიურ სახელებად ვთვლით საკერპო სიტყვა **მთვარისგან** წარმოქმნილ ონიმებს: **მთვარისა, მთვარია, მთვარელი.** ცნობილია, რომ სწორედ მთვარის ღვთაება იყო ფარნავაზის მიერ ქართლის მთაზე დადგმული არმაზის კერპი, **მთავარ ღმერთად გამოცხადებული,** რამაც, გარკვეულწილად, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართველ ტომთა ერად ჩამოყალიბებაში. ხალხის მიერ მთვარის მამად აღქმა („მთვარე – მამა ჩემი“) იმ ფაქტმა განაპირობა, რომ არმაზის კერპი

მამაკაცის (მეომარი) ქანდკება იყო. არც **არმაზია** კანონიურად მიჩნეული, მაგრამ რელიგიურ სახელთა ფონდში უდავოდ მოთავსდება.

დ) რელიგიურ, მაგრამ არაკალენდარულ ანთროპონიმთა ჯგუფში გაერთიანდება ღმერთთან და მასთან დაკავშირებული მოვლენების ამსახველი ანთროპონიმები: **ღვთისო, ქიტესა, აღვსება, აღდგომელა...**

როგორც ვხედავთ, ქართულ სინამდვილეში **სახელდების გათვალისწინებით,**

I) საერო ცხოერება **მოქცეულია რელიგიურ ანთროპონიმულ ველში;**

2) მართალია, საერო ცხოვრება, სასულიერო ყოფისგან განსხვავებით, ხასიათდება სახელდების ფენომენთან ინდივიდუალური მიდგომით – ანთროპონიმის სუფიქსური წარმოებით, მაგრამ წარმოქმნილ სახელთა ერთი ჯგუფი, გამონაკლისის სახით, კანონიკურ სახელებადაც დასტურდება. ვფიქრობთ, ეს ფაქტი გამოიწვია **ერთდროულად მრავალი ადამიანის მოწამეობამ.** თითოეული მათგანის იდენტიფიკაცია, როგორც ჩანს, მათი სახელდების საიდენტიფიკაციო ფორმის კანონიზაციით მოხდა.

ამრიგად, **ადამიანის საკუთარ სახელთა უზარმაზარ რიგს გადავყავართ ქრისტიანულ რელიგიურ სივრცეში ან ამა თუ იმ რელიგიური (მათ შორის, წარმართული) სამყაროს სიღრმეში.**

რა თქმა უნდა, საერო სივრცეში არ იყენებენ კალენდარული სახელების ყველა ერთეულს (მაგ., იეროთეოზი), მაგრამ ის ნაწილი, რაც გამოყენებულია, ფართო მოხმარებისაა

ამრიგად, მატერიალური ყოფის ერთ-ერთი გვერდაუელელი ობიექტი საკუთარი სახელებია. ქართული სინამდვილის საფუძველზე დგინდება: მართალია, ვიწროა არე სასულიერო ფენისა, რა თქმა უნდა, საეროსთან შედარებით, მაგრამ გაცილებით ფართო ასპარეზი აქვს სასულიერო ფენის დოგმად ქცეულ ატრიბუტს – საკუთარ სახელს, რადგან საერო პირთა ცხოერებაში მარკირებული ონიმების ლომის წილი წარმოადგენს რელიგიურ სახელებს. ამრიგად, რელიგიურ

სახელებში, რელიგიურ ანთროპონიმულ სივრცეში ვაერთიანებთ:

ა) კალენდარულ სახელებს;

ბ) ონიმებს, რომლებშიც მარკირებულია სიტყვები: ღმერთი, უფალი, ქრისტე, ხატი...

გ) ონიმებს, რომლებშიც ანთროპონიმირებულია სხვადასხვა ქვეყნის წარმართული ეპოქის ღვთაებათა საკუთარი სახელები;

დ) ონიმებად ქცეულ საღვთისმეტყველო ეპითეტებს, რომლებიც უმეტესად პოსტპოზიციურად დაერთვის სასულიერო პირის საკუთარ სახელს (შეყენებული, ხანძთელი, მთაფოლო, დიდი, მესვეტე... მეუფე, ამბა, ოქროპირი), რაც უფრო მეტად აყალიბებს ანთროპონიმულ ფორმულად (გრიგოლ ხანძთელი, იოანე ოქროპირი, ბასილი დიდი, გრიგოლ ღვთისმეტყველი, გრიგოლ ნოსელი, სვიმონ მესვეტე, არტემ მთაფოლო...).

ამასთან, კანონიკური ანთროპონიმიკონისთვის და, საერთოდ, ქრისტიანული სამყაროსთვის ყოვლად მიუღებელი იყო კომუნისტური რეჟიმით ნაკარნახევი აბრევიირებული სახელები. საბჭოთა ეპოქაში ეკლესიის გავლენის დაცემას მოჰყვა სახელების ისეთი ფორმების დამკვიდრება, როგორიცაა: მელორი (მარქსი, ენგელსი, ლენინი, ოქტომბრის რევოლუცია), სტალბერი (სტალინი-ბერია), დაზმირა (Да здравствует мир), ზამირა (За мир), და ა.შ. საბჭოთა ეპოქის მაჯისცემის ამსახველ საინტერესო სახელებს გვაწვდის ვ. ნიკონოვი: Элекрофина, Ревмир, (революция мировая), Октябрина, Вилорик (В. И. Ленин освободил рабочих и крестьян), Ленмарен (Ленин, Маркс, Энгельс). ქრისტიანული ეკლესიის მოძლიერებამ და ქრისტიანული სახელების სავალდებულოდ დამკვიდრებამ განდევნა საბჭოურ ეპოქაში შეთხზულ-შეთითხნილი სახელები. ქრისტიანული ეკლესია დაუპირისპირდა ე.წ. საბჭოურ ანთროპონიმებს, რომელთა მიზანი იყო საბჭოთა ეპოქის, ბოლშევიზმის ფუძემდებელთა სახელების უკვდავყოფა და მათ მოწოდებათა წმინდა საქმედ გამოცხადება (Владимир, Владикавказ). ქართულ ეკლესიას ლომის წილი უდევს საბჭოთა ეპოქის სახელდების, შეიძლება ითქვას, ამ საბჭოთა ისტორიული ტენდენციის,

შენელებისა და გაქრობის საქმეში. ალ. ღლონტის გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ 1886 წელს სოფ. შატილში დაბადებული 46 ბავშვიდან ხევსურული ტრადიციული სახელი ერთი-ორისთვის უწოდებიათ (ღვთისო), დანარჩენებისთვის კალენდრის სახელები მიუციათ. 1886 წელს შუაფხოში (ფშავი) 16 ბავშვიდან თექვსმეტივესთვის კალენდრის სახელები დაურქმევიათ. სოფ. კოშკში (სამეგრელო) 1886 წელს დაბადებული 16 ბაეშვი – ყველა კალენდრის სახელით მოუნათლავთ (ღლონტი, 1967, 12).

ჩვენს ეპოქაში განსკუთრებით ითვალისწინებენ მშობლები სახელდების ქრისტიანულ ტრადიციას და კალენდარულ სახელებს არქმევენ შვილებს. რაც მთავარია, ქართულ სინამდვილეში, მიუხედავად ნანკა-ანჩო-რუსკა ფორმების მოზღვავებისა (რაც საერო, და არა სასულიერო, სივრცეში, იდენტიფიკაციის თვალსაზრისით, ჩვენი თანამედროვეობის არც თუ დასაძრახ მოდურ ატრიბუტად იქცა), აშკარად იკვეთება სახელთა სრული ფორმით გამოყენების კულტურა. ასეთი დამოკიდებულება სახელდების აქტისადმი უდავოდ მნიშვნელოვანი ეტაპია ერის კულტურულ-ტრადიციულ ცხოვრებაში. ქრისტიანული ეკლესიის სტატუსის გაზრდა უფრო მეტად აძლიერებს ჩვენი ყოფის ამ უმნიშვნელოვანეს მომენტს. ამასთან, ქრისტიანული ტრადიცია არ უპირისპირდება, არ დევნის არაკანონიკურ საერო სახელებს, ამოზრდილს ქართული წარმართული წიაღიდან. სასიამოვნო ფაქტია, რომ ახალგაზრდა მშობლები შვილებს არქმევენ ისეთ სახელებსაც, რომელთაც ჯერ კიდევ წარსულის ბინდი ფარავთ. ასეთებია: მაკრინე, მაკინე... განსაკუთრებით დიდი ემოციის მომგვრელი იყო ბავშვის სახელად კრავაი-ს დასახელება (ცნობები ტელესივრციდან, 2012), XXს-ის I ნახ-შიც დასტურდება თითო-ოროლა გამონაკლისიც (ცოქალა ქაჯაია) (შდრ.: ხვაშაგი ცოქალი, კრავაი ჯაყელი, XII ს; მირიან აზნაურის მეუღლე კრავაი, IX ს).

მიუხედავად იმისა, რომ კალენდარულ სახელთა სისტემა საერო ცხოვრების წესის მნიშვნელოვანი ნაწილიცაა, ამ ორი სამყაროს სხვადასხვაობის ერთ-ერთ დამადასტურებელ ფაქტად

ისევ ადამიანის საკუთარი სახელი რჩება, უფრო ზუსტად, განსხვავებული სისტემა ონიმებისა – საერო და საეკლესიო. ორი ანთროპონიმული სისტემის პრაქტიკული გამოყენების ხვედრითი წონა და სივრცე შესამჩნევად განსხვავდება ურთიერთისაგან. კერძოდ, გაცილებით ფართოა საღვთისმეტყველო ანთროპონიმული სისტემის სივრცე, რადგან:

I. საერო ანთროპონიმული სისტემის გამოყენების არე შემოფარგლულია ოდენ საერო ცხოვრებით. მარკირებულია მხოლოდ საერო პირთა სახელდებაში.

II. რელიგიური ანთროპონიმული სისტემა დომინირებს **სასულიერო** ფენაშიც და **საერო** ყოფაშიც. მისი მარკირების არე მოიცავს მოცემული ერის თითქმის მთლიან ანთროპონიმულ სივრცეს.

§3 წმინდანთა, მეფეთა, გმირთა... და ანტიგმირთა სახელები როგორც სახელურძმევის წყარო

პირველი, ოფიციალური ანთროპონიმის არჩევითობას რამდენიმე მოტივაცია განაპირობებს. თითოეული მათგანი მოითხოვს საგანგებო კვლევას, მით უფრო, თუ კვლევა ჩატარდება ორ სივრცეში – რეალური ყოფისა და მხატვრულ თხზულებათა შესწავლის საფუძველზე. გამოვყოფთ ოფიციალური სახელების მოტივაციის ჯგუფებს, ზოგიერთ მათგანს დავურთავთ კომენტარს. საგანგებოდ შევჩერდებით მხოლოდ ბოლო ოთხ ჯგუფზე. **პირველი სახელის შერჩევა ხდება სხვადასხვა მოტივაციით.** ძირითადად, ესაა:

1. ნათესავების (ბებია-ბაბუა, დედ-მამა, ბიძა-დეიდა...) სახელთა ნომენკლატურა;

2. მშობლების ან სხვა პირთა (თუნდაც რაიმე მოვლენის გამომხატველი) აბრევიირებული სახელები;

3. რაიმე ნიშნით გამორჩეული ნებისმიერი (პოპულარული თუ არაპოპულარული) პიროვნების სახელი;

4. პერსონაჟის (ფილმისა თუ მხატვრული თხზულების) სახელი (ტარიელი, ნესტანი, ავთანდილი, შორენა...);

5. დეპენდენტისთვის (სახელმძღვანელი) აკუსტიკურად მოსაწონი, ლამაზ ონიმად მიჩნეული სახელი;

6. ყოველგვარი მოტივაციის გარეშე, სპონტანურად დარქმეული სახელი;

7. იშვიათი, არაგავრცელებული სახელი ან სახელის ფორმა (დავიმოწმებთ ციტატას რეალური ყოფიდან: „ჩემს შვილებს სახელები მე დავარქვი. სახელი „ირაკლი" მომწონდა, ხოლო „თეონა" მაშინ გავრცელებული სახელი არ იყო, ფაქტობრივად, არც არქმევდნენ. არ მინდა ვთქვა, რომ ეს სახელი მე დავნერგე, თუმცა ამ თაობის თეონებში ჩემი თეონა შეიძლება სხვებზეც უფროსი იყოს" (გელა ჩარკვიანი, ჟურნ. „სარკე", 2012, 25 IX, 50). უნდა ითქვას, რომ სახელი „თეო" გვხვდება რ. გვეტაძის „ჭიაკონაში", ასევე მოთხრობაში – „თავადის ქალი მაია". თეონა ჩვენში მართლაც შემდეგდროინდელი ფორმა ჩანს, დღევანდელი მონაცემით კი თეონა ფორმა მრავალადაა დაფიქსირებული (16 826), რასაც ვერ ვიტყვით თეოზე, რომელიც დღეს უფრო გაიშვიათებულია (466 ერთეული, სილაგაძე, თოთაძე, 1997). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, საერთოდ, თეონა და თეო ორი სხვადასხვა ბერძნული სახელია (თეო ნიშნავს ღმერთს, ღვთაებას, თეონა კი – ღვთის ფიქრს, მის გონებას, ჭუმბურიძე, 1966, 115), თუმცა საქართველოში ერთი სახელის ორ ფორმადაა დამკვიდრებული.

8. მოდური სახელი. აქ ორი ჯგუფი გამოიყოფა: 1) სრული, პირველადი სახელები (სალომე, ერეკლე...) და 2) სახელთა წარმოქმნილი ფორმები (სალი, ანჩო, რუსკა, ქეთა), რომლებმაც იმდენად მოდური სახე მიიღეს, ლამის დამოუკიდებელი სახელის პრეტენზიითაც სარგებლობენ;

9. ახალშობილის დაბადებისას შინაგანი ემოციური განცდის გამომხატველი სახელი (გელოდი, სიხარულა, გამახარე, გენიოსა)

10. რელიგიური სახელები, სადაც შედის:

ა) კანონიკური;

ბ) ის წარმართული სახელები, რომლებშიც მოიაზრება ღვთაება თუ წარმართული ღმერთები (იხ. რელიგიური სახელები);

11. მეფეთა სახელები;

12. ერისთვის თავდადებულ გმირთა სახელები;

13. ანტიგმირთა სახელები (მიუხედავად იმისა, რომ უარყოფით გმირთანაა ასოცირებული ესა თუ ის სახელი, როგორც ჩანს, იგი არ წყვეტს არსებობას).

ამ საკითხთა უმრავლესობას ნაშრომის სხვადასხვა ადგილზე ვეხებით შესატყვის თემატიკასთან დაკავშირებით. აქ საგანგებო პარაგრაფად წარმოვადგინეთ კლასიფიკაციის ბოლო ოთხ ჯგუფი (10-ა, 11, 12, 13). პირველ რიგში, რა წელილი მიუძღვის ამა თუ იმ წმინდანის, მეფისა თუ ერისთვის თავდადებულ გმირთა სახელებს სახელდების სისტემაში, რამდენად წარმართავენ მათი ონიმები ქართულ ანთროპონიმიკონს?

<u>მეფეთა სახელები.</u> გარკვეული მიმართებაა მე-10-ა და მე-11 ჯგუფს შორის. ამ კუთხით წინასწარ იკვეთება ორი სიბრტყე:

1. კანონიკური სახელები (წმინდანთა სახელები) → მეფეთა სახელებად;

2. მეფეთა სახელები → კანონიკურ სახელებად (ფარნავაზი, ვახტანგი, მირიანი).

ამასთან, საინტერესოა, რეალურ ყოფაში სახელდებისას რა წარმართავს სახელების (ეთქვათ, გიორგი, დავითი, დემეტრე...) არჩევითობას მაშინ, როცა ესა თუ ის ონიმი წმინდანის სახელიცაა და ღვაწლმოსილი მეფისაც.

დავიწყოთ ყველაზე პოპულარული სახელებიდან – **გიორგი** და **დავითი**, რადგან ქართველ მეფეთა უმეტესობა ამ სახელებით არის სახელდებული.

<u>გიორგი</u> ერქვა 18 ქართველ მეფეს, დავითი – 13-ს. 1997 წლის მონაცემებითაც მამაკაცთა შორის პირველი ადგილი უჭირავს სახელს, გიორგის (147 454), მეორე – დავითს (76 051, სილაგაძე, თოთაძე, 1997, 363).

გიორგი. გაერთიანებული საქართველოს ბაგრატიონთა დინასტიის პირველმა მეფემ თავის პირმშოს უწოდა გიორგი (I), რამაც ერთგვარად დასაბამი მისცა მისქცევას სამეფო დინასტიის სახელად. ამ ონიმის მატარებელთა შორის განსაკუთრებით გამორჩეული იყვნენ: გიორგი I, გიორგი III, გიორგი

IV (ლაშა-გიორგი), გიორგი V ბრწყინვალე (საქართველოს გამაერთიანებელი ბოლო მეფე). ბაგრატოვანთა სამეფო სამემკვიდრეო სახელად დომინირებადი ეს ოთხი გიორგიც დიდი ბიძგის მიმცემი იქნებოდა იმისთვის, რომ ერში დამკვიდრებულიყო სახელი გიორგი. დღევანდელი მონაცემებითაც, მამაკაცთა სახელებში უპირველესი ადგილი სწორედ ამ სახელს უჭირავს. საქართველოში გიორგი სახელის დამკვიდრების ერთ-ერთი განმაპირობებელი რომ ამ სახელით მონათლულ რჩეულ მეფეთა ფაქტორია, ადასტურებს სახელი ლაშა-გიორგიც. ა. სილაგაძისა და ა. თოთაძის წიგნში ეს კომპოზიტი-სახელი არ არის შეტანილი (1997) ალბათ მისი ნაკლებპროდუქტიულობის გამო, თუმცა დღეს დასტურდება სახელის ეს ფორმაც (ლაშა-გიორგი ფანგანი, 14 წლის). სწორედ ამ სახელის გათვალისწინებით, ხშირად ტყუპებიდან ერთს ლაშას არქმევენ, მეორეს – გიორგის. მიუხედავად ამისა, ეფიქრობთ, რომ ქართველთა უპირველეს სახელად გიორგის ქცევა განსაზღვრა წმინდა გიორგის ფენომენმა, რადგან იგი ქართველთა უპირველესი წმინდანია, რასაც ადასტურებს გამოთქმა: „სამას სამოცდახუთი წმინდა გიორგი შეგეწიოს“. როგორც ცნობილია, საქართველოში წმინდა გიორგის სახელობის 365 ტაძარი იყო. ცნობილია ისიც, რომ წლის თითოეულ დღეს თითო ტაძარი დღესასწაულობდა წმინდა გიორგის ხსენებას (ანუ საგანგებო წირვა ტარდებოდა). აქედან გამომდინარე, საქართველოში ყოველი დღე (365-ეე) ითელებოდა წმინდა გიორგის დღედ. ეს პატივი იშვიათ გამონაკლისთა შორის შეიძლება ჩაითვალოს. რა გასაკვირია, რომ ქართველთა უპირველესი სახელი (მეტ-ნაკლები მონაცვლეობით სხვა სახელებთან) იყოს გიორგი.

დავითი – ეს ონიმი არანაკლებ დომინირებს დღევანდელ საქართველოში. დავითი ებრაული სახელია. მისი პოპულარობა განაპირობა ებრაელთა რიგით მეორე, მაგრამ უპირველესი ბიბლიური მეფის, დავით წინასწარმეტყველის, პოპულარობამ. მით უფრო, რომ, ტრადიციულად, ქართველ მეფეთა გენეალოგიის სათავედ დავით წინასწარმეტყველია მიჩნეული, რის შედეგადაც ბაგრატიონ მეფეებს ღვთის სწორ პირებად თელიდნენ (გიორგი მერჩულე, „გრიგოლ ხანძთელის

ცხოვრება"). მიუხედავად ამისა, ეფიქრობთ: საქართველოში ამ სახელის სიხ'შირის წყაროდ იქცა დიდგორის ომის („ძლევაი საკვირველი") დამაგვირგვინებელი მეფის, დავით აღმაშენებლის, ფენომენი, მით უფრო, რომ იგი ასევე ერთ-ერთი უპირველესი ქართველი წმინდანია. ქართული სახელმწიფოს წარმატებაში არანაკლები როლი შეასრულა დავით სოსლანმა, არაერთი ომის გმირთა გმირმა. ამ სახელით ცნობილი მეფეებია – დავით ნარინი და დავით ულუ, მაგრამ ანთროპონიმ **დავითის** საყოველთაობას ჩვენში, როგორც აღვნიშნეთ, დავით აღმაშენებლის სახელი და დიდება აპირობებს. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი „პარალელს ავლებს აქილევსსა და დავით აღმაშენებელს შორის", გარდა ამისა, „ისტორიკოსი დავით აღმაშენებელს ადარებს ალექსანდრე მაკედონელს და მიიჩნევს, რომ თავისი საქმიანობითა და სიბრძნით დავითი ალექსანდრეზე მაღლა იდგა" (მეტრეველი, 1986, 17).

<u>არჩილი</u> – ამ სახელით, ძირითადად, ორი ქართველი მეფეა ცნობილი: არჩილ I, ვახტანგ გორგასლის პაპა (V ს.), არჩილ II, კახეთის/იმერეთის მეფე, პოეტი (XVII ს.). გარდა ამისა, მეფედ იხსენიებენ ქართლის ერისმთავრის, სტეფანოზის, ძეს – არჩილს, VIIIს. (გავიხსენოთ მირი და არჩილი, ძმები, აფხაზეთში ანაკოფიის ციხის დაცვის გმირები). არაბთა მიერ წამებული არჩილი ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. ამრიგად, სახელი არჩილი V ს-დან ქვეყნის ერთ-ერთი პირველი პირის სახელად ფიგურირებს და დღემდე ხშირი მოხმარების სახელია (დაახლოებით, 11331). ეფიქრობთ, ამ სახელის გავრცელება უფრო მეფე-პოეტის (XVII) სახელთანაა დაკავშირებული, რადგან იგი საერო პირთათვის უფრო ცნობადი სახეა.

<u>ალექსანდრე</u> – საკმაოდ გავრცელებული სახელია საქართველოში. ამ სახელს განსაკუთრებით ახასიათებს ფორმობრივი სიმრავლე. 1997 წლის მონაცემებით, იგი მეოთხე ადგილზეა სიხშირით. ამ სახელით შვიდი ქართველი მეფე გვყავდა. მათ შორის გამოირჩევა გაერთიანებული საქართველოს მეფე ალექსანდრე დიდი (თუმცა მოზღვავებულ სეპარატიზმს ვერც მან გაუძლო და ბერად აღიკვეცა), მაგრამ, ეფიქრობთ, რომ საქართველოში გავრცელებული ამ სახელის წყაროდ უნდა ქცეული-

ყო ალექსანდრე მაკედონელის პიროვნება. ალექსანდრე მაკედონელი, რომელმაც უზარმაზარი იმპერია შექმნა, საქართველოში არ შემოსულა. მიუხედავად ამისა, ზეპირი გადმოცემით (ზოგჯერ დოკუმენტურადაც), ადასტურებენ საქართველოში მისი შემოჭრის ფაქტს, რაც, რა თქმა უნდა, არ არის რეალობა, სამაგიეროდ, ეს ფაქტიც მიგვითითებს ჩვენს ქვეყანაში ალექსანდრე მაკედონელის პოპულარობაზე, რამაც, ეფიქრობთ, თავის მხრივ, განაპირობა სახელის პოპულარობაც; მით უფრო, რომ აზო, ამერ-იმერის პირველი გამგებელი, ლეონტი მროველის მიერ მიჩნეულია ალექსანდრე მაკედონელის სარდლად.

<u>ფარნავაზი</u> ორ ქართველ მეფეს ერქვა. მიუხედავად იმისა, რომ მათი მეფობა შორეულ წარსულს ეკუთვნის (ფარნავაზ I – ძვ. წ. IV-III სს; ფარნავაზ II – ძვ. წ. I ს.), ეს სახელი დღემდეა შემონახული ქართველებში (ფარნაოზ //ფარნა ერთელიშვილი – ენათმეცნიერი, ფარნაოზ ლომაშვილი – ისტორიკოსი...). დღეს მეტ-ნაკლებად მოქმედი სახელის, ფარნაოზის, წყარო ფარნავაზ I-ა – ლეგენდარული მეფე, რომელმაც გააერთიანა იბერია და კოლხეთი და გახდა ქართული სახელმწიფოს პირველი მეფე, ქართველი ტომები ერად ჩამოაყალიბა და შეუქმნა „წიგნი პირველი“ (ანუ შემოიღო დამწერლობა). 1997 წლის ცნობებით, საქართველოში 586 ფარნაოზი იყო. ნიშანდობლივია, რომ ეს პირველი სამეფო სახელი თავმოყრილია აღმოსავლეთ საქართველოს სამ ძირითად ქალაქში – თბილისი (180), სიღნაღი (41), თელავი (38).

<u>აზო,</u> ლეონტი მროველის გადმოცემით, იყო მაკედონელი დამპყრობელი, თუმცა პირველი იგი დაეუფლა ამერ-იმერს („მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით, აზო მიჩნეულია არიან-ქართლის მეფის ძედ და, შესაბამისად, პირველ ქართველ მეფედ). ასეა თუ ისე, ეს სახელი მკვეთრად ფიგურირებს საქართველოს ისტორიაში ჯერ მარტო იმით, რომ შემოიტანა და ქართლის მთაზე დადგა ორი კერპი: გაი და გაცი. 1997 წლის მონაცემებით, სახელ აზოს 54 შემთხვევაა დადასტურებული თბილისში, ზუგდიდსა და ზესტაფონში (სილაგაძე, თოთაძე, 1997).

<u>საურმაგი</u> (ფარნავაზ I-ის ძე) გახლდათ გაერთიანებული საქართველოს მეორე მეფე (ძვ. წ. III ს.). დედა ჰყავდა დურძუკი

(ჩრდილოეთ კავკასია). საურმაგი ირანული სახელია (ჭუმბურიძე, 1971, 95). იგი დასტურდება V საუკუნის II ნახევარშიც ვახტანგ გორგასლის სპასპეტისა („ქართლის ცხოვრება“ I, 1955, 143) და ეჯიბის („ქართლის ცხოვრება,“ IV, 1973, 111) სახელებად. ა. სილაგაძისა და ა. თოთაძის 1997 წლის მონაცემებით, საქართველოში საურმაგი არ ფიქსირდება, მაგრამ რეალური ყოფიდან დავიმოწმებთ ჩვენს თანამედროვე ცნობილ კალათბურთელს, საურმაგ თურმანიძეს. აქედან გამომდინარე, ეს სახელი თითო-ოროლა შესაძლებელია დაიძებნოს. ზ. ჭუმბურიძის თქმით, საურმაგი „ირანულ ენებში თხას ნიშნავს. ქურციკისგან არის მიღებული ქურციკიძის გვარი... ქურციკა – კაცის სახელია“ (ჭუმბურიძე, 1971, 8).

მირიანი სპარსული სახელია. ქართველებს სამი მირიან მეფე გვყავდა. მირიან I და მირიან II ძველი წელთაღრიცხვით II საუკუნეში მეფობდნენ. მირიან მესამე გახდა მოციქულთა სწორი და პირველი ქრისტიანი მეფე (ახ. წ-ით 326 წ). სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა მისი შერაცხვა წმინდანად. 1997 წლის მონაცემებით, დაფიქსირებულია 3540 ერთეული (თბილისი, ქუთაისი, ზუგდიდი), მაგრამ უკანასკნელ ხანებში ეს სახელი რატომღაც ნაკლებად დომინირებადია. წმინდანის სახელი უფრო გვარშია მარკირებული (მირიანაშვილი).

ვახტანგი – ამ სახელით ცნობილია 6 ქართველი მეფე, განსაკუთრებით, ვახტაგ I (გორგასალი) და ვახტანგ VI (შაჰნავაზი). სახელის პოპულარიზაცია წმინდანად აღიარებული ვახტანგ გორგასლის პიროვნებამ განსაზღვრა. მართალია, წმინდანთა დასშია შეყვანილი ვახტანგ III-ც (XIV ს.), მაგრამ საერო სივრცეში იგი ნაკლებად ფიგურირებს. ვახტანგი სპარსული სახელია (ვარან ხუასრო თანგ). მომავალი მეფის სახელდება ალბათ მისი დედის, საგდუხტის, სპარსელობამ განაპირობა, მაგრამ მაზდეანი ქალი გახდა ჭეშმარიტი ქრისტიანი. მის სახელს უკავშირდება სამშვილდის სიონის აგება. ვახტანგის მცირეწლოვანების გამო რვა წლის მანძილზე დაქვრივებული საგდუხტი მართავდა იბერიას და სამეფო ტახტს იცავდა სპარსთაგან. სწორედ მისი აღზრდილი შვილი გახდა ქართველთა უპირველესი მეფე-გმირი. ვახტანგ გორგასალმა არათუ გააერთიანა

ხუთი საუკუნის განმავლობაში დაშლილი ქვეყანა, არამედ ქართულ ეკლესიას მოუპოვა ავტოკეფალია. ქართულ სინამდვილეში უშუალოდ მისი ძალისხმევით დაარსდა კათალიკოსის წოდება. ბუნებრივია, იგი შერაცხეს წმინდანად, რამაც კალენდარულ სახელთა სიას და ქართულ საერო სივრცეს შესძინა ანთროპონიმი **ვახტანგი**. 1997 წლის მონაცემებით, საქართველოში 24578 ერთეულია დაფიქსირებული. მამაკაცთა სახელებში სიხშირით მე-17 ადგილზეა. ამ ონიმის დასაბამი, როგორც აღვნიშნეთ, გორგასლის სახელთანაა დაკავშირებული. სხვათა შორის, „ყოველთა წმინდანთა“ რიცხვში სახელი საგდუხტიცაა (თუმცა არა ვახტანგ I-ის დედა).

<u>დაჩი</u> – ქართველ წმინდანთა სიაში გვხვდება დაჩი ბოდაელი, მაგრამ დღევანდელ საქართველოში ამ სახელის გავრცელება უნდა დავუკავშიროთ საერო სივრცეში უფრო ცნობილ პირს, დაჩი უჯარმელს – ესაა ვახტანგ გორგასლის უფროსი ძე, რომელიც გამეფდა ვახტანგ I-ის შემდეგ, მამის დავალებით, დაასრულა თბილისის მშენებლობა და დედაქალაქი მცხეთიდან თბილისში გადმოიტანა.

<u>ერეკლე</u> „წარმოქმნილია ბერძნული გმირის, ჰერაკლეს, სახელიდან (ჯუმბურიძე, 1971). ეს სახელი ორ ქართველ მეფეს ერქვა, მაგრამ გამორჩეულია მეფე ერეკლე II, პატარა კახად წოდებული. მისი წყალობით ერეკლე არათუ მხოლოდ ეროვნულ სახელადაა ქცეული, არამედ დღემდე საკმაოდ პოპულარული სახელია.

<u>გუბაზი</u> – ეს სახელი არ არის უცხო ქართველთათვის (გუბაზ მეგრელიძე, გუბაზ სანიკიძე, გუბაზ გოგატიშვილი). გუბაზი VI ს-ში ორ მეფეს ერქვა – გუბაზ I და გუბაზ II. ორივე ეგრისის მეფე იყო, მაგრამ ამ სახელის წყაროდ, ვფიქრობთ, უნდა ქცეულიყო ცნობილი გუბაზ II, რომელიც დიდომიანობის დროს მოკლეს ბიზანტიელმა სარდლებმა.

<u>დემეტრე</u> – ქართველებს ორი დემეტრე მეფე გვყავდა, ორივე ცნობილი. **დემეტრე I** იყო დავით აღმაშენებლის ძე, დიდგორის ომის მონაწილე, გიორგი მესამის მამა და თამარ მეფის პაპა. მას ეკუთვნის ცნობილი საგალობელი „შენ ხარ ვენახი“ და **დემეტრე II** თავდადებული. ორივე მეფე დემეტრე

წმინდანია. მაგრამ, ეფიქრობთ, დემეტრე სახელის გაერცელებას უფრო დემეტრე II თავდადებულის პიროვნება შეუწყობდა ხელს, რადგან იგი უფრო პოპულარულია ერში. დემეტრე იყო ასევე დემნა ბატონიშვილის ოფიციალური სახელი პაპის, დემეტრე I-ის, პატივსაცემად.

დემნა დემეტრედან მიღებული წმინდა ქართული ფორმა-სახელია, რომლის წყაროა ქართულ სინამდვილეში მეფეებზე არანაკლებ ცნობილი უფლისწულის, დემნა ბატონიშვილის (დემეტრე I-ის შვილიშვილის), პიროვნება. ეს სახელი, ეფიქრობთ, აკუსტიკურადაც მოსაწონი და ადვილად გამოსათქმელიცაა, მაგრამ 1997 წლისთვის დაფიქსირებულია მისი მხოლოდ 469 შემთხვევა (დავასახელებთ მწერალ დემნა შენგელაიას). ეს სახელი ერთ-ერთ ქართულ ტელესერიალშიც („ჩემი ცოლის დაქალები") გვხვდება. ფილმში გაჟღერებულ სახელს კი არსებობა უხანგრძლივდება.

საქართველოში გავრცელებული სახელების – ბაკურისა (1481) და ბაქარის (859) – პირველი მატარებლები ცნობილი მეფეები იყვნენ. იბერიის მეფე ბაკურ I მეფობდა III ს-ში. პირველი მეფე, სახელად ბაქარი, მირიან III-ის ძე იყო და მეფობდა IV ს-ში, ამ ეპოქ(ებ)იდან მოყოლებული, ეს სახელები ვრცელდებოდა საქართველოში. გავრცელებულია უფრო დასაელეთ საქართველოსა და თბილისშიც.

თამარი ბიბლიური სახელია (დავით წინასწარმეტყველის მრავალ შვილთაგან ერთ-ერთს ერქვა), ამიტომ საერთაშორისო გავრცელებისაა. მაგრამ საქართველოში ამ სახელის დამკვიდრება-აღორძინება წმინდანად შერაცხილი თამარ მეფის სახელთანაა დაკავშირებული. Тамара რუსულ სინამდვილეშიც ერთ-ერთი მოქმედი სახელია. ბუნებრივია, რუსებისთვის ცნობილია მისი ბიბლიური წარმომავლობა, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს სახელი მათთვისაც ასოცირდება ქართველ მეფე-წმინდანთან. ამის დასტურად მოვიყვანთ ა. სუპერანსკაიას სიტყვებს. იგი წერს, რომ სახელი Тамара დიდხანს იყო დაკავშირებული კავკასიის მეფე-ქალთან. ამიტომ რუსეთში მიაჩნდათ, რომ Тамара-თი სახელდებული უნდა ყოფილიყო შავგვრემანი ქალი. თუ ტიპურ რუსს ერქვა Тамара, იძახდნენ: „Какая же она Тамара, она не

соответствует своему имени" (სუპერანსკაია, 1970, 13). აღსანიშნავია ის, რომ საქართველოში ყველაზე გავრცელებულ ქალთა სახელებში დასახელებულია „თამარი" (100658), ისე როგორც მამაკაცთა შორის – გიორგი (სილაგაძე, თოთაძე, 1997, 363).

რუსუდანი – დღეს საკმაოდ პოპულარულია არა მხოლოდ პირველადი ფორმით, არამედ გამოკვეთილად მოდური გახდა მისი დერივაციული ფორმები (რუსა, რუსკა, რუსი). ეს სახელი ტრიალებს ბაგრატიონთა დინასტიაში. თავდაპირველად გაიჟღერა XII ს-ში. რუსუდანი ერქვა თამარ მეფის მამიდას (გიორგი III-ის და), ერთი ვერსიით – თამარის ნახევარდასაც, რაც მთავარია – თამარის შვილს, მეფეს (XIII ს.). მართალია, მეფე რუსუდანი არ იყო გამორჩეული დადებითი თვისებებით შემკული პიროვნება, მაგრამ, ვფიქრობთ, მაინც მას უნდა უკავშირდებოდეს ამ სახელის გავრცელება. არცაა გასაკვირი, რომ იშვიათ მოვლენად მიჩნეულ მეფე-ქალის ფაქტორს გამოეწვია მისი სახელის ერში დამკვიდრება.

ამრიგად, ქართული ანთროპონიმიკონის ერთ რიგს შეადგენს სახელები, რომლებიც ჩვენს მეფეებს ერქვა, მით უმეტეს, წმინდანად შერაცხილთ.

რევი – საქართველოს ისტორიაში ამ სახელით ცნობილია სამი მეფე: **რევ I (რევ მართალი, III ს.), რევ II, ანუ ლევი და რევი – მირიან III-ის ძე** (V ს-ის მეფეები). მათგან პიროვნული ღირსებით უფრო ცნობილია რევ მართალი, ანუ **რევ I**. წარმართულ ეპოქაში თავად წარმართმა აკრძალა ქრისტიანების დევნა და ადამიანების, განსაკუთრებით, ბავშვების, მსხვერპლად შეწირვა და ეს ხდებოდა ქართულ სამეფოში. ამიტომაც უწოდეს „მართალი", მაგრამ რევ I ხალხში ალბათ ნაკლებად პოპულარულია, მისი სახელის გავრცელებას რომ დასდებოდა საფუძვლად. ა. სილოგავასა და ა. თოთაძის წიგნში ეს სახელი არ არის დადასტურებული. საგულისხმოა, რომ რევი მარკირებულია გვარებში – რევიშვილი, რევია.

ფარსმანი – ჩვენთვის უფრო გასაკვირია ამ სახელის გაუვრცელებლობა. თუ არ ვცდებით, საქართველოში ექვსი ფარსმან მეფე იყო. მათგან ამ სახელის პოპულარიზაცია უნდა გამოეწვია ფარსმან II-ის, ანუ ფარსმან ქველის პიროვნებას (ახ.

წ. II საუკუნე). რომ არ გამოგვივიდეს ფარსმან ქველის შესახებ ისტორიული ექსკურსი, მრავალთაგან მხოლოდ ერთს ვიტყვით: ახ. წ-ის II ს-ში, ეპოქაში, როცა რომის იმპერია აზანზარებდა მთელ ევროპას და არა მარტო ევროპას, იმპერატორმა ანტონიუს პიუსმა რომში მიიწვია ფარსმან ქველი და მიაგო უდიდესი პატივი – ყოველწლიურ წიგნში, სადაც რომის იმპერიის წლის მნიშვნელოვანი ამბები იწერებოდა, ფარსმან ქველის სტუმრობაც აღინიშნა; ფარსმან ქველს უფლება მისცეს კაპიტოლიუმში შეეწირა მსხვერპლი (რომაელების გარდა არავის ჰქონდა იქ შესვლის უფლება) და, რაც მთავარია, მარსის მოედანზე დადგეს ცხენზე ამხედრებული ფარსმან ქველის ძეგლი. ეს პატივი კიდევ უფრო მეტ დატვირთვას მიიღებს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ფარსმან ქველი იყო მხოლოდ იბერიის მეფე, კოლხეთი კი მათიევე, ანუ რომის პროვინცია იყო. მართალია, ეს შორეულ წარსულს ეკუთვნის, მაგრამ ხომ შემორჩა უფრო შორეული წარსულიდან ჩვენს რეალურ ყოფას სახელი ფარნაოზი, საურმაგიც. უნდა შევნიშნოთ, რომ ფარსმანი ორი წმინდანის სახელიცაა (საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1999), მაგრამ, გამოყენების თვალსაზრისით, ეს სახელი ვერ უტოლდება თუნდაც ფარნაოზს. 1997 წლის მონაცემებით, იგი საერთოდ არ გვხვდება. იქნებ ფარსმან ქველის სიდიადე დღეს ფარსმან სპარსის (კ. გამსახურდია, „დიდოსტატის მარჯვენა“) ვერაგობამ ჩაანაცვლა და დაჩრდილა. ფაქტი ისაა, რომ, სულ ცოტა, ბოლო საუკუნის მანძილზე (XX ს.) ფარსმანი არ მოჩანს ქართული ანთროპონიმიის ასპარეზზე.

მითრიდატე / მირდატი – მირდატი მითრიდატეს შემოკლებული ფორმა-სახელია. ფარსმანი და მითრიდატე ქართველი მეფეების სახელებად დროის ერთ სივრცეში გვხვდება – ესაა ახალი წელთაღრიცხვით I საუკუნე. მითრიდატე I და ფარსმან I იყვნენ მამა-შვილი, მითრიდატე II კი – ფარსმან I-ის ძე (ვარაუდობენ, რომ ახ. წ. II ს-ში იბერიის ერთ-ერთი მეფე უნდა ყოფილიყო მითრიდატე III (მ. ლორთქიფანიძე, რ. მეტრეველი, 2000, 26). მითრიდატე I-ისა და მითრიდატე II-ის სახელთან დაკავშირებულია ქართული სინამდვილის საგულისხმო, შეიძლება ითქვას, თავმოსაწონი ეტაპები. ამ შემთხვევაშიც საქმე ეხება

ძლევამოსილი რომის იმპერიის საკმაოდ ფრთხილ დამოკიდებულებას იბერიის ამ ქართველ მეფეთა მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ იბერია მისი ვასალი იყო. რომის იმპერატორმა ტიბერიუსმა მითრიდატე I-ს სომხეთიდან პართელების გაყრა დაავალა, სამაგიეროდ, სომხეთში მისი შვილი მითრიდატე გაამეფა. არანაკლები პატივი მიაგო იმპერატორმა ვესპასიანემ მის შვილიშვილს, მითრიდატე II-ს, კერძოდ, მას არმაზციხის გალავანი გაუმაგრა. მიუხედავად იბერიის ამ მეფეთა წარმატებებისა, მათმა სახელმა ქართულ სინამდვილეში ვერ პოვა გავრცელება. მიზეზად შეიძლება დასახელდეს: 1. ერში მათი დამსახურების ნაკლებად გავრცელება, 2. ჯერჯერობით ამ სახელის მოფერებითი ფორმების უქონლობა. ამასთან, მითრიდატე არამხოლოდ ქართველ მეფეთა სახელი იყო. ვფიქრობთ, ამ ანთროპონიმით გაცილებით უფრო ცნობილია პონტოს მეფე, მითრიდატე VI, რომლის ერთ-ერთ ვაჟს ქართული სახელი, მახარე, ერქვა.

მირდატი — იგივე ვითარებაა სახელ-ფორმა მირდატთან დაკავშირებით. ქართულ სინამდვილეში არაერთი მეფე მირდატი ყოფილა. მათგან გამოვარჩევდით ვახტანგ გორგასლის მამას. მისი მეფობის დროს, მიუხედავად სპარსთა დიდი აგრესიისა, სამხრეთ კავკასიაში მხოლოდ იბერიამ შეინარჩუნა სამეფო ტახტი, მაგრამ არც ამ ფაქტმა მისცა ბიძგი ამ სახელის დამკვიდრებას. იგი არ გეხვდება ანთროპონიმთა ლექსიკონებში რიგითი პიროვნების სახელად. ამ ფონზე მნიშვნელოვანია პ. ცხადაიას ცნობა წალენჯიხის რაიონში მცხოვრები მირდატ ჭანტურიას შესახებ.

<u>ბაგრატი</u> — ესაა გაეთიანებული საქართველოს ბაგრატიონთა დინასტიის პირველი სამეფო სახელი. ამ სახელით ცნობილი მეფეები იყვნენ: ბაგრატ IV, ბაგრატ V დიდი. 1997 წლის მონაცემებით, მართალია, 2093 ერთეულია (თბილისი — 422, გორი — 206, ქუთაისი — 78), მაგრამ უკანასკნელ პერიოდში ამ ანთროპონიმით სახელდების შემთხვევები არ ფიგურირებს. ამ კუთხით დაეასახელებთ კიდევ ერთ სახელს — ქართლოსს.

<u>ქართლოსი</u> ქართველთა უპირველესი წინაპრის, ბიბლიური იაფეტის, შვილის (თარგამოსის) შვილი. აღნიშნული მონა-

ცემებით, დადასტურებულია ამ სახელის 713 შემთხვევა თბილისში, ქუთაისსა და გორში (გავიხსენოთ ცნობილი ქართლოს კასრაძე).

სახელების – ქართლოსის, ბაგრატის, ფარსმანის – ნაკლებად ან, საერთოდ, გამოუყენებლობა ხომ არ აიხსნება იმით, რომ მათგან ჭირს დერივაცია საალერსო ფორმების მისაღებად. **ბაგრატთან** დაკავშირებით კი ერთი ფაქტორიც დაემატება: თუ დავუკვირდებით, დღეს ხმარებულ სახელთა თანხმოვნითი ბაზა შედგება ხმოვნით დაცილებული ან ყრუ ფშვინვიერი (თუ მკვეთრი) ბგერებისგან, ან ამ რაგვარობის ბგერა მოსდევს მჟღერს, რომელთა შორის ასევე ხმოვანია ჩართული. სახელის იოლ წარმოთქმას დიდად აპირობებს თითოეული თანხმოვნის მომყოლი ხმოვანი. მოცემულ სახელში კი თავმოყრილია სამი მჟღერი ბგერა, მათ შორის, **გ** და **რ** – ერთმანეთთან მიჯრით, რომელთა შემდგომი ყრუ თანხმოვანი **ტ** გამორჩეულია სიმკვეთრით. ამასთან, ყოველდღიური გამოყენებისთვის **გრ** წყვილის საარტიკულაციო პროცესი უფრო რთულია, ვიდრე **რგ/რბ** (სერგო, ბარბარე).

ერისთვის თავდადებულ გმირთა სახელებიდან დღეს გავრცელებულია: **ცოტნე** (დადიანი), **თევდორე** (მღვდელი), ზვიადი (ზვიად ერისთავი, რომელმაც განაპირობა საქართველოს პირველი პრეზიდენტის სახელი), **შალვა** (ახალციხელი, რომელსაც ეძღვნება სიტყვები: „შაელეგ, შენი შავი ჩოხა...“ ან შალვა ქსნის ერისთავი. ორივე პიროვნება წმინდანადაა შერაცხილი), **არსენა** (მარაბდელი). ამ უკანასკნელის პოპულარიზაციას, შესაძლებელია, მ. ჯავახიშვილის თხზულებამაც შეუწყო ხელი.

უარყოფით პირთა სახელები. როგორ ეკიდება ხალხი უარყოფით პირთა სახელებს? თავად უარყოფით პირებს – შესატყვისად, უარყოფითად. მაგრამ სახელი, როგორც ჩანს, არ იძირკვება მისი მატარებელი პირის გამო. მიზეზი სხვადასხვა შეიძლება იყოს:

1. ხალხი სხვადასხვაგვარად აფასებს ამა თუ იმ მოვლენას, რის შედეგადაც უარყოფითი გმირიც პოულობს მომხრეს ამ ჭრელ სამყაროში;

2. უარყოფით პირს ჩრდილავს იმავე სახელის მქონე სხვა პირი;

3. რიგ შემთხვევაში არ აქვთ ინფორმაცია უარყოფით პირზე.

მოტივაცია სხვაც დაიძებნება ისეთი, რაც არ აფერხებს უარყოფითი პირის სახელის გავრცელებას. შეიძლება ითქვას, რომ სახელის შემდგომ გამოყენებაზე გამოკვეთილად უარყოფითი პერსონაჟის ფაქტორი უფრო მოქმედებს (მაგალითად, ლუარსაბ თათქარიძე), თუმცა, როგორც ჩანს, საბოლოოდ არც ეს სპობს მის არსებობას. ა. სილაგაძის მონაცემებით, 1997 წლისთვის საქართველოში დაფიქსირებულია ამ სახელის მცირე, მაგრამ მაინც გარკვეული რაოდენობა (218). უარყოფითმა პერსონაჟმა ბოლომდე ვერ დაჩრდილა ყიზილბაშების წინააღმდეგ გამორჩეულად მებრძოლი გმირი მეფის, ლუარსაბ I-ისა (XVIს.) და შაჰ-აბასის მიერ წამებული წმინდა მეფის, ლუარსაბ II-ის (XVII ს.), სახელი.

შადიმან ბარათაშვილი – ეს სახელ-გვარი XVI ს-დან თითქოს ღალატის სიმბოლოდ უნდა ქცეულიყო. მშობლები უნდა მორიდებოდნენ ცნობილი მოღალატის სახელით შვილების მონათლას. დავიმოწმებთ ციტატას: „გამოჩნდა ლუარსაბ მეფეწინ სატანა მოუძღოდა – შადიმან ბარათაშვილი“ (სანიკიძე, 1988, 364). მაგრამ, როგორც 1997 წლის მონაცემებიდან ირკვევა, ეს სახელი არ ამოძირკვულა, დასტურდება თბილისში, ზუგდიდსა და მარტვილში, მთლიანად 140 ერთეულია.

როგორც ჩანს, არ ხდება ამა თუ იმ სახელის გაქრობა მისი მატარებელი უარყოფითი პირის გამო. ალბათ პარადოქსია, რომ ანთროპონიმის გავრცელებას უფრო აფერხებს:

1. მისი არაკეთილხმოვანება ან არამოდურობა;

2. უარყოფითი მხატერული ტიპის, პერსონაჟის, სახელი (ვთქვათ, ლუარსაბი, ფარსმან სპარსი), ისიც დროებით, ვიდრე რომელიმე უარყოფითი რეალური პირის. მაგალითად, არ ამოძირკვულა თვით თემურ ლენგის (საქართველოს რვაჯერ ამაოხრებელის) სახელი. გამონაკლისია იუდა.

იუდა – ეს არის ერთადერთი სახელი, რომელიც შეგნებულად ამოიძირკვა მართლმადიდებლური ანთროპონიმიკონიდან (თუმცა ს. მგალობლიშვილმა ერთ პერსონაჟს იუდა დაარქვა, რასაც სახელდებული ძალიან განიცდიდა („წითელი სარჩული“).

საპირისპირო ვითარებაა ებრაელ ერში. ჩვენ გადავამოწმეთ, თუ რა ვითარებაა ისრაელში ამ სახელთან მიმართებით. ისრაელში დღემდე არქმევენ ამ სახელს. მათთვის ეს არის ჩვეულებრივი ონიმი და თანაარსებობს სხვა სახელებთან ერთად. თეორიულად, ასედაც ვვარაუდობდით. ებრაელებისთვის იუდა, უპირველეს ყოვლისა, არის მათი მესამე მამამთავრის, იაკობის (ისრაელის), ვაჟი (თორმეტი ვაჟიდან), რომელმაც საფუძველი დაუდო იუდას ტომს და რომლის ტომიდანაც გამოვიდა ბიბლიური მეფე დავითი, პირველი სახელმწიფოს შემქმნელი. ასე რომ, ებრაელი ხალხის რელიგიური აზროვნებიდან გამომდინარე, მათი მენტალიტეტისთვის წარმმართველია იაკობის ძე იუდა და არა ქრისტეს გამყიდველი იუდა.

§4 ანთროპონიმთა მოტივირებული და „არამოტივირებული“ ჯგუფები

სემანტიკური გამჭვირვალობის თვალსაზრისით, ქართულ სინამდვილეში მოქმედ ანთროპონიმთა ორი ჯგუფი გამოიყო:

1. არამოტივირებული, ანუ სემანტიკადაბინდული სახელები,

2. მოტივირებული, ანუ სემანტიკადაუბინდავი (სემანტიკურად ნათელი) სახელები.

მაგრამ საკუთარ სახელთა დაყოფა შინაარსიან და უშინაარსო სიტყვებად პირობითია. უსემანტიკო სახელთა უდიდესი ნაწილი სინამდვილეში გაჯერებულია ენობრივი ეტიმოლოგიით, რამაც განაპირობა ანთროპონიმის შექმნა. ამ ტიპის საკუთარი სახელებს ენაში ადგილობრივ წარმოქმნილი ლოკალური სახელების საპირისპიროდ შეიძლება ვუწოდოთ ენის **მოძრავი ლექსიკური ერთეულები,** რადგან ადვილად გადადიან დედა ენიდან სხვადასხვა ენაში ან პირდაპირი გზით, ან რომელიმე ენა ხდება გამტარი სხვა ენისთვის. ასე შემოვიდა ჩვენში, ვთქვათ, **მარინე** და **ირინე** (ფორმით ლათინური და ბერძნული სახელები), ხოლო **მარინა** და **ირინა** ფორმები დამკვიდრდა რუსულის გზით, ანუ გამტარი ენის მეშვეობით.

P.S. **მარინა** ფორმის დამკვიდრებაში ხომ არ შეასრულა გარკვეული როლი XX ს-ის 60-იან წლებში რუსული წარმომავ-

ლობის პოპულარულმა ფრანგმა მსახიობმა მარინა ელადიმ ან ასევე პოპულარული რუსი პოეტის, მარინა ცვეტაევას, სახელმა? ანალოგიურად, დედა ენიდან (ლათ.) Margarita რუსეთში დამკვიდრდა იმავე ფორმით, საქართველოში მიეიღეთ **მარგალიტა**, რადგან ქართული ენის ფუძე ორ **რ** ბგერას ვერ ითავსებს, თუმცა რუსულის გავლენით დამკვიდრდა **მარგარიტაც**. 1997 წ-ის მონაცემით, საქართველოში დაფიქსირებულია 8923 მარგალიტა და 3071 მარგარიტა (სილაგაძე, თოიძე, 1997, 323). რუსულიდან თარგმანით შემოვიდა ჩვენში ბერძნული სახელები: პისტი („რწმენა") და ელპიდე („იმედი"), ანუ ვერა და ნადეჟდა. დავიმოწმებთ ორიოდე ტოპონიმსაც: პეკინი, მაგალითად, რუსულის გაელენით შემოვიდა, მონტენეგრო – ევროპიდან.

ამრიგად, ე.წ. მოძრავ ანთროპონიმებად მოვიაზრებთ, ძირითადად, ნასესხებ სახელებს. **ნასესხები სახელები, გარკვეულწილად, შეიძლება შევადაროთ უცხოენოვან ტერმინსაც, რომელსაც, როგორც ენის ლექსიკურ ერთეულს, სემანტიკა მოპოვება დედა ენის[1] ფარგლებში, მიმღებ ენაში კი ებინდება.** იბინდება მათი სტრუქტურაც, რადგან ყველა მიმღები ენა მათ თავის სტრუქტურულ-ფონეტიკურ ყალიბში ათავსებს. ასე რომ, ჩვენთვის არამოტივირებული სახელები სინამდვილეში მოტივირებული, მაგრამ სემანტიკადაბინდული სიტყვები და შესიტყვებებია: ლუარსაბი = „ქურანა ცხენზე მჯდომი", **ივანე** = „ღვთის წყალობა"//„ვისაც ღმერთი წყალობს" (ჭუმბურიძე, 1966); **ბარნაბა** = „ძე მოძღურისა, გინა მამისა" (ღლონტი, 1964, 122); **სალომე** = „მშვიდობა" (ღლონტი, ჭუმბურიძე); **ალექსანდრე** = 1. „მწყემსი ძროხათა" (ღლონტი 1964, 121), 2. „მამაცი მცველი" (ჭუმბურიძე, 1971); **იაკობი** = 1. „მორკინალი, გინა მზაკუარი, გინა... ღირსად მბრძოლი" (ღლონტი), 2. „მიმყოლი, მიმდევარი" (ჭუმბურიძე). უნდა ითქვას, რომ, ბიბლიის მიხედვით, ამ სახელს (იაკობი) ორივე ეტიმოლოგია მიესადაგება.

სემანტიკადაბინდული ანთროპონიმებისთვის თავისებური „სემანტიკის" როლს ასრულებს მათი კეთილხმოვანება ან პირიქით, მოდურობა თუ არამოდურობა, იმ სახელით უკვე მო-

[1] დედა ენას ეწერთ ცალ-ცალკე, „პირველწყაროს" მნიშვნელობით

ნათლული პირის ავტორიტეტულობა-არაავტორიტეტულობა. ამა თუ იმ მიზეზით სახელის მოწონება-დაწუნების, ადამიანის დადებითი თუ უარყოფითი დამოკიდებულების შესახებ ზოგჯერ პირდაპირ მიუთითებენ მწერლები. დავიმოწმებთ რამდენიმე მაგალითს: „დავითი, დათიკო, დათა... რა კარგია! გობრონი... უშნო ხმებია. საალერსოდ შეამოკლო, ვერ მოახერხებ. მესმის: ია, სოსანა, სანდალა... გობრონი... უჰ!“ (ვ. ბარნოვი, „ღიმი დამღუპავი“). ამავე მწერლის მეორე მოთხრობაში („ნუში“) ვკითხულობთ: „დასწყეველა ღმერთმა რა სახელია ჯაგუ, ნეტა სოსანა ერქვას“. ერთ-ერთი პერსონაჟი ქალი „კეთილხმოვანებით სასიამოვნო მოსასმენად და წარმოსათქმელად“ მიიჩნევს „ევროპულ სიტყვას – ბერტას“, ვიდრე „აზიურ მართას“ (ნ. ლომოური, „წუთისოფელი“); „არ მოგწონთ ჩემი სახელი (სოლომონი), ტლანქად გეჩვენებათ?“ (ეკ. გაბაშვილი, „სოფლის მეგობარი“); „რუსიკო, რუსუდან – ლამაზი სახელია“ (მ. ჯავახიშვილი, „გიგა შადური“). არამოდურობით იწუნებენ სახელს მელანია (ეგ. ნინოშვილი, „ცოლი და ქმარი“). გარეგნული სიმშვენიერითა და მაღალი სოციალური წრით გამოწვეული ერთ-ერთი პერსონაჟი ქალის ავტორიტეტულობა განსაზღვრავს მისი სახელის – **იულიას** – დადებით აღქმას, და პირიქით, დაბალი სოციალური წრიდან გამოსული, გარეგნულად არამომხიბლავი კაცის სახელი – თევდორე – უარყოფითად აღიქმება, თორემ სემანტიკურად **იულია**, ვფიქრობთ, საკმაოდ ნეიტრალური ელფერისაა, ნიშნავს „იელისისა“, მაშინ როცა **თევდორე** უფრო ამაღლებული მოტივაციით გამოირჩევა, აღნიშნავს: „ნიჭი ღვთისა“. მაგრამ სემანტიკადაბინდული სახელის შეფასებისას მოტივაციით არ ხელმძღვანელობენ. სოფლის მასწავლებელი თევდორე, რომელმაც ვერ მოხიბლა ლამაზი იულიას გული, თავადვე ამბობს: „ჯერ მარტო სახელი თევდორე და იულია! რა არის ამ სიტყვებში საერთო?“ როგორც ვხედავთ, მათ სემანტიკადაბინდული სახელების სტატუსს აძლევს სემანტიკის არცოდნა. მოწონება-დაწუნებას კი განაპირობებს მათი მატარებელი პიროვნების საზოგადოებრივი, სოციალური მდგომარეობა. საკუთარი სახელისადმი დადებით ან უარყოფით განწყობას რომ მისი მატარებელი წინამორბედი პიროვნების ავკარგიანობა განსაზ-

ღერავს, კარგად ჩანს ს. მგალობლიშვილის „წითელ სარჩულში“. ამ მოთხრობის ერთ-ერთ პერსონაჟს ბედმა სახელად **იუდა** არგუნა. თითქოს გულს არ იტეხდა იუდა: „საქმე სახელი არ არის, **სიტყვა სახელი ფუჭია**, უმნიშვნელოა, თუნდაც ძაღლუა დამარქვი, აკი ჰქვიათ სამეგრელოში პირუტყვების სახელები, მაგალითად, ჯოლორია, რაიც ძაღლს ნიშნავსო“. მაგრამ ამას მხოლოდ სიტყვიერად ამბობდა. როცა მოიზარდა, იუდამ იუკადრისა იუდობა და იროდეთი გამოიტანა მეტრიკა, მაგრამ დაუწუნეს: „ერთი ქრისტეს გამყიდაეია, მეორე – ყრმათა ამომწყვეტი... არა, ძმაო, შენ ისეთი სახელები აგკვიატებია, რომ კეთილი ბოლო არ გექნება, ეგ სახელები გადაგიტანენ თან“. ასე რომ, როგორც ჩანს, **„სიტყვა სახელი ფუჭი“** არ ყოფილა.

არამოტივირებულია ქართულ ნიადაგზე წარმოქმნილი:

1) გულაბერ, ზეზეა, სესია, ნანა, ნენე... (ჭუმბურიძე);

2) მარცვალთგამეორებით ან ორი სხვადასხვა მარცვლისგან მიღებული სახელები (დოდო, ბუბუ, ლულუ, კუკა...).

მოტივირებული სახელები. მოტივირებული, ანუ სემანტიკაგამჭვირვალეა ნებისმიერ დედა ენაში, კონკრეტულ შემთხვევაში, ქართულ საწყისზე წარმოქმნილი ანთროპონიმები. სტრუქტურის მიხედვით მათში გამოიყოფა: მარტივფუძიანები და რთულფუძიანები (კომპოზიტები). თხზულფუძიანი ანთროპონიმები თითქმის ყველა ქართულენოვანია, რადგან კომპოზიტი-სახელი შედგება ორი (იშვიათად – სამი) ქართული ფუძისაგან. ონიმის ერთ სტრუქტურულ მოდელში მოქცევისას ნებისმიერი ორი და სამი ფუძე კი არ ერთდება, არამედ გარკვეული შინაარსის ფუძეები ეთანხმება ერთმანეთს. თხზულ სახელთა კომპონენტებად, ძირითადად, იხმარება აპელატივები: მზე, მთვარე, ქალი, დედა, მამა, გული, ია, ვარდი, პირი... ასეთებია: გულმართლისა, გულსუნდა, გულთამზე, მზექალა, ბატარქალი, პირიმზისა, პირმთვარისა, ქალთათავი, პირქუში, პირცეცხლი, ორთამზე, ოქროპირი, მზეჭაბუკი, მონაეარდისა, დილავარდისა, მზევინარი, მევარკაცი, დედისთვალა, დედისიმედი, ღვთისავარი, ვარდისახარი, ლომკაცი...

ქართულ ნიადაგზე წარმოქმნილ სახელებს წარმოვადგენთ ცალკე პარაგრაფად – **ინდიგენური სახელები.**

§5 ინდიგენური (ლოკალური) სახელები

ინდიგენური სახელები – ესაა ენის სისტემაში არსებული **ოდინდელი ანთროპონიმული ლექსიკა, რომელიც პირველი მოსწყდა თავის ბუნებრივ ნიადაგს – საზოგადო სახელთა წრეს, შეიძინა ინდივიდუალური ნიშან-თვისებები და ზოგადი საგნის აღმნიშვნელი ცნებიდან იქცა კონკრეტული ობიექტის ტიპობრივ ნიშნად – ონიმად.** ნაწილი ამჟამადაც შემორჩენილია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, ნაწილი კი – მხატვრულ თხზულებებში. მათ შორის ბევრი პირველსაწყისი ფორმით იხმარება, ხოლო ბევრს სტრუქტურა შესცვლია და ახლა ძნელი ხდება მისი სიძველის მტკიცება.

საინტერესო სისტემას ქმნიან ინდიგენურ სახელთა სემანტიკური ჯგუფები და სტრუქტურული მოდელები. ეს ადგილობრივი, მკვიდრი, თუ შეიძლება ითქვას, აბორიგენული სახელები, ბუნებრივია, ამდიდრებენ ქართულ ლექსიკურ სისტემას. შევჩერდებით ინდიგენურ საკუთარ სახელთა სემანტიკურ ჯგუფებზე, რაც მოიცავს როგორც მოტივირებულ, ისე არამოტივირებულ სახელებს.

ქართული სახელები, ძირითადად, ამა თუ იმ მეტყველების ნაწილთაგან გაანთროპონიმებული სიტყვებია. ამიტომაა გამორჩეული ისინი ნათელი და ადვილსაცნობი სემანტიკით, მაგრამ საკუთარ სახელთა, მით უმეტეს, ინდიგენურ ანთროპონიმთა, დაყოფა შინაარსიან და უშინაარსო სიტყვებად, პირობითია. ე.წ. უსემანტიკო სახელი (მხედველობაში გვაქვს ქართულ ნიადაგზე აღმოცენებული) სინამდვილეში განპირობებულია კონკრეტული შინაარსით. ასე რომ, არამოტივირებული სახელებიც დიაქრონულ ჭრილში არ არის სპონტანური. მათი უმეტესობის განპირობებულობა დღეს დაჩრდილულია, თორემ ოდესღაც მათს შექმნას უნდა ჰქონოდა გარკვეული მოტივაცია. ასეთებად პროფ. ზურაბ ჭუმბურიძის წიგნში – „რა გქვია შენ?“ – დასახელებულია: გულაბერ, ზეზვა, სესია, შალვა, შოთა...

გასაკუთარსახელებულ სემანტიკადაუბინდავ ანთროპონიმებზე დაკვირვება აელენს, რომ საკუთარ სახელებად მოქცეუ-

ლა მცენარეთა, ცხოველთა და ფრინველთა, ღვთაების, კოსმოსურ საგანთა და მოვლენათა, ეთნოსთა და ცალკეულ დიალექტურ ჯგუფთა სახელები, აგრეთვე, ეპითეტები და თვით მოქმედება-მდგომარეობის გამომხატველი სიტყვები. ეს უნივერსალური მოვლენაა. ონომასტიკურ ლიტერატურაში სახელთა თითოეულ წყებას საგანგებო ტერმინებით აღნიშნავენ. ესენია – **ფიტოფორული, ზოოფორული** და **თეოფორული** სახელები. გამოეყოფთ ინდიგენურ ონიმთა დანარჩენ ჯგუფებსაც ჩვენ მიერ შემუშავებული ტერმინებით.

1) **ფიტოფორული ანთროპონიმები.** ფიტოფორულ ანთროპონიმებად მიჩნეულია მცენარეთა (ფლორის) აღმნიშვნელი აპელატივებისაგან მიღებული ონიმები. ასეთებია: ია, ენძელა, მაყვალა, ეარდო||ვარდიკო, ფოთოლა, კაკალა, ლერწამისა, თუთა, კესანე, ნუშო, ნარგიზი||ნარგიზა... ზაკაია (ბზა).

2) **ზოოფირული ანთროპონიმები.** ზოოფირულ ანთროპონიმებად მიჩნეულია ცხოველთა და ფრინველთა (ფაუნის) აღმნიშვნელი სახელებისაგან წარმოქმნილი ონიმები: კრავი, წიწილა, ბეღურა, ბულბულა, კურდღელა, მგელა||მგელია||მგელიკა||მგელიტა||მგელო||მგელუკა, ფოცხვერა, ირემა||ირმისა, ძაღლიკა, ლომა||ლომიკა, დათვია, ჩიტა||ჩიტო, შოშია||შოშიტა, ჩიორა, ბუა, ბულბულა, ყორანა, ვეფხვია, პეპელა, კალმახი, გერიტა||გერიტინე, მერცხალა, მწყერა, ჯოლორია, თუნთია (დათვი), ბუზკოჭი...

3) **თეოფორული ანთროპონიმები** – მომდინარეობენ ღვთაების აღმნიშვნელი საზოგადო თუ საკუთარი სახელებიდან: ღვთისო||ღვთისია, ქიტესა, ქრისტეშია, უფლისა||უფლოს, არმაზელა, კვირია, ქრისტინე, დალი, აპოლონი, ვენერა, აფროდიტე, დიანა...

ქართულ თეოფორულ ანთროპონიმთა ჯგუფში შემოვა **მთვარე** და **მზე** აპელატივებიდან მიღებული სახელები, რამეთუ მთვარე და მზე წარმართულ ხანაში ქართველთა უმთავრეს ღვთაებებს წარმოადგენდნენ. ამათგან მზე დედაკაცია, მთვარე კი – მამაკაცი, რაც ჩანს ერთი მეგრული ლექსიდან, რომელსაც საგანგებოდ იმოწმებს ივანე ჯავახიშვილი: „მზე დედაა ჩემი, მთვარე – მამა ჩემი“ და აღნიშნავს: მზე რომ ქალია, „იმი-

თაც მტკიცდება, რომ... რომლებშიაც მზეა ჩართული უეჭველად განსაკუთრებით ქალის სახელებია“ (ჯავახიშვილი, 1969, 58-59). ალ. ღლონტის „ქართველურ საკუთარ სახელებში“ (1967, 1986) **მზისგან** წარმოქმნილი მამაკაცის 6-7 სახელია დადასტურებული: მამამზე, მზევარ//ზევარ, მზევარიკა, მზემზირა, მზეჭაბუკი, მზისახარი, 30-მდე კი ქალის სახელია: მზია, მზევინარი, მზევარი, მზეთამზე, ქალთამზე, მზეონა, მზექალი, მზეხა, მზიანა, მზისადარი, მზისთანდარი, იამზე, იათამზე, მზისახარი... სხვათა შორის, **მთვარე** ღვთაება ნაკლებადაა მარკირებული თვით მამაკაცის სახელებშიც: მთვარე//მთვარაი, მთვარელი. არის ქალის სახელებშიც: მთვარისა, პირიმთვარისა.

ამასთან დაკავშირებით, საინტერესოდ გვეჩვენება ერთი ფაქტი. მყოფობის საწყისად ბერძნულ მითოლოგიაში და ქართულშიც ქალია, რასაც ადასტურებს შემდეგი ფრაზები: „მზე დაწვა და მთვარე შობა“ და „გეამ შვა ურანოსი“. მიუხედავად ამისა, ორივე მითოლოგიაში მთავარ ღმერთებად მამრობითი სქესის ღვთაებებია წარმოდგენილი: ბერძნულში ურანოსია პირველი მეფე-ღმერთი, ქართულში კი არმაზი – მთვარის ღმერთად მიჩნეული და, ქართველთა მეფე ფარნავაზის მითითებით, პირველი მთავარი ღმერთი. ვფიქრობთ, მიუხედავად ამისა, სწორედ მდედრობითი სქესის დროში უწინარესობამ და ამ გზით მისმა ფუძედ მოაზრებამ საკუთარ სახელში იჩინა თავი. ქართულ ანთროპონიმთა უმრავლესობაში, მამაკაცთა სახელების ჩათვლით, სწორედ ქალის საწყისის აღმნიშვნელი სიტყვა „მზე“ არის მარკირებული; დედამიწის ქალღმერთის სახელიდან (გეა) წარმოქმნილი ადამიანის საკუთარი სახელი კი საერთაშორისო ასპარეზზე დამკვიდრდა სხვადასხვა ფორმით და არა მხოლოდ ანთროპონიმად. საკუთარი სახელი არაერთასპექტოვანია. სახელდების ერთი ჯგუფი გარკვეული მოტივაციით შეიძლება განიხილებოდეს სხვა ჯგუფადაც. სემანტიკურად ლომიკა-მგელიკა ტიპი ზოოფორული სახელებია, მაგრამ გარკვეულ ეპოქაში გარკვეული ფუნქციით დატვირთვის გათვალისწინებით, შეიძლება სხვა კვალიფიკაციაც მიეცეს. მაგალითად, გარეული მხეცების აღმნიშვნელი აპელატივებით სემანტიზებულ მგელიკა-ლომიკა ტიპის საკუთარ სახელებს შ. აფრიდონიძე

უწოდებს „Божественные (защитные) антропонимы“ და წერს: „Одним из средств самозащиты суеверного человека от могущества непостижимой природы являлись „обманные“ имена, наводящие злых духов на ложный след. такую профилактическую функцию несли столь частые в хевсурских мужских именах названия диких зверей: Ломика, Вепхиа, Мгелика“ (აფრიდონიძე, 1982). ამ პრინციპით მოცემულ სახელებს თეოფორულ ანთროპონიმებშიც მიეჩინებათ ადგილი.

ზემოთ დამოწმებული კლასიფიკაციის ანალოგიით, ჩვენ **ცალკე ჯგუფებად გამოვყავით და შესაბამისი ტერმინები შევუფარდეთ:** ადამიანის აღმნიშვნელი ცნების, კოსმოსური ობიექტებისა და მოვლენების, ეთნონიმების, ზმნებისა და სახელზმნების შემცველ ონიმებს, ეპითეტებიდან და მეტსახელებიდან მომდინარე ონიმთა ჯგუფს, რომელთა გარკვეული ნაწილი საკუთარ სახელთა უძველეს ფონდს ქმნის. ესენია:

4) ანთროპოფორული ონიმები – ე.ი. ადამიანის ცნების აღმნიშვნელი გასაკუთარსახელებული სიტყვები: პაპა||პაპუნა, დედუნა||დედისა, ვაჟა||ვაჟია||ვაჟიაური||ვაჟიკა||ვაჟობა||ვაჟონია||ვაჟუნა, გოგო||გოგონა, კაცი||კოჩი||კაცა, მამიდურა, ბიჭი||ბიჭური||ბიჭია||ბიჭილა||ბიჭინა||ბიჭუნა||ბიჭუნი, მამუკა||მამია, ცირა...

5) კოსმოფორული ანთროპონიმები – ესენია კოსმიურ ობიექტთა თუ მოვლენათა აღმნიშვნელი გასაკუთარსახელებული სიტყვები: ვარსკელავისა, წვიმისა, კამარა, ცისია, ცისმარი, ბადრი, ციური, ციალა, შუქია, ნათელიძე (სახელია), ნათელა... აქაც შეიძლება დასახელდეს მზია, მზისა, მთვარა, მთვარისა...

6) ვერბოფორული ანთროპონიმები – ვერბოფორული (Verb=ზმნა) ვუწოდეთ ინდიგენურ ანთროპონიმთა იმ ჯგუფს, რომელთაც საფუძვლად უდევთ ზმნური და სახელზმნური სიტყვები.

ზმნა ფორმაცვალებადი სიტყვაა. სახელდების ფუნქციით მისი გამოყენებისას მკვიდრდება მისი ერთი (ან რამდენიმე) ფორმა უკვე არსებული ზმნური მოდელით და არა საწარმოქმნო აფიქსებით ანთროპონიმირებული. გამახელა – გაგახელა – გაახელე – გავახელე ფორმებიდან ანთროპონიმად ქცეულა ერთი სახეობა – გამახელა. სხვადასხვა ზმნურ ფორმათაგან სახე-

ლებად იქცა: ივარგე, მეწყინა, მეგონა, მეწადი. მეგრული: გაჭირდია, ვალურია (არ მოკვდე), მოკონა (მინდა), ვამოკონა (არ მინდა), ინგარია (იტირე), გემჭიში (დამაწიე), მირჩქილია (მომისმინე), სოხერდია (სად იყავი), გოკურცხია (გაიღვიძე). არაიშვიათად ანთროპონიმად მოქცეულა ერთი ზმნის რამდენიმე ფორმაც. მაგრამ, თუ გრამატიკულად ისინი ერთი ზმნის სხვადასხვა ფორმებია, ონომასტიკური ასპექტით, სხვადასხვა სახელებია: მახარე – მახარა – გახარა – გამიხარდი – გაუხარო; არგელოდი – არველოდი. **სახელზმნათაგან:** მოლოდინა, ნასყიდა, ნატრია... მორდილია (მეგრ. გაზრდილი).

7) ეპიტოფორული ანთროპონიმები – ეპიტოფორული ანთროპონიმები უნდა განვასხვავოთ ეპითეტიანი ანთროპონიმებისგან. შდრ.: ობოლა და ობოლ კვირია, ბერი და ბერი ლუხუმი. ობოლი და ბერი – ესაა ეპითეტები, კერძოდ, ატრიბუტული მსაზღვრელები, რომელნიც გამოჰყოფიან საზღვრულს, მიუღიათ თავისთავადობა და, აფიქსებითა თუ უაფიქსოდ, ონიმებად ქცეულან. ამ ტიპისაა: ზვიადი, უშიშა, ღონიერი, საყვარელა, თეთრუა, მაყვალა, ახალა, უგონური, ოქროპირი, უმცროსა, ელვარა, უებრო, უმანკო, გულადი, გულოვანი, დიდო, კარგო, მოკლია, მხიარულა... ქაქალა (მეგრ. ქაქანა), ქვაქვალია (მეგრ. კუნტრუშა). ზოგჯერ მსაზღრულ-საზღვრულის პრეპოზიციული თუ პოსტპოზიციური წყობა იქცევა ხოლმე ეპიტოფორულ ანთროპონიმებად: ცისნამი, დილავარდისა...

8) დღეთა, თვეთა, დღესასწაულთა აღმნიშვნელი გაანთროპონიმებული აპელატიევები: აღდგომელია||ღდგომელა, იანვარა, პარასკევა||პარასკა, შაბათა, მაისა, არმაისა, მარტია, აპრილა, თუთაშხა (მეგრ. ორშაბათა)...

ამ ტიპის ანთროპონიმთა ჯგუფს ტერმინად ალბათ შეესაბამება კალენდარული სახელები, მაგრამ რადგან კალენდარული სახელები სულ სხვა ტიპის ანთროპონიმთა აღსანიშნადაა გამოყენებული და დამკვიდრებული, ამ შემთხვევაში ეს ტერმინი გამოირიცხება.

9) თიკუნოფორული ანთროპონიმები – საკუთრივ ანთროპონიმთა ერთი ნაწილი მეტსახელებიდანაა წარმოებული. ამასთან დაკავშირებით პროფ. ალ. ღლონტი წერს: „ანთროპონიმთა

მთავარი ნაწილი სწორედ მათგან მომდინარეობს“ და დასძენს: „თავდაპირველად თიკუნი უნდა ყოფილიყო შემდგომ საკუთარ სახელად მიჩნეული – ძაღლიკა, ვეფხვია, ლომა, მგელიკა“ (ალ. ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, 19). აქედან გამომდინარე, ერთი სიტყვა ერთ შემთხვევაში შეიძლება იყოს მეტსახელი, მეორე შემთხვევაში – საკუთრივ ანთროპონიმი. ამ ტიპისაა ალ. ღლონტის „ქართველურ საკუთარ სახელებში“ დადასტურებელი: კუჭა, მწარია, ოდანე, პანტო, ლამაზი (მეტ.) || ლამაზო (საკუთრივ ანთროპონიმი), ლაღა, კულა.

მეტსახელი რომ ზოგჯერ ფონეტიკური სახეცვლილებით სახელად იქცევა და საკუთრივ ანთროპონიმს ეტოლება, ამის საკმაო მაგალითებია ჩვენს რეალობაშიც. ერთ-ერთი ასეთია მეტად უჩვეულო სახელი (და არა მეტსახელი) **ზუჩი**, რომელიც მიღებულია ეპითეტ-მეტსახელად გამოყენებული აპელატივიდან **ზუთხი**, აკვნიდანვე საოცრად მოძრავი ბავშვისთვის შერქმეული. როგორც ჩანს, **თხ** კომპლექსმა მოგვცა აფრიკატი **ჩ**, რომელიც, მართალია, არტიკულაციურად მოიცავს **თშ** კომპლექსს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ კომპლექსთა **თხ-თშ** მეორე ბგერა ორივე ერთი რაგვარობისაა, კერძოდ, ორივე ყრუ ფშვინვიერია, ვფიქრობთ, შესაძლებელია, რომ **თხ** კომპლექსს მოეცა **ჩ** აფრიკატი, ყოველ შემთხვევაში, რეალური ფაქტი სახელისა (ზუჩი) ამას ემოწმება. შევნიშნაეთ: ეს უკვე არ არის მეტსახელი, მიუხედავად იმისა, რომ იგი არც საპასპორტო სახელია და არც ანთროპონიმის ბუნებრივი სახეობაა, არამედ სახელია (თიკუნოფორული), ოფიციალურ გარემოში მოქმედი და გამოყენებული შესიტყვებებში, ვთქვათ, ქალბატონო ზუჩი, ზუჩი ბებია.

10) ძალიან მცირე რაოდენობა (თითქმის ერთეულებით რომ განისაზღვრება) სახელებისა წარმოქმნილია **უდეტრებისაგან**. ასეთებია: გვიანა (გვიან), ჩქარა, გინდრა...

11) ეთნოფორული და ტომოფორული სახელები – მომდინარეობენ ეთნოსთა და მასში შემავალ დიალექტურ ჯგუფთა აღმნიშვნელი ონიმებიდან. ხდება ამ ტიპის ონიმების ხელმეორე ონიმიზაცია, ანუ, ვთქვათ, რომელიმე ეთნოსის აღმნიშვნელი ონიმის მოქცევა ადამიანის ონიმად, ანთროპონიმად (მის ნების-

მიერ სახეობად). ასეთებია: ქართლოსი, თურქო || თურქია || თურქა, ბერძენა, არაბა, რუსი... ასევე რომელიმე დიალექტური ერთობის სახელების მოქცევა ანთროპონიმად: მესხა, ჯავახა...

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ორი ცნება – **ეთნონომი** და დიალექტურ ჯგუფთა სახელდება, **თემონიმი** – მოიაზრებოდა ერთ სიტყვაში – ეთნონიმში, რასაც საფუძვლად ედო ასევე არამართებული და, შეიძლება ითქვას, ამა თუ იმ ერისთვის მომაკვდინებელი გაგება. ეროვნების ამ პრობლემურ საკითხს, როგორც ტ. ფუტკარაძე აღნიშნავს, ფასეული ნაშრომი უძღვნა როლანდ თოფჩიშვილმა („რად გვჭირდება ეთნიკური ტერმინების გაუმართლებელი ხმარება", ლიტ. საქ., 1995, №33-35), სადაც ავტორი ასკვნის, რომ საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის მოსახლეობის მოხსენიება ეთნოსად, ეთნიკურ ერთობად, არ შეიძლება. ეს „გარედანაა თავს მოხვეული" და მას უნდა ეწოდოს „ეთნოგრაფიულ-დიალექტური ერთეული". აღნიშნულ წერილში აშკარად ხელშესახებია პროტესტი – ეთნოსში ცალკეული დიალექტური გაერთიანებების წინააღმდეგ მიმართული, ანუ ეთნოსად არ უნდა იქნეს მიჩნეული მასში შემავალი ცალკეული დიალექტური ერთობები. ამ პრობლემამ შემდგომი განვითარება პოვა ტ. ფუტკარაძის წერილში „ეთნოსის, ეთნონიმისა და სხვა ტერმინთა შესახებ", სადაც, ავტორის აზრით, ცნებაში „ეთნოგრაფიულ-დიალექტური" მაინც მოიაზრება „ეთნიკური". გარდა ამისა, დეფისით გამოსახული კომპოზიტი-ტერმინი უმჯობესია უფრო მოქნილი ერთსიტყვიანი ტერმინით შეიცვალოს. ტ. ფუტკარაძის აზრით, ეთნოსით უნდა აღინიშნოს მხოლოდ დამოუკიდებელი ეთნოსტრუქტურისა და ენის მქონე ადამიანთა ერთობები, ხოლო „ერთი ეთნოსის შიგნით არსებული ლოკალური ჯგუფების" აღსანიშნად გვთავაზობს ტერმინ თემს (და არა ტომს, რომელშიც, ავტორის აზრით, მოიაზრება პირველყოფილი საზოგადოებრიივი გაერთიანებები). შესაბამისად, ამა თუ იმ ეთნოსისა თუ „თემის" აღმნიშვნელ სახელებს (ონიმებს) უნდა ეწოდოს ეთნონიმი და თემონიმი. ამ კუთხით ეთნონიმად მიიჩნევა – ქართველი, ხოლო კახელი, გურული, იმერელი – თემონიმებად.

ჩვენი მხრით დავუმატებთ, რომ შესაბამისი ონიმებიდან ანთროპონიმებად მოქცეულ სიტყვებში გამოიკვეთება ორი ჯგუფი: I. ათნროპონიმირებული ეთნონიმები და II. ანთროპონიმირებული თემონიმები, თუკი ცალკეული დიალექტური ჯგუფის აღსანიშნად მიღებული იქნება – თემი. აღნიშნულ ანთროპონიმირებულ ჯგუფებს შესაბამისად ვუწოდებთ: ეთნოფორული სახელები და თემოფორული (შესაბამისად, ტომოფორული) სახელები. ერთი ეთნოსის ფარგლებში ეთნოფორულ სახელებად შეგეხვდება ერთადერთი შესატყვისი ონიმი, მაშინ როცა თემოფორული სახელები გაცილებით მეტია. ეს ბუნებრივიცაა. პოტენციურად იმდენი თემოფორული (ან ტომოფორული) სახელის წარმოქმნა შეიძლება ეთნოსის ფარგლებში, რამდენ დიალექტურ ერთობასაც შეიცავს იგი.

12) აპელატივებიდან თუ სხვა ტიპის ონიმებიდან გაანთროპონიმებულ ინდიგენურ სახელთა დიდი ნაწილი შინაარსობრივად ვერ თავსდება ამ კლასიფიკაციაში. ისინი გავაერთიანეთ **სხვადასხვა საგანთა აღმნიშვნელი სიტყვების შემცველ ანთროპონიმთა ქვეჯგუფში**. ამ ტიპისაა: უღვინობა, ალმასა, ატლასურა, იმედი‖იმედა, გვარისა, გლეხა‖გლეხი, გმირი‖გმირო, გულო‖გულისა, თაეისა, თვალია‖თვალიკა‖თვალობა... ბურჭულია (წალდი) **გარდა ამისა**, ლოკალურ სახელთა ერთ ნაწილს წარმოადგენს ხმაბაძვით, ფუძის გაორკეცებით მიღებული სახელები (დოდო, ზაზა, ლალა, ბიბი, ტატა).

გამჭვირვალე, გარკვეული სემანტიკის შემცველი ანთროპონიმები ენის უძველესი ფონდის კუთვნილებაა, რომელთა მცირე ნაწილს სტრუქტურის შეუცვლელად დაეკისრა ახალი ფუნქცია – სახელდების ფუნქცია. ძირითადმა ნაწილმა ფუნქციის შეცვლასთან ერთად ფორმაც იცვალა. სახელდების ფუნქცია ფორმის შეუცვლელად ონომასტიკურ სისტემაში დაიმკვიდრეს შემდეგმა სიტყვებმა: ია, ენძელა, ორბი, გუგული, გოგო, გულადი... ამაეე რიგში უნდა ჩაირიცხოს, ე.ი. ონომასტიკურ ჭრილში ფორმაუცვლელ ანთროპონიმებად უნდა მიეიჩნიოთ ეერბოფორული სახელები, რადგან სახელდების ფუნქციით გამოყენებისას, როგორც აღვნიშნეთ, მკვიდრდება მათი ფორმა

უკვე არსებული ზმნური მოდელით და არა საწარმოქმნო აფიქსებით (მეგონა, არველოდი).

გასაკუთარსახელებულ ინდიგენურ სიტყვებში ფუძის მიხედვით გამოიყოფა ორი ჯგუფი – ერთფუძიანი ანთროპონიმები, უაფიქსოდ თუ აფიქსით წარმოებული და კომპოზიტური სტრუქტურები. **ორი და მეტფუძიანი ანთროპონიმები,** ანუ **სინთეზური ანთროპონიმები,** ენის სისტემის ძირძველი ფონდის კუთვნილებაა. საკუთარ სახელთა ამ ტიპის წარმოება ჯერ კიდევ მაშინ უნდა ჩასახულიყო, როცა ცნებათა გამოხატვა ხატოვანი და გამჭვირვალე იყო, რაზედაც მეტყველებენ თავად ეს სახელები: იათამზე||იამზე, იაჟუჟუნა, გულთამზე, ვაჟიბედი, მზევარ||მზევარიკა, პირიმზე||პირიმზისა, თოლმიხილა, ახალბედა, ახალკოჩი, მამისთვალა, მამისბედა, ლომკაც, ღვთისავარ, მამაგულა, ოქროპირ, არდაზიანდი, ოროქალ, ასლამაზ...

სინთეზური სახელები საზოგადების განვითარების განვლილი ეტაპის კუთვნილებაა, თუმცა აქა-იქ, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, შემორჩენილია ამ ტიპის ინდიგენური სახელებიც, რომლებიც განსაკუთრებით პოპულარული იყო შუასაუკუნეების ქართული ყოფისთვის და რასაც ადასტურებს ისტორიული დოკუმენტები.

ინდიგენური სახელები, როგორც აღენიშნეთ, პირველხმარებული, ენის უძველესი ფონდის კუთვნილი სახელებია. ზემოთ გამოყოფილ სახელთა სემანტიკურ ჯგუფში წარმოდგენილ ანთროპონიმების ნაწილს თითქოს დაკარგული აქვს არქაულობის ელერსახე, მაგრამ ეს სიტყვები ქართული ენის სისტემაში უთუოდ პირველგააზრებული და პირველშემუშავებული ანთროპონიმებია. მათი გასაკუთარსახელება საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე უნდა მომხდარიყო. ასე ყალიბდებოდა ქართული ანთროპონიმიკონის გარკვეული ფონდი საწყის ეტაპზე. ბუნებრივია, საწყისი საფეხურები ქრონოლოგიურად ერთი და იგივე არ იყო, მაგრამ ქართულად სემანტიზებული ანთროპონიმები ქართული ყოფის წიაღში იქმნებოდა. ამიტომ ქართული სემანტიკით გაჟღერებული ყველა ანთროპონიმი უნდა ჩაითვალოს ინდიგენურ, ანუ ადგილობრივ, მკვიდრ, ლოკალურ სახელად; და კიდევ – **სწორედ ამ ტიპის ონიმებში ჩანს არა მარტო ქართველური**

ანთროპონომიკის ჩამოყალიბების გზა, არამედ ერის მეტყველება-აზროვნების განვითარების გზაც.

§6 საკუთარი სახელი და რეგიონი

საკუთარ სახელთა ერთ-ერთი ნიშანი რეგიონალურობაა. მხოლოდ ანთროპონიმის მიხედვით ჩვენ მიახლოებითი, ხშირად კი გარკვეული, წარმოდგენა გვექმნება ადამიანის როგორც ეროვნულ, ისე კუთხურ წარმომაელობაზე.

1. საკუთარი სახელი და ეროვნება. რთულფუძიანი ანთროპონიმები თითქმის გამოუკლებლივ ქართულ საწყისზეა აგებული (იამზე, მზექალა, ქალთათავი, პირმთვარისა...) და სემანტიკადაუბინდავი ქართული სიტყვებით გაჯერებული წმინდა ეროვნული სახელებია. რაც შეეხება მარტივფუძიან სახელებს, ეროვნულია არა მარტო საკუთრივ ქართული წარმომაელობის სახელები, არამედ ქართულ ყალიბში ერთფუძიანად მოქცეული ნასესხები საკუთარი სახელებიც, რომლებიც შესაბამის ეროვნულ ელფერს იძენენ. ასეთი სახელები **გათავისებული საკუთარი სახელებია.** ამ ტიპის ონიმები, როგორც ზ. ჭუმბურიძე აღნიშნავს, „ეროვნულ სახელებად არიან ქცეულნი“ (ჭუმბურიძე, 1966, 15). მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნასესხები ანთროპონიმების, **ეროვნულობა მეორეულია.** ამასთან, მათი **მეორეული ეროვნულობა** პირობითია, სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ეროვნულობის მატარებელი არიან. ქრისტიანულ სამყაროში გავრცელებულ საკუთარ სახელთა დიდი უმრავლესობა, როგორც ცნობილია, ებრაულ-ბერძნულ-რომაული, არაბულ-სპარსული... წარმოშობისაა. მათი უმეტესობა ჩვენს რეალურ ყოფაში რომ ქართულ ონიმებადაა აღქმული, კარგად ჩანს ქართველ მწერალთა თხზულებებიდან. შ. არაგვისპირელის ერთი მოთხრობის („აბრეშუმის პირსახოცი“) პერსონაჟმა არ იცის, ვინ და რა სჯულისანი იყვნენ მისი მშობლები, მაგრამ ამბობს: „უფრო ქართველი უნდა ვიყო, რადგან თამარი დაურქმევიათ სახელად“ (თუმცა თამარი ბიბლიური სახელია. ქ.გ.), ან კიდევ: „ერთი ქალიშვილი გამიჩნდა. მინდოდა ნინო ან **თამარი** დამერქმია... მინდოდა ერთი ძაფი მაინც გამება ჩემს

ქვეყანასთან და სახელი მაინც შემენახა დაკარგული მშობლისა," – ამბობს რუსეთში დამკვიდრებული ქართველი კაცი (მ. ჯავახიშვილი, „ხუთის ამბავი"), თუმცა **თამარი** ებრაული სახელია, არც **ნინოა** წარმოშობით ქართული სახელი.

ანთროპონიმ **თამარის** პოპულარობა საქართველოში (და არა მხოლოდ საქართველოში), მისი **ქართულ ეროვნულ სახელად გააზრება**, თამარ მეფის პიროვნებამ განსაზღვრა. რუსულ სინამდვილეში **Тамара** – ეს ებრაული სახელი – არა გვგონია ქართულიდან იყოს შესული, მაგრამ ა. სუპერანსკაია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თითქოს ამ აზრისკენ გვიბიძგებს. კერძოდ, მისი თქმით, ხშირია ასეთი განაცხადი: „Она не соответствует своему имени!" ამის დასტურად ასახელებს სახელს – Тамара. დავიმოწმებთ ციტატით: „поскольку имя Тамара было долгое время связано с представлением о кавказской царице, у определенного круга русских сложилось впечатление, что Тамара обязательно должна быть брюнеткой, смуглой". ამიტომ „თამარათი" სახელდებულ ტიპურ რუს გოგოზე ამბობდნენ: „Какая же она Тамара? Она же Маша!" დაბოლოს, ავტორი ამ სახელს ქართულ ეროვნულ ფენომენად რომ მიიჩნევს, ნათელი ხდება შემდეგი დასკვნითი ფრაზიდან: „Так национальные имена сливаются с национальными образами" (სუპერანსკაია, 1970, 13-14). ეს ისედაც მნიშვნელოვანი ფაქტი ჩვენთვის იმითაცაა საინტერესო, რომ თვით რუსი მეცნიერი აღიარებს რუსეთში არანაკლებ გავრცელებულ „თამარს" 1) ქართულ ეროვნულ სახელად, 2) ანთროპონიმ თამარის პოპულარობის წყაროდ კი – თამარ მეფეს.

ეროვნებისა და ანთროპონიმის შეუსაბამობა კარგად იგრძნობა რაფ. ერისთავის თხზულების („ადვოკატი") ერთ ნაწყვეტში, სადაც წერია: – იოვანე ჰქვიან. – სომეხია? – არა, ქართველი თავადიშვილია. – მაშ იოანე რათა ჰქვია? – ეკითხება არუთინას გაკვირვებული სულხან ამაყაძე. „ზოგჯერ ძნელი გამოსაცნობიც კი ხდება, რომ სხვადასხვა ხალხში გავრცელებული სახელები წარმოშობით ერთი და იგივეა" (ჭუმბურიძე, 1966, 14). რაც მთავარია, სხვადასხვა ენაში ერთი ძირის ანთროპონიმები იმ ქვეყნების ეროვნულ სახელებადაა ქცეული.

ასე რომ, ეროვნებით ქართველი მონათლულია ბერძნული **georgos** სახელის ქართული ფორმით – გიორგი, ფრანგი იმავე სახელის განსხვავებული ფორმით – ჟორჟ... ქართულ მწერლობაში პერსონაჟთა სახელებად გვხვდება ამ ანთროპონიმის რუსულენოვანი ფორმებიც – ეგორ და იური (ვლადიმირ-სუზდალის სამთავროს უფლისწულს, იური ბოგოლიუბსკის, საქართველოში დამკვიდრებითანავე დაერქვა გიორგი). ბალეტმაისტერი გიორგი ბალანჩივაძე ამერიკაში ჯორჯ ბალანჩინი გახდა. წარმოშობით ბერძნული სახელი **ალექსანდრე** არაბულ ენაში იქცა **ისკანდერად** (გაფუროვი, 1971, 87). ორივე სახელი, უფრო ზუსტად, სახელის ორივე ფორმა, დასტურდება არა მხოლოდ ქართულ მწერლობაში (მაკედონელის სახელად), არამედ ჩვენს რეალობაშიც. 1997 წლის მონაცემებით, დადასტურებულია ამ სახელის **(ისკანდერი)** 101 შემთხვევა ხელვაჩაურში, ქედასა და თბილისში, 63 შემთხვევა – ბოლნისში, მარნეულში, რუსთავში, ოღონდ აქ ისკანდარ ფორმით (სილაგაძე, თოთაძე, 1997). ასე რომ, ერთი სახელის სხვადასხვა ფორმა წარმოადგენს სხვადასხვაენობრივ მოდელს (ვარიანტს) და ზოგჯერ სინონიმურ სახელებად აღიქმება. ამ ფონეტიკური მოვლენის გათვალისწინებით, ხანდახან ხელოვნურადაც უკავშირებენ უცხოენოვან და ქართულ სახელებს და მათ ერთი სახელის სხვადასხვა ფორმად მიიჩნევენ. ერთი მოთხრობის („პატარა დედაკაცი“) პერსონაჟი სპირიდონი ამბობს: „ყველა ქეყნის განთქმული დოსტაქრები ქართველები იყვნენ: როჯერ პირმერი ნამდვილად რაჟდენი იყო, გიუ დე შოლიაკი გივი შიდელია, ამბრუაზი იგივე ამბროსია, ხოლო ჯონ გენტერი გადაკეთებული გიორგი გენტერაშვილი უნდა იყოს“. მ. ჯავახიშვილი ამას აკვიატებულ აზრს უწოდებს. სინონიმურ სახელებად აქვს მიჩნეული მამუკა და მათე ალ. ბარამიძეს: „მათე მამუკას რუსული სახელია, ამიტომ ცდება ბ. ესაძე, როდესაც მამუკა და მათე სხვადასხვა პირად მიაჩნია“ (ბარამიძე, 1980, 13). ამ მოსაზრებას არ იზიარებს პროფ. ზ. ჭუმბურიძე: „ფაქტობრივად შესაძლოა, მამუკას რუსმა მათე უწოდოს (ამდენად მამუკა და მათე ერთი პირი იყოს), მაგრამ მათე მამუკას რუსულენოვანი სინონიმი არ იქნება. გაქარ-

თულებული მათე ებრაული სახელია, მამუკა კი ქართული სიტყვიდან (მამა) მოდის“ (ჭუმბურიძე, 1966).

ანთროპონიმი, სხვადასხვა ენაში გადასული, ძირითადად, არ იღებს განსხვავებულ სახეს, არამედ ვიღებთ ერთი სახელის ფონოლოგიურ ვარიანტებს. ხშირად სხვადასხვა ერთა კულტურული და პოლიტიკური ურთიერთობა არ შლის ხოლმე არსებულ ზღვარს მათი ენების მიერ გათავისებულ საკუთარ სახელთა ფორმებს შორის: სპარსული ენით გატაცებულ თეიუმურაზ პირველს, ქართველ პოეტს, ერთგან იესო ქრისტეს სახელიც კი არაბულ-სპარსული ფორმით (ისა) გამოუხატავს (ქ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე). სხვათა შორის, ამავე ფორმას ვხვდებით დ. გურამიშვილის „დავითიანში“ („ყმად წაუვიდნენ ისასა“).

თითქმის წაშლილია ზღვარი ორ სხვადასხვაენოვან ფორმას – მარინესა და მარინას – შორის. მშობლების მიერ შერქმეული მარინე რიგ შემთხვევაში შვილების მიერ დაწუნებულ იქნა და გარკვეულ ასაკში მათ თავად გაახმოვანეს მარინად. ეს ორი ფორმა დღემდე თანაარსებობს. XX ს-ში ცხოვრობდა მსახიობი მარინე თბილელი, ამავე პერიოდის ქართული ფილმის, „ჭრიჭინას“, ორ პერსონაჟს ჰქვია მარინე (ფერაძე). თსუ თამშრომელზე გაცემულ ერთ-ერთ ბრძანებაში ეწერა სახელი მარინა, პასპორტში კი – მარინე. გარკვეული პრობლემების ასაცილებლად იგი არქივში ითხოვდა გადასწორებას. აქვე დავასახელებთ ენათმეცნიერს, მარინე ივანიშვილს. 1997 წლის მონაცემებით, საქართველოში თანაარსებობდა 22510 მარინე და 37782 მარინა (სილაგაძე, თოთაძე, 1997, 323). ასე რომ, **მარინე-მარინა არ ყოფილა სხვადასხვა ეპოქის სახელები** (როგორც ზოგი მეცნიერი თვლის).

ქართველ მწერალთა თხზულებებში პერსონაჟებად ვხვდებით რეალურ პირებს, ეროვნებით ქართველებს, უცხოენოვანი, უფრო რუსულენოვანი სუფიქსებით ან უცხოენოვანი მოდელით გაფორმებული სახელებით. ფაქტია, რომ ზოგი უცხოური მოდელი, **თვით აფიქსიც კი** (კერძოდ, რუსულენოვანი) **ადაპტირებულია** ქართულ ეროვნულ ანთროპონიმულ სივრცეში. **ელიჩკა** (დ. კლდიაშვილი, „ქამუშაძის გაჭირვება“), **სერიოჟა ქავთარაძე, სერგეი მესხი** (დ. კლდიაშვილი, „ჩემი ცხოვრების გზაზე“), ამა-

ეე რიგს მიეკუთვნება: **გერმანოზ ციციშვილი** (ი. ტფილელი, „დიდმოურავიანი“, ვ. ბარნოვი „გიორგი სააკაძე“), **მამა გრიგორი,** რომელიც „იყო ქართველი“ (ი. ბატონიშვილი, „კალმასობა“), **თევდორე** „ძველად იხმარებოდა ბერძნულთან უფრო ახლო მდგომი ფორმით – თეოდორე (ჯუმბურიძე, 1966, 149). ი. ბატონიშვილის „კალმასობაში“ დამოწმებულია **თეოდორე ხორგუაშვილი,** ე. ბარნოვის ერთ თხზულებაში („ნათელმოსილნი“) პარალელურად გვხვდება ორივე ფორმა – თეოდორე და თევდორე. **მაგრამ თუ მწერლის მიზანია გამოკვეთოს ქართველი კაცის (გლეხის, თავადის, მსახურის) ტიპი, უთუოდ ანგარიშს გაუწევს მის ტომობრივ სამყაროს, რასაც ქართველურ ხასიათთან, ზნე-ჩვეულებასთან, მეტყველებასთან და სხვა მონაცემებთან ერთად საკუთარი სახელიც განსაზღვრავს. ასე რომ, მწერალი პერსონაჟად წარმოდგენილ ტიპურ ქართველ კაცს შესაბამისი ეროვნული სახელით წარმოგვიდგენს და უწოდებს მას თევდორეს და არა თეოდორეს, გრიგოლს და არა გრიგორს, ივანეს და არა იოვანეს.** თუ ქართველად წარმოდგენილ პერსონაჟს ჰქვია, ეთქვათ, ისაკა, ეს ხშირ შემთხვევაში არ ნიშნავს ეროვნული და ონომასტიკური (კერძოდ, ანთროპონიმული) კანონზომიერების დარღვევას. ამით უფრო მეტად გამოიკვეთება ანთროპონიმიკონის ძალა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში (ისაკა) მწერალმა საკუთარი სახელით გამოხატა სწორედ ქართველი პერსონაჟის ისეთი სახის საქმიანობა, რომელიც მისი ეროვნებისთვის არ იყო დამახასიათებელი. ესაა ვაჭრობა, პერსონაჟი კი – ვაჭარი ისაკა ჭამიაშვილია (შ. არაგვისპირელი, „ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო!“). ვფიქრობთ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში არაეროვნული სახელით ქართველი კაცის მონათესლა უფრო მეტად გამოკვეთს ანთროპონიმის უნარს – გამოაელინოს დენოტატის, რომლის ქართველობა გვარითაა მარკირებული, შინაგანი ბუნება და საქმიანობა. გარკვეული საქმიანობით დაკავებული ქართველი კაცის სახელად „ისაკას“ დარქმევით, ანუ სწორედ ანთროპონიმით მწერალი მიგვანიშნებს ქართული ეროვნული მეობისა და ტრადიციების რღვევაზე (გოდერძიშვილი, 1990, 68-69).

2. პერსონაჟის კუთხური წარმომავლობა და ანთროპონიმი. საქართველოს ამა თუ იმ რეგიონის მკვიდრებს ერთმანეთისგან არა მხოლოდ ყოფითი რეალიები, არამედ საკუთარი სახელებიც განასხვავებს. ამის დადასტურებაა მწერლობაც. ქართულ მხატვრულ თხზულებებზე დაყრდნობით, განსხვავებულ რეგიონებად გამოვყოფთ: ა. ქალაქსა და სოფელს; ბ. საქართველოს სხვადასხვა მხარეს, კერძოდ, აღმოსავლეთსა და დასავლეთს. ონომასტიკური თვალსაზრისით, სხვაობას ქმნის თითოეული მათგანის, კერძოდ, დასავლეთ საქართველოს შიდა კუთხეებიც – იმერეთი, გურია, სამეგრელო... და აღმოსავლეთ საქართველოს მთისა და ბარის რაიონები. სხვაობა განსაკუთრებით იგრძნობა სუფიქსით წარმოქმნილ ონიმებში.

ა. ქალაქი და სოფელი. წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ დღესაც ქალაქსა და სოფელს ვასხვავებთ, მხედველობაში გვაქვს არა თანამედროვე ეპოქა, არამედ გასული საუკუნეები, როცა სოციალურ-რეგიონალური სხვაობა უფრო მკვეთრი იყო, რაც თავისთავად აისახა საკუთარი სახელითაც. გარდა ამისა, სიტყვა ქალაქის ხმარებისას მხედველობაში გვაქვს მისი ძველი მნიშვნელობა, როცა საზოგადო სახელი ქალაქი საკუთარი სახელის – ტფილისის – ტოლფარდი იყო. ქართულ მხატვრულ თხზულებებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ქალაქში მცხოვრებ ქართველ პერსონაჟთა საკუთარი სახელები დასტურდება სოფლებშიც. ასეთებია ოფიციალური, კალენდრის სახელები – ალექსანდრე, ივანე, გიორგი, ლევანი, თამარი... პარალელურად, ვლინდება საკუთარ სახელთა სპეციფიკური რეგიონულობა, რასაც განაპირობებს ოდითგანვე ფესვგადგმული ონომასტიკური ტრადიცია. ის, რომ ხალხი მისდევდა და იცავდა ამ ტრადიციას, კარგად ჩანს სწორედ ქართულ მწერლობაში.

ქალაქი და მთის სოფელი. ამ შემთხვევაში უფრო გამოკვეთილად ვლინდება მოცემულ ორ პუნქტს შორის ანთროპონიმიკონის სხვაობა. მაგალითისთვის დავიმოწმებთ მ. ჯავახიშვილის „თეთრი საყელოს“ პერსონაჟთა ყოფას. ხევსური **ჯურხა** ქალაქში ჩამოსვლისას **ელიზბარს** გაიცნობს, ჯურხას „ელიზბარი“ არ მოეწონა და **„ვაჟიკა“** დაარქვა. თავისი კუთხის სახელით მან უფრო გაითავისა მისთვის საყვარელი კაცი (ქალაქელი). ხევსუ-

რეთში ჩასულმა ელიზბარმა გაამართლა **გაჟიკობა,** დათვია მოკლა და ნაღდი ხევსურის სახელიც დაიმკვიდრა. „იმ დღიდან ხევსურებმა **ჯიქი** დამარქვესო“, – ამბობს ერთ დროს ქალაქელი ელიზბარი. მან **წიკლაურის** გვარიც დაიმსახურა, მაგრამ **გაწიკლაურებულ** და ხევსურული სახელებით პატივდადებულ ქალაქელ ელიზბარს მაინც ბარი ეწევა. მასში ქალაქური სული რომ არ ჩამკვდარა ხევსურეთში ცხოვრებისას, კარგად ჩანს საკუთარი სახელითაც. კერძოდ, თავის პირმშოს ელიზბარი ბარისათვის (ქალაქისათვის) დამახასიათებელ სახელს, ნოდარს, არქმევს, თუმცა ხევსურთა სურვილი იყო, რომ ხევსურეთში დაბადებულისათვის ჯურხა, მგელიკა, ბაღათერა, მინდია ან ხირჩლა ეწოდებინათ. ბავშვის დედას, ხევსურ ხათუთის, მოსწონს სახელი ნოდარი. **„ნოდარ კა სახელ ას“,** „თუმცა ეხამუშება“, – გვეუბნება მწერალი. როგორც ვხედავთ, ერთი ოჯახის მაგალითზედაც იგრძნობა საკუთარ სახელთა კუთხურობა-რეგიონალურობა და ამ მოვლენის პრაქტიკული დანიშნულება. პრობლემად ქცეულ სახელდებასთან დაკავშირებით ერთ მხარესაა ქალაქი (ელიზბარის სახით), მეორე მხარეს – საქართველოს რეგიონის ერთი კონკრეტული კუთხე (ხევსურეთის სახით).

ალ. ყაზბეგის თხზულებათა პერსონაჟები მთიელები არიან. მწერალი მათ საგანგებოდ ურჩევს სახელებს მთის უძველესი ფონდიდან. პერსონაჟის ხატვისას შეუძლებელია, ავტორს არ გაეთვალისწინებინა სახელი. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ალ. ყაზბეგს თავისი პიესების („ქართველი ქალი სტუდენტებში“, „დავითის სახლობა“, „გრძნობა და მოვალეობა“) ქალაქელი გმირებისთვის მთაში ლოკალიზებული სახელები არ დაურქმევია. მისი პიესების გმირები, რომლებიც მთის რეგიონის ფარგლებში არ მოქმედებენ, არიან: ლიზა, ეფემია, მიკირტუმ, აკოფა, ელენე, საშა... და არა ელგუჯა, მზაღო, ჯაჯალა... იგივე ითქმის ვაჟა-ფშაველას პერსონაჟებზეც.

ქალაქი და ბარის სოფლები. მთის სოფლების კოლორიტულობა, როგორც ყოფით, ისე ანთროპონიმებით, ისედაც თვალში საცემია. ბარის სოფლების მოსახლეობას, მთის რაიონის სოფლებთან შედარებით, მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა ქალაქთან. ამასთან, აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთი რაიონი

ტერიტორიულად თბილისთან უფრო ახლოსაა, ვიდრე დასაჯლეთ საქართველოს რაიონები. ყოველივე ამან თავისი ასახვა პოვა ანთროპონიმიაში. ბარის სოფლები (განსაკუთრებით, აღმოსავლეთ საქართველოს) ქალაქისაგან, ანთროპონიმული თვალსაზრისით, არსებითად არ განსხვავდება. ამ ორ რეგიონს ერონაირად ახასიათებს კალენდრის სახელები, მაგრამ რეალურად, რასაც მხატვრული ლიტერატურაც ადასტურებს, ბუნებრივია, საგრძნობია განსხვავებაც. ქალაქი და სოფელი — არაიშვიათად საკუთარ სახელშიც იგრძნობა (ვიმეორებთ, ამ შემთხვევაში მხედველობაში არ გვაქვს მთა, სადაც უფრო მეტად ჩანს ეს სხვაობა). ხშირად, თუ მხატვრულ ნაწარმოებში ქალაქში მყოფი (ან მცხოვრები) პერსონაჟი წარმოდგენილია სოფლისათვის დამახასიათებელი სახელით, ეს უფრო სხვა ფაქტორზე მიუთითებს, ვიდრე ონომასტიკური კანონზომიერების დარღვევაზე. კერძოდ, არაქალაქური სახელით წარმოდგენილი პერსონაჟი ქალაქის მკვიდრი არ აღმოჩნდება. მაგალითად, ქალაქში სოფლიდან ჩამოსულ მემაწვნე ქალს ეკ. გაბაშვილი **მაგდანას** არქმევს („მაგდანას ლურჯა“), ხოლო ქალაქელ ქალს, რუსეთში ნამყოფს, ჭ. ლომთათიძე იმავე სახელის განსხვავებულ ფორმას უძებნის – ესაა **მაგდა** („ძე კაცისა“). მას მწერალი **მაგდანას** ვერც დაარქმევდა. გეხვდება გამონაკლისიც, მაგრამ ცალკეული შემთხვევა ტიპობრივ სურათს არ ქმნის. ქალაქს უდავოდ საკუთარ სახელთა „თავისი ფონდი“ აქვს (ისევე, როგორც სოფელს). ამიტომ, თუ მწერალი პერსონაჟს წარმოგვიდგენს ქალაქის ტიპობრივ მკვიდრად, იგი არიდებს და არ ნათლავს მას ისეთი სახელით, როგორიცაა მაგდანა ან, ვთქვათ, ბაბალე, ქიტესა, მელანია, ელპიტე, ზენათი, ზალიკა... ვიმეორებთ, ეს მაშინ ხდება, როცა მწერალს ქალაქური ყოფის ტიპური წარმომადგენლის ჩვენება სურს. ჩვენს თვალსაზრისს უფრო მეტ დამაჯერებლობას ანიჭებს ის ფაქტი, რომ ზოგჯერ პერსონაჟისთვის სახელის გამოცვლის ერთ-ერთი ფაქტორი სწორედ სოფლიდან ქალაქში გადმოსახლებაა. პატარა სოფლელმა გოგომ, **სოფიომ**, მას შემდეგ, რაც ის ზნეობრივად საეჭვო გზას დაადგა და ქალაქში გადასახლდა, **სონა** დაირქვა (ეგ. ნონოშვილი, „ქრისტინე“). შეიძლება სოფიო არ არის მაინცდამაინც ქალა-

ქად ან სოფლად სპეციფიკურად ლოკალური სახელი, მაგრამ, სამაგიეროდ, სონა არის XIX ს-ის ქალაქურ ყოფაში ფესვგადგმული სახელი. რაც მთავარია, იმ ეპოქის ქართველი ქალისთვის ნიშანდობლივი პატიოსნების შემბღალველი აღარ იმსახურებდა ქართულ ეროვნულ სახელად ქცეულ „სოფიოს“. ალბათ გაცნობიერებულად (თუ გაუცნობიერებლად) მწერალმა იგრძნო ეს და დაარქვა მას ქართული სამყაროსთვის მიუღებელი სახელი, მით უმეტეს, ჩვენი ეროვნული ხასიათისთვის მიუღებელი ფორმით – სონა (რომელიც არც ერთი ფორმით არ არის შეტანილი ზ. ჭუმბურიძის წიგნში – „რა გქვია შენ“, რომელსაც, თავის მხრივ, სარეკომენდაციო ფუნქცია აქვს). იმაღე მოთხრობის („ქრისტინე“) პერსონაჟი, სოფელში მცხოვრები **ქრისტინე**, ქალაქში ჩამოსვლისას **რახილად** მონათლეს, ე.ი. ქალაქმა, უფრო ზუსტად, იმ ვიწრო ქალაქურმა გარემოცვამ, რომელშიც აღმოჩნდა სოფლიდან ჩამოსული ქალიშვილი, არ მიიღო წარმოშობით ბერძნული, მაგრამ წმინდა ქართულ სახელად გათვისებული ქრისტინე. რუსეთში სწავლამიღებულ და ვარშავაში ნამყოფ **ივანეს** (გ. ერისთავი, „გაყრა“) სოფელში დაბრუნებისას აღარაფერი მოსწონს ქართული – სოფელი ევიწროება, თავის თავს უფრო ფართო გაქანების კაცად თვლის. სოფელში მცხოვრებ ძმას სახელსაც უწუნებს: „ყაფარ, კაპარ! კაკ იმია, ტაკ ი ონ დიკარ,“ – ასე აფასებს იგი ამ ანთროპონიმს.

ქალაქის რეგიონში გავრცელებული სახელების გამიჯვნას სოფლის რეგიონისაგან იწვევს: ქალაქური ცხოვრების სპეციფიკა, ქალაქში მცხოვრებ ეროვნებათა ნაირფეროვნება, ბუნებისადმი არაუშუალო დამოკიდებულება, ზნეობრიობის შერყევა. გარდა ამისა, ქალაქში მცხოვრებთა ინტელექტუალური დონე, მოდურობა. სახელის მოდურობას განსაზღვრავს: სახელის სიახლე, კეთილხმოვანება, პირველწყაროსთან დაკავშირებული ემოციები, აფიქსაცია... მოდური სახელი ჯერ ქალაქში მკვიდრდება, შემდეგ კი სოფელში ერცელდება. სოფელი მას ან ითვისებს, ან ხელს ჰკრავს. მაგ., სახელი ოლგა, რომელიც ერთ დროს პოპულარული ყოფილა კიევის რუსეთში, შემდგომ დავიწყებას მისცემია. XIX ს-ის დასაწყისში კელავ აღდგენილა, ხოლო სოფლად იგი გავრცელდა მხოლოდ ჩვენს ეპოქაში (ნი-

კონოვი, 1970, 51). ე. ი. არამოდური, მოძიდან გადასული, სახელები ლოკალიზდებოდა სოფელ'ში. მოდის უარყოფას (რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს აღნიშნულ ეპოქაში ქალაქისა და სოფლის ანთროპონიმიკონს შორის სხვაობას) უნდა მივაწეროთ გურიის ერთ-ერთ სოფელში მომხდარი ფაქტი, რომელიც აღწერა ეგ. ნინოშვილმა მოთხრობა „პარტახში". ახალგაზრდა რძალს, სახელად **ლიზა** რომ ერქვა, ქმრის ოჯახში **მელანოს** არქმევენ, რადგან „ლიზაი ბოზის სახელიაო... პატიოსანი ქალი ლიზას რაცა დეითქვამსო" (შდრ.: სოფიო – სონა).

თავის მხრივ, ბარის ზოგიერთი სოფლის ყოფა, სადაც მეტ-ნაკლებად შეაღწია ქალაქურმა სიომ, განსხვავდებოდა ჯერ კიდევ კარჩაკეტილი სოფლის ყოფისაგან და ეს ანთროპონიმითაც აისახებოდა. მაგალითად, მეორე შემთხვევაში გურიის ერთ-ერთ სოფელშივე **იწუნებენ** ამ სახელს – **მელანოს** – სწორედ მისი მოძველებულობის გამო. ე.ი. „ყრუ" და „თვალახელილი" სოფლები ანთროპონიმითაც განირჩევა. „რა სახელია მელანია, თლათ ყრუია ი გადაღმეთის სოფელი", – ამბობს თინათინი (რომელიც, თავის მხრივ, იმითაც იყო განებიერებული ოჯახში, რომ ღირსად თელიდნენ, ეტარებინა „ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟი ქალის, თინათინის, სახელი. „რა ყოჩაღი ყოფილხარ, თინათინ! იმიტომაც გქვია ამისთანა კაი სახელი, რომ ამისთანა ხარ. იცი, შენი სახელი „ვეფხისტყაოსანშია" მოხსენიებული", – ეუბნებოდნენ (ეგ. ნინოშვილი, „ცოლი და ქმარი"). სახელი მელანია რომ ქალაქური ყოფისათვის არ არის ნიშანდობლივი და თითქმის მიუღებელიცაა, კარგად ჩანს ეკ. გაბაშვილის მოთხრობიდან – „ეოლოსის ჩანგი". სოფელში სააგარაკოდ ჩასული შალვა გაიცნობს მომღერალ გოგონას, **მელანიას**, რომლის მიმართ დადებით განწყობას იგი საკუთარი სახელითაც ამყღავნებს. საქმე ისაა, რომ შალვა თბილისელი (ქალაქელი) ყმაწვილია, ამასთან, განათლებულიც, ამიტომ ამ შედარებით არამოდურ სახელს თანამედროვე, ქალაქურ იერს სძენს და ქალს **მილაშა, მილუშკას** ეძახის. ასევე **მაროს** თავისი გიმნაზიის ამხანაგი **მარუსიას** ეძახის (ეკ. გაბაშვილი, „სოფლის მასწავლებელი"). -უშკა, -უს რუსული აფიქსებით თითქოს უფრო ქალაქურ-მოდერნიზებულ სახეს აძლევენ ამ ანთროპონი-

მებს, ქალაქურ იერს სძენენ. მეორე მოთხრობაში, სადაც სოფლის ცხოვრებაა აღწერილი („ხატაური“), პატარა **მაროს** დედა მოფერებით **მარიკოს** ეძახის. ქართული -იკო სუფიქსის დართვით დენოტატიც და მისი სახელიც რჩებიან მათს კუთვნილ ეროვნულ სივრცეში, რასაც, ქალაქთან შედარებით, ჯერ კიდევ სოფელი ინარჩუნებს. ლ. ქიაჩელის ერთ-ერთ თხზულებაში, ანალოგიურად, დაწუნებულია სახელი სულიკო იმ ნიშნით, რომ „ახლა სოფელშიც კი არავის ჰქვია ეს გაცვეთილი სახელიო“ („დახურული წარმოდგენა“).

შესაბამისად ნათლავს ქალაქსა და სოფელში მცხოვრებ პერსონაჟს **უიარაღო**. მის თხზულებებში დამოწმებული ხეჩუა, სონა, ვანო, ფიდუა, სედრაქ... ქალაქის მკვიდრნი არიან, ხოლო სამეგრელოში მცხოვრები პერსონაჟები მონათლულნი არიან ამ რეგიონისთვის დამახასიათებელი კოლორიტული სახელებით: კიმოთია, უთუთია, ძუკუ, უტუ, დუტუ... ანალოგიურად, **ეგ. ნინოშვილის** თხზულებებში დამოწმებული გურული გლეხების სახელებია: ლევანტი, კესარია, ფოტინა, მელანია, მასიკელა... მაგრამ თბილისში მცხოვრებ ყმაწვილებს ავტორი კოტესა („უცნაური სენი“) და ვანოს („ქრისტინე“) არქმევს. **დ. კლდიაშვილი** იმერეთის მკვიდრ პერსონაჟებს ნათლავს სახელებით: ეფროსინე, ეკვირინე, მათათი... ხოლო ქალაქელ ქალს სონიას უწოდებს („ქამუშაძის გაჭირვება“). ეფროსინესა და ეკვირინესაგან ასაკითაც და მსოფლმხედველობითაც განსხვავებულ სოფლის მკვიდრს, რომლითაც მოხიბლული თვით ქალაქელი სონია თავის აღფრთოვანებას ვერ მალავს, ნინოს არქმევს (და არა ელპიტეს).

ე.წ. ქალაქური ტიპის სახელებს, როგორც აღვნიშნეთ, განაპირობებს აგრეთვე აქ მცხოვრებ ეროვნებათა ნაირფეროვნება. XIX საუკუნის დასაწყისიდანვე ქალაქსა და მის შემოგარენში ქართველების გვერდზე ცხოვრობდნენ რუსები. სავაჭრო ურთიერთობის განვითარებამ გამოიწვია ქალაქში სომხების მომრავლება. ბუნებრივია, ქართული რეალისტური ლიტერატურა გვერდს ვერ აუქცევდა ამ ცხოვრებისეულ ფაქტს. ამიტომ ქართულ მხატვრულ მწერლობაში თავს იჩენს როგორც არაქართული სახელები, ისე საკუთარ სახელთა არაქართული გახმოვანე-

ბა. მრავლად ვხვდებით პერსონაჟებს სახელებით – სარქის, კარაპეტა (გ. ერისთავი), ავეტიქა (ი. ჭავჭავაძე), არუთინა, ბაღდასარ (აკაკი წერეთელი)... გარდა უცხოენოვანი საკუთრივ ანთროპონიმებისა, ქალაქსა და მის შემოგარენში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავს იჩენს საკუთარ სახელებზე არაქართული მაწარმოებლების დართვა, რის შედეგად მიღებულია: პაველუშა, ვანუშკა, ვერიჩკა, მაშინკა, სტეპკა. ვხვდებით მხოლოდ მიმართვის დროს გამოყენებულ -ჯან დართულ საალერსო სახელებსაც: ვანოჯან, მაროჯან... რაც უფრო ქართულ „ჭირიმეს“ შეესაბამება. ქალაქ ადგილას სახელის ერთ ფორმაში იყრის ხოლმე ქართული და არაქართული ელემენტები: ვან-უშ-კ-ელ-ა, მიხ-აკ-ო-ჯან... სახელთა ამგვარი ფორმები შესაბამის ეპოქაში სოფელში ნაკლებად ან სულ არ გეხვდება.

დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო. საკუთარ სახელთა განსხვავებულ სურათს ქმნის დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო. ანთროპონიმული თვალსაზრისით, კოლორიტულია მათი ცალკეული კუთხეებიც, რასაც თვალნათლივ ადასტურებს ქართველ მწერალთა შემოქმედება. ეგ. ნინოშვილი გურიის მკვიდრთა ცხოვრებას ასახავს, დ. კლდიაშვილი – იმერეთისას, უიარაღო – სამეგრელოსას, ს. მგალობლიშვილი, ეკ. გაბაშვილი, შ. არაგვისპირელი, ან. ერისთავ-ხოშტარია – ქართლისას, ვაჟა-ფშაველა და ალ. ყაზბეგი – მთისას. მათს თხზულებებში ადგილობრივი კოლორიტი იგრძნობა როგორც პერსონაჟთა მეტყველებაში, ისე მათთვის საკუთარი სახელების შერჩევისას.

დასავლეთ საქართველოს ყოფა-ცხოვრების ამსახველ მწერალთაგან საკუთარ სახელთა კოლორიტულობით განსაკუთრებით გამოირჩევიან უიარაღოს პერსონაჟები. უიარაღოს თხზულებებში, რომლებიც სამეგრელოს ცხოვრებას ეხება, ვხვდებით: ძურგუ, ხახუ, ბუხუ, ქუჩუ, ძუკუ, გუდუ, ბეკუ, დუტუ, გაგუ, უტუ... აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებში და თვით დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებშიც კი მსგავს სახელებს ვერ შეხვდებით (გამონაკლისი არ ქმნის ამინდს).

ალ. ღლონტი წარმოგვიდგენს XIV-XVIII საუკუნეთა სიგელ-გუჯრებში დამოწმებულ მეგრულ ანთროპონიმიკონს, რო-

მელსაც უწოდებს „მეგრული მეტყველებისთვის ბუნებრივ საკუთარ სახელებს“: ღვარკალი, ბიძაბ, გვიგვიმ, ხუტა, პატუა, გალამაფუ, ინალახუ, იელიჯარ, გაიდურთ, ძვიბი, ბაბადი, ბახუ, ხუხუ, ბაჭუ, გარჯღუ, ძვიბი, გვინიში, მორდებუ, ბიშხუა, ძლიკი, ნიკურცხია (ღლონტი, 1964, 124). შემდეგ ასახელებს ს. მაკალათიას წიგნში (1941 წ.) მოყვანილ მეგრულ სახელებს. *მამაკაცთა:* არდიანი, აბი, აგრე, გურკოჩა, ფია, მირდია, სქვამა, გაძინია, ჯვატალია, თანაფია, ძვაძვალა... *დედაკაცთა:* როდა, ხანტუ, სოსუ, ხვახვა, რუსუ, სკვამცირა, ჩუია, ქვეთე, თუთუ, პიპა, ჯოლიკი, ხანძე, მანტილო...

ავტორი აქვე ასახელებს სამეგრელოს რეგიონში პირადად მის მიერ 1963 წელს შეკრებილ მეგრულ საკუთარ სახელებს: *მამაკაცთა:* აკო, არხილი, აბე, ახმა, აბრა, ათა, აჯგუ, ადამური, ბიჯვა, ბაჟია, ბაღრია, გუტია, გუძა, გეთა... *დედაკაცთა:* ათინო, აონა, აიზო, ბაცა, ბუცუ, ბაძღია, გვინარი, დუკი, კვავა, მოკოშა, გოგოშა, გეჩა, დოუ, დესი, ზესა, კეკეცა, კანდუ, კუნია, კუკუტი, კარკუნტი, კურიე, ლიო, მეცე (ღლონტი, 1964, 125).

რ. თოფჩიშვილი (2010, 202) იმოწმებს სამეგრელოში „ბოლო დრომდე შემორჩენილ ქართულ სახელებს“: ბაბაკოჩი, ბეჩუნა, ბუწუ, გონებია, გუდული, გერე, გამიგონა, ვაჟიკოჩა, დუტუ, თოლმიხილა, თუთაშხია, კეთილისა, კოჩია, მარტიშია, ნანატრია, ობიშხა, ქრისტეკოჩი, უჩაკოჩი, შორითოლო, შესაწირი, შურიმიგდი, ძლიკვი, წიწაკოჩი...

1964 წელს „ქართულ ლექსიკოლოგიაში“ ალ. ღლონტი წერს: „მეგრული საკუთარი სახელები სრულიად შეუსწავლელია და არც არავის შეუკრებია (ბუნებრივია, მსჯელობს გამოქვეყნებული ნაშრომების გათვალისწინებით. ქ.გ.). მეტად მცირე ნაწილი ძველი მეგრული ონომასტიკისა დამოწმებულია XIV-XVIII საუკუნეთა სიგელ-გუჯრებში. მეგრულ საკუთარ სახელთა სტრუქტურის შესწავლა შესაძლებლობას გვაძლევს უფრო გავითვალისწინოთ ძველი ქართული ონომომასტიკის ისტორია და შედგენილობა“ (ღლონტი, 1964, 124). ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ უკანასკნელ 20-30 წლის განმავლობაში მეგრული ონომასტიკური მასალის შეკრება-შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პ. ცხადაიამ.

უახლოეს მომავალში დასრულდება სამურზაყანო-სამეგრელოს მასალის გამოცემა მეცნიერული კომენტარებით.

კოლორიტულია სვანური ანთროპონიმიკონი. ალ. ღლონტი იმოწმებს სვანურ სახელებს 1941 წელს პ. ინგოროყვას მიერ გამოცემული სვანური დოკუმენტებიდან. *მამაკაცთა:* აზნაგ, აფაქი, ბადა, ბაკუ, ბურზი, გერგი, გეშელ, დათუთარ, დაიფუნ, ვახდაგ, ვეშაგ, იაღლუზ, კვანჭი, კვიბიხი, მახუჯევ, მუგლურ, მამქან, ნანგეჭი, ნასყან, ობზაგან, რუშაგ, სპანდა, ტიღუა... *დედაკაცთა:* გვანცა, დედაჩი, დუდა, თათე, თინათე, ხალინა (ღლონტი, 1964,123).

იქვე ალ. ღლონტი წარმოგვიდგენს მის მიერ ზემო სვანეთში შეკრებილ კოლორიტულობით გამორჩეულ ანთროპონიმებს. *მამაკაცთა:* აბდი, აბეშ, ათბი, ბაეჩი, ბათალბი, ბექზა, ბიუ, ბურნაუ, გერგილ, გუჩი, დადში, დეევეთ, ეფთი, ვენგო, ჯახუ... *დედაკაცთა:* ანუკვ, ბაბლინე, ბერდუფხ, გერნიფხ, გუშარა, დადარ, ილდაფხ, იმახათ, კვანგირ, მამუ, მაქჩი, ჟარნა...

სვანური საკუთარი სახელების კოლორიტულობას განაპირობებს V.C კომპლექსიანი აუსლაუტის სიმრავლე (აზნაგ, დაიფუნ, დუთარ, ლომინ, მახუჯევ), რაც დასტურდება არა მხოლოდ ისტორიულ წყაროებში, არამედ ალ. ღლონტის მიერ 1962 წ. ჩაწერილი მასალიდანაც (ანთუყ, აბეშ, აბალ, აბაგ, ანდალ, აჩახმათ, აიშათ, დადარ, გერნიფხ). იგივე ვითარებაა სვანურ შემოკლებულ სახელებში. ალ. ღლონტი ჩერდება სვანური სახელების მოფერებით ფორმებზე და წერს, რომ ამ თვალსაზრისით, სვანური, ქართულისა და კოლხურისგან განსხვავებით, „განცალკევებით დგას ...ქართულ-კოლხური -ა ელემენტის ეკვივალენტად სვანურში **-ერლ, -ორლ, -ულ, -ალ, -ულ** ელემენტები გეველინება: **ბატ-ერლ, დოდ-ორლ, ბიდ-ორლ, გუჯ-ულ, ბაბ-ალ,ბით-ულ.** (ღლონტი,1964, 124).

საკუთარ სახელთა მძაფრი კოლორიტულობით გამოირჩევა აგრეთვე აღმოსავლეთი საქართველოს მთის რეგიონი, რაც, როგორც აღვნიშნეთ, კარგად ჩანს ვაჟასა და ალ. ყაზბეგის თხზულებებიდან. შეიძლება ითქვას, რომ მთის სუნთქვა იგრძნობა ვაჟა-ფშაველასა და ალ. ყაზბეგის თხზულებათა ანთროპონიმიაში. ვაჟა იღვწოდა, რომ გადაერჩინა დავიწყებას მიცემული ქართული სიტყვა – საზოგადო თუ საკუთარი სახელი.

ეთნოგრაფიულ ნარკვევში („ფშაველები“) მან საგანგებოდ გამოაქვეყნა ფშავში გავრცელებული ძველი ქართული საკუთარი სახელების სია. მართალია, ეს სია სრული არ არის, მაგრამ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ძველ ქართულ ანთროპონიმთა სისტემის აღსადგენად. ესენია: „კაცის სახელები: მაჩურა, ბუთხია, ხუჩია, დათვია, ნადირა, მირზა, კარახელი, პაპუა, მოკლია, ბუთლია, წიწლია, ბაია, უგონური, ყვირილა, ბარდანა, ბოიგარი, ხეხერა, ყაყიჩი, გოდერძი, იანვარა და სხვ. ქალის სახელები: მზევინარი, თეთრუა, ჯავარა, დედუნა, მეწყინა, ჩიტო, ფარნაოზი, ბატარქალი, ქალთათავი, თიკანი, სალია და სხვა“. ბევრი მათგანი ვაჟამ თავადაც გამოიყენა პერსონაჟთა სახელებად.

წარმოვადგენთ სერგი მაკალათიას მიერ 30-იან წლებში გამოქვეყნებულ სახელებს (რომლებიც დამოწმებული აქვს ღლონტს, 1964, 119):

თუშეთში: აბალო, ბუიჩაი, ბუურათი, ბერდია, ბახტურაი, ბოხია, გოთა, გუბი, ეკო, ზობაი, თილი, თორღვა, იჩო, ლუხუმი, ლეგო, უთურგა, ყვაჯა, შეთე, ცოგი, ჭვრიტი, ხვედაი... *დედაკაცთა:* თახო, მაო, საძო, შურთხა, მთვარია, ბაი...

ფშავში: არჩემა, არჯალა, გამიხადი, გურჯელი, თურქა, თურმანი, თუშა, ობლია, შაბურა, შუღლია, ძაღლია, ხარიკა, ხარება, ხაზარა, ხუტია... *დედაკაცთა:* არმინდა, მიყვარა, ქალიკმ, შვენა...

წოურში: აფშინა, დათილი, დაყ, დარქიზან, შორთი... *დედაკაცთა:* მიერ, გელიანძ, შუქო, ხოხობ...

ლეჩხუმში: (მ. ალაიძის მიერ ჩაწერილი): ვარადებული, აღდგომელა, ქუჩუკი, ქაქუჩელა, ჩიჩოლია, აბიბო, კაცოლია, კვირია, მიზანა, ბახუსია... *დედაკაცთა:* სურათა, მატა, ქანა, აპია, პისტი, ვარდიკონა, ბუულუნტია, ხვაშა...

რაც შეეხება ეთნოგრაფიული საქართველოს სხვა რეგიონებს – გურიას, იმერეთს, ქართლსა და კახეთს – ჩვენთვის საინტერესო კუთხით, კერძოდ, საკუთარ სახელთა ოფიციალური ფორმებით, მათ შორისაც უდავოდ შეინიშნება სხვაობა. ერთი მხრივ, ეგ. ნინოშვილისა და დ. კლდიაშვილის, მეორე მხრივ, შ. არაგვისპირელის, ს. მგალობლიშვილის, ეკ. გაბაშვილის თხზუ-

ლებებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ აქ ჩამოთვლილი თითოეული მწერლის თხზულებებში რეგიონის მიხედვით გამოიყოფა შესაბამისი პერსონიმები (ანუ პერსონაჟთა საკუთარი სახელები). მაგალითად, ასეთებია **გურიის** რეგიონისათვის – ფოტინე, ქრისტინე (ეგ. ნინოშვილი); განსაკუთრებით კოლორიტულია ნოდარ დუმბაძის პერსონაჟთა საკუთარი სახელები: მინადორა, მინაგო, ანტიფო, ვასასი, ხარიტონა, მარგალიტა, გერვასი, სიპიტო, აქვსენტი, ალფესი. **იმერეთის** რეგიონისათვის ნიშანდობლივია : – არისტო, არქიპო, ბაკულა, ბეკინა, ეკვირინე, დაფინო, ელპიტე, ეფროსინე, ზენათი, ფუსუტია (დ. კლდიაშვილი). მეორე მხრივ, ეკ. გაბაშვილის, ს. მგალობლიშვილის, შ. არაგვისპირელის და **აღმოსავლეთი საქართველოს** ყოფაცხოვრების ამსახველ სხვა მწერალთა თხზულებებში კოლორიტულია: ბაბდო, სესე, შაქრო, ქიტესა, თაფლო, ფიდო, ბაბო (ბაბო სახელი აღმოსავლეთი საქართველოს რეგიონისთვისაა დამახასიათებელი. მას ვხედებით აგრეთვე დ. კლდიაშვილის „წრფელ გულში“. ამ შემთხვევაში ეს გამოწვეულია იმით, რომ პერსონაჟი, ბაბო სახელით მონათლული, ქალაქის მცხოვრებია; თბილისი კი საქართველოს აღმოსავლეთ რეგიონს ეკუთვნის).

დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ანთროპონიმიკონს შორის სხვაობას ეხება ზ. ჭუმბურიძე. იგი წერს: „ქრისტიანული სახელების ერთი ნაწილი მხოლოდ დასავლეთ საქართველოში იყო გავრცელებული... იპოლიტე, კალენიკე, კალისტრატე, პორფილე, ქრისტეფორე, სერაპიონ, სევასტი, პისტი... ეს იმით აიხსნება, რომ საუკუნეთა განმავლობაში დასავლეთის ქრისტიანულ ქვეყნებთან დასავლეთ საქართველოს უფრო მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კავშირი ჰქონდა. სამაგიეროდ, აღმოსავლეთ საქართველო უფრო მეტად განიცდიდა აღმოსავლეთის ქვეყნების გავლენას, განსაკუთრებით, არაბეთისა და სპარსეთის ზემოქმედებას. ამიტომ აქ ქრისტიანულ სახელებთან ერთად ვრცელდებოდა არაკალენდარული აღმოსაელური საკუთარი სახელებიც“ (ჭუმბურიძე, 1971, 15-16). ჩვენ დავძენთ, რომ აქ მაგალითებად ჩამოთვლილი სპარსული წარმომაელობის ანთროპონიმებიდან ექვსი კალენდარულ

სახელთა სიაშია შეტანილი. ესენია: ბარძიმ, გარსევან, გურგენ, ზაალ, ლუარსაბ, როსტომ.

ეს, რაც შეეხება ოფიციალურ, პირველადი წარმოების საკუთარ სახელებს. ანთროპონიმთა ეროვნული ხასიათი, რეგიონალურობა, კოლორიტულობა განსაკუთრებით იკვეთება მათი სუფიქსური წარმოებით.

§7 საკუთარ სახელთა სუფიქსური წარმოება და რეგიონი

სუფიქსი საკუთარი სახელის მნიშვნელოვანი კომპონენტია. როგორც დავინახეთ, ცალკე აღებული სახელი ერთგვარი პაროლია[1] პიროვნების ეროვნულობისა და კუთხურობის ამოსაცნობად, ასევე საზოგადოებრივი თუ სოციალური მდგომარეობის მისანიშნებლად. ეს კი, ჩვენი აზრით, იმაზე მიუთითებს, რომ ანთროპონიმი, გარკვეულწილად, ცნებითობის შემცველია. მით უფრო ამავე ფუნქციას ასრულებს სუფიქსი, მაგრამ ერთი განსხვავებით – ცალკე აღებული სუფიქსი დაცლილია ცნებითობისაგან. იგი მხოლოდ ფონემათა ჯგუფია (ან ფონემაა). სუფიქსი გარკვეულ დატვირთვას იძენს საკუთარ სახელში ჩართვისას. თავის მხრივ, სუფიქსის დართვით უფრო მეტყველი ხდება სახელი, გარკვეული თვალსაზრისით, გამჭვირვალეც – ემოციური ელფერის, პირის საზოგადოებრივი თუ ეროვნული წარმომავლობის თვალსაზრისით. სუფიქსდართული სახელია კუთხური კოლორიტის გამომხატველიცაა. ასე რომ, არა მხოლოდ სახელი, გარკვეულწილად, ერთგვარი პაროლია სახელის ფორმაც. შევჩერდებით სუფიქსებზე და სუფიქსდართული სახელების მიმართებაზე ამა თუ იმ რეგიონთან.

-ია სუფიქსი. ამ ფორმანტით სახელთა წარმოება დასავლეთ საქართველოსთვისაა ნიშანდობლივი. ძირითადად გამოვყოფთ სამ კუთხეს. ესენია: სამეგრელო, იმერეთი და გურია. ეს ვითარება ასახულია შესაბამისი რეგიონების წარმომჩენ მწერალთა თხზულებებშიც. იმერეთის ყოფის ამსახველი მწერ-

[1] საკუთარ სახელთან დაკავშირებით ეს ტერმინი ე. ნიკონოვს აქვს გამოყენებული (1974).

ლის დ. კლდიაშვილის შემოქმედებაში ვხვდებით პერსონიმებს: დათია, თედორია, ფილიპია, პაველია, პეტრია... გურიის რეალობა კი გამოკვეთილია ეგ. ნინოშვილთან, რაც ასევე ჩანს სახელებითა და მათი ფომებითაც; პეტრია, პაველია, დათია, ბესია...[1]

ამ ორი მწერლის მიერ შემოთავაზებული სახელფორმები ერთმანეთს ემთხვევა. ამ თვალსაზრისით, ეს ორი რეგიონი ერთ ლოკალურ ფონს ქმნის. განსაკუთრებულ კოლორიტს კი -ია სუფიქსიანი სახელები აველენენ სამეგრელოს რეგიონში. ეფიქრობთ, ამ სხვაობას იწვევს შესაბამისი რეგიონის აპელატივებში, მათ შორის, საკუთარ სახელებში მოქმედი -ია სუფიქსის თავისთავადობა ან ასეთად აღქმა.

1. შ. ძიძიგურის (ძიძიგური, 1946, 25) და პ. ცხადაიას (ცხადაია, 2000, 19) დაკვირვებით, -ე ბოლოხმოვნიან სახლზე დართული –ა სუფიქსი იძლევა ეა კომპლექსს, რაც იწვევს დისიმილაციას, ე ხმოვნის უფრო დავიწროებას. მაგ., პაველე → პეველეა → პაველი-ა; პეტრე → პეტრეა → პეტრი-ა. აქედან გამომდინარე, ჩვენ დავძენთ, რომ აქ -ია დაბოლოება გრაფიკულად ემთხვევა -ია აფიქსს, შეიძლება ითქვას, აღიქმება აფიქსად.

2. ასეთივე ფონეტიკური მოვლენით ხსნის შ. ძიძიგური დათია ფორმის მიღებას. მისი თქმით, დათია მიიღება დათო // დათა-ზე -ია სუფიქსის დართვით. ავტორმა ასეთი ფორმულირება წარმოგვიდგინა:

ა + ი → ი+ი → ი(ა) (დათ-ა-ია → დათ-ი-ია → დათ-ია);

ო + ი → ი+ი → ი(ა) (დათ-ო-ია → დათ-ი-ია → დათ-ია).

ამასთან დაკავშირებით, ჩვენ განსხვავებულ მოსაზრებას წარმოვადგენთ: -ია სუფიქსი „ო“ და „ა“ აფიქსით გაფორმებულ სახელებს კი არ ერთვის, არამედ უშუალოდ სახელის შემოკლებულ, თუნდაც სრულ (თამარ-ია) ფუძეს, რომელსაც ერთ შემთხვევაში შეიძლება დაერთოს იგივე -ო ან -ა აფიქსები, მეორე შემთხვევაში -უნა, -იკო, -ია. მაგალითად, დავით-ი → დათ-ა // დათ-ო // დათ-უნა // დათ-ია. ასე რომ -ია სუფიქსი ყო-

[1] გურიის ანთროპონიმიკონი განსაკუთრებით გამოყენილია ნ. დუმბაძის თხზულებებში, რასაც საგანგებოდ შეეხებით.

ველთვის არ არის ფონეტიკური გზით მიღებული[1]. მაგრამ სუფიქსის (და, აქედან გამომდინარე, ონიმის ფორმის) რეგიონალურობის მეტ-ნაკლები გამოვლენის თვალსაზრისით, არ აქვს მნიშვნელობა რომელიმე დათია მიღებულია დათო-ია → დათია-სგან. თუ პირდაპირ -ია ერთვის დათ ფუძეს (დათ-ია) ან მამია მიღებულია მამ-ინ-ა-სგან თუ -ია პირდაპირ ერთვის ფუძეს. ამჯერად მნიშვნელოვანია შედეგი. შედეგი კი ერთია: თანხმოვანზე დამთავრებულ ფუძეს (თუ ფუძის თანხმოვნით ნაწილს) ერთვის -ია (დათ-ია, პაულ-ია). ე.ი. ონიმში პაულია -ია დაბოლოება, რომელიც არაოდენ გრაფიკულად ემთხვევა სუფიქსს, არამედ სუფიქსადაც აღიქმება, მოსდევს სიტყვის თანხმოვნით დამთავრებულ ნაწილს.

სახელებში: დათ-ია -ია პირველადი სუფიქსია, პაულ-ია – ია დაბოლოებაა, სუფიქსად აღქმული.

რა მნიშვნელობას ვანიჭებთ ამ განსხვავებულ სტატუსს?

ქართულში არ გვაქვს თანხმოვანზე დამთავრებული სიტყვები. სიტყვა ყალიბდება ვოკალის მეშვეობით. თვით თანხმოვანფუძიან ანთროპონიმებშიც სიტყვობრივ გარსს აყალიბებს ნომინატივის -ი. ვამბობთ: ქეთევანი მოვიდა და არა ქეთევან მოვიდა. ამით იმის თქმა გვსურს, რომ დათია /პაულია სახელებში -ია ფორმანტი (სუფიქსი იქნება ის თუ სუფიქსად აღქმული დაბოლოება), სიტყვათსაწარმოებელი, კერძოდ, მაანთროპონიმებე-

---

[1] თავად –ია სუფიქსის გენეზისთან დაკავშირებით პ. ცხადაიას დამოწმებული აქვს სხვადასხვა მეცნიერის მოსაზრება, რომ –ია სუფიქსი მომდინარეობს –ინ-ა-სგან (ცხადაია, 2000, 16-17). ჩვენ არ შევეხებით ამ საკითხს. მხოლოდ ერთ მაგალითზე შევაჩერებთ ყურადღებას. მიღებული აზრის თანახმად, აპელატივი ბიძა საფუძვლად დაედო ანთროპონიმს ბიძ-ინ-ა, რის შედეგადაც მიღებულ იქნა აპელატივი ბიძ-ია. ეფიქრობთ ბიძ-ია არ უნდა მომდინარეობდეს ანთროპონიმ ბიძინა-სგან, ანუ ბიძ-ინა არ უნდა ყოფილიყო გამტარი ბიძა აპელატივიდან ბიძ-ია ფორმის წარმოსაქმნელად. ბიძა-დან ბიძ-ია-ს მიღებას არ უნდა დასჭირვებოდა ეტაპობრივი სელა. -ია სუფიქსმა გამოიწვია აპელატივის აუსლაუტის ხმოვნის კვეცა. (შდრ.: ვაჟა – ვაჟ-ია // ვაჟ-იკა; მამა – მამ-ია, პაპა – პაპუნა, დედა – დედ-ისა).

ლი დანიშნულებისაა, რადგან იგი ერთვის კონსონანტზე დასრულებულ ფუძეს და 1) წარმოქმნის სიტყვას 2) ეს სიტყვაა ანთროპონიმი 3) რა თქმა უნდა, გარკვეული ექსპრესიული დატვირთვით (კონკრეტულად რომელი, გასათვალისწინებელია დენოტატი, გარემო – სოციალური თუ კუთხური, ასევე დენოტატის საზოგადოებრივი მდგომარეობა და სხვა, რასაც საგანგებოდ ვეხებით სხვა თავში). აქ მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ თანხმოვანზე დართული -ია სუფიქსით წარმოქმნილი სახელები დასავლეთ საქართველოს რეგიონისთვის – იმერეთი, გურია, აჭარა, სამეგრელო – ერთნაირად ნიშანდობლივია. **მაგრამ -ია განსხვავებული სტატუსით წარმოგვიდგება სამეგრელოს რეგიონში. წინასწარ აღვნიშნავთ, რომ აქ -ია გამოკვეთილად კოლორიტული და ლოკალურად ნიშანდობლივი აფიქსია.** ამის განმაპირობებელი კი, ვფიქრობთ, არის გარკვეულ შემთხვევაში მისი თავისთავადობა, რას ეგულისხმობთ თავისთავადობაში?

სამეგრელოს რეგიონში -ია ხშირ შემთხვევაში არ არის სიტყვათსაწარმოებელი და მაანთროპონიმებელი ფორმანტი. იგი უკვე დასრულებულ სიტყვას თუ ანთროპონიმს ერთვის და მათგან მხოლოდ და მხოლოდ ფორმას აწარმოებს (ბურდღუ-ია, ძუკუ-ია, კოჭო-ია, ბაბა-ია). ამ კონკრეტულ ვითარებაში -ია სუფიქსი არ „ცდილობს“ მოერგოს სახელს (ე.ი. ჯერ დაიმსგავსოს ფუძის ბოლო ხმოვანი, მერე მოკვეცოს), არც -ეა კომპლექსიდანაა მიღებული (პავლე-ა → პავლი-ა). იმ შემთხვევაში, როცა -ია არ იწვევს ფონეტიკურ ცვლილებებს, არც თავადაა მიღებული ფონეტიკური ცვლილებების შედეგად. იგი არ იკარგება, არ იჩრდილება სიტყვის გარემოცვაში, პირიქით, აქცენტი სწორედ მასზეა გადატანილი, რითაც განსაკუთრებით იკვეთება ამ მაწარმოებლის ავტონომიურობა, რეგიონალურობა. მხედველობაში გვაქვს პეტრეია-კოსტაია ფორმები და არა პეტრია-კოსტია.

ე.ი. სამეგრელოს რეგიონში -ია სუფიქსს კოლორიტულობას სძენს და უნარჩუნებს ხმოვანფუძიან სახელზე დართვის ტრადიცია, რასაც ადასტურებს გვარები და აპელატივები: ცხადაია, ქაჯა-ია, თოლორა-ია, ლომა-ია... ბაბა-ია, დედა-ია, ნენე-ია, და-ია.

-ია სუფიქსის ასეთივე ავტონომიურობა იგრძნობა აგრეთვე გვარის თანხმოვანზე დამთავრებულ ნაწილზე დართვისას. ვფიქრობთ, რადგან -ია სუფიქსი გამოირჩევა ამ რეგიონის კუთვნილების სტატუსით, რეგიონალური კოლორიტულობით, იგი ანალოგიურად აღიქმება გარკვეულ თანხმოვანფუძიან კომპონენტებთანაც: შავდ-ია, ადამ-ია,ლომ-ია, ჯიქ-ია, ზერაგია.[1] სამეგრელოში -ია სუფიქსიანი გვარები თვალში საცემად სჭარბობს სხვა ამ ნიშნით (-ია) გამორჩეულ რეგიონებს (სამეგრელო – 321571; აჭარა – 13087; გურია – 11766). თეორიულად ანალოგიური ვითარებაა მოსალოდნელი საკუთრივ ანთროპონიმებშიც.

დაბოლოს, რომელიმე პეტრია, პაველია შეიძლება სამეგრელოს რეგიონშიც დომინირებდეს, მაგრამ ხმოვანზე დართული -ია, ანუ პეტრეია-პაველეია ტიპის ფორმები წმინდა მეგრული სტრუქტურის ონიმებია. ასეთად აღქმას აძლიერებს შუა საუკუნეების სამეგრელოს დოკუმენტები. აქ დაფიქსირებულია: ნატრია, მიხილია, ცოტნია ორქოშია, დათეია, ხვარაშია, სოხერდია, თოლსკუამია, კაციბაია, რუსაყია, მახუტია, ხუტკუბია, კაჭუჭია, მაშუტია, პაპიშია, თუთაშხია, ქუქუალია (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, XI-XIX სს. 1970), თუმცა აქ მეგრული სივრცისთვის თითქოს არადამახასიათებელი სუფიქსებიც დასტურდება (თანხმოვანზე დართული -ა აფიქსით): ნასყიდა, მიქელ-ა, გიორგა, მახარა, იეანა, ლომინა...

ყოველივე ზემოთ თქმულს სათანადოდ აღიქვამენ მწერლები. „<u>კოსტია</u> გახლავართ... აზნაური... იმერეთში (აკ. წერეთელი, „იმერული სცენები“). <u>კოწია</u> – 1. იმერელი აზნაურის, ქამუშაძის შვილი (დ. კლდიაშვილი); 2. გურული ყმაწვილი კაცი (ეგ. ნინოშვილი, „პარტახი“). მეორე მხრივ, გვხვდება <u>კოსთაია</u> მეგრელი კაცის სახელად (უიარაღო). ამაეე მწერალთან დას-

[1] ს. ჯანაშაიას მიხედვით გვარში მარკირებული –ია მოდის –იან სუფიქსისგან, რაც, თავის მხრივ, კრებითობის, ადამიანთა ერთობის მიმანიშნებელია და „ყველაზე კარგად იგი სვანეთშია დაცული“ (ჯანაშია, 1959, 35, 40-41).

ტურდება: **ფილუია, საბაია, ტაგუია** („მამელუკი"), **კოჭოია** (ანტ. ფურცელაძე, „მაცი ხვიტია").

ბუნებრივია, ისედაც მცირე ტერიტორიის მქონე საქართველოს რეგიონების კუთხურ ანთროპონიმიკონსა და მის ფორმებს შორის მკვეთრი სადემარკაციო ხაზის გავლება ზოგ შემთხვევაში შეუძლებელია. მით უფრო, დასავლეთ საქართველოს სამ მიჯრით მიწყობილ კუთხეს შორის. სამეგრელოს რეგიონშიც გვხვდება გურია-იმერეთის რეგიონისთვის ნიშანდობლივი პაელია ტიპის ფორმები. ისე როგორც გურია-იმერეთში – ბესოია ტიპის.[1]

საგანგებოდ უნდა გამოეყოთ ნ. დუმბაძის თხზულებები, სადაც გურიის რეალური ყოფითი სურათებია მოცემული და უხვადაა წარმოდგენილი ანთროპონიმიკონიც, ბუნებრივია, ადგილობრივი. ჩვეულ ფორმად გვხვდება ფუძის ბოლო ხმოვანზე დართული -ია სუფიქსიანი სახელები: დუტუია, ლასაია, შუტუია, ვანოია, ხოხოია, ლუკაია, ბონდოია... ალბათ ამისთანა ფორმები განაპირობა იმ ფაქტმაც, რომ გურია (და ქვემო იმერეთი), როგორც მიიჩნევენ, ზანებითაც იყო დასახლებული და, შესაძლებელია, -ია იყოს ზანურის სუბსტრატი. ეს სუფიქსი გურიაში გვარებშიცაა ასახული.

სუფიქსის მეშვეობით ემოციური ელფერის გამოხატვას ჩვენ საგანგებოდ ცალკე ვეხებით. აქ მხოლოდ ერთს დავძენთ. -ია, როგორც ყველა სხვა სუფიქსი, გამოირჩევა ემოციურობით გარკვეული პირობების შესატყვისად. -ია ერთ-ერთი დამამცირებელი ელფერის მქონე აფიქსია, თუნდაც შინაურ გარემოში გამოყენებული (ვანოია-ქეთოია ტიპი), მაგრამ დასავლეთ საქართველოს რეგიონებში (სამეგრელო-გურია) კი -ია მოფერებით ელფერს ატარებს. ამის ერთ-ერთი მიზეზი არის თვით სუფიქსის სპეციფიკური რეგიონალურობა, რის შედეგადაც -ია ზოგ შემთხვევაში, ჩვეულებრივ, არაემოციურ საუბარში ნეიტრალუ-

---

[1] მეტიც. რეალური ყოფიდან დაგვისახელეს XX ს-ის II ნახ-ში თბილისში, ვერის უბანში მცხოვრები ახალგაზრდა ვინმე ბიჭოია. ჯერ ერთი, ერთეული შემთხვევები ამინდს არ ქმნიან, მეორეც – ამ შემთხვევაში **ბიჭოიას** შესაძლებელია მეტსახელის ფუნქცია ჰქონოდა.

რი სუფიქსის ელფერსაც იღებს, შესაბამისად, ია-თი გაფორმებული სახელიც.

-ა: ეთნოგრაფიული საქართველოსთვის დამახასიათებელია -ა სუფიქსის დართვა. სახელებს -ა ერთვის: 1) აუსლაუტში თანხმოვნით დასრულებულ ფუძეზე (ნოდარ-ა, ეთერ-ა), 2) VC სუფიქსზე (იკ-ა, ელ-ა, უკ-ა, იტ-ა...) 3) -ო აფიქსზე (ოა→უა), 4) ხმოვანზე (ე,უ,ო,ი) დასრულებულ ფუძეს.

გამოვყოფთ -ა აფიქსის დართვას ი ხმოვანზე, როცა: 1. -ი ფუძისეულია (გივი-ა), ბ) -ი ნომინატივის ნიშანია (თამარ-ი-ა, მალხაზ-ი-ა). ი ხმოვანზე -ა ფორმანტის დართვა ხდება ორ-სამმარცვლიან სახელებში (თამარ-ი-ა, ბადრი-ა). **მეტმარცვლიან ფუძეებს** ნომინატივ'ში -ა სუფიქსი, უმეტესად, არ დაერთვის (ქეთევანი-ა, დარეჯანი-ა). ამ სტრუქტურის სახელებს -ა პირდაპირ ფუძეზე ერთვის.

ჩვენი დაკვირვებით, ი ხმოვანზე (ფუძისეული იქნება იგი თუ ნომინატიეის) დართული -ა სუფიქსი უფრო დასავლეთ საქართველოს რეგიონისთვისაა დამახასიათებელი, რასაც ადასტურებს, ვთქვათ, ნ. დუმბაძის თხზულებებში დამოწმებული ფორმები: ქიშვარდია, ბადრია, კიკიტია (შდრ.: იმერეთში ჭიჭიკია), მაკარია, აკაკია, ნოდარია...

თანხმოვან ფუძეზე დართული -ა, ერთი შეხედვით, აღმოსავლეთ საქართველოს რეალობისთვისაა დამახასიათებელი (ეთერა, ოთარა, არჩილა), მაგრამ, როგორც მხატერული თხზულებები ადასტურებენ, თანხმოვანზე დართული -ა სუფიქსი არანაკლებ დამახასიათებელია დასავლეთ საქართველოს კუთხეებისთვის. დავასახელებთ ნ. დუმბაძის თხზულებათა პერსონიმებს: ანზორა, ჯუმბერა, ამირანა, ბესარიონა, ბეჟანა, დარეჯანა, ილარიონა, ხარიტონა. ვფიქრობთ, დასავლეთ საქართველოს რეგიონთან შედარებით, აღმოსავლეთ საქართველოში -ა სუფიქსით გაფორმებულ თანხმოვანფუძიან ანთროპონიმებს აგდებული, დამამცირებელი ელფერი დაჰკრავთ (გამონაკლისის სახით დასავლეთშიც შეიძლება შეგვხვდეს. მაგ., ნ. დუმბაძესთან — ათანასა ნაბიჭვარი).

-ა ხშირად რთული სუფიქსის კომპონენტია: იკ-ა, ელ-ა, ოა→უა. ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, უფრო მეტად შეიძლება გაიმიჯნოს არეალები. ქართულ ლიტერატურულ თხზულებებში

დამოწმებული იმერელ პერსონაჟთა სახელებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას: -იკ-ა უფრო იმერული რეგიონისთვისაა დამახასიათებელი, ხოლო ელ-ა სუფიქსოვანი წარმოება – უფრო გურიისათვის. (დასავლეთ საქართველოსთვის დამახასიათებელია იჩ-კა სუფიქსიც), ო-ა → უა წარმოება საქართველოს აღმოსავლეთ რეგიონს ახასიათებს (მიტ-ო-ა – მიტუა). . .

საკუთარ სახელთა ელ-ა სუფიქსოვანი ფორმები თვალში საცემია ეგ. ნინოშვილის თხზულებებში. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეგ. ნინოშვილის პერსონაჟთა ხმოვანფუძიანი სახელებისათვის ნიშანდობლივია ი-ს დართვაც როგორც უსუფიქსო, ისე -ა და -ელ სუფიქსოვან სახელებზე. მაგალითად, ფოტინა-ი, სუსანა-ი, ზალიკა-ი, გულქანა-ი, ლუკა-ი, მარინა-ი, გაბრიელა-ი, მასიკ-ელ-ა-ი, ოსიკა-ეკ-ა-ი, პეტრი-ელ-ა-ი, დათ-იკ-ელ-ა-ი, გოგი-ელ-ა-ი, მარცვალა-ი, სიმონა-ი, შოში-ელ-ა-ი. . . იმერეთში შეკრებილი მასალის ანალიზის საფუძველზე ქ. ძოწენიძე წერდა: „სახელობით ბრუნვის ნიშნად ხმოვანფუძიან სახელებს, როგორც საზოგადოს, ისე საკუთარს, მეტწილად -ი მოეპოვებათო. მაგალითად დამოწმებულია ვასიკოი, ღუტუი, ეკვირინეი, ნინაი“ (ქ. ძოწენიძე, 1973,99).

საკვირველია, ამავე დროს, თვალში საცემიც, ის გარემოება, რომ იმერეთის ყოფაცხოვრების ამსახველ მწერალთა თხზულებებში ეს ფაქტი თითქმის არ აისახება. მხედველობაში გვაქვს აკ. წერეთლის, გ. წერეთლის, დ. კლდიაშვილის თხზულებები.

გურიის მკვიდრთა საკუთარ სახელებში, როგორც ამას ეგ. ნინოშვილის თხზულებები მოწმობენ, ხშირად გვხვდება ხოლმე სუფიქსები -იე // -ე (ი-ს დართვით): დარიეი, პეტრიეი, გოგიეი, კოწიეი, თინიეი, ნინიეი. იგივე მონაცემები დასტურდება ნ. დუმბაძის თხზულებებში: ლევარსი-ე, მაკარი-ე, კუჭული-ე, ნოდარ-ი-ე, სოსო-იე, შუტუ-იე. გურიისთვის ნიშანდობლივია ე ხმოვნის გამოყენება ფუძეშიც (რანეირად, გეიცნობ, ბაღანე). ნ. დუმბაძის ერთ მოთხრობაში რუსეთის იმპერატორის სახელიც კი ამ ფორმითაა წარმოდგენილი: „ნიკოლოზე რომ გადმოაგდეს ტახტიდან...“ (მე, ბებია, ილიკო და ილარიონი).

ანალოგიური მოვლენა შენიშნულია ოტ. კახაძის მიერ იმერეთის მასალაზე დაკვირვებით (ო. კახაძე, 1953, 186). აეტორი წერს: „ასიმილაციის ეს პროცესი (იაი → იე → იი) დღესაც მოქმედია ქვემო იმერეთში". **აქაც უნდა აღინიშნოს, რომ იმერეთის რეგიონის ამსახველ მწერალთა თხზულებებში ეს ფაქტი ვერ მოვიძიეთ.**

იმერეთის არეალისათვის, როგორც აღვნიშნეთ, შედარებით მეტადაა დამახასიათებელი -იკ-ა[1] სუფიქსით წარმოება. შედარებით იმიტომ, რომ იგი ოდენ ამ არეალის მახასიათებლად არ უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ თუ მწერალს სურს პერსონაჟად წარმოგვიდგინოს ნამდვილი იმერელი ტიპი, შეინიშნება, რომ მის სახელს უფრო -იკ-ა სუფიქსით აფორმებს, ვიდრე სხვა მაწარმოებლით. მაგალითად, ა.წერეთელი ხაზს უსვამს პერსონაჟის კუთხურობას, რასაც ქვესათაურშივე აფიქსირებს: „იმერლის საუბარი", „მეგრელის ნაამბობი" („იმერული სცენები"). ბუნებრივია, როცა მწერალი რეგიონალურობას უსვამს ხაზს, ეცდება, პერსონაჟის სახელიც იმ არეალის შესაბამისად გამოკეთოს. ერთ-ერთ ქვეთავში, რომელსაც „იმერელის საუბარი" ჰქვია, გამოყვანილია პერსონაჟი, რომლის იმერეთიდან წარმომავლობას შესაბამისი კოლორიტული სახელი ეძებნება. ესაა ივანიკა: „იმერელი გახლავარ, ივანიკა ხელიკიაშვილი". „მეგრელის ნაამბობში" გამოყვანილ მეგრელ კაცს, კრიმანჭულიას, კი არქმევს უტუს (შდრ.: უიარაღოსთან ძუკუ, ბეკუ, ღუტუ). პიესაში „გაიძვერები" აკ. წერეთელი, ხაზს უსვამს რა იმერელი კაცის იმერლობას, სოსიკას არქმევს მას და ეპითეტადაც სწორედ კუთხურობის მიმანიშნებელ სახელს უძებნის – **სოსიკა იმერელს** უწოდებს. საინტერესო ფაქტია, რომ ამავე პიესაში ეროვნებით უცხო, კერძოდ, სომეხ კაცს, რომელსაც სურს, ხაზი გაუსვას მეორე პერსონაჟის კუთხურ წარმომავლობას, კერძოდ, იმერლობას, ზოგადად იმერლებზე მსჯელობისას მათ

[1] იკ-ა საქართველოს მთიან რაიონებში გავრცელებულ სახელებსაც ერთვის, მაგრამ ამ ორ ფენომენს შორის დიდი ზღვარია, იქ იკა საზოგადო სახელთაგან აწარმოებს საკუთარ სახელებს (მგელიკა). ბარში კი -იკა მაკნინებელ სუფიქსად ერთვის საკუთარ სახელებს.

სწორედ საკუთარი სახელებით ახასიათებს. იმერელი კაცისაგან გალახულ სომეხს რომ ეკითხებიან, რა ერქვა შენს გამლახავსო, იგი გაბრაზებული უპასუხებს: „სახელი ყველასი ერთია. სამი სახელის მეტი არ იციან - ივანიკა, გოგია და კიკოლა,[1] მორჩა და გათავდა“. მართლაც მისი გამლახავი ზემოთ მოხსენიებული სოსიკა იმერელი (შდრ.: ივანიკა) აღოჩნდა.

საინტერესო ფაქტად გვეჩვენება ისიც, რომ პერსონაჟი გოგია, ეპითეტით გურული (გურიიდან წარმომავლობის აღსანიშნავად), ამავე პიესაში იმერელი კაცის საგანგებოდ ხაზგასმული სახელის ფორმას – სოსიკას სოსიე-დ მოაქცევს და ამობს, გაქცეულებში **სოსიეც** დაასახელესო, ან **სოსიკეი**-ს ხმარობს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ზემოთ ნათქვამს – გურიის რეგიონში საკუთარი სახელის ე / ეი სუფიქსებით ფორმირებას..

-იკ-ა სუფიქსის პროდუქტულობას იმერეთის რეგიონში სხვა მწერალთა თხზულებებიც ადასტურებს. მაგალითად, ქართლის ყოფა-ცხოვრების ამსახველი მწერლის, ეკ. გაბაშვილის, მოთხრობის („რომანი დიდ-ხევში“) ერთ პერსონაჟს ივანიკა ჰქვია. მაგრამ, როგორც ირკვევა, ამ სახელით მწერალი ხაზს უსვამს ქართლში მცხოვრები პირის სხვა კუთხიდან წარმომავლობას, კერძოდ, იმერლობას. „წუწკი იმერელი“, – ასეც მიმართაედნენ. სხვა ადგილას კი, უფრო მეტად რომ გახაზონ მისი იმერლობა, ეუბნებიან: „გიცხონდება მამაშენი ზესტაფონეო“! ამასთან, ეს მოგონილი სახელი დასავლეთ საქართველოსთვის ნიშანდობლივი –ე სუფიქსითაა გაფორმებული, ისიც შუა ქართლში. ასე რომ, ქართლში მცხოვრებ, მაგრამ ტიპობრივ იმერლად წარმოდგენილ პერსონაჟს ავტორი უწოდებს არა ივანეს, ვანუას, ვანოს... არამედ ივანიკას. ქართლში მცხოვრებ მეორე იმერელ კაცს, რომელსაც ვერ გადაეწყვიტა – წასულიყო თავის რეგიონში, თუ დარჩენილიყო, მწერალი ეპითეტიანი სახელით იხსენიებს და რქმევის ორივე კომპონენტი მისი იმერ-

[1] საგულისხმოა, რომ გ. ერისთავი „უჩინმაჩინის ქუდში“ ხელზე მოსამსახურედ გამოყვანილ იმერელ ბიჭს, რომელიც ტრაბახობს კიდეც „იმერელი ვარ სწორედო“, კიკოლა//კიკოლიკას არქმევს.

ლობის მიმანიშნებელია - ესაა ტეტ-იკ-ა იმერელი (ეკ. გაბაშვილი, „ხოლერა“). **სვიმონიკა** – ასე არქმევს ეკ. გაბაშვილი ერთ მოთხობაში („როგორ მიეგება სვიმონიკა ახალ წელიწადს“) პატარა ბიჭს, რომელიც ბიძამ იმერეთიდან ქალაქს ჩაიყვანა „წიგნის სასაწავლებლად“. გ. წერეთლის თხზულებაში „კიკოლიკი, ჩიკოლიკი, კუდაბზიკა“ გეხვდება იმერელი, სახელით **მახარიკა** ვერმიცანაძე. თვით ამ იმერელი პერსონაჟების გამოგონილ სახელებში – კიკოლიკი, ჩიკოლიკი – იკ სუფიქსის დომინირება იგრძნობა.

აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონისათვის დამახასიათებელია -უა სუფიქსიანი ანთროპონიმები (ო-ა→უა), რაც დასტურდება აღმოსავლეთ საქართველოს ყოფაცხოვრების ამსახველ მწერალთა თხზულებებში: ს. მგალობლიშვილთან – გიგუა, თათუა, ილუა, პეტრუა, ფიდუა, სოლუა... ეკ. გაბაშვილთან – შაქრუა, სანდრუა, მარუა, დარჩუა, მაშუა, გიქუა, ლექსუა, ფეფუა, თედუა... ნ. ლომოურთან – დათუა, ბერუა, კატუა... ასევე აღმოსავლური კოლორიტის შემცველია საკუთარ სახელთა შემოკლებული ფორმები: ვანო, მარო, თამრო, ილა...

გამორჩეულად კოლორიტულია -ისი სუფიქსი მთის რეგიონის ამსახველი მწერლის, ალ. ყაზბეგის, თხზულებაში, სადაც მიმართვისას გამოყენებული ეს სუფიქსი მოფერების ფუნქციითაა დატვირთული: მათიასი, ელგუჯასი, ონისეისი... ბარში ამ სუფიქსს მთიდან ჩამოსული კაციც კი პრაქტიკულად არ გამოიყენებს.

ამრიგად, განსხვავებული რეგიონის ამსახველ ქართველ მწერალთა თხზულებათა შეჯერებით ირკვევა, რომ ზოგიერთი ანთროპონიმის ოფიციალური ფორმა, განსაკუთებით მათი სუფიქსური წარმოება, მწერალს აძლევს საშუალებას, უფრო მეტად გამოყოს ესა თუ ის პერსონაჟი როგორც ამა თუ იმ რეგიონის ტომობრივი და ტიპობრივი წამომადგენელი.

თავი II

§1 ანთროპონიმთა სტრუქტურული ფორმები (ფონემატური და გრამატიკული)

ქართულ რეალურ ყოფასა თუ მხატერულ ლიტერატურულ თხზულებებში დადასტურებული საკუთარი სახელები, სტრუქტურული თვალსაზრისით, მრავალწახნაგოვანია, მით უფრო, რომ **ჩვენში დამკვიდრდა უცხოენოვანი აფიქსებით წარმოქმნილი სახელებიც.** ზოგი ანთროპონიმის ფორმობრივი ნაირსახეობა ორ ათულამდეც აღწევს: ანა//ანი//ანანო//ანანა//ანიკო//ანუკა//ანუა//ანუსია//ანუშკა//ანკა//ანჩო//ანუ ლი; ივანე//ივა//ივიკო//ევანე//ვანე//ვანა//ვანო//ვანია//ვანიკო//ვანუშკა//ვანუშკი//ვანიჩკო//ვანიჩკა//ვანიჩქა//ვანა//ვანუა//ივანია//ივანიკა//ივანიკო//ივანჩილა//ივანჩო//იოანე//იოვანე.

რუსულში, სადაც ივანე ყველაზე უფრო გავრცელებული სახელია, მისი ვარიანტების რაოდენობა გაცილებით მეტია. ლ. შჩეტინინის ცნობით, ნ. პეტროვსკის დამოწმებული აქვს ივანე სახელის 100-მდე პარალელური ფორმა და ამ რაოდენობასაც არასრულად თვლის (შჩეტინინი, 1968, 88).

პარალელურია სახელის ფორმები, რომელთაც ერთი ფუძე აქვთ. ქართულ სივრცეში დამკვიდრებული ვარიანტებიდან გამოიყო სახელის **შიდაენობრივი პარალელური ფორმები** და **საენათაშორისო პარალელური ფორმები.** შიდაენობრივი ვუწოდეთ ერთი ენის ფარგლებში გავრცელებულ ფონეტიკურ ვარიანტებს: ივანე//ვანიკო//ივა//იეიკო//ვანუა//იევანიკა... საენათაშორისო – ერთი ფუძის სხვადასხვა ენობრივ ვარიანტებს: ივანე//ივან//იოვანე//ოვანეს...

საკუთარ სახელთა პარალელურ ფორმებში გამოეყოფთ ორ ძირითად ჯგუფს. ესენია: **პირველადი წარმოების ანთროპონიმები და მეორეული წარმოების ანთროპონიმები.** თუ ამოსავლად ქართულ ენას მიეიღებთ, პავლე//პაველია//პაველუშა//პავლოს ვარიანტებში პირველადია პავლე.

ასევე პირველადია წარმოქმნილი სახელები: მონავარდისა, გმირისეული, ვეფხვია. **ანთროპონიმის პირველადობა-მეორადობის სადემარკაციო ხაზი გადის ანთროპონიმის წარმომავლობა-**

ზე. ანთროპონიმი პირველადია, თუ ის, როგორც სიტყვა, როგორც ენის ლექსიკური ერთეული, უშუალოდ მიღებულია (წარმოქმნილია) აპელატივისგან (ან სხვა მეტყველების ნაწილისგან) — დერივატის გარეშე, დერივატით თუ თხზვით (ლამაზისეული, ნუგეშა, მახარე, მზეჭაბუკი); ანთროპონიმისგან წარმოებული ანთროპონიმი კი — მეორეულია. ანთროპონიმი, მეორეულიც და პირველადიც, შეიძლება იყოს წარმოქმნილი და თხზული სიტყვა, მაგ., იმედ-ა, ვაჟ-ა წარმოქმნილი სახელებია, მაგრამ აპელატივთაგან, ამდენად ისინი პირველადი ონიმებია. აქედან გამომდინარე, ზედმეტია ამ სახელთა ემოციურ ელფერზე საუბარი (ვთქვათ, კნინობით-მოფერებითი). ე.ი. ანთროპონიმთა სტრუქტურულ კლასიფიკაციას საფუძვლად დაედება, ერთი მხრივ, აპელატივის... ანთროპონიმად მოქცევა, მეორე მხრივ, პირველადი მოქცეულისაგან ისევ ანთროპონიმული ვარიანტების (პარალელური სახელების) მიღება. ამ კლასიფიკაციით, საკუთარ სახელთა ნაირფეროვანი სტრუქტურული ფორმები ორ დიდ ჯგუფად დაიყო.

I. პირველადი წარმოების ანთროპონიმები, ანუ **პირველადი საკუთარი სახელები;**

II. მეორეული წარმოების ანთროპონიმები, ანუ **მეორეული საკუთარი სახელები.**

ანთროპონიმთა სტრუქტურული კლასიფიკაციის წარმოდგენამდე, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაირკვეს იმ სახელთა სტატუსი, იმ სახელთა პირველადობა- მეორადობა, რომლებშიც მარკირებულია გენიტივის ნიშანი **-ის**. უფრო ზუსტად, უნდა გაირკვეს თავად **-ის სუფიქსის ფუნქცია**. სპეციალურ ლიტერატურაში ეს საკითხი, გარკვეულწილად, მსჯელობის საგნად იქცა. გენიტივის აფიქსს განსაკუთრებულ შემთხვევებში განიხილავენ წარმოქმნის აფიქსად. აკ. დავითიანი წერს: გრამატიკულ ლიტერატურაში „აღიარებენ ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის სადერივაციო მნიშვნელობასო“ და მოჰყავს ანტონ კიზირიას სიტყვები: „ტერმინი „მართულ-შეთანხმებული“ პირობითია. ამ სახის განსაზღვრებისათვის შეიძლება დერივაციული განსაზღვრება გვეწოდებინა (დავითიანი, 1972, 281). თ. უთურგაიძე პრეპოზიციულ

სინტაგმაში „მეგობრის-0 წიგნ-ი“ კომპონენტს „-ის“ თვლის წარმოქმნის ელემენტად (ჭუთურგაიძე, 1986, 128).

ჩვენ არ შევეხებით საკითხს, პრეპოზიციურ წყობაში მართული მსაზღვრელის „ის“ რამდენად არის წარმოქმნის აფიქსი. მაგრამ ასედაც რომ იყოს, ეს პოზიცია ვერ მოახდენს გავლენას მართული მსაზღვრელის შემცველი საკუთარი სახელების კვალიფიკაციაზე პრეპოზიციური წყობისას, კერძოდ, მის მეორეულ თუ პირველადს ონიმთა კლასში ჩართვაზე — შემდეგი მიზეზით: ონიმები გულისვარდი და დედისიმედი მიღებულია ორაპელატივიანი სინტაგმიდან (გულის ვარდი, დედის იმედი) მაანთროპონიმებელი აფიქსის გარეშე. სინტაგმის გასაკუთარსახელება ვიზუალურად ელინდება ორთოგრაფიით: აპელატივთა ერთად დაწერილობით. სინტაგმის გაანთროპონიმებაში არავითარ მონაწილეობას არ იღებს მართული სიტყვის გენიტივის ნიშანი -ის, მისი დერივატობაც რომ ვაღიაროთ. თხზულ სიტყვაში -ის მხოლოდ პირველი კომპონენტის (მართული მსაზღვრელის) ლოკალური აფიქსია. ამ პოზიციიდან გამომდინარე, ორსიტყვიანი მსაზღვრელ-საზღვრულისგან მიღებულ ერთსიტყვიან მსაზღვრელ-საზღვრულს ვთვლით უაფიქსოდ გაანთროპონიმებულ საკუთარ სახელად (მხედველობაში გვაქვს მართულმსაზღვრელიანი სინტაგმის პრეპოზიციური წყობა). აპელატივთა უაფიქსო ონიმიზაცია ამ თხზულ სახელს პირველადს სახელთა ჯგუფში მიუჩენს ადგილს. ამდენად, პირველადი ანთროპონიმებია შემდეგი კომპოზიტები: გულისვარდი (< გულის ვარდი), მზეთამზე (< მზეთა მზე)... თავის მხრივ, პირველადი წარმოების ამ თხზულ ონიმებს მეორად სახელებად აქცევს აუსლაუტში (და არა მის პირველ კომპონენტთან) მარკირებული დერივატი: დედისიმედ-ი > დედისიმედ-ა. ამავე რიგისაა ზმნურკომპონენტიანი თხზული ონიმები, ვთქვათ, ღვთისავარი > ღვთისავარ-ა (< ღვთისა ვარ).

ის(ა) სუფიქსი ერთსიტყვიან და პოსტპოზიციური წყობის თხზულ ანთროპონიმებში. სახელდების ამ ორი ტიპის მოდელში **-ის(ა)** აუსლაუტშია მარკირებული და სხვა სტატუსით გვევლინება; კერძოდ, ერთფუძიან აპელატივთა გაონიმებას ხელს უწყობს აუსლაუტში დართული -ის(ა) ფორმანტის ნაგენიტივარ

აფიქსად ქცევა, რაც მას ახალ კვალიფიკაციას სძენს – ესაა წარმოქმნის ფუნქცია, რადგან აპელატივის ბაზაზე წარმოქმნის ანთროპონიმს: მთვარე > მთვარ-ისა, ბედი > ბედ-ისა... ამავე მოქმედებისაა -ის სუფიქსი ისეთ თხზულ ონიმებში, რომელთა შემცველი სინტაგმა პოსტპოზიციური წყობისაა. ამ შემთხვევაში სუბსტანტიური მსაზღვრელის -ის აფიქსი საერცობი -ა-ს მონაწილეობით ხელშესახებად გვეელინება წარმოქმნის აფიქსის ამპლუაში:

მართლის გული > გული მართლის > გულმართლ-ის-ა, გულმართლ-ის-ა-მ...

ვარდის მონა > მონა ვარდის > მონავარდ-ის-ა, მონავარდ-ის-ა-მ...

საგულისხმოა თ. უთურგაიძის მოსაზრება ერთფუძიან და პოსტპოზიციური წყობის ონიმებში გენიტივის ნიშანთან დაკავშირებით. იგი საგანგებოდ მსჯელობს ფლექსიურ და დერივაციულ ელემენტთა მსგავსებასა და წარმომაელობაზე და იმ დეტალებზე, „რომლებიც განაპირობებენ ერთი და იმავე სეგმენტის განსხვავებული ფუნქციით გამოყენებას ენის სხვადასხვა სტრატუმში“ (უთურგაიძე, 1986, 121). აქვე ნათქვამია, რომ **ორი სეგმენტიდან, რომლებიც მორფოლოგიურ სისტემაში ბრუნვის ნიშნის ფუნქციით იყვნენ წარმოდგენილი, ფუძესთან უახლოესი წარმოქმნის ელემენტად მოიქცევა, რადგან „ბრუნვის ნიშნები სახელის ფორმაში ერთიმეორეს არ მოსდევენ“** (ხაზგასმა ჩვენია, ქ.გ.).

დავასახელოთ, ვთქვათ, ბედისა (ნულოვანი ალომორფით): მოთხრ. ბრ-ში: ბედ-ის-ა-მ, მიც-ში: ბედ-ის-ა-ს – ორი სეგმენტიდან ფუძესთან უახლოესი, ე.ი. **-ის** იძენს წარმოქმნის ფუნქციას. ანალოგიურია: ლამაზ-ის-ეულ-ი, დედისა.. და აპელატივიდან გენიტივის აფიქსით წარმოქმნილი ყველა სახელი. **ამ ტიპის სახელები წარმოქმნილი პირველადი ონიმებია,** რადგან აუსლაუტში მარკირებული **-ის**(ა) ონიმებს წარმოქმნის ერთფუძიანი თუ პოსტპოზიციური წყობის თხზული აპელატივებიდან.

დავუბრუნდეთ პირველადი და მეორეული ანთროპონიმების სტრუქტურასა და მათს კლასიფიკაციას. ანთროპონიმთა

სტრუქტურულ კლასიფიკაციას შევუთავსებთ მათსაევე სემანტიკურ მხარეს.

პირველადი საკუთარი სახელები მოიცავს ორ კლასს: **უაფიქსოდ** გაონიმებულ და **აფიქსით** გაონიმებულ:

1. მარტივფუძიან სიტყვებს და **2. თხზულფუძიან** სიტყვებს

ს ტ ე ნ ა A-1

უაფიქსოდ გაონიმებული **1. მარტივფუძიანი პირველადი ონიმები –**

სემანტიკადაუბინდავი:

* სახელები *(ია, ბიჭი... ტურფა... ჯოლორია, ობიშხია);*
* *ზმნები (გამახელა, მახარე... მოკონა, გოკურცხია);*
* *სახელ ზმნები (წყალობა, ხარება...).*

სემანტიკადაბინდული:

* *ძუკუ, ზეზვა, გოჩა ტიპის ქართველური საკუთარი სახელები;*
* *მარცვალთგაორკეცებით მიღებული (ზაზა, დოდო, ტატა, ლულუ);*
* *უცხოენოვანი სახელები (კალენდარული,აღმოსაელური).* [1]

ს ტ ე ნ ა A-2

უაფიქსოდ გაონიმებული **2. რთულფუძიანი პირველადი ონიმები**

სემანტიკადაუბინდავი *კომპოზიტები:*

* *მსაზღვრელ-საზღვრული – პრეპოზიციური და პოსტპოზიციური წყობით;*
* *ნომინატივში მდგომი აპელატივებით (მზეჭაბუკი);*
* *ზმნურკომპონენტიანი (ღვთისაეარი, მისოკოდი);*
* *აბრევიირებული კომპონენტებით (დაზმირა...) და ა.შ.*

---

[1] ქართულ ენის ყალიბში მოქცეული უცხოენოვანი სახელები ითვლებიან სტრუქტურულად მარტივ, ერთფუძიან, უაფიქსო და უსემანტიკო სიტყვებად, თორემ ცნობილია, რომ დემეტრე ბერძნული სახელია და ნიშნავს „მიწის მუშას“, ასევე ითარგმნება სხვა სახელებიც: აბესალომ (ებრ.) – „მამა მშვიდობისა“, ზაქარია (ებრ.) – „ღმერთს ახსოვს“, აქვე შემოვა დედაენაშივე მარტივფუძიანი სახელები: პეტრე (კლდე), თადეოზ (ბრძენი)...

ს ძ ე მ ა B

აფიქსით გაონიმებული **1. მარტივფუძიანი პირველადი ონიმები —**


***** *აპელატივები (შუქია, მგელა, დედისა, ლომისეული, ორქოია, მარტიშია, ილდაფხ);*

***** *ზმნები და უდეტრები (გაჭირდია, ეცადია, გეიანა).*

აფიქსით გაონიმებული **2. თხზულფუძიანი პირველადი ონიმები —**


***** *თხზული სიტყვები ნებისმიერი კომპონენტით (მზექალა, ჯგერგეშია, ვალურია).*

ს ქ ე მ ა A-1




შენიშვნა: ბათუ „ბართლომეს შემოკლებულ ფორმად ითელება... თუმცა იგი წარმოშობით დამოუკიდებელი სახელია“ (ჭუმბურიძე, 1971, 60).

ს ქ ე მ ა A-2


პირველადი საკუთარი სახელები
უაფიქსოდ გაონიმებული
მარტივფუძიანი იხ. სქემა– A
2. რთულფუძიანი
სემანტიკადაუბინდავი
სემანტიკადა-დაბინდული
სემანტიკადა-უბინდავი
აპელატივებით ნომინატიეში
ზმნურკომ-პონენტიანი
მსაზღვრელ-საზღვრული
მზეჭაბუკი
მზეხათუთა
იაია
იამზე
მზეინარი
ვარდისახარი
გულსუნდა
ღვთისავარი
ატრიბუტული
სუბსტანტიური
პრეპოზიციული / პოსტპოზიციური
ბატარქალი
თეთრაქალი
გულნაზი
აბრევიირებული
დაზმირა
ზამირა
მელორი
პრეპოზიციული
დედისიმედი
გულისყარდი
პირთამზე
ლომ(ის)გული
პოსტპოზიციური
მონავარდისა
პირიმზისა
პირიმთვარის

ს ძ ე ბ ა ბ


პირველადი საკუთარი სახელები
აფიქსით გაონიმებული
მარტივფუძიანი
რთულფუძიანი
მზექალა
მზეჭაბუკა
პატარქალა
ღვთისავარა
მზევინარა
აპელატივები
ნათელა
ლელა
შუქია
ფიქრია
მგელა
იმედა
ვაჟა
ძაღლიკა
მგელიკა
ლომისეული
მოწყალისეული
ლამაზისეული
გმირისეული
მთვარისა
დედისა
მამისა
ბედისა
ზმნები/ უდეტრები
გაჭირდია
ეცადია
გვიანა

მეორეული წარმოების საკუთარ სახელთა პირველსახე პირველადი ანთროპონიმებია.

ამ კლასში **წარმოქმნილ ანთროპონიმთა** ძირითადად სამი ჯგუფი გამოიყო:

ანთროპონიმთა შემოკლებული ფორმები – უაფიქსოდ (ნიკო);
ანთროპონიმთა შემოკლებული ფორმები – აფიქსით (დათ-ო);
ანთროპონიმთა პირველადი ფორმები – აფიქსით (დავით-ა,);

შემოკლებული სახელები. სახელთა შემოკლების ძირითადად სამი გზა არსებობს:

აპოკოპა (აპოკოპე) – ონიმის აბსოლუტურ ბოლოში ფონემის ან ფონემათა ჯგუფის მოკვეცა. აპოკოპირებული სახელი მოიცავს ძირითადი სახელის საწყის ბგერებს: ლუარსაბ > ლუა, გიორგი > გიო, მარიამ > მარი, ავთანდილი > ავთო, თინათინი > თინა, ეკატერინე > ეკა.

აფერეზისი – ონიმის თავკიდურ ფონემათა მოკვეცა: ელგუჯა > გუჯა, აკაკი > კაკი... აფერეზისი ნაკლებ პროდუქტიული პროცესია ქართულში.

სინკოპა (სინკოპე) გულისხმობს ფონემის ან ფონემათა ჯგუფის ამოღებას ფუძიდან: თევდორე > თედო, არჩილი > აჩი, კონსტანტინე > კოტე.

შემოკლებული სახელები აფიქსით: სახელთა შემოკლების შედეგად თუ აუსლაუტში კონსონანტია, იგი მოითხოვს მაანთროპონიმებელ აფიქსს.

აპოკოპა აფიქსით: ქეთევან > ქეთ-ო / ქეთ-უთა /ქეთ-ი, ოთარ > ოთ-უნა, მიხეილი > მიხ-ო, შალვა > შალ-იკო, ნიკოლოზი > ნიკ-უშა. თინათინი > თ-იკო/თ-უნა.

აფერეზისი აფიქსით: იაკობ > კობ-ა, ალექსანდრე > სანდრ-ო.

სინკოპა აფიქსით: არჩილი > აჩ-ო, პაატა > პატ-იკო, დიმიტრი > დიტო, თამაზი > თაზო, ირაკლი > იკ-ა.

მეორეული **საკუთარი სახელები** – შემოკლებულიც და არაშემოკლებულიც, აფიქსიანიც და უაფიქსოც – ქმნიან სახელთა ნაირ ფორმებს. მათი ერთ-ერთი ძირითადი დანიშნულებაა სახელისთვის გამომსახველობის მინიჭება. არა მხოლოდ

პირველადს სახელს აქვს სხვადასხვა, ეთქვათ, სოციალური დატვირთვა (მაგალითად, პელაგია და ქეთევანი), არამედ, უპირველესად, ერთი შეხედვით, თვით უშინაარსო და უმეტყველო აფიქსებს. აფიქსები, ეს უსემანტიკო ბგერათა კომპლექსები, შეიცავენ გარკვეულ ინფორმაციას, რასაც ანთროპონიმზე დართვისას ავლენენ, მაგრამ **ონიმის ფორმისა და მისით სახელდებული პირის მდგომარეობის გათვალისწინებით.** ანთროპონიმების აფიქსური ნაწილით ვიგებთ დენოტატის სოციალურ, ეროვნულ, ასაკობრივ მდგომარეობას, მის მიმართებას ამა თუ იმ რეგიონთან, რაც სუფიქსს, გარკვეულწილად, სძენს ემოციური ელფერის გამოხატვის ფუნქციას.

სანამ უშუალოდ შევეხებით საკითხს – **სუფიქსი და ონიმის სუბიექტურ-ემოციური ელფერი** – განვიხილავთ ემოციური ელფერის გამომხატველ ტერმინებს.

§2 ონომასტიკურ ტერმინთათვის ი.ტერმენ ჰიპოკორისტიკის დავიწროებისათვის

ჰიპოკორისტიკა და **დემინუტივი** ონომასტიკურ ლიტერატურაში დამკვიდრებული ტერმინებია. მიუხედავად მათი ფუნქციონირების ათეული წლებისა, დღემდე არ არის ერთიანი აზრი იმის შესახებ, თუ რა სახის ონიმები უნდა იგულისხმებოდეს ამ ტერმინებით.

ნ. პოდოლსკაიას ონომასტიკურ ლექსიკონში ჰიპოკორისტიკა განმარტებულია, როგორც: 1) სახელის შემოკლებული ფორმა (имя, имеющее сокращенную форму основы). გარდა ამისა, 2) «Уменьшительное или ласкательное имя» (პოდოლსკაია, 1978, 11, 70), ეს უკანასკნელი კი ამავე ლექსიკონში სახელდებულია დემინუტივადაც. ხოლო ყველა სახის ემოციური ელფერის აღმნიშვნელად ავტორს შემოაქვს ზოგადი ტერმინი **კვალიტატივი** თავისი კერძოობითი სახეებით: დემინუტივი, პეიორატივი, აუგმენტატივი, მელიორატივი (პოდოლსკაია, 1978, 11).[1] პ. ცხადაიას „ონომასტიკურ ტერ-

[1] აქვე დავიმოწმებთ მათს დეფინიციებს: **აუგმენტატიური სახელი** – ესაა კვალიტატივის სახეობა, რომელსაც მეტისმეტად

მინთა განმარტებითი ლექსიკონი“ წარმოადგენს ონომასტიკურ ლიტერატურაში არსებულ ტერმინთა კრებულს, ძირითადად, ეჭ-რდნობა ნ. პოდოლსკაიას „რუსული ონომასტიკური ტერმინოლო-გიის ლექსიკონს“, ბუნებრივია, ტერმინთა იმგვარი დეფინიციით, როგორიც ფეხმოკიდებულია მეცნიერების ამ დარგში. ამიტომ აქაც ჰიპოკორისტიკული სახელის განსაზღვრა მოიცავს ორ ას-პექტს: ა) ჰიპოკორისტიკულ სახელად მიჩნეულია შემოკლებული სახელები (ფუძის შემოკლება ან ორფუძიანი სახელისათვის ერთი ფუძის მოკვეცა); ბ) ჰიპოკორისტიკული სახელი იგივეა, რაც დემი-ნუტიური, ე.ი. კნინობით-მოფერებითი სახელი (ცხადაია, 1988, 136). ამ და სქოლიოში წარმოდგენილ ტერმინებთან დაკავშირე-ბით პ. ცხადაია დასძენს: „აღნიშნული ტერმინები თუმცა მარჯვე და მისაღები ჩანს, მაგრამ მაინც ძნელია მათი **მომავლის** პროგ-ნოზირება“ (ცხადაია, 1988, 7). ა. სუპერანსკაია მიუთითებს, რომ ეს ფაქტები არასაკმარისადაა შესწავლილი უცხოეთშიც. თვით მარუზოს ცნობილ ლინგვისტურ ტერმინთა ლექსიკონში (1960) ეს ტერმინები არ არის შეტანილი.

ჰიპოკორისტიკა – ამ ტერმინის ტრადიციულად მიღებულ დეფინაციაში, როგორც დავინახეთ, თავს იყრის ორი ასპექტი: **სტრუქტურული** და **სემანტიკური** (უფრო ზუსტად, ემოციურ-ექ-

---

შემაშინებელი და დამაფრთხობელი ელფერი დაჰკრავს. ესაა რუსულში -ще/-ща სუფიქსდართული ანთროპონიმები: Иванище, Варварища... იქვე მითითებულია, რომ ამ ტიპის სახელები პოეტური ანთროპონიმებია (პოდოლსკაია, 1978, 70). **დემინუტიური სახელი – ესაა კვალიტატივის სახეობა მოფერებით-შეკნინებელი ელფერით, ე.ი. დემინუტივში ერთად იგულისხმება კნინობითი და მოფერებითი სახელები.** ლექსიკონში ცალკე გამოტანილ მოფერებით სახელზე მინიშნებულია: „იხ. დემინუტიური სახელი“ (პოდოლსკაია, 74). ასევეა მითითებული ცალკე გატანილ ტერმინზე – კნინობითი (ნ. პოდოლსკაია, 154). **პერიორატიული სახელი** – ესაა კვალიტატივის სახეობა უპატივცემულობის დამამცირებელი (დამამდაბლებელი, გამაწბილებელი) ელფერით (Ульяшка, Увдокишка...); **მელიორატიული სახელი** – ესაა ამაღლებული, განმადიდებელი (Петр Великий, Вячеслав – Вящая Слава).

სპრესიული). მაგრამ ეს ორი ასპექტი ორი განსხვავებული მოვლენაა, განსხვავებული თვისებაა სახელისა, რაზედაც საგანგებოდ ჩერდება ა. სუპერანსკაია. მისი სიტყვებით, საკითხის არასაკმარისი წედომა იგრძნობა შემოკლებული და მოფერებითი სახელების გამიჯვნისას. მკვლევარი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ტერმინში „კნინობით-მოფერებითი" იგულისხმება მოლაპარაკის სუბიექტური განწყობა ამა თუ იმ პირის მიმართ. ამიტომ ამ პროცესის აღმნიშვნელი ტერმინი არ გამოდგება სახელთა შემოკლების აღსანიშნადაც, რადგან «**Сокращение имен** – это прежде всего процесс структурный, морфологический и вполне объективный, **в то время, как субъективная оценка** – это фактор совершенно иного плана, плана эмоционального, психологического и всегда субъективного» (სუპერანსკაია, 1969, 127). ამასთან, ავტორი დასძენს, რომ ევროპელი მეცნიერები შესანიშნავად გრძნობენ სხვაობას შემოკლებულ და მოფერებით სახელებს შორის, მაგრამ ვერ მოუძებნიათ საერთო ენა ერთიანი ტერმინოლოგიის შესამუშავებლად. კერძოდ, პოლონელი ონომასტები (ე. კურილოვიჩი, ს. როსპონდი) შემოკლებულ სახელებს უწოდებენ ჰიპოკორისტიკას, მოფერებითს – დემინუტივს; ჩეხური (ი. სვობოდა) და გერმანული სკოლის (ტ. ვიტკოვსკი) წარმომადგენლები „ტოლობის ნიშანს სვამენ ჰიპოკორისტიკასა და დემინუტივს შორის. ამავე დროს, მათ მიერვეა გამიჯნული, ერთი მხრივ, შემოკლებული სახელები (Kurznamen) და, მეორე მხრივ, მოფერებითი (Kosennamen; იქვე, 128-129).

ო. ახმანოვას „ლინგვისტურ ტერმინთა ლექსიკონში" **ჰიპოკორისტიკული** მიჩნეულია მოფერებითობის გამომხატველად («То же, что ласкательный»), დემინუტივი კი ჰიპოკორისტიკასთან დაწყვილებულად განმარტებულია როგორც დემინუტიურ-ჰიპოკორისტიკული ფორმა სახელისა, კერძოდ, «уменьшительно-ласкательная форма». აქვე იკვეთება, რომ ტერმინ დემინუტივით აღინიშნება შემოკლებული სახელებიც (ახმანოვა, 1966, 100, 175), ე.ი. აქ დემინუტივი და ჰიპოკორისტიკა თითქმის სინონიმებადაა მიჩნეული.

როგორც ირკვევა, ონომასტიკურ ლიტერატურაში აშკარაა აზრთა სხვადასხვაობა ამ ორ ტერმინთან – **ჰიპოკორისტიკა და დემინუტივი** – დაკავშირებით.

კიდეე ერთი მოვლენაა აღსანიშნი: პოლონური დემინუტივები (მოფერებითი) წარმოიქმნებიან «только на базе усеченных основ» (სუპერანსკაია, 1969, 129). მიუხედავად ასეთი თანხვედრისა, საინტერესოა, რომ პოლონელი ონომასტები მაინც მიჯნავენ ერთმანეთისაგან ამ ორ მოვლენას – შემოკლებასა და სუბიექტურ-ემოციურ ელფერს, თუმცა პირიქით კი უნდა მომხდარიყო. ობიექტურად არსებული ვითარების გათვალისწინებით, ეს ტერმინები თითქოს სწორედ მათთან უნდა ყოფილიყო გაიგივებული და ერთცნებიან კომპოზიტად წარმოდგენილი მაგრამ – არა. აქ თითოეული ტერმინი არსებობს მხოლოდ თავისი ფუნქციით (როგორც ზემოთ მივუთითეთ, შემოკლებულ სახელებს აღნიშნავენ ტერმინ ჰიპოკორისტიკით, მოფერებითს – დემინუტივით).

ზემოთ წარმოდგენილი ბუნდოვანი ვითარების ფონზე გასარკვევია, თუ რამდენად დასაშვებია:

ა) სიტყვა ჰიპოკორისტიკა თავისი სემანტიკური არსით გამოხატავდეს სახელთა შემოკლების პროცესს;

ბ) იმავდროულად, ჰიპოკორისტიკისა და დემინუტივის წარმოდგენა ერთი ოდენობის აღმნიშვნელ სინონიმებად[1];

გ) რამდენად შეესატყვისება ეს ტერმინები მათ მიერ ნაგულისხმებ ონომასტურ მოვლენებს.

აღნიშნულ საკითხთა განხილვა საჭიროებს სიტყვა „ტერმინის“ არსის დაზუსტებას.

---

[1]მათი სინონიმური მიმართების აღნიშვნისას მხედველობაში გვაქვს ამ ორი ცნების ნაწილობრივი სინონიმურობა. კერძოდ, თუ რომელიმე პოზიციით პიპოკორისტიკა და დემინუტივი მიიჩნევა სინონიმებად, ხაზი უნდა გაესვას ამ სიტყვის (სინონიმი) ნაწილობრივ გააზრებას, რადგან პიპოკორისტიკას, გარდა სუბიექტურ-ემოციური შეფერილობისა (კნინობა-ალერსობის გამოხატვა), იყენებენ შემოკლებულ სახელთა აღსანიშნადაც.

ო. ახმანოვას „ლინგვისტურ ტერმინთა ლექსიკონში“ აპელატივი „ტერმინი“ განსაზღვრულია როგორც სპეციალური ცნების ზუსტად ამსახველი სიტყვა (ახმანოვა, 1966, გვ. 474). ნ. პოდოლსკაიას ლექსიკონში აღნიშნულია, რომ „ტერმინი“ უნდა გამოხატავდეს სამეცნიერო ცნებასთან უშუალო შესიტყვებას ან ემსახურებოდეს მის ზუსტ გამოსახვას. აქვე გამოკვეთილია ტერმინის სამი ფუნქცია: სიგნიფიკატური, ნომინატიური, დეფინიციური (ი. პოდოლსკაია, 1978, 132). ამ სამი ფუნქციიდან ჩვენ მიერ დასაზუსტებელ ტერმინებში (ჰიპოკორისტიკა, დემინუტივი...) გვაინტერესებს სიგნიფიკატური ფუნქციის რელევანტურობა. გავიხსენოთ: ტერმინად მიჩნეული სიტყვა უნდა გამოხატავდეს მოვლენის არსს – ეს არის მისი სიგნიფიკატური, ანუ მადიფერენცირებელი ფუნქცია.

ჯერ შევჩერდეთ პიპოკორისტიკის განსაზღვრების პირველ ასპექტზე – ესაა ჰიპოკორისტიკა როგორც სახელთა შემოკლების ამსახველი ტერმინი, როგორადაც იგი მიჩნეულია მეცნიერთა ერთი ნაწილის, ეთქვათ, პოდოლსკაიას და პოლონელი ლინგვისტების მიერ.

ტერმინ **ჰიპოკორისტიკის** ამოსავლად თუ ჩავთვლით **hipo**-ს, მივალთ შემდეგ მოსაზრებამდე: ქართულ და რუსულ ენციკლოპედიებში (და სხვა სიტყვარებშიც) მითითებულია ამ სიტყვის (ჰიპო) ბერძნული წარმომომავლობა, რაც ი'შიფრება ასე – დაბლა, ქვევით. იგი „რთული სიტყვის ნაწილია და მიუთითებს ნორმასთან შედარებით დაქვეითებაზე“, „რამის ქვეშ მდგომარეობაზე“ (ნ. პოდოლსკაია, 1978, 132). რა იგულისხმება აპელატივში **ნორმა** – ონიმის სტრუქტურული მოდელი თუ სოციალური? ვფიქრობთ – ორივე. ამიტომ დამდაბლება-დაქვეითება, „რამის ქვეშ მდგომარეობა“ უპირველესად მიგვანიშნებს ნორმად მიჩნეული ფორმის სახეცვლილებაზე, კერძოდ – ერთი ონიმის სხვა სტრუქტურულ მოდელზე, რომელიც შესაძლოა შეიცავდეს (იწვევდეს) ემოციურ დატვირთვასაც. მაგრამ რომელს? შემოკლებული სახელები მოფერებითიც არის და დამცირებითიც. მეცნიერებაში მიღებული დეფინიციით, ჰიპოკორისტიკაში, გარდა შემოკლებისა, მოფერებითობა (მხოლოდ) მოიაზრება. ვფიქრობთ, არაადეკვატურია, ნორმის დაქვეითების მიმანიშნებელი ტერმინი ცალსახად მოფერებითობის ცნებას მოიცავდეს. „რამის ქვეშ მყოფობას“ დამცრობით ელფერთანაც მივყავართ, მაგრამ ამაზე არ ამახვილებენ

ყურადღებას. ჰიპოკორისტიკისთვის მხოლოდ მოფერებითი ელფერის მინიჭებით, ვფიქრობთ, სრულად არ იკვეთება ტერმინის ემოციური დატვირთვის ასპექტი. რაც შეეხება შემოკლებას, ეს ტერმინი ცალსახად ორიენტირებულია სახელთა შემოკლების პროცესზე (არ გამოვრიცხავთ ტერმინის სხვაგვარ, უფრო გლობალურ ანალიზსაც).

2. ჰიპოკორისტიკა არ გამოდგება არც დემინუტივის სინონიმად.

3. თავის მხრივ, დასაზუსტებელია ტერმინ დემინუტივის დეფინიცია. გადასინჯვას საჭიროებს მისი არსი, რომელშიც ექცევა დენოტატის მიმართ სუბიექტური განწყობის გამოხატვის ორი განსხვავებული ფორმა – მოფერებითობა და კნინობითობა.

სახელის ერთი ფორმით მოფერებისა და კნინობის, მეტიც, დამცირების გამოხატვა კი შეუთავსებელია.

4. უნდა დავიწროვდეს ტერმინ დემინუტივის (ე.წ. კნინობითობა-მოფერებითობის) ცნება.

II. ტერმინ დემინუტივის დაზუსტებისათვის

კნინობით-მოფერებითი და კნინობით-დამცირებითი ანთროპონიმები. ტერმინ „დემინუტივის" არსის დაკონკრეტება მოითხოვს ერთი მნიშვნელოვანი, ვფიქრობთ, აქამდე დასაზუსტებელი საკითხის განხილვას. კერძოდ, ონომასტიკურ ლიტერატურაში დამკვიდრებული ორი ცნება-ტერმინის (კნონიბითმოფერებითისა და კნინობით- დამცირებითის) გადასინჯვას. დემინუტივი ევროპელი და რუსი ონომასტების მიერ ერთხმად აღიარებულია მაკნინებელ-ალერსობითი (уменьшительно-ласкательное) შეფერილობის გამომხატველ ტერმინად. ა. სუპერანსკაია ამას უწოდებს დაუნაწევრებელ კომპლექსს. იგი იმოწმებს გ. ჩერნიშევის ნაშრომს (Русские уменьшительно-ласкательные имена) და შენიშვნის სახით დასძენს, რომ ავტორი სახელის არასაპასპორტო ფორმებს იხსენიებს «нерасчленённым комплексом – уменьшительно-ласкательным» (სუპერანსკაია, 1969, 127). ეს ტერმინი (დემინუტივი) ამ გაგებითაა დამკვიდრებული ქართულ ონომასტიკაშიც. **იბადება კითხვა: რამდენად დასაშვე-**

ბია ტერმინი კნინობით-მოფერებითი (თუნდაც კნინობით-დამცირებითი) გამოყენებულ იქნეს ონიმის ერთი კონკრეტული ფორმის შესაფასებლად. ვფიქრობთ, სიზუსტის დაცვის მიზნით, ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს განსხვავებული შინაარსის გამომხატველი ეს აპელატივები – ერთი მხრივ, მოფერებითი და კნინობითი, მეორე მხრივ, დამცირებითი და კნინობითი.

1. **მოფერებითი და კნინობითი.** აპელატივი „კნინობა" ცალსახად დამცირების აღმნიშვნელი სიტყვაა, რაც აშკარად უპირისპირდება მოფერება-ალერსობის ცნებას. ამ ორი სხვადასხვა განწყობის მიმანიშნებელი სიტყვის გრაფიკულად დეფინით გამოხატვა უფრო ერთცნებიან კომპოზიტს უახლოვდება, ვიდრე ორცნებიანს, რადგან ტერმინით „კნინობით-მოფერებითი" ერთ მოვლენას აღნიშნავენ და არა – ორს. მით უფრო, იგივე ითქმის ტერმინ კნინობით-დამცირებითზეც.

ნ. პოდოლსკაიას ლექსიკონში (პოდოლსკაია, 1978. 71) «Деминутивное имя» განმარტებულია, როგორც «Вид квалитатива. Имя с ласкательно-уменьшительным оттенком значения». მაგალითებად დამოწმებულია: «Васенька, Васильчек»... ქართულ ონომასტიკურ ლიტერატურაში კი ამ ტიპის ონიმებად მიჩნეულია ფორმები: სოფიკო, ვალიკო, დათუკა, ავთო, კახო... (ალ. ღლონტი, პ. ცხადაია, შ. აფრიდონიძე). რუსული სახელების აქ დამოწმებულ ნიმუშებს, ვფიქრობთ, უფრო შეესატყვისება უკანასკნელ დროს მასიურად მოქმედი: ქეთკა, რუსკა, ნათკა, მანჩო... თუმცა აქ წარმოდგენილი ქართული ფორმების **(ასევე რუსული ფორმების)** არც ერთ ჯგუფში არ ჩანს კნინობა. კნინობა და ალერსობით-მოფერებითობა სხვადასხვა ცნებებია და უდაოდ საჭიროა მათი გამიჯვნა, რის შედეგადაც გასარკვევი იქნება – რომელი მოვლენის აღმნიშვნელად დარჩება **დემინუტივი** – კნინობის თუ მოფერებითობის? აპელატივი deminutivus ლათინური სიტყვაა და „ლათინურ-ქართულ ლექსიკონში" ასეა განმარტებული – „დამამცირებელი" (გრამ. კნინობითი სახელი). თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ დამცირება შორს დგას ალერსობისაგან, უფრო მეტიც, მისი ანტიპოდია, მაშინ დემინუტივს, რომელშიც მოიაზრება ორი ერთმანეთის საპირისპირო შინააარსის შემცველი სიტყვა, უნდა ჩამოსცილდეს ალერსობი-

თობის აღმნიშვნელი ფუნქცია. ვფიქრობთ, რომ დემინუტივი უფრო ვიწრო მნიშვნელობის ცნება-ტერმინია, ვიდრე იგი მიჩნეულია ონომასტიკურ ლიტერატურაში.

რა ტერმინი შეიძლება შეესატყვისებოდეს დემინუტივიდან გამოყოფილ ალერსობითი ელფერის მქონე ანთროპონიმულ ფორმებს? ჩვენ არ ვაპირებთ ამის წარმოდგენას, მაგრამ, ვფიქრობთ, უნდა დაიძებნოს დემინუტივისაგან გასამიჯნი სიტყვა-ტერმინი ამ კონკრეტული ემოციური ელფერის (ალერსობითობის) გამომხატველი ფორმის აღსანიშნად. ჩვენი ვარაუდი ასეთია: ქართულ-ლათინურ ლექსიკონში ალერსობით-მოფერებითის ერთ-ერთ შესატყვისად დასახელებულია blandus (ალერსიანი), blande (ალერსიანად), blandumentum (მოფერება). ხომ არ იქნებოდა დასაშვები ამ სიტყვების მიჩნევა ჩვენ მიერ დემინუტივიდან გამოყოფილი მოფერებით-ალერსობითი შეფერილობის სახელების აღმნიშვნელი ტერმინის საფუძვლად?

II. დამცირებითი და კნინობითი. მოფერებითობისა და კნინობითობის – ამ ორი მოვლენის – ერთმანეთისაგან გამიჯვნით ეს საკითხი არ ამოიწურება. დემინუტივიდან ჩვენ გამოვყავით ალერსობით-მოფერებითობა, რადგან ეს აპელატივი („დემინუტივი"), თავისი სემანტიკით, მოფერებითობის ფაქტს გამორიცხავს. ახლა გასარკვევი და დასაზუსტებელია აპელატივების – დამცირებითისა და კნინობითის – იდენტურობა. **ვფიქრობთ, უნდა დანაწევრდეს კომპოზიტური აგებულების ტერმინიც – კნინობით-დამცირებითი (ე.ი. კნინობითობა და დამცირება).** „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში" აპელატივები დამცირება და კნინობა ერთმანეთის მეშვეობით არის ახსნილი (მით უფრო დაუშვებელია კნინობის დაწყვილება მოფერებითობასთან). დამცირება ახსნილია ასე: თავმოყვარეობის შელახვა, დამდაბლება, დაკნინება. აქედან დამამცირებელი – თავმოყვარეობის შემლახველი, შეურაცხმყოფელი, დამამდაბლებელი, დამაკნინებელი (ქ.გ.). მეორე მხრივ, დაკნინება ახსნილია ასე: დაპატარავება, დაკნინებული კი – დაპატარავებული, დამცირებული. ცალკეა გამოტანილი კნინი, რაც ნიშნავს – „სულ მცირე", „სულ პატარა". კნინობითადაა მიჩნეული სახელი, „რომელიც აღნიშნავს, რომ საგანი დაპატარავებული სახით არის წარმოდგენილი".

ბოლო ორ კონკრეტულ განმარტებაში დამცირება არ დომინირებს. სხვა შემთხვევაში კი დამცირება და კნინობა ერთმანეთის მეშვეობითაა ახსნილი.

ზემოთ მოყვანილი განმარტებებიდან ჩანს, რომ ზუსტი სადემარკაციო ხაზის გავლება ამ ორ სიტყვას შორის (კნინობა და დამცირება) იქნებ გაჭირდეს კიდეც, მაგრამ ეს ორი ახლო მდგომი ცნება აბსოლუტურ სინონიმებად მაინც ვერ ჩაითვლება. დავაკვირდეთ ფრაზას – „ცხოერებამ (უდავოდ „მძიმე" იგულისხმება) დააკნინა ეს ბრგე კაცი". ამ შემთხვევაშიც „დააკნინა" უარყოფითი მოვლენის (თუ ემოციის) მაჩვენებელია. იგი რადიკალურად საპირისპირო ცნებაა, ვიდრე „მოფერებითი". ამასთან, იგი სემანტიკური ასპექტით მნიშვნელოვნად განსხვავდება დამცირებითობისგანაც. მძიმე ყოფამ თუ ავადმყოფობამ შეიძლება დაგაკნინოს (წელში გაგტეხოს), მაგრამ არ დაგამციროს.

საგულისხმოა, ალ. ნეიმანის „ქართულ სინონიმთა ლექსიკონში" კნინის სინონიმად მოტანილია უმნიშვნელო, უბრალო, მცირეფასეული, პატარა; დამცირების სინონიმად კი – დამდაბლება, შერცხვენა. როგორც ვხედავთ, აქ საკმაოდ ნათლადაა გამიჯნული ეს ორი სიტყვა. ასევე, რუსულ-ქართული ლექსიკონების მიხედვით, унижение-униженность-унизительность-унизительный – დამცირების ამსახველი სიტყვებია, уменьшение-уменьшенный კი – შემცირების, დაპატარავების. уменьшить – შემცირება, დაპატარავება, დაკნინება. აქედან уменьшительный – კნინობითი.

ამ ორი ცნების სხვადასხვაობა განსაკუთრებით იკვეთება ანთროპონიმებში, კერძოდ, ქართულ ანთროპონიმებში. ერთმანეთს რომ შევადაროთ ივანე და დავით სახელების ფორმები – ერთი მხრივ, ვანუა/დათუა, მეორე მხრივ, ვანიკა/დათიკა, ორივე ფორმას არასასურველი ელფერი დაჰკრავს, მაგრამ მათ შორის ის სხვაობაა, რომ ვანუა/დათუაში დენოტატისადმი უფრო დამამცირებელი დამოკიდებულება იკვეთება, ვიდრე ვანიკა/დათიკაში (რა თქმა უნდა, აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დენოტატის სოციალურ მდგომარეობას). ამ უკანასკნელში (ვანიკა, დათიკა) პირისადმი არასასურველი დამოკიდებულება შედარე-

ბით ნაკლები ხარისხითაა წარმოჩენილი. ეს უფრო კნინობაა, ვიდრე დამცირება. **ზოგადად ყველგან, მათ შორის ქართულ ანთროპონიმიკაში, კნინობითობა, როგორც დამოუკიდებელი მოვლენა, არ არის ცალკე გამოყოფილი. მასში და მასთან ერთად წარმოდგენილია ხან ალერსობითობა, ხან დამცირებითობა.** ეს ორი ცნება სემანტიკურად შეუთავსებადია. თავის მხრივ, კნინობითობა, როგორც აპელატივის დეფინიციიდან ჩანს, მაინც თავისთავადი მოვლენაა – არც დამცირებაა და, მით უფრო, არც მოფერება. მას (კნინობითობას), შეიძლება ითქვას, ერთგვარად შუალედური ადგილი უჭირავს მოფერებითობასა და დამცირებას შორის. **კნინობითობას შეიძლება ეწოდოს მოძრავი კვალიტატივი.** რას ეგულისხმობთ ამ ტერმინით? კნინობა, ჩვეულებრივ, ოდენ კნინობითობის გამოხატვაა, მაგრამ ზოგჯერ მისი (ე.ი. კნინობის) ხარისხი იმდენად ძლიერდება, რომ იძენს დამამცირებელ ელფერს. როცა ონიმში დამცირება სჭარბობს კნინობას, ის უკვე დამამცირებელია (унизительный) და არა კნინობითი (уменьшительный). შესაძლებელია საპირისპიროც მოხდეს – კნინობის ხარისხი შემცირდეს და ონიმი იქცეს მოფერებითი ელფერის გამომხატველად. ამ შემთხვევაშიც, რა თქმა უნდა, კნინობა კარგავს თავისთავადობას. ასეთი შეფერილობის ონიმი მოფერებით- ალერსობითია და არა კნინობითი.

კნინობით ხარისხს ამცირებს და ზრდის არა მარტო ფორმა ონიმისა, არამედ დენოტატის (ანუ სახელდებულის) ფაქტორი. ვთქვათ, რომელიმე გოგიელას მოფერებითი ელფერი დაჰკრავს, თუ დენოტატი ბავშვია, ისიც დიალექტურ გარემოში, მაგრამ ონიმის იგივე ფორმა კნინობითობაზე მიუთითებს, როცა იგი მოზრდილი, ზრდასრული ადამიანის მისამართითაა გამოყენებული (ეს უფრო იკვეთება არადიალექტურ გარემოში), ხოლო სოციალურად ან პიროვნულად წარჩინებული პირის მისამართით გამოყენებული „გოგიელა“ უდავოდ დამამცირებელ იერს იძენს.

სხვათა შორის, სუბიექტურ-ემოციურ ელფერს შეიძლება იტევდეს არა მხოლოდ წარმოქმნილი, არამედ პირველადი წარმოების ონიმიც – დენოტატის (ანუ სახელდებული პირის) გათვალისწინებით. ამ ფაქტს კარგად შენიშნავს პარატნიკოვი:

«Нести субъективную оценку могут и такие формы, как Николай или Татьяна, если их адресуют маленьким детям» (სუპერანსკაია, 1969, 127). ქართულ ყოფაშიც ამ ბოლო პერიოდში ფეხმოკიდებულია პატარა ბავშვებისათვის არა მხოლოდ ონიმის კნინობითი (ლევანიკა, დათიკა) ან მოფერებითი (ლევანიკო, დათუნა) ფორმებით სახელდება, არამედ პირველადი წარმოების ონიმებით (ლევან, დავით, ელენე...), რაც თავისებური ემოციური ელფერით იტვირთება და მეტყველებს ადამიანთა დამოკიდებულების ახალი, განსხვავებული სახეობის დამკვიდრებაზე, ცხოვრების წესის ერთი ეტაპის მეტ-ნაკლებ შეცვლაზე.

რა სპეციფიკური ტერმინები შეესაბამება ემოციის ამა თუ იმ სახეობის (მოფერების, კნინობის, დამცირების) ანთროპონიმით გამოხატვას? ალერსობითი, დამამცირებელი, მაკნინებელი – თავისთავად ტერმინებია, მაგრამ, რადგან ზოგად ონომასტიკურ-სამეცნიერო ლიტერატურაში მათი შესატყვისი სპეციფიკური ტერმინები არსებობს, ვფიქრობთ, ამ ტერმინების რელევანტურობა გადასასინჯია.

ზემოთ გამოვთქვით მოსაზრება, რომ ტერმინ დემინუტივიდან უნდა გამოირიცხოს მოფერებითობის გამომხატველობა. Deminutivus, როგორც აღვნიშნეთ, ლათინურ-ქართულ ლექსიკონში განმარტებულია ასე: დამამცირებელი, გრამატიკულად – კნინობითი სახელი. მაგრამ ონომასტიკური პოზიციიდან ჩვენ გავმიჯნეთ ეს ორი ცნებაც. კონკრეტულად რომლის შესატყვისად გამოდგება ტერმინი დემინუტივი? Demi ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს: ა) полу, наполовину, частично; ბ) указывает на недостаточно хорошее качество. თუ ამ განმარტებას დავეყრდნობით, დემინუტივი შეესაბამება კნინობითობის აღნიშვნას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქართულ-ინგლისურ ლექსიკონში სიტყვა დემინუტივის განსაზღვრებაა – კნინობითი, ხოლო დამცირებითს სხვა ახსნა აქვს. ე.ი. **ტერმინი დემინუტივი შეესატყვისება კნინობითი ელფერის მქონე ონიმებს.**

ახლა, რაც შეეხება ჩვენ მიერ ცალკე გამოყოფილი დამცირებითი სახელების აღნიშვნას. ონომასტიკურ ტერმინოლოგიაში გამოყოფილია კვალიტატივის სამი სახეობა: აუგმენტატივი, დემინუტივი და პეიორატივი. პოდოლსკაიას ლექსიკონში **პეიო-**

რატივი განმარტებულია როგორც სახელი უპატიეცემულო-დამცირებითი ელფერით («Имя с пренебрежительно-унизительным оттенком»). მაგალითებად დასახელებულია: Улька, Ульяшка, Евдокишка, Дуняшка... პ. ცხადაიას ონომასტიკურ ტერმინთა ლექსიკონში გამოტანილია პეიორატივი, მაგრამ არ არის დამოწმებული პეიორატივის გამომხატველი ქართული მასალა. ვფიქრობთ, სახელთა ქართულენოვანი ვარიანტები ეანუა/მარუა ტიპისა, რომელიც დენოტატისადმი დამცირებასა და უპატივცემულობაზე მიგვანიშნებს, სწორედ პეიორატიულ სახელებად უნდა ჩაითვალოს. მათვე განეკუთნება ეთერა/ქეთევანა/დარეჯანა ტიპის ანთროპონიმებიც.

ამრიგად, თუ გავმიჯნავთ ერთმანეთისგან დამცირებითსა და კნინობით სახელებს, ანთროპონიმის დამცირებითი ფორმები შეევა კვალიტატივის იმ სახეობაში, რომელსაც ჰქვია პეიორატივი, კნინობითი ელფერის გამომხატველი ონიმები – დემინუტივში. რაც შეესება ალერსობითს, ამ ტიპის ონიმების გამომხატველი ტერმინი დასაზუსტებელია (თუმცა ჩვენ ზემოთ წარმოვადგინეთ, სავარაუდოდ რას შეიძლება დავეყრდნოთ მოფერებითობის გამომხატველი ტერმინის დასამკვიდრებლად).

დასასრულ, **ხმარებიდან ამოსაღებია ტერმინი კნინობით-დამცირებითი – ამ ორი კომპონენტის ერთ ცნებად სემანტიკური შეუთავსებლობის გამო. მით უფრო ეს ითქმის ტერმინზე – „კნინობით-მოფერებითი“.**

(ამ საკითხზე მსჯელობას განვაგრძობთ მომდევნო პარაგრაფშიც).

§3 სუფიქსი და ონიმის სუბიექტურ-ემოციური ელფერი (-უნა, -ა, -იძ, -იძა_)

ჩვენ შევეცადეთ ერთმანეთისაგან გაგვემიჯნა სამი ცნება: ალერსობითი, დამცირებითი, კნინობითი. სათანადო ტერმინებით წარმოვადგინეთ თითოეული ჯგუფი. ასე გამოიყო: **პეიორატიული სახელები** (დაცინვითი), **დემინუტიური სახელები** (კნინობითი) და **ალერსობითი სახელები**. როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავად პირველადი სახელებიც (არაწარმოქმნილი) შეიცავენ ინ-

ფორმაციას დენოტატის (სახელდებულის) შესახებ. მაგრამ პირის სხვადასხვა პროფილით წარმოჩენის საუკეთესო „იარაღია" მისი ონიმის აფიქსაცია, რის შედეგადაც მიიღება ანთროპონიმის განსხვავებული ფორმები. სახელის ამა თუ იმ ფორმით ალერსობის, დამცირების, კნინობის გამოხატვა მიუთითებს იმაზე, რომ ონიმი და ონიმის ფორმა, გარდა სახელდების ფუნქციისა, ითავსებენ სხვა ფუნქციასაც — ერთ-ერთია ემოციური ელფერის გამოხატვის უნარი. ანთროპონიმს სუბიექტურ-ემოციურ შეფერილობას აძლევს გრამატიკული ფორმანტი—სუფიქსი.

-ა, -ია, -იკო, -ილო, -უნა, -უნია, -იკელა... ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში კნინობითობის აფიქსებადაა მიჩნეული, ხოლო მათი მეშვეობით წარმოქმნილი სახელები — კნინობით სახელებად. აკაკი შანიძის „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში" ამ ტიპის სახელებად დამოწმებულია **ანთროპონიმები**: ბეჟანა, ლუარსაბა, დარეჯანა, დათიკო, ვასიკო, პეტრია, პავლია, ვასუა, თიკუა... **აპელატივები**: ძამია, დაია, **კაცუნა**, მამიკო, დედიკო... გარდა ამისა, აქ ეკითხულობთ: „კნინობითი ფორმა შეიძლება გამოყენებულ იქნეს, ერთი მხრივ, ალერსის გამოსახატავად — ალერსობითი სახელი — და, მეორე მხრივ, დამცირების მიზნით — დამცირებითი სახელი" (შანიძე, 1973, 120). როგორც ეხედათ, ორივე ტიპი, მიუხედავად მათი რადიკალურად განსხვავებული არსისა, ზემოთ დასახელებული მაგალითებით გაერთიანებულია ერთი სიტყვით და ერთი პარაგრაფით — **„კნინობითი სახელები"**. ლ. კვაჭაძე კნინობით სახელებად იმოწმებს: ჩიტუნა, თაგუნა, ბიჭუნა... აგრეთვე — დათიკელა, ზურიკელა... ალ. ღლონტი აღნიშნავს, რომ „დედილო საალერსო ფორმაა, კაცუნა — დამცირებითი". ეს უდავოდ ზუსტი შეფასებაა, მაგრამ აქაც ორივე ტიპი გაერთიანებულია პარაგრაფით — „მოფერებით-კნინობითი სახელების წარმოქმნა" (ღლონტი, 1988, 138). კნინობით-ალერსობით სახელებადაა მიჩნეული იმედა, ვაჟა, ბეჟანა, ბიჭუნა (გეგეჭკორი, 1999, 86). ასეთი ვითარებაა სხვა ავტორებთანაც **და არა მხოლოდ ქართულ სინამდვილეში.**

ამრიგად, კნინობა, ერთი მხრივ, მიიჩნევა მოფერებით-ალერსობის, მეორე მხრივ, დამცირების სინონიმად. ამ საყოველთაო ტრადიციას, როგორც აღვნიშნეთ, გადასინჯვა სჭირ-

დება, რადგან ეს ტერმინი (კნინობა) მოიცავს ორ ურთიერთგამომრიცხავ ცნებას. კნინობა რომ არ არის ალერსობა, ჩანს შემდეგ ფრაზაში: **„კნინობითი სახელი, გარდა თავისი პირდაპირი მნიშვნელობისა,** შეიძლება გამოყენებულ იქნეს **მოფერება-ალერსის გამოსახატავად ან დაცინვა-დამცირებისთვის“** (კვაჭაძე, ქართული ენა, 2001, 106). ამრიგად, კნინობას ჰქონია თავისი პირდაპირი მნიშვნელობა! ეს მართებული შეფასებაა. აქედან გამომდინარე, 1. მოფერება-ალერსობის, 2. დაცინვა-დამცირებისა და 3. კნინობის – **ამ სამი სხვადასხვა ოდენობის** – ერთი საშუალებით, ერთი ფრაზით გამოხატვა მათ ერთ ემოციურ რაკურსში უყრის თავს, რასაც ადასტურებს ზემოთ ერთ ჯგუფად გაერთიანებული საპირისპირო ემოციური დატვირთვის მქონე მაგალითების დამოწმება.

კნინობითის მოფერებითთან დაწყვილებამ ხელი შეუწყო თვით სიტყვა „კნინის“ საყოველთაოდ მიღებულმა განმარტებამ: „კნინი – სულ მცირე, სულ პატარა“. მაგალითად დასახელებულია კაცუნა (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი). ვფიქრობთ, „კნინის“ ასეთმა განმარტებამ (მცირე, პატარა), ალბათ პრინციპით, „რაც პატარაა, მოსაფერებელია, საყვარელია“, გამოიწვია კნინობით სახელებად წარმოდგენილი ანთროპონიმებისთვის მოფერებითობის მინიჭებაც და განაპირობა შემდეგი დეფინიციები: „კნინობითი ფორმები, რომელთაც ალერსობითი მნიშვნელობა აქვს (აკ. შანიძე); „ალერსობითი სახელი კნინობითის სახეობაა, რომელიც მოფერებას გამოხატავს“ (შამელაშვილი, 1975), რასაც მოჰყვა ტერმინები: კნინობით-მოფერებითი, კნინობით-ალერსობითი, ე.ი. ჩამოყალიბდა კომპოზიტი, რომელშიც სინონიმებადაა წარმოდგენილი რადიკალურად საწინააღმდეგო ცნებები. ვფიქრობთ, ეს ყოველივე განაპირობა სიტყვა **კნინის** მიჩნევამ სიდიდის ერთეულად (სულ პატარა). მიუხედავად იმისა, რომ „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ ამ სიტყვის გვერდით მითითებულია „ძვ.“ (ე.ი. ძველი ფორმა). ვფიქრობთ, XX საუკუნეში მას არ უნდა გამოჰყოლოდა „ძველის“ სემანტიკა. ამ სიტყვამ ისევე შეიცვალა მნიშვნელობა, როგორც სხვა ძველმა სიტყვებმა (ქვეყანა, კუბო). დღევანდელი გადასახედიდან ხელოვნურად გვეჩვენება განმარტებით ლექსი-

კონში დამოწმებული ფრაზა „კნინი პრეტენზიაც არ ჰქონდა“. კნინიდან ნაწარმოები სიტყვები – კნინდება, კნინება, კნინობა, კნინობითი – განმარტებულია ასე: მეტად პატარავდება, მეტისმეტად დაპატარავება, მეტისმეტი სიპატარავე, საგანი დაპატარავებულია. თავის მხრივ, პატარამ, დაპატარავებამ ტერმინ **კნინობითს** შესძინა ორი საპირისპირო, ერთმანეთის გამომრიცხავი ახსნა:

ა) კნინი არის მოფერებითი – კნინობით-მოფერებითი, კნინობით-ალერსობითი;

ბ) კნინი არის დამცირებითი (კნინობითი / დამცირებითი).

ამ პრინციპით -ია, -იკო სუფიქსებით გაფორმებული ორი მოზრდილი ქალის სახელები – ნინოია და ნინიკო – ერთი შეფერილობის ონიმებში თავსდება: ორივე კნინობითია (ან კნინობით-მოფერებითი). არადა, ესენი აშკარად სხვადასხვა ინფორმაციის მატარებელი ფორმებია. სხვათა შორის, ამავე განმარტებით ლექსიკონში მხოლოდ ამ ჯგუფის ერთადერთ სიტყვასთან, ზმნა „კნინდებასთან“ არის დაფიქსირებული მისი მეორე ახსნაც: **დაქვეითება**, რაც ბადებს კითხვას: – თუკი კნინდება დაქვეითებაა, დაცემაა (მორალურად დაკნინება, ქვეგლ), რატომ უნდა იყოს დაწყვილებული მისი ძირი სიტყვა (კნინი) „მოფერებით სახელთან“? ამ თვალსაზრისით შევეხებით ცალკეულ სუფიქსს.

-უნა: კნინობით-მოფერებით ჯგუფს მიკუთვნებული აპელატივებიდან გამოვყოფთ ორს – **ბიჭუნა** და **კაცუნა**. -უნა-თი წარმოქმნილი აპელატივით ბიჭუნა ჩვენ უარყოფითად, კნინის ელფერით კი არ ვახასიათებთ ამა თუ იმ პირს, არამედ მივუთითებთ მის მცირე ასაკზე (პატარა ბიჭი). ასე რომ, **ბიჭუნა** ფორმაში არ უნდა დომინირებდეს დაკნინება საგნისა. ეს ფორმა დენოტატისადმი ალერსობით განწყობაზე მიუთითებს. მეორე მხრივ, სიტყვა **კაცუნა** ფორმით („ზოგსა კაცსა კაცი ჰქვია, ზოგსა კაცსა კაცუნაო, ზოგს დედაკაცს დედაკაცი, ზოგსა – დედაკაცუნაო“) წარმოქმნილ აპელატივში აშკარად დომინირებს კნინობა და, შეიძლება ითქვას, უფრო მეტი უარყოფითი ემოციაც. **კაცუნა** ფორმა ორ გაგებას მოიცავს: ტანად პატარა კაცი და პიროვნულად პატარა კაცი. აპელატივი კაცი აპელატივ ბიჭ-

თან შედარებით მოზრდილი, ასაკოვანი ადამიანის აღმნიშვნელია. თავის მხრივ, ასაკოვან ადამიანში ჩამოყალიბებული პიროვნება იგულისხმება. ამიტომ ამ აპელატივზე ნებისმიერი სუფიქსის დართვა – სულ ერთია, პიროვნულ სიმცირეს მიანიშნებს იგი თუ ფიზიკურს – უარყოფითი ემოციის გამომწვევი იქნება და დამცირების მაჩვენებელი.

ემოციური ელფერის გამოხატვის უნარს, რა თქმა უნდა, სუფიქსი განაპირობებს, მაგრამ, არა ოდენ სუფიქსი. როგორც ირკვევა, მხოლოდ სუფიქსი, ამ შემთხვევაში **-უნა** განსხვავებულ ემოციურ ელფერს იწვევს სემანტიკურად განსხვავებულ აპელატივთა ფუძეებზე დართვისას (ანგარიშგასაწევია სხვა მომენტებიც, რასაც ქვემოთ წარმოვაჩენთ). სხვადასხვა ფუძიდან ერთი ფორმანტით წარმოქმნილი აპელატივები **ბიჭუნა-კაცუნა** ემოციური ელფერით სხვაობს. პირველი აშკარად ალერსობის მომცველია, მეორე – დამცირების. პირველის რიგისაა: ჩიტუნა, თაგუნა, დათუნა... მეორის რიგისაა – დედაკაცუნა, ვაჟკაცუნა (ზემოთ მოყვანილი კაცუნას გაგებით). და კიდევ: სახელის ემოციური ელფერის განსაზღვრას აუცილებლად განაპირობებს დენოტატიც. თუ აპელატივი კაცუნა ზრდასრული ადამიანის მისამართითაა ნათქვამი, სიტყვის ეს ფორმა დამცირებითია, მაგრამ ამ უარყოფითი ემოციური შეფერილობის სიტყვას თუ გამოვიყენებთ მცირეწლოვანი ბავშვის მიმართ, აქ თითქოს დაიბინდება უარყოფითი გაგება. მცირე ასაკის ბიჭის მიმართ გამოყენებული კაცუნა, ერთი შეხედვით, თითქოს მიალერსების სურვილით ნათქვამი უნდა ჩანდეს, მაგრამ მაინც: ამ შემთხვევაში მოფერებით უფრო **პატარა კაცი** ითქმის, ვიდრე კაცუნა. საერთოდ, თუ პატარა ბიჭში იგრძნობა კაცური თვისებები ან პატარა გოგოში – ქალური თვისებები, ამ ფონზე მათი დადებითად წარმოჩენა ხდება ორსიტყვიანი სინტაგმით: პატარა კაცი, პატარა დედაკაცი (მ. ჯავახიშვილი, „პატარა დედაკაცი“).

-უნა სუფიქსთან დაკავშირებით გამოიკვეთა შემდეგი ტენდენცია:

1) **-უნა** სუფიქსი, ზოგადად, ალერსობის გამომხატველი აფიქსია:

ა) რა ჯგუფის სულიერი საგნების აღმნიშვნელ აპელატივებთან (ჩიტუნა, ზღარბუნა);

ბ) საკუთარ სახელებთან (დათუნა).

. -უნა მათ სძენს ალერსობით ელფერს, რაც შორს დგას კნინობისაგან, რომლის ზმნური ფორმის (კნინდება) განმარტებაა „დაქვეითება“ (ქეგლ);

2) -უნა სუფიქსი უარყოფითი ემოციით იტვირთება მოზრდილი ასაკის აღმნიშვნელ ვინ ჯგუფის იმ აპელატივში, რომლითაც ნაგულისხმები პიროვნება, გარკვეულწილად, ფიზიკური სიძლიერით გამოირჩევა. კაცი, ვაჟკაცი, დედაკაცი, ჯარისკაცი ტიპის აპელატივები ვერ იხდენენ მოფერებითობას, სუფიქსის დართვით გამოხატულს. თუ მაინცდამაინც სიტყვით მოფერებას იმსახურებენ, ამისთვის არსებობს ადიექტივები: კარგი ვაჟკაცი, ყოჩაღი დედაკაცი და ა.შ. ე.ი. -უნა სუფიქსზე უკუგავლენას ახდენს აპელატივთა ერთი ჯგუფი, რომელსაც იგი დაერთვის და, ამავდროულად, იწვევს -უნა სუფიქსის დანიშნულების რადიკალურად შეცვლას (ალერსობიდან დამცირებისკენ).

ვფიქრობთ, საჭიროა:

ა) ემოციური ელფერის (მათ შორის უნდა გამოიყოს ნეიტრალურიც) აღმნიშვნელი ტერმინების ზუსტი დეფინიციები;

ბ) გათვალისწინებულ უნდა იქნეს ისიც, რომ საკუთარი თუ საზოგადო სახელის კნინობითობას, მოფერებითობას, დამცირებითობას განაპირობებს არა მხოლოდ სუფიქსი, არამედ თვით დენოტატის სოციალური მდგომარეობა, როგორობა და სხვა მომენტები, რაც კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება წარმოჩნდეს;

გ) რაც მთავარია, აღნიშნული თვალსაზრისით, შესაბამისი კვალიფიკაცია უნდა მიეცეს თითოეულ აფიქსს, თანამდევი მომენტების გათვალისწინებით.

წარმოვადგენთ ზოგიერთი **სუფიქსისა** და მათი მეშვეობით წარმოქმნილი **სახელების** ემოციური ელფერის ანალიზს. პირველ რიგში, **გამოვრიცხავთ იმედა-გაჟა ტიპის სახელებს**, რომლებიც ზოგიერთ გრამატიკულ ლიტერატურაში კნინობით-ალერსობით ფორმებადაა მიჩნეული. **ამ სახელებში -ა მხოლოდ წარმოქმნის აფიქსია, რადგან იგი ერთვის არა ონიმის**

ფორმას, არამედ აპელატივებს (იმედი, ვაჟი) და უშუალოდ მათგან წარმოქმნის ახალ ლექსიკურ ერთეულს – პირველადს საკუთარ სახელს და არა სახელის მეორეულ ფორმას.

-ა. ეს აფიქსი თითქმის ყველა გრამატიკოსთან მიჩნეულია კნინობით ან კნინობა-ალერსობის სუფიქსად, განურჩევლად იმისა, თუ საკუთარ სახელთა რა ფორმას ერთვის (დარეჯანა, ბეჟანა, პაველია, დათუნა, ნანუკა, იმედა, ვაჟა...). ვფიქრობთ, -ა სუფიქსის ასე ცალსახად შეფასებამ, ფაქტობრივად, წაშალა ზღვარი ემოციური გამომსახველობის ჯგუფებს შორის. ჩვენი აზრით, -ა სუფიქსი სხვადასხვა ემოციურ შეფერილობას იღებს და, შესაბამისად, განსხვავებულ ემოციურ შეფერილობას აძლევს ონიმთა ზემოთ დამოწმებულ ფორმებს. ამჯერად შევეხებით ონიმის შემოკლებულ და სრულ ფორმებზე დართული -ა სუფიქსის კვალიფიკაციას.

-ა სუფიქსი თანხმოვანფუძიან ონიმთა შემოკლებულ ფორმებთან. ანთროპონიმთა ამ ტიპის ფორმებზე დართული -ა მორფემა მხოლოდ მოფერებით-ალერსობით ელფერს სძენს ონიმს და არა დამაკნინებელს (ნიკა←ნიკოლოზ). უფრო მეტიც, დღესდღეობით მოდურ სახელ-ფორმებადაც ჩამოყალიბდა ზოგი მათგანი: რუს-ა (←რუსუდან), სოფ-ა (←სოფიო), ქეთ-ა (←ქეთევან)...

ხშირ შემთხვევაში შემოკლებულ სახელთა ბოლო ხმოვანი -ა ონიმის პირველადი ფუძის კომპონენტია და არა სუფიქსური ფორმანტი. ასეთებია: გუჯა (ელგუჯა), ბეჟა (ბეჟან), ლუა (ლუარსაბ)... ამ ტიპის ფორმები ალერსობითია.

-უა (-ოა). რადიკალურად იცვლება -ა სუფიქსის ემოციური ელფერი და მასთან ონიმისაც, როცა იგი დაერთვის ასევე შემოკლებულ, მაგრამ –ო-ფუძიან სახელებს. -ოა კომპლექსი გვაძლევს -უა კომპლექსს (ოა→უა). ეს უკანასკნელი უარყოფით ემოციურ შეფერილობას სძენს შემოკლებულ სახელს, კერძოდ, გამოკვეთილად დამამცირებელს: ნიკო→ნიკო-ა→ნიკუ-ა, ლადო→ლადო-ა→ლადუ-ა, ვანო→ვანო-ა→ვანუ-ა... მაგრამ აქაც, დენოტატის ფაქტორსა და სახელდების გარემოს თუ გავითვალისწინებთ, დავინახავთ, რომ სალიტერატურო ენის სივრცეში უა (←ოა), ჩვეულებრივ, დამცირებით ელფერს იძენს, მაშინ როცა სოფლის რეგიონში ამ ფორმის გამოყენება თითქოს ამცი-

რებს უარყოფით ემოციურ ელფერს, **თუმცა არ სპობს**. ასეთი მერყეობა განსაკუთრებით საგრძნობია თანამედროვე ეპოქის სოფელში.

ზოგჯერ **-უა** კომპლექსი მიღებულია არა -ოა კომპლექსიდან, არამედ -ა ფორმანტის უშუალოდ ფუძისეულ **-უ** ხმოვანზე დართვით (ბათუა, ნ. დუმბაძე). ამ შემთხვევაში, ეფიქრობთ, ასე მწვავედ არ იგრძნობა -ა-ს დამამცირებელი ფუნქცია. მიზეზად შემდეგს დავასახელებთ: **-უ**-ფუძიანი სახელები, რომლებიც თავისთავადაც მკვეთრად ლოკალურია, რეგიონულია (ძუკუ-გუდუ ტიპის), -ა ფორმანტის დართვით დიალექტურ გარემოში არ წარმოგვიდგება დამამცირებელი ელფერით. სახელის ამგვარი ფორმა არც ქართული სალიტერატურო სივრცის პოზიციიდან იძენს მკვეთრად უარყოფით ელფერს, რადგან, სალიტერატურო ენის კრიტერიუმით, დიალექტური სივრცის გამორჩეულად სპეციფიკური ონიმები (ძუკუ-გუდუ ტიპის) თავისთავადაც შესაბამისი ემოციური შეფერილობისაა. ამიტომ მათზე სუფიქსის დართვა არც სალიტერატურო თვალსაზრისით იწვევს გარდატეხას, როგორც რომელიმე ვანო-კაკო-დან მიღებულ ვანუა-კაკუა-ში. საქმე ისაა, რომ იეანე-აკაკის შემოკლებული ფორმები – ვანო-კაკო – ზოგჯერ ოფიციალური სახელების რანგში ექცევა, ამიტომ მათზე განსხვავებული სუფიქსის დართვით აშკარად განსხვავებული ემოციური დატვირთვის ონიმები მიიღება. ამგვარი უარყოფითი ემოციური დატვირთვა ვრცელდება დიალექტური -უ-ფუძიანი სახელების შემთხვევაშიაც, თუ დენოტატად სახელდებულია გამოჩენილი ადამიანი და გარემო არადიალექტურია. ვთქვათ, განთქმული მომღერლის, ბათუ კრავეიშვილის, პიროვნებისთვის ყოველად მიუღებელი და დამამცირებელი იქნებოდა ბათუა ფორმა.

-ა სუფიქსი თანხმოვანფუძიან ონიმთა სრულ ფორმასთან. პირველადი სახელების თანხმოვანზე დამთავრებულ ფუძეზე დართული -ა სუფიქსი სახელს არათუ მაკნინებელ, უფრო მეტიც, დამამცირებელ ელფერს აძლევს. ამდენად, დარეჯანა, ნიკოლოზა, ლუარსაბა, ბეჟანა, ეთერა ტიპის ონიმებში -ა დამამცირებელი ელფერის გამომხატველ ფორმანტად გვესახება (და არა კნინობისა), თავად ონიმთა აღნიშნული ფორმები კი დარე-

ჯან, ქეთევან, ნიკოლოზ – ანთროპონიმების დამამცირებელ ვარიანტებად. ამ ფაქტს, გარდა სახელის ფორმისა, ადასტურებს ზოგჯერ -ა-სუფიქსიან სახელებზე დართული დამამცირებელი ეპითეტები: ნოდარა თავა, ათანასა ნაბიჭვარი (ნოდარ დუმბაძე). თანხმოვანფუძიანი სახელის პირველადს ფორმაზე -ა სუფიქსის დართვა რომ კნინობითობაზე გაცილებით უარყოფით ელფერს იძენს, კარგადაა ნაჩვენები რევაზ ჯაფარიძის „მძიმე ჯვარში“. იმერეთში გადმოხვეწილი სამცხელი აზნაური თამაზ მესხი მეფე ალექსანდრეს სრული ნდობით სარგებლობდა, რაც თავადებში შურს იწვევდა და ეს „მატრაკვეცა თამაზა“ თვალით არ დაენახვებოდათ“. სწორედ ამიტომ ჟღერდა ასე დამამცირებლად აზნაური კაცის სახელი (თამაზ-ა). თამაზ მესხი ამას, რასაკვირველია, მშვენიერად გრძნობდა, მაგრამ „გულში ჩახვეულ წყენას ხმამაღლა არ ამხელდა“. თავად მეფე მას – „თამაზ ბატონოო“, – ასე მიმართავს.

იგივე ითქმის -ი-ბოლოხმოვნიან სახელებზე (კერძოდ, მათს სრულ ფუძეზე) დართულ -ა სუფიქსზე: კუკური-ა, აკაკი-ა, ბადრი-ა... თანხმოვანფუძიან სახელებთან -ი-ხმოვნიანი ანთროპონიმების ამ თვალსაზრისით გაიგივება, ეფიქრობთ, გამოწვეულია ამ ხმოვნის სივიწროვით, რის გამოც -ი ხმოვანი უფრო ახლოს დგას კონსონანტებთან, ვიდრე ფართო –ა.

ემოციურობის თვალსაზრისით, საგანგებოდ განვიხილავთ სახელის ფორმას – **თემურა**. ერთი შეხედვით, შეიძლება ვინმეს ეგონოს, რომ თემური თეიმურაზის **შემოკლებული ფორმაა** და გაუკვირდეს მასზე დართული -ა სუფიქსი რატომ უნდა. ამ ფორმის (თემურა) დამამცირებელი ელფერით დატვირთვას შემდეგი ახსნა დაეძებნება: საქმე ისაა, რომ თემური და თეიმურაზი წარმომავლობით სხვადასხვა სახელებია. თემური – თურქულენოვანია, თეიმურაზი – სპარსულიდანაა შემოსული. ასე რომ, ერთიც და მეორეც სრული, პირველადი სახელებია წარმომავლობით. მაგრამ ქართულ სინამდვილეში ეს სახელები ერთმანეთს დაუკავშირდა და „დიდი უმრავლესობა თემურებისა პასპორტით თეიმურაზები არიან, რაც მათ სახელმდებელთა თურქული თემურის სპარსული თეიმურაზიდან მომდინარეობაში დარწმუნებულობის შედეგი უნდა იყოს“ (გურგენიძე, ჯიქია,

1994, 90). ახლა რაც შეეხება ანთროპონიმ **თემურას** დამცირებითი ემოციური ელფერის მოტივაციას. თუ გავითვალისწინებთ ზემოთ თქმულს, რომ თემური სხვა წარმომავლობისაა, ვიდრე თეიმურაზი და, ამდენად, იგი, თავისი წყარო ენის გათვალისწინებით, პირველადი ფორმაა სახელისა, მაშინ, ბუნებრივია, მასზე -ა სუფიქსის დართვას დამამცირებელი ელფერი უნდა მიეცა სახელისათვის და ეს ასეცაა. მაგრამ ქართულ სინამდვილეში თემური არ არის გააზრებული როგორც პირველადი სახელი. იგი თეიმურაზის შემოკლებულ ფორმადაა მიჩნეული, შეიძლება მცდარად, მაგრამ ტრადიცია ამაზე მეტყველებს. ამ სახელთა გარკვეული ფუნქციით დატვირთვა აღნიშნულიცაა ნ. გურგენიძისა და მ. ჯიქიას მიერ: „საგარეოდ „წყაროენისეული" ფორმაა მიღებული, ხოლო საშინაო, მოსაფერებელ სახელად კი უფრო მოკლე – თემური, რომელმაც **-იკო** სუფიქსიც უკეთ იგუა – თემურიკო" (გურგენიძე, ჯიქია, 1994, 90). როგორც აღვნიშნეთ, სახელის მოკლე ფორმებზე დართული -ა მათ მოფერებით ელფერს აძლევს (ნიკ-ა/დათ-ა ტიპის), რაც არ ეხება თემურა სახელის ფორმას. თუკი თემური ჩვენში თეიმურაზის შემოკლებულ ფორმადაა გაგებული, რატომ არ უნდა ემთხვეოდეს იგი ემოციური თვალსაზრისით ნიკა-დათა ტიპის მოდელს? ჯერ ერთი, ვფიქრობთ, რომ ალბათ ქვეცნობიერად მოქმედებს თემურ სახელის თეიმურაზისაგან დამოუკიდებლად წარმომავლობის ფაქტი. კონკრეტული შემთხვევისათვის უფრო დამაჯერებელი შემდეგი ახსნა იქნება: მართალია, თემური ქართულ ყოფაში აღიქვეს „საშინაო, მოსაფერებელ სახელად", მაგრამ დღეს ეს სახელი საპასპორტო, პირველადი სახელის გაგებას ატარებს, რასაც ხელს უწყობს ის ფაქტიც, რომ თითქმის არაპროდუქტიული გახდა ქართულ სინამდვილეში მის ძირ სახელად მიჩნეული თეიმურაზი. ამან, ვფიქრობთ, გამოიწვია ის, რომ ქართულში შემოკლებულად მიჩნეულ, მაგრამ პირველადი ონიმის პრეტენზიით ფეხმოკიდებულ სახელთან -ა სუფიქსმა მიიღო დამამცირებელი ელფერი და მთლიანად სახელიც ამ კვალიტატივით დაიტვირთა. თემურა, ემოციური ელფერით, გაუტოლდა ჯუმბერა-ქეთევანას, ვიდრე, ვთქვათ, მათგან -ა ფორმანტით წარმოქმნილი ჯუბა-ქეთა იქნებოდა.

გამონაკლისები ყველა დებულებას აქვს და ამ შემთხვევაში გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს პირველადს ანთროპონიმთან -ა სუფიქსის დართვა სახელში – თამარ-ა. თამარა, ჩვენი კრიტერიუმით, უნდა ყოფილიყო ისეთივე დამამცირებელი ელფერის ფორმა ონიმისა, როგორიცაა ნოდარა, მაგრამ აშკარად იგრძნობა, რომ ასე არ არის. **თამარა** ფორმას, ემოციური ელფერის თვალსაზრისით, თითქმის ისეთივე ნეიტრალური ადგილი უჭირავს, როგორიც თამარ-ს (თამარი). რა თქმა უნდა, ეს ორი ფორმა იდენტური ემოციის მქონე არ არის, მაგრამ თამარა უფრო ახლოსაა თამარ(ი)-თან, ვიდრე დარეჯანა დარეჯანთან. ამ გარემოებას, ჩვენი აზრით, ხელი შეუწყო რუსულის გავლენამ, რუსულში Тамара ფორმის პირველადობამ.

უშუალოდ ონიმის ფუძეზე (სრულ და შემოკლებულ) დართული -ა სუფიქსის ემოციური ელფერი სქემატურად ასეთ სახეს იღებს:

ა → შემოკლებულ სახელებში = ალერსობით-მოფერებით ელფერს;
ა → ანთროპონიმის სრულ ფუძეებთან = დამამცირებელ ელფერს.

ანთროპონიმებში აპელატივზე დართული -ა კი არის 1. წარმოქმნის აფიქსი (იმედ-ა) და 2. მაანთროპონიმებელი აფიქსი, **ცხადია, ნულოვანი ემოციური ელფერით.**

სხვაგვარი შეფერილობა ეძლევა -ა ფორმანტს, როცა მას წინ უსწრებს **-იკ, -უკ, -უნ**... სუფიქსები, რომლებიც, თავის მხრივ, ასევე მაკნინებელ ფორმანტებადაა მიჩნეული. კნინობით აფიქსებადაა ჩათელილი აგრეთვე **-იკ/-იკო, -უკ/-უკა** და **-უნ-ა**...

დაბოლოს, შევჩერდებით **-ა სუფიქსის (რომელსაც მაანთროპონიმებელი სუფიქსი ვუწოდეთ,** გოდერძიშვილი, 1990, 4) **კვალიფიკაციის ისტორიაზე**. მასზე სპეციალურ ლიტერატურაში არაერთი თვალსაზრისია გამოთქმული. წარმოგიდგენთ ზოგიერთ მათგანს: ფ. მაკალათია აღნიშნავს, რომ „-ა სუფიქსის მასუბსტანტივებელ ფუნქციას ქართული ტოპონიმური მასალის მიხედვით პირველად შეეხო ს. ჯანაშია“. აქვე ავტორი იმოწმებს არნ. ჩიქობავას აზრს -ა სუფიქსის მასუბსტანტივებელ ფუნქციაზე

მეგრულ ტოპონიმში დადასტურებულ რთულ -ონ-ა სუფიქსში. ფ. მაკალათია იზიარებს ა. პაპიძის ვარაუდს -ა სუფიქსის მაკონკრეტებელი ფუნქციის შესახებ (ფ. მაკალათია, ონომასტიკა I, 1987, 108) და ზემოთ გამოთქმულ აზრებს. თავადაც წარმოაჩენს -ა მასუბსტანტივებელ-მაკონკრეტებელი სუფიქსის მატოპონიმებელ ფუნქციურობასაც. ზემოთ ჩამოთვლილ მოსაზრებებს დაეუმატებთ ნ. მარის მიერ ჯერ კიდევ 1925 წელს გამოთქმულ დებულებას -ა სუფიქსის აღნიშნული ფუნქციით დატვირთვის შესახებ. მართალია, მას გარკვეული ტერმინით არა აქვს აღნიშნული ეს მოვლენა, მაგრამ მის ერთ-ერთ ნაშრომში ვკითხულობთ, რომ სუფიქსი -ა მოაქცევს **საზოგადო სახელს საკუთარ სახელად**. მაგალითებად დასახელებულია: ბიჭი-ა<ბიჭი, კაცი-ა<კაცი, მამია-ა < მამა-ი (ნ. მარი, 1925, 22).

* * *

VC **ტიპის სუფიქსები.** თანხმოვანზე დამთავრებულ ორბგერიან სუფიქსთა (**-იკ, -აკ, -ილ, -უკ, -უნ**) ფუნქცია ოდენ წარმოქმნაა. ისინი, უპირველეს ყოვლისა, დერივაციული აფიქსებია, თუმცა მხოლოდ მათი გამოყენებით სიტყვის დერივაციის პროცესი არ მთავრდება. ეს აფიქსები მხოლოდ ნაწილობრივ წარმოქმნიან სახელებს, რადგან ქართულში თითქმის არ არსებობს თანხმოვანზე დამთავრებული სიტყვა (და არა ფუძე). ყველა აპელატივი (თუ ხმოვანფუძიანი არ არის) ფორმდება ნომინატივის ხმოვნით. ძველ ქართულში წრფელობითი ბრუნვის არსებობა **vc აფიქსს** აძლევდა დამოუკიდებელ სტატუსს („მამისაგან სახელით ვარდან და სიყუარულით სახელი მისი შუშანიკ", „მერმე მიავლინა ჯოჯიკ"). წრფელობითის მოხსნა ახალ ქართულში შესაძლებელია იმ ტენდენციითაც აიხსნას, რომ თავისი განვითარების გარკვეულ ეტაპზე ენამ ვეღარ იგუა აუსლაუტში თანხმოვანზე დამთავრებული სახელი, რამაც **-იკ** ტიპის სუფიქსებს დააკარგვინა დამოუკიდებლობა. ამიტომ თანხმოვანზე დამთავრებული ორბგერიანი სუფიქსი (VC) ითხოვს მეორე სუფიქსს: **ერთბგერიანს** (დათ-იკ-ო), **ორბგერიანს** (დათ-იკ-ელ-ა). ეს უკანასკნელნი, გარდა იმისა, რომ ამთავრებენ დერივაციის პროცესს, შესაბამის ემოციურ ელფერსაც აძლევენ სიტყვას.

დამოუკიდებლად წარმოდგენილი **-იკ** მხოლოდ წარმოქმნის ფორმანტია. მისი ემოციური ელფერის შესახებ მხოლოდ მაშინ შეიძლება საუბარი, როცა იგი ჩაერთვება სახელისათვის ემოციური ელფერის მინიჭების სისტემაში, ეს კი ნიშნავს სუფიქსთა კომპლექსში **-იკ** აფიქსის ჩართვას: **-იკ-ა, -იკ-ო, -იკ-უნ-ა, -იკ-ელ-ა** და სხვ.

ამა თუ იმ კომპლექსში ჩართული თითოეული ამ სუფიქსის ემოციური ელფერი ერთგვაროვანი არ არის, კერძოდ, ყველა მაკნინებელი (როგორც ეს მიღებულია ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში). გარდა ამისა, სახელის თუ აფიქსის ემოციურ გამომსახველობაზე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გავლენას ახდენს სხვადასხვა გარემოებაც. გასათვალისწინებელია კიდევ ერთი ფაქტი: თანხმოვანზე დასრულებული სუფიქსების (**-იკ** ტიპისა) მთავარ, შეიძლება ითქვას, ერთადერთ ფუნქციად წარმოქმნის მიჩნევა, ცხადია, ყველა ენაზე არ ვრცელდება. იგი ნიშანდობლივია ქართული ენისათვის. ამის მიზეზი კი არის ქართული ენის მიდრეკილება აუსლაუტის ვოკალიზაციისაკენ. რუსულისგან, სომხურისგან... განსხვავებით, ქართული სიტყვები, როგორც აღვნიშნეთ, არ მთავრდება თანხმოვანზე. თუ სიტყვა ხმოვანფუძიანი არ არის, ქართულში აუსლაუტში დაერთვის სახელობითის ნიშანი **-ი**: **гора** – მთა, მაგრამ **дом** – სახლ-ი. ასეთივე სურათი გვაქვს ანთროპონიმებში: **Михайл** – მიხეილ-ი. რუსული (ან სომხური...) ენის სახელთა სტრუქტურისათვის ნიშანდობლივია აუსლაუტის როგორც ხმოვნით, ისე თანხმოვნით წარმოდგენა. ამ ენებში თანხმოვანზე დამთავრებული სუფიქსები წარმოქმნის ფუნქციასთან ერთად ემოციური ელფერის გამოხატვასაც ითავსებენ: Пришли Котик и Эдик. **-ик** რუსულში მოფერებითი ელფერის გამომხატველი ფორმანტია (სომხურშიც), ქართულში კი ამ აფიქსის მოფერებითობა მხოლოდ გარკვეულ შემთხვევაში იჩენს თავს, განმაპირობებელია შემდგომი აფიქსის როგორობა.

ახლა გავაანალიზოთ, რა შემთხვევაში და რა ემოციური ელფერით იტვირთება განსახილველი სუფიქსები, კერძოდ, **-იკ** და მასზე დართული **-ა**.

-იკ. აკაკი შანიძე წერს, რომ ეს მაწარმოებელი დამოუკიდებლად გვხვდება ონიმში – ბეს-იკ-ი, უფრო კი მას -ო დაერთვის. მაგალითებად დამოწმებულია როგორც -ო დართული ანთროპონიმები, ისე საზოგადო სახელები: სოლ-იკო, სოს-იკო, დათ-იკო, ვას-იკო... ლ. კვაჭაძის „ქართულ ენაში“ რთულ კნინობით აფიქსებად დასახელებულია: -იკო, -უნა, -უკა, -უნია, -ელა (კვაჭაძე, 2001, 106); ლ. გეგუჩაძის „ქართულ ენაში“ – -იკო, -უნა, -უკა; ალ. ღლონტის „ქართველურ საკუთარ სახელებში“ ამ სუფიქსების გარდა, დასახელებულია -იკა.

ვფიქრობთ, ცალკე აღებული -იკ ფორმანტის მიჩნევა მაკნინებელი ფუნქციის მქონედ, პირობითია. თავისთავად -იკ- სუფიქსი, როგორც ა.შანიძე აღნიშნავს, არ გვხვდება. გამონაკლისია ბესიკი. ამ სახელში კი -იკ- სუფიქსი კნინობით ელფერს არ აძლევს სახელს. -იკ სუფიქსი იმდენად არის შეზრდილი ბესარიონ სახელის შემოკლებულ ფორმასთან, რომ სახელი **ბესიკი** მისით სახელდებული პირის კნინობითობაზე არ მიგვანიშნებს. -იკ სუფიქსი სახელს არ სძენს არც მოფერებით და არც დამცირებით ელფერს. ბესიკი დღეს იმ ტიპისაა, რაც პაპუნა-მამუკა სახელები, და არა მარტო დღეს. ამის დამადასტურებელია XVIII ს-ის ქართველი პოეტის – ბესიკ გაბაშვილის – პიროვნება. საქმე ისაა, რომ, როგორც თავად ბატონი აკაკი აღნიშნავს, ქართულ ენას არ ახასიათებს კნინობითობის გამომხატველი სუფიქსების პროდუქტიულობა. -იკ- სუფიქსი, ცალკე აღებული, თითქმის არ გვხვდება ქართულში. ერთადერთ შემთხვევაში დადასტურებულმა სუფიქსმა კი, ჩვენი აზრით, იმთავითვე დაკარგა თავისი ფუნქცია ალბათ იმიტომ, რომ ერთი გამონაკლისი ამინდს ვერ ქმნის.

გავიხსენოთ გ. წერეთლის თხზულებიდან სახელები: კიკოლ-იკ-ი, ჩიკოლ-იკ-ი, თუმცა ხელოვნური გზით მიღებული, მაგრამ მაინც ონიმებად წარმოდგენილი. რა ფუნქცია აქვს -იკ- სუფიქსს? უნდა აღვნიშნოთ, რომ თავად პირველადი სახელი კიკოლა არასასურველი ემოციური ელფერის შემცველია, რასაც იწვევს ამ სიტყვის (კიკოლა) ბგერითი შემადგენლობა, მისი ყრუ მკვეთრი ჩქამიერი ბგერები (აბრუპტიები). ამ სახელს არანაირი სუფიქსის დართვა, ასე ვთქვათ, არ „გააკეთილშობი-

ლებდა“. ასე რომ, ამ სახელში (კიკოლიკი) -იკ სუფიქსის მაკნინებელი ელფერი მხოლოდ -იკ სუფიქსის დართვით არ აიხსნება. აქ ემოციურ კნინობას იძლევა თავად სახელი. უფრო მეტიც, სახელის პირველადი ფორმა (კიკოლა) უფროა მაკნინებელი, ვიდრე -იკ სუფიქსი ან -იკ სუფიქსის დართვით წარმოებული ფორმა. რაც შეეხება ჩიკოლიკ-ს, იგი მიღებული ჩანს კიკოლიკისაგან ანლაუტში თანხმოენის დისიმილაციით.

მსჯელობას იქამდე მივყავართ, თითქოს -იკ სუფიქსი საერთოდ არ იყოს ემოციური ელფერით გაჯერებული ფორმანტი. თუ ზემოთ დასახელებულ შემთხვევებს გავითვალისწინებთ, შეიძლება ამ დასკვნის მიღებაც. რადგან დამოუკიდებლად ამ სუფიქსის გამოყენება ქართული ენის ბუნებისათვის არ არის დამახასიათებელი, ამიტომ მისი მიკუთვნება გარკვეული ემოციური ჯგუფისადმი ძნელია. თუ მაინცდამაინც უნდა დაერქვას სახელი, ბესიკი სახელის მაგალითზე იგი კნინობითი არ არის. -იკ რომ არ არის მაკნინებელი აფიქსი ბესიკ-ში და ამ სახელმა რომ პირველადი სახელის ფუნქცია და უფლება შეიძინა, ვფიქრობთ, იქიდანაც ჩანს, რომ მასზე (როგორც ბესარიონ-ის შემოკლებულ ფორმაზე) -ა სუფიქსის დართვა ონიმს ანიჭებს არა კნინობით ემოციურ ელფერს, არამედ – დამცირებითს (შდრ.: თემურა). უფრო მეტიც, -იკ აფიქსს, როგორც აღვნიშნეთ, უნდა ჩამოეცალოს ემოციური ელფერის გამომხატველობა და მხოლოდ წარმოქმნის აფიქსად უნდა იქნეს მიჩნეული. ერთ მაგალითზე, ბესიკ-ზე, დაყრდნობით თქმა იმისა, რომ -იკ- კნინობითობის აფიქსიაო, არ იქნება თანამიმდევრული მსჯელობა. -იკ ფორმანტზე, როგორც ემოციურობის გამომხატველ სუფიქსზე (ვთქვათ, კნინობითობაზე), უნდა ვიმსჯელოთ იმ შემთხვევების გათვალისწინებით, როცა იგი პროდუქტიულია, კერძოდ, როცა -იკ სუფიქსს ერთვის სხვა აფიქსები. ასეთებია: -იკ-ა, -იკ-ო, -იკ-ელ-ა, -იკ-უნ-ა და სხვა. ამ ორ- თუ სამფორმანტიან სისტემაში -იკ სუფიქსის ემოციურ ელფერს განსაზღვრავს იმ აფიქსის ემოციური ელფერი, რომელიც მას დაერთვის. ამრიგად, -იკ მორფემას ემოციური შეფერილობა მხოლოდ რთულ აფიქსში ეძლევა. შევჩერდებით -იკ-ა კომპლექსზე.

-იკ ფორმანტი ქართული ენის სისტემაში დასტურდება და მოქმედებს სხვა სუფიქსების მეშვეობით. ისევე როგორც კოარტიკულაციის დროს ხდება ბგერათა ფონეტიკური ურთიერთგავლენა, სხვადასხვა სუფიქსთა თავმოყრისას ხდება მათი დანიშნულების ურთიერთგავლენა და, შესაბამისად, ემოციურ ელფერთა მონაცვლეობა, ამრიგად, სხვადასხვა ემოციური დატვირთვა აქვს არა **-იკ** სუფიქსს, არამედ -იკ-ა, -იკ-ო... რთულ აფიქსებს.

-იკა. ეს აფიქსი „ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონში" (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988, 230) მიჩნეულია რთულ აფიქსად, რომელიც აწარმოებს კნინობით-საალერსო ფორმებს. მაგალითებად დამოწმებულია: თამრიკა, პეტრიკა, რასაც მოჰყვება შემდეგი ფრაზა: „ახლავს ფამილარულ-ირონიული ნიუანსი". იბადება კითხვა: ირონიული ნიუანსის შემცველი სახელი რამდენად ჩაითვლება მოფერებითი ელფერის გამომხატველად?

-იკა – ამ ორმაგი სუფიქსის ემოციურ ელფერზე მსჯელობისას, ჩვენი აზრით, გასამიჯნია ორი მომენტი თავისი ქვეშემთხვევებით:

I. ა) **იკა** დაერთვის ონიმის პირველადს ფუძეს თუ შემოკლებულს;

ბ) პირველადი თუ მეორადი ანთროპონიმით წარმოდგენილი პიროვნება სოციალურად რომელ ფენას განეკუთვნება ან რამდენად ღირსეული პიროვნებაა;

გ) გასათვალისწინებელია დენოტატის ასაკობრივი მდგომარეობაც და სახელდების გარემოც;

დ) ვინ არის ახლობლობის თვალსაზრისით დამძახებელი (დენოტატისადმი მიმართვის სუბიექტი).

II. -იკა დიფერენცირებულ სუფიქსად გეევლინება თუ არადიფერენცირებულად?

ანუ **-ა** სუფიქსს კონკრეტულ შემთხვევაში დამოუკიდებელი ფუნქცია აქვს, შეუძლია **-იკ** სუფიქსისგან განსხვავებით აწარმოოს შემოკლებული ონიმი (დათ-ა, ვან-ა ტიპისა), თუ **-ა** სუფიქსი კარგავს დამოუკიდებლობას და იგი მოქმედია ოდენ -იკ სუფიქსთან ერთად (ზალ-იკ-ა, დედ-იკ-ა).

ზემოთ დასახელებულ შემთხვევებს შემდეგი პასუხი დაეძებნება:

I. ***ა)*** შემოკლებულ ანთროპონიმებზე დართული **-იკ-ა,** ძირითადად, მაკნინებელ ელფერს აძლევს ანთროპონიმებს. ამდენად: დავით→დათ-იკა, რევაზ→რეზ-იკა ტიპის სახელებში **-იკა** კნინობითი, ანუ დემინუტიური სუფიქსია; ზოგჯერ კი, ჩვენი დაკვირვებით, უფრო ონიმის 1-2-ბგერიან ნაწილზე დართული -იკა მოფერებით ელფერს სძენს მას (თ-იკა, ლ-იკა, მზ-იკა).

-იკა სუფიქსის დემინუტიურობის (კნინობის) ხარისხი მკვეთრად იზრდება, თუ მას დავურთავთ ონიმის პირველადს ფუძეს (სრულს): ივან-იკა, ნოდარ-იკა, ლევან-იკა, რევაზ-იკა, ოთარ-იკა... ამ ტიპის სახელებში, ე.ი. ანთროპონიმის პირველადს ფორმაზე დართულ -იკა-სუფიქსიან ონიმებში იკვეთება ემოციური ელფერის მეტ-ნაკლები ხარისხი, ანუ კნინობითობის მერყეობა საკუთრივ კნინობითობიდან დამცირებულობამდე. ზემოთ ნათქვამის შესაბამისად წარმოვადგენთ სქემას:

-იკ-ა
- შემოკლებულ სახელებში = კნინობითობის ან მოფერებითობის ელფერს;
- სრულფუძიან პირველადს სახელებში = დამცირებითობის ელფერს;
- აპელატივებთან უშუალოდ დართული = ნულოვან ელფერს (მგელიკა), რადგან პირველადი სახელია;

ამრიგად, სუფიქსის სხვადასხვა ემოციურ ელფერს განაპირობებს თვით ონიმის ფორმა – შემოკლებული თუ სრული. შემოკლებულ სახელებს თავად აქვთ მიდრეკილება – გამოხატონ მოფერებითი ემოციური ელფერი ან, უკიდურეს შემთხვევაში, შეინარჩუნონ ნეიტრალური ემოციური ელფერი (მხედველობაში გვაქვს მაწარმოებლის გარეშე აპოკოპირებული, ეთქვათ, თინათინი→თინა, ეკატერინე→ეკა). ვფიქრობთ, ესაა მიზეზი, მათზე დართული -იკა სუფიქსის (თუკი ამ სუფიქსს ირგებს) ემოციური ელფერი მსუბუქ კნინობას რომ არ სცილდება. შემოკლებული ონიმის ფორმა, მოფერებითი ან ნეიტრალური ემოციური ელფერის შემცველი, თავის მხრივ, უკუგავლენას ახდენს მასზე დართული სუფიქსის სიმკვეთრეზე, კერძოდ, „არბილებს" მას (ნოდარი → ნოძიკა). რაც შეეხება ოფიციალური სა-

ხელის სრულ ფორმაზე დართულ **-იკა** სუფიქსს, ძირეული სახელის არაემოციური ელფერის გამო მისი ემოციურობა სცილდება კნინობითობის გამოხატვას და უფრო მწვავე ემოციისკენ იხრება;

ბ) **-იკა** სუფიქსის ემოციურობის ხარისხის ასეთ რყევას, როგორც ქართული მწერლობის პერსონაჟთა სოციალური მდგომარეობის ანალიზმა დაგვანახვა, იწვევს ამ პიროვნებათა სოციალური მდგომარეობა. კერძოდ, თუ რომელიმე ივანიკა გლეხია, მაშინ მის ონიმში ჩართული **-იკა** კნინობითი ელფერისაა, შესაბამისად, **-იკა**-ს შემცველი ანთროპონიმიც – კნინობითი. თუ ივანიკათი სახელდებული პირი წარჩინებული ფენის წარმომადგენელია, მაშინ **-იკა** სუფიქსი არათუ კნინობითი, უფრო მეტიც – დამცირებითი ელფერის მატარებელია, ხოლო -იკა სუფიქსდართული სახელი – მაღალი წრის წარმომადგენლის ან წარჩინებული პირის დამცირებისა;

გ) ასეთსავე განსხვავებას იწვევს დენოტატის ასაკობრივი მდგომარეობა და სახელდების გარემოც. კნინობითი თუ დამამცირებელი ფორმანტებით წარმოებული სახელების არასასურველ ემოციურ განცდას თითქოს ანეიტრალებს მეგობრული წრე, მაგრამ არა მთლიანად. კნინობით-დამამცირებელი სახელების განეიტრალებას განსაკუთრებით ხელს უწყობს ასაკი (სიყმაწვილე). ბავშვის ფსიქოლოგია ჯერ კიდევ არ არის მყარი, რაც განაპირობებს ბავშვის ყურის მიჩვევას და შეგუებას მისთვის არასასურველი მეტსახელისა თუ პირველადი ანთროპონიმის ამა თუ იმ ფორმის მიმართ;

დ) რაც შეეხება მეოთხე მომენტს – ვინ არის დამძახებელი დენოტატისადმი ახლობლობის თვალსაზრისით: მიუხედავად ახლობლური ურთიერთობისა, სახელმდებლის მიერ მდგომარეობით გამორჩეული დენოტატისადმი **-იკა**-სუფიქსიანი პირველადი სახელების (რევაზიკა-ივანიკას ტიპი) გამოყენება დენოტატისადმი უპატივცემულობის გამოხატულებაა და ასედაც აღიქვამს დენოტატი მას. ამასთან, ცნობილი გამონათქვამი – „მედალს ორი მხარე აქვს“ – ერცელდება ანთროპონიმულ სისტემაზედაც: **სოციალური მდგომარეობითა თუ პიროვნული ღირსებით გამორჩეული პირისადმი ამ ტიპის (მაკნინებელი, მით უფრო, დამამცირე-**

ბელი) ფორმით მიმართება ან მისი ამგვარად მოხსენიება თვით დამმახებლის დაბალ ინტელექტზე მიუთითებს. ასე რომ, მიმართვისას (თუნდ მესამე პირად მოხსენიებისას) საკუთარი სახელი, რომელიც, საგანგებო ფიქსის მოხმობით, უარყოფითი ემოციის გამომხატველი მოტივაციითაა გამოყენებული, გარკვეულ შემთხვევებში უკუშეფასების ფუნქციასაც იძენს. კერძოდ, პიროვნული ღირსებით გამორჩეული პირისადმი მიმართული ანთროპონიმის დამამცირებელი თუ დამაკნინებელი სუფიქსით წარმოებული ფორმა — ეს იქნება ახლობლობის „პრეტენზიით“ თუ გაკილვის სურვილით გამოწვეული ზურგსუკან თქმული, მომენტალურად ავლენს უკუჩვენების ფუნქციას და თვით დამმახებლის კნინობაზე მიგვანიშნებს. დაუწერელ კანონად ქცეული ონიმის ეს თვისება — მისი პირდაპირი თუ უკუშეფასების ფუნქცია — ერცელდება მაკნინებელი თუ დამამცირებელი სუფიქსით წარმოქმნილი ყველა სახის ანთროპონიმული მოდელის არაშესატყვის გარემოში გამოყენებისას (არაშესატყვის გარემოდ ვთვლით არა მხოლოდ ოფიციალურ, არამედ ახლობლურ წრესაც).

II. ახლა რაც შეეხება მეორე პუნქტს. -იკა-აფიქსდართული ონიმის კნინობისა თუ დამამცირებელი ელფერის დასადგენად გასათვალისწინებელია: ფორმანტი -იკა დიფერენცირებულია თუ არადიფერენცირებული. რას ვგულისხმობთ ამაში?

ა) რიგ შემთხვევაში ძირეული ონიმიდან ახალი ფორმის წარმოქმნა ხდება ამ ორივე სუფიქსის დართვით, რადგან ერთი მათგანის, კერძოდ -ა-ს, დართვით ონიმი, უფრო ზუსტად, პირველადი ონიმის პარალელური ფორმა, ვერ ყალიბდება: ზალ-ა, დედ-ა... უნდა იყოს: ზალ-იკა, დედ-იკა... ამ ფაქტის გათვალისწინებით, აღნიშნულ ფორმანტებს **არადიფერენცირებულ სუფიქსებს** ვუწოდებთ;

ბ) უმეტეს შემთხვევაში -ა დამოუკიდებელ აფიქსად გვევლინება: დათ-ა, ვან-ა... და, სურვილისამებრ, შეიძლება მის წინ -იკ სუფიქსის დართვა-დაურთველობა: დათ-იკ-ა, ვან-იკ-ა... ამ შემთხვევაში -იკ-ა ფორმანტს **დიფერენცირებულ აფიქსად** მივიჩნევთ.

რას ვიღებთ შედეგად?

1. როცა **-იკ-ა** დიფერენცირებულია, მაშინ გამოიყოფა ორი ეტაპი: ა) შემოკლებულ სახელზე დართული **-ა**, როგორც აღვნიშნეთ, მოფერებით ელფერს აძლევს სახელს (დათა, ქეთა, ვანა, ბესა ტიპის); ბ) მაგრამ საკმარისია **-ა** აფიქსს წინ დაერთოს **-იკ,** მაშინ მთლიანად **-იკა** და, შესაბამისად, მისით წარმოქმნილი ონიმი მიიღებს კნინობითობის ელფერს: დათიკა, ვანიკა... შეუძლებელია ცალსახად იმის თქმა, რომ კნინობის მაპროვოცირებელი ოდენ -იკ აფიქსია. აქ კნინობას იწვევს ორი კონკრეტული სუფიქსის (-იკ და -ა) მოქმედება (შდრ. -იკ-ო: ვან-იკ-ო, ვაჟ-იკ-ო).

2. როცა **-იკა** არადიფერენცირებულია, ანუ გარკვეულ სახელებში ერთმანეთის გარეშე არ იხმარება (ზალიკა, დედიკა, მარიკა ტიპის), იგი თითქმის თავისუფლდება ემოციური ელფერის გამოხატვისგან და ნეიტრალურ აფიქსად გვევლინება. არადიფერენცირებული **-იკა**-თი ნაწარმოები სახელები, შესაბამისად, ნეიტრალური ემოციური ელფერისაა. ასე რომ, **არადიფერენცირებული -იკა ალბათ მხოლოდ წარმოქმნის აფიქსად უნდა ჩაითვალოს.** ამასთან, არადიფერენცირებული **-იკა** ფორმანტი ერთეულ შემთხვევაში თითქოს იჩენს ტენდენციას – მიანიჭოს ონიმს (შემოკლებულ ფორმას) ალერსობითი შეფერილობა. მაგალითად, სახელში მარიკა (შდრ.: ზალიკა-დედიკა), მაგრამ ეს მაინც ტენდენციაა, რადგან მარიკა სახელის ემოციური კოეფიციენტი ნულია, მით უფრო, თუ მას შევადარებთ მარიკო ფორმას. ქართულ სინამდვილეში დადასტურებული ფორმა – მარიკა მარიამ/მარინეს ვარიანტია. მაგრამ შეიმჩნევა ტენდენცია სახელის ამ ფორმის (მარიკა) ე.წ. საპასპორტო, ანუ ოფიციალურ ფორმად დამკვიდრებისა, რაც იწვევს ამ სახელში **-იკა** სუფიქსის ემოციური შეფერილობის თანდათან დაბინდვას და მის **(-იკა)** ქცევას მხოლოდ წარმოქმნის აფიქსად (ისევე როგორც **-იკ** ბესიკ-ში). სახელის ეს ფორმა ევროპულ ქვეყნებშიც დასტურდება (მარიკა როკი), თუმცა, ვფიქრობთ, აქ ფონემატური თანხვდომაა. არადიფერენცირებულმა – იკა სუფიქსმა იშვიათად შეიძლება მიიღოს სხვა ელფერიც. კერძოდ, ნეიტრალურიდან მოფერებითი. მაგალითად, ნათიკა (←ნათელა//ნათია).

-იკა სუფიქსი ნულოვანი ემოციური შეფერილობით გეხვდება, ძირითადად, მთის დიალექტებში, სადაც აღნიშნული ფორმანტი არ წარმოადგენს ონიმის ემოციური ელფერის გამომხატველს. მგელიკა-ვაჟიკა ტიპის სახელებში **-იკა** ოდენ წარმოქმნის ელემენტად გვევლინება ყოველგვარი კვალიტატიური თვისების გარეშე, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოქმედებს შემდეგი მორფოლოგიური ფაქტი: ამ ტიპის სახელებში -იკა დაერთვის არა ონიმებს, არამედ აპელატივთა ფუძეს. (მგელიკა-ვაჟიკა საკუთარი სახელის პარალელური ფორმა არ არის) და წარმოქმნის ანთროპონიმს (იმედას ტიპს).

ამრიგად, მხოლოდ კნინობით აფიქსებად მიჩნეული **-ა, -იკ, -იკა, -უნა** სხვადასხვა მორფოლოგიურ-სემანტიკურ ვითარებაში სხვადასხვა ემოციური შეფერილობის აფიქსებია.

-იკო. ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული სუფიქსი როგორც ბარში, ისე მთაში, ანუ საყოველთაოდ მიღებული და, რაც მთავარია, მდგრადი ემოციური ელფერით (კერძოდ, დადებითი) არის **-იკ-ო. -იკო**-დართული ალერსობითი ფორმების გარკვეული ნაწილი თითქოს კარგავს ალერსობით ელფერს და ნეიტრალურ იერს იღებს, ოფიციალურ ფორმებადაც ყალიბდება: **ვერიკო** (ანჯაფარიძე), **სოფიკო** (ჭიაურელი), **ნანიკო** (ხაზარაძე)... (ისევე როგორც -იკა: **მარიკა** ჯიქია, **მარიკა** ლორთქიფანიძე) და სხვა აფიქსები.

დაბოლოს, -იკ- სუფიქსი ერთფუნქციიანია (წარმოქმნის ფუნქცია), ხოლო მასზე დართული **-ა /-ო** — სამფუნქციიანი (წარმოქმნის, მაანთროპონიმებელი და სუბიექტური ელფერის მიმნიჭებელი).

ემოციური ელფერის მიმნიჭებელ აფიქსთა სხვა სახეები

-უნ და **-იკ** სუფიქსების დარად, **-უკ, -უც, -უჩ, -უთ, -ელ, -ულ, -იტ, -ინ** ... წარმოქმნიან სახელის ყალიბს, მაგრამ ქართულენოვანი სიტყვებისთვის ეს არ არის საკმარისი. მათ ერთვის სუფიქსები — ერთი ან ორი. მაანთროპონიმებელი ფუნქცია აქვს იმ სუფიქსს, რომელიც ოდენხმოვნიანია (**-ა, -ე, -ი, -ო**) ან ორხმოვნიანია (**-ია**). თუ ზემოთ აღნიშნულ (VC) სუფიქსებზე დარ-

თული ახალი სუფიქსიც მთაერდება თანხმოვნით (მაგალითად, -ელ), ანუ იმავე სისტემისაა (VC), ბუნებრივია, მოითხოვს მაანთროპონიმებელ აფიქსს, რის შედეგადაც მიიღება სამკომპონენტიანი რთული აფიქსი (ვთქვათ, ი-ელ-ა). VC შემადგენლობის აქ წარმოდგენილი სუფიქსები, ისევე როგორც -იკ, მხოლოდ წარმოქმნის ფუნქციას ასრულებენ, კერძოდ, წარმოქმნიან სახელის ფუძეს (და არა სახელს). მათ არ გააჩნიათ ონიმისთვის ემოციურობის მინიჭების ფუნქცია. და მაინც: VC სუფიქსებში პრევენციულად, ქვეცნობიერად იგრძნობა მათი მიდრეკილება კონკრეტული ემოციური ელფერისკენ. -იკ სუფიქსისგან განსხვავებით, დანარჩენ VC ტიპის სუფიქსებს დადებითი მუხტი შეაქვთ სახელში, მეტ-ნაკლები ხარისხით. რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია სხვა პირობებიც, კერძოდ ის, რაზედაც ზემოთ ვისაუბრეთ, მაგალითად, **-უნა** სუფიქსთან დაკავშირებით.

-უნა სუფიქსის ძირითად თვისებასთან (ალერსობა) ახლოს დგას მაანთროპონიმებელი -ა-თი გაფორმებული **-უკ-, -უც-, -უთ-, -უჩ-** სუფიქსები: ნან-უკა, ნინ-უცა, ქეთ-უთა, დათ-უჩა. ამასთან, **-უკ-ა** სუფიქსი ნანუკაში გაცილებით დადებითი ემოციის გამომხატველია, ვიდრე ბეჟუკა-დათუკაში. თავის მხრივ, ბეჟუკა-დათუკას საალერსო ელფერი განსაკუთრებით იკვეთება ბეჟიკა-დათიკასთან დაპირისპირებით.

საალერსო აფიქსებიდან განსაკუთრებით იკვეთება -ი სუფიქსი, როგორც შემოკლებულ სახელზე, ისე — სუფიქსზე დართული.

-0. ეს აფიქსი, აკ. შანიძის ვარაუდით (გიგუცი, ნანუკი, ბეჟუკი), მორფოლოგიური ფორმანტის ნაშთია (შანიძე, 1969, 143). სხვა გრამატიკულ ლიტერატურაში -ი სუფიქსზე მაინცდამაინც არ არის ყურადღება გამახვილებული, არადა, -ი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული სუფიქსია ალერსობის ეფექტის (ემოციის) თვალსაზრისით: ქეთ-ი, თამრ-ი, ან-ი... სახელთა ამ ფორმებში უფრო მეტი ინტიმი იგრძნობა, ვიდრე მოფერებით სახელებად აღიარებულ ქეთ-ინო, თამრ-იკო, ან-იკო, ან-უკა ფორმებში. საკუთარ სახელთა -ი სუფიქსით გაფორმებული ფორმები (ქეთი, თამრი) ალბათ იმითაც გამოირჩევიან ინტიმით, რომ მათ

მიმართვის ელფერი დაჰკრავთ. თითქოს ისინი მიმართვისას თბილი დამოკიდებულების გამოვლენისთვისაა შექმნილი, რაც არ გამორიცხავს მათს ქცევას ონიმის საყოველთაო ფორმებად და გამოყენებას მესამე პირის აღსანიშნად. მ. ჯავახიშვილის ერთი მოთხრობის („კურკას ქორწილი") პერსონაჟია კურკა, რომელსაც მიმართვისას კურკ-ს უწოდებენ, როცა მისი შექება სურთ: „ყოჩაღ, კურკი"; პეტრეს თუ პეტუშას მარო თხოვნით ასე მიმართავს: „პეტრო...პეტრუში" („გიკი შადური"); ნიკო→ნიკუში („ქალის ტვირთი"). **ანუკა** ანა-ს მოფერებითი ფორმაა, მაგრამ, „თამრიკო" ფორმის მსგავსად, „ანუკამ" დროთა განმავლობაში დაკარგა ემოციური ეფექტი. ამ სახელისთვის დადებითი ემოციის მინიჭება ახალ ფორმას ითხოვს. საალერსო განწყობის გამოხატვის გასაძლიერებლად მას ენაცვლება ან-უკ-ი ფორმა, რაც დამოწმებულია გრ. რჩეულიშვილთან: ანუკა ბატონიშვილი→ანუკი.

-ი თავისთავადობით იმდენად გამოირჩევა, რომ, ეფიქრობთ, იგი არ უნდა იყოს **-ინ-, -იკ-** სუფიქსების ნაშთი, არამედ დამოუკიდებელი აფიქსია, ოდენხმოვნიანი. ამას ემოწმება რეალურ ყოფაში დადასტურებული სახელები: ალი (ალექსანდრე ლორია), საშკი (ჩლაიძე) – ორივე ფორმა პირველადი ფორმის, ალექსანდრეს, ვარიანტებია: გაცილებით მეტი საფეხური აქვს გაელილი სახელის ფორმას **საშკი**:

ალექსანდრე→საშ-ა→საშ-კ-ა→საშ-კ-ი

ამათგან **საშკა** სახელის მოსაფერებელი ფორმაა, მაგრამ **-ი** სუფიქსი, ეფიქრობთ, უფრო მეტად სძენს მას ალერსობით ელფერს, დადებითს ემოციას (შდრ.: სალი, ქეთი, ნინი). **-ი** რომ ნამდვილად გამოირჩევა დადებითი, მოფერებითი ემოციურობის გამოხატვის ფუნქციით, ადასტურებს **-ი**-ფუძისეულ ხმოვანზე შეკვეცილი (აპოკოპირებული) სახელები: მარი(ამ), ციცი(ნო), ირი(ნა), ნაი(რა), ფიქრი(ა), სოფი(ო)...

მოფერებითი ელფერის გამომხატველი **-ი** სუფიქსი რადიკალურად განსხვავდება დიალექტური **-ი** სუფიქსისაგან. ო. კახაძეს ქართლური, ქვემოგურული, შუაიმერული დიალექტებიდან დამოწმებული აქვს **-ი**-სუფიქსიანი ფორმები: ელიჩკაი, ანიჩკაი, ნოდარაი, უორჟიკაი, გიგლაი, კოწიაი (კახაძე, 1953, 184). ესიკაი,

სამსონაი, ეგნატეი. ვთქვათ, სახელში – ნოდარ-ა-ი -ა თუ ემოციურ ელფერზე მიუთითებს, -ი ამ სახელის დიალექტურ ფორმას ქმნის.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი -ი ფორმანტით დასრულებული ონიმების მოფერებით ელფერს დავუმატებთ **სახელთა ფორმის ერთ ახალ რიგს, რომელიც ამ უკანასკნელ პერიოდში გამოიკვეთა *მოფერებითი ელფერის მინიჭების საგანგებო ფუნქციით* – ესაა უაფიქსოდ ხმარებული ანთროპონიმის ძირი, cvc შედგენილობით, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მიმართვისას გამოიყენება. ამასთან, მათი წარმოთქმისას შეინიშნება კონსონანტებს შორის მოქცეული ვოკალის განგრძნობითი წარმოთქმა.** ეს ფორმებია: **ქეეთ, რუუს, სააშ, ნიინ, სოოფ...** გარდა ამისა, მოფერებითი განწყობის გამოხატვას ემსახურება მიმართვის დროს **vc სუფიქსით დამთავრებული** სახელის ფორმებიც: ნიკუშ, ქეთუშ, მაკუშ... უდავოდ მოფერებითი განწყობის გამომხატველია მიმართვისას გამოყენებული **ხმოვანფუძიანი** პირეელადი ანთროპონიმების ხმოვანმოკვეცილი ფორმები, მაგრამ ამ ფორმებს დიალექტურ სივრცეში გადაეყავართ. ამ ტიპისაა: **მაყვალ! მანან!**

-ისი. ამ სუფიქსს შ. ძიძიგური უწოდებს ნანათესაობითარი სახელობითის დაბოლოებას და აღნიშნავს, რომ მას „სასიყვარულო – მოფერებითი მნიშვნელობა აქვს: იაგოისი, მათიაისი, მარინეისი, სვიმონისი (ძიძიგური 1974, 200). **ისი სუფიქსთან დაკავშირებით** ჩვენც აღნიშნული გვაქვს, რომ იგი ალ. ყაზბეგის თხზულებებში მოფერების გამომხატველ საშუალებას წარმოადგენს **მიმართვისას**: მათიაისი, ელგუჯაისი, ონისეისი“ (გოდერძიშვილი, 1990, 105). ალ. ყაზბეგის პროზაზე დაყრდნობით, შ. აფრიდონიძე ეხება **მხოლოდ მიმართვისას** საგანგებო სუფიქსით გაფორმებული სახელის მოფერებით ფორმებს. ამ ტიპის ფორმანტად, უპირველესად, ასევე წარმოდგენილია სუფიქსი **-ოსი**: ონისეისი, მათიაისი, ელგუჯაისი, მაყვალაისი (აფრიდონიძე, 1995, 13).

-ე, -იე – დიალექტური ფორმების მაწარმოებელი სუფიქსებია, რომელთა მიღების პროცესს საგანგებოდ ეხება ო. კახაძე (დასახ. ნაშრ.). ემოციური ელფერით ამ ტიპის ფორმები შე-

საბამის რეგიონებში, დიალექტურ გარემოში, -ია სუფიქსების მსგავსია, არადიალექტურ გარემოში კი ასეთი ფორმები, ელემენტარულად, არ დაფიქსირდება. ქართველ მწერალთა თხზულებებში დამოწმებულია ამ ფორმის შემდეგი ანთროპონიმები: იოთამე, იორამე, პაელიე, გოგიე, გერიე, დათიე, თინიე...

-ია – ეს სუფიქსი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ („რეგიონი და სუფიქსი"), ისევე ანიჭებს სახელს სხვადასხვა ემოციურ ელფერს, როგორც **-ა**, რაღა თქმა უნდა, შესაბამისი პირობების გათვალისწინებით. გამოვყოფთ რამდენიმე შემთხვევას: **1) -ია**, წარმოქმნის **-უნ** აფიქსზე დართული, აძლიერებს სახელის ალერსობით ემოციურ ელფერს (ფისუნია, ჩიტუნია, ქეთუნია, ეკუნია...); **2) -ია** მაკნინებელ და დამცირებით ელფერს სძენს სახელს მის პირველადს ფორმასთან ან ხმოვანზე შემოკლებულ ნაწილთან უშუალო დართვისას. გარდა ამისა, ამ ტიპის ფორმებში მარკირებული **-ია** დიალექტურ გარემოზედაც მიანიშნებს: ვარლამ-ია, ნოდარ-ია, პეტრე-ია, ვასო-ია, ნიკო-ია, ნინო-ია... **3)** თანხმოვანზე შემოკლებულ სახელებთან დართული **-ია** სუფიქსი: ა) დიალექტურ გარემოში ამცირებს უარყოფით ელფერს, უფრო ალერსობითს ხდის სახელს (თინ-ია, ქეთ-ია, პაულ-ია), რაზედაც, ვფიქრობთ, გავლენას ახდენს რუსული ანთროპონიმული მოდელი: ვან-ია (Ваня), ვას-ია (Вася) ტიპის, რაც თითქოს აფერმკრთალებს დიალექტურ ფონს; ბ) არადიალექტურ სიერცეში კი ამ ტიპის სახელები შედარებით იშვიათია და ალერსობითი ელფერით გამოირჩევა (ნათ-ია, ნინი-ა). რუსულენოვანი სივრცის ონიმურ ფორმებს ქართულში ზოგჯერ ვიღებთ ჩვენში მოქმედი ფონეტიკური სახეცვლილებებით. მაგალითად, პეტრე-ია→პეტ-ია. პეტიაში გრძელდება ბგერათცვლილების პროცესი. პალატარული (რბილი) ხმოვანი **-ი** იწვევს **ტ** აბრუპტივის აფრიკატიზაციას და ვიღებთ პეწ-ია-ს. ანალოგიური ვითარებაა: კოტე→კოტია→კოწია. **პეწია** და **კოწია** – ერთი ფონეტიკური გზით მიღებული ეს ორი სახელი – ერთმანეთისაგან განსხვავდება გამოყენების არეალით. კოწია (პეწიასგან განსხვავებით) დამკვიდრდა ქართულ სინამდვილეში, რასაც ხელი შეუწყო იმ ფაქტმა, რომ იგი არ არის რუსულში. კონსტანტინე გამსახურდიას კოწია სახელითაც იხსენიებდნენ. ეს

და მისი ტიპის ფორმა დომინირებს იმერეთის რეგიონში: კოწია — იმერელი აზნაურის, ქამუშაძის შვილი (დ. კლდიაშვილი); „კოსტია გახლავართ... აზნაური... იმერეთში (აკ. წერეთელი, „იმერული სცენები“).

აფიქსთა თუ აფიქსთა ჯგუფით წარმოქმნილ ანთროპონიმებს მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრებათ საზოგადოებაში. მათი მეშვეობით შესაძლებელია საზოგადოებრივი ურთიერთობების ამა თუ იმ საკითხის გამოვლენა და შესწავლა. მხოლოდ სახელის ფორმით (ვთქვათ, ბესოია, ბესარიონ, ბესიკა) **შეიძლება წარმოდგენა შეგვექმნას მისით სახელდებულ პერსონაჟზე, რეალურ ადამიანზე თუ იმ სოციუმზე, რომელშიც ისინი იმყოფებიან, რადგან სახელი და მისი ფორმები გარკვეული ინფორმაციის მატარებელი არიან.**

ნეიტრალური აფიქსები. გარკვეულ ეფიქსთა ნეიტრალურ ემოციურ ელფერს ვეხებოდით ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. აქ საგანგებოდ აღვნიშნავთ, რომ აფიქსით წარმოქმნილი ზოგიერთი სახელი ემოციური ელფერით უტოლდება პირველადს სახელს, ანუ აფიქსი (და მის მიერ წარმოქმნილი სახელი) ნეიტრალური ხდება, მხოლოდ ონიმწარმოების ფუნქციას ინარჩუნებს. ამ ტიპისაა ის წარმოქმნილი სახელები,

1) რომელთა პირველადი სახეები არ არის გამოკვეთილი ან არ ჩანს მოცემულ ფორმაში: **მალუცა, თალიკო** (ზ. ჭუმბურიძე თალიკოს თელის თამრიკოდან მიღებულად, მაგრამ თალიკო დამოუკიდებელ სახელად ჩამოყალიბდა. ეფიქრობთ, ანალოგიურია დარიკოც);

2) რომელთაც დრომ დაუკარგა გარკვეული ემოციური იერი და ფუნქციით პირველადს სახელს უტოლდება: გოგიტა, მარიკა, სოსო, ვანო, ეკა, მაკა... ეს სახელები საპასპორტო სახელებადაც კია ქცეული, ყოველ შემთხვევაში — პირის ოფიციალურ სახელებად. მათ შორის **მაკა** წმინდანის სახელია.

საერთოდ, წარმოქმნილი სახელების ოფიციალური მიმართვის ფორმებად ქცევას აპირობებს: ა) წარმოქმნის აფიქსის ემოციური გამომხატველობის დაჩრდილვა; ბ) შემოკლებული სახელების გამოყენების სიჭარბე მათსავე პირველადს ფორმებთან შედარებით ; 3) პირველადი ონიმების დაჩრდილვა და გა-

მოუყენებლობა. ამ ტიპისაა წარმოქმნილი ანთროპონიმები: პაპუნა, სულიკო, მამუკა, რომლებიც ნამდვილად საპასპორტო სახელებია. მათ ისტორიულად გააჩნდათ ანთროპონიმული პირველსახე, რაც დროთა განმავლობაში მივიწყებულ იქნა. ესენია: პაპა, სულა, მამაი. ალ. ღლონტი სულიკოსთან დაკავშირებით წერს: „საპასპორტო სახელადაა მიჩნეული სულიკო, რადგან თითქმის ხმარებიდანაა გამოსული სულა“ (ღლონტი, 1986, 12). სახელი სულა დასტურდება „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“. ცნობილია X ს-ის ისტორიული პიროვნება სულა კალმახელი, რომელმაც შეიპყრო ლიპარიტ ბაღვაში. ასევე ხმარებიდანაა გამოსული საკუთარი სახელი მამა (ქართ. ცხ.), პაპა (ალ. ყაზბეგი, ვაჟა, ქართ. ცხ.)... „პაპო, შე მაღალაშვილო“... (ვაჟა-ფშაველა, ფშაველი და მისი წუთისოფელი).

ხშირად წარმოქმნილი სახელის ძირეული სახეობა არ არის ხმარებიდან გამოსული, პირიქით, პროდუქტიულიცაა, მაგრამ მათგან მაკნინებელი სუფიქსებით ნაწარმოებ სახელსაც პირველადი, ანუ საპასპორტო დანიშნულება აქვს. ასეთებია: ნარგიზ-ა, რომელიც მიღებულია ანთროპონიმირებული აპელატივიდან (ნარგიზ-ი) -ა სუფიქსის დართვით. -ა-თი ნაწარმოები ეს სახელი (ნარგიზა) მაკნინებელი სუბიექტური ელფერით არ არის დატვირთული, ყოველ შემთხვევაში, იგი არ არის ქეთევანა-ზეინაბას ტოლფარდი. ძირეულ სახელად ქცევის აშკარა ტენდენცია შეინიშნება აფიქსებით ნაწარმოებ შემდეგ სახელებში: **ბესიკი,** რომელიც ბესარიონიდანაა მიღებული **-იკ** სუფიქსის მეშვეობით, **მაიკო** (ორბელიანი) XIX საუკუნის მოღვაწე ქალს სწორედ ასე ვიცნობთ, ალბათ ვერავინ მოიხსენიებს მას მაია ორბელიანად. ალექსანდრე მეფის და **ანუკა** ბატონიშვილია (გრ. რჩეულიშვილი). ამ პიროვნების სახელად ანა არ დომინირებს. **„ოთია** მესხი სახელგანთქმული რაინდი იყო“ (აკაკი, 245). დიდ ქართველ მომღერალს, სარაჯიშვილს, **ვანო** ერქვა და არა ივანე. სომხურ ფორმაში – შუშანიკ **-იკ** კნინობითობის მაწარმოებელია. იგი ეტოლება ქართულის კნინობითობას, მაგრამ ამ სახელს კნინობითობის გაგება უდავოდ დაკარგული აქვს ქართული ლიტერატურის უძველესი ძეგლის მთავარი პერსონაჟის, შუშანიკის, სახელში. ქართველი ხალხის მიერ წმინდანადაა

აღიარებული დედოფალი სწორედ აქ სახელით – შუშანიკი. წმინდანობა, საეკლესიო აღიარებულობა და კნინობითობა (თუნდაც მოფერებითობა) კი შეუთავსებელი ცნებებია. მამისგან სახელდებულ ვარდანს მოფერებით შუშანიკი კი უწოდეს, მაგრამ ამ სახელის მოფერებითობას განაპირობებს აპელატივიც (სოსანი). რაც მთავარია, მოფერებით შერქმეულ სახელში, შუშანიკში, მისი მატარებლის წმინდანად ქცევის შემდეგ იჩრდილება ემოციური მხარე.

ზ. ჭუმბურიძე წერს: „ფაქტია, რომ ზოგმა კნინობითმა ფორმამ დროთა განმავლობაში დაკარგა კნინობის გაგება და ოფიციალურ სახელად იქცა. ეს ტენდენცია განსაკუთრებით გაძლიერდა უკანასკნელი ასი-ასორმოცდაათი წლის მანძილზე... გამოჩენილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, ნიკო ნიკოლაძეს, ყველა ნიკოს სახელით იცნობდა. ასე იხსენიებდნენ და ასე იხსენიებენ დღესაც და ეს არავითარ უხერხულობას არ ქმნის; პირიქით, ის რომ ვინმემ ნიკოლოზ ნიკოლაძედ მოიხსენიოს, დავიბნეთ, სხვა ვინმე გვეგონება“ (წერილი, რომელიც შემოკლებული სახელების ოფიციალური მიმართვის სახელებად ქცევას ეხება, ზ. ჭუმბურიძე, 1988, II). იგივე შეიძლება ითქვას სხვა გამოჩენილ ადამიანებზეც, რომელთა სახელ-გვარია: ნიკო ლორთქიფანიძე, ნიკო მარი, ნიკო (და არა ნიკოლოზ) ფიროსმანი ვერიკო ანჯაფარიძე, სოფიკო ჭიაურელი, გიგა ლორთქიფანიძე, გიგო გაბაშვილი, ვანო სარაჯიშვილი, ვასო გოძიაშვილი, ქეთი დოლიძე. მსგავსი მაგალითები განსაკუთრებით მომრავლდა ჩვენს თანამედროვე ეპოქაში, მაგრამ გაცილებით ყურისმომჭრელი ფორმებით (რუსკა, ნანკა...), რამაც, ვფიქრობთ, უკუგავლენით უფრო მეტად შეუწყო ხელი **-იკო** სუფიქსისა და მისით წარმოქმნილი სახელების ემოციური ელფერის განეიტრალურებას (ვერიკო, ნანიკო, რუსიკო, აჩიკო ნანუკა, ნათია). დღეს, შეიძლება ითქვას, სახელთა ნაირსახოვანი წარმოქმნილი ფორმებით წაილეკა ოფიციალური სიერცე, რასაც ბევრი უარყოფითად აფასებს. ჩვენი აზრით, ცალსახად ძნელია ამ ფორმებისთვის ოფიციალური სახის მიცემის გაკილვა. ამ ფაქტს, ვფიქრობთ, ხელს უწყობს:

1) **-ო/-იკო** სუფიქსების ნეიტრალურობისკენ მიდრეკილება, რაც აჩენს მათი გამოკვეთილად მოფერებითი აფიქსით ჩანაცვლების საჭიროებას;

2) წარმოქმნილი ფორმების გაოფიციალურება, რასაც განაპირობებს:

ა) მათი მატარებელი პიროვნებების პოპულარობა;

ბ) ოფიციალური სიერციდან (ტელეეიზია, მედიასივრცე) ნიაღვარივით შემოჭრილი ფორმები: ნანკა, რუსკა, ნინი, თიკა, თაკო, თუნა, ნიკა, ლიკა, დოდოშკა, ვასკა, ვახო... ხშირად ტელე-რადიოსივრციდან აფიქსდართული წარმოქმნილი სახელებით იხსენიებიან ოფიციალური პირებიც, მათ შორის, პოლიტიკოსები (მიშა, გოკა, დიმა...). ეს პროცესი არახალია;

3) თანამედროვე წარმოქმნილ სახელთა (სუფიქსთა) მრავალფეროვნება გარკვეულწილად მოდურმა ტენდენციებმაც განაპირობა.

დასასრულ, შენიშვნის სახით დავძენთ: თუ ადრე ადამიანის პოპულარობა განსაზღვრავდა წარმოქმნილი სახელების გაოფიციალურებას, ახლა წარმოქმნილი სახელიც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ადამიანთა პოპულარობას, აქცენტირებას მათს თანამედროვეობაზე, ადამიანის დადებითი ემოციური ელფერით დამკვიდრების სურვილს. საკუთარ სახელთა ნაირმა ფორმებმა, ვფიქრობთ, ერთგვარი იდენტიფიკაციის ფუნქციაც შეიძინა.

წარმოვადგენთ ანთროპონიმული ფორმულირების სუფიქსებს შესაბამისი მაგალითებით – ქართული მწერლობიდან, ალ. ღლონტის „ქართველურ საკუთარ სახელთა ლექსიკონიდან", „პირთა ანოტირებული ლექსიკონიდან" და რეალური ყოფიდან:

-ა: 1) არჩილ-ა, ანტონ-ა, ბასილ-ა, სამსონ-ა, თამაზ-ა, მერაბ-ა, ბეჟან-ა

2) აკაკი-ა, გუდუ-ა, გიგი-ა

3) დათ-ა, ქეთ-ა, ნიკ-ა, რუს-ა, კუჭ-ა (კოლხ.)

-ალ-ი: ქვაჩ-ალ-ი (კოლხ.)

-ატ-: ხუტ-ატ-ა, ბატ-ატ-ი, კუტ-ატ-ი (კოლხ.), მატ-ატ-ი (გურია)

-აჩ: ტატ-აჩ-ი (კოლხ.), ტატ-აჩ-ა (სვან.)

-ე, -ია: იორამ-ე, თინ-ია, გოგ-ია, პაელ-ია, ხუხუ-ე
-ელ: კაკუჩ-ელ-ი, ქამალაღუ-ელ-ი
-ეულ: ხოშარ-ეულ-ი
-ეჭ-ი: კუჭ-ეჭ-ი (სვან.)
-ი: თამრ-ი, ქეთ-ი, გურ-ი, ლიზ-ი
-ია: ლამარ-ია, ლევან-ია, ძუკუ-ია, ხუტუ-ია, გუგუ-ია, ვარდ-ია, ზარდ-ია, ბეს-ია, დათ-ია, ქეთ-ია
-იელ-ა: კაც-იელ-ა
-იკ: კიკოლ-იკ-ი, თაზ-იკ-ი
-იკ-ა: სოს-იკ-ა, ბეს-იკ-ა, სიმონ-იკ-ა, თედორ-იკ-ა
-იკ-ელ-ა: ბეს-იკ-ელ-ა, დათ-იკ-ელ-ა
-იკ-ო: სოს-იკ-ო, ვაჟ-იკ-ო, მარ-იკ-ო, თამრ-იკ-ო, კუჭ-იკ-ო (კოლხ.)
-იკ-უნ-ა: რუს-იკ-უნ-ა, მარ-იკ-უნ-ა
-ილ-ა: გოგ-ილ-ა, ქიქ-ილ-ა
-ილ-ო: გოგ-ილ-ო, გიგ-ილ-ო
-ინ,-ნ: ქეთ-ინ-ო, ბაბ-ინ-ა, ბედ-ინ-ა, ციც-ინ-ო, თეო-ნ-ა, სოფო-ნ-ა, ანა-ნ-ო
-ის-ეულ: ლამაზ-ის-ეულ-ი, ბებია-ს-ეულ-ი, გმირ-ის-ეულ-ი
-ის/-ისა: ბევრეულ-ის-ი, ლერწამ-ისა, მთვარ-ისა, პირიმზ-ისა, მამ-ისა, დედ-ისა
-იტ-ა: გოგ-იტ-ა, გოჩ-იტ-ა, მაზ-იტ-ა, შოშ-იტ-ა, ბეჟ-იტ-ა, სალ-იტ-ა
-იტ-ი: ქაქ-იტ-ი (სვან.)
-იჩ: გოგ-იჩ-ა
-ო: მარ-ო, ქეთ-ო, ვან-ო, ზაქრ-ო, დათ-ო... დაეით-ო, ერასტ-ო
-ოა: შაროა, მატოა
-ობა/-ება: კაც-ობა, ღვინ-ობა, თვალ-ობა, წყალ-ობა, ხარ-ება
-ოლ-ი: გიგ-ოლ-ი
-ონ-ა: დოდ-ონ-ა, ტატ-ონ-ა (კარალეთი)
-ორ: ჯოდ-ორ-ი (კოლხ.)
-ორ-ა: კოჭ-ორ-ა, ჯოგ-ორ-ა (კოლხ.)
-ორ-ო: ჯოგ-ორ-ო, ჯოდ-ორ-ო (კოლხ.)

-უკ-ა: ბერ-უკ-ა, ბეჟ-უკ-ა, ში-უკ-ა, დათ-უკ-ა, ნატ-უკ-ა

-უკ-ელ-ა: მამ-უკ-ელ-ა

-უა (-ოა): ნიკუა, ვასუა, მახუა, ბეჟუა, ბერუა

-უთ-ა: ქეთ-უთ-ა, ხათ-უთ-ა

-უთ-ელ-ა: ხათ-უთ-ელ-ა

-უკ-ია: დათ-უკ-ია

-ულ-ა: ხუტ-ულ-ა (ხუტა), ჯუბ-ულ-ა, ქუთ-ულ-ა, კუჭ-ულ-ა (კოლხ.), გუდ-ულ-ა

-ულ-ი: თათ-ულ-ი... ძამ-ულ-ი

-ულ-ია: ბაბ-ულ-ია

-უნ-ა: დათ-უნ-ა, თეკ-უნ-ა, ქეთ-უნ-ა, თამ-უნ-ა, ეთ-უნ-ა, ოთ-უნ-ა

-უნ-ი: ქეთ-უნ-ი, ბეჩ-უნ-ი

-უნ-ია: თამ-უნ-ია, ქეთ-უნ-ია, ხათ-უნ-ია

-ურ (დისიმილაციით -ულ): უმრავლესობა დასტურდება ვაჟას თხზულებებში: მანგი-ურ-ი, ჩაჩა-ურ-ი, ბერიკა-ულ-ი, ივანე-ურ-ი, გოგოთ-ურ-ი, უგონ-ურ-ი, ბეწინტ-ურ-ი, ტოტობა-ურ-ი, სანათა-ურ-ი, ზვიადა-ურ-ი, აბიკ-ურ-ა, გიგა-ურ-ი (ნადირას ძმა), ენუქა-ურ-ი, ბეწიკ-ურ-ი, ტუჩ-ურ-ი (ხევს.), ქალ-ურ- ა(თიანეთი), ვატ-ულ-ი

-უტ-ა: უტა, შალ-უტ-ა, ბახ-უტ-ა

-უტ-ი: ბუხ-უტ-ი

-უჩ-ა: დათ-უჩ-ა, ნან-უჩ-ა, გოგ-უჩ-ა

-უჩ-ელ-ა: კახ-უჩ-ელ-ა

-უჩ-ი: დათ-უჩ-ი, ტატ-უჩ-ი (კოლხ.)

-უჩ-ო: კახ-უჩ-ო

-უც-ა: ნინ-უც-ა, მალ-უც-ა, გოგ-უც-ა

-უც-ი: ნინ-უც-ი

-უჭ-ი: კუჭ-უჭ-ი, მუჭ-უჭ-ი (კოლხ.)

-უჭ-ია: კუჭ-უჭ-ია (კოლხ.)

-ლ-ა: გოგ-ლ-ა, გიგ-ლ-ა

-ლ-ია: დოდო-ლ-ია

-ძე: ბერი-ძე, ნათელი-ძე / ნათელის-ძე, იელის-ძე, თამარის-ძე (მთაში დადასტურებული საკუთარი სახელები).

ძირითადად, ზემოთ ჩამოთვლილი სუფიქსები გვეელინება ძირეული ანთროპონიმის პარალელური ფორმების მაწარმოებლად ქართველურ ენებში.

არაქართული სუფიქსები. ჩვენს რეალურ ყოფაში, რაც სათანადოდ აისახა მხატვრულ ლიტერატურაშიც, გარდა ზემოჩამოთვლილი ქართული მაწარმოებლებისა, დასტურდება არაქართული, კერძოდ, რუსული ან რუსული გზით შემოსული ონიმური სუფიქსები. ბუნებრივია, სახელის ამგვარი უცხოურაფიქსიანი ფორმები მიუთითებს ადამიანის ეროვნულობაზე. რომელიმე მაშინკა სახელის მატარებელი უდავოდ განსხვავებული ეროვნების წარმომადგენელია, ვიდრე მაშიკოთი სახელდებული პირი. მეორე მხრივ, ეროვნებით რუსი სტეპანიდა ქართველი მაროს სახელს რუსული -უს სუფიქსით აფორმებს და მარუსიას ეძახის (მ. ჯავახიშვილი, გივი შადური). თუმცა რუსული სუფიქსებით გაფორმებული სახელებით გვხვდებიან ქართველებიც – როგორც ქართულ მწერლობაში, ისე რეალურ ყოფაში.

ასე ერწყმოდა წმინდა ქართულ ყოფას რუსული ტრადიცია. ამ შემთხვევაში – ანთროპონიმისა და მისი აფიქსური წარმოების სახით. შესაბამისად, ქართულ მხატვრულ ლიტერატურულ თხზულებებში პერსონაჟებად დამოწმებულ ქართველ ისტორიულ პირთა სახელები რუსულაფიქსოვანი წარმოებისაა. ესენია: **სერიოჟა** ქავთარაძე (აკაკი, ჩემი ცხოვრების ეპიზოდები), **სერგეი** მესხი (დ. კლდიაშვილი, აკაკი)... სერიოჟა და სერგეი ტიპობრივი რუსული ფორმებია სახელისა, მაგრამ ამ ფორმებით ქართველები არიან მონათლული. რუსული სუფიქსით გაფორმებულმა ზოგიერთმა სახელმა ქართული ელფერი შეიძინა, მაგალითად, გრიშა. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ, გარდა რეალური პირებისა, ქართველ მწერლებს – *აკაკის, ჭ. ლომთათიძეს, მ. ჯავახიშვილს, ზ. ანტონოვს* – ამ სახელით მონათლული ჰყავთ ქართველი პერსონაჟები: **გრიშა ქოქიაშვილი, გრიშა კალიძე** და სხვები. ქართველი პერსონაჟების სახელებად დადასტურებულია რუსული – ** юша** სუფიქსით ნაწარმოები ანთროპონიმებიც. **ю** ხმოვნის (დიფთონგის) უქონლობის გამო რუსული **-юша** ქართულში რუსულიევე -უშა-დ გადმოდის და ვიღებთ: კატუშა, ანუშკა. უფრო მეტიც, ზოგიერთ ანთროპონიმში

რუსული სუფიქსი ერწყმის ქართულ ფუძეს: -უშა სუფიქსი ერთვის ქართულ სახელებს: მაკა→მაკუშა, გიორგი→გიგუშა, ქეთევანი→ქეთუშა, ნიკოლოზი→ნიკუშა. ქართულ გარემოში ზოგჯერ რუსული სუფიქსი ფონეტიკურ ცვლილებებს განიცდის და სახელი მთლიანობაში (რუსული სუფიქსითურთ), ერთი შეხედვით, თითქოს ქართულ იერს იღებს. ყრუ-მკვეთრი **კ** იქცევა ყრუ-ფშვინვიერ **ჭ-დ** ანთროპონიმში **ვან-იჩკა-ვან-იჩჭა**. აქ ხდება პროგრესული ასიმილაცია. კერძოდ, ყრუ ფშვინვიერი **ჩ** ამაევე თვისებით (ფშვინვიერობით) იმსგავსებს მომდევნო ყრუ, მაგრამ მკვეთრ ბგერას. ეს არც არის გასაკვირი. როგორც ცნობილია, სხვადასხვა ენის ასპირატებს მეტ-ნაკლები ფშვინვიერება ახასიათებს. „რუსული **კ-ტ-პ**-ს ჩვეულებრივი მოადგილე ქართულში არის **ქ-თ-ფ**“ (ახელედიანი, 1940, 368). ანალოგიური ფონეტიკური მოვლენები ხდება წარმოთქმისას სახელებში: **ვერიჩკა-ვერიჩქა, სონიჩკა-სონიჩქა,** რაც იწვევს ონიმის ფორმის ერთგვარად გაქართულებას.

ქართულ მხატერულ ლიტერატურაში პერსონაჟთა (როგორც არაქართველთა, **ისე ქართველთა**) მეორეული წარმოების ანთროპონიმებში, ძირითადად, დასტურდება შემდეგი უცხოენოვანი სუფიქსები:

-ოზ(-ოს): გერმანოზ ციციშვილი *(ვ. ბარნოვი, გიორგი საакაძე)*, სტეფანოზ *(ვ. ბარნოვი, ხაზართა სასძლო)*, მარკოზა ხმელაძე *(დ. კლდიაშვილი, მსხვერპლი)*, ასპიროზ, პეტროზა (ალაევერდაშვილი)...

-უზ: პეტრუზა *(ზ. ანტონოვი, მე მინდა კნეინა გავხდე)*, მარტირუზ *(გ. ერისთაევი, უჩინმაჩინის ქუდი; გ. რჩეულიშვილი, ანუკა ბატონიშვილი)*, ფარემუზ...

-ინ-კა: ნადინკა *(მ. ჯავახიშვილი, კეაჭი კეაჭანტირაძე)*, ვარინკა *(ნ. ლომოური, დეიდა სიდონია)*, ნიკოლინკა *(გ. ერისთაევი, ერთი მრავალთაგანი ამბავი)*, მაშინკა, კატინკა *(ექ. გაბაშვილი, ბენუარი №3)*, ირ-ინ-კა...

-იჩ-კა: ვარიჩკა *(შ. არაგვისპირელი, მერე რიღათი ეიცხოვროთ?!)*, სონიჩკა, ტანიჩკა *(მ. ჯავახიშვილი, კეაჭი კეაჭანტირაძე)*, ელიჩკა *(დ. კლდიაშვილი, ქამუშაძის გაჭირვება)*, ვანიჩკა/ვანიჩქა ჩიგოგიძე *(ჭ. ლომთათიძე, ძე კაცისა)*...

-ოჩ-კა: სოფონჩკა *(მ. ჯაჯანიშვილი, კვაჭი კვაჭანტირაძე)*...

-იოჯა: სერიოჯა ქავთარაძე *(დ. კლდიაშვილი, ჩემი ცხოვრების გზაზე; მ. ჯაჯანიშვილი, კვაჭი კვაჭანტირაძე)*...

-უშ-ა: პაველუშა *(ს. მგალობლიშვილი, წარსულიდან; ეკ. გაბაშვილი, დედის მარჯვენა)*, მაკუშა *(შ. არაგვისპირელი, ღმერთო, დაილოცოს შენი სამართალი!)*, კატუშა *(მ. ჯაჯანიშვილი, კურდღელი)*, ილუშა *(ს. მგალობლიშვილი, წარსულიდან)*, ვანუშა *(აკ. წერეთელი, ეშმაკები)*, პეტუშა *(მ. ჯაჯანიშვილი, გიგი შადური)*, მარგუშა *(მ. ჯაჯანიშვილი, ჯაყოს ხიზნები)*, ანდრუშა *(ალ. ყაზბეგი, თავის მახეში)*, გიგუშა *(აკ. წერეთელი, რეაქცია; ვაჟა-ფშაველა, სოფლის სურათები)*, ფახ-უშ-ა (კოლხ.)...

-უშ-კა: ნუშკა *(ეკ. გაბაშვილი, გუგულის ქედი, შემოდგომა სოფელში)*, ელენუშკა *(ჭ. ლომთათიძე, თეთრი ღამე)*, ანუშკა *(ეკ. გაბაშვილი, ნათლიღება ღამე)*, გაბრუშკა *(ი. ჭავჭავაძე, გლახის ნაამბობი)*...

-კა: იურკა, ვანკა *(ჭ. ლომთათიძე, უსათაურო)*, ვასკა *(ლ. ქიაჩელი, პაკი აძბა)*, სტეპკა *(ჭ. ლომთათიძე, გრამაფონი)*...

-უტ-კა: მაშუტკა *(ეკ. გაბაშვილი, დედის მარჯვენა ხელი)*...

-უს-ი: ქეთ-უს-ი...

-უს-ია: ანუსია *(გ.წერეთელი,თოფის სროლა)*, მარუსია *(მ.ჯაჯანიშვილი, გივი შადური)*...

საბჭოთა პერიოდში რუსულენოვანი სუფიქსებით გაფორმებული ზოგიერთი სახელი დღეს ერთგვარ ბარბარიზმად იქცა (მარუსია, სერიოჯა, კატინკა). დარჩა მხოლოდ ის აფიქსები, რომლებიც იგუა ქართული ენის ბუნებამ. ძირითადად,

-კ, -უშ(-შ) -კ: ნან-კა, ნიკ-უშა, ქეთ-უშ-კი, საშ-კი, დოდო-შ-კა/დოდო-შ-კი, მარ-იშ-კა.

უკანასკნელ ხანებში გამოიკვეთა, თუ შეიძლება ითქვას, ხელოვნური აფიქსი, მაგალითად, ასეთი სახით მარკირებული: **-ჩ-ო** (მანჩო, ანჩო, ნინჩო); **-ჩ-ი** (ნონჩი); მიღებული ჩანს რუსული **-ოჩ** სუფიქსის კონსონანტური ნაწილისა და ქართული **-ო/-ი** სუფიქსების შეთავსებით.

ქართული ოფიციალური სივრცე თითქმის დაიპყრო აფიქსებით წარმოქმნილმა სახელებმა, რაშიც ლომის წილი მიუძ-

ღვის ტელევიზიასა და პრესას და რასაც ალბათ, მოდურობასთან ერთად, გზა გაუხსნა გაიოლებულმა იდენტიფიკაციამ, როცა ესა თუ ის ადამიანი გვარის გარეშე სახელდება. ამასთან, პარალელურად თვალში საცემად გაიზარდა ტენდენცია მშობლების მიერ ჯერ კიდევ მცირეწლოვანი ბავშვების პირველადი წარმოების სახელებით მოხსენიებისა: დავით, სალომე, აბესალომ, გიორგი, მარიამ, რუსუდან, მიხეილ, თინათინ, ელენე, ალექსანდრა, არჩილ... ასე რომ, ყოველდღიურ ყოფაში უჩვეულოდ იკვეთება სახელდების ეს ორი ერთიმეორის საპირისპირო ტენდენცია (რუსუდან-რუსკა ტიპის). საინტერესოა სახელდების ფორმულირების შემდგომი გზა.

§4 -ო სუფიქსის კვალიფიკაციისათვის ანთროპონიმებში (ეთერო, დავითო, თაფლო, ერასტო, გელაო ტიპისა და მამაო-დედაო ფორმებში)

პროდუქტიულობის თვალსაზრისით, -ო სუფიქსს გამოკვეთილი ადგილი უჭირავს ქართული სიტყვის სტრუქტურაში. ე. ლომთაძე აღნიშნავს, რომ „მარტივი -ო სუფიქსი, როგორც სიტყვაწარმოების მორფემა, ქართულში დღემდის არ არის გამორკვეული და ცალკე ერთეულად გამოყოფილი“ (ლომთაძე 1998, 179). იგი გვაწვდის საკმაო მასალას – გვერდი-გვერდა-გვერდო, ფერდა-ფერდო, კენწერი-კენწერო, ღელე-ღელო ტიპისას – და გამოთქვამს ვარაუდს, რომ ბოლოსართი -ო ქართულში არის დამოუკიდებელი სიტყვაწარმოების სუფიქსი (და არა რომელიმე სუფიქსის ნაწილი). ავტორი იმოწმებს სხვადასხვა მეცნიერის (ა. შანიძე, ივ. იმნაიშვილი, არნ. ჩიქობავა, ე. თოფურია, ალ. მანგჯალაძე) აზრს ამ სუფიქსის თაობაზე. „ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონში“ (ჯორბენაძე, კობიძე, ბერიძე, 1988, 382-388) ჩამოთვლილია -ო სუფიქსის გამოყენების 9 ძირითადი შემთხვევა. თითოეული მათგანი შეიცავს ქვევარიანტებს შენიშვნების სახით. ასე რომ, აქ საკმაოდ გამოწვლილვითაა წარმოდგენილი -ო სუფიქსის ფუნქციები, მაგრამ შევეცდებით ზოგი მათგანის კვალიფიკაციის დაზუსტებას. ჩვენი ინტერესის სფეროს აქედან განეკუთვნე-

ბა -ო სუფიქსის ფუნქცია ანთროპონიმებში. გამოვყოფთ პირის საკუთარ სახელთა -ო სუფიქსით წარმოების სამ შემთხვევას:

I. -ო შემოკლებულ ანთროპონიმებში;

II. -ო პირველადი წარმოების (მაგრამ მოკლე) ანთროპონიმებში;

III. -ო პირველადი წარმოების (სამ- და მეტმარცვლიან) ანთროპონიმებში.

რა ფუნქცია აკისრია -ო-ს ზემოთ დასახელებულ შემთხვევებში?

I. -ო სუფიქსის ფუნქციები შემოკლებულ ონიმებში

თ. უთურგაიძის აზრით, შემოკლებულ ანთროპონიმებში (ავთანდილ – ავთო, გაბრიელ – გაბრო, ეთერ – ეთო) -ო დაბოლოება წარმოშობით წოდებითი ბრუნვისაა (უთურგაიძე, 1986, 102). გ. წულაია კი პირდაპირ აღნიშნავს, რომ ქართული სახელები, განსაკუთრებით, მამაკაცის შემოკლებული სახელები (полуимена), ხშირად იხმარება წოდებით ბრუნვაში. მაგალითებად მოყვანილია: ანდრო – ანდრიადან, დათო – დავითიდან (წულაია, 1989, 108). ზემოთ დასახელებულ მორფემათა ლექსიკონში ავტორთა მიერ აღნიშნულია, რომ „რიგ შემთხვევებში წოდებითისეული -ო გამოყენებულია ფამილარული ფორმის საწარმოებლად: ვანო, დათო, მიტო“ (ჯორბენაძე, კობიძე, ბერიძე, 1988, 355).

ჩვენი ხედვით, შემოკლებულ სახელებში -ო სუფიქსის ამგვარი გააზრება, მისი ბრუნვისეულ (თუ ბრუნვის) ნიშნად მიჩნევა განაპირობა ფსიქოლოგიურმა ფაქტორმა. კერძოდ, ადამიანის აღმნიშნელი სიტყვა კომუნიკაციის მნიშვნელოვანი ატრიბუტია, რადგან მისი ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა მიმართვის ფორმად გამოყენება, და არა მხოლოდ აპელატივებში (შვილო, ექიმო...), არამედ საკუთარ სახელებშიც (დადიანო, თბილისო...). მიმართვის ფორმა აპელატივებში წარმოდგენილია წოდებითი ბრუნვით, რაც ელინდება, ძირითადად, -ო სუფიქსით. მიმართვის აპელატიური (და არა მხოლოდ აპელატიური) ფორმა ანალოგიით იწვევს პირის საკუთარ სახელებში დადასტურებული -ო აფიქსის ბრუნვის (კერძოდ, წოდებითის) ნიშნად აღქმას. ჩვენი აზრით, რომელიმე დათო სახელში -ო უნდა იყოს არა წო-

დებითი (ან წოდებითისეული) ფორმის ნიშანი, არამედ მაწარმოებელი, წარმოქმნის აფიქსი, რომელიც ერთვის დავით სახელიდან სინკოპირების შედეგად მიღებულ ბგერათკომპლექსს დათ-. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, მოითხოვს დასრულებას, რაც ხდება სუფიქსით, რომელიც უკვე არსებული სახელის ნაწილიდან (ბგერათა კომპლექსიდან) წარმოქმნის ახალ ფორმას. ასე მივიღეთ დავითიდან დათ-ო, ივანედან – ჟან-ო... ანალოგიურად, აპოკოპის (ბოლოკიდური ფონემის ან ფონემათა ჯგუფის მოკვეცა) გზით ქეთევანიდან მიიღება ქეთ-ო, მარიამიდან – მარ-ო, სინკოპირებით დიმიტრიდან მიიღება დიტო‖მიტო.

-ო სუფიქსის დერივატობას მხარს უჭერს ის ფაქტიც, რომ სახელის შემოკლებით მიღებული იმავე ბგერათა კომპლექსიდან ანთროპონიმის ახალ ფორმას, -ო-ს გარდა, აყალიბებს და ასრულებს (ამთავრებს) აგრეთვე აფიქსები: -ა, -ია... რომელთა დერივატობა ეჭვგარეშეა: დათ-ო – დათ-ა – დათ-ია – დათ-უნა. ასე რომ, სახელთა ბუდეები: ვლადიმერი – ლადა – ლადუკა – ლადო, რუსუდანი – რუსა – რუსიკო – რუსი – რუსო... ერთი ანთროპონიმის განსხვავებული, წარმოქმნილი ვარიანტებია. თუ შემოკლებულ სახელებში (ქეთ-ო ტიპის) -ო-ს ჩავთვლით წოდებითის ან ნაწოდებითარ ნიშნად, მაშინ იგივე კვალიფიკაცია უნდა მიეცეს -ა, -ია, -იკო, -უნა... სუფიქსებსაც (რომლებიც, სტრუქტურული თვალსაზრისით, -ო-ს აბსოლუტური ანალოგიით მოქმედებენ), რაც გამორიცხულია და რაც, ვფიქრობთ, კიდევ ერთხელ ადასტურებს -ო-ს ოდენ დერივატობას (ანუ წარმოქმნის ფუნქციას) შემოკლებულ სახელებში.

-ო-ს წოდებითი ბრუნვის ნიშნად გაგებას აბრკოლებს ისიც, რომ „ბრუნვის ნიშნები სახელის ერთ ფორმაში ერთიმეორეს არ მოსდევენ. თუ სახელის ფორმაში წარმოდგენილი იქნება ორი ბრუნვის ნიშანი... ფუძესთან უახლოესი... წარმოქმნის ელემენტად მოიქცევა“ (უთურგაიძე, 1886, 121). ამ დებულებაზე დაყრდნობითაც, დათო‖თამრო სახელებში -ო წარმოშობითაც რომ იყოს წოდებითი ბრუნვის ნიშანი, კონკრეტულ შემთხვევაში (დათო-მ, დათო-ს...) მას წარმოქმნის აფიქსის ფუნქცია მიენიჭება. მაგრამ იგი ისევე არ არის ბრუნვის ნიშანი, როგორც -ა, -ია, -უნა.. გარდა ამისა, ნიკო – მარო – ქეთო სახელებში -

ო-ს ნაწოდებითარად თუ წოდებითისეულად გაგებას, ჩვენი აზრით, აფერხებს შემდეგი გარემოებაც: 1) ნიკი – ნიკიმ – ნიკის... ფორმების არარსებობა (თითო ხელოვნურად შექმნილი გამონაკლისი ფორმის რეალურად არსებობას არ ადასტურებს); 2) **მარი** ტიპის სახელები მარიამიდან აპოკოპირებულ ფუძეს წარმოადგენენ, სადაც -ი ძირისეულია, ანუ არ არის ახალი ფორმის მიღებით განპირობებული, **ქეთი** ტიპის სახელებში კი -ი ისეთივე წარმოქმნის სუფიქსია, როგორც -ა, -უნა, -ო (ქეთ-ა, ქეთ-ო), რომლებმაც ფუძეში დაიმკვიდრეს ადგილი; 3) **და რაც ყველაზე მეტად ყურადსაღებია, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ წოდებითი ბრუნვის ნიშანი არ იწვევს რედუქციას. თამარი-დან, ზაქარია-დან -ო სუფიქსით წარმოებულ თამრო-ში, ზაქრო-ში კი რედუცირდება ა ხმოვანი. ეს ფაქტიც გამორიცხავს -ო-ს წოდებითი ბრუნვის ნიშნობას.**

ბრუნების პარადიგმებში უკუმშველ-უკვეცელობა რომ ანთროპონიმთა მახასიათებელიცაა და თავისებურებაც და ამიტომ -ო შეკუმშულ-შეკვეცილი ანთროპონიმის ფორმისთვის (თამარი – თამრ-ო) არ უნდა იყოს წოდებითი ბრუნვის ნიშანი, ჩანს გაონიმებული კვეცადი აპელატივებიდანაც. ესენია: მამა, დედა, ბებია, პაპა. „სახელის ფუძე არ იკვეცება... როცა საზოგადო სახელი „მამა“, „დედა“, „ბებია“, „პაპა“ საკუთარი სახელის ნაცვლად იხმარება“, – წერს არნ. ჩიქობავა და გამოყოფს ფორმებს: „მამას ჩიბუხი“ და „დედას თავშალი“. პირველ შემთხვევაში შვილი გულისხმობს საკუთარ მამას, მაგრამ იგივე შვილი იტყვის: „მამის მოვალეობა შვილების წინაშე არის...“ აქ იგულისხმება ზოგადად მამა. ასევე „დედას თავშალი“... მაგრამ „დედის დარიგება“ (ჩიქობავა, 1950, 038). აქედან დასკვნა: შემოკლებულ სახელებში დადასტურებული კუმშვადკვეცადობა (ზაქარია – ზაქრო) გამორიცხაეს მათს განხილვას ბრუნების პარადიგმათა დონეზე, მით უფრო, ეს ეხება წოდებითს, რომელშიც დაუშვებელია კუმშვა-კვეცის ფონეტიკური მოვლენა. ეფიქრობთ, **წარმოქმნის სუფიქსი -ო** და წოდებითი **ბრუნვის ნიშანი -ო** მხოლოდ გრაფიკულადაა იდენტური. ამის ანალოგიურია: -ებ (რიცხვის ნიშანი და თემის ნიშანი), **-ს** (მიცემითი ბრუნვის ნიშანი, S_{III} პირის ნიშანი და O_{III} პირის ნიშანი), -ა (S_{III} პირის ნი-

შანი, საწყისის მაწარმოებელი, სახელისთვის ემოციური ელფერის მიმცემი წარმოქმნის აფიქსი), -დ (მწკრივის სავრცობი და ვნებითი გვარის ნიშანი). ეს, რაც შეეხება -ო სუფიქსის ერთ ფუნქციას დეზინტეგრირებულ (შემოკლებულ) ანთროპონიმებში.

ანთროპონიმთა აპოკოპირებულ და აფერეზისულ ფორმათა აუსლაუტში, როგორც აღვნიშნეთ, -ო ხშირად ფუძისეულია, ანუ -ო არ არის არც წარმოქმნის სუფიქსი, არც წოდებითისეული (ნიკოლოზი→ნიკო, ქაიხოსრო→ხოსრო, როსტომი→როსტო). ამ ტიპის სახელებზე ყურადღებას ამახვილებს თ. უთურგაიძე: „თანხმოვანფუძიან ანთროპონიმთა ფუძეში ო თუ თავისთავად მოიპოვება, ფუძის დასასრულს ბგერათდაკარგვა მასზე ჩერდება და თანხმოვანფუძიანი სახელის ნაცვლად ვიღებთ ხმოვანფუძიანს“ (უთურგაიძე, 1986, 103).

II. -ო სუფიქსის ფუნქცია პირველადი წარმოების ანთროპონიმთა ერთ ჯგუფში – სამ- და მეტმარცვლიან სახელებში

გარდა შემოკლებული ანთროპონიმებისა, -ო სუფიქსი ერთვის პირველადი წარმოების ორზე მეტმარცვლიან ანთროპონიმებს აუსლაუტში (ნომინატივის ფორმით), რაც იწვევს მათს განსხვავებულ ვარიანტულობას. ასეთებია: მაყვალა – მაყვალო, მარადი – მარადო, ერასტი – ერასტო, ფეფელა – ფეფელო, მანანა – მანანო, პელაგია – პელაგო, ერემია – ერემო, მელანია – მელანო, ანდრია – ანდრო, ნოდარი – ნოდარო, ეთერი – ეთერო, დავითი – დავითო...

რა ფუნქცია აკისრია -ო-ს ამ ტიპის არაშემოკლებულ ონიმებში? ჩვენი დაკვირვებით, 3-4-მარცვლიან სრულ სახელებში გამოყენებული -ო სუფიქსის ფუნქცია ცალსახა არ არის, ანუ განსხვავებულ პოზიციაში განსხვავებულ დატვირთვას იძენს; პოზიციას კი განაპირობებს პირველადი ანთროპონიმის ის ნაწილი, რომელსაც ეს სუფიქსი დაერთვის. კერძოდ, -ო სუფიქსი ორი სხვადასხვა დანიშნულების მორფემად გვესახება იმის მიხედვით, თუ ონიმი როგორია ფუძის მიხედვით – ხმოვანფუძიანი თუ თანხმოვანფუძიანი. შედეგი ასეთია:

ა) ხმოვანფუძიან არაშემოკლებულ პირის სახელებზე (ვგულისხმობთ პირველადს ფორმას) დართული -ო ისეთივე დერივაციული აფიქსია, როგორც შემოკლებულ სახელებზე დართული –ო.

ბ) თანხმოვანფუძიან არაშემოკლებულ ონიმებში კი – წოდებითისეულია.

რამ მიგვიყვანა ამ დასკვნამდე? კრიტერიუმად მივიჩნიეთ: ა) წოდებითში ჩაყენებული ონიმის ფორმის (და არა მხოლოდ ონიმის) ფონომორფოლოგიური თვისება – უკუმშველ-უკეცელობა და ბ) თვით წოდებითი ბრუნვის ნიშნისთვის იმ თვისების უქონლობა, რითაც უნდა გამოეწვია რედუქცია. ცალ-ცალკე განვიხილავთ პირველადი წარმოების ხმოვანფუძიან და თანხმოვანფუძიან ანთროპონიმთა სტრუქტურულ მდგომარეობას -ო სუფიქსის დართვისას.

ა) ო-ს ფუნქცია პირველადი წარმოების ხმოვანფუძიან ანთროპონიმებში

საკუთარ სახელთა ერთ რიგს წარმოადგენს **სრული ფორმის** 3-4-მარცვლიანი ხმოვანფუძიანი ანთროპონიმები -ო დაბოლოებით, რომელიც კვეცს იმავე სახელის პირველადი ფორმის ბოლო ერთ- ან ორ ხმოვანს (მელანია→მელანო, ფეფელა→ფეფელო...). რა ფუნქციისაა -ო ამ ტიპის ანთროპონიმებში? ვფიქრობთ, იგი არ უნდა იყოს წოდებითისეული ზემოთ დასახელებული კრიტერიუმით. -ო-ს დართვის პირველი ეტაპი უნდა ყოფილიყო სახელის მიმართვის ფორმით გამოყენება. მიმართვის ფორმად გამოიყენება ეოკატივი. ეოკატივში ჩაყენებულ სახელზე (მელანია, მოდი აქ) -ო სუფიქსის დართვამ კი მომენტალურად გამოიწვია კიდურა ხმოვნის ან ხმოვნების კვეცა, რაც არ ახასიათებს წოდებითის სუფიქსს (მელანო).

ჩვენ ვეყრდნობით ზემოთ წარმოდგენილ დებულებას, რომ, თუ -ო-ს დართვა კვეცს ანთროპონიმებს, მაშინ ეს -ო არ უნდა მივიჩნიოთ წოდებითისეულად. იგი დერივატია, რომელიც შეიცავს გარკვეულ ემოციურობას, ინტიმურობას, ანუ შედარებით მოფერებით ელფერს აძლევს სახელს.

უკვეცელ სახელთა ჯგუფს განეკუთვნება -ი/-უ/-ო-ფუძიანი აპელატივები, მით უმეტეს, ანთროპონიმები, მაგრამ ისინი

უკვეცელები არიან ბრუნების პარადიგმებში; ანთროპონიმთა ვარიანტების წარმოების დონეზე კი -ი-ფუძიან (საერთოდ, ხმოვანფუძიან) ანთროპონიმზე -ო-ს დართვა იწვევს -ი ხმოვნის კვეცას (ერასტი – ერასტო). იგივე შეიძლება ითქვას სახელ იესოზე, რომელიც ქართულში იესუ ფორმით შემოვიდა. ე.ი. -ო დერივატი კვეცისუნარიანობით სჭარბობს იმ აფიქსებს, რომლებიც ბრუნების პარადიგმებში იწვევენ კვეცას (-ის, -ით), სჭარბობს იმ თვალსაზრისით, რომ -ო-ს დართვა კვეცს ანთროპონიმსაც (ამ საკითხს საგანგებოდ ქვემოთ შევეხებით).

ამრიგად, -ო დერივატია. იგი იმ შემთხვევაში ჩაითვლებოდა წოდებითი ბრუნვის ნიშნად (ან წოდებითისეულად), მისი დართვით რომ მიგვეღო სახელთა ასეთი ვარიანტები – ერასტიო, დაფინეო... რაც ბუნებაში არ არსებობს. სამაგიეროდ, ასეთი ფორმები დასტურდება ფიტონიმებად, კერძოდ, სოკოს სახელებად: ტრედიო, ღრუბლიო, წითლიო, ცხვარიო, მგზავრიო... ამ ფიტონიმების -ო სუფიქსი სპეციალურ ლიტერატურაში წარმოდგენილია შემდეგი კვალიფიკაციით (იხ. ჯორბენაძე, კობიძე, ბერიძე, 1988, 336):

1) -ო მაწარმოებლად გამოიყოფა... სოკოების სახელწოდებაში – ამ თვალსაზრისს იცავენ: ე. თოფურია, ი. ქავთარაძე, ნ. ჭუმბურიძე (იქვე, 336);

2) „-იო სუფიქსის -ო წარმოშობით წოდებითი ფორმის ნიშანია“ (ქ. ლომთათიძე).

ჩვენი აზრით, -ო დერივატიც არის და წოდებითისეულიც, რადგან -ი აპელატივებისა და ადიექტივების სახელობითი ბრუნვის ნიშანია, რომელსაც -ო-ს დართვით დაეკარგა ფუნქცია, მიეკედლა ფუძეს (ღრუბლიო) და გამოიწვია ფუძის კვეცა (რა თქმა უნდა, კვეცადებში), იმავდროულად, -ო-ს დართვით წარმოიქმნა ახალი ლექსიკური ერთეული – ონიმი (ფიტონიმი). ხოლო ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილი ანთროპონიმის ხელოვნურ ფორმაშიც („ერასტიო, დაფინეო“) -ო ასევე წარმოქმნისა და წოდებითის აფიქსი იქნებოდა, ანთროპონიმის ასეთი ფორმა რომ არსებობდეს. რაც შეეხება ერასტო-მელანო ტიპის

ფორმებს, -ო მხოლოდ წარმოქმნის ნიშნად უნდა ჩაითვალოს და არა წოდებითისეულად, რადგან იგი კვეცს ბოლო ხმოვანს.

ბ) -ო-ს ფუნქცია პირველადი წარმოების თანხმოვანფუძიან სახელებზე დართვისას

განსხვაებული ფუნქციის მატარებელია -ო სუფიქსი არაშემოკლებულ თანხმოვანფუძიან სახელებში (ეთერ-ო). იგი აშკარად წოდებითი ბრუნვის ნიშანია და, მართალია, არანორმირებულად, მაგრამ მაინც ანთროპონიმის პარადიგმულ ფორმათა რიგში დგას (ეთერ-ი, ეთერ-მა, ეთერ-ს ... ეთერ-ო) ისე, რომ თანხმოვანფუძიანი ანთროპონიმი არ კარგავს თავის უპირველეს თვისებას – უკუმშველობას. ეთერო ტიპის სხვა სახელებიც – ქეთევანო, ნოდარო – არანომინირებული ფორმებია, მაგრამ რეალურად არსებული, დასტურდება არასალიტერატურო ენის სივრცეში. ეს ფორმები მწერლობაშიცაა ასახული, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მწერლობაში რომელიმე **ბეჟანო** ფორმა ნორმადაა მიჩნეული. მხატვრულ ნაწარმოებში იგი ზოგჯერ გარკვეული ემოციური ელფერით, ძირითადად, მოფერებითით იტვირთება: „ბეჟანო, სად ხარ?“ (ვაჟა-ფშაველა, „სცენები“); „შენი გამარჯვება ღმერთმა ჩემს მტერსაც ნუ მისცეს, ზაალო“ (მ. ჯავახიშვილი, „არსენა მარაბდელი“); „შენ კი რა გიჭირს ჯერ, ჩემო გიორ,“ „გიორ, ერთ რამეს გიმახარობლებ“ (აკაკი, „პატარა კახი“). მეორე მხრივ, უარყოფითი ემოციის ფონზე იხმარება თამარო: „თამარო, იყავ ღვთისაგან წყეული“ (აკ. წერეთელი, „თამარ ცბიერი“). ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ ამ სახელისგან იმავე -ო აფიქსით წარმოქმნილი თამრო შედარებით მოფერებითი ფორმაა.

ამრიგად, მიმართვისას გამოყენებულ **თანხმოვანფუძიან საკუთარ სახელებში** აუსლაუტის -ო არის წოდებითი ბრუნვის ნიშანი (რა თქმა უნდა, თუ იგი არ იწვევს კუმშვას, ვთქვათ, თამრ-ო), ხოლო სახელი – წოდებითი ბრუნვის ფორმა. სახელთა ეს ფორმები აქ დამოწმებულ პერსონაჟთა მესამე პირად მოხსენიებისას ნომინატივით არის წარმოდგენილი („გიეი მოგვიკლეს და ჯანდიერი“).

ძალიან მდორედ, მაგრამ მაინც შეინიშნება თანხმოვანფუძიან ანთროპონიმთა -ო ნიშნით წოდებითბრუნვიანი ფორმის ხელახალი ანთროპონიმიზაცია. ამის საუკეთესო მაგალითია **დავითო**. ეს სახელი დამოწმებულია „მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონში“, როცა საუბარია თანხმოვანფუძიანი ანთროპონიმის წოდებითი ფორმის ფუძედ გააზრებაზე (ჯორბენაძე, კობიძე, ბერიძე, 1988, 336). იგივე მაგალითი მოჰყავს თ. უთურგაიძეს. გარდა ამისა, მას დამოწმებული აქვს: ეთერ-ო, ეთერო-მ, ეთერო-ს, თამარო, სადაც „ეს ო დაბოლოება წარმოშობით წოდებითი ბრუნვისააო“ (უთურგაიძე, 1986, 102). და ეს ასეცაა. სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითის... დონეზე (ეთერ-ო, ეთერო-მ, ეთერო-ს...) ჩანს, რომ წოდებითი ბრუნვის ო-მ იტვირთა ახალი ფუნქციაც – წარმოქმნისა, რადგან ანთროპონიმის ერთი ფორმიდან წარმოქმნა ახალი ფორმა – ეთერო. საერთოდ, თანხმოვანფუძიან ანთროპონიმთა წოდებითი ფორმის გაონიმების პროცესი ნაკლებტემპიანობით ხასიათდება და, ძირითადად, დიალექტურ სივრცეში დასტურდება. „წოდებითი ბრუნვის -ო სუფიქსი დიალექტების მიხედვით მეტ-ნაკლებად უხორცდება თანხმოვანფუძიან ანთროპონიმთა ფუძეს და ამის შემდეგ სხვა ბრუნვაში გადადის როგორც ფუძის შემადგენელი ნაწილი“ (უთურგაიძე, 1986, 101). როგორც ვხედავთ, თ. უთურგაიძე ხაზს უსვამს ასეთი ფორმების დიალექტურობას. ეფიქრობთ, მათგან კონკრეტულად **დავითო** სახელზე უნდა ითქვას – ხომ არ გასცდა დიალექტურ სივრცეს ეს ერთი ფორმა. იგი (დავითო) თითქოს უმტკივნეულოდ ჩამოყალიბდა არათუ პირველადი ანთროპონიმის (დავით) სახესხვაობად, არამედ ერთერთ ოფიციალურ ნორმადაც, სადაც -ო-ს წოდებითი ბრუნვის ფუნქცია დაჩრდილა წარმოქმნის მაანთროპონიმებრლმა ფუნქციამ. ამავე ტიპს მივაკუთვნეთ –ო-აფიქსიანი 2-3 ფორმა, რომლებიც მათი გამოყენების სიხშირის გამო თითქმის ოფიციალური სტატუსით იმოსებიან – ეს ფორმა-სახელებია: ერასტო –56 ერთეული, მაისო– 171 ერთ. (თოთაძე... 1997). ამრიგად, -ო-ს ძირითადი ფუნქცია ანთროპონიმებში არის წარმოქმნა (თუკი იგი არ არის პირველადი სახელის ფუძისეული ეოკალი), **არასალიტერატურო სივრცეში კი – წოდებითის ნიშანი**, რომე-

ლიც ონიმის ნორმად ქცევისას იძენს ახალ დატვირთვას – წარმოქმნის ფუნქციას (ეთერი → ეთერო, დავითი → დავითო).

ანალოგიური პროცესი დასტურდება მეტსახელებშიც: **მანანო** (შეარქვეს კაცს, რომელიც ახალგაზრდობაში იმეორებდა, ჩემს ცოლს მანანო უნდა ერქვასო); **მეგრელო** (დაერქვა ანაგაში სამეგრელოდან ჩასასლებულ კაცს); **ბებერო** – დაარქვეს თეთრი თმების გამო ამავე ტიპის მეტსახელები: თხაო, შხამო, ჯღანო, წეწელო (აწეწილი თმების გამო) (სიღნაღი–2, 2007).

III. -ო სუფიქსის ფუნქცია პირველადი წარმოების ანთროპონიმთა მეორე ჯგუფში – მოკლე სახელებში

პირველადი წარმოების მოკლე (ორმარცვლიან) ანთროპონიმებს წარმოვადგენთ ორ რიგად: პირველ რიგში შედის პირველადი ანთროპონიმები აუსლაუტში -ო ხმოვნით, მეორე რიგში – ასევე პირველადი ანთროპონიმები (ასევე ორმარცვლიანი), მაგრამ აუსლაუტში სხვა ხმოვნით (ძირითადად, -ა).

ორმარცვლიან პირველადს ანთროპონიმებში აუსლაუტში -ო ხმოვნით გამოიყო ორი ქვეჯგუფი: **I.** სემანტიკურად გამჭვირვალე ონიმები; **II.** სემანტიკურად გაუმჭვირვალი ონიმები. პირველის ნიმუშებია: თაფლო, ვარდო, ნუშო, ჩიტო, გულო. სემანტიკურად გაუმჭვირვალი ო-ხმოვნიანი პირველადი სახელების ნიმუშებია: ცარო, ციკო, ცაგო, ხანგო, ძიბო, ფარჩო, ბეჩო, თაქო...

რა სხვაობაა მათ შორის?

პირველი რიგის (სემანტიკურად გამჭირვალე), ანუ თაფლო-ნუშო ტიპის პირველსახეები, აუსლაუტის ო-ს გათვალისწინებით, უპირველეს ყოვლისა, აპელატივებია, აპელატივთა (თაფლი, ნუში...) წოდებითი ბრუნვის ფორმებია. ანთროპონიმობა მათი მეორეული მდგომარეობაა. -ო სუფიქსს განსხვავებული ფუნქცია ეკისრება სემანტიკურად განსხვავებულ ორ ლექსიკურ ერთეულში: **1) -ო აპელატივებში (ვარდო, ნუშო)**, როგორც აღვნიშნეთ, წოდებითი ბრუნვის ნიშანია; **2) -ო ანთროპონიმებში (ვარდო, ნუშო): ა) დერივატია,** რადგან -ო ერთი ლექსიკური ერთეულიდან წარმოქმნის მეორე ლექსიკურ ერთეულს, აპელატი-

ვიდან – საკუთარ სახელს (რისი უნარიც წოდებითის -ო-ს არ აქვს) და **ბ) -ო მაანთროპონიმებელი აფიქსია.**

მამაო-დედაო ფორმებისათვის. სახელდების **სემანტიკურად გამჭვირვალე** ტიპში გამოვყოფთ ორ სიტყვას, რომლებიც, **მართალია, არ წარმოადგენენ საკუთრივ ანთროპონიმებს, მაგრამ, გარკვეული კრიტერიუმებით, ვფიქრობთ, მათი სტატუსი სწორედ ონიმობაა.** ეს ორი სიტყვა არის მიმართვის ფორმით წარმოდგენილი ხმოვანფუძიანი აპელატივი, აუსლაუტში -ო აფიქსით. -ო-ს დართვა არ იწვევს ფუძისეული კიდური ხმოვნის კვეცას. რა დანიშნულებისაა -ო აფიქსი? მაგალითის დასახელების გარეშეც ადვილი მისახვედრია, რომ -ო აფიქსი წოდებითი ბრუნვის ნიშანი უნდა იყოს.

ჩვენი მსჯელობის საგანია კონკრეტულად ორი სიტყვა – **მამაო და დედაო.** ეს სიტყვები, უპირველესად, მოძღვრისა და მონაზონი ქალისადმი მიმართვის ფორმებია. მიმართვისას გამოიყენება წოდებითის ფორმა, რაც მარკირებულია -ო სუფიქსით და ანალოგიურია ძმაო-დაო ტიპის ფორმებისა. სხვაობა ისაა, რომ:

1) ჩვეულებრივი აპელატივი მიმართვისას – როგორც დამოუკიდებლად, ისე პრეპოზიციული მსაზღვრელის სტატუსით გამოყენებისას – დაირთავს ეკატივის -ო აფიქსს (ძმა-ო ან ძმა-ო გრიგოლ). ორივე შემთხვევაში აპელატივი რჩება აპელატივად;

2) ხოლო მოძღვრისადმი და მონაზვნისადმი მხოლოდ აპელატივებით მიმართვისას (მამა-ო, დედა-ო, დღე მშვიდობისა) წოდებითის -ო სუფიქსი იტვირთება მაანთროპონიმებელი ფუნქციით, რის შედეგადაც -ო აფიქსი ფუძისეული ხდება.

ასე რომ, -ო აფიქსი მიმართვისას მაშინ დაერთვის მოძღვრისა თუ მონაზვნის აღმნიშვნელ სიტყვას, როცა მას ანთროპონიმი არ ახლავს (მაკურთხეთ, მამაო). ანთროპონიმის გამოყენებისას, **კონკრეტულ შემთხვევაში, მიმართვის დროს** პრეპოზიციულად დართული მოძღვრის აღმნიშვნელი სიტყვა ნომინატივში მდგარი მსაზღვრელი აპელატივია, სახელდების ფუნქციას კი, ჩვეულებრივ, ანთროპონიმი ასრულებს (მამა შალვა,

გთხოვეთ აკურთხოთ ჩემი ოჯახი (და არა – მამაო შალვა). ეფიქრობთ, ეს არ არის საკამათო.

გამოსაკვეთია ის, თუ რამდენად დასაშვებია მამაო-დედაო ფორმების გამოყენება მოძღვრისა თუ მონაზვნის აღსანიშნად მესამე პირის სტატუსით (მამაო მობრძანდა, დედაო ლოცულობს). ამ საკითხთან დაკავშირებით, ჩვენი აზრი ასეთია: ბოლო ხანებში საეკლესიო ცხოვრების აღორძინებამ ჩვენი ყოფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილად აქცია დამოკიდებულება, ურთიერთობა მოძღვარსა და მრევლს შორის. ამ კონკრეტულმა სიტყვებმა, უფრო ზუსტად, კონკრეტული სიტყვების ამ ფორმებმა (მამაო, დედაო) სხვა დატვირთვა მიიღეს, ახალი ფუნქცია შეიძინეს. **გგულისხმობთ მათს მარკირებას მესამე პირის აღმნიშვნელადაც (მამაო მოვიდა). პრაქტიკაში ამ ფაქტის გაბატონებამ ადარ დაგვიტოვა საკამათოდ საკითხი – გრამატიკულად არის თუ არა სწორი მამაო-დედაო ფორმების გამოყენება მესამე პირის აღსანიშნად. ჩვენი აზრით, მამაო-დედაო იქცა სახელდების ერთ-ერთ სახეობად, კვაზიონიმად**[1], მაგრამ გარკვეულ შემთხვევებში. კრიტერიუმად უნდა მივიჩნიოთ კონტექსტი – კერძოდ, გასათვალისწინებელია, ადამიანი ლაპარაკობს საკუთარ სულიერ მოძღვარზე თუ, ზოგადად, მოძღვარზე. როცა ადამიანი საუბრობს საკუთარ სულიერ მოძღვარზე, შეიძლება არც კი მოიხსენიოს იგი სახელით (ვთქვათ, მამა შალვა მოვიდა). ამასთან, სახელის გარეშე დარჩენილი აპელატივის იმავე ფორმით დატოვებას (მამა მოვიდა) სემანტიკურად სხვა სივრცეში გადავყავართ, -ო სუფიქსი კი ონიმის გარეშე დარჩენილ აპელატივს ტოვებს კუთვნილ სივრცეში (მამაო მოვიდა), რაც მეტყველებს ფორმანტის დერივატობაზე, ე. ი. მოძღვრისადმი მიმართვისას გამოყენებული წოდებითი ბრუნვის ნიშანი შესაბამის სიტყვას მესამე პირში სძენს ახალ ფუნქციას – ესაა სახელდების ფუნქცია. აქ ო-ს ნამდვილად აქვს დისტინქციური ძალა, რომლის მეშვეობითაც მესამე პირში წარმოდგენილი ორი სიტყვა – აპელატივი (მამა) და სახელდების ფორმა (მამაო) – ემიჯნება ერთმანეთს. რაც შეეხება ზოგადად მოძღვრის

[1] ეითომ ონიმი, ამ შემთხვევაში – თითქმის ონიმი.

მისამართით გამოყენებულ ამავე ფორმას (მამაო), იგი არ არის სახელდების ფორმა, ჩვეულებრივ, აპელატივია, მაგრამ სახელდების ფუნქციით (კვაზიონიმად) გამოყენებული მამაოს ანალოგიით, სრულიად შესაწყნარებელია ამ ფორმით მისი აპელატივად ხმარება (მაგალითად, რომელი მამაო ატარებს წირვას?). რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში ითქმის: „რომელი მღვდელი ატარებს წირვას?“, მაგრამ სიტყვა მღვდლის შეცვლა მამაოდ ამ სიტყვის ეკალის სიჭარბემ და, აქედან გამომდინარე, ადვილწარმოთქმამ განაპირობა. იმავე მოტივაციით აიხსნება საკუთარი მოძღვრის **მამაოთი** მოხსენიება ორსიტყვიან სინტაგმაში (მამა შალვამ მაკურთხა) ერთსიტყვიანი ტერმინის (მამაომ მაკურთხა) გამოყენების უპირატესობამ, მოხერხებულობამ და, რაც მთავარია, ამ სიტყვის სულიერმა ძალამ (მამა ღმერთი, თუნდაც საკუთარი მამა) განაპირობა.

ამრიგად, ცალკე აღებული **მამაო** უკვე იქცა მოძღვრისადმი არა მხოლოდ მიმართვის, არამედ მისი მესამე პირად მოხსენიების ფორმადაც. დავასახელებთ ერთ ფაქტს: ქვემო ბეთლემის წინამძღვარს, მამა ალექსანდრეს, მეუღლე მამაოს უწოდებს ორივე შემთხვევაში – როგორც მესამე პირად მოხსენიების, ისე მიმართვის დროს. ამ საკითხს ეხება ლ. ხაჭაპურიძე და მოჰყავს საგულისხმო მაგალითი – ფოფოდიამ როგორ გაუსწორა შვილს, რომელმაც იკითხა: „მამაჩემი სად არისო? – მამაშენი კი არა, მამაო...“ აქედან ჩანს, რომ ცნობიერად თუ ქვეცნობიერად ხდება ორი მამის გამიჯვნა. შეიძლება ვთქვათ, რომ აქ საქმე გვაქვს ენის შინაგან ტენდენციასთან, ფორმობრივადაც გამიჯნოს არსებული სემანტიკური ნიუანსები (ხაჭაპურიძე, 2000, 408). ეს ფორმა – მამაო – კონკრეტულ პირობებში, შეიძლება ითქვას, ჯიუტად იჭრება მეტყველებაში და თითქმის ენის ნორმადაცაა ქცეული[1].

მესამე პირის აღმნიშვნელად გამოყენებული ამ აპელატივების წოდებითის ფორმა – მამაო, დედაო – „მეორე სახელების“ ჩვენ მიერ გამოყოფილ კვაზიონიმთა კლასში დაიმკვიდ-

---

[1] ურიგო არ იქნება გავიხსენოთ ახლახან დამკვიდრებული ადვილგამოსათქმელი **მადლობა** (←გმადლობთ ფორმის ნაცლად).

რებს ადგილს. აქედან გამომდინარე, მამაო და, ვთქვათ, რომელიმე სანდრო ტიპის სიტყვებში მარკირებულ -ო-ს განსხვავებული კვალიფიკაცია უნდა მიეცეს. გრამატიკულადაც, სანდრო ტიპის სახელებში -ო წარმოქმნის სუფიქსია. მას არავითარი კავშირი არ აქვს წოდებითთან, არც წარმოშობით. გავიხსენოთ დებულება: „-ო არ არის წარმოშობით ბრუნვის ნიშანი“ (აკ. შანიძე, ი. იმნაიშვილი, ჰ. ფოგტი). **მამაო-დედაო ფორმებში კი -ო წარმოშობით წოდებითი ბრუნვის ნიშანია, რომელმაც, შეიძლება ითქვას, ჩვენ თვალწინ იტვირთა დერივაციული და დისტინქციური** (საიდენტიფიკაციო) **ფუნქციები, რაც მომავალში უფრო მეტად შეუწყობს ხელს ამ ფორმების (მამაო, დედაო) დამკვიდრებას, სასულიერო პირთა მესამე პირად მოხსენიებისას.** ვფიქრობთ, ილიას სიტყვები ხალხში ფეხმოკიდებულ ამ ფორმებზედაც ითქმის: „ხალხია ენის კანონების დამდები და არა ანბანთ თეორეტიკა“ (ი. ჭავჭავაძე, 3, 43). ამ საკითხზე იხ. გვ. 290.

მეორე რიგის, ანუ არაგამჭვირვალე სემანტიკის მქონე ანთროპონიმებში (ცარო-ფარჩო-ს ტიპი და ნინო) არ ჩანს -ო ბოლოხმოვნის გამოკვეთილი ფუნქცია. ამ ტიპის სახელები, უბრალოდ, -ო-ბოლოხმოვნიანი პირველადი ანთროპონიმებია (თუმცა -ო დერივატის გავლენით და იმის გათვალისწინებით, რომ ქართული ენის ბუნებისთვის ნიშანდობლივია აუსლაუტში ვოკალიზაციისკენ მიდრეკილება, ქვეცნობიერად ამ ანთროპონიმებშიც შეიძლება აღვიქვათ -ო-ს დაბინდული, მაგრამ მაინც მასუბსტანტივებელ-მაანთროპონიმებული ფუნქცია). მართალია, აქ ხელშესახებად -ო არც „დაერთვის“ და არც „წარმოქმნის“, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ -ო ხმოვანზე შემოკლებულ სახელებსაც (ნიკოლოზი→ნიკო), შეიძლება ითქვას: ის ფაქტი, რომ სახელის ფორმულირებისთვის ამ ორ შემთხვევაში –ო ხმოვანზე **სხვა სუფიქსების დართვის აუცილებლობა არ არსებობს,** ეს ისევ და ისევ -ო ხმოვნისთვის დამახასიათებელი ფუნქციის დამსახურებაა, მისი მოქმედების ქვეცნობიერი გავლენა (იგივე შეიძლება ითქვას შემოკლებულ სახელთა აუსლაუტის სხვა ფუძისეულ ხმოვნებზედაც: კონსტანტინე→კოსტა, ფარნაოზი–ფარნა).

შევჩერდებით პირველადს (კერძოდ, მოკლე) საკუთარ სახელებზე, აუსლაუტში -ა ხმოვნით: **მზია, გელა, ლელა** (ამ უკანასკნელს მიიჩნევენ ელენეს შემოკლებულ სახელად, მაგრამ, ზ ჭუმბურიძის განმარტებით, წარმომდგარია მცენარის სახელისგან – ლელი). პარალელურად, აპელატივთაგან დავასახელებთ ორს: **მზე და დედა**. ეს სიტყვები (გარდა მზისა) მიმართვისას ნულოვანი ალომორფით ფორმდებიან და ფუძის სახით გვევლინებიან, მაგრამ პოეზიაში (ან პროზაში) მიმართვის ფორმით გამოყენებისას ზოგჯერ გვხვდება -ო: გელაო („რაო, გელაო, რა ამბავი მოიტანე?“); ლელაო („შენ და და მე ძმა, ლელაო, თუნდა მიმიღე მამადა“, ვაჟა); დედაო („დედაო ღვთისა, მზეო მარიამ“... გალაკტიონი).

დასკვნა: ზემოთ წარმოდგენილ შემოკლებულ (ქეთო) და პირველადი წარმოების მოკლე ანთროპონიმებში: თაფლ-ო, ცაგო (კვაზიონიმებშიც: მამაო, დედაო) აუსლაუტის -ო წარმოქმნისა და მაანთროპონიმებელი აფიქსია. პირველადი წარმოების -ა-ფუძიან (ორმარცვლიანი ფუძით) ანთროპონიმებში მარკირებული –ო კი წოდებითი ბრუნვის ნიშანია. ეს ფორმა მხოლოდ მიმართვისას გამოიყენება, თუმცა მიმართვის ტიპი **ლელაო-გელაო** არ არის სალიტერატურო ნორმა, მით უფრო, არ გამოიყენება მესამე პირად.

§5. უკვეცელ-უკუმშველ ანთროპონიმთა კუმშვად-კვეცადობის საკითხისათვის

ქართულ ენათმეცნიერებაში სახელის მორფოლოგია გამოწვლილვითაა შესწავლილი. სახელთა სისტემას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ენის მეტყველების ნაწილთა ერთიან საკლასიფიკაციო სისტემაში, რომლის პირველი ჯგუფია არსებითი სახელი. არსებით სახელთა სისტემის განუყოფელი ნაწილია საკუთარი სახელი. ამიტომ რა ზღვარიც უნდა გავავლოთ ამ ორ სემანტიკურ ჯგუფს შორის, რა მორფოლოგიური ოდენობაც უნდა დასახელდეს მათ შორის სხვაობის დასამტკიცებლად, ისინი მაინც ისე შეეფარდებიან ერთმანეთს, როგორც ნაწილი – მთელს. მხედველობაში გვაქვს ამ ორი, სემანტიკურად

სხვადასხვა, ჯგუფის ფონეტიკური და გრამატიკული თანხვედრა. სემანტიკურად და გრამატიკულად განსხვავებულ ამ ორ ჯგუფს შორის, ერთი მხრივ, უფრო მეტია ფონომორფოლოგიური თანხვედრები, ვიდრე ეს ტრადიციით არის მიჩნეული, რაც ამცირებს პირის საკუთარ სახელთა რიგ თავისებურებათა რიცხვს, თუმცა გარკვეული პირობით. ამით კი ანთროპონიმი უფრო უახლოვდება საზოგადო სახელთა სისტემას, ვიდრე ემიჯნება. მეორე მხრივ, ანთროპონიმულ სისტემაში იკვეთება ისეთი ფონომორფოლოგიური პროცესები, რომელთა გათვალისწინებაც განსაზღვრავს სწორედ პირის საკუთარ სახელთა გარკვეულ თავისებურებებს.

ტრადიციული შეხედულებით, ანთროპონიმთა ჯგუფი აპელატივებს ემიჯნება:

1) უკვეცელობით („პირის სახელი ყველა უკვეცელია“ (შანიძე, 1973, 66);

2) უკუმშველობით;

3) მრავლობითი რიცხვის უქონლობით.

აპელატივთა კვეცა და კუმშვა კი, ჩვეულებრივ, დასტურდება ბრუნების პარადიგმულ და პლურალურ სტრუქტურებში, რასაც იწვევს ხმოვნით დაწყებული ბრუნვისა და რიცხვის ნიშანი. კვეცადია სახელი მხოლობითი რიცხვის ორ პარადიგმაში (-ის და -ით ბრუნვის ნიშნებით) და -ებ-იანი მრავლობითის ყველა პარადიგმაში; კუმშვადი კი – სამში (-ის, -ით, -ად ბრუნვის ნიშნებით) და ასევე მთელ -ებ-იან მრავლობითში. მაგრამ კუმშვა-კვეცა, როგორც ფონომორფოლოგიური მოვლენა, მხოლოდ ბრუნების პარადიგმული სტრუქტურისათვის არ არის დამახასიათებელი. იგი გაცილებით ფართო ქმედების ფონეტიკური მოვლენაა. **კვეცასა და კუმშვას იწვევს ხმოვნით დაწყებული დერივატიც.** თუ ხაზგასმით გავითვალისწინებთ, რომ დერივატით გამოწვეული კუმშვა-კვეცა ისეთივე ფონეტიკური მოვლენაა, როგორიც ბრუნვის ნიშნით გამოწვეული,[1] მაშინ კუმშვადი და

[1] აკ. შანიძე, ღვინო-დან მიღებული სა-ღვინ-ე პროცესს უწოდებს კვეცას (აპოკოპე), რადგან ფუძის ბოლოს მოთავსებული -ო

კვეცადი სიტყვების – აპელატივების, ტოპონიმების, ჰიდრონიმების, გვარების – რიგში ჩადგება პირის საკუთარი სახელებიც – ანთროპონიმები. ანთროპონიმთა კუმშვა-კვეცადობა დასტურდება მისგან წარმოქმნილ სიტყვებში: საკუთრივ ანთროპონომთა ფორმებში, ეპონიმურ გვარებში, ტოპონიმებში, სახელზმნებში, ზმნებში...

განვიხილავთ თითოეულ მათგანს, რომელთა შემადგენელი კომპონენტი ფუძეშეკვეცილი ან ფუძეშეკუმშული ანთროპონიმია.

I. კვეცა არსებით სახელთა ძვესისტემაში – ანთროპონიმში

1. შეკვეცილი ხმოვანფუძიანი ანთროპონიმიდან → ანთროპონიმი

კვეცადია: ა) ქართულ ყალიბში **-ე/-ი-ხმოვანფუძიანებად მოქცეული უცხოენოვანი ანთროპონიმები:** ელენე→ელენ-იკო, ელენო; პავლე→პაველ-ია, პაველ-უშა; პეტრე→პეტრ-ია; ივანე→ივან-იკა; გიორგი→გიორგ-ა, გიორგუნა; ალექსი→ალექს-ა; ანდრია→ანდრ-ო;

ბ) -ო/-ა-ფუძიანი პირველადი ანთროპონიმები, როცა **-ო/-ა** არის არა მხოლოდ წარმოქმნის აფიქსი (დათო, ქეთა), არამედ მაანთროპონიმებელი (ნუშო, თაფლო, ეარდო... მაყვალა, იმედა, ვაჟა...). ცნობილია, რომ -ო-ფუძიანი აპელატივები, მით უმეტეს, ანთროპონიმები, უკვეცელთა ჯგუფს მიეკუთვნება, მაგრამ ექსტრაპარადიგმულ დონეზე ესენიც კვეცადებია (ნუშ-იკო, ვარდიკო, თაფლ-უა); ასევე -ა-ფუძიანი პირველადი ონიმები: იმედო, ვაჟ-იკო...

იშვიათად **ი** ხმოვნის კვეცაც ხდება:

ა) ეპონიმურ ტოპონიმებში: ძღვიძღვი (გვარად ჯიქია) → სა-ძღვიძღვ-ო (ცხადაია, 2000, 43); ნუკრი → ნუკრავი (ქამადაძე,

---

მომდევნო სუფიქსის (-ე) დართვის გამო ამოღებულ იქნა (შანიძე, 1973, 28).

1999, 24); გიეი → გიეაანთწყარო (დოესი), გიეას წყარო (გოდალეთი, საქართველოს ტოპ., 1999, 30); აკაკი – სა-აკაკ-ო.

ბ) გვარებში: სახელიდან გოგი (რომელსაც ი. მაისურაძე უძველეს ხანაში ჩამოყალიბებულ სახელად თვლის) წარმოქმნილია როგორც ამ ანთროპონიმის სრულად შემცველი გვარები – გოგია, გოგილავა, გოგიშვილი, გოგიაშვილი,[1] ისე გოგბაიძე, გოგვაძე. შდრ.: გოგიბერიძე და გოგბერაშვილი (შდრ.: ნუკრი – ნუკრაძე).

გ) -უ-ფუძიან პირის სახელებში თითქმის არა გვაქვს კვეცა (გამონაკლისი შესაძლებელია აღმოჩნდეს, რაც ამინდს ვერ ქმნის). ამის მიზეზი კი, ვფიქრობთ, ისაა, რომ ისინი გამოკვეთილად კოლორიტულნი არიან, ლოკალიზებულნი ერთ კონკრეტულ, კერძოდ, სამეგრელოს რეგიონში (ბუდუ, გუდუ, ბუთუ, ბადუ, ჩაგუ...).

თანამედროვე ენობრივი სიტუაციის მიხედვით, არ არის გამორიცხული -უ-ფუძიანი ანთროპონიმების კვეცა მისი მოდური ფორმის ჩამოყალიბებისათვის. ვთქვათ, ნუნუ → ნუნჩო (შდრ. -ო-ფუძიანის კვეცადობას: ნინო → ნინჩო), ამასთან, აქ კვეცას არ იწვევს ხმოვნით დაწყებული აფიქსი, არამედ ოდენხმოვანი.

კვეცის თვალსაზრისით, ალ. ღლონტი ცალკე გამოყოფს მეგრულ ონომასტიკაში **თანხმოვნის მოკვეცის** მაგალითებს -ამ, -ომ, -არ, -ორ ბოლო მარცვლებში: სოფრომ → სოფრო, როსტომ → როსტო, ანტონ → ანტო, სიმონ → სიმო, ბეგლარ → ბეგლა (ღლონტი, 1964, 126). ჩვენი აზრით, ეს შემთხვევა გამოსაყოფია, რადგან ფონეტიკური კვეცადობა მოიცავს **მ ნ რ** სონორ ნარნარა თანხმოვნებს, რომლებიც აკუსტიკურად ყველაზე ახლოს დგანან ხმოვნებთან.

[1] აქაც ანთროპონიმი სრულადაა წარმოდგენილი (თუმცა შეკვეცილია პარადიგმული გენიტიური ფორმა).

2. შეკვეცილი ხმოვანშუძიანი ანთროპონიმი მრავლობით რიცხვში

ზოგადად, კეცას (კუმშვას) იწვევს ხმოვნით დაწყებული აფისქი, მათ შორის, მრავლობითის ნიშანი -ებ. ანალოგიური ვითარებაა ანთროპონიმებში. პირის საკუთარ სახელებს არა აქვთ მრავლობითი რიცხვის ფორმა (შანიძე, 1953, 53). მაგრამ ფაქტია, რომ მწერლობაში დასტურდება ანთროპონიმის მრავლობითი რიცხვის ფორმა, რომელიც შეიცავს არა მხოლოდ რომელიმე „№-ისა და მისი მსგავსების“ გაგებას, არამედ რამდენიმე ერთსახელიან მოსახელესაც აღნიშნავს. ამის მაგალითია კლასში მყოფი ოთხი ნათელა, რომელთაც მწერალი (ლ. ქიაჩელი, „ნათელა – ოთხი“) იხსენიებს მრავლობითის ფორმით – **ნათელები** და ეს არ უნდა ჩაითვალოს აღნიშვნის არასწორ ფორმად. ვთქვათ, ოთხ გიაზე რატომ არ შეიძლება ითქვას: „სად არიან გიები?“ ეს ფორმები ისევე ასახავენ რეალობას, როგორც ბიჭი – ბიჭები, გოგო – გოგოები.[1] თუკი დავუშვებთ (პირობითად მაინც) ანთროპონიმთა ასეთ ფორმებს, სტრუქტურული თვალსაზრისით იგი გაუტოლდება -ა-ფუძიანი აპელატი-

---

[1] თ. უთურგაიძის აზრით, „თუ რამდენიმე ხე მრავლობითში იძლევა ხეები, ხენი ფორმებს, თეორიულად, რა თქმა უნდა, რამდენიმე პეტრესთვისაც შეიძლება ასეთივე ფორმების წარმოებაც“ (უთურგაიძე, 1986, 100). ამ მოსაზრებას ამაგრებს ძველი ქართულის ძეგლები. ზ. სარჯველაძე იმოწმებს XI-XIII საუკუნეთა ზოგიერთ ძეგლში ადამიანის საკუთარი სახელის მრავლობითის ფორმით დადასტურებულ ნიმუშებს: „სამნი იოანენი“, „ოთხნი იგი სუმეონენი ნეტარნი“, „ოთხნი მარიამნი მოიხუმიან“, „ორთა მათ მარიამთასა“ (სარჯველაძე, 1984, 371). მართალია, ზ. სარჯველაძე მათ ხელოვნურ ფორმებს უწოდებს და „ამიტომაც ვერ დამკვიდრდნენ სალიტერატურო ენაში“, მაგრამ პოტენციურად ამ ტიპის ფორმათა არსებობა არ უნდა იყოს წინააღმდეგობრივი, ანუ ქართული ენის ბუნებისათვის მიუღებელი. უბრალოდ, ფაქტია იშვიათი და, აქედან გამომდინარე, მისი აღნიშვნაც.

ვების კვეცას -ებ-იან მრავლობითში. -ებ სუფიქსი, აპელატივთა მსგავსად, კვეცს ხმოვანფუძიან ანთროპონიმებსაც: ელგუჯ-ებ-ი, არსენ-ებ-ი, ხირჩლ-ებ-ი... რომლებშიც იგულისხმება „მისი მსგავსები: „რა გენაღლებათ არსენებს, ხირჩლებს“, „ელგუჯებს პაპიროსს უყრის“ (მ. ჯავახიშვილი).

3. შეკვეცილი ხმოვანფუძიანი ანთროპონიმი ეპონიმურ გმარში

ანთროპონიმის კვეცადობა ჩანს გვარებშიც. პირსახელი ხშირად გვარის კომპონენტია. გვარის თხზულ (თუ წარმოქმნილ) ლექსიკურ ერთეულში ფიქსირებული ხმოვანფუძიანი ანთროპონიმი გეხვდება ორივე სახით – უკვეცელი და კვეცადი ფორმით: ზაზაძე, ზაზაშვილი//ზაზიაშვილი, ზაზიკაშვილი; შოთაშვილი, შოთაძე//შოთნიაშვილი; მზექალაშვილი//მზექალიშვილი; გოგიტაშვილი//გოგიტიძე; არსენაძე, არსენაშვილი//არსენიძე, არსენიშვილი; პაველ(ნ)იშვილი//პაველიაშვილი, პაველაძე; მოსეშვილი//მოსიძე; ივანეიშვილი//ივანიშვილი.

4. შეკვეცილი ხმოვანფუძიანი ანთროპონიმი ეპონიმურ ტოპონიმში

გაონიმებული თხზული სიტყვა **დედაღვთისა** ორკომპონენტიან ტოპონიმებში დასტურდება შეკვეცილი ფორმითაც: დედაღვთისის ხევი (სოფ. თვალადი, კასპის რ-ნი); დედახვთისის ტყეები, დედახვთისის ახოები (სოფ. კევი). **რაც მთავარია,** ორსიტყვიან ტოპონიმურ მოდელში მოქცეული **ანთროპონიმის კვეცას იწვევს თვით პარადიგმის ნიშანი –ის.** ამ ტიპისაა ანთროპონიმები: სოფ. ნამონახვანში ანეტიის ნაყანები (← ანეტა), სოფ. ბანოჯაში არსენიის გორა (← არსენა, საქართველოს ტოპ., III, 2001, თსუ ონომასტიკის ცენტრი). ამ ორ ტოპონიმში კვეცის გამომწვევი ნიშანი (-ის) ასუსტებს -ა ფართო ხმოვანს, რომელიც კვალს ტოვებს და ვიღებთ ვიწრო -ი-ს (შდრ.: მინდორი – მინდვრის). ანთროპოტოპონიმში პირის საკუთარი სახელის კვეცის მაგალითს იმოწმებს მ. ქამადაძე: პეტრ-ივ-ი, ზაქარ-ევ-ი (ქამადა-

ძე, 1999, 192). სამეგრელოს რაიონის ტოპონიმებში კვეცას ექვემდებარება ის გვარები, რომლებიც უკვეცელები არიან. ესენია „-ია, -უა, -ავა-ზე გათავებული ქართული გვარები“ (შანიძე, 1953, 66). სამეგრელოს რეგიონის გამოწვლილვით შესწავლის საფუძველზე პ. ცხადაია წერს: ტოპონიმებში „ბოლოსართ -ე-ს გავლენით გარკვეულ ცვლილებებს განიცდის გვარის დაბოლოებანი: -ია, -ავა, -უა და -აია“. ნიმუშებად დასახელებულია: ლეღვინჯილე (ღვინჯილია), ლეკალანდე (კალანდია), ლეგუნე (გუნია), ლეპაპე (პაპავა) და სხვა (ცხადაია, 1976, 37); სანაჭყებიო, საბუკიო, საადამიო, საგვარამიო (აფრიდონიძე, მაკალათია, 1980, 148). ანთროპონიმებს ისიც აკავშირებს საზოგადო სახელებთან, რომ ორივე სემანტიკური ერთეულიდან წარმოიქმნება არა მარტო საკუთარი სახელები, არამედ აპელატივები და ზმნებიც; სიტყვაწარმოების პროცესი კი კვლავ გადის ანთროპონიმთა კვეცაზე.

5. შეკვეცილი ხმოვანფუძიანი ანთროპონიმი აპელატივში

ფუძეშეკვეცილი ანთროპონიმის შემცველი აპელატივებია: ელენე → ელენ-ობა; პავლე → პეტრე-პავლობა; ბარბარე → ბარბარობა; ზოსიმე, ალექსანდრე → „ზოსიმობა ადვილია, ალექსანდრობაა ძნელი“ (ლ. გოთუა, „გმირთა ვარამი“); ერეკლე → მეფეერეკლობა (ს. მგალობლიშვილი).

გამოვლინდა ერთი თავისებურება, რაც, შესაძლოა, კანონზომიერების სახითაც ჩამოყალიბდეს: ხმოვანფუძიანი სრული ანთროპონიმიდან ამა თუ იმ ფორმის წარმოქმნისას კვეცადია ორივე: -ა და -ე-ფუძიანები, მაგრამ იმავე ანთროპონიმიდან სხვა მეტყველების ნაწილთა წარმოქმნისას კვეცას უფრო -ე-ფუძიანი ანთროპონიმები ექვემდებარება, -ა-ფუძიანებიდან კი – ძირითადად, სამ- და მეტმარცვლიანები. ორმარცვლიანი ანთროპონიმები უმეტესად ინარჩუნებენ ფუძისეულ ხმოვანს: ანაობა, საბაობა, ვაჟაობა, ზაზაური (ლ. გოთუა, „გმირთა ვარამი“)... მეორე მხრივ, ელგუჯობა, გიგოლობა.

6. შეკვეცილი ხმოვანშუძიანი ანთროპონიმი ზმნაში

ანთროპონიმთა კვეცა ხდება მათგან წარმოქმნილ ზმნებში: „მას არსენა ერქვა და ეხლაე არსენობდა“, „გიგოლა ისევ გიგოლობდა“ (მ. ჯავახიშვილი, „არსენა მარაბდელი“).

აქვე დაძენთ, რომ თანხმოვანფუძიანი ანთროპონიმების გაზმნავებისას არ შეგვხვედრია კუმშვის შემთხვევები: გაეუფატმანდები, მიფატმანე, გაიავთანდილა (ს. მგალობლიშვილი, „წარსულიდან“); როსტომობს, ტარიელობს, ამირანობს[1] (მ. ჯავახიშვილი, „არსენა მარაბდელი“).

II. კუმშვა არსებით სახელთა ძვესისტემაში – ანთროპონიმებში

კუმშვა თანხმოვანფუძიან სახელთა თვისებაა. ტრადიციული შეხედულებისამებრ, ანთროპონიმები (კერძოდ, თანხმოვანფუძიანები) უკუმშველები არიან, რაც განაპირობებს მათს თავისებურებას. ვიტყვით იმავეს: ეს თვალსაზრისი მართებულია ანთროპონიმთა პარადიგმული სტრუქტურის დონეზე, მათგან წარმოქმნილ სიტყვებში კი თანხმოვანფუძიანი ანთროპონიმებიც ექვემდებარებიან კუმშვას, რასაც განაპირობებს **დერივატი** (ხმოვნით დაწყებული ან ოდენხმოვნიანი). ამ ფონეტიკური პროცესის დამადასტურებელია ისევ წარმოქმნილი თუ თხზული საკუთრივ ანთროპონიმები, გვარები, ტოპონიმები, სახელზმნები და ზმნები, რომლებშიც მარკირებულია შეკუმშული ანთროპონიმები.

1. **შეკუმშული თანხმოვანფუძიანი ანთროპონიმი → ანთროპონიმის ფორმაში.** პირველადი ანთროპონიმების კუმშვა დერივატის დართვისას: თამარ → თამრ-ო, თამრ-იკო; ზაალ → ზალ-ო, ზალ-იკო. არასალიტერატურო ნორმით, მაგრამ დასტურდება ფორმა – ნესტან-დარეჯნის, სადაც კუმშვა ხდება პარადიგმულ სტრუქტურაში.

[1] და არა ამირნობს

2. ანთროპონიმი მრავლობითი რიცხვში. თანხმოვანფუძიანი ანთროპონიმების მრავლობითი რიცხვის ფორმები უკუმშველია: რევაზები, ლუარსაბები, არჩილები (შ. არაგვისპირელი), ხმოვანფუძიანების კი – კვეცადები: არსენ-ებ-ი.

3. შეკუმშული თანხმოვანფუძიანი ანთროპონიმი ეპონიმურ გვარში

ანთროპონიმის კუმშვადობის (ისე, როგორც კვეცადობის) გამომელენელია გვარის მოდელი, რომელშიც ანთროპონიმის კუმშვას იწვევს აფიქსი – დერივაციული ან გენიტივის (პარადიგმული). პირველადი წარმოების საკუთარი სახელი **ბარათა** სამი ფორმით დასტურდება მისგან ნაწარმოებ გვარში: **სრული** – ბარათაშვილი, **შეკვეცილი** – ბარათელი / ბარათელია, **შეკუმშული** – ბართაია. ასევე დარეჯანი: **სრული** – დარეჯანაშვილი, **შეკუმშული** – დარჯანია. ძაგანი (საკუთარი სახელი): ძაგანია და ძაგნიძე, ღვთისავარი – ღვთისავრიშვილი, ყარამანი – ყარამნიშვილი, სოლომონი – სოლომნიშვილი. **ბოლო ოთხ მაგალითში შემავალი ანთროპონიმის კუმშვა სწორედ პარადიგმულ სისტემაში ხდება,** კერძოდ, გენიტივში. მეორე მხრივ, შენახულია სუფიქსის (-ის) ხმოვნითი ნაწილი, კონსონანტური ნაწილი კი დაკარგულია. ამავე სტრუქტურისაა კახაბრიშვილი, პატარქლიშვილი. ამ თხზული ანთროპონიმების მეორე კომპონენტები საზოგადო სახელებია,[1] მაგრამ ანთროპონიმში ისინი საკუთარი სახელების მწარმოებელი ლექსემებია, საკუთარი სახელების ჩამომყალიბებელი კომპონენტებია (ინდიკატორებია), მათი შემცველი კახაბერი და პატარქალი კი მთლიანად საკუთარი სახელებია. ამიტომ სწორი იქნება, თუ ვიტყვით: აღნიშნულ გვარებში იკუმშება ანთროპონიმები და არა ამ ანთროპონიმთა აპელატიური ნაწილი, მით უმეტეს, რომ ცალკე აღებული არც **ქალია** კუმშვადი, არც **ბერი**.

---

[1] მართალია, ბერი ცალკე საკუთარ სახელადაც დასტურდება, მაგრამ, ი. მაისურაძის აზრით, „რთულფუძიან გვარებში **ბერ** ძირის გამოყენება უფრო ადრე უნდა მომხდარიყო, ვიდრე ის საკუთარ სახელად გადაიქცეოდა... მსაზღვრელი, როგორც მამრობითი სქესის აღმნიშვნელი სიტყვა – ვაჟი, ძე“ (მაისურაძე, 1979, 84).

დაბოლოს, ცალკე გამოეყოფთ ზემოთ წარმოდგენილი გვარების ორ ტიპს:

A. ბარათაშვილი-დარეჯანაშვილის ტიპი,

B. ღვთისავრიშვილი-კახაბრიშვილის ტიპი.

A ტიპის გვარებში, როგორც აღვნიშნეთ, ანთროპონიმი სრული სახითაა წარმოდგენილი: ბარათა, დარეჯანა, მაგრამ, თუ სიზუსტეს დავიცავეთ, სრული სახით წარმოდგენილია ამ ანთროპონიმთა ფუძეები, ანთროპონიმის ფორმა კი, რომელიც პარადიგმული მოდელისაა, შეცვლილია. ცვლილებას იწვევს თხზული გვარის მეორე კომპონენტი — ინდიკატორი (შვილი, ძე), რომელიც აუჩინარებს ანთროპონიმის გენიტივის თანხმოვნით ნაწილს, -ს-ს (ბარათა-ს-შვილი).

B ტიპის გვარებში ანთროპონიმთა (ღვთისავარ, კახაბერ) კუმშვაა დადასტურებული, რასაც, როგორც აღვნიშნეთ, იწვევს გენიტივის ნიშანი (-ის), მაგრამ მთლიანად გვარში აქაც ორი ფონეტიკური პროცესია: პირველი — კუმშვა სახელში, მეორე — ბრუნვის ნიშნის კვეცა.

4. შეკუმშული თანხმოვანფუძიანი ანთროპონიმი ტოპონიმში

ქართულ ტოპონიმთა ზღვა მასალაში ძალიან მცირეა ისეთი ტოპონიმი, რომლის შემადგენელი ონიმი შეკუმშულფუძიანი ფორმით იყოს წარმოდგენილი.[1] ტოპონიმში მარკირებული თანხმოვანფუძიანი ანთროპონიმის კუმშვას საკმაოდ ხელოვნური ელფერი დაჰკრავს, მაგრამ ეს პროცესი მაინც ფაქტია. მაგალითად, ლევნიანთეული (ჩვენ მიერ კასპის რ-ნის სოფელ დოესში ჩაწერილი), ელდრის მინდვრები (წითელწყარო, თ. უთურგაიძის ცნობა). ამ რიგს მივუმატებთ ტოპონიმებს, რომელთა კომპონენტად წარმოდ-

[1] მხედველობაში გვაქვს ის შემთხვევა, როცა ანთროპონიმის კუმშვას იწვევს ტოპონიმურ მოდელში მისი ჩართვა და არა „ზაქროს ნავენახარის“ ტიპი, როცა ტოპონიმის კომპონენტად გამოყენებულია წარმოქმნის შედეგად უკვე მიღებული ანთროპონიმის შეკუმშული, შეკვეცილი ან შეკუმშულ-შეკვეცილი ვარიანტი.

გენილი გვარი, ჩვეულებრივ, უკუმშველია, მაგრამ ტოპონიმურ მოდელში კუმშვადი ხდება: ჩიქოვნიანთ ნაყოფი – საძოვარი სოფ. ქვემო ხანდაკში.

P.S. საყურადღებოა ერთი დეტალი: ონიმიდან წარმოქმნილ გვარებში ზოგჯერ რედუცირდება -ო ხმოვანიც, რაც იშვიათობაა. მაგ., ჩიქოვანები სამეგრელოს თავადები იყვნენ. აქედან წარმოიქმნა მეორე გვარი – ჩიქვანაია (პ. ცხადაიას ცნობით, ადგილობრივ მეტყველებაში ამ გვარის გავრცელებული ვარიანტია ჩიქვანი. ე. ი. -ო ხმოვანი გვარის დიალექტურ ფორმაშივეა რედუცირებული). გვარის შემადგენელ უშუალოდ საკუთრივ ანთროპონიმშია (სოლომონი) რედუცირებული -ო სოლომნიშვილში.

III. -ი და -უ ხმოვანთა რედუცირებისათვის

კუმშვა-კვეცადობის თვისებით ჩვენ წარმოვადგინეთ ანთროპონიმები (ხმოვანფუძიანებიც, თანხმოვანფუძიანებიც), რომელთა სტრუქტურული მოდელი იცვლებოდა **ა ე ო** ხმოვანთა რედუცირებისა თუ კვეცის ხარჯზე, რითაც ანთროპონიმული სისტემა დაუახლოვდა საზოგადო სახელთა სისტემას.

გარდა ამისა, ანთროპონიმთა მოდელში დასტურდება იმ ხმოვანთა რედუცირება, ფონეტიკური მოვლენების ისტორიულ წარსულს რომ განეკუთვნება და ისიც აპელატივებში. როგორც ცნობილია, ქართული ენის განვითარების გარკვეულ საფეხურზე რედუცირდებოდა ი და უ ხმოვნებიც, რასაც საგანგებო გამოკვლევა მიუძღვნა ვ. თოფურიამ („რედუქციისათვის ქართველურ ენებში"). ავტორი მაგალითებად ასახელებს: ი: მცირე → მო-მცრ-ო//უ-მცრ-ოსი, ბიჯ-ი → ა-ბჯ-ენს, ბა-თიკ-ან-ი → ბა-თკ-ან-ი; უ: სუმა → სმა, თქუმა → თქმა, თქუა → თქვა (თოფურია, 1946, 75-76).

ეფიქრობთ, ძველი ქართულის ფონეტიკურ თვისებათა გამოვლენად უნდა მივიჩნიოთ **ი/უ** ხმოვნების დაკარგვა ანთროპონიმებში, რომელთაგანაც იწარმოა სხვა სიტყვები, ვთქვათ, გვარები, ტოპონიმები... ი ხმოვნის კუმშვის შემთხვევები ცალკე აღებულ ანთროპონიმებშიც დასტურდება, კერძოდ, დიალექტურ სიერცეში, კონკრეტულად – სამეგრელოს რეგიონში. ყოველგვარი აფიქსის მოქმედების გარეშე, შეიძლება ითქვას, თავისთავად კუმშვადია

ზოგი სახელი: „ზოსმე (ზოსიმე), კირლე (კირილე), მელტონ (მელიტონ), პასკო (პასიკო), მარკა (მარიკა), ფილმონ (ფილიმონ)“ (ღლონტი, 1967). როგორც აღვნიშნეთ, კუმშვა ხდება თავისთავად, მაგრამ ამ სიტყვას პირობითად ვხმარობთ, რადგან თავისთავად, უსაფუძვლოდ ენაში თითქმის არაფერი ხდება, მით უმეტეს, სახელთა ასეთი ფორმები ერთი და ორი მაგალითით არ ამოიწურება. როგორც ცნობილია, კუმშვა-უკუმშველობას ძველ ქართულში, მის დიალექტურ ფენაში, გარდა სუფიქსისა, **განსაზღვრავდა მახვილი**. უკუმშველი სახელი მიეკუთვნებოდა იმ დიალექტურ ფენას, სადაც არ იგრძნობოდა ძლიერი დინამიკური მახვილი და პირიქით. ამ საკითხს ეხებოდნენ ცნობილი მეცნიერები – ნ. მარი, არნ. ჩიქობავა, გ. ახვლედიანი, გ. დეეტერსი. არნ. ჩიქობავა მიდის იმ დასკვნამდე, რომ ძველ ქართულში მახვილი ძლიერ დინამიკური და თავისუფალი იყო (ახალი ქართულისგან განსხვავებით) და იწვევდა მის წინ მდგომი ან უკან მდგომი მარცვლიდან ხმოვნის ამოვარდნას (ძამ-ა → ძმა; თაფალ → თაფლი, ჩიქობავა, 1942). ჭანური და მეგრული მასალის საფუძველზე ირკვევა, რომ მახვილი სამ- და მეტმარცვლიანებში ბოლოდან მესამე მარცვალზეა (ჩიქობავა, 1936, 41). **ვფიქრობთ, სწორედ დინამიკურმა მახვილმოქმედებამ გამოიწვია სამეგრელოს რეგიონში ზემოთ წარმოდგენილ ანთროპონიმთა კუმშვა (მელიტონ → მელტონ).**

-ი/უ ხმოვანთა რედუცირების მაგალითები დადასტურებულია ეპონიმურ გვარებშიც. მელიქი, როგორც ი. მაისურაძე მიუთითებს, საკუთარი სახელია, „რომელსაც საფუძვლად უდევს აპელატივი მელიქი (გამგებელი)“ (მაისურაძე, 1981, 108). ალ. ღლონტის მიერ ეს საკუთარი სახელი ჩაწერილია ჩხოროწყუში ექსპედიციაში ყოფნისას (ღლონტი, 1986). დღეს პროდუქტულია ამ სახელიდან წარმოქმნილი ეპონიმური გვარები, სადაც საკუთარი სახელი ხან სრულად არის წარმოდგენილი, ხან ფუძეშეკუმშვით: მელიქიძე, მელიქიშვილი//მელქაძე. ამ უკანასკნელში კუმშვას იწვევს წარმოქმნის სუფიქსი -ა, რომელიც გვარის მოდელში ალბათ ინფიქსად ჩაითვლება. რაც მთავარია, ამ გვარში რედუქცია ემართება ი ხმოვანს. დავასახელებთ ანალოგიურ მოვლენებს: ჯიბილო (ალ. ღლონტი) და ჯიბილა (ი. მაისურაძე) ერთი საკუთარი სახელის ორი ფორმაა, რომელთაგანაც მოდის გვარი ჯიბლაძე (ი-ს

რედუქციით). ასევე, **ვაჩინა** კნინობითი ფორმაა **ვაჩე**-სი (მაისურაძე, 1976, 54), ვაჩინა ფორმიდან ი-ს რედუცირების შედეგად წარმოიქმნა ვაჩნაძე.

უ ხმოვნის რედუცირება ხდება გვარ უზნაძეში, რომელიც წარმოიქმნა საკუთარი სახელიდან – უზუნა (< თურქ. Uzun – გრძელი), რასაც ადასტურებს გვარები: უზუნაძე, უსუნაშვილი. უ-ს რედუცირების მაგალითად შეიძლება დასახელდეს სამეგრელოს რაიონში დადასტურებული ფორმა ჟუჟუნა[1] (ჟუჟუნა). გვარში ორიევე ფორმა დასტურდება: ჟუჟუნაშვილი და ჟუჟნიაშვილიც. ცალკე აღებულ ანთროპონიმში (ჟუჟუნა) კუმშვადობა ალბათ გამოიწვია დინამიკური მახვილის მოქმედებამ, რაც, როგორც ზემოთ ითქვა, გავრცელებული ყოფილა დასახელებულ რეგიონში. ამავე ტიპისაა შუქური (ვ. ბარნოვი, „ბედის ვარსკვლავი") და შუქრი.[2]

ი/უ ხმოვნით კუმშვადობის თითო-ოროლა შემთხვევა დასტურდება **ტოპონიმებში**, მაგრამ უფრო გვარებიდან წარმოქმნილ ტოპონიმებში, იმ გვარებიდან, რომლებიც თავისთავად უკუმშველი-უკეცლები არიან. ამ ტიპისაა „ლესოსლე (სოსელია), ლეჯაფარძე (ჯაფარიძე), ლეჩაჩბაიე (ჩაჩიბაია)" (ჯ. ცხადაია, 2007, 40). ზოგჯერ, კეცასთან ერთად, დასტურდება ტოპონიმებში შემავალი უკუმშველი გვარების უ-ს რედუცირების შემთხვევებიც. ი და უ ხმოვანთა ერთდროული რედუცირების მაგალითებია: „ლეშამგე (შამუგია), ლეხუბუტე (ხუბუტია), ლებლე ← ლეუბილე ← უბილაია, ლეკაჭარე (კაჭარავა), ლესოსელე (სოსელია)" (ცხადაია, 1976). როგორც ვხედავთ, ტოპონიმთა სტრუქტურაში მარკირებულ ქართველურ ანთროპონიმებში (გვარებში) **უ/ი** ხმოვანთა რედუცირებით ცხადდება ძველი ქართულისა და ქართველური ენების შრეები, კერძოდ, ორმაგი კუმშვის, ისიც **უ** და **-ი**-ს რედუცირებით (კეცის პარალელურად).

---

[1] ანთროპონიმის ეს ფორმა მოგვაწოდა ეიკა ჯოჯუამ.

[2] შუქური თანხმოვანფუძიანია („შეჰყურებდა ბესიკი შუქურს", „შუქურმა ხელი ჩამოართვა"). მასში კუმშვა მოხდა ი სუფიქსის დართვით.

IV. კუმშვად-კვეცადობა ანთროპონიმებში

კუმშვად-კვეცადი სახელები ხმოვანფუძიანი სიტყვებია. ეს ის ლექსიკური ერთეულებია, რომელთა რაოდენობაც თვით საზოგადო სახელთა რიგშიც განსაზღვრულია (პეპელა, ბეგარა, ქვეყანა, ფანჯარა...). ამიტომ თეორიულად ნაკლებად მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო ეს ფონეტიკური მოვლენა საკუთარ სახელთა, კერძოდ, ანთროპონიმთა, რიგში, რომელთა მახასიათებლად (თავისებურებად) მიჩნეულია უკუმშველ-უკვეცელობა, მაგრამ, როგორც ირკვევა, კუმშვად-კვეცად აპელატივთა რაოდენობა იზრდება ანთროპონიმთა ხარჯზეც. ამ შემთხვევაშიც გასათვალისწინებელია არა პარადიგმული სისტემა, არამედ სიტყვაწარმოების სფერო. გარკვეული ანთროპონიმები (პირველადი, სრული) კუმშვა-კვეცის თანაპროცესს, ძირითადად, ავლენენ მათგან 1) ახალი ანთროპოფორმის წარმოებისას, 2) გვარების ჩამოყალიბებისას, 3) ეპონიმურ ტოპონიმებში.

1) ზაქარა → ზაქრო//ზაქრუა; შაქარა → შაქრო//შაქრიკა; პაატა → პატიკო; კაკალა → კაკლუა; მაყვალა → მაყვლიკო[1] (ეს ფორმა მოგვაწოდა ვიკა ჯოჯუამ).

2) ზაქროშვილი//ზაქრიაძე; შაქროშვილი//შაქრიაშვილი, შუქურაშვილი//შუქრიშვილი.

3) ტოპონიმის შემადგენელი კუმშვად-კვეცადი ანთროპონიმის მაგალითად დავასახელებთ: სტეფანე – სტეფნის მინდვრები (სოფ. ტიბაანი).

ამრიგად, **ანთროპონიმი, კუმშვა-კვეცადობის მიხედვითაც, არათუ გამოიყოფა აპელატივიდან, არამედ უახლოვდება მას. ბუნებრივია, თავისებურებითაც გამოირჩევა, მაგრამ აღნიშნული კრიტერიუმით თავისებურება მას ახასიათებს სიტყვაწარმოების ერთ უბანზე – ბრუნების პარადიგმებში. კუმშვა-კვეცადობა კი მხოლოდ პარადიგმის თვისება არ არის. იგი ვრცელდება სიტ-**

---

[1] დამოუკიდებელ, პირველადს სახელად რეალურ ყოფაში გვხვდება ფორმა – შუქურა (შდრ. ნარგიზა). თუ შუქურა ფორმას მივიჩნევთ პირველსახედ, მაშინ მისგან მიღებული შუქრი (და არა შუქური → შუქრი) ჩაითვლება კუმშვად-კვეცადად.

ყვათქმნადობის ისეთ ფართო ასპარეზზე, როგორიცაა წარმოქმნა და თხზვა. უფრო მეტიც, კუმშვა-კვეცადობის გათვალისწინებით, პირის საკუთარ სახელებს შემდეგ კვალიფიკაციას მივცემდით: პირის საკუთარი სახელი (მასთან ერთად, პარადიგმულად უკუმშველ-უკვეცელი გვარები) ზოგჯერ აჭარბებს აპელატივთა თვისებებს, მხედველობაში გვაქვს ი, ო და უ ხმოვანთა კვეცა და ი/უ-ს კუმშვა, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს ანთროპონიმთა თავისებურებას.

დაბოლოს, დიალექტური ონომასტიკონის თითოეული კონკრეტული მაგალითიც შეიძლება შეიცავდეს გარკვეულ თავისებურებას, რაც კანონზომიერებად, რა თქმა უნდა, არ ჩამოყალიბდება, მაგრამ ფაქტია. მაგალითად, მიკროტოპონიმები იმერეთის რეგიონიდან: აკაკი-ის წყარო (რომანეთი), ანტი-ის ნამოსახლი – ვენახი (ბაბოთი) (საქართველოს ტოპ., III, 2001). მართალია, ეს ორი ანთროპონიმი აქ უკვეცელია, მაგრამ, ბრუნვის ნიშნის მიხედვით (რითაც განპირობებულ იქნა ბრუნების ტიპებად დაყოფა), ისინი II ტიპს, კვეცადებს უფრო მიეკედლებიან, ვიდრე ბრუნების მესამე ტიპს, რომელიც სწორედ ბრუნვის ნიშანთა თავისებურებით ხასიათდება; უფრო ზუსტად, სტრუქტურულ-გრამატიკული კრიტერიუმით, ერთსაც შეიძლება მივაკუთვნოთ და მეორესაც (ბრუნების II-III ტიპი).

თავი III

§1 მწერალი და პერსონაჟის საკუთარი სახელი (პერსონიმი)

პირის საკუთარ სახელთა გამოყენების თვალსაზრისით, წარმოდგენთ ორ სივრცეს – ესაა: 1) მხატვრული თხზულების სამყარო, ანუ პერსონაჟთა საკუთარი სახელები და 2) ყოფითი სამყარო, რეალურ ყოფაში დადასტურებული სახელები. ორივე სივრცეში მეტად საინტერესო ანთროპონიმული მასალა დასტურდება. საკუთარ სახელთა არსი განსაკუთრებით ხელშესახებად იგრძნობა მხატვრულ თხზულებებში, სადაც აშკარად ჩანს, რომ საკუთარი სახელი მნიშვნელოვანი დეტალია მხატვრული სახის სრულყოფისათვის. ამ საკითხზე თვით მწერალ-

თა კომენტარებიც არაიშვიათად გეხვდება. ემილ ზოლას სიტყვებით, ნაწარმოებში სახელი სულს უდგამს პერსონაჟს.

მკითხველის პერსონაჟთან მიახლების მნიშვნელოვანი ეტაპი სწორედ პერსონიმია, ანუ პერსონაჟის საკუთარი სახელი. ნაწარმოებშიც და რეალურ ცხოვრებაშიც სახელი და მისი ფორმები გარკვეულწილად ერთგვარი გასაღებია მისი მატარებელი პირის შესაცნობად. უფრო მეტიც, საკუთარი სახელი და მისი ფორმები თვითშემეცნების ერთ-ერთი საშუალებაცაა. თუ პრინციპით – „შეიცან თავი შენი“ – მიუდგებიან საკუთარ პიროვნებას, შეცნობაში აუცილებლად თავისთავად ჩაერთვება საკუთარი ანთროპონიმისა და მისი ფორმების შეცნობაც, რაც ხშირად იწვევს სახელთა გარდაქმნა-შეცვლას, სახელთა ფორმების შერჩევას. ამის უტყუარი ფაქტები უხვად მოიპოვება რეალობაშიც და რეალობის ამსახველ მწერლობაშიც. ასე რომ, ადამიანის ყოფიერების ერთი მნიშვნელოვანი ატრიბუტი საკუთარი სახელიცაა. ეს კარგად აქვთ გააზრებული მწერლებს, ამიტომ ერთვება შემოქმედებით პროცესში პერსონიმი და ასე მიიღება ლიტერატურული ანთროპონიმი.

მწერლისთვის შემოქმედებითი პროცესია არა მარტო პერსონაჟის ხასიათისა და მსოფლმხედველობის გამოკვეთა, არამედ მისი საკუთარი სახელით მონათელაც. **მართალია, სახელი სახელია, რაც მწერლის ნების გარეშე არსებობს, როგორც ენის გარკვეული ფენომენი, მაგრამ სახელთა შერჩევა თავად მწერლის ნებით ხდება.** მხატვრული ტიპის შექმნისას მისთვის სულერთი არ შეიძლება იყოს ყოველი სახელი. იგი არჩევს პერსონიმს და ამ შერჩევით გვიჩვენებს თავის დამოკიდებულებას არა მხოლოდ პერსონაჟის მიმართ, არამედ თვით ანთროპონიმის ფენომენთან. ანთროპონიმის შერჩევას – ავტორის მსოფლმხედველობასთან, გემოვნებასთან, შინაგან ინტუიციასა და სხვა ფაქტორებთან ერთად – განსაზღვრავს ამბავი, პერსონაჟის სოციალური წრე, მოქმედების დრო და ლოკალი. ამიტომ სახელის შერჩევას ხშირად თხზულების მხატვრულ-ესთეტიკურ სრულყოფაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. მწერალი სახელითაც განგვაწყობს მის მიერ შექმნილი ტიპის მიმართ. სახელს მწერალი არჩევს და იღებს ენის საუნჯიდან, როგორც

მზა ფორმულას, როგორც სიტყვიერ მასალას. მაგრამ შერჩევა სახელისა არავითარ შემთხვევაში არ არის მექანიკური, გაუაზრებელი პროცესი. პირიქით, მწერლები განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებიან პერსონაჟის სახელდების ფაქტს. სამართლიანად აღნიშნავს ვ. ნიკონოვი, რომ, რაც უფრო დიდია ოსტატი, მით უფრო გულდასმით არჩევს იგი გმირის სახელს, რადგან მხატვრული ნაწარმოებისთვის სახელები განურჩეველი და სულერთი არ არის (ნიკონოვი, 1974, 233).

ი. ჭავჭავაძე რომ ღრმად ჩასწვდა ანთროპონიმის არსს, იქიდანაც ჩანს, რომ ოთარაანთ ქვრივის შვილს, რომლის სახეშიც გაერთიანებულია ქართველი კაცისათვის ნიშანდობლივი დადებითი თვისებები, მისი ვაჟკაცური ბუნება, უწოდა საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახელი გიორგი, ასეულობით გამოჩენილი ქართველი კაცისა და თვით ქართველთა ერთ-ერთი პირველი წმინდანის სახელი. მწერლის მიერ ამ პერსონაჟის გიორგიდ მონათლა არ იყო შემთხვევითი. ილიამ გიორგი დაარქვა მას და არა მიხა, ვანო ან გიორგა. „ოთარაანთ ქვრივის“ გიორგი, მართალია, გლეხია, მაგრამ არა უბრალო გლეხი, ამავდროულად, გამორჩეული მშობლების შვილიც. იგი სოციალური ელფერით არ უდრის ეკ. გაბაშვილის თხზულების („მამა დაბრუნდა“) გლეხს – უღარიბესი ოჯახის ახლობელს – გიორგას, არც აკ. წერეთლის ერთ-ერთი თხზულების („თოხიტარია“) გლეხის შვილს – გიორგას. ამიტომაც შეურჩია მწერალმა გიორგი და არა ამ სახელის დამამცირებელი ფორმა.

იბადება კითხვა, თუ ი. ჭავჭავაძე პერსონაჟს შემთხვევით არ არქმევს სახელს და ოთარაანთ ქვრივის შვილს, როგორც დადებით პიროვნებას, ვაჟკაცობის შარავანდედით მოსილს, არქმევს ქართულ სინამდვილეში დამკვიდრებულ ერთ-ერთ გამორჩეულ სახელს, თან პირველადი ფორმით, „კაცია-ადამიანის?!“ მთავარ გმირს, უარყოფითი ჩვევების მატარებელს, რატომ უწოდა სახელი, რომელიც ასევე მეფეთა და დიდგვაროვანთა წილხვედრი იყო. ხოლო XVII ს-ის ქართლის მეფის – ლუარსაბ II-ის – წყალობით, ეს სახელი ზეციურ საქართველოსაც ამშვენებს (წმინდა ლუარსაბი). საქმე ისაა, რომ ლუარსაბი თავადი

იყო და სწორედ თავისი სოციალური წრისათვის შესაფერისი სახელი უნდა რქმეოდა. უფრო მეტიც, ყურადსაღებია ის გარემოება, რომ მწერალმა თავადს, რომლის პიროვნებაში უკუფენილია ისტორიულად დაფიქსირებული ამ სოციალური ფენის დეგრადაცია, უწოდა არა ნებისმიერი იმ სახელთაგანი, რომელიც საერთოდ ტრიალებდა მაღალი სოციალური ფენის წარჩინებულთა შორის (მაგ., დავითი, გიორგი, არჩილი, ლევანი, ერეკლე), არამედ ლუარსაბი. რა სხვაობაა ლუარსაბსა და აქ მითითებულ სახელებს შორის? როგორც ქართული მწერლობის შესწავლამ დაგვანახვა, სახელები – დავითი, გიორგი, არჩილი, თამარი, ლევანი, ერეკლე – დამახასიათებელია მაღალი სოციალური წრის პირთათვის. ეს სახელები ერქვა დაბალი წრის წარმომადგენლებსაც, თუმცა უმეტესად კნინობით-დამამცირებელი ფორმით; უმეტესად, რადგან გლეხთა შორისაც გამოიყოფიან უმეცარი, უბრალო, გაღატაკებული და, მეორე მხრივ, გამორჩეული, საზოგადოებაში დაფასებული პირები. რაც შეეხება ანთროპონიმ ლუარსაბს, ამ სახელით ლიტერატურულ თხზულებებში პერსონაჟად დამოწმებული გლეხის ტიპი თითქმის არ დასტურდება, ჩვეულებრივ, გვხვდებიან **მეფე-დიდებულები, ისტორიული პირები** იოსებ ტფილელის, ანტ. ფურცელაძის, გ. ერისთავის, ი. გოგებაშვილის, ვ. ბარნოვის, მ. ჯავახიშვილის... თხზულებებში. საკუთრივ პერსონაჟებია: **თავადი** ლუარსაბ თათქარიძე (ი. ჭავჭავაძე, „კაცია-ადამიანი“, „მაჭანკალი“), **თავადი** ლუარსაბ რაინდიძე (ლ. არდაზიანი, „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“), **თავადი** ლუარსაბ გულმართლიძე (ეკ. გაბაშვილი, „რომანი დიდხევაში“), **თავადი** ლუარსაბ დომხალიძე (ეკ. გაბაშვილი, „მიტოვებული“), **თავადი** ლუარსაბ ჯამბადრუკიანი (ეკ. გაბაშვილი, „გამარჯვებული ნიკო“) ან **ლუარსაბ კაიკაციშვილი** (ეკ. გაბაშვილი, „სამშობლო ხევსურისამ რა ჰქმნა“), მღვდლის შვილი **ლუარსაბ ცხონებაშვილი** (ეკ. გაბაშვილი, „ლუარსაბმა ცოლი შეირთო“). ვ. ბარნოვისა და ს. მგალობლიშვილის თხზულებებში ამ სახელით გამოყვანილია კარგი ყმაწვილი ბიჭები, რომელთაც მოფერებით ლუას ეძახიან... როგორც ვხედავთ, ქართული მწერლობის მოცემული პერიოდის არც ერთ მწერალს გლეხთა ფენის ტიპური წარმომადგენლის-

თვის ლუარსაბი არ უწოდებია. საგულისხმოა ისიც, რომ კრებულში, რომელშიც შეტანილია 163 დოკუმენტი („წყალობის წიგნები“), გაცემული იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთაეროთა მიერ 1466-1770 წლებში, ათასობით პირის სახელია დამოწმებული ყველა სოციალური ფენისა (მეფეები, თავადები, აზნაურები, გლეხები), ლუარსაბი მოხსენიებულია მხოლოდ ერთხელ, ისიც მეფის სახელად („ისტ. დოკუმენტები...“, 1958, 20). ასევე საინტერესოა, რომ აკად. ს. ჯიქიას მიერ გამოცემულ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ ერთ მოზრდილ ნაწილში, სადაც ასობით სახელ-გვარია დამოწმებული, ლუარსაბი გლეხის სახელად მხოლოდ ერთხელაა მოხსენიებული, რაც ამინდს არ ქმნის. როგორც ირკვევა, სახელი ლუარსაბი, მაღალ სოციალურ წრეში მოქმედ სხვა ტიპის სახელებთან (დავითი, ლევანი, თამარი, გიორგი) შედარებით, გამორჩეულად ნიშანდობლივი იყო. ამ ფაქტის გათვალისწინებით, ი. ჭაჭავაძემ ძირძველ თავადს სწორედ ლუარსაბი დაარქვა და ამით ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ სოციალური ფენის დაკნინებასთან ერთად დაკნინდა მისთვის დამახასიათებელი სახელიც. ი. ჭავჭავაძის ლუარსაბ თათქარიძე ქართულ მწერლობაში გამორჩეული, მხატვრულად გამოკვეთილი სახეა, რამაც განაპირობა აგრეთვე მისი საკუთარი სახელის ქცევა **განსაზღვრული ინფორმაციის მატარებელ, უარყოფითად გააზრებულ საზოგადო სახელადაც**. ეპითეტ-აპელატივადაა ქცეული **ლამაზისულიც**. ეს სახელი უდავოდ მიგნებაა. ი. ჭავჭავაძემ იგი ოსტატურად მოარგო ისეთ პერსონაჟს, როგორიც „კაცია-ადამიანის“ ეს ჭუჭყიანი და „მუთაქის მატყლსავით დასორსელილთმიანი გოგო იყო“. ასე რომ, **ზოგჯერ ანთროპონიმი ისე ჰარმონიულად ერწყმის მოქმედი პირის შინაგან და გარეგან სამყაროს, რომ გეექმნება შთაბეჭდილება, თითქოს მოცემული პერსონაჟი მწერალმა ამ სახელისთვის შექმნა.**

მხატვრული ტიპის შექმნა შესატყვისი სახელით უდავოდ მწერლური ნიჭიერების დასტურია. დაუწერელი კავშირი პერსონაჟსა და მის პერსონიმს შორის განსაკუთრებით იკვეთება მთის მწერალთა შემოქმედებაში. ვაჟამ და ყაზბეგმა კოლორიტული პერსონიმებით გაამდიდრეს ლიტერატურა. მათ გააცოც-

ხლეს და სამზეოზე გამოიტანეს მშობლიურ კუთხეში გაერცელებული სახელთა ფონდი, შთამომავლობას შემოუნახეს დავიწყებული, ხმარებიდან უკვე დიდი ხნის წინ განდევნილი საუნჯე ენისა.

ვაჟა-ფშაველა და პერსონაჟთა საკუთარი სახელები. პერსონაჟთა შექმნის ხელოვნება ვაჟას შემოქმედებაში მთელ კომპლექსს მოიცავს. ერთ-ერთი სწორედ საკუთარი სახელის პერსონაჟზე მორგებაა. პერსონაჟი მწერლის ფანტაზიის ნაყოფია, სახელი კი, ერთი შეხედვით, არამწერლური (ენაში უკვე მზამზარეულად არსებული), მაგრამ ეს – ერთი შეხედვით. მთის დიდი მწერალი გულმოდგინედ აგროვებდა უძველეს საკუთარ სახელებს და გზას ულოცავდა მათ ხალხში, მაგრამ, ამავე დროს, გვერდს არ უვლის ახალსაც. მწერალი თავს ევლება, ელოლიავება თითოეულ სიტყვას, „არც ერთ კილოს არ სწუნობს, თუა ქართულის გვარისა“, ცდილობს მთის რეგიონისთვის ნიშანდობლივი სახელით მონათლოს საყვარელი პერსონაჟები, გამოკვეთოს მათი კაიყმური, კოლორიტული სახე. და მართლაც, როდესაც ახლოს ვეცნობით ვაჟას პერსონაჟთა სახეებს, ზნე-ჩვეულებებს, ცხოვრებასა და, ამასთან, მათს საკუთარ სახელებს, გვექმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ვაჟამ ესა თუ ის გმირი, კაი ყმა (შეიძლება ყველა არა, მაგრამ მეტი ნაწილი მაინც!) სწორედ ამ სახელისთვის წარმოსახა. ესა თუ ის სახელი სწორედ მოცემულ გმირს უნდა ერქვას. ამის დასტურად შეგვიძლია მოვიშველიოთ სახელები: **მინდია** („გველისმჭამელი“), **ლუხუმი, სანათა** („ბახტრიონი“), **ზვიადაური, ჯოყოლა, აღაზა** („სტუმარ-მასპინძელი“), **ალუდა, მუცალი, უშიშა, კვირია, ბერდია** („ალუდა ქეთელაური“).

გაბედულად შეიძლება ითქვას, რომ მინდია ვერ იქნებოდა მინდია, ვაჟას მისთვის გიორგი ან ივანე რომ ეწოდებინა, თუმცა გიორგი მეტად სამახსოვრო პერსონაჟია ილიას უკვდავი „ოთარაანთ ქვრივისა“, ხოლო ივანე – ე. ნინოშვილის ერთი მშვენიერი მოთხრობისა („პალიასტომის ტბა“). თავის მხრივ, „ოთარაანთ ქვრივისა“ და „პალიასტომის ტბის“ პერსონაჟი ვერ იქნებოდა მინდია. მინდია უნდა ერქვას სწორედ „გველისმჭამელის“ პერსონაჟს. სახელი თითქოს რაღაც შინაგანი აუცილებ-

ლობითაა ნაკარნახევი და ვაჟამაც მწერლური ინტუიციით იგრძნო ეს აუცილებლობა. შეცდომა არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ვაჟას ზოგიერთი პერსონაჟის პორტრეტის წარმოდგენაში მკითხველს მეტ-ნაკლებად ანთროპონიმიც ეხმარება. ვაჟას თხზულებების პერსონაჟთა საკუთარი სახელები იმდენად თავისებური და კოლორიტულია, რომ მათში ყოველთვის ამოვიცნობთ მათს შემოქმედს. ქიჩირბე, ნადირა, უნცრუა, ჯოყოლა, ზვიადაური... რომელი ერთი ჩამოვთვალოთ. ამ პერსონიმებს სწორედ ვაჟასთან მივყავართ. ამ კოლორიტული სახელებით მონათლული პერსონაჟები პირველად სწორედ ვაჟამ შემოიყვანა ქართულ ლიტერატურაში. მთის ღვიძლ საკუთარ სახელებს მანამდე ბარი არ იცნობდა. ამ მხრივ ვაჟას ღვაწლი განუზომელია. „ბახტრიონს“ რომ წერდა ვაჟა, მხოლოდ ერთი მებრძოლის სახელი იყო ცნობილი – ზეზვა (თუში), ანალოგიურ მდგომარეობაში იყო მგოსანი „სტუმარ-მასპინძლის“ წერის დროსაც: „ზეპირგადმოცემამ მომცა მხოლოდ ერთი ადამიანის, ზვიადაურის, სახელი და ერთი ეპიზოდი... დანარჩენი პოემაში საკუთარი ფანტაზიის ნაჩმახი გახლავთ“ (ვაჟა, IX, 323). ეს კი სწორედ ის ფანტაზიაა, რომელმაც ქართულ ლიტერატურას შესძინა საკაცობრიო სახეები ვაჟასეული სახელებით. ზემოთ ჩამოთვლილის გარდა, ესენია: სანათა, კვირია, ლელა, ჯუღურა, ხოშარეული, აბა, აბიკურა, ალაჯა, არჯალა, ალხასტა, არმინდა, აფშინა, ალუდა, ახუნდი, ბალია, ბეწინა, ბესა, ბუთლია, ბუმბულა, ბუჩუკური, გეჯურა, გიგლია, გოგოთური, გოდერძი, გოჩი, შერე, დემური, ქიჩირბე/ქიჩირი, ლუხუმი, შანშე, წიწოლა, სუმელჯი, ებარი, დარლა, მინდია, ნინია, აღაზა, ლუხუმი, მუცალი, ნადირა, მგელა, ბერდია, აპარეკა, სანდუა, ხოშია, ქალთათავი, მოქრისი, ქალიკმა, ჯოყოლა, თედე, ბერიძე, ბერო, ხახაი, პაპუა...

ვაჟა-ფშაველამ შთამომაელობას შემოუნახა დავიწყებული, უკვე ხმარებიდან დიდი ხნის წინ განდევნილი საუნჯე ენისა. დღეს მთის ბევრი სახელი სრულიად საქართველოშია გავრცელებული, რაც დიდად განაპირობა ვაჟა-ფშაველას თხზულებათა პოპულარობამ. ამის დასტურად დაეიმოწმებთ ორ წყაროს (ა.სილაგაძის–ა.თოთაძის და ალ. ღლონტის ლექსიკონებს):

ალუდა – 391 ერთეული (თბილისი, ცაგერი, წყალტუბო), **მინდია**–2708 (თბილისი, ხელეაჩაური, ქობულეთი), **კვირია** –53 (ახმეტა, დუშეთი, დედოფლისწყარო), **ჯოყოლა** –63 (თბილისი, მესტია, გარდაბანი), **სანათა**–212 (თბილისი, ახმეტა, დუშეთი), ზეზვა547 (თბილისი, ახმეტა, გარდაბანი), **გოდერძი**–5235 (თბილისი, ზუგდიდი, გორი), **დემური**–4539 (თბილისი, ქუთაისი, ზუგდიდი) სილაგაძე, თოთიბაძე, 1997; / **აბარეკა** (ხევსურეთი), **ლუხუმი** (ხევს. შატილი) **წიწოლა**(ფშავი, მაღაროსკარი), **გოგოთური** (ხევსურ.). **სანდუა** (ხევს.ხახმატი), **მგელა** (ფშავი), **ბერიძე** (ხევს.ჯუთა), **აფშინა** (ხევს.ხახმატი), **ქალთათავი** (ფშავი), **მოქრისი** (ფშავი, თიანეთი), **ქალიკმა** (სვან.), **ქალთათავი** (ფშავი, თიანეთი). **ხოშია, ჯუღურა, არჯალა, ბეწინა** (ღლონტი, 1967).

როგორც ეხედავთ, ვაჟამ გააცოცხლა და გაასპეტაკა ფშაეში შემორჩენილი უძველესი საკუთარი სახელები და ჩააყენა ხალხის სამსახურში. ათეულობით წმინდა ქართულ საკუთარ სახელს, მხოლოდ მთაში რომ იყო ლოკალიზებური, თავისი ბრწყინვალე მხატერული შედევრების მეშვეობით ფართო ასპარეზი გაუხსნა და საერთო საკუთრებად აქცია. ასე უდგებოდა ვაჟა საზოგადო სახელებსაც, რომლებიც ფშაურში მოიპოვებოდა, სალიტერატურო ენაში კი – არა. „რამდენი ქართული სიტყვაა ფშავში, რომ ბარელმა ქართველმა არ იცისო“, – ამბობდა ვაჟა და ეს სიტყვები გაბედულად შეჰქონდა თავის თხზულებებში. „ყველა ეს ფორმები და სიტყვები ხალხშია დამარხული: ხალხი, ერი დედაა ენისა. იგი ჰბადებს და ჰზრდის ენას, როგორც დედა შვილს, ყოველი ეთნოგრაფი და საერო მწერალი მოვალეა ყველა საყურადღებო ხალხური სიტყვა ან ფორმა გააცნოს ლიტერატურულ ენას, თუ ის სიტყვა და ფორმა შეეფერება ენის ხასიათს, იმის ბუნებას“ (ვაჟა-ფშაველა, თხზ., IX, 1964, გვ. 62). სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა შემოქმედი ფშავში ლოკალიზებული საკუთარი სახელების თავისი ნაწარმოებებით დემონსტრირებისას. ვაჟა თითქოს „ორმაგი სტანდარტით“ აფასებდა ანთროპონიმს: პირველი – ეს მისთვის იყო ის ფენომენიც, რომლის აუცილებლობა, როგორც ნაშრომის დასაწყისში აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ სამყაროს შექმნიდანვე

გაჩნდა (რაც ჩანს როგორც ბიბლიიდან, ისე პირველყოფილ ადამიანთა ეთნოცხოვრების წესიდან); მეორე – საკუთარ სახელთა დიდი ნაწილი, განსაკუთრებით მთაში, წარმოადგენდა იმ საზოგადოებისთვის ხშირ მიმოქცევაში ჩართული საზოგადო სიტყვების ერთგვარ ფორმულირებასაც. ამ დებულების წყაროდ დავასახელებთ თავად ვაჟას ციტატას: „საზოგადოდ, საკუთარ სახელებს ხომ აღმწერლობითი მნიშვნელობა აქვთ“ (ვაჟა, თხზ. IX, 161). მწერლის ამ სწორი დაკვირვების მაგალითად მოვიყვანთ მისეულ ონიმებს, აპელატივებიდან თუ ადიექტივებიდან თიკუნებად რომ იქცნენ, დროთა განმავლობაში კი საკუთრივ ანთროპონიმებად ჩამოყალიბდნენ. ესენია: ბატარქალა (პატარა ქალი), უშიშა (უშიშარი), ცელქა (ცელქი), ზვიადა (ზვიადი), მარწყვა (მარწყვი), მერცხალა, ბერიკა, კურდღელა, მგელა, ვეფხვია, ჭრელა, ძაღლიკა...

ვაჟა-ფშაველამ, ალ. ყაზბეგთან ერთად, ქართული სალიტერატურო ენა გაამდიდრა მთაში შემონახული ძარღვიანი ქართული სიტყვებით, მათ შორის – მთაში ამოზრდილი საკუთარი სახელებით. შემთხვევით არ უთქვამს მთის არწივს: „სიტყვა გარდვაგდე ერშია“.

პერსონიმები ალექსანდრე ყაზბეგის თხზულებებში. ვაჟას გმირების მსგავსად, ალ. ყაზბეგის პერსონაჟებიც ქმნიან სრულიად განცალკევებულ სივრცეს. მწერალს თავისი შემოქმედების ობიექტად მთა, კერძოდ ხევი, გაუხდია. მწერალი გულისტკივილით აღნიშნავდა: „იქამდისინ არ ვიცნობთ ხევში მცხოვრებ ხალხს და იმათ მდგომარეობას, რომ მომეტებულს წილს მკითხველ საზოგადოებას ხევი საოსეთო ჰგონია და შიგ მცხოვრებნი კი – ოსები. სწორედ საკვირველია ესეთი უმეცრება ჩვენი მოხევეების შესახებ, რომელნიც წმინდა ქართველნი არიან და არც ერთი სხვა ენა არ იციან, გარდა ქართულისა“ (ალ. ყაზბეგი, მოხევეები და მათი ცხოვრება, IV, თბ., 1950).

მწერლის მიზანია, ფართო საზოგადოებას გააცნოს საქართველოს ეს უძველესი კუთხე თავისი ბუნებრივი სილამაზით, ადათ-წესებით, ეთნოგრაფიული მონაცემებით და, მათ შორის, საკუთარი სახელებითაც. ი. მეგრელიძე აღნიშნავს, რომ ალ. ყაზბეგის „მოთხრობების დადებითი გმირების სახელებიც

კი გადავიდა ხალხში და ხალხმა ისინი შეიყვარა. შეიყვარა და უკვდავყო თვით ავტორიც“ (მეგრელიძე, 1963, 90). ალ. ყაზბეგის მიერ ქართულ სახელთა სისტემაში, რეალურ ყოფაში დამკვიდრებულ სახელთაგან დავასახელებთ რამდენიმეს: **ელგუჯა** – 9994 ერთეული, **გოჩა** –24021, **ონისე** – 1018, **მზაღო** – 297(თბილისი, გორი, თიანეთი), **გაგი** –153 (თბილისი,ქუთაისი,ადიგენი), **იაგო** –1801, **ელისო** –8441, **მარტია**–62 (ახმეტა, თბილისი, თელავი), **ნუნუ**–15103,(თბილისი, ქუთაისი,ზუგდიდი); **ციცია**– 85(თბილისი,ყაზბეგი, გორი), **მაყვალა** –19436 (თბილისი, გორი, ქუთაისი) (სილაგაძე, თოთაძე, 1997). გარდა ამისა, ალ. ღლონტის ლექსიკონში გვხვდება ხალხში გავრცელებული: **გუგუა, ძიძია, ონოფრე, გივარგი, ფარჩო, ხაზუა, ციკო, თოლიკა**. ალ. ყაზბეგის თხზულებებში დამოწმებულ საკუთარ სახელთა მნიშვნელოვანი ნაწილი თავისი წარმომაელობით უნიკალურია და პირველად სწორედ აქაა დაფიქსირებული. მისი (ისე როგორც ვაჟას) ქმნილებების საკუთარ სახელთა სისტემას ასაზრდოებს ოთხი წყარო: ა) ადგილობრივი (აღებული მთის ყოფიდან); ბ) საერთოქართველური; გ) ნასესხები ჩრდილოეთ კავკასიის იმ ტომთა ენებიდან, რომლებიც ხევს ემეზობლებიან; დ) ნასესხები ირანული, თურქული, ბერძნული, რუსული და სხვა ენობრივი სამყაროდან. ოთხივე თანრიგის საკუთარი სახელები გამოყენებულია კოლორიტის შესაქმნელად და ტიპის „ტიპობრივ გარემოში“ წარმოსადგენად.

„ელისოში“ სულ ოთხი საკუთარი სახელია გამოყენებული: ელისო, ანზორა, კორა, ვაჟია (მეხუთე პერსონაჟად შამილი გვხვდება). ელისო და ანზორა ჩეჩნები არიან, ვაჟია – მოხევე. ალ. ყაზბეგი საკუთარი სახელის შერჩევაში დიდ სიფრთხილეს იჩენს. მოხევეს ხევში გავრცელებულ სახელს ურჩევს, ოსს – ოსურში ლოკალიზებულს. **კორა** („ელისო“)//**კორი** („მამის მკვლელი“) მეტად იშვიათი სახელია, ფიქსირებულია მხოლოდ აქ, ხალხში გავრცელებული არ ჩანს, მისი ტრადიცია ხევსაც არ შემოუნახავს. ამ სახელით ყაზბეგს მონათლული ჰყავს ჩეჩენი პერსონაჟები. **„ციკოში“** საკუთარი სახელების მოხეური ფონდიდან გვაქვს: ციკო, ხაზუა, შავთვალა, გოჩია, გოგუა, ეფხია. გვხვდება აგრეთვე პავლია, ივან (რუს.). **„მამის**

მკვლელში“ მოხსენიებულია 30-მდე სახელი: ონისე, მზია, მთხოვარა გლახა, ნუნუ, იაგო, მამუკა, გირგოლა, ნინია, გაგი, ათაყუუო, ბელჰანა, გახუტა, დარეჯანა, ელბერდ, ენდრი (მალსაგი), ეფხია, თორღა, კობა, ტუღა, ფარჩო, ყაზი-მულა, შიოლა, ჯღუნა, შამილა. 12 სახელი – იაგო, გირგოლა, ათაყუუო, ბულჰანა (ჩერქეზულად ჯეირანი), დარეჯანი, ენდრი, კობა, გელა, დარჩო, ყაზიმულა, ჯღუნა – ალ. ყაზბეგის სხვა თხზულებებში არ გვხვდება. **„ბერდიაში“** ხუთი საკუთარი სახელია: ათერია, ბერდია, ივან, მიხაილ, სვიმონი. **„ხევისბერ გოჩაში“**: ბეჩირა, გოჩა, დათა, თოლიკე, თაფსირუყო, ნაერუზ, ნუგზარ, ონისე, ძიძია, ხაზუა. „ხევისბერ გოჩას“ ხალხურ ვარიანტებში სახელი ონისე ვანისედ (ო < ეა) ჟღერს. ნაერუზი მუსულმანური სახელია. **„ელეონორაში“** 5 პერსონაჟია: ასლან-გირეი, ელეონორა, ვახტანგ, ლევან და მურთუზ-ალი. ასლანი თურქული წარმომავლობის სიტყვაა, ნიშნავს ლომს. **„ციციაში“** გვხვდება: ანზორა, აპრაკუნე, ბეჟია, ეფხია, თემურყო, შახია, მახუტა, მურთაზა, სოსიკა, სულთი, ქორღუყო, ციცია; **„მოძღვარში“** – 12: ბეჟია, გელა, გუგუა, თორღა, მამუკა, მაყვალა, ონისე, ონოფრე, როსტომ, ფარეშა, ჯათია, ჯმუხა, აქედან – გელა, მაყვალა, ონოფრე, ფარეშა, ჯათია – დასტურდება მხოლოდ ამ ნაწარმოებში, დანარჩენებს კი ვხვდებით კიდევ თითო-ოროლა ადგილას. სხვა ენობრივი სამყაროდან ადრე შეთვისებული არაერთი სახელი შემდეგ წმინდა ქართულად გაჟღერდა, უფრო მეტიც, მთის კუთვნილებად აღიქვეს. ასეთია: მაგ., ელგუჯა, რომელიც თურქული წარმოშობისაა და „ხალხის ძალას“ ნიშნავს. მისი საფუძველია შესიტყვება **el gücü** (თურქ. el „ხალხი“, güç „ძალა“). ეს სინტაგმა გვხვდება ანდაზაში – el gücü sel gücü („ხალხის ძალა ნიაღვრის ძალაა“). სახელი ელგუჯა ქარულ გვარსაც დაედო საფუძვლად (ელგუჯაური, ელგუჯაისძე, ჯიქია, 2008, 40).

საინტერესო თავგადასავალი აქვს საკუთარ სახელს – მზაღოს. მზაღო ჩერქეზი ქალის სახელია. შ. ძიძიგური გ. როგავას მიერ მოწოდებულ ცნობაზე დაყრდნობით აღნიშნავს: „ირკვევა, რომ ეს სიტყვა შედგენილია ამგვარად: მაზა (ნიშნავს მთვარეს) და ღუე (ნიშნავს ნათელს, ბრწყინვალებას). აქედან მივიღეთ მზაღუე (შ. ძიძიგური, ალ. ყაზბეგის ლექსიკონი, ალ.

ყაზბეგი, თხზ. I, თბ., 1958, გვ. 570). სახელის ეს ფორმა (მზაღვე) გეხედება „ელგუჯას“ პირვანდელ გამოცემებში. იმ ფაქტს, რომ ამჟამად იხმარება მზაღო და არა მზაღვე, ს. ყუბანეიშვილი რედაქციის შეცდომად თვლის. თუმცა მკვლევარი არ გამორიცხავს, რომ 1891 წ-ის გამომცემლობას „მზაღვეს“ „მზაღოდ“ შეცვლის სანქცია, საფიქრებელია, ავტორისაგან ჰქონდა მიღებული“ (ს. ყუბანეიშვილი, ალ. ყაზბეგი, II, თბ., 1958, 538).

პერსონიმი და მისი ფონემატური სტრუქტურა

ონომასტები არაიშვიათად ყურადღებას ამახვილებენ საკუთარ სახელთა ფონეტიკურ ექსპრესიულობაზე. პერსონაჟის, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ტიპის, წინასწარჭვრეტას ზოგჯერ მისი ონიმის ფონემატური შემადგენლობა უდევს საუძვლად. სწორედ ამ კუთხით იხილავენ ვ. მაგაზანიკი და დ. როზენზონი პერსონაჟთა გვარებს. მაგალითად, Халтюпкин-ს სალანძღავ სიტყვად იყენებს ლ. ტოლსტოის ერთ-ერთი გმირი. ამას კი მკვლევრები იმით ხსნიან, რომ რუსულში არის მთელი რიგი სიტყვებისა „Х...Л“ ფონემების შემცველობით, რომლებიც უარყოფითი ექსპრესიულობით გამოირჩევა (халда, халупа, халява, хилый, хлам, холоп...). გარდა ამისა, ეს გვარი შეიცავს тю კომპლექსს, რომელიც, ავტორთა აზრით, ასევე უარყოფითი ექსპრესიულობით გამორჩეულ სიტყვებში გეხედება (тютютать, тюпать). ნეგატიური ექსპრესიულობით გამორჩეულ გვართა შორის ისინი ასახელებენ Свидригайлов-ს, რომელიც, მათი აზრით, აღიქმება ისეთივე ასოციაციით, როგორც „дрыгать“, „рыгать“, „ругать“ (მაგაზანიკი, როზენზონი, 1971, 60-70).

თუ ამ ჭრილში განვიხილავთ სახელ **წიწოლას** („წიწოლას დანაშაული აწეულია ცამდინა“, ამიტომ „არც ვინ სამარეს გაუთხრის“, ვაჟა-ფშაველა), აშკარად შეინიშნება წ ბგერის დომინირება; წ ბგერა კი ფიგურირებს უარყოფითი ექსპრესიულობით დატვირთული მოქმედების აღმნიშნელ ისეთ სახელებში, როგორიცაა: წივილი, წიწინი, წიოკი, წაქცევა, წეწვა, წყვეტა, წრიალი, წანწალი, წამება, რაც ასოციაციით წიწოლა სახელის უარყოფით აღქმას იწვევს (აქ ჩამოთვლილი ზოგიერთი სიტყვა

მოერგება კიდეც წიწოლას ქმედებას და მისით გამოწეეულ განცდებს), გარდა ამისა, ასოციაციით, წიწილთანაც შეიძლება გაეავლოთ პარალელი. საქმე ისაა, რომ წიწოლა წარმოდგენილია როგორც შეილი, ბუნებაში შვილის ერთ-ერთი ნაირობაა წიწილი (შდრ.: კრავი, ხბო, ბარტყი, ნუკრი). ეფიქრობთ, ამ სიტყვის ფონეტიკურად უარყოფითმა ექსპრესიულობამ განსაზღერა გამოთქმა – გეელის წიწილი (და არა გეელის ნუკრი ან ბარტყი). ასეთი უარყოფითი ემოციით გაჯერებული სახელი კი ვაჟამ თაეის პერსონაჟთა გალერეაში ერთ ყეელაზე სამარცხეინო პირს მოარგო, როგორც თაეად უწოდებს, „სირბილიანს“ (ე. ი. ბრძოლის ეელიდან გაქცეულს) და „სირცხეილიანს“.

მსგაეს ფონეტიკურ ასოციაციებს ეხედაეთ ისეთ ლიტერატურულ ანთროპონიმებში, როგორიცაა სანათა, კეაჭი, ჯაყო... ქალი, რომელიც პოემაში პირეელი გამოჩენისთანაეე **სანთლის დანთებით** იპყრობს ყურადღებას, ეაჟამ ცნობიერად თუ ქეეცნობიერად **სანათას** სახელით წარმოგეიდგინა (თუნდაც შეენარჩუნებინა პროტოტიპის სახელი). **ჯაყოს** სახელი ფონეტიკურად იწეევს ისეთი სიტყეების ასოციაციას, როგორიცაა ჯოჯოხეთი, ჯოხი, **ჯაყეა**. დიალექტური **მოჯაყეა** (თაეის მოჭრა ცუდი საქციელით) ფიგურალურად შეიძლება ასე გამოეთქეათ: ჯაყოს მიერ მოქნეულმა ჯოხმა თუ ჯაყეამ ჯოჯოხეთში ჩააგდო დიდებული თაეადის ოჯახი. სახელი ჯაყო **ჯ ყ** ფონემებით უარყოფით ასოციაციას იწეევს. თითქოს გრძნობდა მ. ჯაეახიშეილი, კეაჭი აპელატიეად რომ იქცეოდა, გრძნობდა, რომ ამ სიტყეით მან გარკეეულ მოელენას მოუნახა სახელი და თითქოს გეარშიც კი ჩააქსოეა პერსონაჟის ხასიათზე მორგებული ონიმი კეაჭი (შდრ.: მოკეარახჭინება).

როგორც ეხედაეთ, მწერლის მიერ პერსონაჟის მონათელა უდაეოდ შემოქმედებითი აქტია. ასე რომ არ იყოს, „ხეეისბერ გოჩაში“ ძიძიას მართა (მათიკო) უნდა რქმეოდა, ონისეს – ეანისე, გოჩას – გუგუა (გუგუნა), როგორც ამ მოთხრობის ხალხურ ვარიანტებშია დადასტურებული. ზოგჯერ მწერალი მხატერულ პერსონაჟს საგანგებოდ, და არა შემთხეეეით, უტოეებს პროტოტიპის სახელს, მაგ., სანათა (ეაჟა), ელგუჯა, ციკო (ალ. ყაზბეგი).

პერსონაჟის, როგორც მხატვრული ტიპის, გამორჩეულობის მიზნით, მწერალი ზოგჯერ მიმართავს პერსონიმის (პერსონაჟის საკუთარი სახელის) **ერთადერთობის პრინციპს**. საგანგებოდ გამოკვეთილი, ძლიერი მხატვრული ტიპის შექმნას შემოქმედი იმითაც ახერხებს, რომ ინტუიციითა თუ სხვა გარემოებებით ერთ გარკვეულ პერსონაჟზე მორგებულ სახელს სხვა პერსონაჟს აღარ არქმევს. ამის დასტურია ზემოთ დასახელებული ლუარსაბი. ეს სახელი ი. ჭავჭავაძის თხზულებებში სხვაგან აღარ გვხვდება. ერთეული კოლორიტული საკუთარი სახელების ხმარებით განსაკუთრებით გამოირჩევიან ალ. ყაზბეგი და ვაჟა-ფშაველა. ალ. ყაზბეგი საკუთარი სახელის საშუალებითაც გამოხატავს თავის განსხვავებულ დამოკიდებულებას მის მიერ შექმნილი პერსონაჟის მიმართ. ამ დებულების დასტურია ის ფაქტი, რომ მწერლის თხზულებებში ელგუჯა, მზაღო, ძიძია, მაყვალა... მხოლოდ თითოჯერ გვხვდება. გვექმნება შთაბეჭდილება, რომ მწერალს თითქოს არ სურს, თავისი საყვარელი გმირის, ეთქვათ, ელგუჯას, სახელი ერქვას სხვა თხზულების პერსონაჟსაც. ელგუჯა **ერთია თავისი ქცევით** და თეით საკუთარი სახელითაც. ყაზბეგის თხზულებებში ისევე არ მეორდება ეს სახელი, როგორც არ მეორდება თავად ეს პერსონაჟი. ადრე შეთვისებული სახელი გაითავისა ქართულმა, ალ. ყაზბეგის ამავე სახელწოდების თხზულებამ კი მას ასპარეზი გაუხსნა საერთოქართველური ხმარებისაკენ. ყაზბეგის პერსონაჟების დამსახურებაა არაერთი სახელის ქართულ სინამდვილეში დამკვიდრება. ასეთებია: ძიძია, მაყვალა, მზაღო, ელისო. ზოგიერთი უარყოფითი გმირის სახელიც ერთხელაა ნახმარი მწერლის თხზულებებში (გირგოლა, გაგი, ელეონორა). ამ შემთხვევაში მწერალი პერსონაჟს უცქერის არა როგორც დადებით ან უარყოფით პირს, არამედ როგორც მხატვრულად განზოგადებულ სახეს. ალ. ყაზბეგი სახელდებისას რომ სიტუაციის შესაფერისად მოქმედებს, ჩანს მისი პიესებიდან („ქართველი ქალი სტუდენტებში“, „დავითის სახლობა“, „გრძნობა და მოვალეობა“). ამ პიესების გმირები, რომლებიც მთის ტრადიციის ფარ-

გლებ'ში არ მოქმედებდნენ, არიან: ლიზა, ეფემია, მიკირტუმ, ელენე, აკოფა... და არა ელგუჯა, მზაღო, ჯავჯალა...

თვითმყოფ გმირთა უმრავლესობა მწერლის ფანტაზიის ნაყოფია, მათი საკუთარი სახელებიც მწერლის მიერვეა შერჩეული მთის უძველესი ფონდიდან. ალ. ყაზბეგი მთის სახელებს რუდუნებით არჩევს, პროტოტიპის სახელებს ცვლის ან არ ცვლის. ელგუჯა რეალურად არსებული მეცხვარე ყოფილა. ამ გმირისთვის მწერალს არ შეუცვლია სახელი, მაგრამ ვასილ ჩოფიკაშვილი გუგუად („ციკო") მოუნათლავს. თხზულების ვარიანტში ძიძიას ნაცვლად მართაა, ონისეს ნაცვლად – ვანისე, გოჩას ნაცვლად – გუგუა („ხევისბერი გოჩა"). ე. ი. მწერლისთვის სულერთი არ არის, რა ერქმევა მისი ნაწარმოების გმირს. პერსონაჟის ხატის შექმნისას მწერალი, აღწერს რა მის სულიერსა და შინაგან სამყაროს, ანგარიშს უწევს ამ გარეგანი და შინაგანი სამყაროს ჰარმონირებას შესაფერისი ანთროპონიმებით.

„ელგუჯაში" 20 საკუთარი სახელია: ელგუჯა, გაგი, მახამეთა, სვიმონი, მზაღო, ონისე, ჯავჯალა, მარტია, გივარგი, ბერდია, ნინა, ალექსანდრე, მათია, აბდია, იულონ, ფარნავაზ, ღინჯა, ქეთევანი, დათუკა, თორღა. აქედან მახამეთა, ელგუჯა, მზაღო, ჯავჯალა, მარტია, აბდია, ღინჯა, დათუკა მხოლოდ ამ ნაწარმოებში გვხვდება, რითაც მწერალი მოცემულ მხატვრულ ტიპებს უფრო ძალუმად უნარჩუნებს თვითმყოფადობას. გაგის, ნინიასა და მათიას მწერლის საკუთარ სახელთა ლექსიკონში კიდევ ვხედებით თითო-თითო ადგილას, ხოლო ონისე, თორღა და ბერდია სამ-სამჯერაა ნახმარი. მაგრამ ეს თავად თვითმყოფი სახელები თუა გამეორებული, გამეორებულია მხოლოდ ისეთ ნაწარმოებებში, რომლებშიც ასახულიაა მთა თავისი ტრადიციებითა და ყოფა-ცხოვრებით.

განყენებულად წარმოდგენილი, თითო-ოროლა შემთხვევაში დადასტურებული პერსონიმი (პერსონაჟის საკუთარი სახელი) უდავოდ მოგვაგონებს მის შემოქმედს, ავტორს, აგრეთვე თავისთავადობით გამორჩეულ პერსონაჟს (რა თქმა უნდა, განმსაზღვრელია მწერალთა შემოქმედების ცოდნა), ანუ ამა თუ იმ მწერალთან მივყავართ არა რომელიმე რიგით, ლიტერატურულ თხზულებაში ათობით გავრცელებულ სახელს, არამედ

იშვიათ სახელებს, ამასთან, ისეთ იშვიათ სახელებს, რომლითაც მონათლული პერსონაჟი გამოირჩევა გამოკვეთილი ქცევითა და ხასიათით. ზოგ შემთხვევაში რიგითი სახელიც მიგვიყვანს უშუალო წყაროსთან, მწერალ-შემოქმედთან, თუ ეს სახელი შევსებულია დამატებითი სახელ-ეპითეტით (მაგ., სოსია მწყისქვილე), მაშინ როცა არავითარი ეპითეტი არ სჭირდება კესო, მზაღო, ღვთისავარ, ჯოყოლა, მუცალი, კვაჭი, წიწოლა ტიპის სახელებს.

ერთეულ საკუთარ სახელებს ვხვდებით სხვადასხვა მწერალთა თხზულებებშიც. ბარდღუნია, ბაჩუა, გვადი, ჯოტო, გერა, ჭირიმია, ცაკვა, პახვალა, ცაცუნია, უჯუშ, დაფინო, რეჯიბი, ჯეგე, ჯ'უდა, ხუტა, ძოკო – ეს პერსონიმები *ლ. ქიაჩელმა* წარმოგვიდგინა; დესპინე, ქალიჯან, ჯაჯიკა, ათამირზა, გაბილა, საყვარელა საკუთარ სახელებს მივყავართ *ეგნატე ნინოშვილთან; მიხეილ ჯავახიშვილის* საკუთარ სახელთა ლექსიკონში ერთ პერსონაჟზე მორგებულ სახელებად გვხვდება: კვაჭი, ჯაყო, ქეშელა, ანაპოდისტე, შიშნია, ნასყიდა, ქორია, ნაზიმე, ჩუნთია, პუპი, ძაბული, ძიმია, ხოშქა, ხუხუ, ხირჩლა, ჯურხა, მარადი (მარადო), ღვთისავარ (ღვთისავარა ფორმას ანტ. ფურცელაძე იმოწმებს); ხოლო *დავით კლდიაშვილის* საკუთარ სახელთა სალაროდანაა ამონარიდი: სალიხა, სანდომისა, ზენათი, ბეკინა, კაროჟნა, ბაკულა. ერთეულ საკუთარ სახელთა რიგში დგას – ტრიფონა, ბათათა, ფოფო, ჯორ-ზაქარა, ხოხელა *(ს. მგალობლიშვილი);* გუქიტი, ფიწიღა, ჯირუკა, ჰავაქა, კვაჯი *(ანტ. ფურცელაძე);* პეპია, ლამაზისეული, ლელთ ღუნია *(ილია ჭავჭავაძე);* ხეთაგა, ქიჩქინე, ხინჩლა *(ზ. ანტონოვი);* თუთაშხია, მაძინია, ქაქუჩა, კოჩობა, ყობო *(უიარალო);* გიული, ბაბდო *(შ. არაგვისპირელი);* ნაზიბროლა, შიმშელა, ცაგუნი, ძუძუდა, საყვარლისეული (აკ. წერეთელი); ქასიმ (გ. ერისთავი); უც, სუმბულა, ხათა, არჭილა, ჯაგუ, ჯამბულა, ცაბანაი, ცეატა, წენგუა, ხოში, ციაგა, ძაგამ, ძიბილა *(ვ. ბარნოვი)* და ა.შ.

ზოგჯერ ამა თუ იმ მწერლის იშვიათ სახელს უნებლიე ან გამიზნული გამგრძელებელი ჰყავს რომელიმე სხვა მწერლის სახით. მაგალითად, ასმათი გვხვდება *გ. წერეთლის („მამიდა ასმათი"), ე. ნინოშვილის („ცოლი და ქმარი")* თხზულე-

ბებში, **მაგრამ ეს სახელი ჯერ ეპითეტად, მერე აბსტრაქტულ გაგებადაც (ასმათობა) იქცა მისი პირველწყაროს „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ.** იგივე ითქმის ფატმანზე. **ფატმანი** პერსონიმად გვხვდება *ლ. ქიაჩელისა („უჩინარა“)* და *გ. ერისთავის („თილისმის ხანი“)* თხზულებებშიც, ხოლო მის ვარიანტებს *ე. ნინოშვილის („ცოლი და ქმარი“), მ. ჯავახიშვილის („მართალი აბდულა“), ზ. ანტონოვის („ქოროლლი“), ვ. ბარნოვის („გიორგი საააკაძე“)* ნაწარმოებებშიც ვპოულობთ. მაგრამ განყენებულად ფატმანის ხსენება მხოლოდ რუსთაველის ასოციაციას იწვევს. **ალუდა** დასტურდება როგორც *ვაჟას („ალუდა ქეთელაური“), ისე ბარნოვის თხზულებებში („გიორგი საააკაძე“, „რაინდი სული“);* **ბათაკა, აფშინა** – *ვაჟასა („ხევისბერის განცხადება“, „გოგოთურ და აფშინა“)* და *ჯავახიშვილის („თეთრი საყელო“)* თხზულებებში, მაგრამ ეს სახელები ვაჟასეულია. **მარტია, მზაღო** ცნობილია *ალ. ყაზბეგისა („ელგუჯა“)* და *მ. ჯავახიშვილის („გიული შადური“, „თეთრი საყელო“)* თხზულებებიდან, მაგრამ ეს სახელები პირველად ალ. ყაზბეგმა გააცოცხლა. **ბახვა** დასტურდება *გ. წერეთლის, ა. ფურცელაძის, უიარაღოს* ნაწერებში, მაგრამ გამოკვეთილი მხატერული ტიპი ამ საკუთარი სახელით გ. წერეთელმა შექმნა **ბახვა ფულავას** სახით. ამიტომ მას, პირველ რიგში, გ. წერეთელთან მივუყავართ. ქართულ ლიტერატურაში ეს ანთროპონიმი თითქოს გ. წერეთლის კუთვნილებაა. ასეთივეა **მაცი,** რომელიც *ანტ. ფურცელაძემ* უწოდა თავის ერთ-ერთ პერსონაჟს. მართალია, **მაცი** *ლ. ქიაჩელის* თხზულებაშიც („მთისკაცი“) გაიკიაფებს, მაგრამ მისი პირველი წყარო *ანტ. ფურცელაძის „მაცი ხვიტიაა“.* **ცეცოს** ხსენებისას მწერალთან ერთად *(ს. მგალობლიშვილი)* მკითხველის ცნობიერებაში ამ პერსონაჟის ხელობაც წარმოისახება – ღამის მეხრე ცეცო, თუმცა ცეცო სახელი *ირ. ევდოშვილის* ერთ თხზულებაშიცაა მოხსენიებული. სხვა მდგომარეობა გვაქვს ხვიჩასთან დაკავშირებით. მართალია, **ხვიჩა** სახელით ჯერ *ანტონ ფურცელაძის* პერსონაჟია ცნობილი – ხვიჩა ჩილაჩავა („მაცი ხვიტია“), მაგრამ ამ სახელის ხსენებისას არ შეიძლება მკითხველს არ წარმოესახოს სამშობლოდან გადახვეწილი მამელუკი – ხვიჩა, რომლის წარუშლელი სახის შექმნა *უიარაღოს* ეკუთვნის.

კესო გვხვდება *ილიასა („ოთარაანთ ქვრივი“)* და *ვ. ბარნოვის („სახიფათო სიყვარული“)* თხზულებებში, მაგრამ კესო სახელის განყენებულად ხსენებისას „ოთარაანთ ქვრივის“ თავადის ქალი წარმოგვიდგება. როგორ შეიძლება ამის ახსნა?

1) ილიას თხზულებაში კესო მთავარი გმირია, ბარნოვის „სახიფათო სიყვარულში“ – ეპიზოდური. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეპიზოდური სახე ხშირად ბევრად აღემატება იმავე ან სხვა მწერალთა თხზულების ძირითად სახეს. ამის ნიმუშია, მაგალითად, მუნჯი ბაჩუა და სოსია მეწისქვილე.

2) *ილიას „ოთარაანთ ქვრივი“* მხატვრული თხზულებაა, *ბარნოვის „სახიფათო სიყვარული“* – ისტორიული ჟანრისაა. ამდენად, ილიას კესო საკუთრივ პერსონაჟია, ვ. ბარნოვის თხზულებაში დამოწმებული კესოც მწერლის ფანტაზიის ნაყოფია, მაგრამ იგი, როგორც მეფე ხოსრო-მირზასა და მისი მეუღლის, მარიამ დედოფლის, მოახლე, მაინც წარმოდგენილია ისტორიულ პირებთან კავშირში, რაც აუფერულებს მის მხატვრულობას, მაშინ როცა ილიასეული კესოს სახის წინ წამოწევასა და გამოკვეთას გიორგის ძლიერი მხატვრული სახეც (ვთქვათ, მისი ტრაგიკულობა...) განაპირობებს.

3) ილიას თხზულებაში იხლართება სოციალური წინააღმდეგობები, რაც, თავის მხრივ, აისახა მის გმირებში და გაბოკვეთა მათი სახეები, მათ შორის კესოს პიროვნებაც. ვ. ბარნოვის თხზულებაში კი არ ჩანს არავითარი სოციალური სიმწვავე, რომელიც შეიძლება ასახულიყო რომელიმე დაბალი ფენის წარმომადგენლის, ვთქვათ, მოახლე ქალის, სახეში, რაც, თავის მხრივ, უბიძგებდა შედარებით გამოკვეთილი ტიპის შექმნას. მეორე მხრივ, ვ. ბარნოვის მოახლე ქალი, კესო, მხატვრული თვალსაზრისით, არ უდრის არც გიორგი ერისთავის გამდელ ქალებს – ლომისეულს, მოწყალისეულს („დავა“), მონავარდისას („ძუნწი“) და, მით უმეტეს, ი. ჭავჭავაძის მოახლე ქალს – ლამაზისეულს („კაცია-ადამიანი?!“). ეს ანთროპონიმებიდანაც იკვეთება. გ. ერისთავისა და ი. ჭავჭავაძის პერსონაჟები სწორედ მოახლე პერსონალთა ფენისთვის დამახასიათებელი სახელებით არიან მონათლული. მათს მოახლეობას მათივე საკუთარი სახელები ადასტუ-

რებენ. ილიასეულმა ანთროპონიმმა კესომ გზა გადაულობა ამ ონიმს მოახლის სახელად აღქმისაკენ.

ყოველივე ზემოთ თქმული ისე არ უნდა გავიგოთ, რომ თითქოს ორი ან სამი მწერლის მიერ თითოჯერ გამოყენებული ერთი და იმავე სახელიდან ერთ-ერთი (ვთქვათ, რიგით პირველი ან მეორე ავტორის) აუცილებლად ქმნის გამოკვეთილ, მისანიშნებელ სახეს. მაგ., სახელი **უთრუთი** გეხვდება *ილიასა („გლეხთა განთავისუფლების პირველი დროების სცენები“)* და *ვ. ბარნოვის („კეირაძლის სიზმარი“)* ნაწერებში, მაგრამ ვერც ერთგან ვერ გეაძლევს გარკვეულ ინფორმაციას, როგორსაც **მაცი** (ხვიტია), **ბახვა** (ფულავა), **ფატმანი, ჯაყო**... იგივე ითქმის პერსონიმებზე: **ჯოლორია** *(ანტ. ფურცელაძე, „მაცი ხვიტია“; ს. მგალობლიშვილი, „წითელი სარჩული“)*, **ფასია** განყენებულად ხსენებისას *(გ. წერეთელი, „თოფის სროლა“; აკაკი, „რეაქცია“)*, **ჯვებე** *(მ. ჯავახიშვილი, „კვაჭი კვაჭანტირაძე“; ლ. ქიაჩელი, „ცოდვის შვილები“)*. არც ის უნდა ვიფიქროთ, რომ სახელის ერთადერთობა აუცილებლად შექმნის ამინდს. **ფანა** (მ. ჯავახიშვილი „არსენა მარაბდელი“), **ფანტურა** (გ. წერეთელი, „ჩვენი ცხოვრების ყვავილი“), **ფართხო** (შ. არაგვისპირელი, „პატარა ლეონი“), **ქაქლო** (გ. წერეთელი, „განწირულნი“), **ქორია** (მ. ჯავახიშვილი, „თეთრი საყელო“), **ქაქალა** (ეკ. გაბაშვილი, „სოფლის მევახშენი“), **ყასუმა** (ვ. ბარნოვი, „თეთრი გვირგვინი“), **ხორენა** (ჭ. ლომთათიძე, „გზაში“)... ამ იშვიათად ნახმარი სახელებით მონათლული პერსონაჟები არ ქმნიან ტიპებს.

ამრიგად, მხოლოდ სახელის ერთადერთობა არ განაპირობებს ტიპის შექმნას. **ხასიათი და ანთროპონიმი** – ამ ორი ფენომენის შემოქმედებითი შერწყმით ეჯაჭვება საკუთარი სახელი პერსონაჟს. ამგვარი სახელი კი სიმბოლოდ გვევლინება. ვაჟკაცობისა და რაინდობის შესანიშნავ პერსონიმ-სიმბოლოს მაგალითს წარმოადგენს „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი – **ტარიელი**. მისი სახელიც ფიზიკური სიძლიერისა და რაინდობის სიმბოლოდ იქცა. ტარიელ მკლავაძეც ღონიერი, ვაჟკაცი პიროვნებაა, მაგრამ, ამასთან, მას რაინდული თვისებებიც რომ ჰქონოდა, მისი სახელი ვერ იქცეოდა ვაჟკაცობისა და რაინდობის სიმბოლოდ, რადგან ასეთი ტიპი ამ სახელით უკვე შექმნილი იყო

ქართულ ლიტერატურაში. თუმცა მისი გვარი იქცა სიმბოლოდ. ეგ. ნინოშვილის ტარიელი გზას მკლაეით იკაფავს, ეს კი ძალმომრეობაა. ამ პერსონაჟის სახელი, როგორც სიმბოლო, ჩაქსოვილია მის გვარში (**მკლავაძე**), გოგია **უიშვილის**, სპირიდონ **მცირიშვილის** ანალოგიურად. შერქმეული გვარები ეპითეტის ფუნქციით იტვირთებიან. როგორც ა. ჭილაია აღნიშნავს, „სწორედ გვარის ეპითეტური ფუნქციით გამოხატა გ. წერეთელმა იერემიას ჯერ სათანადო თვალტანადობა (წარბა), შემდეგ კი მისი ყაჩაღური ბუნება (ფირალიძე)" (ჭილაია, 1964, 389). საკუთარი სახელის სიმბოლოდ ქცევის, ანუ განზოგადება-აპელატივიზაციის სხვა მაგალითებია: **კვაჭი** – მოხერხებული კაცის სიმბოლო, რადგან მ. ჯავახიშვილის თხზულების „კვაჭი კვაჭანტირაძის" პერსონაჟი მოხერხებულობის განსახიერებაა. უხეშ და გაუთლელ კაცს **ჯაყოთი** იხსენიებენ, რადგან მ. ჯავახიშვილის თხზულების („ჯაყოს ხიზნები") პერსონაჟი – უხეში ძალის განმასახიერებელი ჯაყო – იქცა ტიპად, მისი სახელი კი – ეპითეტად. უსაქმურობისა და უაზრო ცხოვრებისაგან უსაშველოდ გაბერილი მამაკაცის ზოგად სახელად **ლუარსაბ თათქარიძე** იქცა. ამ ფაქტის შესატყვისად, „ი. ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანმა" ეს სახელი ქართული ანთროპონიმიიდან ფაქტობრივად გააქრო" (თოფჩიშვილი, 2010, 14). ეს დებულება, ვფიქრობთ, უფრო მხატვრული გამონათქვამია, რადგან, როგორც ჩანს, არც ისე ადვილია სახელის, როგორც ლექსიკური ერთეულის, გაქრობა, რასაც ადასტურებს ა. სილაგაძისა და ა. თოთაძის კვლევა. გამოკვეთილად უარყოფითი პერსონაჟის ან რეალური პირის სახელი თუ გაუჩინარდება პრაქტიკაში, ალბათ გარკვეული ხნით. ვფიქრობთ, სახელს ისტორიის კუთვნილებად უფრო მოდურობა-არამოდურობა აქცევს, ისიც გარკვეული (თუნდაც ხანგრძლივი) დროით. (იხ. აქვე. თავი 1, §3, „ანტიგმირთა სახელები"). აპელატივიზებული ეპითეტის გაგება აქვთ თხზულებებში მხატვრული ლიტერატურიდან თუ ხალხური სიტყვიერების ნიმუშებიდან აღებულ სხვა საკუთარ სახელებსაც (ამირანი, ასმათი, ეთერი, არსენა...): „ჩემს ქალს ფარნაოზი ამირანი ჰგონიაო" (ვ. ბარნოვი, „სახიფათო სიყვარული"), „თქვენი მოტ-

რფიალე ისეთი ამირანია, რომ...“ (ვ. ბარნოვი, „ქალი კახელი“), „მე შენი ფატმან-ხათუნ გაეხდები“ (ს. მგალობლიშვილი, „წარსულიდან“), „ბევრი უტრიალე... იმ ჩემს ტარიელსა, მაგრამ მაინც ვერ წამართვი“ (გ. წერეთელი, „პირველი ნაბიჯი“). ხალხური ეპოსიდან აღებული სახელი – **ეთერი** – სილამაზისა და სიყვარულის ეპითეტად იქცა: „რა მზეთუნახავია ის ქალი, რა ეთერია ისეთი, არც ეთერია, ჩემო ხელმწიფევ, და არც მზეთუნახავი“ (ვ. ბარნოვი, „სახიფათო სიყვარული“).

აპელატივიზებული ანთროპონიმი აზრის სხარტად და ლაკონურად გამოთქმის საშუალებაა. იგი ხელს უწყობს სიტყვათა ეკონომიურობას. ერთი სახელი-ეპითეტი ნათელს ხდის და ეტოლება რამდენიმე წინადადებით წარმოთქმულ აზრს.

აპელატივიზებული პერსონიმი და სიტყვათწარმოება.

აპელატივიზებული სახელი ტროპული მეტყველების ნიმუშად გვეელინება:

ა) საზოგადო სახელთა რანგში გადასული საკუთარი სახელი, ანუ ანთროპონიმი ხშირად აბსტრაქტულ სიტყვად იქცევა და, ქართული დერივაციის წესის შესაბამისად, ირთავს **-ობა** ელემენტს: **ასმათობა**: „მოახლე გამდელები ასმათობას სჩემობდნენ“ (აკაკი, „ბაში-აჩუკი“), „პატარა გოგოსაც ასმათობა აკისრებინეს“ (აკაკი, „პატარა ტარიელი“); **არსენობა**: „სანამ არსენა არსენობაზე ხელს არ აიღებს“ (მ. ჯავახიშვილი, „არსენა მარაბდელი“), „ორთაე არსენობა გამოგეჩინოსთ“ (იქვე); **შერმადინობა**: „როგორი ავთანდილიც შენ იყავ, მეც იმისთანა შერმადინობა გაგიწიე“ (ი. ჭავჭავაძე, „გლახის ნაამბობი“); **იონაობა**: „ყოველი მომაკვდავი იონაობას ვერ გასწევს“ (უიარაღო, „უდაბნოში“); **იდითობა**: „მათიკოს უნდა იუდითობა გაეწია“ (მ. ჯავახიშვილი, „ტყის კაცი“); **ნესტან-ტარიელობა**: „გაიმართა პატარა მეგობრებს შუა ნამდვილი ნესტან-ტარიელობა“ (აკაკი, „პატარა ტარიელი“).

ბ) აპელატივიზებული ანთროპონიმი ზოგჯერ ირთავს **-ვით** ან **-ებრ** თანდებულს, რაც -ურ სუფიქსის გაელენით -ებურ-ად გადაკეთდება და გვეელინება მხატვრულ შედარებად:

„ტარიელისებური ქმარი იშოვა“ (ვ. ბარნოვი, „ქუდბედიანი“), ტარიელივით იყო შმაგქმნილი, ავთანდილივით ზრდილი და ჰაზრიანი, ფრიდონივით ერთგული, ასმათივით თავდადებული“ (ვ. ბარნოვი, „უძღები“), „ამირანივით ყამარის მოსატაცებლად მიდიხარ“ (მ. ჯავახიშვილი, „არსენა მარაბდელი“).

გ) ეპითეტად გაგებული ან აბსტრაქტულ სახელად ქცეული ანთროპონიმები ირთავენ:

1. დანიშნულების მაწარმოებელ პრეფიქს-სუფიქსებს და ზედსართავ სახელად გვევლინებიან: „ამბობენ, რომ, იქ, უნივერსიტეტში, დიტოს შეუდგენია სატარიელ-საავთანდილო-საფრიდონო წრეო“ (აკაკი, „პატარა ტარიელი“).

2. ირთავენ ზმნის ფორმისათვის დამახასიათებელ აფიქსს და შემასმენლის ფუნქციას ასრულებენ წინადადებაში: „გიმნაზიაში დიტომ ერთი ამხანაგი გაიავთანდილა“. **გაიავთანდილა** შემასმენელია, სადაც გამოიყოფა მორფემები: პრეფიქსი -გა, სათავისო ქცევის ნიშანი -ი და III სუბიექტური პირის ნიშანი -ა (აკაკი, „პატარა ტარიელი“). ამავე თხზულებაში ვხვდებით: **აფატმანებთ**; აბსტრაქტულ გაგებად ქცეული სახელისგან კი მივიღეთ დონიანი ვნებითი: „მას არსენა ერქვა და ეხლაც არსენობდა“, „გიგოლა ისევ გიგოლობდა“ (მ. ჯავახიშვილი, „არსენა მარაბდელი“). „წაკითხვის შემდეგ ლაცაბიძე როსტომობს, როსტომი ტარიელობს, ზურა ამირანობს“ (მ. ჯავახიშვილი, იქვე). აქ კი აბსტრაქტული სახელები ზმნის ფორმებად აქცია თემის ნიშნისა და III სუბიექტური პირის -ს აფიქსის დართვამ. ს. მგალობლიშვილის თხზულებაში ნახმარია ფორმები: გავუფატმანებდი, მიფატმანე, გაიავთანდილა („წარსულიდან“) და ა. შ. როგორც ვხედავთ, **საკუთარი სახელი პერსონაჟის სახელად ქცევისას ხშირად იძენს აბსტრაჰირებისა და განზოგადების უნარს, უფლებით უკვე პერსონაჟსაც აჭარბებს და მოცემული ანთროპონიმის ფარგლებში ამ პერსონაჟის მსგავს სხვა ადამიანებსაც აერთიანებს, რა თქმა უნდა, გარკვეული ნიშნის თუ ნიშნების მიხედვით** (გოდერძიშვილი, 1990, 56).

რაც მთავარია, საკუთარი სახელის გადასვლა საზოგადო სახელის თანრიგში ხელს უწყობს ენის ლექსიკური ფონდის გამდიდრებას.

დ) აპელატივიზებული ანთროპონიმი უკვე სიმბოლოა და, თავის მხრივ, ხშირად მრავალობითი რიცხვის ფორმითაც გვხვდება: „არსენების დროც დაგვიდგა“, „რა გენაღვლებათ არსენებს“, „ზაალებსაც მივაყოლებდით“ (მ. ჯავახიშვილი, „არსენა მარაბდელი“), „ცხენის ნაცვლად აეტოთი მიქრის და გზად მიმავალ ელგუჯებს პაპიროსს უყრის“ (მ. ჯავახიშვილი, „გივი შადური“), „გარდანქეშებო, ყარამანებო, ამირანებო, მზეჭაბუკებო“ (იქვე); „ამირანთა ამირანად შექმნილიყო“ (ვ. ბარნოვი, „მტკვრის ვაჟი“); „შენი მამუჩარები...“ (უიარალო, „მაძიებელნი“); „დღეს ტარიელები აღარ არიან საჭირო“ (აკაკი, „პატარა ტარიელი“), „ტარიელ და ავთანდილები ყოველთვის და ყველგან ყოფილან“ (იქვე); „სხვა დავითებიც კი ცხოვრობდნენ სოფლად“ (ლ. ქიაჩელი, „ტარიელ გოლუა“). გააპელატივებული საკუთარი სახელის მრავალობითი რიცხვის ფორმა აქ ერთდროულად გულისხმობს ორ და მეტ პირს, რომლებიც ერთი გარკვეული ნიშნით გამოირჩევიან. მაგალითად, ეთნოგრაფიული ნიშნით, ხევსურობით, გამოირჩევიან და ამ ეთნოგრაფიული გარემოსათვის დამახასიათებელი ანთროპონიმებით არიან გაერთიანებული ადამიანები შემდეგ წინადადებაში: „მაინც მშურს თქვენი, ხევსურებო: ჰოი, ხირჩლებო, დათვიებო, ჯურხებო“ (მ. ჯავახიშვილი, „თეთრი საყელო“). ანთროპონიმთა პლურალობასთან დაკავშირებით თ. უთურგაიძე წერს: „ანთროპონიმებს არა აქვთ მრავალობითი რიცხვის ფორმები“. მაგრამ დასძენს, რომ, „თუ რამდენიმე ხე მრავალობითში იძლევა ხეები, ხენი ფორმებს, თეორიულად, რა თქმა უნდა, რამდენიმე პეტრესთვისაც შეიძლება ასეთივე ფორმების წარმოება“ (თ. უთურგაიძე, 1986, 100). თეორიულად დასაშვები ამ დებულების განხორციელებას შევხვდით ლ. ქიაჩელის ერთ მოთხრობაში („ნათელა – ოთხი“). კლასში ოთხმა ნათელამ მოიყარა თავი, რასაც მწერალი ანთროპონიმის მრავალობითობის ფორმით გადმოგვცემს: „მეც ნათელა, – გამოჩნდა მესამე და ნათელების რიგში ჩადგა“. როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითები გვიჩვენებენ, ანთროპონიმის მრავალობითობას მისი აპელატივად ქცევა იწვევს, რაც, თავის მხრივ, შეიცავს გაგებას – „მისი მსგავსები“,[1] მაგრამ რეალურად თუკი ოთ-

[1] ანთროპონიმის მრავალობითობის ამგვარი გაგება უხსოვარი

ხი (ან ნებისმიერი სხვა რაოდენობის) ნათელაა ან ოთხი გიაა, რატომ არ უნდა ითქვას ნათელები, გიები.

საკუთარი სახელის გადასვლა საზოგადო სახელთა თანრიგში ხელს უწყობს ენის ლექსიკური ფონდის გამდიდრებას. თავის მხრივ, ქართული ენის ლექსიკა საკმაოდ მდიდარია საკუთრივ ანთროპონიმებით, რომელთა დიდი ნაწილი თავმოყრილია ალ. ღლონტის „ქართველურ საკუთარ სახელებში“, მაგრამ, როგორც ჩვენ მიერ შემოფარგლული პერიოდის ქართული ლიტერატურის პერსონაჟების სახელთა შეჯერებით ირკვევა, ქართველურ ანთროპონიმთა რეალურად არსებული დიდი ფონდიდან პერსონაჟთა სახელების ფუნქციით დატვირთულია მცირე ნაწილი. ამ პერიოდის ლიტერატურულ თხზულებებში თამარი, გიორგი, ლევანი, არჩილი, დავითი... გვხედება ათობითა და ასობით, მაშინ როცა აბადუ, აბალა, აბალო, აბზი, ათილა, აბა, გუმო, გუქული, დათილი, ნომანი... არც ერთხელ. ალბათ ძნელია ამ სახელების გაცოცხლება, როგორც რეალურ ყოფაში, ისე მხატვრულ თხზულებებში, მით უფრო, XXI საუკუნეში, მაგრამ ვფიქრობთ, გასათვალისწინებელია აკაკი ბაქრაძის აზრიც, რომელიც ქართულ მწერლობაში ქართველური საკუთარი სახელების არდავიწყებისკენაა მიმართული: „ვისაც „სამოსელი პირველი“ წაუკითხავს, კარგად ეხსომება, რომ გ. დოჩანაშვილი რომანში იყენებს იტალიურ-ესპანურ ონომასტიკონსა და ტოპონიმებს. მართალი რომ გითხრათ, რომანში ამის ვერაფითარ აუცილებლობას ვერ მივაგენი...“ კრიტიკოსი იქვე ერთგვარი გულისტკივილით დასძენს: „მწერალი უფლებამოსილია, ამ შემთხვევაში სურვილისამებრ მოიქცეს. ალბათ, გ. დოჩანაშვილს დომენიკო უფრო ჰარმონიულ და ჟღერად სახელად მიაჩნია, ვიდრე ღვთისაგარი. თუ ასეა, იყოს ნება მისი“ (აკ. ბაქრაძე, 1986, გვ. 67). რა თქმა უნდა, არც ერთ მწერალს არ ეზღუდება შემოქმედებითი არჩევანი, მაგრამ თითო-ოროლა სახელიც,

---

დროიდან მოდის. ივ. იმნაიშვილი საგანგებოდ ეხება ოთხთავში დამოწმებულ ანთროპონიმებს, მაგ., მარიამეთას და აღნიშნავს: ეს მარიამეთა მრავალ მარიამს კი არ გულისხმობს, არამედ მარიამსა და მის დას მართას“ (იმნაიშვილი, 1957, 386).

მწერლის მიერ მტვერმოწმენდილი, ქართული ლექსიკის შენაძენი იქნება (გავიხსენოთ შორენა, კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“).

§2 პერსონაჟის სოციალური, საზოგადოებრივი და პიროვნული ღირსების ასახვა ანთროპონიმით

ანთროპონიმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა სოციალურობა. „საკუთარი სახელი სოციალური ნიშანია“, – მიუთითებს ვ. ნიკონოვი (ნიკონოვი, 1974, 12) და საგანგებოდ ჩერდება ამ საკითხზე წიგნში – „სახელი და საზოგადოება“. დასასრულ კი აღნიშნავს, რომ ამ საკითხის შესწავლა მთელი სისრულით ჯერ კიდევ არ არის დაყენებული, თითო-ოროლა ნაშრომის გარდა. იმ ხანებში თითქმის იგივე მდგომარეობა გვაქვს ქართულ ანთროპონიმიკაში, გარდა ორიოდე ნაშრომისა (ღლონტი, 1964, 114-128, 1967; ჭუმბურიძე, 1966). მართებულად მიუთითებს ი. ბესტუჟევ-ლადა, რომ ამ ფუნქციას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისთვისო (ბესტუჟევ-ლადა, 1970, 24). საერთოდ, რაც უფრო დიდია ამა თუ იმ მოვლენის როლი პრაქტიკულ ცხოვრებაში, ცხადია, მით უფრო მნიშვნელოვანი და პრობლემურია ეს საკითხი მეცნიერებაში.

საკუთარი სახელის სოციალურ-საზოგადოებრივი ფუნქცია გამოკვეთილად იგრძნობა ქართული მხატვრული ლიტერატურის მაგალითზე. როგორც ირკვევა, სახელი ერთ-ერთი არსებითი ნიშანია პერსონაჟის დასახასიათებლად. შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოების დიფერენციაციისა და პიროვნების ღირსეულობა-უღირსობის საჩვენებლად ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალება პერსონაჟის საკუთარი სახელიცაა – ანთროპონიმი, თავისი სოციალური ფუნქციით (Goderdzishvili, Georgika, 2000, 96-99).

I. „საკუთარი სახელის სოციალურობა განსაკუთრებული სიცხადით კლასობრივ საზოგადოებაში იკვეთება. მებატონეთა წრეში „ფიგურირებდა“ გარკვეული ფონდი სახელებისა. ვაჭართა წრეს, გლეხთა და დაბალ სოციალურ ფენას სახელთა გან-

სხვაებული ფონდი ჰქონდა. ყოველივე ამას ნათლად ასახავს მხატვრული ლიტერატურა, რადგან მხატვრული ლიტერატურა პროდუქტია განსაზღვრული ეპოქისა და კულტურისა. ბატონყმური წყობის ამსახველ ქართულ მწერლობაში დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენელთა (ყმათა, მოახლეთა) საკუთარ სახელებად დასტურდება **ვარდისახარი** (გ. ერისთავი, „გაყრა“), **ვარსკვლავისა** (ეგ. ნინოშვილი, „ჯანყი გურიაში“), **სანდომისა** (დ. კლდიაშვილი, „ჩემი ცხოვრების გზაზე“), **ლამაზისეული** (ილია, „კაცია ადამიანი?!“), **იისახარი,** რომელიც ბატონყმობის დროიდან შემორჩა თავად თაებრუაძეების ოჯახს (ე. გაბაშვილი, „კონა“), **ლერწამისა, იაგუნდისა** (უიარაღო, „მამელუკი“)... ქართულ მწერლობაში ეს ანთროპონიმები (ნაგენეტივარი ფორმისა) არავითარ შემთხვევაში არ შეგვხვდება მაღალი წრის რომელიმე ქალბატონის, კნეინას სახელად. თავის მხრივ, ცალკე ფონდს ქმნის მებატონე თავადთა სახელები.

სოციალურად განსხვაებულ პერსონაჟთა საკუთარი სახელებიც სოციალურად განსხვაებულია. შეუსაბამობა პერსონაჟის სოციალურ მდგომარეობასა და მის საკუთარ სახელს შორის გამოიწვევდა იმავე შედეგს, რაც დამოწმებული აქვს ა. სუპერანსკაიას ტურგენევის ერთ-ერთი თხზულების თარგმანთან დაკავშირებით. როგორც მკვლევარი აღნიშნავს, ერთ-ერთ თარგმანში ი. ტურგენევის ასია იქცა ანუშკად, რამაც მაშინვე შეცვალა სოციალური მდგომარეობა პერსონაჟისა, რითაც ეჭვქვეშ დააყენა მთელი თხზულების სიმართლე (სუპერანსკაია, 1973, 318).

საკუთარი სახელი რომ სოციალური ფუნქციით იტვირთება, ამას ზოგჯერ პირდაპირ მიგვანიშნებენ მწერლები ამა თუ იმ სოციალური ფენისათვის დამახასიათებელი ტიპური ანთროპონიმების განზოგადებით. მაგალითად, „წინათ თუ ლუარსაბები, რევაზები და არჩილები გაცლიდნენ ხელიდან შენს საცხოვრებელს, ეხლა ისაკები გიხდებიან ბატონადო,“ — ასე ალაპარაკებს შ. არაგვისპირელი ერთ გლეხს („ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო“). როგორც ვხედავთ, ამ მოთხრობაში მწერალი ოდენ საკუთარი სახელების საშუალებით მიუთითებს ცხოვრებაში მომხდარ დიდ სოციალურ ძვრებზე. აქ სწორედ საკუთარი სა-

ხელების მეშვეობით ვიგებთ, რომ ერთი სახის მჩაგვრელებს ცვლიან მეორე სახის მჩაგვრელები, მაგრამ, თუ ერთ შემთხვევაში ბატონებად გვეელინებიან ქართველი თავადები (რევაზები, არჩილები), ახლა მათი ადგილი დაიჭირეს არა თავადური წარმოშობის, არამედ დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლებმა, კერძოდ, ვაჭრებმა (ისაკებმა), რომელთა ღირსებასაც ერთ დროს „ლუარსაბები“[1] არ ცნობდნენ. შემთხვევითი არ არის ის, რომ ი. ჭავჭავაძე თავადთა ტიპურ წარმომადგენლებს არქმევს ლუარსაბსა („კაცია-ადამიანი?!“) და არჩილს („ოთარაანთ ქვრივი“). მართალია, ისინი რადიკალურად განსხვავებული არიან, სხვადასხვა გარემოში ცხოვრობენ; არჩილი შემდგომი პერიოდის, ახალი დროის ადამიანია, ცხოვრების ახალი წესით, განსხვავებული გაგებით, მაგრამ ბატონყმობის გადავარდნამ ჯერ კიდევ ვერ წაშალა ზღვარი თავადსა და გლეხს შორის, რასაც სოციალური სტატუსით გამორჩეული მათი სახელებც ადასტურებს. ილიამ მათი (ლუარსაბისა და არჩილის) სოციალური ერთობა შესატყვისი სოციალური დატვირთვის ანთროპონიმებითაც გამოხატა. ასევე, გ. წერეთელი „გულქანში“ ნაბატონარსაც (ბაკურაძეს) რევაზს არქმევს. ასე რომ, კლასობრივ საზოგადოებაში პერსონაჟისთვის სახელის დარქმევისას მწერალი მიმართავს მისი სოციალური წრისთვის დამახასიათებელ საკუთარ სახელთა ფონდს. ამ ფონდის არსებობას, როგორც დავინახეთ, აფიქსირებს შ. არაგვისპირელი. მწერალი იმავე მოთხრობაში („ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო“) კელავ საკუთარი სახელებით, უფრო ზუსტად, საკუთარ სახელთა განზოგადებით მიგვანიშნებს ვაჭართა ფენაზე, რაც კიდევ ერთხელ გვაგრძნობინებს ანთროპონიმის სოციალურ ფუნქციას: „ჩვენებური დუქნები ერთგვარი სკოლაა, იმის საშუალებით ამზადებენ ისაკებს, გეურქებს და არტემებს“. როგორც ვიცით, იმ ეპო-

[1] საკუთარ სახელთა მრავლობითობის ფორმაში იგულისხმება „მისი მსგავსება“ — ლუარსაბი, ისაკა და მისი მსგავსები. თავისთავად კი მრავლობითი ფორმა იმასაც გულისხმობს, რომ თავადთა წრეში ტრიალებს სახელები ლუარსაბი, რევაზი, არჩილი, ვაჭართა წრეში — ისაკა.

ქაში ვაჭართა ფენას, ძირითადად, სხვა ეროვნების შვილები წარმოადგენენ, ამიტომ არქმევს მწერალი ვაჭრებს არაქართულ სახელებს – ისაკებს, გეურქებს და არტემებს. ამ მოთხრობაში გამოყვანილ ვაჭარ გლეხს, მიუხედავად მისი ქართველობისა, სწორედ ისაკას არქმევს. შ. არაგვისპირელი რომ ღრმად სწვდება კლასებად დაყოფილ საზოგადოებაში სახელის სოციალურობას, ჩანს მისი სხვა მოთხრობიდანაც („სულ ერთია"...). ამ მოთხრობის ერთ-ერთი პერსონაჟი არათავადური წარმომავლობისაა. მას არავითარი სოციალური პრივილეგია არ გააჩნია და მოთხრობის მეორე პერსონაჟისაგან – თავად არჩილისაგან – განსხვავებით, იგი „ბრწყინვალებით არ არის შემოსილი", მხოლოდ „ვიღაც მასწავლებელია". სოციალურად განსხვავებულ პერსონაჟებს ერთი დიდგვაროვანი ქალი შეჰყვარებიათ. უფრო მეტად რომ გამიჯნოს სოციალური სხვაობა მათ შორის, ავტორი საკუთარ სახელსაც იშველიებს და, არჩილისაგან განსხვავებით, „ვიღაც მასწავლებელს" კიკოს არქმევს. უფრო მეტიც, სწორედ საკუთარი სახელის საშუალებით აშკარად დასცინის მას, მის სოციალურ სტატუსს. „მე თეკლეს ნებას არ მივცემ, რომ იმ ვიღაც მასწავლებელს, კიკო ჰქვია თუ მიკო, მისთხოვდესო", – ასე ალაპარაკებს თეკლეს მამას. თავის მხრივ, გამონათქვამები: კიკო-მიკო, გოგია-მოგია... ადამიანის დასამცრობი ნიუანსია, რადგან ონიმის მიზანდასახული სახეცვლილებით, კერძოდ, დამახინჯებით, ხელყოფილია ადამიანის პიროვნობა.

ვაჭართა ფენა თავადთა კლასთან ანთროპონიმების მეშვეობითაა დაპირისპირებული ეკ. გაბაშვილის ერთ მოთხრობაშიც („სოფლის მეგობარი"). აქ ვეცნობით გაკოტრებული ქართველი თავადების დაცინვას გიქოს მიერ. დაცინვა რომ სწორედ თავადების მისამართითაა, ჩანს მრავლობითში დასმული ონიმიდან. ვაჭარი გიქო ნიშნის მოგებით მიმართავს კნეინა ნინოს, თქვენი მასხარა კოტრი ლევანები რით გვჯობიანო?

თავისი კლასის ტიპური წარმომადგენელია თავადი არწივაძე (ეგ. ნინოშვილი, „სოფლის გმირები") როგორც გარეგნობით („ბრძანების გამომეტყველი დიდრონი თვალები და არწივის ნისკარტისებურად მოყვანილი ცხვირი მაინც ამხელს მანუჩარში ძველი ქართველი არისტოკრატის ტიპს"), ისე ჩაცმულო-

ბით („კარგი სანახავია მანუჩარ... თავისი ცისფერი ატლასის ახალუხში“). განსაკუთრებით გამოირჩევა თავადი არწივაძე მაღალი წრისთვის დამახასიათებელი პატივმოყვარეობით. მიუხედავად ბატონყმობის გადავარდნისა, იგი უკადრისობდა გლეხის გვერდით დაჯდომას, თუნდაც ეს გლეხი „ნასტავლი კაცი“ ყოფილიყო. გლეხს – „ნასტავლს, მწერალს, პოეტს, – სულ ერთია“, რომლის მამა შინაყმად თუ იყო თავად არწივაძისა ან მისი აზნაურის, ქუდს არ მოუხდიდა. მისი ოცნებაა ბატონყმობის დაბრუნება – სწორედ ამ თავადს მწერალი თავადური წრისთვის გამორჩეულად დამახასიათებელი სახელით ნათლავს – **მანუჩარი**. ამ სახელს დამცრობის, მაკნინებელი სუფიქსიც კი არ მიუდგება ადვილად, ბუნებრივად. ყოველ შემთხვევაში, ძველად კლასებად დაყოფილ საზოგადოებაში ამ სახელს კნინობითობის აფიქსები არ ერთოდა, ახლა შესაძლებელია, შეგეხვედეს მანუჩარა, მაგრამ იგი სოციალური ელფერით მაინც განსხვავებული იქნება ისეთი სახელებისაგან, როგორიცაა ვანუა, სიმონიკა... თუ გადავხედავთ ქართულ ლიტერატურულ თხზულებებს, **მანუჩარ** სახელით დამოწმებული პერსონაჟები (ისტორიული თუ მხატვრული), ძირითადად, მაღალი სოციალური წრის წარმომადგენლები არიან: **მანუჩარ დადიანი** (ბერი ეგნატაშვილი, „ახალი ქართლის ცხოვრება“; გრ. რჩეულიშვილი, „ანუკა ბატონიშვილი“; ანტ. ფურცელაძე, „მაცი ხვიტია“), **მანუჩარ ათაბაგი** (ბერი ეგნატაშვილი, „ახალი ქართლის ცხოვრება“; ანტ. ფურცელაძე, „დიდი მოურავი“), **მანუჩარ მაჩაბელი, მანუჩარ იმერეთის მეფის ძმისწული** (ვ. ბარნოვი, „გიორგი სააკაძე“), **მანუჩარ თავადი** (დ. კლდიაშვილი, „პეტრე“), **თავადი მანუჩარ ქედმალალაშვილი** (ნ. ლომოური, „ბერუა ქრისტესიაშვილი“), **აზნაური მანუჩარ ხვინჯია** (უიარაღო, „მაძიებელნი“)...

XIX საუკუნის II ნახევარში, მართალია, წაიშალა ოფიციალური სხვაობა საზოგადოების დაბალსა და მაღალ ფენას შორის, მაგრამ საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული როგორც ანთროპოლოგიური, ისე ანთროპონიმული მხარე შედარებით მეტ მდგრადობას ამუღავნებს სოციალური ცვლილებების მიმართ, რასაც ადასტურებს პერსონაჟთა ონიმები. უიარაღო ამ სახელს (მანუჩარ) მაღალი სოციალური მდგომარეობის დამა-

დასტურებელ ერთ-ერთ დეტალად რომ თელის, ჩანს მისი ერთი თხზულებიდან („მაძიებელნი“). თავადური წარმომავლობის ერთ-ერთი პერსონაჟი ქალი შეურაცხყოფად იღებს იმას, რომ გლეხ თოხიტარიას შვილს მანუჩარ ხარდანაძის შვილიშვილი მოჰყავდესო. ქმარი კი ამოოხვრით უპასუხებს: „შენი მანუჩარები ახლანდელ დროებას ფეხებზე ჰკიდია“. მრავლობითი ფორმით წარმოდგენილი საკუთარი სახელის საშუალებით მწერალი აქაც განაზოგადებს ერთ გარკვეულ სოციალურ ფენას. ასე რომ, „მანუჩარები“ და მისი მსგავსი ფორმები გააპელატივებული ანთროპონიმებია. როგორც ვხედავთ, უიარაღო ანთროპონიმის მეშვეობითაც მიგვანიშნებს არა მხოლოდ თავადთა სოციალურ წრეზე, არამედ მათი ძალაუფლების დაქვეითებაზეც.

საზოგადოების ერთ ფენას, კერძოდ, ინტელიგენციის იმ ნაწილს, რომელსაც სწავლა-განათლების მიღება პირადი კეთილდღეობის მისაღწევად დაუსახავს, გ. წერეთელი კიკოლიკებს უწოდებს და ამ ფენის ამოტივტივებას ასე გვაუწყებს: „დღეს ჩვენში კიკოლიკები მეუფებენ... ზოგი ადვოკატი შეიქმნა და ქვეყნის... ნაოფლარით ჯიბეებს ისქელებს“. ხალხი თითით უჩვენებს და ასე ამხელს კიკოლიკებს: „ეგ არის თქვენი განათლება, ეგ არის თქვენი ქვეყნის მზრუნველობა?.. აი, ჩვენი კიკოლიკების ქველმოქმედება საზოგადოების ასპარეზზე“. ხალხის ასეთი გულმტკივნეული დამოკიდებულება საზოგადოების ამ ფენის მიმართ მწერალმა სახელითაც გამოხატა კერძოდ, -ოლა სუფიქსით დამცრობილი ისედაც მდაბალი სახელი (კიკოლა) უფრო დაამცრო დამაკნინებელი -იკ აფიქსით – კიკ-ოლ-იკი („კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა“).

II. ხშირად ერთმანეთს უპირისპირდება არა მხოლოდ ორი სოციალური ფენა, არამედ ერთ სოციალურ ფენაშიც იქმნება დაჯგუფებები, რაც საკუთარი სახელებითაც ვლინდება. ივანე და ანდუყაფარ დიდებულიძეები (გ. ერისთავი, „გაყრა“) ძმები არიან, ერთი სოციალური ფენის (თავად-აზნაურთა) წარმომადგენლები, მაგრამ ეს სოციალური ფენა სავაჭრო ურთიერთობის, სწავლა-განათლების აღმავლობის მიზეზით XIX ს-ის 40-50-იან წლებში ორად – ძველ და ახალ თაობად – გაიყო. ამ ორი თაობის განსხვავებული მისწრაფებები და განსხვავებული შეხე-

დულებები მწერალმა საკუთარი სახელებითაც გამოაელინა, კერძოდ, ახალი თაობის წარმომადგენელი გ. ერისთავმა ახალი ტიპის, უფრო საყოველთაო, კალენდარული **ივანე** სახელით მონათლა, ხოლო ძველი თაობის წარმომადგენელს, რომელსაც უმალ სიკვდილი ერჩია ძველი ტრადიციების დათმობას, **ანდუყაფარი** დაარქვა – მებატონეთა სოციალური ფენისათვის დამახასიათებელი ეს ძირძველი სახელი. ქართულ მწერლობაშიც ხომ ამ სახელით, ძირითადად, თავადიშვილები არიან დადასტურებული: **ანდუყაფარ ამილახვარი** (ბერი ეგნატაშვილი, „ახალი ქართლის ცხოვრება“; ანტ. ფურცელაძე, „თამარ ღაზნელი“; ვ. ბარნოვი, „გიორგი სააკაძე“), **ანდუყაფარის ძე დარისპან ჰერეთელი** (ვ. ბარნოვი, „ლერწამი რხეული“), **ანდუყაფარ მაშვრელი, ბრწყინვალე თავადი** (ვ. ბარნოვი, „სევდის საგუბარი“), **ანდუყაფარით** მონათლა ნ. ლომოურმა ის მხატვრული პერსონაჟი, რომელსაც „თვითონ ხელმწიფისაგან მოსდის ახალ-ახალი ამბები“ („ალი“). გ. ერისთავი შემთხვევით რომ არ არქმევს მებატონეთა ძველი თაობის ტიპურ წარმომადგენელს ამ სახელს, ჩანს ივანეს სიტყვებიდანაც. ივანესთვის, ახალი თაობის პირმშოსთვის, როგორც ეთქვით, მიუღებელია ყოველივე ძველი, ტრადიციული, თვით საკუთარი სახელიც კი, რაც კარგად ჩანს მისივე ნათქვამიდან: „ყაფარ, კაპარ! კაკ იმია, ტაკ ი ონ დიკარ!“

ერთი სოციალური ფენის წარმომადგენლები არიან აგრეთვე **დათუა შრომიშვილი და ოსაკა ჭამიაშვილი** (შ. აგარევის-პირელი, „ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო!“). ორივე ქართველი გლეხია, მაგრამ პირველი მშრომელი კაცია, მეორე – გავაჭრებული, რომელსაც დავიწყებია თავისი უწინდელი მდგომარეობა და „უღვთოდ ყველას ტყავს აძრობს“. საპირისპირო ტიპებს მწერალი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საპირისპირო სემანტიკური მნიშვნელობის გვარებითაც ასხვავებს. ამ განსხვავებულ ტიპებზე განსაკუთრებით მეტყველებს მათივე სახელებიც. როგორც ეთქვით, წარმოშობით ორივე გლეხია, ორივეს ქართული გვარი აქვს, მაგრამ მას, რომელმაც ცხოვრების მიზნად შრომა ირჩია და რომელიც ნამდვილი ქართველი გლეხის ტიპად ჩამოყალიბდა, მწერალმა დათუა უწოდა (დავითს, ბუნებრივია ვერ

დაარქმევდა, რადგან სახელის ამ ოფიციალური, კულტურული ფორმით დაიჩრდილებოდა მისი სოციალური წარმომაელობა). მშრომელი გლეხისაგან განსხვავებით, დუქანში გამოზრდილ, გავაჭრებულ გლეხს **ისაკას** არქმევს. იმდენად, რამდენადაც მშრომელი ქართველი გლეხკაცისათვის არ იყო დამახასიათებელი ვაჭრობა, მწერალმა იგი არაქართული სახელით მონათლა და მას ისაკა უწოდა. ეს ის სახელია, რომლითაც გ. ერისთავი საზოგადოების მყვლეფავ ფენას აზოგადებს და აერთიანებს ერთ ჯგუფად (გავიხსენოთ ფრაზა: „ახლა ისაკები გიხდებიან ბატონადო“).

ზემოთ დამოწმებული მაგალითით (ანთროპონიმთა განზოგადებით) აშკარად იგრძნობა, რომ ესა თუ ის სოციალური ფენა ან ერთი სოციალური ფენის განსხვავებული დაჯგუფება გამოირჩევა როგორც თავისი სოციალურ-ეკონომიკური წყობით, ისე – მეტ-ნაკლებად, საკუთარ სახელთა ფონდით. მწერლები პირდაპირ გვეუბნებიან, რომ არჩილები, ლევანები, მანუჩარები... თავადები არიან; ისაკები, არტემები – ვაჭრები; მონავარდისები, იისახარები, ვარსკვლავისები – მოახლე ყმები... ეს ფაქტი კიდევ ერთი დადასტურებაა საერთო პოსტულატისა. სპეციალურ ლიტერატურაში სწორადაა აღნიშნული, რომ ზოგჯერ ოდენ საკუთარი სახელის საფუძველზე „შეიძლება ითქვას, თუ ვის, როდის და რისთვის მიენიჭა იგი“ (ნიკონოვი, 1974, 229).

III. ამასთან, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს თითქოსდა დაუწერელი კანონი, რა თქმა უნდა, გადაულახავი ზღვარი არ არის. ერთი და იგივე სახელი, როგორც რეალურ ცხოვრებაში, ისე ლიტერატურაში, შეიძლება ერქვას თავადსაც და გლეხსაც. ასეც არის. მაგალითად, ეგ. ნინოშვილის თხზულებებში ლევანი ჰქვია როგორც თავადიშვილს („ქრისტინე“, „სიმონა“), ასევე გლეხის ბიჭსაც („პარტახი“). მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „პარტახში“ ლევანით მონათლული ყმაწვილი, მართალია, გლეხის ბიჭია, მაგრამ თხზულებაში ხაზი არ ესმება მის სოციალურობას. იგი წარმოდგენილია როგორც უანგაროდ შეყვარებული და არა როგორც, ვთქვათ, დუხჭირი ცხოვრებით დატანჯული ყმაწვილი. როცა მწერალს გამიზნული აქვს, ხაზი გაუსვას, გამოკვეთოს პერსონაჟის სოციალური წარმომაელობა,

კერძოდ, მისი ყმაგლეხობა და მებატონის ხელში მძიმე, დაწყევლილი ცხოვრება, სახელის მაკნინებელ ფორმას იშველიებს. ლევანიკა (და არა ლევანი) უწოდა მწერალმა „კაცია და გუნებაში“ გამოყვანილ გატანჯულ გლეხს. ასეთივე შეფარდებაა ი. ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივში“ ერთი სოციალური ფენის იმ პერსონაჟთა სახელებს შორისაც, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ღირსებით: გიორგი (ღირსეული მშობლების ღირსეული შვილი და თავადაც ღირსეული პიროვნება) და გოგია („მითამ მე რითა ვარ ნაკლები აიმ დამპალ გოგიაზე,“ – ამბობს ოთარაანთ ქვრივი). ამავე ტიპისაა თეედორე და თედო („ოთარაანთ ქვრივი“).

IV. „სოციალურია სახელის ფორმაც“, – სამართლიანად შენიშნავს ვ. ნიკონოვი (ნიკონოვი, 1974, 18). ამის ერთ-ერთი დადასტურებაა ქართველ მწერალთა – ეგ. ნინოშვილის, ექ. გაბაშვილის, ს. მგალობლიშვილის, შ. არაგვისპირელის, დ. კლდიაშვილისა და სხვათა – თხზულებები. ი. ჭავჭავაძე სახელის ფორმასა და პიროვნებას შორის პირდაპირპროპორციულ კავშირს რომ ხედავს, ცხადად ჩანს ზ. ჭუმბურიძის სიტყვებიდან: „ბუვიეს „იზას“ ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირის სახელი სესილი „ივერიაში“ ზოგჯერ ნახმარია შეცელილი ფორმით – სესილია, მაგრამ შემდგომში ილიას მართებულად არ მიუჩნევია ამ სახელის ასეთი „გამდაბიურება“ და აღუდგენია სწორი ფორმა „სესილი“ (ჭუმბურიძე, 1959, 392).

ლიტერატურა რეალური ცხოვრების ამსახველია, ხოლო, „თუ ლიტერატურა სიმართლით ასახავს ცხოვრებას, ყველა რეალურად არსებულ ფორმას უნდა მოენახოს თავისი ადგილი. ზოგჯერ მხოლოდ სახელის ფორმა განსაზღვრავს პერსონაჟის სოციალურ მდგომარეობას. მაგალითად, ჩეხოვის მოთხრობაში („სახლი მეზონინით“) მოხსენიებული არიან: ანნები, მაერები, პელაგიები – პერსონალიებზე ყოველგვარი მითითების გარეშე. და მაინც მკითხველისათვის ნათელია, რომ ისინი გლეხები არიან... ამასთანავე, ეს ითვლებოდა პატივსაცემ მიმართვად, არაპატივსაცემ მიმართვად კი გამოყენებული იყო ფორმები: ნიურკა, მაერუშკა“ (ნიკონოვი, 1974, 322). როგორც ვ. ნიკონოვი წერს, საზოგადოების დაბალი ფენისათვის სახელის დამცირე-

ბიოი ფორმით მოხსენიება XIX საუკუნეშიც აუცილებლობას წარმოადგენდა (იქვე, 19).

როგორც ვხედავთ, პერსონაჟებად წარმოდგენილი პირების საკუთარ სახელთა საპატიო და არასაპატიო ფორმით წარმოჩენა უნივერსალიაა, რაც ქართულ მწერლობაში დასტურდება როგორც მწერლის მიერ პერსონაჟის ხატვის ერთ-ერთი ძირითადი საშუალება. დამამცირებელი ელფერის სუფიქსები, გარდა სოციალურად ჩაგრული პერსონაჟების სახელებისა, ერთვის აგრეთვე იმ პერსონაჟთა სახელებს, რომლებიც ავტორიტეტით არ სარგებლობენ საზოგადოებაში და, პირიქით, სოციალურად და პიროვნულად ავტორიტეტული პერსონაჟი სახელის ფორმითაც გამოირჩევა. ადამიანის პრივილეგირებული მდგომარეობა, სოციალურად დაწინაურებულობა რომ საკუთარი სახელით და მისი ფორმითაც გამოიხატება, კარგად ჩანს ეკ. გაბაშვილის თხზულებებიდან. ქალის სახელი ქეთევან ფორმით ეკ. გაბაშვილს არა ერთ და ორ მოთხრობაში აქვს დადასტურებული, მაგრამ განსხვავებული ფორმით. ქეთევან – ასე უწოდებს იგი მათ, რომელთა ეპითეტად ხმარობს დაწინაურებული სოციალური მდგომარეობის აღმნიშვნელ სიტყვებს – *კნეინას* („რომანი დიდ-ხევში“, „გამარჯვებული ნიკო“), *ქალბატონს* („ფრთებდაგლეჯილი“). „თამარის ნუგეშსა“ და „საახალწლო ფეშქაშში“ კი მწერალი ეპითეტის გარეშეც, მხოლოდ ანთროპონიმით წარმოგვიდგენს ერთი პერსონაჟის მაღალ სოციალურ მდგომარეობას და ოდენ ქეთევან სახელის ფორმით ნათლავს მას. მათგან განსხვავებით, დაბალი სოციალური წრის ქალებს კი ქეთევანას არქმევს („ნათლიღება ღამეს“, „ორი ნიშა“). პირველი მოთხრობის პერსონაჟს ძველი ტანსაცმლის დაკერებით გაჰქონდა თავი, ხოლო მეორე მოთხრობის პერსონაჟი სოფლის დედაკაცია, რომლის საქმიანობა იფარგლება ოჯახის მოვლითა და ძროხის წველით. ასეთი სოციალური მდგომარეობის ქალებს მწერალი ქეთევანს ვერ დაარქმევდა, ისევე როგორც ვერ შეამკობდა მათ ეპითეტებით: ქალბატონი და კნეინა.

სახელთა ფორმით უპირისპირდებიან ერთმანეთს **აზნაური სიმონი და გლეხის ბიჭი სიმონა** (ეგ. ნინოშვილი, „სიმონა“), **გლეხი ივანიკა და აზნაური ივანე** (ეგ. ნინოშვილი, „ჯანყი გუ-

რიაში“), სოსიკო და სოსიკა (ეკ. გაბაშვილი, „ერთი ეპიზოდი ჩემი ცხოვრებისა“), სოსიკო – მებატონის შვილია, სოსიკა კი – მოსამსახურე ბიჭი.

ეგ. ნინოშვილის თხზულებაში გლეხებად გამოყვანილი პერსონაჟების სახელებად ვხედებით ფორმებს: **გაბრიელი** და **გაბრიელა**. გაბრიელა გაუბედურებული ოჯახისა და შვილების პატრონია. გვარად ჩამწარდაძისათვის სახელის არადამცირებითი ფორმა თითქოს არც იყო მოსალოდნელი. იბადება კითხვა: რატომ მონათლა მწერალმა გაბრიელა ფორმით ძალაძეც („სიმონა“). ის, მართალია, გლეხი იყო, მაგრამ თავს არავის აჩაგერინებდა, სწორედ ძალაძე იყო. ამის საფუძველი ისევ პერსონაჟის კლასობრივი მდგომარეობაა. მოთხრობაში ხაზგასმულია, რომ ძალაძე, მართალია, არ ემორჩილებოდა ბატონს („როცა ბატონი და მისი მოურავი გაბრიელას სხვა შინაყმებიეით დაჩაგერას მოუნდომებდა, გაბრიელა თოფით უხვდებოდა წინ“), ის მოძალადე ძალაძე იყო, მაგრამ „ეს ვითომდა ბატონის ურგები შინაყმა“ მაინც მებატონის ყურმოჭრილ ყმად რჩებოდა. ეს ნიუანსები კარგად იგრძნობა სახელგვარულ სინტაგმაში – გაბრიელა ძალაძე. -ა დამამცირებელი სუფიქსით წარმოქმნილი სახელით (გაბრიელა) ამ, მართალია, დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლის, მაგრამ „ძლიერ ქებული და მძლავრი“ ოჯახის მეთაურის მონათელა იმითაც შეიძლება აიხსნას, რომ იგი „ქვეყნის სათრევი და საცემარი“ შვილის პატრონი იყო. თავისი სიჯაბნით მის შვილს, საყვარელას, „ყველა ჰქლავდა და თავში ურახუნებდა“. შვილის დამცირებული მდგომარეობა შეიძლება მეორეხარისხოვანია ძალაძის გაბრიელად მონათვლისას, მაგრამ ერთ-ერთი განმსაზღვრელი რომაა, ერწმუნდებით ამავე მწერლის სხვა მოთხრობის მაგალითით („სხვამ რაც უნდა თქვას“). ავტორს აქ გამოყვანილი ჰყავს გაღატაკებული გლეხი, რომლის შვილი „სწავლაში წუნარი და მშვიდი“, მღვდლად ეკურთხა და „ისე გახადა მამის დატოვებული ოჯახი, რომ მეფის სასახლე გეგონებოდა“. ასეთი შვილის მამას მწერალმა, მიუხედავად მისი გაღატაკებული მდგომარეობისა, გაბრიელი დაარქვა და არა გაბრიელა.

გაბრიელი//გაბრიელა ფორმების ხმარებას რომ გამიზნული ხასიათი აქვს და არა შემთხვევითი, კარგად ჩანს შემდეგი ფაქტიდანაც: ძალაძის რძალი, ქეთევანი, თავს იწონებდა მამამთილით. ამ დამოკიდებულებას იგი იმით ამჟღავნებს, რომ გაბრიელს უწოდებს მას და არა გაბრიელას. „მამამთილის ხსენება ხშირად იცოდა: „ნეტაი რა ეგონენ? გაბრიელის დატიებული ოჯახი ასე ადვილად გაცვდებოდაო!“ („სიმონა“). ამავე მოსაზრებით, გაბრიელა ძალაძის რძალს მწერალმა ქეთევანი უწოდა და არა ქეთევანა, რადგან, მართალია, იგი ჯაბანი კაცის, საყვარელას, ცოლი იყო, მაგრამ გამოირჩეოდა პირადი ღირსებით, ყოჩაღი და გაბედული დედაკაცი იყო – „ერთ ვაჟკაცს არც ის ჩამორჩებოდა საოჯახო საქმის კეთებაში“. ასე დააყენა ქვრივმა ქალმა ოჯახი ფეხზე. თავად ავტორის სიმპათია ამ პერსონაჟისადმი იქიდანაც ჩანს, რომ მის სახელად პირველადი ფორმა ქეთევანი აირჩია. სახელის ფორმა რომ ერთი პირის მეორესთან დამოკიდებულებას გამოხატავს, კარგად ჩანს ამავე მოთხრობიდან. მხედველობაში გვაქვს გამდიდრებული და გადიდკაცებული დაეით დროიძის ვაჟების დიალოგი. ტიტიკოსთვის სიყოჩაღე და კაიქალობა კი არ არის განმსაზღვრელი, არამედ ამ ქალის სოციალური მდგომარეობა. დაეით დროიძის ვაჟისთვის ძნელი მისახვედრია, თუ რატომ უნდა მოერიდოს (როგორც ამას ძმა ურჩევს), რატომ არ უნდა გაუარშიყდეს ამ უბრალო გლეხის ქალს, ვინ არის ის, რომ მისი ეშინოდეს ფულიან, ყოველისშემძლე პიროვნებას. იგი თავის დამოკიდებულებას გლეხის ქალის მიმართ, სხვათა შორის, იმითაც ამჟღავნებს, რომ მას ქეთევანას უწოდებს. ტიტიკოს ძმა, ლევანი, მართალია, ერიდება ამ ქალთან შებმას, ძმასაც აფრთხილებს, მაგრამ სოციალურად მასზე დაბლა მდგომი ქალი მისთვისაც ქეთევანაა. ქეთევანი//ქეთევანა ფორმები თვალისმომჭრელადაა გამოყოფილი მოთხრობაში და, ცხადია, გამიზნულად. საკუთარი სახელის ფორმა მხატვრულ ხერხად ქცეულა მწერლისათვის.

ამავე მოთხრობაში („სიმონა“) ერთი ძირისეული სახელით ორი პერსონაჟია გამოყოფილი. ერთი მონათლულია სახელის პირველადი ფორმით – **დავითი**, მეორე კი მისგან ნაწარმოები ფორმით – **დათიკა**. ორივე პერსონაჟი გლეხია, მაგრამ მათ შო-

რის დიდი ზღვარია. ამ ზღვრისა და მათი პიროვნებების გაცნობის გარეშეც აშკარაა, რომ პრივილეგიური მდგომარეობა ამ ორი, წარმოშობით, გლეხიდან ეჭირება მას, რომელსაც დავითით იხსენიებენ, თუმცა „ბევრს კარგად ახსოვდა, რომ დროიძე ერთი გუდამშიერი აზნაურის შინაყმა იყო“, მაგრამ ახლა **დროთა მსვლელობაში** გამდიდრებულა, რაზედაც მისი გვარიც მიანიშნებს (**დროიძე**). ჩვენ წინ დგას დროიძე არა როგორც გლეხკაცი, არამედ აღზევებული პიროვნება, რომლის ოჯახს უკვე „აზნაურის ოჯახს“ ეძახიან. ბუნებრივია, მწერალი მას დათიკას ვერ უწოდებდა, თუმცა, უნდა ვიფიქროთ, თავის დროზე, როცა ის „გუდამშიერი აზნაურის“ შინაყმა იყო, მისთვის სახელ დავითს არავინ გაიმეტებდა, მით უფრო მწერალი, დავით დროიძის ცხოვრების წინა პერიოდით რომ შემოფარგლულიყო.

რადიკალურად ორი საპირისპირო ნიშნით არის წარმოდგენილი შ. არაგვისპირელის მოთხრობის („სულ ერთია“) პერსონაჟი მამაკაცი. ერთი მხრივ, იგი ჩამომაელობით თავადებში გამორჩეული ბრწყინვალე გვარიშვილია, მეორე მხრივ კი, მწერალი მას გვაცნობს როგორც „სულელს, უშნოს, ულამაზოს“. ამ პერსონაჟისათვის საკუთარი სახელის შერჩევისას ავტორი ითვალისწინებს სწორედ მის სოციალურ წარმოშობას, რადგან ერთ-ერთი თავადიშვილის ოჯახში სასურველ სიძედ იგი სწორედ ამ ნიშნით მიიჩნიეს (ამავე მიზეზით დაიწუნეს სასიძოდ გონიერი, განათლებული, მაგრამ „ვიღაც უგვარტომო“ კიკო ხეველი). შ. არაგვისპირელმა მას (გვარიშვილობით გამორჩეულს) არჩილი უწოდა, სწორედ ის ტიპური სახელი, რომელსაც ავტორი სხვა მოთხრობაში (როგორც დავინახეთ) თავადიშვილთა სინონიმად წარმოგვიდგენს. არჩილი რომ მაღალი სოციალური წრიდან არ ყოფილიყო გამოსული და სულელი, უშნო და ულამაზო ყოფილიყო, მას მწერალი უთუოდ სხვა სახელს ან არჩილას დაარქმევდა, ისევე როგორც განათლებულს, მაგრამ უგვარტომოს (არსებული საზოგადოების პოზიციიდან გამომდინარე) კიკო დაარქვა (შდრ.: სახელის დამამცირებელი ელფერის ხაზგასასმელად კიკო-მიკო ფორმას).

თითქმის მსგავსი სიტუაციაა შექმნილი ეგ. ნინოშვილის მოთხრობაში – „ჯანყი გურიაში“, რომლის ერთ-ერთი მთავარი

გმირია გიორგი. გიორგის ცხოვრების სხვაგვარად წარმართვა აშკარად დაეტყო მისი სახელის ფორმასაც. მისი მდგომარეობის გარდაქმნის მიმანიშნებელი სწორედ მისივე სახელია. გოგი – ასე ეძახდნენ თავადის ოჯახში მოახლე გოგოს მიერ უკანონოდ გაჩენილ ბავშვს. მაგრამ აი, შეიცვალა გარემოება, თავადს ეაჟები დაეხოცა და გადაწყვიტა გოგი ეშვილა, რადგან შესანიშნავი აღნაგობისა და გარეგნობის ყმაწვილი იყო. იშვილეს, სასწავლებლად რუსეთში გააგზავნეს. მისი მდგომარეობის გაუმჯობესება სახელითაც აღინიშნა. რუსეთიდან დაბრუნებულს, თავადის ოჯახში გაწევრიანებულს, გიორგიდ იხსენიებენ. პერსონაჟის სახელის ფორმის შეცვლა რომ მისი სოციალური მდგომარეობის შეცვლამ (გაუმჯობესებამ) გამოიწვია, მწერალიც მიგვანიშნებს: „გიორგი გოგოის შვილია, უწინ გოგი ერქვა, მერე რუსეთში გაგზავნეს, სერთუკის ჩაცმა ისტავლეო, ისტაელა და გიორგი ქვია“. უნდა აღინიშნოს ის, რომ **გოგი** გიორგის ნეიტრალური ემოციური ელფერის მქონე შემოკლებული ფორმაა.. ჩვენი ვარაუდით, ბავშვი, მართალია, უკანონოა, მაგრამ მებატონის მიერ შვილადაა მიღებული. ავტორმა გაითვალისწინა ყმაწვილის შესანიშნავი აღნაგობა-გარეგნობა და არ გაიმეტა, ვთქვათ, გოგიე რომ დაერქმია. მწერალმა საკითხისადმი რადიკალური მიდგომის გარეშეც, მოზომილად გამოხატა პერსონაჟის ორი განსხვავებული მდგომარეობა ანთროპონიმებით.

ზოგჯერ სახელის ე. წ. „გაკეთილშობილება“ ვერ აკმაყოფილებს მეორე (მაღალი) სოციალური ფენის პრეტენზიებს. ეს კარგად ჩანს ეკ. გაბაშვილის მოთხრობიდან – „სდუღს და არ გადმოდის“. აქ ნაჩვენებია, რომ **სიღარიბეში გაზრდილი ჰატარა თედუა** ქართული ენის მასწავლებელი ხდება ერთ კერძო პანსიონში. ასაკი და, განსაკუთრებით, მდგომარეობის შეცვლა მის საკუთარ სახელსაც დაეტყო – **თევდორე**, თედუასთან შედარებით, პერსონაჟის წარმატებულ მდგომარეობაზე მიუთითებს. მდგომარეობის გაუმჯობესებამ თედუას სახელი, მართალია, „გააკეთილშობილა“, მაგრამ ეს ხდება ერთი სოციალური წრის ფარგლებში. ერთი სოციალური ფენის ფარგლებში გაკეთილშობილებული სახელი, ისე როგორც მისით მონათლული პერ-

სონაჟის სოციალური მდგომარეობა, ვერ აკმაყოფილებს მეორე, უფრო მაღალი, სოციალური ფენის პრეტენზიებს. თეედორეს შეუყვარდება მდიდარი თავადის ასული იულია, მაგრამ იულია დასცინის როგორც პიროვნებას (რადგან იგი სოციალურად დაბალ საფეხურს მიეკუთვნება), ისე მის სახელსაც. თხზულებაში ვკითხულობთ, რომ მის სახელს იულია „ისე გამოთქვამდა, თითქოს ეს სახელი შეადგენდა რაღაც გამოუთქმელს, სასაცილო და საოხუნჯო საგანს“. თვით თედუა გრძნობდა ერთგვარ ზღვარს თავის სახელსა და სატრფოს სახელს შორის. ამ ორ სახელს იგი ფსიქოლოგიურად შეუსაბამოდ თვლიდა, რასაც შეყვარებული კაცი მწვავედ განიცდიდა: „ჯერ მარტო სახელი – თეედორე და იულია! სიმდიდრე და სიღატაკე, მშვენიერება და სიმახინჯე, მუშა და ბატონი! რა არის ამ სიტყვებს შორის საერთო?“ როგორც ვხედავთ, მისთვის, ამ „უსანდომო შეხედულების“ კაცისთვის, თეედორე სახელი ფსიქოლოგიურად მოიცავს ცნებებს – სიღატაკე, სიმახინჯე და მუშა, ხოლო სახელ იულიაში მისთვის განფენილია მშვენიერება, სიმდიდრე და ბატონობა. ეს უდავოდ სახელის ფსიქოლოგიური აღქმაა, რასაც საფუძვლად უდევს კლასობრიობა, რაც სახელის მოწონება-დაწუნებით ვლინდება.

ფსიქოლოგიურად სასაცილოდ და საოხუნჯოდ აღიქვამდა მებატონე ქალი მოსამსახურე ბიჭის, იორდანეს, სახელს. „იორდანე, იორდანე! რა სახელია, ქა! იორდანე-ე-ე, ხა-ხა, ხა! – გადაიხარხარებდა ხოლმე“ (ეკ. გაბაშვილი, „იორდანე“). როგორც ვხედავთ, საკუთარ სახელსა და მის ფორმას კლასობრივ საზოგადოებაში კლასობრიობის ელფერი დაჰკრავს.

V. საკუთარი სახელის ფორმას, სოციალურ და საზოგადოებრივ მდგომარეობასთან ერთად, ერთი პიროვნების მეორესთან დამოკიდებულებაც განსაზღვრავს. ეს კარგად ჩანს ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდანაც. თუ დაეით დროიძის ვაჟებისათვის (ეგ. ნინოშვილი, „ჯანყი გურიაში“) მთავარია პიროვნების სოციალური წარმომავლობა, მწერლისათვის, პირიქით, განმსაზღვრელია პერსონაჟის შინაგანი ძალა და ღირსება (ქეთევანი//ქეთევანა).

ეკ. გაბაშვილის მოთხრობის „რომანი დიდ-ხევში“ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟია **პაელე ცოდვისშვილი**. პაელესთან დაკავშირებით ერთმანეთს ეკამათებიან ცოლი, ქმარი და ქალიშვილი. ქალიშვილს მოსწონს პაელე, არჩევანს მამაც უწონებს, დედა კი წინააღმდეგია. ამ სამი პიროვნების განწყობა ცოდვისშვილის მიმართ მისი ნომინაციიდანაც იგრძნობა. კერძოდ, ქალიშვილი და მამა მას **პაელეთი** იხსენიებენ, დედა კი **პაელიას** უწოდებს, რადგან მისთვის იგი არის არა ღირსეული ყმაწვილი, არამედ ნაბუშარი და მოახლის შვილი. პაელეთი იხსენიებს მას ავტორიც, რითაც ამ პერსონაჟის მიმართ ამჟღავნებს თავის დადებით დამოკიდებულებას. მოვიყვანთ სხვა მაგალითსაც. კონას დედას (ეკ. გაბაშვილი, „კონა“), გაუბედურებულ და გაღატაკებულ ქალს, რომელიც ცხოვრებამ აიძულა, რომ შვილები ხელზე მოსამსახურედ მიეცა, ავტორი მართას უწოდებს, ხოლო კნეინა ბარბარე (რომლის ველურ კლანჭებშიც მართამ თავისი შვილი კონა მოაქცია) გესლიანად დასცინის მოსამსახურე კონას და ეუბნება: „ისე გაგცლი ბუწუწებიდან, რომ დედაშენმა მართუამაც ვეღარ გიცნოსო“. როგორც ეხედავთ, მწერლის მიერ სახელდებული მართა კნეინა ბარბარესათვის მართუაა.

პერსონაჟის სახელის შერჩევისას მისი სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებას რომ სხვა მონაცემები უპირისპირდება და სძლევს, კარგად ჩანს ეგ. ნინოშვილის რომანიდან – „ჯანყი გურიაში“. აქ თავადის ასულთა სახელებად გვხვდება **მელანია და გულო**. სახელი მელანია თვით ეგ. ნინოშვილს, როგორც მწერალს, საკიცხავ სახელად მიაჩნია: „რა სახელია მელანია, თლა ყრუია იი გადაღმეთის სოფელი“ („ცოლი და ქმარი“). საინტერესოა, რატომ არქმევს მწერალი ამ სახელს, რომელზედაც სხვა თხზულებაში მიუთითებს მის ჩამორჩენილობაზე (არამოდურობაზე), ელისაბედის შვილს, დიდებული თავადის, №№-ის, დისშვილს? ამას, ჩვენი აზრით, შემდეგი ახსნა დაეძებნება. საქმე ისაა, რომ თვით მელანიას დედის, ელისაბედის, ოჯახი არ გამოირჩეოდა მაღალი რანგით. ელისაბედი, მართალია, დიდებული თავადის, №№-ის, და იყო, მაგრამ ღამით გაპარულა „ერთ ღარიბ აზნაურთან“, რის გამოც ძმა მას დიდხანს ემდუროდა. გარდა ამისა, ელისაბედის ოჯახში

ქმრის სიკვდილის შემდეგ ოჯახის თავად ზალიკა, გლეხის შვილი, ითვლებოდა. ბევრს ეჭვიც კი შეჰქნოდა ელისაბედისა და ზალიკას ურთიერთობაში. ჩვენი აზრით, სახელი მელანია გვიჩვენებს იმ დამდაბლებულ მდგომარეობას, რაც განიცადა თავადური ოჯახის ერთ-ერთმა განაყოფმა ელისაბედის შტოს სახით. მნიშვნელოვანი ნიუანსია ისიც, რომ ღარიბი აზნაურისგან შეძენილ შვილს, მელანიას, თავისი მდგომარეობის შესაბამისი შეხედულებები აქვს: „ქმარი რომ მინდოდეს, ყაზახობით რეზა დევიწუნებო“. მას მართლაც გლეხი ბესია შეუყვარდა. ასე რომ, იგი, შეიძლება ითქვას, ამართლებს თავის სახელს.

სახელს რომ ზოგჯერ პერსონაჟის პიროვნული თვისებები განსაზღვრავს, კარგად ჩანს ამაღე რომანიდან. გავიხსენოთ ის ადგილი, სადაც ავტორი თითქოს მოიბოდიშებს და სურს გაამართლოს, თუ რატომ უწოდებს თავადი №№-ისა და მისი მეუღლის, ამ მაღალი სოციალური წრის წარმომადგენლების, ერთადერთ მემკვიდრე ქალიშვილს, უბრალოდ, გულოს. მწერალი რომ თავად გრძნობს ამ შემოკლებული სახელის შეუსაბამობას თავადური ოჯახის მემკვიდრისათვის, ეს, სხვათა შორის, იქიდანაც ჩანს, რომ ამ სახელს ბრჭყალებში ათავსებს და ამბობს კიდეც: „პატარაობის სახელი „გ'ულო“ შემდეგაც აღარ მოაშორეს ამ ქალს, თუმცაღა კი მას ნათელის სახელი სხვა ერქვაო“. გარდა ამისა, ჩვენი ვარაუდით, ამ მაღალი რანგის ქალიშვილისთვის შეუფერებელ სახელს განაპირობებს შემდეგი გარემოება: გულო – ეს ის პერსონაჟია, რომელიც ამჟღავნებს დემოკრატიულ პრინციპებს. არათავადური სულისკვეთების გულო დედას, თავად №№-ის მეუღლეს, ეუბნება, რომ თავადი და გლეხი – ყველა ადამიანია, „იგინისაც აქვან ოჯახიო“. თავადის მეუღლემ, ქალბატონმა №№-მა, ავადმყოფურ ბოდვად ჩათვალა ქალიშვილის ასეთი აზრი. მწერალმა კი გაითვალისწინა მისი შინაგანი სამყარო და, უბრალოდ, გულო უწოდა.[1]

---

[1] ანალოგიური ფორმის ანთროპონიმებს ი. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობიდან“ გაბრო (გაბრიელი), თამრო (თამარ) – შ. აფრიდონიძე უწოდებს სახელთა უბრალო ფორმებს („просторечные формы“).

მეორე მხრივ, სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებას ზოგჯერ პიროვნების სხვა (ღირსეული) თვისებები ფარავს, რასაც ავლენს ამ რომანის კიდევ ერთი პერსონაჟის სახელი. გლეხის ოჯახიდან გამოსულ პირს მწერალი ზალიკათი გვაცნობს. იგი ერთ-ერთი თავადის ოჯახში მოურავად იყო. ზალიკას ყველა პატივს სცემდა, მაგრამ მას განსაკუთრებით სიმპათიით ეკიდებოდა რუსეთში სწავლამიღებული გიორგი. გლეხის ოჯახიდან გამოსული ზალიკას მეხსიერებით აღფრთოვანებული გიორგი არ მალავს და ეუბნება, „გასაოცარი ზეპირობის ნიჭი გქონიაო“ და იმავდროულად მას მოიხსენიებს არა ზალიკად, არამედ ზაალს უწოდებს: „მართალს ამბობს ზაალიო“. როგორც ვხედავთ, გიორგი სახელის ფორმითაც კი გამოხატავს სხვებისგან განსხვავებულ სიმპათიას ზალიკას მიმართ. **ამასთან, გიორგის მიერ პერსონაჟის ასე მოხსენიება თვით გიორგის შინაგანი პიროვნების განმსაზღვრელია. იგი ინტელიგენტია, აფასებს სხვათა ღირსებას, რაც დასტურდება მისი ყოველი მოქმედებით და, მათ შორის, მისთვის დამახასიათებელი მიმართვის ფორმითაც.** თავად №№-ის ოჯახში მცხოვრებ მოახლე გოგოს, თამარას, იგი ასე მიმართავს – თამარ. როგორც ირკვევა, გიორგის მიერ მოახლე გოგოს სახელის ამ ფორმით მოხსენიება გამოწვეულია იმით, რომ ეს ქალი დაჭრილთა მოვლის ცოდნას ამჟღავნებს, რაც გიორგისთვის ფასეული და ანგარიშგასაწევია. ამიტომ არის ის მისთვის თამარი და არა თამარა. **ეს ფაქტი მიუთითებს არა მხოლოდ მისამართი პირის ღირსებაზე, არამედ, უპირველესად, დამძახებლის, სახელმდებლის შინაგან კულტურაზე.**

VI. არის შემთხვევები, როცა პერსონაჟის სახელის ერთ გარკვეულ ფორმაში ჰარმონიულადაა შერწყმული მისი სოციალური მდგომარეობა და პიროვნული თვისებები, კერძოდ, დაბალი სოციალურობა და საზოგადოებისათვის მისაღები ღირსეული პიროვნული მონაცემები. ამის ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითს ვხედებით ეგ. ნინოშვილის მოთხრობაში – „კაცია და გუნება“. აქ დამოწმებული პერსონაჟები გურიის მკვიდრი გლეხკაცები არიან: დათიკელა, ბესიკელა, ლევანიკა. მათ შორისაა ბეჟუკიც. ამ უკანასკნელის სახელიც, სხვა გლეხების სახელთა

მსგავსად, სუფიქსითაა წარმოდგენილი და არა პირველადი ფორმით, რადგან ისიც ისეთივე „უბრალო გლეხი“ იყო. მეორე მხრივ, მათგან განსხვავებით, „ბევრის მნახველი, დიდი გამოცდილი, ჭკვიანი... კარგი მოსაუბრე, ამიტომ როგორც გლეხები, ისე იმ სოფლის თავადაზნაურობაც დიდ პატივს სცემდნენ ბეჟუკის: „ისე ეთავაზებოდნენ, როგორც თაემომწონე თავადიშვილს“. ეს ნიუანსიც მოხერხებულადაა ასახული ამ პერსონაჟის საკუთარი სახელის მორფემულ ნაწილში. კერძოდ, -უკ სუფიქსს ერთვის, ვთქვათ, არა მოსალოდნელი -ა სუფიქსი, არამედ მწერალი დადებითი ემოციის გამომხატველი ი ხმოვნით ასრულებს „ამ უბრალო გლეხის“ სახელს. **ბეჟუკი** – ასე მიმართავდნენ თანასოფლელები და სახელის ამ ფორმით პატივისცემასთან ერთად სიყვარულსაც გამოხატავდნენ. სხვა შემთხვევაში, როცა მწერალი ამაევ ძირის სახელს არქმევს აზნაურს, საკუთარი სახელი წარმოდგენილია უაფიქსოდ, ოფიციალური ფორმით. სოციალურად პრივილეგირებულ მდგომარეობას ვერ მიუდგებოდა სუფიქსური წარმოება, თუნდაც სასიყვარულო განწყობის. ბეჟან – ასე არქმევს ეგ. ნინოშვილი მდიდარ აზნაურს „ქრისტინეში“. როდესაც მწერალს სურს გამოხატოს ამაევ სახელის მატარებელი ადამიანის დამცირებული, გაწამებული მდგომარეობა, -ა სუფიქსით აფორმებს მის სახელს. მოთხრობა „მონადირეში“ ეგ. ნინოშვილმა ბეჟანა დაარქვა იმ გლეხს, რომლის ცხოვრებაც უკუღმართად დატრიალდა.

VII. პერსონაჟის საზოგადოებრივ (და არა სოციალურ) მდგომარეობაზე მწერალი ზოგჯერ სხვა ტიპის ანთროპონიმული ფორმულითაც მიგვანიშნებს – ესაა მამის სახელით მიმართვა. როგორც ცნობილია, ძველი რუსეთის სინამდვილეში მამის სახელით (отчество) მოიხსენიებოდნენ სოციალური მდგომარეობით გამორჩეული პირები. დაბალფენოვან მოსახლეობას მამის სახელით მოხსენიების პატივი არ ჰქონდა. მაგრამ ეს ხდებოდა ძველად. რუსულ სამყაროში მიმართვისას ორელემენტიან ანთროპონიმულ ფორმულას იყენებენ. ისტორიული წყაროების მიხედვით, ქართულ სინამდვილეშიც ძველთაგანვე სამშემადგენლიანი ანთროპონიმული ფორმულა გამოიყენებოდა. მეტიც, გვარის გაჩენამდე სწორედ სახელი და მამის სახელი წარმოადგენ-

და ანთროპონიმულ ფორმულას, მაგრამ, რუსული ტრადიციისგან განსხვავებით, ჩვენში არ ყოფილა მამის სახელით მიმართვის ტრადიცია. მამის სახელით მიმართვა შეძენილია, რუსულის გავლენაა, მით უფრო, რუსული გაფორმებით, -ოვნა (-ევნა) და -ოვიჩ (-ევიჩ) დაბოლოებით, რაც სათანადოდაა ასახული მწერლობაშიც. ქართულ სინამდვილეში რუსული გაფორმების მამის სახელით პირის სახელდებამ გარკვეული სოციალური დატვირთვა მიიღო, რაც სათანადოდ აისახა ქართულ მწერლობაში. მაგალითად, კვეით მოვაჭრის დამდაბლებული მდგომარეობის გამოსაკვეთად მისი სახელის დაკნინებულ ფორმასაც არ სჯერდებოდნენ, ყაზუა სახელს ეპითეტითაც „ამკობდნენ“ და ქციან ყაზუას ეძახდნენ. მაგრამ აი, შეიცვალა ქციანი ყაზუას საზოგადოებრივი მდგომარეობა. იგი „ცოტა ზევით აცოცდა, ერთ კიბეზე შედგა და „ქციანი ყაზუა“ ახლა ყაზარად გადაიქცა იმიტომ, რომ ბაზაზის დუქანი გაიკეთა. გავიდა დრო და ყაზარამ „დუქანს გაუმატა“, რის შემდეგაც „ყაზარა ანაზდად ყაზარ სტეფანიჩად გადაიქცა“. საზოგადოებაში თანდათან აღზევებას თვით ყაზარა სწორედ სახელის ვარიაციების მეშვეობით გვამცნობს: „დღეს მეფე ვარ, უწინ ბაზარში ვერ გავიელიდი ხოლმე: „ქციანი ყაზუა მოდისო“, იძახოდნენ. ეხლა კი ისინი, ვინც ქციან ყაზუას მეძახდნენ, ყაზარ სტეფანიჩს მეძახიან“ *(ს. მგალობლიშვილი, „დემეტრეს სახლობა“)*. ამ ტიპის საკუთარსახელური ფორმულირებით პერსონაჟის საზოგადოებრივად დაწინაურების გამოხატვა ჩანს *„ჯორ-ზაქარაში“ (ს. მგალობლიშვილი)*. **გლეხი სოსიკა** თავადის (ესტატე მარუშაძის) მოურავი ხდება. „დიდი კაცი გახდაო,“ – ამბობს ავტორი. დიდი კაცობა კი, უპირველესად, იმით გამოვლინდა, რომ ახლა თავადი ესტატეცა და ხალხიც სოსიკას აღარ ეძახდნენ, ახლა ის ყველასთვის **„იოსებ პაატიჩი“** გახდა. მეტიც, აი რას ვკითხულობ თხზულებაში: „ეაი იმის დედას, ვისაც სოფელში წამოსცდებოდა „სოსიკა“. მოურავად ქცეული გლეხი სულ მათრახით გააჭრელებდა ხოლმე და თან დააყოლებდა: „შე მამაძაღლო, მე შენი რა სოსიკა ვარო“. თვით ესტატე მარუშაძესა და მის კნეინას „თავი მწვანე კიტრივით მოჰქონდათ, რომ სოსიკა, რომელიც ერთ დროს ღორის ტილივით დაძერებოდა, ახლა ისე გა-

სუქდა, თავს მოექცა ყველა გლეხს და „იოსებ პაატიჩად“ გახდა“.

მამის სახელით მოხსენიების პატივს განსაკუთრებით ხაზს უსვამს ს. *მგალობლიშვილი* მოთხრობაში *„გმირისეული ქალი“*. ამ მოთხრობის ერთ-ერთი პერსონაჟია გამდელი **სალომე**, რომელიც მებატონის ოჯახშია დაბადებული და აღზრდილი. მწერალი საგანგებოდ აღნიშნავს: „ბატონი და ქალბატონი თავის ერთადერთ ქალში ყერ არჩევდნენ. ასე გასინჯეთ, სალომე კაციევნასაც კი უძახოდნენ“. ასე რომ, პერსონაჟის სოციალური თუ საზოგადოებრივი მდგომარეობის შეცვლის პარალელურად იცვლება მისი ანთროპონიმული ფორმულა. მაგრამ ზოგჯერ მწერალი ირონიით უყურებს პერსონაჟის მდგომარეობის აღზევებასა და ამით გამოწვეულ სახელდების ხელოვნურ ფორმულირებას, თავის სარკაზმს კი ანთროპონიმული ფორმულის ბრჭყალებში ჩასმით გვაგრძნობინებს; მაგალითად, „კარებში რომ გამოდგებოდა ხოლმე „სალომე კაციევნა“, სწორედ მთვარესავით გამოაშუქებდა“ ან ბრჭყალების ნაცვლად შემდეგ სიტყვებს ჩართავს: **„ასე გასინჯეთ,** სალომე კაციევნასაც კი უძახოდნენო“.

როგორც ეხედავთ, **ანთროპონიმი თავის თავში შეიცავს განსაზღვრულ ინფორმაციას. საკუთარი სახელი არა მხოლოდ გამოყოფს, არამედ საზოგადოებაში ადგილსაც მიუჩენს მისით სახელდებულს.**

ვ. ნიკონოვის სიტყვები რომ მოვიშველიოთ, საკუთარი სახელი პაროლია, რომელიც თავის პატრონს საზოგადოების ამა თუ იმ ჯგუფს მიაკუთვნებს (ნიკონოვი, 1974, 209). ასე რომ, პერსონაჟის ხატვისას მწერალმა შეუძლებელია არ გაითვალისწინოს პერსონაჟისა და, როგორც გამოელინდა, ანთროპონიმის სოციალური ფუნქციაც. პერსონაჟის მხატვრულ ტიპად გამოკვეთას უდავოდ შეუშლის ხელს ანთროპონიმისა და მისით მონათლული პირის სოციალური შეუსაბამობა. მაგალითად, მებატონე თავადს ან ქალაქელ განათლებულ ყმაწვილს თუ დაარქმევს ქიტესას, ეაჟიკას, ძუკუს... ვერ დააკმაყოფილებს ასევე მოთხოვნას – „ტიპი ტიპურ გარემოში“.

თავი IV – სახელდების ტიპები

მეორე სახელები[1]

ზოგადი მიმოხილვა. ადამიანი საზოგადოების წევრია, რაც განაპირობებს მის ერთ უმნიშვნელოვანეს ატრიბუტს – საკუთარ სახელსა და გვარს; გვართან შედარებით, სახელის ისტორიულ დროში უწინარესობა და მისი მოხმარების სიხშირე კი – ანთროპონიმთა მრავალსახეობას. ვგულისხმობთ სახელდების ტიპის ინვარიანტულობას, რასაც, თავის მხრივ, სემანტიკადაკარგული კალენდარული სახელების მონოტონურობა იწვევდა და იწვევს. ადამიანთა ურთიერთობა ოდენ კალენდარული პირველადი ონიმებით ერთფეროვნულ სახეს იძენს, რასაც ძნელად ეგუება მათი შემოქმედი ბუნება. ადამიანს ბავშვობის ასაკიდანვე უხდება ურთიერთობის სხვადასხვა განზომილებაში ყოფნა, რაც ერთმანეთისთვის თუ სხვებისთვის მეორე სახელის შერქმევითაც ვლინდება. ე. ი. ახალი სახელი ადამიანის ერთი განზომილებიდან მეორეში გადასვლის დასტურია, ვთქვათ, ოფიციალურიდან – მეგობრულში ან პირიქით. ყოფიერება ხომ ბევრი განზომილების მომცველია: სკოლა, სამსახური, ოჯახი, ესა თუ ის წრე, სოციალური მდგომარეობა და სხვა. ცხოვრებისეულ განზომილებათა მრავალფეროვნება, მათი ცელა, მათში ერთ-ერთის გამოკვეთა – ეს ყოველივე თავისებურად აისახება ადამიანზე, რაც ვლინდება ყველაფრით: დაწყებული ჩაცმულობით, მეტყველებით და ა.შ., დამთავრებული – მისი სახელდებით. უფრო მეტიც, ზოგჯერ ადამიანის გადასვლა ერთი განზომილებიდან თვისებრივად მეორე განზომილებაში, სწორედ მისი საკუთარი სახელით დგინდება. შეიძლება ითქვას, ადამიანი იმდენჯერ „იბადება“, რამდენი სახელიც დაერქმევა. თითოეული სახელი მის ახალ სახეს წარმოაჩენს და არა მხოლოდ სახელი. სახელის ფორმაც განსაზღვრავს ამა თუ იმ გან-

[1] ტერმინ „მეორე სახელებში“ ვგულისხმობთ არა უშუალოდ რიგით მეორე სახელებს, არამედ ყველა იმ დამატებით სახელს, რომელიც კი შეიძლება დაერქვას ადამიანს პირველი სახელის შემდეგ.

ზომილებაში მის ყოფნას. თითქმის ყველა ადამიანს, თავისდა უნებურად, სახელდების სამი სახეობა მოიცავს:

1. დაბადების, ანუ საპასპორტო-ოფიციალური სახელი;
2. ოფიციალური სახელის ესა თუ ის ფორმა, რასაც ხშირ შემთხვევაში მნიშვნელოვანი დისტინქციური ფუნქცია ენიჭება (რაც უნდა მიუღებელი იყოს იგი ოფიციალური საზოგადოებისთვის, ვთქვათ, რუსკა);
3. **მეორე სახელები.**

პირველი და მეორე სახეობა თავისთავად ერთ ტიპად გაერთიანდება, რადგან ისინი ერთმანეთის ფორმებს წარმოადგენენ. სახელდების მეორე ტიპში შევა ე. წ. **მეორე სახელები,** რომლებიც ანთროპონიმიაში ქმნიან ერთ დიდ და მნიშვნელოვან სისტემას, მნიშვნელოვანს იმ თვალსაზრისით, რომ სახელდების ამ სისტემით ვლინდება ამა თუ იმ ერის ცხოვრების წესი, აზროვნება, მახვილგონიერება, ხასიათი, ლექსიკური მასალა და, საერთოდ, ენის სემანტიკურ-სტრუქტურული შესაძლებლობები. მეორე სახელის მატარებელი, მეტ-ნაკლებად, ყველა ადამიანია. გამოიყო **მეორე სახელთა** შემდეგი სახეები:

1) საკუთრივ ანთროპონიმი;
2) მეტსახელი;
3) კვაზიონიმი;
4) ფსევდონიმი;
5) ეპითეტიანი სახელები.


პირველი სახელის[1] პარალელურად, დენოტატის (ანუ სახელდებული პირის) მეორე სახელით მოხსენიება ქმნის ორ სისტემას.

---

[1] ტერმინ **მეორე სახელების** გათვალისწინებით, ვიყენებთ ტერმინს – **პირველი სახელები**. ამით ჩვენ ვემიჯნებით პირველი სახელის სტატუსით საყოველთაოდ მიღებულ ტერმინს – **ნათლობის სახელი**. ნათლობის სახელი შეიძლება არ იყოს პირველი სახელი, ანუ ის სახელი, რომელიც ოფიციალურად ფორმდება ბავშვის სახელად. ნათლობის სახელი ნათლობის რიტუალის ჩატარებას მოსდევს და არის უკვე რიგით მეორე (თუმცა, თუკი ოფიციალური სახელი კალენდარულია, ნათლობისას სახელს ხშირად არც კი ცვლიან).

ერთს პირობითად ეუწოდეთ **მონაცვლე სახელები,** მეორეს – **ორმაგი სახელდება** (ლაშა-გიორგი, სულხან-საბა, დავით ულუ)... უნდა შეენიშნოთ, რომ მათი გამოყოფის მოტივაცია სხვადასხვაა. მონაცვლე სახელების ერთ სისტემად გამოყოფა განაპირობა მათივე გამოყენების წესმა, ორმაგი სახელდებისა კი – სტრუქტურულმა შემადგენლობამ. ორმაგი სახელდების ერთი ტიპი – ეპითეტიანი სახელები – ორივე ჯგუფს მივაკუთვნეთ.

წარმოვადგენთ მეორე სახელთა სქემას



მონაცვლე სახელები – ესაა ერთი პირის აღმნიშვნელი სახელები, რომლებიც ერთმანეთისგან დამოუკიდებლად იხმარება. მონაცვლე სახელებად გამოიყენება მეორე სახელის ხუთივე ტიპი. ანთროპონიმის არჩევითობას განაპირობებს სახელდებულთან მიმართებაში მყოფი პირის ფაქტორი, მისი დამოკიდებულება ობიექტთან ან თვით ეს ობიექტი, ანუ სახელდებული.

ორმაგი სახელდება. ორმაგ სახელდებად ეთვლით დენოტატის ორი აღმნიშვნელის ერთდროულად წარმოთქმა-დაწერას. ორმაგი სახელდების ორი სტრუქტურული მოდელი გამოიკვეთა:

1) **ტოლად შერწყმული სიტყვები,** რომელთა ორივე კომპონენტი საკუთრივ ანთროპონიმია: იოანე-ზოსიმე, სულხან-საბა, იოანე-პაველე;

2) **ეპითეტიანი ონიმი** – ესაა დენოტატის ორი აღმნიშვნელი, ორი სიტყვა-სახელი, რაც სტრუქტურულად წარმოადგენს სინტაგმას, რომელთაგან ერთი დენოტატის საკუთრივ ანთროპონიმია (თუნდაც მეტსახელი), მეორე – ეპითეტი. ეს უკანასკნელი ხშირად იმდენად იტვირთება სუბსტანტივის ფუნქციით, რომ ფორმითაც ონიმიზაციას განიცდის: დავით აღმაშენებელი//აღმაშენებელი, ვახტანგ გორგასალი//გორგასალი.

განვიხილავთ მონაცვლე სახელების პირველ **ოთხ სისტემას:**

§1. მეორე სახელი – საკუთრივ ანთროპონიმი

მეორე სახელად გამოყენებული საკუთრივ ანთროპონიმი არ არის მეტსახელი.

რა განაპირობებს ერთი ადამიანის ორი, ამასთან, ორივეჯერ საკუთრივ ანთროპონიმით სახელდებას?

1. **ნათლობა.** თუმცა ნათლობის რიტუალის დროს ადამიანს ხშირად უტოვებენ ოფიციალური დოკუმენტებით გაფორმებულ სახელს, თუკი პირველი სახელი კანონიკურია.

2. ***საერო ფენიდან სასულიეროში გადასვლა.*** ოდითგანვე სასულიერო სამყაროს საკუთარ სახელთა თავისი ფონდი ჰქონდა. საერო პირის გადასვლას სასულიერო ფენაში თან სდევდა და

სდევს სახელის შეცვლაც,[1] რაც ასახულია „ქართლის ცხოვრებაში: „პეტრე (ქართველი) ერისკაცობაში მურვანოსი იყო"; „ადარნასე მონაზონ იქმნა და ბასილი სახელ იდვა". ამიტომ ეწოდა „ადარნასე ყოფილი" „მონაზონქმნილი ბასილი". ანალოგიურია სუმბატ სვიმონქმნილი; დებორა დედისიმედს შეერქვა მონაზვნად აღკვეცის შემდეგ. მაგალითები ქართული მწერლობიდან: ე. ბარნოვის „ყოელად სამღვდელოს" პერსონაჟი ფრიდონი ეპისკოპოსად ეკურთხა და ფილარეტი დაერქვა; მისავე „თეთრ გვირგვინში" კი ეკითხულობთ: „დიაკვნობაში დაბერებულიყო ვანო, აწ იოანეო". „არქეოლოგიური ნაშთის" პერსონაჟს „მენანდრიანთ მელანიას მავრა დაერქვა მას შემდეგ, რაც იგი წმინდა სავანეს შეეფარა", შორენას – შუშანიკი (კ. გამსახურდია, „დიდოსტატის მარჯვენა")...

მაგალითები გასული საუკუნის რეალური ცხოვრებიდან: სქემმთავარეპისკოპოსი ანტონი ← ერისკაცობაში დავით აბაშიძე, მღვდელმონაზონი გერმოგენი ← გიორგი აბაშიძე, არქიმანდრიტი ამბროსი ← ალექსანდრე ალადაშვილი, არქიმანდრიტი ტარასი ← ტიმოთე ალექსი მესხიშვილი, იღუმენია ნინო ← ანა ამილახვარი.

3. სარწმუნოების შეცვლა. პიროვნების გადასვლა სხვა ქვეყნისა და სხვა სარწმუნოებრივ სივრცეში იწვევს მისი სახელის ფორმის ცვლილებას ან თვით სახელის შეცვლას, ახალი სახელი კი შეესაბამება მიმღები ქვეყნის ეროვნულ-სარწმუნოებრივ ფონდს. დავიმოწმებთ მაგალითებს ქართული მწერლობიდან: სპარსი გვირობანდაკი „ქრისტიანე იქმნა" და უწოდეს ევსტათი („ევსტათი მცხეთელის მარტვილობა"), წმინდა ირინეს ნათლისღებამდე ერქვა პენელოპია („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი").

სარწმუნოების შეცვლას ხშირად პოლიტიკა განსაზღვრავდა. მეფეები თუ მთავრები სხვადასხვა პოლიტიკური გარემოებით, ნებით თუ იძულებით, სხვა სარწმუნოებას იღებდნენ, რაც სახელის შეცვლასაც გულისხმობდა. მაგ., გამუსულმანებულ დავით XI-ს დაუთხანი უწოდეს, მეფე ვახტანგ VI-ს – შაჰ-

[1] გარკვეულ შემთხვევაში, თუ საერო პირი კალენდარული სახელითაა მონათლული, მას შეიძლება დარჩეს თავისი სახელი.

ნავაზი, გამუსულმანებულ კონსტანტინე კახთა მეფეს „თათრის ენით ერქო მამად-ყული-ხანი“ („დავითიანი“).

4. სახელის **ფორმის თუ თვით სახელის შეცვლას,** სარწმუნოებრივ სივრცესთან ერთად, განსაზღვრავს **ენობრივი, შეიძლება ითქვას, ერობრივი სივრცე.** ამ ფაქტს ჯერ კიდევ წარმართული ეპოქის სხვადასხვა ერის მითოლოგიის შედარებაც ადასტურებს, კერძოდ, რომაულ მითოლოგიაში ეხვდებით ბერძნული მითოლოგიის იმავე პერსონაჟებს – ადამიანებსა და ღმერთებს, ოღონდ რომაელების მიერ დარქმეული თეონიმებით: ჰერაკლე – ჰერკულესი, ზევსი – იუპიტერი, ჰერა – იუნონა, არტემიდე – დიანა, ჰერმესი – მერკური, ჰადესი – პლუტონი, პოსეიდონი – ნეპტუნი...

დავიმოწმებთ ფაქტებს ქართული ლიტერატურული ძეგლებიდან: „ვახტანგ უწოდა ძესა თვისსა სახელი სპარსულად დარჩილ და ქართულად დაჩი“ (ჯუანშერი, „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“); თვით ვახტანგიც სპარსული **ვარან-ხუასრო**თანგ-ის ქართული პარალელური ფორმაა. შამხლის ასულს, სალიჰას, საქართველოში ერთმა „ქართულად შეუკნინა“ და „სალიკო“ დაარქვა, მეორემ „სალიჰა ქართულ... სალომედ „შეუცვალა“ (ლევან გოთუა, „გმირთა ვარამი“). ჰაისტანის ტახტის მემკვიდრე აშხენი, შემდგომ საქართველოს დედოფალი, ანად მონათლეს (ვ. ბარნოვი, „ცოდვა სიჭაბუკისა“); ყივჩაღი ქალი, სახელად როქსანი, საქართველოს დედოფალი ხდება, ამიტომ მონათლეს და გურანდუხტი უწოდეს (გურანდუხტი სპარსული სახელია, მაგრამ ქართული სინამდვილისთვის არ იყო უცხო დუხტ-კომპონენტიანი სახელები: ჯერ კიდევ V ს-ში ვახტანგ გორგასლის დედას ერქვა საგდუხტი, დას – მირანდუხტი, პირველ ცოლს – ბალენდუხტი). ქართველი გლეხის, ზალიკას, დაღუპვის შემდეგ მისი ოჯახი იძულებული გახდა ბატონს გაჰქცეოდა. დამალვის მიზნით, დედამ „დაირქვა სომხობა“ და შვილებსაც სახელები გამოუცვალა: „თითონ დაირქო მათუა, ჩემს დას დაარქო შუშანა, მე დამარქო კარაპეტა“, – ამბობს ნოდარი, რომელსაც ესეც არ აკმარა ბედმა, შემდეგ გათათრდა, „ვგმე ქრისტეო“ და ოსმან-აღა დაირქვა.

განსხვავებულ ეროვნულ-ეთნიკურ გარემოში სახელცვლილების რეალური მაგალითებიდან დავიმოწმებთ საქართველოში დასახლებული სომხების სახელთა ცვლილებას. მიმღები (ანუ ქართული) ენის ფონემატური სტრუქტურის შესატყვისად, სახელი ზვართა თვითრქმევის შედეგად იქცა ზინა-დ, მიკირტიჩა – მიშა-დ... გურიაში გათხოვილი ერთ-ერთი ოსი ქალის სახელი ფროსია შეცვალეს სახელით – მაყვალა (მისი მაყვალიევით თვალების გათვალისწინებით), რუსეთში ჩასულ თბილისელ ბიჭს, სოსოს, საშას ეძახდნენ.

ერთი ენობრივი სამყაროდან მეორეში გადასვლისას ზოგჯერ საკუთარი სახელი ფორმას იცვლის და ახალ მოდელს ქმნის ან ორიგინალთან (პირველ სახელთან) მიმსგავსებული ახალი სახელი იქმნება: ადელი → ლიდა, ირინე → ირენ (მ. ჯავახიშვილი); მართას ფრანგმა ძიძამ მარტა დაარქვა (ნ. ლომოური, „წუთისოფელი“). რაფიელ ერისთავის თხზულებაში („Литературный вечер“) ერთი პერსონაჟი კითხულობს: „მაგდალინა ქართულია?.... მგონი ქართულად მაგდან უნდა იყოს“. რეალური ყოფიდან: გიორგი ბალანჩივაძე → ჯორჯ ბალანჩინი.

5. სახელისა და მისი ფორმის შეცვლის ტენდენცია მოქმედებს მაშინაც, როცა ხდება პიროვნების მიერ მხოლოდ ენობრივი სივრცის შეცვლა, **თუნდაც ამ ორ სივრცეს ერთმორწმუნეობა კრავდეს.** მიხეილ ჯავახიშვილის ერთ მოთხრობაში („ხუთი ამბავი“) ვკითხულობთ: რუსეთში დარჩენილმა ალეა ჯავრიძემ რუსი ქალი შეირთო ცოლად. მათ ერთი ქალიშვილი შეეძინათ. მამას სურდა ნინო ან თამარი დაერქმია მისთვის („მინდოდა ერთი ძაფი მაინც გამება ჩემს ქვეყანასთან და სახელი მაინც შემენახა დაკარგული მშობლისა“), მაგრამ ბავშვს მაინც რუსული სახელი ლუდმილა დაარქვეს. ჩვიდმეტი წლის რომ გახდა ლუდმილა, მამამ მაინც თავისი გაიტანა: შვილს „ქართული სახელი **მზეხა** დავარქვიო“. ეკ. გაბაშვილის ერთ მოთხრობაში („არ მიფიქრია“) ავტორის მიერვეა საგანგებოდ ხაზგასმული მსგავსი შემთხვევა: **„ნინა,** – რუსულად უთხრა ქმარმა ნინოს“; ქართველ ქალს, ხათუთას, შემდეგ უკვე ბიზანტიის დედოფალს, **ელენეს,** არქმევენ, ბერძნული სახელით ნათლავენ (ვ. ბარნოვი, „დედოფალი ბიზან-

ტიისა“). იური ბოგულობსკის საქართველოში გიორგი უწოდეს. გიორგი ბალანჩივაძე ამერიკაში ჯორჯი ბალანჩინი გახდა.

6. ***საკუთარი პიროვნების შენიღბვა*** აჩენს ფსევდონიმებს, რომელთა ერთი ნაწილი **საკუთრივ ანთროპონიმია**. არსენა მარაბდელი ქავთარს ირქმევს (მ. ჯავახიშვილი, „არსენა მარაბდელი“), ზურაბ გურგენიძე – ტიმოთეს (მ. ჯავახიშვილი, „ქალის ტვირთი“), ნინია – იაგორს (ეკ. გაბაშვილი, „საწყალი ნინია“). საბჭოთა ლიდერებს, მათ შორის, სტალინს, უამრავი შემნიღბავი სახელი ჰქონდათ.

7. სახელის შეცვლას დაბადების ან ნათლობის სახელის მოწონება-დაწუნებაც იწვევს. ე. ბარნოვი წერს: „სახელი ხომ უბრალო რამ წოდებაა, მაგრამ ამასაც შერჩევა უნდა, სჯობია თვითონ აირჩიოს ადამიანმა თავისი სახელი“. რეალურ ყოფაში არაიშვიათია საკუთარი სახელის დაწუნების გამო სხვა (დენოტატის გემოვნების შესაფერი) საკუთარი სახელის თვითშერქმევა (და არა ფსევდონიმის). ზოგჯერ იცვლიან სახელის ფორმას, რაც ხშირად სახელის გამოცვლას უტოლდება. მაგალითად, XX ს-ის ბოლოს არაერთი „ნანი“ შეიცვალა „ნანა“-დ. სახელი მარინე თითქმის მასიურად შეიცვალა მარიამით და მისი ფორმებით. მაგალითები ქართული მწერლობიდან: კვაჭი დიდი ხანი იტანჯებოდა თავისი პროზაული სახელით (ანაპოდისტე), რუსების ყურს „კვაჭიც“ ეხამუშებოდა, ამიტომ მან უმალვე დაირქვა – ნაპოლეონი. სილიბისტრო კვაჭანტირაძეს „ქრისტიანული სახელი დაუწუნეს და ჭიპი დაარქვეს“ (მ. ჯავახიშვილი). ტარიელ მელავაძეს მშობლებმა სასწრაფოდ გამოუცვალეს ნათლობის სახელი: „ტიმოთე, ნეტა, რა ვაუკაცის სახელიაო“ და ტარიელი უწოდეს (ეგ. ნინოშვილი, „ჩვენი ქვეყნის რაინდი“); ს. მგალობლიშვილის „წითელ სარჩულში“ ვკითხულობთ, რომ იუდამ „იუკადრისა იუდობა“, ე. ი. სახელი ეჩოთირებოდა; ბევრი ატრიალეს, ხან იროდი დაარქვეს, ხან იობი... ცოლი კი იაშას ეძახდა; ეგ. ნინოშვილის ერთ მოთხრობაში („პარტახი“) ქმარი დასცინის ცოლს: „პატიოსანი ქალი სახელად ლიზას რავა დეითქვამსო“ და მელანიას არქმევს; მეორე მოთხრობაში („ცოლი და ქმარი“) კი მელანიაა დაწუნებული და რძალს გინატრე დაარქვეს. ასევე სახელს უწუნებს თაყვანისმცემელი ლიზას და ხვა-

რამზეს არქმევს, თან დასძენს: „რა მშვენიერი სახელია, წმინდა ქართული სახელი“. ლიზა ხარხარებს ამ სახელის გაგონებაზე, მაგრამ მაინც თანხმდება თაყვანისმცემელს (ჭოლა ლომთათიძე, „უსათაურო“). მრავალსახელიან პირად გვევლინება ნ. ლომოურის ერთი მოთხრობის („წუთისოფელი“) პერსონაჟი სახელებით: მართა-მარტა-მარტა-ბერტა. ამ სახელთაგან პირველი ნათლობისაა, მეორე და მესამე – სხვების მიერ შერქმეული, მეოთხე (ბერტა) კი – თავად მოსახელის დარქმეული ნათლობის სახელის დაწუნების გამო (ს. მგალობლიშვილი).

ანთროპონიმის სხვა ანთროპონიმით შეცვლისა თუ შეთავსების ჯგუფები ამით არ ამოიწურება და შეიძლება მისი შემდგომი შევსებაც. მაგალითად, ახალშობილი ბავშვის გარდაცვლილი დედის ან მამის სახელით მონათვლა მომენტალურად იწვევს ამ სახელის ტაბუირებას, რადგან უჭირთ ან არ სიამოვნებთ იმ მიცვალებულის სახელის ხსენება. ბავშვს დაუყოვნებლივ მეორე საკუთრივ ანთროპონიმს არქმევენ. ტაბუირებული სახელი დროთა განმავლობაში ან აღდგება, ან მხოლოდ დოკუმენტურ სახელად დარჩება.

§2. მეორე სახელი – მეტსახელი

ა) ზოგადი მიმოხილვა. მეორე სახელთა ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო სახეა მეტსახელი. რატომ არქმევენ მეტსახელს? ამ კითხვაზე პასუხი არაერთგზისაა გაცემული. დავიმოწმებთ მოსაზრებას, რომელსაც, უმეტესწილად, ემთხვევა მეტსახელთა რქმევის სხვა კვალიფიკაციები. ვ. სიმინა, ძირითადად, ორ მიზეზს ასახელებს: 1. ქრისტიანული სახელის უცხოენოვნება, რაც იწვევს დენოტატზე ინფორმაციის სიმცირეს;
2. მოსახელეთა სიმრავლიდან (ვთქვათ, რამდენიმე ნიკოლოზიდან) კონკრეტული პირის გამოყოფა (სიმინა, 1969, 30). ჩვენ ამას დავუმატებთ მეტსახელის ინტიმურობას. საერთოდ, გვართან შედარებით, საკუთრივ ანთროპონიმი ინტიმურია. ინტიმურობაში ვგულისხმობთ არა მხოლოდ გარკვეული სახის ემოციას (ქეთი, ნინიკო...), არამედ, ზოგადად, სახელის ინდივიდუალიზაციის თვისებას. ვფიქრობთ, სწორედ ანთროპონიმის ინტიმურობა უდევს საფუძვლად მის უნარს – წარმოიჩნდეს სხვადასხვა

ვარიანტით (სუფიქსით, სუფიქსის გარეშე თუ შემოკლებით). ინდივიდუალიზაციის გათვალისწინებითა და კონკრეტიზაციის თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ, საკუთრივ ანთროპონიმთან შედარებით, მეტსახელში კიდევ უფრო მეტად იკვეთება არა მხოლოდ ინტიმურ-ინდივიდუალური, არამედ საკუთრივ ონიმური ფუნქციაც. ამ ფაქტის შედეგია, რომ მეტსახელი, საკუთრივ ანთროპონიმის პარალელურად, ხშირად იწვევს ამ უკანასკნელის (საკუთრივ ანთროპონიმის) გატოლებას გვარის პოზიციასთან, შემდეგ კი ერთგვარ კონკურენციას უწევს ამ წყვილს. მეტიც, ხდება მეტსახელის მიერ სახელ-გვარის დაჩრდილვა. მეტსახელის ნომინაციური ფუნქცია ზოგჯერ სჭარბობს ანთროპონიმული წყვილის – გვარისა და სახელის – ნომინაციურ ფუნქციას, რაც იწვევს უფრო მეტად მეტსახელის დატვირთვას სამისამართო ფუნქციით. ასეთ შემთხვევაში პიროვნება შეიძლება მეტსახელით დამკვიდრდეს, ვიდრე სახელ-გვარით.

შეიძლება ითქვას: საკუთრივ ანთროპონიმი გამოყოფს დენოტატს (რქმევის სუბიექტს) გვარიდან, მეტსახელი კი დენოტატს გამოყოფს ანთროპონიმიდან:

გვარი ⟶ ანთროპონიმი ⟶ მეტსახელი

მეტსახელთა ქმედითუნარიანობა განაპირობა სემანტიკადაბინდულმა კალენდარულმა სახელებმა, თუმცა არანაკლებ – სემანტიკადაუბინდავმა სახელებმაც (იამზე, გულსუნდა, ზვიადი...), რადგან მათგან ნაკლებად იწარმოება პარარელური ფორმები, საზოგადოებრივი თუ ემოციური ელფერის გამომხატველი. კალენდარულ სახელებში, მით უფრო, ქართულ სახელებში, ონიმურმა ფუნქციამ უკანა პლანზე გადასწია მათი დაჩრდილული თუ ხელშესახები შინაარსობრივი მხარე და სემანტიკური დატვირთვის მქონე ეს ლექსიკური ერთეულები ჩამოაყალიბა საკუთრივ ანთროპონიმების მზა ფორმულებად. ადამიანთა ურთიერთობა კი უფრო მეტ სიცხოველეს მოითხოვდა, რამაც გზა გაუხსნა მეტყველ სახელებს – მეტსახელებს.

მეტსახელი ზოგჯერ არა მარტო სხვებს ავიწყებს დენოტატის საკუთრივ ანთროპონიმს, არამედ თვით დენოტატსაც, ანუ ადამიანის ცნობიერებაში ხდება სახელდების ერთი, წინა ეტაპის ჩაძირვა და მისი ჩანაცვლება ახალი ნომინაციით. ეს რეალურად მიმდინარე პროცესია, რაც ელინდება შემდეგი მომენტით – ადამიანი აღარ რეაგირებს წინა სახელით (ან მისი ფორმით) ხმობისას. სამაგიეროდ, მის ყურს სწვდება პრაქტიკულად მოქმედი ანთროპონიმი – ეს იქნება მისი მეტსახელი თუ სხვა ტიპის მეორე სახელი. ფსიქოლოგიური ფაქტორი მაშინაც მოქმედებს, როცა დენოტატს ორი სახელი აქვს და ორივე მოქმედია, მაგრამ ერთი შინაურობაში, მეორე – ოფიციალურ გარემოში. ოფიციალურ გარემოში მის რეაგირებას არ გამოიწვევს ვინმეს მიერ წარმოთქმული ის სიტყვა-სახელი, რომელიც მის შინაურ სახელს ემთხვევა. ამ ექსტრალინგვისტური ფაქტორის საინტერესო მაგალითად წარმოვადგენთ ერთ-ერთი პერსონაჟის დამოკიდებულებას თავის ანთროპონიმთან (შაქრო) და მეტსახელთან (ტანტალა): „თვითონ ტანტალასათვის რომ გეკითხათ, ვინ იყო შაქრო გლახოს ძე თანდილაშვილი, უცბად ვერც კი მოიაზრებდა პასუხის გაცემას. მას ალბათ კარგა ხანი დასჭირდებოდა იმის გასახსენებლად, თუ ვინ იყო გლახო და მხოლოდ მამის შორეული აჩრდილი თუ მოაგონებდა მას, ოდესღაც სოფლის უბნებში მოტანტალე ბიჭს შაქრიას რომ ეძახდნენ... ვისაც სოფელმა შემდეგ მეტსახელად ტანტალა შეარქვა (მ. მრეველიშვილი, „საფრთხობელა“).

ვასილ ბარნოვი წერს: „უნდა იცოდე, რომ თელავში ყველას ორ-ორი სახელი ჰქვია, ერთი – ნათლობის, რომელიც **ბევრჯერ აღარც კი ახსოვს პატრონს, მეორე – საყოველთაო**“ („ისე ჩავკრა“). ვფიქრობთ, სიტყვა „საყოველთაო“ შესანიშნავად ახასიათებს მეტსახელის ბუნებას. მეტსახელთა საყოველთაობაზე მეტყველებს მწერალთა დამოკიდებულებაც ამ ფენომენთან. **ყაყიტა** – ასე წარმოგვიდგენს ს. მგალობლიშვილი პერსონაჟს და დასძენს: „მისი ნათლობის სახელი აღარც კი ვინმემ იცოდა, სულ ყაყიტას ეძახდნენ“ (ს. მგალობლიშვილი); ანალოგიურად, მხოლოდ დენოტატმა (სახელდებულმა) იცოდა თავისი ნათლობის სახელი **ფოფო**, ყველა **გმირისეულს** ეძახდა (ს. მგალობ-

ლიშვილი, „გმირისეული ქალი“). ზოგჯერ ასე ხდება ჩვენს სინამდვილეშიც: ნ. დუმბაძის „კუკარაჩას“ წაკითხვის შემდეგ არავის აგონდება ალბათ მეტსახელ **„მურტალოთი“** მონათლული პერსონაჟის სახელ-გვარი შალვა ხიზანიშვილი. კუკარაჩაც (გიორგი თუშურაშვილი) უფრო ამ მეტსახელით რჩება ჩვენს ცნობიერებაში. რეალურ ყოფაშიც (განსაკუთრებით, სოფლის ცხოვრებაში, მაგრამ – ქალაქშიც) ასეთი შემთხვევების არაერთი მაგალითის დასახელება შეიძლება. თბილისში ერთ ბიჭს მთელი ქალაქი იცნობდა მეტსახელით „შაია“, უმეტესობამ არ იცოდა მისი ნამდვილი სახელ-გვარი – დათო ცირეკიძე. მსგავსი მაგალითების დასახელება მრავალად შეიძლება. გ. ლეონიძე, რომელიც სიტყვათქმნადობის დიდოსტატია, მეტად საინტერესო და საყურადღებო ტერმინს გვთავაზობს იმ მოვლენის, იმ ადამიანების აღსანიშნად, რომელთა **ნათლობის სახელები** არათუ სხვებს აქვთ მივიწყებული, არამედ **თავადაც აღარ ახსოვთ**. ეს ტერმინია **„გასახელებული“**. ნათლობაზე „ვინღა არ იყო წეული?.. ისიც სულ გასახელებული ხალხი, ნათლობის სახელი თვითონაც რომ აღარ ახსოვდათ“ (გ. ლეონიძე, „ნატერის ხე“). **რეალური ყოფიდანაც** დავიმოწმებთ რამდენიმე მაგალითს. საკმაოდ უჩვეულო მეტსახელებმა არა თუ დოკუმენტურ სახელებად აქციეს დენოტატთა ნამდვილი საპასპორტო სახელები, არამედ თავად იქცნენ ოფიციალურ სახელებად. ეს უჩვეულო მეტსახელებია **ზუჩი** და **კაია**. ამ სიტყვებმა, ახალშობილებს მეტსახელის ფუნქციით რომ შეარქვეს, ნამდვილად გასწიეს საკუთრივ ანთროპონიმობა, რაც ჩანს შემდეგი ფაქტიდან: აღნიშნული პირების (ზუჩი შაედია, კაია გოგელია) მისამართით შესაბამის (არაოფიციალურ თუ ოფიციალურ) სიტუაციაში ჩვეულებრივ გამოიყენებოდა და გამოიყენება (მიმართვის ფორმულადაც): ქალბატონი (ან დეიდა, ბებია) ზუჩი, ქალბატონი (ან დეიდა, ბებია) კაია. საკუთრივ ონიმებად ქცეულ ამ მეტსახელთა ეტიმოლოგიას შევეხებით ქვემოთ, მეტსახელთა სემანტიკურ ჯგუფებში. საკუთრივ ონიმებად ქცეული სახელებია სტალინი, ლენინი (ამხანაგი სტალინი, ამხანაგი ლენინი).

ქრონოლოგიური თვალსაზრისით, მეტსახელი, ანთროპონიმული სისტემის უძველესი სახეობა, წინ უსწრებს საკუთრივ

ანთროპონიმს. მისი არსებობა ძველი წელთაღრიცხვის შორეულ საუკუნეებში მოჩანს, რასაც ადასტურებს, ვთქვათ, ბერძნული მითოლოგიაც: მითური პერსონაჟები სწორედ მეტსახელებით არიან ცნობილი. ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ მითებშივე მათს **მეტსახელებს საკუთრივ ანთროპონიმის სტატუსი აქვთ მინიჭებული: პრიამოსი** (ანუ გამოსყიდული) დაერქვა პოდარკეს, რომელიც დამ (ჰესიონემ) გამოისყიდა მანდილით; დამასტე ცნობილია მეტსახელით – **პროკრუსტე** (=გამწელავი გავიხსენოთ გამოთქმა: „პროკრუსტეს საწოლი"). მეტსახელი-ანთროპონიმია თვით **ჰერაკლეც,** რაც ნიშნავს ჰერასგან დევნის შედეგად საგმირო საქმეების ჩამდენს. ბერძენთა ამ ეროვნული გმირის პირველი სახელია ალკეოსი//ალკიდი, რაც დევგმირს ნიშნავს. ცნობილია, რომ პლატონი (რაც მაღალშუბლიანსა და ძლიერს ნიშნავს) ქრონოლოგიურად შემდგომი სახელი, მეტსახელია ბერძენი ფილოსოფოსისა, რომელიც დაბადებისას სახელდებული ყოფილა ძველბერძნული სახელით – არისტოკლე. მაგალითების ჩამოთვლა საუკუნეების წიაღიდან საკმაოდ შეიძლება.

ანალოგიურად, „ქართველ ტომებში ძველთაგანვე ჰქონიათ ჩვეულება ოფიციალური სახელის პარალელურად მეორე სახელის შერქმევისა. უფრო მეტიც: რქმევის თავდაპირველი ონიმური სახე ჩვენში (და არა მარტო ჩვენში) სწორედ მეტსახელური იყო. „ქართული ხალხური ზღაპრების პერსონაჟთა სამყაროზე დაკვირვება ცხადყოფს, თუ თიკუნიდან როგორ განვითარებულა საკუთარი სახელი", – წერს პროფ. ალ. ღლონტი და მაგალითებად მოჰყავს ჯერ ზღაპრების პერსონაჟები: ირმისა, სიზმარა, ნასყიდა, წყალიყლაპია, ჩიტიკალია, ცაჭვრეტია, მუჭანახევარა, ჭინჭრაქა, ასფურცელა... შემდეგ კი ჩამოთვლის გასაკუთარსახელებულ მეტსახელებს: ძაღლიკა, ვეფხვია, ლომა, მგელიკა, კურდღელა, ყორანა... არმინდა, გინატრე, მეწყინა... ეს საკუთარი სახელები „ჯერ კიდევ უფრო მეტსახელთა იერს ატარებენო". აქვე აღნიშნულია, რომ სწორედ „მეტსახელები უდევს საფუძვლად ძველი და ახალი აღთქმის წიგნების ონომასტიკონის მთავარ ნაწილსაც" (ალ ღლონტი, 1986, 40).

მიუხედავად ქრონოლოგიურად ასე ღრმად გადგმული ფესვებისა, ქართველ მწერალთა თხზულებებზე (V-XIX ს) დაკვირვებამ გამოავლინა, რომ ძველ და საშუალ ქართულ სალიტერატურო ძეგლებში მეტსახელები ნაკლებად გამოიყენებოდა (გოდერძიშვილი, 1990). წარმოვადგენთ რამდენიმე მაგალითს ისედაც მწირი მონაცემებიდან: **შუშანიკი** („შუშანიკის წამება") გაანთროპონიმებული, საკუთრივ ანთროპონიმად ქცეული მეტსახელია მამის მიერ სახელდებული ვარდანისა; „რუსუდანიანის" ორ პერსონაჟს მხოლოდ მეტსახელებით ვეცნობით: **ატიტინე** და **ილაპარაკე** („ესოდენ განმრავლებულიყო მათი ყბედობის ამბავი"); იოანე ბატონიშვილი „კალმასობაში" წარმოგვიდგენს ვინმე კიკოს, რომელსაც **ცხრაწვენა** დაერქვა, რადგან „ცხრა გვარი გამოიცვალა". აქვე ეხედებით მეტსახელებს: **თავრბილა, თავხმელა, თავწითელა**; სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკებში – **ავსიტყვა**. არც ისტორიული წყაროები ქმნის ამ მხრივ ამინდს. შეიძლება მოვიგონოთ დავით აღმაშენებლის ძის, ვახტანგის, მეტსახელი – **ცვატა**.

მეტსახელთა ხმარება ფეხს იკიდებს XIX საუკუნის მწერლობაში. მიზეზი, ვფიქრობთ, ისაა, რომ ამ პერიოდის მწერლობა, ძირითადად, საეროა და რეგიონად უმეტესად არაქალაქური გარემოა წარმოდგენილი; მეტსახელებს კი სწორედ ეს სივრცე ქმნიდა და ქმნის დღესაც. სოფელი, შეიძლება ითქვას, მთლიანად წარმოადგენს მეტსახელთა ქმნადობის ბუდეს. XIX ს-ის რეალისტ მწერალთა შემოქმედებაში მეტსახელებით გამოირჩევა **გიორგი წერეთლის** თხზულებები, სადაც დაახლოებით 40-მდე მეტსახელი გვხვდება. აქედან 18-მდე **მეორე სახელი** (ანუ არა მხოლოდ მეტსახელი) ოდენ ერთ თხზულებაშია („ჩვენი ცხოვრების ყვავილი"). ესენია: დაზგა, ხარისთვალა, ბაიყუში, სვია, თავკატუშა, ხრიკა, თავხოკერა, თხისტვინა, ჩახუნდარა, ფანტურა, მეზვერე, კატუნია, ოქროპირი. **„გულქანში"** 11 მეორე სახელია. მათგან მეტსახელებია: გვრიტია, უკარება, რუსეთუმე, ჭუტა, ჭოტი, ბრუციანი; **„პირველ ნაბიჯში"**: ჯგირიკოჩა, წუნკალა; თხზულების სათაური „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა" მეტსახელებისგანაა შედგენილი. აქვეა ბლუკუნა და შარლატანსიმუსი. **რაფიელ ერისთავის** თხზულებებში და-

დასტურებულია მეტსახელები: ნაგლეჯუა, ჭყეტია, ყბაგრეხია, ფაფაყლაპია, ქლესია, თხლეჭამია, ქაჩუა; **ლ. არდაზიანის თხზულებებში**: აქლემა, მუცელღმერთა, ნემსიყლაპია, წიპლონკა, ქათამა, ტელეგრაფი, მუჭატყუილა.

მეტსახელები თითო-ოროლაა **ილიასთან**, შედარებით მეტია **აკაკისთან**. მეტსახელების ხმარებასთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძის პოზიციაზე საგანგებოდ ჩერდება ბ. ბარდაველიძე. იგი წერს, რომ ილიამ შეგნებულად უარყო მოლაპარაკე სახელების გამოყენების პრინციპი, რადგან „პერსონაჟის სახელით ან გვარით დახასიათების ხერხი... შედარებით იოლი გზით სიარულსაც ნიშნავსო“ (ბ. ბარდაველიძე, 1967, 75). ამასთან დაკავშირებით უნდა ვთქვათ, რომ სახელის, მათ შორის, მეტსახელის დარქმევა პერსონაჟისთვის არცთუ იოლია. ეს შემოქმედებითი პროცესის ერთი სერიოზული და საპასუხისმგებლო ნაწილია. თავისთავად, მეტსახელის გამოგონება შეიძლება არ იყოს რთული, ისე როგორც, ერთი შეხედვით, არ უნდა იყოს რთული, მწერალი პერსონაჟს თამარს დაარქმევს თუ მელანოს, მაგრამ ეს – ერთი შეხედვით. საქმე მიგნებაა. მხატვრულ ტიპს მწერალმა კი არ უნდა დაარქვას, არამედ უნდა მოარგოს ესა თუ ის ონიმი – საკუთრივ ანთროპონიმი, ეპითეტიანი სახელი, მეტსახელი თუ კვაზიონიმი. ეს კი, როგორც აღვნიშნეთ, რთულ შემოქმედებით პროცესთან არის დაკავშირებული. ამ გზას არ გაურბის ილია. იგი სრული სერიოზულობით ეკიდება პერსონაჟთა სახელდებას, რაზედაც ჩვენ შესაბამის ადგილებში საგანგებოდ ვამახვილებთ ყურადღებას. აქ დავიმოწმებთ პერსონიმს – ლამაზისეული. ეს არ არის მეტსახელი. იგი, რა თქმა უნდა, მწერლის მიერ გამომსახველობითი ფუნქციით მოგონილი სახელია. ეს სახელი ისეთივე ნაყოფია ილიას შემოქმედებითი რუდუნებისა, როგორიც თავად ამ სახელით მონათლული პერსონაჟი. დაბოლოს, ჩვენ ისევ ბ. ბარდაველიძის სიტყვებს გამოვიყენებთ ილიასთან მეტსახელების ნაკლებად ხმარებულობის მოტივაციისთვის: „ილიას საკმაოფილებდა ისიც, რომ ესა თუ ის სახელი ან გვარი უკვე თავისთავად ატარებდა სოციალური თუ ემოციური შეფერილობის იერს“ (იქვე). ასე რომ, სწორედ ამით უნდა აიხსნას ილიას ან-

თროპონიმიკონში მეტსახელთა სიმცირე. აღსანიშნავია ისიც, რომ ილიას მიერ ტიპებად ჩამოყალიბებული პერსონაჟთა სახელები თავად იქცნენ მეტსახელებად (ლუარსაბ თათქარიძე, ლამაზისეული, ოთარაანთ ქვრივი...).

განსაკუთრებული გაკვირვება შეიძლება გამოიწვიოს იმ ფაქტმა, რომ **მეტსახელთა სიმცირით გამოირჩევა ვაჟა-ფშაველასა და ალ. ყაზბეგის** თხზულებები. ვაჟასთან ათამდე მეტსახელია: უძმოს-ძმა, პარახოტა, დევა, გუგული, წიწმატა, მუცელა, გოგრა, მერცხალა... ალ. ყაზბეგის თხზულებებში მხოლოდ ერთი მეტსახელი მოვიძიეთ: **აპრაკუნე** („ციცია"). ამ ორი მწერლის შემოქმედებაში მეტსახელთა სიმცირის მიზეზად საფიქრებელია შემდეგი: ვაჟას პერსონაჟები (მთიელები) სახელდებულნი არიან მთაში ლოკალიზებული ანთროპონიმებით, რომელთა დიდი უმრავლესობა სწორედ მეტსახელური წარმოშობისაა: ძაღლიკა, ვეფხვია, ფოცხვერა, კურდღელა, ქალთამზე, მზექალა. გარდა ამისა, მეტსახელის საჭიროებას განაპირობებს მისი გამორჩეულობით-განმასხვავებლობითი ფუნქცია. ასეთი ფუნქციის მატარებელი დამატებითი სახელის საჭიროებას კი უფრო კალენდარული სახელი იწვევს. ლუხუმს, აღაზას, ზვიადაურს, ჯოყოლას, წიწოლას... მეტსახელები არ სჭირდებათ თავიანთი სახელების კოლორიტულ-ეგზოტიკური ელფერის გამო. მით უფრო არ სჭირდება მეტსახელი ძაღლიკა-მგელიკათი სახელდებულს. საყურადღებოა ალ. ყაზბეგის ცნობაც: „ჩვენს მთაში თავის დღეში მაგალითი არ ყოფილა, რომ რომელიმე ღირსებისათვის მეტი სახელი დაერქმიათო" („ხევსურები და ხევსურეთი"). ეს საკმაოდ საინტერესო განაცხადია, მაგრამ აქ ლაპარაკია მეტსახელზე და არა, საერთოდ, მეორე სახელზე, რაც მთაში წესადაა მიღებული. მაგალითად დავასახელებთ ს. მაკალათიას მიერ დამოწმებულ დავით ბალიაურის ხუთ სახელს, რომელთაგან ყველა საკუთრივ ანთროპონიმია და არა მეტსახელი. ხუთიეეს თავისი დანიშნულება აქვს. ესენია: „კალენდრის (პეტრე), სულის (დავითი), ხატის (გიორგი), რძლის (ხირჩლა) და ბიცოლასი (ბეწიკუა)" (მაკალათია, 1935, 193). ამ ხუთი სახელის მოტივაცია არის ტრადიცია და არა პიროვნების ამა თუ იმ თვისების გათვალისწინება. მეორე მხრივ, ს. მაკა-

ლათია გვაწვდის ცნობას, რომ „თუშებში გავრცელებულია „თიკვანი“ (ზედმეტი სახელებიც): ყარტულა, ჯანდაგი, შებუ, ტოპრაკა, და სხვა“ (ს. მაკალათია, 1933, 164, 218). ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ ვაჟა-ფშაველასა და ალ. ყაზბეგის თხზულებები არ გამოირჩევა თიკუნთა სიხშირით. ალბათ ისინი მთის კოლორიტული სახელების გვერდით მეტსახელებს ნაკლებმეტყველად მიიჩნევდნენ. მთის კოლორიტული სახელები – ეს ის სიტყვებია, რომლებიც წარმოიქმნა წარმართულ ეპოქაში. მთაში, საზოგადოდ, ქრისტიანობა უფრო მძიმედ იკიდებდა ფეხს. აქ ქრისტიანობას შედარებით გვიან ეზიარნენ, ვიდრე დანარჩენ საქართველოში. შესაბამისად, კალენდარული სახელებიც გვიან გავრცელდა. ყოველ შემთხვევაში, კალენდარული სახელები XIX ს-შიც კონკურენციას ვერ უწევდა ადგილობრივ კოლორიტულ სახელებს, რაც აისახა მთის ხალხის ტრადიციით გაჯერებული ყოფის აღწერისას, მთიელი პერსონაჟების ხატვისას.

მეტსახელთა ხმარებით განსაკუთრებით გამოირჩევა აღმოსავლეთ საქართველოს **ბარის რეგიონები**, რადგან აქ რქმევის ოფიციალურ სახეობად თავიდანვე დამკვიდრდა კალენდარული სახელები.

გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ ხალხოსნებთანაც მეტსახელების მცირე რაოდენობა გვხვდება. თითქოს ამ მიმართულების მწერალთა თხზულებებში ჭარბად უნდა გვეპოვა მეტსახელები. ისინი ხომ ხალხთან დაახლოებული მწერლები იყვნენ, მათი ინტერესების გამომხატველნი და დამცველნი. მათს თხზულებებში გაშუქებულია სოფლის, კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოს ბარის რეგიონების მკვიდრთა ცხოვრება. მათთვის კი მეტსახელების ხმარება არ ყოფილა იშვიათი მოვლენა. ეს რეალური ფაქტი ხალხოსან მწერალთა შემოქმედებაში ნაკლებადაა წარმოჩენილი. ეკატერინე გაბაშვილის თხზულებებში სულ რამდენიმე მეტსახელია დამოწმებული. ესენია: ჩიტუნია („ჩიტუნია“), ორენა („ორ-ენა“), ზესტაფონე („რომანი დიდ-ხეეაში“), ბებიასეული („ბებიასეული“). დასტურდება სხვა ტიპის მეორე სახელებიც (ჭკუის კოლოფი...). მეტსახელების სიჭარბე არც ნიკო ლომოურის თხზულებებში გვაქვს: ქაჯანა

(„ქაჯანა“), სულიკო („წუთისოფელი“), აკაკუნე, ჩიორა („დეიდა სიდონია“); შიო არაგვისპირელთან: ირემა, ლომა („გაბზარული გული“).

მეტსახელების სიხშირის თვალსაზრისით, ხალხოსან მწერალთაგან გამოირჩევა სოფრომ მგალობლიშვილი. მის თხზულებებში 50-მდე მოგონილი სახელია დამოწმებული. მათგან 29 მეტსახელი ერთ ნაწარმოებშია („წარსულიდან“): ყეყეჩა, ლომათაგვა, ყვავი, ცხვირა, თხუნელა, ყვინჩილა, სეროფა, ქიშმიშა, თხისტვინა, ბორა, პოხრო, ბაკმანა, ჩიბუხა, პურჭყია, დიკარა, კომეჭა, ყარაბოღლი, ცალთვალა, კოკნიმა, კბილა, თოფოლოღლი, ოროსპოღლი, მგელი, ბარბოსა, კვანტალა, ბოტი, ცანცარა, გალაბო, ავყია. უმეტესობა ამ მეტსახელებისა თხზულების ამა თუ იმ თავის სათაურადაა გამოტანილი. დანარჩენი მეტსახელები მწერლის სხვადასხვა მოთხრობაშია გაბნეული. ესენია: ცეცო, ღოჯა („ღამის მეხრე ცეცო“), გმირისეული („გმირისეულის ქალი“), თუნია („დემეტრეს სახლობა“), გლუხარიჩი („ჯორზაქარა“), ყაყიტა („ყაყიტას ქურდები“), კომეჭა („სიყმაწვილის მოგონებანი“).

როგორც დაეინახეთ, მეტსახელთა ხმარების ტრადიცია, ასე თუ ისე, მკვიდრდება XIX ს-ის ქართულ მწერლობაში, XX ს-ის 20-30-იან წლებში კი მათი ხმარების არე უფრო გაფართოვდა. ამ მხრივ კვლავ გამოირჩევა აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონი, ხოლო უიარაღოს, ეგ. ნინოშვილის, დ. კლდიაშვილის შემოქმედებაში მეტსახელები ერთეული რაოდენობით გვხვდება. ჭოლა ლომთათიძის შემოქმედების ერთ-ერთი მთავარი თემაა მეფის თვითმპყრობელობის სატუსაღო. აქ არ დომინირებს დასავლეთ საქართველოს ყოფა. ამიტომ მის თხზულებებში შედარებით მეტადაა მეტსახელები. ესენია: შაეთვალა, პაპაშა, ბედუინი, მორდა („საპყრობილეში“), მოზვერი, ხასანა („პირველი მაისი“), გიტარა, ქვა („თეთრი ღამე“), დილავარდისა, ხოზიკა („ძე კაცისა“). რაც შეეხება **ვასილ ბარნოვს**, მას, ძირითადად, ისტორიული თხზულებები აქვს. ეს განაპირობებს მეტსახელთა ნაკლებობას: ხუნძაყი („ხურდა“), პაპარკონია, თავდიდა („სოედაგარი“), ტიტიბა, ყოჩი („ისნის ციხეკარი“)... ამ თვალსაზრისით, ცალკე დგას მისი ერთი მოთხრობა – „ისე ჩაეკრა“,

რომლის პერსონაჟები, მართალია, მეტსახელებით არ არიან მონათლული, მაგრამ მწერალი სახელდების ამ სიტყვებს ცნობის სახით გვაწვდის: „უნდა იცოდე თელავში ყველას ორ-ორი სახელი ჰქვიან. ერთი – ნათლობის, რომელიც არც კი ახსოვს პატრონს, მეორე – საყოველთაო“. შემდეგ ჩამოთვლის მეტსახელებს: ნოღა, ტიტიბა, ლიმონა, ღერინჭილა, დუმბაცა, წრუტა, ჭიდაო, ლაჯიანი, ქურახანა... ამ ტრადიციის გათვალისწინებით, ერთი პერსონაჟის, თელაველი მედუქნის, სახელად დასახელებულია მეტსახელი **აბრუნდი**. სწორედ ამ მეტსახელის (აბრუნდის) ხმარებამ გამოიწვია მოთხრობაში ზემოთ წარმოდგენილი განმარტება და მეტსახელთა ჩამონათვალი.

XX ს-ის 20-30-იანი წლების ქართულ მწერლობაში მეტსახელთა სიხშირით გამოირჩევა მ. ჯავახიშვილის თხზულებები. მწერალს 80-მდე მეტსახელი აქვს გამოყენებული. აქედან 25-მდე მხოლოდ ერთ მოთხრობაშია („მდევარი“), სადაც მოქმედება სოფელში ხდება და, სადაც, როგორც ავტორი გვეუბნება, ბიჭი არ მოიპოვება, რომ ერთიმეორეზე უცნაური და ზედგამოჭრილი მეორე სახელიც არ ჰქონდეს. ასეთებია: ორშაურა, კუპრაჭა, ცქვლიფი, მისწრება ატყაპუნე, ბელტიყლაპია, ბუდეჭამია, ბაჭატო, დამპალა, მეჯეჭა, დოყლაპია, დოსვლეპია, ჭიყალა, ცხვირსათითე, ცხვირკოდოლა, ფეხბარი, თითიღეჭია, ორგროშა, ლუღლუღა, ბატიჭამია, წვერჭამია, მაჩვი-ბიჭი, კანჭა-ბიჭი, ჩიყი-ბიჭი, გოჭი-ბიჭი, თრითინა-ბიჭი... მეორე სახელთა სიმრავლით „მდევრის“ შემდეგ გამოირჩევა „არსენა მარაბდელი“. ამ რომანში ოცდაათამდე პერსონაჟი მოხსენიებულია მეორე სახელით, რომელთა დიდი ნაწილი მეტსახელია:[1] ჩიტირეკია, ციყვი, ორბი, თხუპნია, ტურა, მაჩვი, მგელი, აქლემი, ობობა, ჯორცხენა, ცალყურა, ბაბახანი, ფხანია. თავად არსენა მარაბდელის (სოსოს) მეტსახელია გორდა. მ. ჯავახიშვილის სხვა მოთხრობებში დასტურდება მეტსახელები: კურკა, ცხვირა, მუსუსი, ღინღლი,

[1] ნაწილი კი კვაზიონიმია: ცალთვალა დევი, მეტი რა გინდა, ჩემთვის სულერთია, ეშვიანი მტრედი, შავი ქვრივი, შავი ანგელოზი, მიწის მგელი... (იხ. შემდეგი პარაგრაფი – „აღწერითი სახელი-კვაზიონიმი“).

ანგელოზი, ბოძი, ჩანჩურა, ბერი, ჯიქი, არწივი, ფოცხვერი, ტოგო, ლამბალო, ყბაჩა, ჭიაყელა...

მეტსახელი შეფასებითი სიტყვაა, შეფასება-გადაფასების კვალობაზე კი არაიშვიათია მრავალმეტსახელიანობა. ხშირად პერსონაჟი ორი და სამი მეტსახელითაა სახელდებული. სამი მეტსახელი აქვს ტატე კახნიაშვილს (ს. მგალობლიშვილი, „მეეელე"), ორი – დარეჯანს (ვაჟა, „დარეჯანი"), სამი კერპაძეს (ლ. არდაზიანი, „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი"), ხუთზე მეტი სახელი – დიტოს (გ. წერეთელი, „ჩვენი ცხოვრების ყვავილი").

როგორც აღვნიშნეთ, მეტსახელთა ფონდს ხშირ შემთხვევაში პროვინციული გარემო ქმნის. თანამედროვე ეპოქაში მეტსახელთა პროდუქტიულობით გამოირჩევა ქალაქებიც. რეალურ ყოფაში, ასე ვთქვათ, სახელშემოქმედება განსაკუთრებით ახალგაზრდობისთვისაა დამახასიათებელი.

გარკვეული სემანტიკური დატვირთვით გაჯერებული სახელი უფრო ემოციურიცაა და უფრო ინდივიდუალურ-ინტიმურიც, რაც მათს ბუნებას ეხმიანება. რაც მთავარია, ამ ეტიმოლოგიურად გამჭვირვალე სახელების მოგონება შემოქმედებითი პროცესია და ამ შემოქმედებით პროცესში, ნებსით თუ უნებლიეთ, უშუალოდ ახალგაზრდობაა ჩართული. საერთოდ, ხალხია ამ ერთიანი შემოქმედებითი პროცესის – მეტსახელებით სახელდების – ავტორი. ეს ფაქტი (მეორე სახელების რქმევა) ერთგვარ ხალხურ შემოქმედებადაც შეიძლება აღვიქვათ. მეტსახელთა ასეთი საყოველთაობა განაპირობებს სახელთა სისტემაში მათი კლასიფიკაციის საშუალებასაც და აუცილებლობასაც.

ბ. მეტსახელთა სემანტიკური ჯგუფები

მეტსახელის გამორჩეულ ინდივიდუალობას განსაზღვრავს და ქმნის ობიექტურად არსებული ინდივიდუალურ-კერძოობითი მიზეზები. მეტსახელთა შესახებ დაწერილ სტატიებში ხშირად ავტორთა მიერ ჩამოთვლილია ეს მიზეზები და ისინი თითქმის ყველა ერთმანეთს ემთხვევა.

ქართულ ლიტერატურულ და ყოფით (ჩვენ მიერ მოძიებულ და „სიღნაღი–2“) მასალაზე დაყრდნობით წარმოვადგენთ მეტსახელთა შემდეგ მოტივირებულ ჯგუფებს, რომელთაგან ზოგი უკვე აქამდე გამოყოფილ ჯგუფს ემთხვევა:

1. გარეგნობის გამომხატველი მეტსახელები;
2. ქცევისა და მოქმედების აღმნიშვნელი მეტსახელები;
3. შინაგანი ბუნებისა თუ ხასიათის გამომსახველი მეტსახელები;
4. საზოგადოებრივი მდგომარეობის აღმნიშვნელი მეტსახელები;
5. ამოჩემებული სიტყვისა თუ საგნის მიხედვით შერქმეული მეტსახელები;
6. ერთხელ(ერთჯერადად) ნათქვამი სიტყვის მიხედვით შერქმეული მეტსახელები
7. გონიერება-უგუნურობის, განათლება-გაუნათლებლობის მაჩვენებელი მეტსახელები;
8. მოღვაწეობის, გაცნობისა თუ სხვა კონკრეტული ადგილის მიხედვით შერქმეული მეტსახელები;
9. წარმომავლობის მიხედვით შერქმეულული მეტსახელები;
10. გვარიდან წარმოქმნილი მეტსახელები;
11. მამის სახელები (отчество) მეტსახელთა სტატუსით;
12. სხვისი (მამის, დედის, ნათესავის, ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი პირის ან პერსონაჟის) სახელები მეტსახელებად;
13. სემანტიკადაბინდული მეტსახელები;
14. საოჯახო მეტსახელები.

წინასწარ აღვნიშნავთ, რომ სხვადასხვა სემანტიკურ ჯგუფს შორის ზოგჯერ მკვეთრი მიჯნის გავლება ჭირს. განსა-

კუთრებით ეს ითქმის, ერთი მხრივ, ქცევისა და მოქმედების აღმნიშვნელ და, მეორე მხრივ, შინაგანი ბუნების, თვისებისა და ხასიათის გამომხატველ მეტსახელებზე. მიზეზი ისაა, რომ ადამიანის ხასიათი და ბუნება მის ქცევასა და მოქმედებაში ვლინდება, მაგრამ ხასიათი და მოქმედება მაინც სხვადასხვა სემანტიკური ოდენობაა. ამიტომ გამოვყავით ისინი მეტსახელთა ორ განსხვავებულ სემანტიკურ ჯგუფად. ერთმანეთს შეიძლება დაემთხვეს პირველი (1) და მეათე (10) ჯგუფი, როცა მეტსახელით სახელდების წარმმართველ წყაროდ მე-10 სემანტიკური ველია. სხვისი სახელის გამოყენებას მეტსახელად ზოგჯერ განაპირობებს ადამიანის გარეგნული მსგავსება იმ სახელით სახელდებულ პირველწყაროსთან. **„პუშკინა“** შეესაბამება მე-10 ჯგუფს („სხვისი სახელები მეტსახელებად“). ამ მეტსახელს კი ეძახდნენ კაცს, რომელიც ბაკებს ატარებდა. ამიტომ იგი გარეგნობის აღმნიშვნელთა ჯგუფსაც შეიძლება მიეკედლოს, მაგრამ ჩვენ შევიტანეთ იმ სემანტიკურ ველში, რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში წარმმართველია (მე-10, სხვისი სახელი მეტსახელად). ორმაგი სტანდარტის მეტსახელებია: **ლიმონა,** რომელიც დაარქვეს კაკოს, რადგან: ა) ნაღვლის ჩაქცევით გაყვითლებულიყო (გარეგნობა), **ბ)** „ცოტა ხასიათიც მჟავე აქვსო“ (თვისება – ნ. დუმბაძე, „თეთრი ბაირაღები“); **გმირისეული** – „გოლიათის სიმაღლესა და სისრულესთან ძალ-ღონეც მოსდევდა (ს. მგალობლიშვილი, „გმირისეული ქალი“). ამ ტიპისაა: **მურტალო** (ხასიათი და მოქმედება), **ხინკალა** (მოქმედება და ამოჩემებული საგანი; პელე (მოქმედება – ფეხურთის თამაში, გარეგნობა – მსგავსება ბრაზილიელთან, ამოჩემებულად ყავა „პელეს“ სმა – ამ სამი მონაცემიდან, ქიზიყში, პ. ცხადაიას ცნობით, მეტსახელად დაფიქსირდა მესამე).

მეტსახელთა სემანტიკურ ჯგუფებს წარმოვადგენთ მხატვრულ თხზულებებში დამოწმებული და რეალურ ყოფაში (სოფლად თუ ქალაქად) ჩვენ მიერ მოძიებული მაგალითებით და ლექსიკონებში (განმარტებისას მეტ-ნაკლებად დაცულია ინფორმატორთა სტილი).

1. გარეგნობის გამომხატველი მეტსახელები: აქლემა – „იყო აკვლანჭული... აქლემსავით უსწორმასწორო“; **წიპლონკა** –

„იყო დალეული, წირპლიანი და გამხდარი“ (ლ. არდაზიანი); **ბაში-აჩუკი** – „ფაფანაკით რომ მხედავენ, უქუდო ეგონივარ, თავმოხდილი და მათებურად ბაში-აჩუკი თავმოხდილს ნიშნავს“ (აკ. წერეთელი, „ბაში-აჩუკი“); **იუდა** – დაარქვეს გოჯასპირს, რადგან „უსახო რამ იყო“ (აკ. წერეთელი, „როგორ გადაყვა თავ. გოჯასპირი თავის ულვაშებს“); **ჩახუნდარა** – კოჭლი იყო (გ. წერეთელი, „ჩვენი ცხოვრების ყვავილი“); **ყვავი** – „სწორედ ახლად გამოჩეკილ ყვავის ბარტყსა ჰგავდა“; **ბარბოსა** – „ლაშები ქოფაკ ძაღლს მიუგავდა“; **დიკარა** – „ერთობ შავი იყო“. კომენტარი არ სჭირდება მეტსახელებს: **ღოჯა, კბილა, ცხვირა** (ს. მგალობლიშვილი „წარსულიდან“); **მორდა** (ჭ. ლომთათიძე, „საპყრობილეში“); **კნაჭა-ბიჭი** – მაღალია და „ფეხებიც გრძელი აქვს“ (მ. ჯავახიშვილი, „მდევარი“); **აქლემი** – „მართლაც აქლემის თავი, მისებრ გაბერილი მუცელი და უზომოდ გრძელი ხელ-ფეხი ჰქონდა“; **ცალყურა** – ხანჯლით ყური ჰქონდა ჩამოთლილი (მ. ჯავახიშვილი, „არსენა მარაბდელი“); **შაშუბეშა** (ნ. დუმბაძე, „მზიანი ღამე“); **ჭყეტალა** – „ბევრ ხახვს ჭამდა და თვალები სულ ამოწითლებული და ამოწირპლული ჰქონდა“, **ღრანჭიანი** – ღრანჭი ჰქონდა მოქცეული („ნუ გეშინია, დედა“); ***კუკარაჩა*** – „სიშავის გამო შემარქვეს“ („კუკარაჩა“); **ბურძგლა** – „თმა ჰქონდა ზღარბივით აბურძგნილი“; **ყვაპუტა** – „ექვთიმეს ყვაპუტას მისი მორჩილი ტანისა და სიმსუქნის გამო ეძახდნენ“ („დიდრო“); **აიტუზა** – სანდრო, თავისი „ახმახი ტანის გამო მეტსახელად „აიტუზად“ მონათლული სოფლად“ – „აიტუზამ მხრები აიჩეჩა“ (მ. მრევლიშვილი, „ხარატაანთ კერა“); **ხალიანა** – გოგონას ყელის ძირში პეპელასავით ხალი ჰქონდა. მისი ნათლობის სახელი (მარინე) უმალ დაივიწყეს (ლ. გოთუა, „გმირთა ეარამი“); **წიპრუა** – „წიპრუა... იქნებ მთვარემ გაავსოს, თორემ სანამდე უნდა იაროს ასე დალეულმა და გამოჩხინკულმაო“; **ცერო** – „მღვდელი ცერად იყურებოდა და სოფელში „ცეროს“ უძახდენ ზედსახელად“ (გ. ლეონიძე, „ნატერის ხე“).

რეალურ ყოფაში დადასტურებული ანალოგიური მეტსახელები: **ვიწროპირა** – დიდი პირის მქონე; **გრუზა** – შავი და სქელი თმის მქონე; **შავა** – შავგვრემანი ქალი; **მაჭიტა** – თონეში

ჩავარდნის შემდეგ ცალი თვალი გაჰფუჭებია; **ყონყრე** – მაღალი კაცი (ქვ. მაჩხაანი); **ფეჩიკალთა** – დიდი და სქელი ტუჩების მქონე (ძვ. ანაგა);[1] **გრეხილა** – დაგრეხილი ფეხების მქონე; **ღუნცა** – მოკლე და სქელი კისრის მქონე; **ხალა** – ლოყაზე ლამაზხალიანი კაცი (ჯუგაანი); **კვადრატა** – პატარა და მსუქანი ტანის კაცი (ქვ. ბოდბე); **ძირკვა** – დაბალი და მსუქანი; **კოწკარა** – პატარა და სუსტი ტანის კაცი (ზედა ბოდბე); **ზამთარა** – ზამთარ-ზაფხულ თბილი ქურთუკი აცვია; **ნიკორა** – შავი თმა აქვს წინ თეთრი ზოლით; **პაჭურა** – ტანდაბალი (სოფ. ნაოზა); **ფულურო** – მოხრილი კაცი; **ფანერკა** – თხელი კაცი; **ჭყანო** – შეუხედავი ქალი; **ბარანა** – ხუჭუჭთმიანი კაცი; **ლომა** – სქელი კაცი (სოფ. ოსიაური); **ცხვირა** – დიდი ცხვირის მქონე (სოფ. მაღარო); **წოპე** – ოდნავ გრძელი სახე ჰქონდა, ცოტა წოპიანი (დაცულია ინფორმატორის განმარტება. გარდა ამისა, საინტერესოა, რომ წოპე სიმაღლის ნიშნით დასარქმევი სიტყვაა, აქ კი სხეულის ნაწილის სიგრძეს აღნიშნავს); **რუსკი** – გოგონა, რომელიც ჰგავს რუსს; **კიკი** – კიკინებიანი გოგო; **ბურძგა** – გაწეწილთმებიანი გოგო; **პუდელა** – თმებდახვეული გოგონა, **რიჟკა** – წითელთმიანი; **ჭუკულა** – ჭუკს ჰგავდა; **კოდო** – პატარაა და შავი; **ჭიტა** – დაერქვა ქალს თვალების გამომეტყველების გამო; **ბაჭია** – პატარა ცხვირის გამო; **ლოქო** – თევზივით ყბების გამო, **შავწვერა** – შავი წვერის მქონე, ასაკში გათეთრდა, მაგრამ მაინც შავწვერას ეძახდნენ; **ბომბა** – დაბალი და სქელი კაცი (ქვემო ნიქოზი); **ციცქნა** – პატარა ტანის; **ერკემალი** – ჯმუხი და დაბღვერილი; **ჩეთვერა** – პატარა ტანის კაცი; **მურა** – შავგვრემანი კაცი (ზემო ნიქოზი); **ბუჩქა** – ხუჭუჭი თმის გამო (სოფ. დვაბზუ); **აფუ და ფაფი** – მსუქანი გოგონები; **ბონზღი** – მსუქანი ბიჭი; **ჩორნა** – შავგვრემანი; **თავგასა** – დიდი თავის მქონე ბიჭი (ვფიქრობთ, ამ სიტყვის მეტსახელად

---

[1] ამავე ნიშნით, თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის ერთ ჩვენს სტუდენტს ჯგუფელებმა შეარქვეს **„მის ტუჩები“**, რაც ონიმურ მოდელში არ თავსდება, ამიტომ შევიტანეთ კვაზიონიმთა შესატყვის ჯგუფში.

დამკვიდრების წყაროა ტელევიზიის ერთი იუმორისტული გადაცემა); **ყვარია** (ყვავიდან) – შავგრემანი ბიჭის მეტსახელი; **მაღალო** – მაღალი კაცი; **ლეონოვკა** – მამაკაცი, რომელიც ჰგავს მსახიობს, ლეონოვს;[1] **ბარბი** – თოჯინასავით გამხდარი და კოხტა გოგო (თათუკა წირღვავა, 10 წლის); ბიძაშვილ-მამიდაშვილი, ორივე დათო, რომელთაც ფერის მიხედვით დაარქვეს ერთს **შავი**, მეორეს – **თეთრი** და ეს მეტსახელები, პრაქტიკულად, „მუშაობდა“ (თბილისი).

2. ქცევისა და მოქმედების აღმნიშვნელი მეტსახელები: ტელეგრაფი – „რასაც წაიკითხავს ან გაიგონებს, შეუძლიან, ერთ საათს სულ მოჰფინოს ქალაქს“; **ნემსიყლაპია** – „ქრთამები უყლაპავს“ (ლ. არდაზიანი, „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“); **წუნკალა** – ვექილი, რომელიც წუწკი მეძებარივით სუნით დაეძებდა ჯიბეგასქელებულ მოვაჭრეებს (გ. წერეთელი, „პირველი ნაბიჯი“); **კუდაბზიკა** – მისი „ყოველი მოქმედება კუდაბზიკური იყო“; **ბლუკუნა** – ლუღლუღით ლაპარაკობდა (გ. წერეთელი, „კიკოლიკი...“); **ცანცარა** – მასწავლებელი, რომელიც „მთელ დღეს დაცანცარებდა“; **პურჭყია** – პროკლე „მუდამ აპურჭყებდა“; **კოკნიმა** – „ჩინელი დედაკაცივით დაკოკმანებდა“; **მგელი** – „მგელივით ტორღიალი, თქვლეფით ჭამა... თვალების ბრიალი ახასიათებდა“ (ს. მგალობლიშვილი, „წარსულიდან“); **მოზვერი** – ღონიერი ბიჭი, „დაღუნავდა თავს მოზვერივით... შიგ მკერდში გეცემოდა“ (ჭ. ლომთათიძე, „პირველი მაისი“); **ხოზიკა** – მაგდა ყველას უარშიყდებოდა, რის გამოც ხოზიკა დაარქვეს. ხოზიკა ისეთი მცენარეა, რომლის ნაყოფი ტანსაცმელზე ეკერის კაცს (ჭ. ლომთათიძე, „ძე კაცისა“); **ქათამა** – არყისაგან გაჟიებული კაცი (ლ. არდაზიანი); **გიჟო** (ნ. დუმბაძე, „მზიანი ღამე“); **სკრიპკა** – შეარქვეს ბიჭს, რომელიც „სკრიპკაზე“ დადიოდა (ნ. დუმბაძე); **მგელკაცი** – „ვანომ... ზურგი მათრახით აუჭრელა... მას მეტსახელად მგელკაცს ტყუილად კი არ ეძახდნენ“ (გ. ნატროშვილი, „შიში“); **მბორგალი** – დაერქვა განსა-

[1] ეს მეტსახელიც მოიცავს სამ სემანტიკურ ველს: 1, 8, 10. ჩვენ პირობითად ამ ჯგუფში მოვათავსეთ.

კუთრებული მოუსვენრობის გამო და „მასწავლებლებმაც უზუსტეს მეტსახელად მიიჩნიეს“ (ჭ. ამირეჯიბი, „გორა მბორგალი“); **ორბატონა** – გაიძვერა მსტოვარი, „ორი ბატონის ჩრდილი – ალექსანდრე მეფისა და ირანის შაჰისა“; **ანაბანა** – ცხრა წლის ზაზა კახნიაურს უყვარდა ასოების ლამაზად გამოყვანა, უფრო სწორად, „ხატავდა ასოებს“, მთელი სხეულის მონაწილეობით გამოჰყავდა; **ცელქოშა** – „ცისოს დაოკება ხომ მაინც არ მოხერხდა. იმდენი ირბინა, ვიდრე ერთ ღელეში ცალი ქოშმაში არ ჩაღუპა“. გიორგი ბატონიშვილმა მას „ცელქოშა“ უწოდა; **ჭამპურა** – ჭამა უყვარდა და ისიც სხვის სუფრაზე, პურმარილის ქურუმი გახლდათ; **დაღამდა** – დაერქვა კაცს, რომელიც მუდამ დაღვრემილი დადიოდა, სუფრიდან იპარებოდა ცოლის შესამოწმებლად, რათა „მასთან ერთხორცობა არ შელახულიყო“; **სამძილა** – „მთელი დღეები... ჩიბუხს აბოლებდა, მაგრამ ჩიბუხზე მეტად თაღრიას ძილი უყვარდა, ცოლიც ამიტომ ეძახდა „სამძილას“; **ქორია** – „ბავშვობიდანვე ხელშინაური... ერთხელ თქვა, სოფელს ეტოვებო და იმავე ღამით კამეჩების ხრო წაასხა“ (გ. ლეონიძე, „ნატვრის ხე“); **ურახუნე** – როგორც სახელი მიუთითებს, არაჩვეულებრივად ძლიერი ხმის პატრონი იყო. „მტერსა და მოყვარეს ამ მთიდან იმ მთაზე გააგონებდა, თითქოს ღობის გადაღმა კარის მეზობელს ეძახისო“ (რ. ჯაფარიძე, „მძიმე ჯვარი“); **ჯიქურ-გატანია** (-ია სუფიქსი ამ შესიტყვებას ონიმურ ელფერს აძლევს) – ელიბო მოსახვევში სისწრაფით შეუხვევლად გამოსრიალდა და შეეჯახა სხვა მანქანას. ქალებმა მას ჯიქურ-გატანია შეარქვეს (ლ. გოთუა, „ნისლი ნახატარის ტყეში“).

რეალურ ყოფაში დადასტურებული ანალოგიური მეტსახელები: **ჯღანა** – მეწაღე, რომელიც ცუდად კერავდა ფეხსაცმელებს (ქვემო მაჩხაანი); **ღორა** – მელორეობას მისდევს (ზემო ბოდბე); **ტანცო** – მხიარული და მოცეკვავე კაცი (ჯუგაანი); **ხინკალა** – ხინკლის ჭამა უყვარს, მთელს ფულს სახინკლეში ხარჯავს, **ცუცია** – კაცი, რომელსაც ქალური ქცევები აქვს, **ბოსტანა** – ბავშვობაში ვერ ჩერდებოდა სკოლაში, აქა-იქ დაძვრებოდა, ამიტომ მასწავლებელმა ბოსტანა შეარქვა. ცოლ-შვილიც ასე ეძახის; **კაშმარა** – საშინელი ამბების მოყოლა იცის; **გამაცეტა** – ისეთი უცნაური ამბების მოყოლა იცის, რომ კაცს გააშტერებს (ნაოზა);

ბალონა – გაზის ბალონებს დაატარებს; **სისხლა** – მამასისხლად ყიდის ყველაფერს; **შაფათა** – ქალი, სულ ბაზარში ზის; **ვენახურა** – მეველე კაცი; **ხელეჩო** – დურგალი, რომელიც მასალას იპარავს (ოსიაური); **ცაკცაკა** – ჩქარი სიარულით, ცაკცაკით დადის (მაღარო); **კალმისტარა** – წერა უყვარდა, მუდამ წერდა რაღაცას; **ჩაქუჩა** – პოლიციელი, რომელიც კრიმინალ ბიჭებს მუხლისთავებზე ჩაქუჩს ურტყამდა (ბოლო ორი მეტსახელი შეიძლება მოთავსდეს მე-5 ჯგუფშიც, რომელშიც შეტანილია სიტყვები ამოჩემებული, ანუ რომელიმე კონკრეტულ საგანთან მიმართების მიხედვით).

3. შინაგანი ბუნების, თვისების, ხასიათის გამომხატველი მეტსახელები: აპრაკუნე – ლუკმა არ გააჩნდა, მაგრამ შრომას თაკილობდა, რადგან აზნაური იყო (ალ. ყაზბეგი, „ციცია“); **უხერხული** – ახურებული ბუნების კაცი (აკაკი, „ვარდი და ეკალი“); **ყეყეჩა** – „ყველაფერში გამოყეყეჩებული იყო“. ამ ტიპისაა: **ავყია, ოქროპირი, ორენა** (ს. მგალობლიშვილი„წარსულიდან“); **მუსუსი** – სირბილაანთ მიხა, ქალების მუსუსი (მ. ჯავახიშვილი, „მუსუსი“); **ანგელოზი** – სოფიო გულჩვილობისა და სათნოების გამო სოფლის თვალად გადაიქცა, „ერთხელ ვიღაცამ ანგელოზი დაარქვა და მას აქეთ მთელი სოფელი ამ სახელით იხსენებდა“ (მ. ჯავახიშვილი, „ეშმაკის ქვა“); **ბერი** – ამხანაგებმა დაარქვეს მისი განდეგილობის გამო („ოქროს კბილი“); **მურტალო** – „ძალიან დამპალი ყოფილხარ, მურტალო, შენი ნათლია არ შემცდარა“ (ნ. დუმბაძე, „კუკარაჩა“). საბჭოთა მოღვაწის საკუთარი სახელი სტალინი მიღებულია რუსული სიტყვიდან – сталь (ფოლადი), რომლითაც განსაზღვრულია დენოტატის შინაგანი ბუნება და ხასიათი.

რეალურ ყოფაში დადასტურებული ანალოგიური მეტსახელები: **ჭყუნია** – სულ დაღვრემილი დადიოდა; **საცერა** – საქმეზე გულდაუდებელი და მკვეხარა კაცი (ზემო ბოდბე); **ავბეწვა** – კატასავით შარიანი იყო (მაღარო); **ყიტა** – ძნელად გაიგებდა რამეს; **ნიღრა** – თავჩალუნული და თავმდაბალი კაცი; **წყალობა** – კეთილი და კაცთმოყვარე; **კანკალა** – ყველაფრის ეშინოდა და კანკალებდა; **ჩუდა** – თავისი საქციელით საკვირველი; **ჩოჩე** – ბავშვობიდანვე დუნე; **ოქროსენა** – მწარე ენის მქონე (ქვ. მაჩხაანი); **ჩახ-**

ცახა – ბეერი ლაპარაკის მოყვარული; **ატკაზა** – უარის თქმა უყვარდა (არბოშიკი); **ციცო** – კაცი, ქალის საქციელის მჭონე (ანაგა); **ქამარუჭერია** – სიცხეშიც ქამარი მაგრად ჰქონდა შემოჭერილი; **ჭყივილა** – ჭყივილით მოლაპარაკე; **ბუჭყეტა** – თვალებს აჭყეტებს (მეტსახელი შერქმეულია არა გარეგნობის, არამედ თვისების – თვალების ჭუტვის – მიხედვით); **ტარტალა** – ქალი, ენას ატარტარებს; **ნახშირა** – წუწურაქი, ნახშირივით დამწვარი, ნახშირი რომ სთხოვო, არ მოგცემს (ოქროყანა); **ბადალა** – დაბდურა, დაბნეული (ნავაზი); **ხიფათა** – სიმთვრალეში შარიანია; **ტურფა** – პრანჭია კაცი (ოსიაური); **ჩაიარა** – ესესხებოდა ფულს და აღარ აბრუნებდა; **ბლომ-ბლომა** – ბევრი ლაპარაკის მოყვარული კაცი (ქვ. ნიქოზი); **მოშე** – დაერქვა სიძუნწის გამო (ფხვენისი); **შატალისტი** – საინტერესოა, რომ ამ მეტსახელით ხაზგასმულია მოსწავლის საპირისპირო თვისება, კერძოდ, წესიერება, არ არის „შატალოზე“ მოსიარულე; **ცანცარა** – ცანცარა ბიჭი; **ვაჟნოვიჩი** – სერიოზული ბიჭი (თბილისი 53 საშ. სკოლა); **ცხრათავა** – მასთან ლაპარაკს არაეითარი აზრი არ აქვს; **კობრა** – ყველას კბენს; **ასკოლკა, სნაიპერა** – ორივე დაერქვა ბუნებით სწრაფ ადამიანს. **სულწუხი** – გამუდმებით ვიღაცას აწუხებს (ვაქირი).

4. საზოგადოებრივი და სოციალური მდგომარეობის აღმნიშვნელი მეტსახელები: კაციევნა – ბავშვი (სალომე) დაბალი სოციალური ფენიდან, გამდელის შვილი, მაგრამ ბატონის ოჯახში დაბადებული და აღზრდილი. ბატონი და ქალბატონი ამ ბავშვს თავის ერთადერთ ქალში არ არჩევდნენ. „ასე გასინჯეთ, კაციევნასაც კი უძახდნენო“, – წერს ს. მგალობლიშვილი; **სუტკნეინა** – ხორეშანი, რომლის ქმარი „მთელ სიცოცხლეში კნიაზობას ეძებდა და ვერ დაიმტკიცა“ (ი. ჭაჭავაძე, „კაცია-ადამიანი?!“); **ჩანჩურა** (მ. ჯავახიშვილი, „ჩანჩურა“); **ნადედარა** – ალექსანდრე კახთა ბატონმა მამის, ლევან მეფის, მეორე ცოლს შეარქვა (ლ. გოთუა, „გმირთა ვარამი“); **ქოხსალამურა** – მაჩუჩას არაფერი ებადა, „ქოხისა და სალამურის ანაბარა იყო. ამიტომ ქოხ-სალამურას ეძახდნენ სოფელში“.

რეალურ ყოფაში დადასტურებული ანალოგიური მეტსახელები: **შიფანერკა** – ზედსიძედ ოჯახში შესული კაცი (ძველი ანა-

გა); **ალეკაკი** – პირველი კომკავშირელი სოფელში (ჯუგაანი); **გაწაპია** – ჩასიძებული იმერელი (ოსიაური); პატარძალა – ჩასიძებული კაცი (ვაქირი); **ბაბუ** – XX ს-ის ბოლოს ქართულ პოლიტიკაში გამოიკვეთა მეტსახელი ბაბუ (ე. შევარდნაძე, ა. აბაშიძე). ამ სიტყვაში სინთეზურად აისახა დენოტატის მაღალი სოციალური მდგომარეობა, ხელისუფლების სათავეში დგომა და ასაკობრიობა. მეტსახელი **ბაბუ** დაარქვეს 53-ე სკოლის ახალგაზრდა პედაგოგ მამაკაცსაც (ოთარ ამაღლობელი), რომელსაც მოსწავლეები უფროსის მეგობრად თელიდნენ (თბილისი).

5. ამოჩემებული სიტყვის, ბგერისა თუ საგნის მიხედვით შერქმეული მეტსახელები: პალმერსტონი – სტუდენტი, რომელსაც მუდამ პოლიტიკაზე ლაპარაკი უყვარდა და პალმერსტონიც „სიბრძნის იდეალად“ ჰყავდა გამოხატული (აკ. წერეთელი, „იმერლები“); **ჩიბუხა** – „ერთთავად პირში გაუქრობლად ეჭირა პაპიროსი; **ბოტი** – ამოჩემებული ჰქონდა სიტყვა ბოტი: „მე ბოტი ვარ, ბოტი, ჩამოდექით“ (ს. მგალობლიშვილი, „წარსულიდან“); **ქაჯანა** – ლაპარაკისას „ქაჯან“ სიტყვის ხმარება უყვარდა (ნ. ლომოური, „ქაჯანა“); **ლამბალო** – მაშადი ჰასანს აკვიატებული ჰქონდა მის მიერ მოგონილი სიტყვა „ლამბალო“. არავინ იცოდა ამ სიტყვის მნიშვნელობა, მაგრამ მეტსახელად მიეკერა (მ. ჯაველიშვილი, „ლამბალო და ყაშა“); **ჯოჯო-ბიჭი** – ბავშვობაში ჯოჯოებს იჭერდა და თანატოლებს აფრთხობდა (ლეან გოთუა, „გმირთა ეარამი“); **ბულიკა** – „ბავშვობაში ბულკის მაგივრად „ბულიკას“ ვამბობდი და ზედმეტსახელად შემარქვეს“ (ნ. დუმბაძე, „მარადისობის კანონი“); **სულძაღლიანი** – „რადგან ჩემი ძაღლი, მურადა, თან დამყვება, სოფელში სულძაღლიანს მეძახიან (ნ. დუმბაძე, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“); **ნიტაკლი** – მოსწავლემ მასწავლებელს შეარქვა ამ ფრაზის ხშირი გამეორების გამო („გაუმარჯოს გიგილოს“); **„ბაბაია“** – მეტსახელად ეძახდნენ ჟორა ჯანაშიას სიტყვა „ბაბაიას“ ხშირი ხმარების გამო (რ. ჯაფარიძე, „ენების კეირა“).

რეალურ ყოფაში დადასტურებული ანალოგიური მეტსახელები: **პიტო** – ბავშვობიდანვე აფანატებდა პერსონაჟს – пятачок-ს, რის გამოც ოჯახში მოფერებითა და ხუმრობით პიტაჩოკს

ეძახდნენ. ეს სიტყვა დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა მეტსახელ პიტოდ, რამაც ლამის ყველას დააივიწყა ათი წლის ირაკლი კანდელაკის ნამდვილი სახელი; **ზამთარა** – ეს სახელი შეარქვეს კაცს, რომელსაც ამოჩემებული ჰქონდა ზამთარ-ზაფხულ თბილად ჩაცმა (ეს სიტყვა გარეგნობის გამომხატველ მეტსახელეთა ჯგუფსაც მოერგება); **არწავალა** – მძღოლი, რომელიც მუდამ იძახდა, არ წავალო; **ყაყრიო** – ცხვრის ყაურმის მოყვარული; **პიპინა** – ენაბლუ კაცი, რომელიც ხშირად იმეორებდა ბგერა პ-ს (ნაოზა); **ყალიონა** – მუდამ ყალიონს აბოლებდა (ზემო ბოდბე); **პეპე** – პ-ს ხმარობს სხვა ბგერების ნაცვლად; **ლო (ანაგა)** – ბგერა რ-ს გამოთქვამს ლ-დ; **მანათა** – ხმარობს სიტყვას მანათი (ოსიაური); **წიქო** – ხარისთავიანი მაიკა ეცვა (დვაბზუ); **კაჩო-კაჩო** – ლაპარაკში ახასიათებდა „კაცო“ სიტყვის დამახინჯებით კაჩო-კაჩოს გამოყენება; **გიჩა** – მეურმე იყო და ხარებს რომ ერეკებოდა, ჰო, გიჩოო, – ეძახდა (ქვემო ნიქოზი); **გოდორა** – გოდორი ჰქონდა გადაკიდებული მხარზე (ზემო ნიქოზი); **ტოტციკო** – ბავშვობაში ასე ტელეეიზორს ეძახდა; **ჭულია** – ბავშვობაში ჩურჩხელას ეძახდა „ჭულიას“; **ჟრიალა** – მეცხრეკლასელი ბიჭი, რომელიც ამბობდა ხოლმე, მაჟრიალებსო; **გეპა** – ფირმა „გეპის“ ტანსაცმლის მატარებელი; **წკაპო** – ასე ეძახდნენ 53-ე სკოლის მოსწავლე გოგონას, მაკო კვიტაიშვილს (ახლა წარმატებული მომღერალი) , რომელსაც უყვარდა თმის ბევრი სამაგრის, „წკაპის“, გაკეთება; **ყუსყუსა** – ბავშვობაში ტირილის დროს გამოსცემდა მარცვლებს ყუს-ყუს; **ელემენტა** – უყვარს ელემენტების გამოყენება (ბოლნისი). **კრუჩონა** – ფეხბურთის თამაშისას მედამ იძახდა, კრუჩონი უნდა დავარტყაო. **ბჭობჭო**–სულ ბჭობჭოს გაიძახოდა(ბოდბისხვი). **ჯოტო** – სოფელში „ჯოს“ ამბობდა, ქალაქში – „ტოს“(ტიბაანი). ამოჩემებული სიტყვებით მიღებული მეტსახელებია: ადამიანო, პაპი, ჩარუ-სე, კიბატონო(სიღნაღის რ.)

ნ. ერთხელ (ერთჯერადად) ნათქვამი ან განსხვავებულად, დამახინჯებულად წარმოთქმული სიტყვა მეტსახელად: ტუტუ – შეარქვეს მეოთხეკლასელს, რომელმაც თქვა: ტელეფონი რომ ავიღე, ტუ-ტუ-ს იძახდაო; **დრაჟე** – დაერქვა ქალს, რომელსაც გამყიდველისათვის სხვა სახეობის კანფეტზე უთქვამს, დრაჟე მო-

მეციო; **ბრწყ** – გოგონას შეარქვეს კლასელებმა, რადგან სიტყვა „ბრწყინვალე“ ასე დაშალა: ბრწყ - ინვალე(დვაბზუ); **წემეედო** – ჩიტისთვის „ლაგატკა“ უსვრია და უთქვამს: წემეედო,წემეედო. **მჭყნილა** – მეგობრისთვის უთქვამს, დედაჩემმა პური და მჭყნილი გამიმზადაო. **სერა** – უფროსს რაღაც დაუვალებია და პასუხად უთქვამს: „არის, სერ“(ტიბაანი). **ნიფაჩი** – გაკვეთილის მოყოლისას ნიჩაბის ნაცვლად თქვა ნიფაჩი (ვაზისუბანი). **სეო** – კარტის (ბურა) თამაშისას სე-ს ნაცვლად თქვა სეო (ვაზისუბანი).

7. გონიერება-უგუნურების, განათლება-გაუნათლებლობის მაჩვენებელი მეტსახელები: თხისტვინა – (ს. მგალობლიშვილი, „წარსულიდან“); **გოგრა** – ხუთი წლის ქიტოს ბრძნული ლაპარაკი უყვარდა, გარდა ამისა, თავიც დიდი ჰქონდა (ვაჟა, „გოგრა“); **გეგელი** – დაარქვეს სუმრობით ერთ სტუდენტს, რომელიც „ძალიან შესამზღერულის ნიჭის იყო“ (აკაკი, „იმერლები“); **ოქროპაპა** – სიბრძნისათვის ეძახიან (ლ. გოთუა, „გმირთა ვარამი“); ტვინა – ჭკვიანი ბიჭია(ვაზისუბანი).

რეალურ ყოფაში დადასტურებული ანალოგიური მეტსახელები: **ნუცა** – დაერქვა თსუ-ს სტუდენტს იაკობ გოგებაშვილის „ნუცას სკოლის“ მიხედვით (თბილისი); **ბაჩუა** – გონებაჩლუნგი (ვაქირი); **ჰაკერა** – ირონიით შერქმეული ზურგსუკანა მეტსახელი ქალისთვის, რომელიც დარწმუნებულია, რომ მაგრად იცის კომპიუტერი (თბილისი).

8. მოღვაწეობის, გაცნობის ან სხვა კონკრეტული ადგილის მიხედვით შერქმეული მეტსახელები: ხუნძაყი – ოდესღაც ხუნძაყში იბრძოდა (ვ. ბარნოვი, „ხურდა“); **კორკიმელა** – მელოგინე ქალი კორკიმელაზე (ხე) იყო გასული, „ხეზე კინაღამ დაბადა ბავშვი... ძლივს მიუსწრეს, ზეწარი გაუფინეს ხის ძირში, გოგიამ უთხრა: რას ჩამოდიოდი, შე ქალო, ბარემ კორკიმელზე მოგემშობიარებია და გიდლით ჩამოგეშვაო. იმ ბავშვს შუქრია კი დაარქვეს, მაგრამ მე მაინც კორკიმელას ვეძახი... კორკიმელაც კარგი სახელია, არა? ჩემი შერქმეულია“ (ნ. დუმბაძე, „მე ვხედავ მზეს“); **თორღვაული** – ქაიხოსრო ბატონიშვილი „თორღვაულად“ იწოდებოდა თორღვას ციხეში შეპყრობის აღსანიშნავად, თავადაც ასე

უწოდებდა თავის თავს: „თორღვაული გახლავართ“ (ლ. გოთუა, „გმირთა ეარამი“).

რეალურ ყოფაში დადასტურებული ანალოგიური მეტსახელები: **ზესტაფონე** – ზესტაფონელი მუშა, რომელიც თბილისში მუშაობს, **კროკო** – ტოტალიზატორ „კროკოში“ დებდა ფსონებს. **ტაიგა** – ტაიგიდან ფეხით ჩამოვიდა(ანაგა); **გედიქა** – გედიქის ხევზე ცხოვრობს (ტიბაანი)

9. წარმომავლობის მიხედვით დარქმეული მეტსახელები. **ხევსურა** – ხევსურია (ტიბაანი); **ერევანა** –წარმოშობით სომეხი (ანაგა); **ბოდბურა** – ბოდბიდან გადმოსახლებული (ჯუგაანი); **ბოდბელა** – ბოდბედან (სიღნაღი); **კახელო** – კახეთიდან ჩამოსული (თბილისი). **კახელო** – გურული ბიჭი, რომელსაც დედა ჰყავდა კახელი (დვაბზუ); **მეგრელო** – სამეგრელოდან (ანაგა).


10. გვარიდან ან სახელიდან წარმოქმნილი მეტსახელები.[1] გვარიდან წარმოქმნილი ფორმა სახელდების ახალ ჯგუფს ქმნის. ესაა სახელთა, კერძოდ მეტსახელთა, ჯგუფი და არა გვარი. ამ ტიპის სახელი გვარს ემიჯნება ემოციური ელფერით და ფუნქციით: ჩლაიძე → ჩლაო, შუბაშვილი → შუბა, ჯაბადარი → ჯაბა, საღინაძე→საღინა, ქელბაქიანი → ქელბასა, კერვალიშვილი → კერვალა, თოფურია → თოფურა, ცერცვაძე → ცერცვა, ლაჭყებიანი → ლაჭყე, ჩიკვაიძე → ჩიკვა, გველესიანი → გველესა, ყურაშვილი → ყურა, პაქსაშვილი → პაქსა, ქუნთელია → ქუნთელა, პირველა (გიორგი პირველი), გოგიჩა (გიორგი გოგიჩაიშვილი), ლელუა//ლელო (ლუკა და გიორგი ლელუაშვილები), გოდორაჭოდა (გოდაბრელიძე).... ესენი რომ უკვე სახელებია (კერძოდ, მეტსახელები) და არა გვარები, ადასტურებს მათი გამოყენების საყოველთაობა. გვარის აპოკოპირებული (შემოკლების ერთ-ერთი სახეობა) ფორმა ხშირად ემთხვევა საკუთრივ ანთროპონიმს, რასაც განაპირობებს ის ფაქტიც, რომ გვართა უმეტესობა ეპონიმურია.

---


[1] ამათგან უნდა გაიმიჯნოს მეტსახელური ტიპის, ანუ მოლაპარაკე გვარები (მკლავაძე, უიშვილი, მცირიშვილი), რითაც მდიდარია მწერლობა.

სწორედ ამ ტიპის გვარებიდან მიღებული ფორმები ემთხვევიან საკუთრივ ანთროპონიმებს, კერძოდ, იმ ონიმებს, რომელთაგანაც მომდინარეობენ ეს გვარები. მაგრამ ხელახალი გზით წარმოქმნილი ეს საკუთრივ ანთროპონიმები მეტსახელთა ფუნქციით იტვირთებიან. ამ ტიპისაა: გელა ← გელაშვილი, როსტო ← როსტოშვილი, გოდერძა ← გოდერძიშვილი, გურგენა ← გურგენიძე... როგორც ეხედავთ, საკუთრივ ანთროპონიმი იქცევა მეტსახელად მას შემდეგ, რაც გაივლის გვარადმყოფობის, უფრო ზუსტად, გვარის კომპონენტად მყოფობის სტატუსს, ე. ი. საქმე გვაქვს ანთროპონიმულ ომონიმიასთან (გელა – საკუთრივ ანთროპონიმი, გელა – მეტსახელი).


სქემატურად ამას ასე გამოვსახავთ:



მეტსახელისგან მიღებული გვარის შემოკლების შედეგად წარმოქმნილი სიტყვა ისევე მეტსახელია, შესაძლოა – ფორმაშეცვლილი:



ამ ტიპის მეტსახელებს რიგ შემთხვევაში ერთი ოჯახის გამაერთიანებელი გვარის ფუნქციური დატვირთვაც აქვთ, თუ ოჯახის სხვა წევრებიც ასე მოიხსენიებიან. მაგალითად,



ამავე ტიპის სქემით შეიძლება წარმოვადგინოთ მეტსახელები: **მამულიჩა** (მამულაშვილები), **კვაზა//კვეზბო** (გელაშვილები), **ბორჩხა** (ძმები ნიკა და ბექა ბორჩხაძეები). დიფერენციაცია ზოგჯერ დამატებითი მინიშნებით (სიტყვით) ხდება: ჩლაო (ან ხურო) უფროსი, ჩლაო (ან ხურო) პატარა... დიდი ბორჩხა და პატარა ბორჩხა. გვარისაგან წარმოქმნილ ასეთ ფორმებს, შეიძლება ითქვას, საკუთარი არეალი აქვს – ესაა, ძირითადად, სკოლა, მეგობრების წრე. ამ წრეში გადასახელებული პირების შემდგომ დიფერენციაციაში ხშირად ოჯახის წევრებიც მონაწილეობენ. მაგალითი სატელეფონო დიალოგიდან: – სთხოვეთ ხუროს. –

რომელს? – უმცროსს. სკოლის მეგობრებს შორის გვარიდან ამ ტიპის ფორმების წარმოქმნას განაპირობებს სწორედ მათი ინდივიდუალურ-მეგობრული ურთიერთობები. კომუნიკაციის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორიც და ფორმაც მიმართეაა. გვარი გრძელი ფორმაა, რაც საურთიერთოდ არაპრაქტიკულია. მართალია, სკოლის მეგობრები ერთმანეთს სახელებითაც მიმართავენ, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ამჯობინებენ გვარის შემოკლებულ ფორმას. ვფიქრობთ, ამ სიტუაციას განსაზღვრავს ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო მოტივაციის თანხვედრა:

1) ოფიციალური გარემო, რომელიც სკოლაში ყალიბდება მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის. ეს ვითარება ფსიქოლოგიურად გადადის ბავშვებზე, რასაც ადასტურებს მიმართვისას გვარის გამოყენება;

2) თვით ბავშვების სურვილი – კლასელებთან სიახლოვის გამომხატველი ინტიმურ-ინდივიდუალური ურთიერთობის ქონა, რაც უფრო მეტსახელით ვლინდება, ვიდრე საკუთრივ ანთროპონიმით. ამ ორი ვითარების კონტამინაციით ხდება აქცენტი გვარზე და შემდეგ გვარის რომელიმე ფორმის ინდივიდუალიზაციაზე. ასე რომ, ჩლაო, შუბა, ქელბასა, ბორჩხა, გელა, პაქსა, ჩიკვა, პირველა, ქუნთელა, გოგიჩა... გვარებიდან წარმოქმნილი მეტსახელებია. და ასედაც იღებენ დენოტატები (ანუ რქმევის სუბიექტები), რომლებიც თავის თავს ამ ფორმით იხსენიებენ. დავიმოწმებ ჩემი შვილიშვილის მეგობრების სიტყვებს ტელეფონით საუბრისას: – გამარჯობათ, შუბა ვარ ან ყურა ვარ... კარგა ხნის უნახავი გიორგი ხუროძე ასე შემეგება: – ვერ მიცანით? ხურო ვარ.

-ურ//-ურა (-ულ//-ულა) სუფიქსების დართვით წარმოქმნილი მეტსახელები. „ზემო ქართლში გათხოვილ ქალს, მეტადრე დარბაისელს, ყოველთვის იხსენიებენ თავისი მშობლის გვარიშვილობით“, – წერს ეკ. გაბაშვილი და ერთ-ერთი პერსონაჟი გამოჰყავს ამ ტიპის სახელდებით – **ლომაური** (ნიშნავს ლომიძის ქალს): „რა იყო, ლომაურო, რა გატირებს?“, „გამაწყვეტინა ლომიძის ქალმა“ („იორდანე“). ქალების ქალიშვილობის გვარზე დართული ეს სუფიქსები განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოშია გავრცელებული: გოგილაური < გოგილაშვილი, მედულაური < მედულაშვილი, ლიზაურა < ლიზაშვილი, ხმალაძი-

აური < ხმალაძე (სახლთხუციშვილი, 2004 178-182), გზირაული (ანაგა). სამეგრელოში ანალოგიური მეტსახელები იწარმოება -ხე სუფიქსით: გაბუნიხე < გაბუნიას ქალი.

გარეკახურ მასალაზე დაყრდნობით, უ. სახლთხუციშვილმა გამოყო ორი მოდელი (სახლთხუციშვილის, 2004):

№1 რაიმე ნიშან-თვისების მიხედვით წარმოქმნილი მეტსახელები (დადღანა, ხვნეშია);

№2 წარმომავლობის სახელებისგან წარმოქმნილი მეტსახელები.

მეორე მოდელში გამოყოფს ორ ქვემოდელს:

ა) მეტსახელი, რომელიც მომდინარეობს ქალიშვილობის გვარიდან;

აქ ავტორი ასახელებს ორ შემთხვევას:

* **გელიაანთ ქალი**-ს ტიპი

** **გელია-ურ-ი** ტიპის

ბ) მეტსახელი, რომელიც მომდინარეობს ქალის მამის სახელისაგან ან მეტსახელისაგან (**პაპიროზას ქალი, ჩიბუხას ქალი**).

№ 2-ით წარმოდგენილი სამი კერძო ვარიანტიდან (**ა***, **ა**** და **ბ**) სახელდების **ა*** და **ბ** ტიპი მომდევნო თაობაში ჩვენ მიერ გამოყოფილია მეორე სახელების კვაზიონიმთა ჯგუფში (გოდერძიშვილი, 1990, 145-190), რადგან სახელდების ეს ტიპი რადიკალურად განსხვავდება ონიმური სტრუქტურისგან. აქ მეტსახელია მხოლოდ **ა**** ჯგუფი (გელიაური ტიპის ← გელიაშვილი).

გვარიდან მიღებული მეტსახელების ლიტერატურული მაგალითები: **ხვითო** – „კონსტანტინე! ეს კარგა მაგარი სახელია. ჩვენ კი მისი გვარი შეეცვალეთ და ხვიტიას მაგიერად ხვითოს ვეძახით... ხვითო ზღაპრული ნატვრისთვალი ყოფილა“ (შ. დადიანი, „გვირგვილიანების ოჯახი“); **ჯაყო** – ამ კონკრეტულ შემთხვევაში გვარიდან მიღებული მეტსახელია. ქურთის ბიჭი ჯაყოს ეძახდა ავთო ჯაყელს (ნ. დუმბაძე, „ნუ გეშინია, დედა“); **ვახოვახო** – ვახტანგ ვახვახიშვილი (ლ. გოთუა, „გმირთა ვარამი“); რეალური ყოფიდან დავასახელებთ ამავე ტიპის, მაგრამ ანთროპონიმიდანაა მიღებული **ფრი-ფრი** (ფრიდონი). ეს

სახელი დაარქვეს ერთ „აჯამ", ე.ი. შეუგნებელ კაცს (ანაგა). დაცინვის მიზნით ამ მეტსახელში იგულისხმება „გაფრენაც", რასაც აკუსტიკურად გამოხატავს მისი სახელის დასაწყისი ბგერები, ე.ი. მეტსახელს ორმაგი დატვირთვა აქვს.

აქვე დავასახელებთ მსგავსი სტრუქტურული ფორმის ონიმს, ასევე საკუთრივ ანთროპონიმიდან წარმოქმნილს. მეტსახელად ალბათ არ ჩაითვლება, რადგან დეპედენტის საკუთარი სახელის გამეორებითი ფორმაა, მოფერებითი ელფერით; უფრო შუალედური ოდენობაა მეტსახელსა და სახელს შორის – ესაა სახელი **ნიკო-ნიკო** (უმცროსი მამულიჩა, სტუდენტი), შდრ.: იაია.

ზოგჯერ არა მხოლოდ გვარი, სახელიც მეტსახელად მოქცევისას ირთავს რუსული „отчество"-ს ან რაიმე სხვა აფიქსს: **ორაჩა** – ირაკლი ბროძელი („კუკარაჩა"); **პეპიჩა** – მეტსახელი „პეპიჩა" ვითომ ქერქეტობის ელფერს სძენდა მიროტაძის ნამდვილ სახელს (რ. ჯაფარიძე, „ჯარისკაცის ქვრივი").

რეალურ ყოფაში დადასტურებული ანალოგიური მეტსახელები: **ზუკიჩა** (ზურა მანაგაძე, 11 წლის); გიორგი გოგიაშვილი → **გოროვიჩა; სონიჩი** – სონია ბებიასთან მიმართებით, **მიქსო** (მიხეილ ჭიჭინაძე). სახელ-გვარის აბრევიაციით მიღებული მეტსახელია **დიქეი** (დავით ქორიძე). გვარის (ან სახელის) შემოკლებული ფორმისთვის (უსუფიქსოდ თუ სუფიქსით) მეტსახელის სტატუსი, როგორც აღვნიშნეთ, რეალურ ყოფაში დამკვიდრებული მოვლენაა.

ამასთან, ჩვენი დაკვირვებით, ამ ბოლო ხანებში გამოიკვეთა საპირისპირო მოვლენაც – **ესაა მეგობრულ წრეში გვარის სრული ფორმის გამოყენება**. გამოელინდა შემდეგი დეტალები:

ა) მეგობრულ წრეში თუ გვარის **შემოკლებულ ფორმას** იყენებენ მესამე პირის ხსენების დროს და, **ჩვეულებრივ, მიმართვის დროსაც**); გვარის **სრულ ფორმას** იყენებენ, ძირითადად – მესამე პირის მოხსენიებისას, იშვიათად – მიმართვის დროსაც (თუ გვარი ხმოვანფუძიანია);

ბ) მეგობრულ წრეში ის გვარები გამოიყენება სრული ფორმით, რომელთა შემოკლებული ფორმებიც არ დომინირებს;

გ) ოფიციალურ (არაახლობლურ) წრეში სკოლის (თუნდაც ინსტიტუტის) კედლებში თუ მის გარეთ გვარის სრული ფორ-

მა, ჩვეულებრივ, მიმართვის დროსაც გამოიყენება, ამასთან, არანორმირებული ფორმით – ნომინატივით (რაც კონკრეტულად ელინდება თანხმოვანფუძიანი გვარებით მიმართვისას);

დ) ვფიქრობთ, მეგობრულ წრეში გვარის სრული ფორმის გამოყენებამ მეტსახელური დატვირთვა მიიღო. ამ კონსერვატორულ ფორმას მეგობრულ გარემოში თითქოს ინტიმური სახე მიეცა და გარკვეული ასპექტით დაუახლოვდა შემოკლებული გვარის ფუნქციას. ამ ტენდენციის გამოკვეთილ ერთ ნიშანდობლივ მაგალითად გვესახება საკმაოდ რეალური ყოფის ამსახველ ერთ-ერთ ქართულ სერიალში („ჩემი ცოლის დაქალები") მეგობრების მიერ მეგობრის გვარით მოხსენიებაც და მიმართვაც (ხურცილავა);

ე) შესამჩნევია ერთი დეტალიც. გვარით მიმართვა არ დომინირებს სამსახურეობრივ დაწესებულებებში, ანუ არანაკლებ ოფიციალურ გარემოში, ვიდრე სკოლაა. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ 1. მეტსახელი ასაკობრივი (ახალგაზრდული) ფენომენია, 2. მეტსახელის სივრცე, ძირითადად, იფარგლება ვიწრომეგობრული დამოკიდებულებით.

11. მამის სახელი (რუსული „отчество") მეტსახელად. ქართულ სინამდვილეში მიმართვისას გამოყენებული რუსული გაფორმების მამის სახელი (отчество) სხვა არაფერია, თუ არა დენოტატის აღმნიშვნელი სახელი. ამ ტიპისაა: **ზახარიჩი** – ბავშვობაში ტანით ნამლევა მიტოს წრუწუნა მიტოს ეძახდნენ, ჭაბუკობაში „თვალწარმტაცი ვაჟკაცი დადგა", რაიკომის ინსტრუქტორიც გახდა და ზაქროს ბიჭი თავის თავს უკვე **ზახარიჩს** ეძახდა. ცდილობდა სხვებსაც ყური შეეჩვიათ **ამ სახელისათვის**. მეზობლის ბიჭს ასე დაავალებდა: „ნოქარს უთხარი, ზახარიჩმა გამომგზავნა-თქო, ზახარიჩი შემოგეხვეწა" (გ. ნატროშვილი, „მინდვრის ბიჭი"); **ლაზარიჩი** – ასე მიმართავდნენ რაიკომის მდივანს, უჩა მესხს (რ. ჯაფარიძე, „ჯარისკაცის ქერივი").

რეალურ ყოფაში დადასტურებული ანალოგიური მეტსახელები. ქართულ სინამდვილეში პიროვნების მოხსენიება მხოლოდ მამის სახელით უფრო მეტსახელის ფუნქციას სძენს მიმართვის ამ მოდელს, რადგან ის გარკვეული სოციალური ელფერით იტვირთება. ეს შესაძლებელს ხდის ამგვარ სახელთა მოთავსებას

მეოთხე ჯგუფშიც (იხ. ჯგ. 4), რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს ონიმის პოლივალენტობაზე. რუსულის გავლენით სახელდების ამ ტიპის ფორმები თითქმის წესად იყო ქცეული საბჭოთა პერიოდში და ეს იქცა დენოტატის პატივისცემისა და დაფასების გამომხატველ ფორმად, რაც, პარალელურად, მეტსახელის თვისებასაც იძენდა. მაგალითად დავასახელებთ: ივანოვნა (სულიკო კერესელიძე), სერგეევნა (მარიკა ჯიქია)... სახელდების ანალოგიური ფორმები დღეს, პოსტსაბჭოთა პერიოდში, თითქმის გადაეარდნილია. ახალ თაობაში თუ გვხვდება, მით უმეტეს – სოფლად, მეტსახელის ფუნქციითაა დატვირთული: **პეტიჩი, ჟიულიჩა** (ბოდბისხევი). ძველ თაობაშიც, შეიძლება ითქვას, მხოლოდ აქაიქაა შემორჩენილი. **დღევანდელი იჩ//ოვიჩ-ით წარმოებული თითო-ოროლა ონიმი საბჭოთა პერიოდის იდენტური ონიმებისგან განსხვავდება წარმომავლობითაც და მოტივაციითაც.** ამ ტიპის რუსულენოვანი აფიქსებით მეტსახელები სხვა სიტყვებიდანაც იწარმოება, მაგალითად, **ბუღიჩა** (ბუღასავით აბრიალებს თვალებს), **კბილიჩი** (მისი მამა კბილის ექიმია), **ბახალიჩა** (მამა ჰყავდა პატარა ტანის), **კოკოლიჩა** (საკუთარი გვარიდან წარმოქმნილი), **ხანჯალიჩი** (ბავშვობაში პაპა ხანჯლით აშინებდა, სიღნაღი-2, 2007).

12. სხვისი (მამის, დედის, ნათესავის, ცნობილი თუ უცნობი ადამიანის ან პერსონაჟის) სახელები დენოტატის მეტსახელებად: გორა – მის პაპას იაგორი ერქვა და გორას ეძახდნენ. „პაპასა და შვილიშვილის დიდი მსგავსება არ გამორჩენიათ შვილიშვილის კლასელებს და თავიანთ თანაკლასელსაც გორა დაარქვეს. ბიჭს მეტსახელი არ უთაკილია“ (ჭ. ამირეჯიბი, „გორა მბორგალი“); **„რიგოლეტო“** – მედუქნე დახლიდარს კოჭლობის გამო დაარქვეს ცნობილი პერსონაჟის სახელი, რომელიც თხზულებაში ბრჭყალებშია მოთავსებული (ნ. დუმბაძე, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“); **რუზველტი** – ომიდან დაბრუნებულმა ბავშვი გააჩინა და მოკავშირეთა პატივსაცემად რუზველტი დაარქვა თავის თავგასიებულ ბიჭს (ნ. დუმბაძე, „მე ვხედავ მზეს“); **აგჭოსა** – ეწოდა ერთ მშენებელს მეორე მშენებლის მეტსახელის (ქოსა) მიხედვითა და საპირისპიროდ. როგორც ჩანს, ორივე გარეგნობით ქოსა იყო, მაგრამ ხასიათით განსხვავებულნი: ერთი

– გულმართალი, დინჯი და ჭირთამთმენი, მეორე – გულმრუდი, ფიცხი, ავყია. „ერთს თუ მეტსახელად ქოსა ერქვა, მეორეს – ავქოსა“ (მ. მრეველიშვილი, „ქოსა და ავქოსა“). ამათგან ავქოსა მოთავსდება მესამე ჯგუფშიც.

რეალურ ყოფაში დადასტურებული ანალოგიური მეტსახელები: **ბალუ** – დათვივით ბიჭია, ბალუ კი „მაუგლის“ პერსონაჟი დათვის სახელია; **ლილუ** – ჰგავს ფილმ „მეხუთე ელემენტის“ პერსონაჟს – ლილუს; **ტიგრანა** – დაარქვეს ბავშვს, რომელიც მიამსგავსეს ერთ-ერთი ფილმის გმირს, ტიგრანს (თბილისი); **ხატულა** – მეტსახელი გიორგი ლეონიძის პერსონაჟის მიხედვით; **პელე** – ფეხბურთს კარგად თამაშობს (ეს მეტსახელი ხშირად გვხვდება); **დიბირა** – შეარქვეს სოფლელებმა ბიჭს, რომელიც გარეგნობით ძალიან ჰგავდა იმ სოფელში ცნობილ ყაჩაღს – დიბირას (ჯუგაანი); **ასანა** – შეარქვეს ბავშვს, რომელიც ყველაფერს ისევე ითვისებდა, როგორც იმავე სოფელში მცხოვრები ერთი თათარი, სახელად – ასანა (ზემო ბოდბე); **გაგარინა** – მანქანა ისე სწრაფად დაჰყავდა, რომ კლდიდან გადავარდა და დაცინვით თქვეს, გაგარინივით გაფრინდაო და გაგარინა შეარქვეს (ბოდბე); ლოლიჩი – მის დედას ლოლა ჰქვია (ბოდბისხევი); **ბახალიჩა** – მისი მამა იყო პატარა ტანის (სიღნაღი).

ფარყო – ნათლიის მეტსახელი დაერქვა; **კნური** – პაპის მეტსახელი გადმოვიდა შვილიშვილზე, **კვახა** – მამის მეტსახელი გადმოვიდა შვილზე (ქვემო ნიქოზი); **კიჭა** – მამის მეტსახელი შვილებზე გადმოვიდა (თბილისი, ფეხბურთელების ოჯახი). **პეტიჩა, ჟიულიჩა** – მამის სახელების მიხედვით დარქმეული (ბოდბისხევი).

13. სემანტიკადაბინდული მეტსახელები. ეს ჯგუფი უპირისპირდება მეტსახელთა წინა ჯგუფებს იმით, რომ მათში არ ჩანს სიტყვის სემანტიკა. მწერლები და ინფორმატორები თავად ამბობენ – არავინ იცის, რატომ დაერქვა მას (დენოტატს) ეს სახელიო. მაგალითად, **„კომეჯას“** ეძახდნენ გიორგის, მაგრამ ამ სახელს საწყენად არც გიორგი იღებდა და არც დამძახებელი ფიქრობდა მის წყენას. სინამდვილეში კომეჯა იმიტომ არ იყო საწყენი, მას იმიტომ არ ჰქონდა დაცინვითი ფუნქცია, რომ, როგორც

ავტორი წერს, „რად დაერქმიათ მეტსახელი კომეჯა, არც თვითონ იცოდა და არც სოფელმა“. ალბათ ვინმეს უცაბედად წამოსცდა ეს სიტყვა და შერჩა სახელადო (ს. მგალობლიშვილი, „წარსულიდან“). პრაქტიკაშიც ხშირია მსგავსი ფაქტები. მათ სემანტიკადაბინდული მეტსახელები ვუწოდეთ.

მეტსახელთა დიდი უმრავლესობა სემანტიზებულია. მათი ძირითადი თვისება ლექსიკურ-სემანტიკური გამჭვირვალობაა. ამიტომ მეტსახელთა ძირითადი ნაწილი მოლაპარაკე სიტყვაა, თვითონვე მიგვითითებს დენოტატის იმ კონკრეტულ ნიშან-თვისებაზე, რამაც გამოიწვია გარკვეული შინაარსის აპელატივისა თუ მეტყველების სხვა ლექსიკური ნაწილის გასაკუთარსახელება. მეტსახელთა ამ თვისებამ თავად შექმნა ზემოთ წარმოდგენილი სემანტიკური ჯგუფები. მეტსახელთა ნაწილს ინფორმატორი არ სჭირდება – იგი თვითონ მეტყველებს თავის თავსა და რქმევის ობიექტზე. მაგრამ გამოიყოფა მეტსახელთა გარკვეული ნაწილი, რომლის სემანტიკა ასევე გამჭვირვალეა, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ინფორმატორის გარეშე ჭირს მისი კონკრეტული ჯგუფისადმი მიკუთვნება. მაგალითები: **ყბადია** – ეს სახელი შეიძლება დარქმეოდა კაცს, რომელსაც ფიზიკურად მუდამ პირი ჰქონდა დაღებული ან კაცს, რომელიც „პირში არაფერს იჩერებდა“, ანუ მოლაპარაკე, ჭორიკანა კაცს. რეალური ცნობის (მწერლის ან ინფორმატორის მიერ მოცემული) გარეშე, მხოლოდ ონიმის აპელატიურ გამჭვირვალობაზე დაყრდნობით, შესაძლებელია შეცდომით მივაკუთვნოთ ესა თუ ის კონკრეტული მეტსახელი ამა თუ იმ სემანტიკურ თუ ფუნქციურ ჯგუფს. ამავე ტიპისაა: **ტვინიკოსა** – უნიჭობის გამომხატველ მეტსახელად შეერქვა ერთ ყმაწვილს; **შავთვალა** – მეტსახელად, ჩვეულებრივ, დაერქმევა შავთვალა ადამიანს, მაგრამ ოქროყანაში ჩაწერილ ამ მეტსახელს უფრო კონკრეტული ეტიმოლოგია აღმოაჩნდა: შაეთვალა დაერქვა კაცს (კაკო), რომელსაც ცალი თვალი აქვს შავი. დავასახელებთ სხვა მაგალითს: **შავი** (დათო ცირეკიძის მეტსახელი). როგორც ყველა ბიჭს, მასაც უყვარდა „მამლაყინწობა“, გამორჩეულიც კი იყო ამ თვისებით, ამიტომ ბევრს ეგონა, რომ შავი „ძველბიჭობის“ გამო დაერქვა, სინამდვილეში კი „შავი“ თბილისელი დათო ცირეკიძის გამორჩეული

შაგვრემანობის აღმნიშვნელი იყო. დათოს მეტსახელი შაკი სემანტიკურად გარეგნობის აღმნიშვნელ მეტსახელთა ჯგუფს მიეკუთვნება (და არა ქცევისა და მოქმედების აღმნიშვნელებს, როგორც ბევრი თანამოქალაქე ფიქრობდა და რაც, თავის მხრივ, განაპირობებდა ამ საკმაო რიდით გამორჩეული ჭაბუკის იმიჯს).

ამრიგად, სემანტიზებულია მეტსახელთა ის ტიპი, 1) რომელიც თავად ხსნის, შიფრავს თავის დენოტატს (სქელო, წრიპა...) და 2) ლექსიკური მნიშვნელობა, მართალია, გამჭვირვალეა, მაგრამ ინფორმაციის გარეშე ვერ დავაზუსტებთ დენოტატზე მისი მორგების მიზეზს.

14. საოჯახო მეტსახელები. ცალკე გამოიყოფა ე.წ. საოჯახო მეტსახელები. წარმოვადგენთ საოჯახო მეტსახელების ორ ტიპს: 1. როცა მეტსახელი ერქმევა ოჯახს, ამას უფრო ოჯახის მეტსახელი შეიძლება ეწოდოს; 2. როცა ერთი მეტსახელით იხსენიებენ ოჯახის თითოეულ წევრს (უფრო მამაკაცებს).

ხშირად მეტსახელი ერქმევა ოჯახს – მისი წევრების ერთნაირი თვისებით გამორჩეულობის ან რომელიმე წინაპრის სახელის მიხედვით. ამ ტიპისაა: **ქოთილაანი** (ოჯახის წევრები ქოთქოთა ხალხია), **ზოპარკაანი** (ოჯახში სულ მხიარულებაა, სოფ. ნაოზა). პ. ცხადაიას ხელმძღვანელობით სტუდენტების მიერ სიღნაღის რაიონში ჩაწერილი ოჯახის მეტსახელებია: **ჩურჩხელაანი** (სარუხანოევები. მათი წინაპრები ბავშვობაში ჩურჩხელებს იპარავდნენ); **ძროხაანი** (ხუცურაულები. მათს წინაპარს საცხოვრებელი ბინა და ბოსელი ერთ ჭერქვეშ გაუკეთებია); **მელაანი** (მათი პაპა ჩუმჩუმელა კაცი ყოფილა);

გადისოსაანი (პაპის სახელის, სოსას, მიხედვით); **ბეზგოთაანი** (წინაპარ ბეზოს მიხედვით), **არბოშიკაანი** (სოფ. არბოშიკიდან სოფ. ჯუგაანში გადმოსახლებული ოჯახის მეტსახელი). ძირითადი გვარის (ან ადგილის) მიხედვით ამ განშტოებებს, რომლებიც წარომოქმნილია წინაპართა სახელებისგან ან მეტსახელებისგან, ალ. ღლონტი იხსენიებს ქართული დიალექტის კილოკავებში გავრცელებული სიტყვით – სახინჯარი და დასძენს: „ყველაზე რელიეფურად ეს მოვლენა ამჟამად შემონახულია ქართული ენის ქიზიყურ დიალექტში“ (სიღნაღისა და დედოფლის-

წყაროს რაიონების მცხოვრებთა ყოფასა და მეტყველებაში, ალ. ღლონტი, 1967, 43).

საოჯახო მეტსახელების მეორე ტიპი – ესაა ოჯახის თითოეული წევრისთვის შერქმეული ერთი და იგივე მეტსახელი. მაგალითად: **ჭრიკი** – ცოლსაც ეძახიან და ქმარსაც (ოსიაური). საოჯახო მეტსახელებში კვლავ დავიმოწმებთ ზემოთ დასახელებულს: **ჩლაო, ხურო, ბორჩხა, კიჭა** – ჰქვია მეტსახელად ერთერთ თბილისელ პიროვნებას, რომლის სამივე შვილს (ფეხბურთელებს) ამავე მეტსახელით მოიხსენიებენ, ხშირად სამივეს ერთად მრავლობითის ფორმითაც წარმოადგენენ – **კიჭები**; **მამულიჩას** (კახა მამულაშვილის) ვაუსაც, ნიკო-ნიკოს, **მამულიჩას** ეძახიან და ალბათ ასე გაგრძელდება თაობებში; **კვაზის** (ლაშა გელაშვილი) ვაჟია **კვაზი//კვეზბო** (გიორგი გელაშვილი); **კოლა** – ბაბუის საკუთრივ ანთროპონიმი, სხვათა შორის, მეტსახელად დაემკვიდრა შვილიშვილს.

მეტსახელების მოძიება საინტერესო სურათს შექმნის ქართულ ონომასტიკაში. თითოეული ახალი მეტსახელი ახალი ლექსიკური ერთეულია. ხალხის ფანტაზიის დაუშრეტელობა განაპირობებს იმას, რომ აუცილებლად გამოიკვეთება შინაარსობრივად ახალი ჯგუფებიც. მოსწრებულადაა ნათქვამი მეტსახელებზე: "Вечно юные образования" (Теория и методика ономастических исследований, 1986, 27).

მაგალითისთვის: ვფიქრობთ, არ იქნება ურიგო ცალკე გამოიყოს მეტსახელთა ერთი ჯგუფი და მას ეწოდოს ე.წ. **მომენტალური მეტსახელები,** ანუ ისეთი მეტსახელები, რომლითაც ერთ გარკვეულ მომენტში შეფასდება პიროვნება (დადებითად ან უარყოფითად) და ის ერთჯერადად გამოყენებული სიტყვა რჩება მხოლოდ ადამიანთა მეხსიერებაში იმ პირის აღსანიშნად. მაგალითად, კომპოზიტორმა ვაჟა აზარაშვილმა რევაზ ლაღიძის წიგნის ავტორს, ქალბატონ ნათელა პაიკიძეს, პრეზენტაციაზე დაუწუნა გვარი (სემანტიკურად პაიკის შემცველი) და ასე მიმართა: – თქვენ ლაზიერი უნდა გერქვათო. საინტერესოა ამ ტიპის, ანუ ე.წ. სახელ-შეფასებების **პასიური ფონდის** შევსება ანალოგიური მაგალითებით.

ბ. მეტსახელთა ფუნქცია

გარდა სემანტიკური ჯგუფების გამოყოფისა, მეტსახელთა კლასიფიკაციას წარმოვადგენთ მათი ფუნქციის მიხედვით. ძირითადად, გამოიყო შემდეგი ტიპები:

1. **დაცინვითი მეტსახელები;**
2. **სახუმარო მეტსახელები;**
3. **მოფერებითი მეტსახელები;**
4. **პატივისცემის გამომხატველი მეტსახელები;**
5. **ნეიტრალური მეტსახელები.**

მე-2, მე-3, მე-4 ფუნქციათა გამოყოფით, ვეფიქრობთ, გაფართოვდება მეტსახელის ცნება, რაც ვ. ნიკონოვის მიერ შემოთავაზებულია არასასურველობის ასპექტით. ვ. ნიკონოვი აღნიშნავს, რომ **მეტსახელები ფასეულია მეცნიერებისთვის**, მაგრამ მათ უწოდებს **„нежелательные в употреблении"** (ნიკონოვი, 1970, 52). ბუნებრივია, მეტსახელთა არსში იგულისხმება ეს მომენტი, მეტიც, მეტსახელთა **ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია** სწორედ დაცინვითია და ამდენად არასასურველი, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, მათი ფუნქცია მხოლოდ დაცინვით არ შემოიფარგლება. შეეხებით თითოეულ მათგანს.

1. მეტსახელთა დაცინვითი ფუნქცია. მეტსახელთა უმეტესი ნაწილის მიზანი დაცინვაა, რაც, ვ. ნიკონოვის სამართლიანი შენიშვნით, არასასურველობის შეგრძნებას იწვევს. დაცინვის გამოხატვის ორი ძირითადი გზა გამოიკვეთა: ა) დენოტატს უშუალოდ მიმართავენ შერქმეული სახელით, რომლითაც მისთვის არასასურველი თვისებაა გამოვლენილი; ბ) ამ ტიპის მეტსახელთა გარკვეული ნაწილი ვერ სწვდება რქმევის ობიექტის ყურს. შეიძლება მან იცოდეს ამ ფაქტის შესახებ, მაგრამ მიმართვისას ერიდებიან. მეტსახელთა გამოყენების თვალსაზრისით, პირველ ტიპს ვუწოდეთ **გამახელებელი მეტსახელები**, მეორეს – **ზურგსუკანა მეტსახელები** (გოდერძიშვილი, 1990, 135-138). ხშირად თვით მწერალი ამახვილებს ყურადღებას დაცინვითი მეტსახელების ამ ტიპებზე.

ა) გამახელებელი მეტსახელები. მეტსახელები, მით უმეტეს, გამახელებელი, ადამიანთა ურთიერთობებს თან რომ სდევს და მისი ერთ-ერთი ატრიბუტია, ძალუმად დომინირებს მხატვრულ თხზულებებში. დიტომ ერთი ყმაწვილი აიკვიატა და მეტსახელები გამოუგონა გასახელებლად. უფრო მეტიც, მან შეადგინა, როგორც ავტორი წერს, „დამცინებელთა წრე“. დიტოს ამქრები ამ ყმაწვილს მოსვენებას არ აძლევენ, რის გამოც „ხშირად უნახავთ ის აზმუვლებული“ (გ. წერეთელი, „ჩვენი ცხოვრების ყვავილი“). **უხერხული** – თედორეს „დასცინოდნენ და გაკიცხვითაც დაარქვეს „უხერხული“. მის შვილსაც ის აწუხებდა, რომ ყველა **„უხერხულის შვილს“**[1] მეძახისო“ (აკ. წერეთელი, „ეარდი და ეკალი“); **ხრიკუნა:** „ამ დღიდან მექიმ სამუდამოდ დაკარგა ნათლობის სახელი და „ხრიკუნა“ დაერქვა – ხრიკ, გაკრიჭე. „იცით, რას ნიშნავდა სოფელ ზემოციხეში ეს მეტი სახელი? – ეს იყო ყველაზე დაწყეველილი მისამართი, საითაც მხოლოდ დამამცირებელი სიტყვა და ხუმრობა მიდიოდა. ეს იყო საფრთხობელა, რითაც გაკაპასებული დედაკაცები მტირალა ბალღებს აჩუმებდნენ. ეს მეტი სახელი მექისათვის ცოცხალი საფლავი იყო, რომელსაც დიდ-პატარა ფეხითა სთელავდა“ (კ. ლორთქიფანიძე, „კოლხეთის ციხკარი“).

ეფიქრობთ, „გაუმარჯოს გიგილოში“ მწერლის მიერ არასწორადაა შეფასებული მოსწავლის მიერ მასწავლებლისთვის შერქმეული ის მეტსახელები, რომელთაც ავტორი „მოფერებით“, „შინაურულ“ სახელებს უწოდებს, მაშინ როცა, როგორც თავად წერს, „პატივცემული მასწავლებელი“ უნდა დაეძახათო. კერძოდ, მოსწავლე „ქართულის მასწავლებელს – **„სიმაფორას“**, რუსულის მასწავლებელს – **„ნიტაკლის“**, ზოოლოგიის მასწავლებელს – **„სკარპიონას“**, ხოლო ფიზიკის მასწავლებელს **„პალაჩას“** ეძახის“. ეს აპელატივები, მეტსახელებად გამოყენებული, ნამდვილად არ მოახდენს დადებით ემოციას, მით უმეტეს, „პატივცემულ“ (ანუ პატივსაცემ) მასწავლებელზე. ამ მეტსახელებს რომ უფრო არასასურველობის დატვირთვა აქვთ, თავად ავტორიც

---

[1] **უხერხულის შვილი** და მისი ტიპის სახელდებები მეორე სახელთა სხვა რიგში, კვაზიონიმებში, შეეიტანეთ.

გრძნობს, როცა წერს: ამ სიტყვებს მოსწაელე მასწაელებელს ეძახის, „თქვენ წარმოიდგინეთ, ქუჩაშიც კი“ (ნ. დუმბაძე, „გაუმარჯოს გიგილოს“). ვფიქრობთ, „პატივცემული“ მასწავლებლისა და, როგორც ავტორი უწოდებს, „ჭკუანაკლული“ მოსწაელის ურთიერთობა გამორიცხავს „შინაურულ“ დამოკიდებულებას, აღნიშნულ მეტსახელთა სიმძაფრე კი – მათს „მოფერებით“ ფუნქციას.

ზოგჯერ მეტსახელი გარკვეული დროის შემდეგ იტვირთება განსხვავებული სემანტიკით, რაც ცვლის მის ფუნქციასაც. **ფუფალა** – ბერიქალისათვის ოდესღაც მისი სილამაზის გამოსახატავად „ფუფალა“ უწოდებიათ (გ. ლეონიძე, „ნატერის ხე“). მას შემდეგ, რაც განთქმული მზეთუნახავი საფრთხობელას დაემსგავსა, ეს სახელი დაცინვის ფუნქციით დაიტვირთა და გამახელებელ მეტსახელად იქცა. უფრო მეტიც, ოდესღაც სილამაზის გამომხატველი სიტყვა ამ დენოტატის მეტსახელად ქცევის შემდეგ განზოგადდა, მაგრამ ახალი შტრიხით – ესაა უცნაური, საცილო ჩაცმულობა და სახის არაბუნებრივი გათხაპნა, რითაც ბერიქალა გამოირჩეოდა. რეალურ ყოფაში „ფუფალა“ გააპელატივდა და სასაცილოდ გაპრანჭული, უცნაურად ჩაცმული ადამიანის ეპითეტად იქცა. თბილისში ჩავიწერეთ „ფუფალა“ პრანჭია გოგოს მეტსახელად.

მეტსახელები, მით უფრო გამახელებელი, მრაელად დასტურდება რეალურ ყოფაში, განსაკუთრებით, სოფლის რეგიონებშია თავმოყრილი: **ბე** – ეს მეტსახელი ყმაწვილებმა შეარქვეს ერთ მოხუცს (სოლომონს). როცა იგი გამოჩნდებოდა, ცხვარს ყურში მაგრად ჩააელებდნენ ხელს, რათა **ბე** დაეძახა და ამით გაეხელებინათ მოხუცი. მან იცოდა, რომ მეტსახელად **ბე**-ს ეძახდნენ და ყმაწვილების ამ გამომწეევ მოქმედებაზე ბრაზობდა (ქვემო ნიქოზი); **დეგე** – დეგენარატი...

ბ) ზურგსუკანა მეტსახელები: კიკოლიკს ჩიკოლიკის საუბარი ყოეელთვის აღიზიანებდა, ამიტომ „ჩუმად დავარქვი ეს სახელი „შარლატანისიმუსი“, – ამბობს იგი (გ. წერეთელი, „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა“); „ავად მოსახსენებელ ვასო ინჯიას, რომელიც საშიშ და მოსარიდებელ კაცად მიაჩნდათ, შიშითა და კრძალეით „ბატონი ეასოთი“ მიმართავდნენ, ზურგს

უკან კი ყველა **„ბებერს“** ეძახდა (რ. ჯაფარიძე, „ენების კვირა“). მეტსახელის ზურგს უკან გამოყენების ფაქტი მწერლის მიერ საგანგებოდაა გამოკვეთილი შემდეგ წინადადებაში: ბინა „ალექსანდრ ნიკოლაევიჩისა“ – როგორც უწოდებდნენ პირში, ანუ **ბულდოგისა**, როგორც ჩვეულებრივ იხსენიებდნენ ზურგთუკანა“ (ო. ჩხეიძე, „აღმარღ-აღმართ“); სოფელში არ უყვარდათ ერთი უჯიათი კაცი, „აუგი სიტყვა და ავი თვალი აქვსო... ზურგს უკან მეტსახელად **ავგიორგის** ეძახდნენ“ (გ. შატბერაშვილი, „უმძრახი წყალი“). ზურგსუკანა მეტსახელები, უპირველესად, ნიშანდობლივია რეალური ყოფისთვის.

საერთოდ, მკვეთრი სადემარკაციო ზღვრის გავლება მეტსახელთა ფუნქციების გასამიჯნად ზოგჯერ ჭირს. ძირითადად, ერთ სივრცეს მოიაზრებს, კერძოდ, უარყოფითს, მეტსახელთა პირველი ჯგუფი, დაცინვითი. ვამბობთ, ძირითადად, რადგან რიგ შემთხვევაში ხშირი ხმარებისა თუ გარკვეული ურთიერთობის ფონზე მათში შეიძლება დაცინვის ხარისხი და უარყოფითი ემოცია განეიტრალდეს, რის შემდეგაც მეტსახელის დაცინვით ფუნქციას შეცვლის სახუმარო ფუნქცია. ასე რომ, მეტსახელის ფუნქციას განსაზღვრავს არამარტო მისი, როგორც ენის ლექსიკური ერთეულის, სემანტიკური მხარე, არამედ ექსტრალინგვისტური მომენტიც.

2. სახუმარო მეტსახელები. სახუმარო მეტსახელები, ერთი შეხედვით, დაცინვით მეტსახელებს უფრო უახლოვდება, მაგრამ სახუმარო მეტსახელებში დაცინვის ხარისხი იბინდება პირთა მეგობრულ-შეხუმრებული ურთიერთობის ხარჯზე. ამ გარემოში მეტსახელის დაცინვით ხასიათს კეთილგანწყობითი გარსი ანეიტრალებს.

ს. მგალობლიშვილის ერთ მოთხრობაში („წარსულიდან“) შეგირდები (ბავშვები) ერთმანეთს მიმართავენ ონიმად ქცეული ისეთი აპელატივებით, რომელთა სემანტიკა არ იწვევს დადებით ემოციას. ბუნებრივია, მათგან წარმოქმნილი ონიმებიც არასასურველი სემანტიკის მატარებელი არიან. მაგრამ შეგირდების მეგობრული გარემო ამ ტიპის ონიმებში ჩრდილავს უარყოფით, გამკილავ ფუნქციას, რის საფუძველზეც ისინი იძენენ სახუმარო ფუნქციას. ამას ადასტურებს კონტექსტები, რომლებშიც გამოხა-

ტულია მეგობრული განწყობა არასასურველი მეტსახელით „მონათლული“ პირისადმი: **„თხუნელ,** მიშველე რამე“; „ჩვენო **ბარბოს**“ (ბარბოსა ძაღლთან მიმსგავსებით დაერქვა ელიზბარს); „არიქა, **მგელო,** არ გაჯობოს!“ (ს. მგალობლიშვილი, „წარსულიდან“); **„ბარაქალა, თხისტვინავ**“ (გ. წერეთელი, „ჩვენი ცხოვრების ყვავილი“); „მე და **ბლუკუნა** ვაპირებთ მაგ საქმეს“ (გ. წერეთელი, „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა“). მეტსახელად გამოყენებული ეს სიტყვები მეგობრულ გარემოში სახუმარო ელფერს იძენენ, რაც სხვადასხვა მომენტით აიხსნება: ბავშვის ასაკი იტანს არაპოზიტიურ მეტსახელს, მით უმეტეს, თუ იგი პოზიტიურ გარემოში გამოიყენება. მეგობრულ გარემოში ცვდება მეტსახელის არაპოზიტიური სემანტიკა და მას სახუმარო ელფერი ეძლევა. თხზულებიდან ირკვევა, რომ ეს მეტსახელები არ იწვევენ მწვავე რეაქციას ბავშვებში მაშინ, როცა შეიძლება საკმაოდ დადებითი სემანტიკის მქონე მეტსახელმა გამოიწვიოს დენოტატის უკმაყოფილება. მაგალითად, „ნატაშა ჯავრობდა, **შავთვალას** რომ ეძახდნენ და ბოლოს შეეჩვია ამ სახელს, მგონი, კიდეც მოსწონდა, რომ „შავთვალას“ ეძახდით“ (ჭ ლომთათიძე, „საპყრობილე“); **ძილუა//სამძილა** – თაღრიას ძილი უყვარდა და ცოლმა „სამძილა“ დაარქვა. ხშირად შესძახებდა: „ადე, ძილუაე, არ გამოსცხვი ძილითა?“ სოფლის მღედელიც იტყოდა: „მეორედ მოსელის საყვირიც ვერ გააღვიძებს მაგ სამძილასაო“ (გ. ლეონიძე, „ნატვრის ხე“).

რეალურ ყოფაში ამ ტიპის უთვალავი მეტსახელია. შეიძლება ითქვას, უმეტესი ნაწილი მეტსახელებისა სწორედ სახუმარო დანიშნულებისაა. პრაქტიკულად, ამ ტიპის მეტსახელებად გვევლინება, უპირველესად, ბავშვობაში შერქმეული და ბავშვობიდანვე შემორჩენილი მეტსახელები.

3. მოფერებითი მეტსახელები. საგანგებო განმარტების გარეშეც გასაგებია, რომ ამ ტიპის მეტსახელები განსაკუთრებული სიყვარულითაა გაჯერებული: **გუგული** – „ხუთი წლის სოფიო დილიდან მოჰყვებოდა სიმღერა-ჭიკჭიკს და პაპამ სიყვარულით „გ'უგ'ული“ შეარქვა. სოფიოსაც ეს სახელი ერჩივნა თავის ნამდვილ სახელსა“ (ვაჟა, „მელია-კუდაგრძელია“); **ჩიორა** – „მე სახელად ანიკო მქვია, ჩიორას კი მეძახიან, – კმაყოფილებას ვერ

მალავს ბავშვი (ნ. ლომოური, „დეიდა სიდონია“). დღეს რეალურ ყოფაში მოფერებით მეტსახელებად განსაკუთრებით გამოიკვეთა უსემანტიკო, გარკვეული მარცვლებისაგან შეკოწიწებული სიტყვა-სახელები: **ჩიჩი, დოდო, ბუბა, ბუბუ, ბუკა, კუკა, კუსა, ჩუკა, ტუკი, ტატა, ბუსკი**... ამ ტიპის მარცვლებისგან გაონიმებულ სიტყვებს შეიძლება **მარცვალსახელები** ეუწოდოთ. ე.წ. მარცვალსახელების რქმევას განაპირობებს გარკვეული ასაკი – ესაა ადრეული ბავშვობის, უფრო ახალშობილობის, პერიოდი. მაგრამ შემდეგ ამ ტიპის მოფერებითი სიტყვები პიროვნების სახელადაც რჩება (და არა მხოლოდ ამ ტიპისა).

მოფერებით მეტსახელთა რიგში შევა გვარიდან წარმოქმნილი ზემოთ წარმოდგენილი სიტყვები. ამაეე რიგისაა **ღლონტუშკი** (წლების შემდეგაც ასე ეძახიან კლასელები ხათუნა ღლონტს). საინტერესოა, რომ დადებითი დამოკიდებულების გასაძლიერებლად უფრო მრავალობითის ფორმას იყენებენ (ღლონტუშკები); **გოშკა** მოფერებით მამიდამ შეარქვა გიორგი ჩხაიძეს და დარჩა მოსაფერებელ მეტსახელად მეგობრების წრეში. მოფერება-მოწონების მოტივაცია უდევს საფუძვლად რეალურ ყოფაში მოქმედ ერთ-ერთ უჩვეულო სახელს **კაია** (რომელიც მეტსახელობიდან იქცა ოფიციალურ სახელად), კერძოდ, გაიარა შემდეგ ეტაპები: **კარგია** (ახალშობილის შესაფასებლად წარმოთქმული) > **კა(რგ)ია** (მეტსახელი) > **კაია** (საკუთრივ ონიმად ქცეული მეტსახელი).

4. პატივისცემის გამომხატველი მეტსახელები: მთისკაცი – „ბათუ ქართუას ხალხმა საპატიო სახელად შეარქვა მთისკაცი მისი პიროვნების განსაკუთრებული პატივისცემისა და სიყვარულის აღსანიშნავად“ (ლ. ქიაჩელი, „მთისკაცი“); **ანაბანა** – პატარა ზაზას ჯოჯო-ბიჭს ეძახდნენ, მაგრამ „ჰქონდა აგრეთვე მეორე უფრო საპატიო მეტსახელიც – ანაბანა-ბიჭი“. „ანაბანავ, ახლა გმართებს ბიჭობა, – თაეი გაიმხნევა ზაზამ“ (ლ. გოთუა, „გმირთა ვარამი“); ეაუა-ფშაველას მოთხრობაში („დარეჯანი“) ეკითხულობთ: სოფელში დარეჯანს ათასნაირს არა საძრახის და საკიცხავს, არამედ სასიქადულო სახელს ეძახდნენ“. მაგალითად მოყვანილია ორი: **დევა** და **პარახოტა**. საგანგებო განმარტების გარეშე ძნელია ამ ორ მეტსახელს ფუნქცია განუსაზღვრო,

მაგრამ ამაში თვით თხზულება გვეხმარება: ავტორის თქმით, სასიქადულოა ეს სახელები, გარდა ამისა, „ვინც ამ სახელებს დაუძახებდა დარეჯანს, იმას არ შეიძლებოდა არ დაემატებინა: „დედაკაცო, ცოდვა არ არის შენ კაც არ ხარ?“

ზოგჯერ უარყოფითი ემოციის გამომწვევი საგნიდან წარმოქმნილი ონიმები განსხვავებული ფუნქციური დატვირთვის მეტსახელებად გვევლინებიან. გაონიმებული **მგელი** და მისგან წარმოქმნილი მეტსახელები, ბუნებრივია, უარყოფითი ემოციით განგვაწყობს მისით სახელდებული ადამიანის მიმართ: ვანოს მგელკაცს „ტყუილად კი არ ეძახიან“, ამ სახელს იგი თავისი სისასტიკით იმსახურებს (გ. ნატროშვილი, „შიში“); სოფრომ მგალობლიშვილის პერსონაჟისთვისაც მგელი შეურქმევიათ, რადგან მგლური ტორღიალი და თქვლეფა უყვარდა. რაც შეეხება მეტსახელს, მგელ-ბაბიას, აქ კომპონენტ მგელს დადებითი ემოციური დატვირთვა აქვს. ამიტომ არ სწყინდა მოხუცს ამ მეტსახელით რომ იხსენიებდნენ. როგორც თხზულებაში წერია, „ან რატომ უნდა სწყენოდა?“ მან სახელად მგლობა მოიხვეჭა მედგარი და შეუპოვარი ბრძოლისთვის (ს. მგალობლიშვილი, „წარსულიდან“). ასე რომ, მეტსახელში მგელ-ბაბია „კილება და ლანძღვა კი არ იხატებოდა, არამედ სიყვარული, მოწიწებით ხსენება და ღრმა პატივისცემაო“, – წერს ავტორი. ასეთ განწყობაზე კომპოზიტი მეტსახელის მეორე კომპონენტიც (ბაბია) მეტყველებს. ასე რომ, მეტსახელის ფუნქციას ზოგჯერ მოტივაციაც წყვეტს და არა მარტო სემანტიკა.

რეალურ ყოფაში პატივისცემის გამომხატველ „მეტსახელად“ იქცა დენოტატის მამის სახელით (რუს. отчество) მიმართვა თუ მოხსენიება, რაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩაისახა საბჭოთა პერიოდში რუსული ენის გავლენით და აისახა ქართულ მწერლობაში. მამის სახელით მიმართვის „პატივი“ მაღალი თანამდებობის პირთა ხვედრი იყო. ასე იხსენიებდნენ საბჭოთა ეპოქაში რაიკომის მდივნებსა და თანამდებობრივად მაღალ ჩინოსნებს (იხ. მეტსახელთა სემანტიკური ჯგუფები, №9), თუმცა ამ ტიპის სახელდება-მოხსენიება მეგობართა შორისაც დამკვიდრდა, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაშიც პატივისცემის ნიშნად; პატივისცემა კი იგრძნობა არა მხოლოდ დენოტატის მიმართ,

არამედ მისი მამის, ოჯახის მიმართაც. გავიხსენებ: ნაცნობ-მეგობრები ერთმანეთს მხოლოდ მამის სახელით მიმართავდნენ, მოკითხვისას ვინმეს მიმართ პატივისცემის გამოხატვას მისი რუსული ფორმით წარმოებული მამის სახელითაც ავლენდნენ. ინდა გავიხსენო თბილისში მცხოვრები ერთი ასაკოვანი ქალბატონი, გვარად გოდერძიშვილი, რომელსაც არავითარი ჩინი და მაღალი რანგი არ ჰქონდა, მაგრამ თავისი გამორჩეული თავდაჭერის, თვისებების, გარეგნობის, ჩიხტიკოპით მორთულობისა და ღირსების გამო ნადეჟდა ზახაროვნათი მიმართავდნენ და ასეც მოიხსენიებდნენ.

5. ნეიტრალური მეტსახელები. ამ ტიპის მეტსახელებად მივიჩნევთ ისეთ ონიმებს, რომელთა გამჭვირვალობა დაბინდულია და, შესაბამისად, ემოციური ელფერიც განეიტრალებული, ანუ ნეიტრალური მეტსახელები სემანტიკადაბინდული მეტსახელებია. ასემანტიკურობა განაპირობებს მათი ემოციური ელფერის ანულირებას. ბევრი ნეიტრალური (ანუ სემანტიკადაბინდული) მეტსახელი შეიძლება სხვა ჯგუფში აღმოჩნდეს მისი ლექსიკური მნიშვნელობის გარკვევის შემდეგ, რა თქმა უნდა, თუ გამოელეინილი ლექსიკური მნიშვნელობა მეტსახელს დატვირთავს გარკვეული ფუნქციით. შეიძლება მოხდეს საპირისპირო მოვლენაც – მეტსახელმა, მიუხედავად მისი გამოკვეთილი სემანტიკურობისა, რაიმე მიზეზით დაკარგოს შესაბამისი ფუნქცია, ანუ ეს ფუნქცია განეიტრალდეს. ასეთი მეტსახელებიც ნეიტრალურ მეტსახელთა ჯგუფში აღმოჩნდება. ჭ. ლომთათიძის ერთ მოთხრობაში ვკითხულობთ: „ზოსიმოვი ჯავრობდა, პაპაშას რომ ეძახდნენ, მაგრამ შეურიგდა“. ამ ტიპის ფრაზები არაერთი გვხვდება ქართულ მწერლობაში. როგორც ზემოთ აღენიშნეთ, ხშირად გამახელებელი მეტსახელები კარგავენ დანიშნულებას და ნეიტრალურ მეტსახელებად გვეელინებიან. ამის ერთი მნიშვნელოვანი პირობა კი, ძირითადად, არის დრო და მეგობრების წრე.

სიტყვათქმნადობის დიდოსტატმა გიორგი ლეონიძემ ლექსიკური ერთეულების უდიდესი და უძვირფასესი გალერეა დაგვიტოვა. ამის დასტურად მისი ერთი ნებისმიერი ნაწარმოებიც კი კმარა. ქართული ენის ლექსიკურ ფონდს მწერალი ამდიდრებს ქართული ონომასტიკონითაც. „საკუთარ სახელთა გაცნობის მიზნით

გ. ლეონიძე ზოგჯერ ხელოვნურად ამდიდრებს პერსონაჟთა რაოდენობას" (რ. ჭიკაძე, 1971, 174). ჩვენ დავძენთ, რომ მწერალი პერსონაჟთა რაოდენობას ხშირად მათი მხოლოდ ჩამოთვლის ხარჯზედაც ზრდის, რათა პარალელურად გაზარდოს საკუთარ სახელთა რიცხვიც. ამჯერად წარმოვადგენთ იმ ადგილს, სადაც პერსონაჟთა ჩამოთვლის მიზანი აშკარად ქართულ მეტსახელთა წარმოჩენაა: „ვინღა არ იყო წეეული... სულ ნარჩევი, დარბაისელი ხალხი — რუმბია, ყლარტია, ბოტი, ბანჯურა, დაჩინა, ხლართია, ზაქუტა, ოდოჭა, ფუმფლა, ყლინწო, ქვიშრაფა, ღინტალა, ბატატა, ხაწვა, ყბაღია, ტარაკუჭა, ლოპო, წვერიკმაზია, ლიტრიძირი. კიდევ: ბაჭაჭური, ტიტლია, ბრაცანა... ჰო, კიდევ ერთი, არ მახსოვს კარგად, ბოყო ერქვა, ყეყე თუ ყოყო!" (გ. ლეონიძე, „ნატვრის ხე"). აქ საგანგებოდ წარმოდგენილი ერთგვარი მცირე ფონდია სოფლად დამკვიდრებული მეტსახელებისა.

უნდა აღინიშნოს, რომ **მეტსახელთა ფონდსა** და **საკუთრივ ანთროპონიმთა ფონდს** შორის გარკვეული თვისებრივი სხვაობაა:

I. საკუთრივ ანთროპონიმული ფონდიდან ხდება სესხება მზა ფორმულირებისა სახელდებისთვის. ამიტომ ვამბობთ — საკუთრივ ანთროპონიმული ფონდი წყაროა სახელდებისა. ამის პარალელურად, არსებობს მეტსახელთა ფონდი, მაგრამ იგი არ გამოიყენება სახელდებისათვის. ამ ფონდს აქვს ერთი „კარი", საიდანაც ხდება მეტსახელთა შესვლა და დაგროვება. მეორე მხრივ, ამ ფონდიდან არ ხდება მეტსახელთა გამოდინება კონკრეტული ადამიანის სახელდების მოტივაციით, რადგან მეტსახელთა წყაროა ყოფიერება, კერძოობითი შემთხვევები და არა ფონდი (მეტსახელთა ფონდი). რომელიმე „ბუჩქა" შეიძლება შეერქვას რამდენიმე სხვადასხვა პირს, მაგრამ ამ მეტსახელის წყარო ყველა კონკრეტულ შემთხვევაში არის: ა) კონკრეტული რეალობა, ბ) ენაში არსებული ლექსიკური სისტემა და არა მეტსახელთა ფონდი, განსხვავებით საკუთრივ ანთროპონიმთა ფონდისაგან, საიდანაც, ვიმეორებთ, ხდება მზა ანთროპონიმის სესხება. მეტსახელები კი ინდივიდუალური გზით წარმოიქმნება და არა ფონდიდან სესხების გზით. ასე რომ, მეტსახელი არ არის მემკვიდრეობითი ონიმი. საინტერესოდ შენიშნავს ალ.ღლონტი: „ერთ ადამიანის მეტსახელი მეორეზე არ გადადის. კვდება ამისთა-

ნა პირი და კედება მეტსახელიც. ი'შეიათად შეიძლება აღორძინდეს, მაგრამ აღორძინდება როგორც აპელატივი და არა როგორც მეტსახელი" (ღლონტი, 1967, 49).

II. ამ ორ ფონდს შორის კიდევ ის სხვაობაა, რომ კალენდარული სახელები საერთაშორისო გამოყენებისაა და, განსხვავებულ ერში დამკვიდრებული, ერთმანეთისგან **ფორმით** განსხვავდებიან („შურა დეიდას ქმარი სომეხი ჰყავდა. რუსულად **ივან სერგეევიჩ კოტინოვი**, სომხურად **ოვანეს სერაკოვიჩ კოტინიანც**, ქართულად **ივანე სერგოს ძე კოტინოვი** — ნ. დუმბაძე, „ნუ გეშინია, დედა"). სხვა ვითარებაა მეტსახელთა შემთხვევაში. იდენტური ნიშან-თვისებების გამომხატველი მეტსახელები სხვადასხვა ენაში ერთმანეთისაგან ლექსიკურად, ენობრივად განსხვავდებიან. მაგალითად, ქათმიჭამია და **куроед**, ცხენიპარია და **конокрад**.

დ. მეტსახელთა წარმომავლობა და სტრუქტურული კლასიფიკაცია

(იხ. სქემები №1, №2).

ქართული ტერმინი „მეტსახელი" მიგვანიშნებს, რომ იგი არის მეტი, ანუ ზედმეტი, მაგრამ მაინც სახელი. ზედმეტი სახელი, ანუ მეტსახელი ანთროპონიმია, იგი ანთროპონიმული სტრუქტურის მქონე უნდა იყოს. აქედან გამომდინარე, ონომასტიკური თვალსაზრისით, **მეტსახელია სახელდების ერთსიტყვიანი მოდელი** (როგორც ერთფუძიანი, ისე კომპოზიტი), რომელიც უნდა გამოირჩეოდეს სუბსტანტივობით, ჰქონდეს ონიმური სტრუქტურული ფორმა. კომპოზიტი-მეტსახელია ინდიკატორდართული მეტსახელიც (კნაჭა-ბიჭი, მათე-ბიჭი).

I. **მარტივფუძიანი მეტსახელები**. ძირითადად, გამოყენებულია:

სახელები,
სახელზმნები,
ზმნები,
სხვა მეტყველების ნაწილები.

1) სახელთაგან მეტსახელებად გამოიყენება, ძირითადად, არსებითი ან ზედსართავი სახელები: ა) ფორმაშეუცვლელად (ანუ მათი ანთროპონიმიზაცია ხდება **უდერივატოდ,** უაფიქსოდ: გუგული, თხუნელა, ბაიყუში, ჩახუნდარა, ყვავი, კურკა...), ბ) **დერივატით,** ანუ მაანთროპონიმებელი სუფიქსის მეშვეობით. უმეტესწილად ასეთ სუფიქსად გვეელინება -ა (ზოგჯერ -ო), რომელიც არსებით და ზედსართავ სახელთაგან აწარმოებს საკუთარს: დამპალა, ყეყეჩა, დევა, წიწმატა, ლიმონა, მერცხალა, მურტალო, ზამთარა, აქლემა, ელემენტა...

-ა სუფიქსი (ზოგჯერ -ო) უცხოენოვან სიტყვებსაც დაერთოის და ეიღებთ გაქართულებულ მეტსახელებს – ბარანა, ტანცო, კაშმარა, დიკარა, წიპლონკა, რიჟკა. ზოგჯერ კი უცხოენოვანი სუფიქსებიც წარმოქმნიან მეტსახელებს ქართული სიტყვებიდან. უპირველესად, ეგულისხმობთ ქართული სახელ-გვარებიდან წარმოქმნილს: ზუკიჩა (ზურა-ზუკა), ღლონტუშკი (ღლონტი)...

2) სახელზმნები (მარტივფუძიანიც და რთულიც) თითქმის ყველა მაწარმოებლითაა გასუბსტანტივებული (ორიოდე გამონაკლისის გარდა: მისწრება):

ა) საწყისი: ბლუკუნა(/ბლუკუნი), კვანტალა(/კვანტალი), კოკნიმა(/კოკმანი), ← ლულლულა(/ლულლული), ტანტალა (/ტანტალი);

ბ) მიმღეობის მსგავსი ჭამია ტიპის ფორმები: პურჭყია, თხუპნია, ფხანია, ჭყეტია,[1] / ჩიტირეკია, ბელტიყლაპია;

3) ზმნის ფორმათაგან მეტსახელებად, ძირითადად, გამოიყენება ბრძანებითი კილოს II პირის ფორმები: იტიტინე, აპრაკუნე, აკაკუნე, აბრუნდი, ურახუნე, ატყაპუნე, მამე... ზმნის III სუბიექტური პირის ფორმები: დაღამდა, აიტუზა წიგისა;

4) სხვა მეტყველების ნაწილები მეტსახელებად: ბლომბლომა, ჭიტა, ჩიკ, ბე...

---

[1] აკ. შანიძე „ჭამია და მისთანანი" ფორმებზე წერს, რომ ისინი მიმღეობის ფორმა არ არის, მაგრამ შინაარსით მოქმედებითი გვარის მიმღეობას უახლოვდება რამდენიმე ფუძისგან -ია-თი ნაწარმოები ფორმები: ჭამია, ყლაპია, ქექია, რეკია და სხვ. (აკ. შანიძე, 1973, 583).

II. რთულფუძიანი მეტსახელების კომპონენტები სტრუქტურულად ერთმანეთის

მიმართ მსაზღვრელ-საზღვრულია. ძირითადად, გამოიყო სამი ჯგუფი:

1. დერივატის გარეშე გასუბსტანტივებული რთულფუძიანი მეტსახელები: გვერდგამოვარდნილი, ოქროპირი, შარლატანისმუსი, ყარაბოღლი, თოფოლოღლი...

2. დერივატით გასუბსტანტივებული რთულფუძიანი მეტსახელები. ორი ფუძისგან შემდგარი კომპოზიტის მეტსახელად ქცევას განაპირობებს მეორე კომპონენტზე -ა მაწარმოებლის დართვა. -ა სუფიქსი ხელს უწყობს მსაზღვრელ-საზღვრულიანი ან ერთმანეთთან რაიმე მნიშვნელობით დაკავშირებული ორი ფუძის შეკერას და ერთ ორთოგრაფიულ ერთეულად მათს ჩამოყალიბებას. აგებულების მიხედვით გამოიყო შემდეგი მეტყველების ნაწილებისგან შედგენილი ჯგუფები:

ა) არსებითი- და არსებითი სახელი: ხარისთვალა, თხისტვინა, ცხვისათითე...

ბ) არსებითი- და ზედსართავი სახელი: თავრბილა, თაეხმელა...

გ) ზედსართავი- და არსებითი სახელი: ჯგირკოჩა, შავთვალა...

დ) რიცხვითი- და არსებითი სახელები: ცხრაწვენა, ორშაურა, სამძილა...

ე) არსებითი სახელი და საწყისი: მუჭატყუილა...

ვ) არსებითი სახელი და მიმღეობა: ბელტიყლაპია, ზაქიჭამია, ბუდეჭამია, წვერჭამია, თითიღეჭია, ბატიჭამია, ჩიტირეკია, ფაფაყლაპია...[1]

---

[1] ეს ფორმები, ჩვეულებრივ, გვხვდება ნათესაობითში დაყენებულ სახელებთან: ყველიჭამია, დოყლაპია, ბელტიყლაპია. აღნშნული ტიპის კომპოზიტებს საგანგებოდ განიხილავს ფ. ერთელიშვილი. მისი აზრით, ენატანია, შარახვეტია ტიპის წარმოებას ხოლმეობითის გაგება აქვს. ეს მნიშვნელობა მიმღეობაში ხოლმეობითის ნაკვთს უნდა შეჰქონდეს (ფ. ერთელიშვილი, 1959, 256).

ზ) ზმნა და არსებითი სახელი: ესაა ორსიტყვიანი წინადადება, რომელმაც დერივატის გარეშე შეიძინა ონიმური სტრუქტურა: **დაგჩხაფისო** (დაგცხა ფისო?) ბავშვობისას ფონეტიკური ცვლილებით ნათქვამი მის მთქმელს შემდგომში მეტსახელად მიეკერა (ცხადაია, ონომასტიკის შესავალი, 2005, 155); **ფურთუმატე** (ფურებს უმატე, მოიგე – სიღნაღი-2).

ორფუძიანი მეტსახელების **პირველი ნაწილი** – ეს იქნება სუბსტანტიეი, ადიექტიეი თუ რიცხვითი სახელი, წარმოდგენილია:

ა) ფუძის სახით: ავსიტყვა, ცხრაწვერა, თავრბილა, მუცელღმერთა, ორშაურა...

ბ) სახელობითი ბრუნვის ფორმით: კოჭიბროლა, ჯგირიკოჩა, შარლატანისიმუსი...

გ) ნათესაობითი ბრუნვის სრული ფორმით: ხარისთვალა, თხისტვინა...

დ) ნათესაობითი ბრუნვის შეკვეცილი ფორმით:

1. ნემსი(ს)ყლაპია, წვერ(ის)ჭამია, ბატი(ს)ჭამია, ოქრო(ს)პარია...
2. ფეჩი(ს)კალთა, ლიტრი(ს)ძირი, ხი(ს)თავა.

აქ წარმოდგენილი ორსიტყვიანი წინადადების ონიმად ქცევა განაპირობა მათში სემანტიკის დაბინდვამ. ონიმად შეიძლება ჩამოყალიბდეს სემანტიკადაუბინდავი წინადადებაც: **მოდიმნახე** (დუქნის მეპატრონე – კოშორიძე, 2004, 131-132).


„ზოგი ანთროპონიმი ერთსა და იმავე დროს სახელიც არის და თიკუნიც“, – წერს ალ. ღლონტი და გვაწვდის რამდენიმე მაგალითოს: **„თოკა, ჯუბო** ჩხოროწყუში საკუთარი სახელია, ქსნის ხეობაში – თიკუნები; **კუდა** ხევსურეთში საკუთარი სახელია, ქართლში – თიკუნი; **მწარია** ფშავში სახელია, კახეთში – თიკუნი; **ოდანე** თუშეთში საკუთარი სახელიცაა და თიკუნიც“(ღლონტი, 1988,178).

აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი ფაქტი: ტერმინ თიკუნით ლოკალურად (საქართველოს ერთ-ერთ კუთხეში) თუ ადამიანთა მხოლოდ ერთი ჯგუფის მეტსახელები მოიაზრებოდა, მეცნიერებაში მისი მნიშვნელობა განზოგადდა. ასე რომ, ენათმეცნიერული ტრადიციით, თიკუნი და მეტსახელი სინონიმებადაა დამკვიდრებული.


მეტსახელი ადამიანის ფანტაზიის, ენამახვილობის, გონებამახვილობის, განათლების დამადასტურებელი ლექსიკური ერთეულია. მეტსახელებით მდიდარი ენა განაპირობებს ლექსიკით მდიდარ ენას. სწორედ ამ თვისებებს გულისხმობს ს. მგალობლიშვილი, როცა ამბობს: „სახელების გამოგონებაში შეგირდის გონების მახვილობას ხომ არა შეედრება რაო“ („წარსულიდან“). ამა თუ იმ კუთხის ყოფითი მხარეების შესასწავლად საინტერესო სურათს მოგვცემს მეტსახელთა შეგროვება-შეჯერებაც და რეგიონების მიხედვით ლექსიკონად გამოცემა იმ უკვე მოპოვებულ მასალასთან ერთად, რაც ცალკეული სტატიებისა თუ წიგნების საშუალებითაა გამომზეურებული.

დასასრულ, საკმაოდ უხვ მასალაზე დაყრდნობით, აღმოჩნდა, რომ მეტსახელების (თიკუნების) **ძირითადი ნაწილი დერივატით წარმოქმნილი აპელატივები, ადიექტივები და სახელზმნებია. ამასთან, წარმოქმნილად ვერ ჩავთვლით იმ მეტსახელებს, რომელთა გაონიმება არ მომხდარა აპელატივზე საგანგებო აფიქსის დართვით (ჭახრაკი → ჭახრაკა), არამედ უკვე სუფიქსდართული ლექსიკური ერთეული მზამზარეულად იქცა მეტსახელად.** ასე, რომ ცოფიანი, ბრუტიანი, ჭლექიანი ვფიქრობთ, არ ჩაითვლება – იან სუფიქსით ნაწარმოებ მეტსახელებად. ესენი –იან სუფიქსით წარმოქმნილი ზედსართავ სახელთა ფორმებია, რომლებმაც გარკვეულ ვითარებაში მიიღეს მეტსახელის ფუნქცია (შდრ. ე. კოშორიძე, 2004, 129). მეტსახელებად გამოყენებულია უცხოენოვანი ერთეულებიც (სოროკა, ბასიაკა, პუჭურა). თვალსაჩინოებისთვის წარმოვადგენთ სქემებს.

სქემა №1


მეტსახელები
4. სხვადასხვა მეტყველების ნაწილები
2. სახელზმნები
3. ზმნები
იხ. სქემა №2
1. სახელები
მარტივფუძიანი
რთულფუძიანი
არსებითი სახელები
ზედსართავი სახელები
დერივატის გარეშე
დერივატით
დერივატის გარეშე
დერივატით
დერივატის გარეშე
დერივატით
ჭოტი კურკა თხუნელა ჭრიჭინა ბენდუქიძე სპლიყვი
მუსიკანტი ლისა პესნია
ხრიკა აქლემა ზესტაფონე ქილეხა მაწონა ჯღანო ნაგაო ჯეირანა ხანჯალიჩი
ფერბლუდა ჩოლოხა ზაპასა ტიგრო ტანცო სოროკა პარაოზა სკილეტა
ქლესა გამძლე ბრუციანი ველური ბრუტიანი რქიანი
აპასნი
მურტალო ბრუცო ქაჩალა ბუღიჩა ღარიბა მანიაკა ტყემალა ბასრა ნარკუშა პრანჭო გაბერილა ჩორნა შუსტრა კრუჩონა ბასიაკა
ოქროპირი სუტკნეინა ცხვირკოდალა ქინძისკონა გველისხე ცალხელა კრაჭიკრუჭა უჩაკონი
თხისტვინა თაგრბილა ტრითითა ცხრაწვენა პოლიჯოხა ტყისკაცა მოჭისკუდა

სქემა № 2


მეტსახელები
სახელები
იხ. მეტსახელები, სქემა №1, 1
სახელზმნები
ზმნები
სხვადასხვა მეტყველების ნაწილები
მექათმია ტრაბახა ჭყიპო კოკნიმა ბლუკუნა კვანტალა ლუდლუდა ჭიჭყინა ჭამია
რთული
რწყილიტყაპია ცხელიპარია ნამჯიღეჭია დვინიპარია/ წვერიკვნეტია კოპელოკია კვეიღეჭია თითილოკია თვალბრეცია ქვაფქვია ნივრიგლეჯია კიტრიპარია წვერიკმაზია
დაპეკე ამოჩაფე მეზარება უჩუჩუნე წამეედო დაცხა მამე წიგისა არწავალა აპრაკუნე
მარტივი
ჭიტა ჩიკ (ნოდარჩიკ) ბე
ხარაშო
რთული
შექალო ბუყლუ-ბუყლუ ბლომ-ბლომა

§3 მეორე სახელი – კვაზიონიმი
(აღწერითი სახელი)

ა) ზოგადი მიმოხილვა. მეორე სახელთა რიგს განეკუთვნება ის სიტყვები და შესიტყვებანი, რომელთა ონიმობას განაპირობებს მხოლოდ ფუნქცია. მიუხედავად ფორმის არაონიმურობისა, სახელდების ფუნქცია მათ ადგილს მიუჩენს ონომასტიკაში.

პირებს, რომელთა რქმევა არ ხდება საკუთრივ ანთროპონიმით ან მეტსახელით და არც გვარდებული არიან, ქართულ მწერლობაში უსახელო პერსონაჟებს უწოდებენ. დ. ჭონქაძის „სურამის ციხეში“ ვკითხულობთ: „მეორე იყო სურამის მცხოვრები გლეხი, სახელად... მაგრამ რად გინდათ სახელი, დასხდნენ ვახშამზე. პირველად დაჯდა **ჩვენი უსახელო**, მეორე – მისი მეუღლე“. მწერალი აშკარად გვეუბნება – უსახელო პერსონაჟიაო. ასეთი განაცხადი იშვიათია, მაგრამ აღნიშნული პერსონაჟი არცთუ თვალსაწიერის გარეთ დასატოვებელია, რადგან სწორედ მისი არსებობა, მისი პერსონაჟობა განსაზღვრავს თხზულების მეორე პერსონაჟის მყოფობას (**უსახელოს მეუღლე**). ერთი შეხედვით, ისინი უსახელონი არიან, მაგრამ, ონომასტიკური თვალსაზრისით, ერთიც სახელდებულია და მეორეც. სიტყვა **უსახელო** არის ის ლექსიკური ერთეული, რომელიც ადასტურებს პერსონაჟის მყოფობას თხზულებაში. იმავე ფუნქციისაა შესიტყვება „მისი მეუღლე“, რაც, თავის მხრივ, ადასტურებს როგორც მეორე, ისე პირველი პერსონაჟის მყოფობას. ყოველ შემთხვევაში, თუკი საკუთრივ ანთროპონიმი (ვთქვათ, გიორგი) და მეტსახელი (ვთქვათ, ბლუკუნა) – ეს ის ლექსიკური ერთეულებია, რომლებიც აღნიშნავენ პიროვნებას, ზემოთ წარმოდგენილი სიტყვებიც, მოცემულ შემთხვევაში, ერთადერთი ლექსიკური ერთეულებია, რისი მეშვეობითაც ავტორი აფიქსირებს ამ ორი პერსონაჟის არსებობას. ფუნქცია ორსავე შემთხვევაში ერთია – პერსონაჟის აღნიშვნა. ისინი – ერთი მხრივ, რომელიმე „გიორგი“, „ბლუკუნა“ და, მეორე მხრივ, „უსახელო“ მხოლოდ ფორმით სხვაობენ. ეს უკანასკნელი უქონლობა-უყოლობის აღმნიშვნელი ადიექტივია, მაგრამ – გა-

მოყენებული სამისამართო ფუნქციით, რაც, საკუთრივ ანთროპონიმებთან და მეტსახელებთან შედარებით, პიროვნების მყოფობის დამადასტურებელი განსხვავებული საშუალებაა. ინდივიდის აღნიშვნის ეს გზა არანაკლებ დომინირებადია მწერლობაშიც და რეალურ ყოფაშიც, ამიტომ იგი ანთროპონიმიკის ერთ-ერთი ყურადსაღები მოვლენაა და არა მხოლოდ ანთროპონიმიკის.

საქართველოს რეგიონებში ექსპედიციაში ყოფნისას არაერთხელ შეგეხვედრია მსგავსი ონიმური მოდელი, მაგალითად, **„უსახელო წყარო“**. „უსახელო წყარო“ ჰიდრონიმია, ლექსიკურად ასე გამოხატული, მაგრამ მეტსახელის ტიპის ჰიდრონიმი (ჰიდრომეტსახელი). ზოგჯერ ამგვარი შესიტყვებით წარმოდგენილ წყაროს მოეპოვება სახელი, რომელიც რომელიმე უწმაწური სიტყვითაა გამოხატული და რომელსაც სოფელში „შინაურ სახელად“ ხმარობენ, ე. წ. „საგარეო სახელად“ კი „უსახელო წყაროს“ იყენებენ (თეთრიწყაროს რაიონი). ამით ეკრძალებიან უწმაწური სიტყვის ხმარებას და ამიტომაც სდებენ სახელს ასე – „უსახელო წყარო“. ასე რომ, სახელდებული ობიექტიც შეიძლება უსახელოთა რიგში აღმოჩნდეს, თუ ის სახელი ლექსიკურად არ შეესაბამება საზოგადოებრივ წესრიგს. შეიძლება ობიექტი მართლაც უსახელო იყოს და სახელადაც „უსახელო“ ჰქონდეს. ერთ-ერთი ადგილის სახელად ტოპონიმ „უსახელოს“ გამოყენების მაგალითად დაეიმოწმებთ ერთი მწერლის შემდეგ ციტატას: „თუნდაც უსახელოები, მაინც მწვერვალებია... თვალი შეავლო თეთნულდსა... უსახელოზე რა გვინდა? რა სახელი უნდა მოვიპოვოთ უსახელოზე ასვლითა?“ დამოწმებული ციტატიდან აშკარაა, რომ იმ მწვერვალს უკვე ჰქვია სახელი. ეს სახელი „უსახელოა“. გარკვეული ორონიმის დარქმევის შემდეგაც შესაძლებელია, უფრო პირველმა („უსახელო“) „იმუშაოს“.

ანალოგიური ვითარებით განსაკუთრებით გამოირჩევა ანთროპონიმიის სფერო. ლევან გოთუას „გმირთა ვარამში“ ვკითხულობთ: „ქართველი ვიყავ, ახლა საჭურისი ვარ, გულო მერქვა, ახლა კი ალი-გულო. ორი სახელი მაქვს... მაგრამ უსახო და უსახელო ვარ“. ამავე თხზულების გმირია ზაზა კახნიაური. მან ცხოვრების რთული, მრავალფეროვანი გზა განელო. მისი

თითოეული საზოგადოებრივი მდგომარეობა მისავე საკუთარ სახელში აისახა. ჯერ კიდევ ბავშვობაში ორი მეტსახელი შეერქვა: **ჯოჯო-ბიჭი** და **ანაბანა** („უფრო საპატიო სახელი"). ცხოვრებამ ხან ელჩად აქცია ირანის შაჰის კარზე და **ზაზა ელჩი** (ეპითეტიანი სახელი) დაერქვა („ზაზა ელჩო", – ასედაც მიმართავს მას შაჰ-აბასი), ხან **კახა-მორჩილი** („მანდ იყავ ფარულ ხიზნად, კახა-მორჩილის სახელით"), ხან **ვრაცი-ვანაკანი** (ვრაცი-მორჩილი). სპარსეთიდან ქართლის საზღვარს მოღწეული ზაზას ლტოლვილობა დამთავრდა, მაგრამ ფარულობა დარჩა... ისევ ბერ-მორჩილის სამოსი ჩაიცვა. „ვინ გიცნობს... შვიდი წლის წასულს?.. აი, სახელი და გვარი კი ისევ... სხვა უნდა ატაროო და ზაზა გრემელი უწოდეს. მას საქართველოში მიცვალებულად თვლიდნენ, ამიტომ ახლობლებისთვის ზაზა იყო დაკარგული, ხოლო ზაზასთვის – თავისი საკუთარი სახელი. ზაზა არსებობდა, მაგრამ იგი აღარ იყო ზაზა, არც ჯოჯო-ბიჭი და ანაბანა, რაც, სამისამართო თვალსაზრისით, სიტყვა „ზაზას" ტოლფასად ითვლებოდა. მისი ცხოვრების ამ გაურკვეველ პერიოდს რომ აგვიწერს მწერალი, მას ახალი სიტყვა-სახელით იხსენიებს – **სახელდაკარგული** („სახელდაკარგული"... ერიდებოდა, „სახელდაკარგულმა"... იცნო, „სახელდაკარგული"... შეირხა). პერსონაჟის აღმნიშვნელი ეს სიტყვა სახელია, უფრო ზუსტად, სახელდების გარკვეული სახეობა. ამავე თხზულებაში ნახსენებია „**უსახელა გორელი**". უსახელობის გამომხატველი ეს სიტყვები (უსახელო, სახელდაკარგული) პერსონაჟთა აღმნიშვნელებია, სწორედ ისინი ასრულებენ სახელდების ფუნქციას. **ამ ტიპის აღმნიშვნელებს ჩვენ კვაზიონიმები ვუწოდეთ** (გოდერძიშვილი, 1990, 146).

ამრიგად, **კვაზიონიმებს ვუწოდებთ ამა თუ იმ პიროვნების აღმნიშვნელ ისეთ სიტყვებსა და შესიტყვებებს, რომლებიც, ერთი მხრივ, ასრულებენ ანთროპონიმის ფუნქციას, კერძოდ, აღნიშნავენ ერთ გარკვეულ პირს (ანთროპონიმის ამ ფუნქციას ვუწოდოთ სამისამართო ფუნქცია), მეორე მხრივ, მათი ანთროპონიმობა მოჩვენებითია, რასაც ჩვენი ტერმინის კომპონენტად წარმოდგენილი კვაზი (kvazi = ვითომ) ადასტურებს. რადგან ფორმით საკუთარ სახელებს არ წარმოადგენენ, ისინი აღწერი-**

თი ხასიათის აღმნიშვნელებია, აპელატივებია. აღწერითი ხასიათი განაპირობებს მათს ორ-სამსიტყვიან მოდელსაც. მაგრამ, ჩვეულებრივი აპელატივებისა და სხვა ორ-სამსიტყვიანი მოდელებისაგან განსხვავებით, ისინი სახელდების ფუნქციით არიან დატვირთულნი. **სახელდების ფუნქციას მათ ანიჭებს განმეორებადობა,** რა თქმა უნდა, **დენოტატის აღმნიშვნელის ფუნქციით**. თუ პერსონაჟი თხზულებაში მხოლოდ ერთ ადგილასაა ფიქსირებული, ბუნებრივია, მისი აღმნიშვნელი სიტყვა ან სიტყვათა ჯგუფი (კვაზიონიმი) ერთხელ იქნება ნახსენები. მაგალითად, თითო-თითოჯერაა გამოყვანილი პერსონაჟები: **დიაკონი ერთი ვინმე, ბუბუმტე მისი საკუთარი** („შუშანიკის წამება"). ეს ორივე ფრაზა ასრულებს სახელდების ფუნქციასაც. ვ. ველმეშევა ამ ტიპის აღმნიშვნელებს უწოდებს „Прозвище на минуту" (ველმეშევა, 1976, 10). ესენიც (ერთჯერადად ნახმარი აღმნიშვნელები) ნამდვილად კვაზიონიმებია და არა მეტსახელები, მათზე სიტყვა „წამიერის" (წუთიერის, на минуту) გამოყენება მარჯვედაა მორგებული.

პერსონაჟის უანთროპონიმოდ მოხსენიებას გრიგერ ფარულავა „ნახევრად დუმილს" უწოდებს. მაგალითისათვის მიმართავს ძველ ქართულ მწერლობას: „ქართულ ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში პასაჟების და მთელი თავების მითითებითაც კი შეიძლება, სადაც მოქმედებს მოწაფეებითა და თანამოაზრეებით გარშემორტყმული მთავარი გმირი და მისი საკუთარი სახელი არ მოიხსენიება". „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში, – განაგრძობს ავტორი, – თუმცა გეხვდება საკუთარი სახელი, სერაპიონი, მაგრამ თხზულების ზოგიერთ თავში, მართალია, მოქმედების ძირითადი ხაზი სერაპიონს მიჰყავს, მისი სახელი ერთხელაც არ არის ნახსენები, არამედ გეხვდება: „წმინდამან მან... უჩუენა", „წმინდაი იგი ეტყოდა", „უბრძანა წმინდამან მან", „იხილა რა წმინდამან მან", „წმინდამან მან ჯუარი დასწერა" (გრ. ფარულავა, 1982, 221).

კვაზიონიმი რქმევის თავდაპირველი ვარიანტი უნდა იყოს. ადამიანთა სახელდების საწყისი ეტაპი რომ კვაზისახელები იყო, ჩანს ლუის მორგანის წიგნიდან – „Древнее общество". აღწერს რა პირველყოფილი ველური ტომების ყოფას, ავტორი ჩა-

მოთელის მათს სახელებსაც... ბიჭების სახელები: „Длинное крыло, Ястреб, парящий в воздухе, Белоглазая птица“; გოგონების სახელები: „Птица, поющая при дневном свете, Одна из птиц, Птичье яйцо“ (მორგანი, 1934, 47). კვაზიონიმების უწინარესობის დამადასტურებელია ჰომეროსის (სავარაუდოდ, ძვ. წ. VII ს.) „ოდისეაში“ პერსონაჟ-ადამიანების სახელდების ერთი ნაწილი. ა. ლოპუშანსკაია მათ ყოფს ორ ჯგუფად: სიმპლიცია და ცომპოსიტა. სიმპლიციაში გამოყოფს ორ ქვეჯგუფს, რომელთაგან **პირველი** სხვა არაფერია, თუ არა იმ ტიპის აღმნიშვნელები, რომელთაც ჩვენ კვაზიონიმები ვუწოდეთ. მკვლევარი მათ უწოდებს **„საკუთრივ აპელატივებს“** და წერს: ესენია „სახელები, წარმოდგენილი აპელატივთა შეუცვლელი ფორმით“. მაგალითებად დასახელებულია სახელდების ფუნქციის მქონე ბერძნული აპელატივები, რომელთა თარგმანსაც წარმოგვიდგენს მკვლევარი: „гражданин“, „повелитель“, „петух“, „морской“, „славный“, „славная“, „разумный“, „заботящийся“ (ლოპუშანსკაია-ბუჩკო, 1970, 319). ვფიქრობთ, „საკუთრივ აპელატივი“ ანთროპონიმის ფუნქციით გამოყენებულ აპელატივს გულისხმობს და არა სახელდების ფუნქციით გამოყენებულ ნთროპონიმს.

ქრონოლოგიურად სახელდების ეტაპებს შემდეგი თანმიმდევრობა უნდა დაეცვათ:

კვაზიონიმი

კვაზიონიმი → მეტსახელი

კვაზიონიმი → მეტსახელი → საკუთრივ ანთროპონიმი

ეს სქემა მიუთითებს იმაზე, რომ სახელდების უწინარესი ფორმულა ან აღწევდა საკუთრივ ანთროპონიმამდე, ან რჩებოდა წინა ეტაპებზე. კვაზიონიმი (ისე როგორც მეტსახელი) ზოგჯერ საკუთრივ ონიმთა მიღების გარდამავალი ეტაპია, აპელატივის გასაკუთარსახელების გზაა, მაგრამ ასეთი გამტარობით გამოირჩევა ერთსიტყვიანი ანთროპონიმები (რა თქმა უნდა, მათი გარკვეული ნაწილი).

კვაზიონიმებისა და მეტსახელების უწინარესობის დამადასტურებელია ზღაპრები, სადაც პერსონაჟები წარმოდგენილი არიან და მოიხსენიებიან თავიანთი მდგომარეობით: ხელმწიფე, რძალი, დევის დედა, მზეთუნახავი ქალი, მზეთუნახავის მამა,

გლეხი... სწორედ ეს ცალკეული აპელატივები თუ აპელატიური სინტაგმებია მათი, მართალია, კვაზი, მაგრამ სახელდების ერთადერთი საშუალება.

კვაზიონიმები ქართულ ზღაპარში. „სიზმარა“: **დედინაცვალმა**... გაფინა, **დედინაცვალმა** დაინახა, ჰკითხა **დედინაცვალმა, დედინაცვალს** მოეწონა, **დედინაცვალმა** სცემა; **აღმოსავლეთის ხელმწიფე** სთხოვდა, **აღმოსავლეთის ხელმწიფემ** გამოუგზავნა, **აღმოსავლეთის ხელმწიფემ** გამოჰკრა; **მზეთუნახავის მამა**... ხელმწიფე იყო, **მზეთუნახავის მამას** გამოუგზავნა.

„ასფურცელა“: წაიყვანა **დეჯის დედამ**, იდგა... **დეჯის დედა**, მოჰყვა წუწუნს **დეჯის დედა, დეჯის დედამ** შეიტყო; **რძალს** უთხრა, **რძალმა** უპასუხა; **ბებერმა** უშალა, ადგა **ბებერიც, ბებერმა** უჩვენა, წამოვიდა... **ბებერთან**.

„კომბლე“: **ყასაბმა** უთხრა, მოუბრუნდა **ყასაბი**, გამოართვა **ყასაბს**, თქვა **ყასაბმა, ყასაბმა**... იცნო.

კვაზიონიმები დიდი რაოდენობით დასტურდება სულხან-საბა ორბელიანის არაკებში. უანთროპონიმო, მაგრამ მაინც სახელდებული პერსონაჟებია: **მეფე, მხატვარი** („მეფე და მხატვარი“), **ქოსა, ყადი** („ქოსა და ყადი“), **ყასაბი, კაცი იგი** („ყასაბი და მღედელი“), **ბერი, ყმა** („ბერი და ყმა“), **ხალიფა, არაბი** („ხალიფა და არაბი“), **კაცი** („კაცი და გველი“).

ა. სუპერანსკაია წერს: „შესაძლებელია ძველად იყო ისეთი პერიოდი, როცა გარკვეული ობიექტის აღმნიშვნელი სიტყვა აღიქმებოდა საკუთარ სახელად და საზოგადო სახელადაც, როცა იგი წარმოადგენდა არადიფერენცირებად სახეს. ამის რელიქტებს ვპოულობთ ზღაპრებში, რომელთა მოქმედი პირებია მგელი, დათვი, მეფე... მაგრამ ეს ტყეში დამკვიდრებული ნებისმიერი მგელი ან სოფელში მცხოვრები ნებისმიერი გლეხი არ არის, არამედ ისინი წარმოადგენენ განსაზღვრულ პერსონაჟებს თავისი ინდივიდუალური მახასიათებლებით“ (სუპერანსკაია, 1986, 16). აქვე მაგალითებად დასახელებულია ლიტერატურული თხზულებების ეპიზოდური პერსონაჟები: „Некто в сером“, „Дама с озера“.

„უსახელო“ პერსონაჟის აღმნიშვნელი სიტყვა-ნიშანი, რასაც ჩვენ კვაზიონიმი ვუწოდეთ, არ დარჩა ხალხური პროზის განეითარების უძველესი საფეხურის საკუთრებად. რეალობაში ფესვგადგმული ეს ფაქტი შემორჩა ყოფით ცხოვრებაშიც და, შესაბამისად, დამკვიდრდა მწერლობაშიც. კვაზიონიმი რომ ეტაპია მეტსახელობისა და ონიმობისაკენ, ადასტურებს უდერივატოდ მიღებული ანთროპონიმები: ბიჭი, გოგონა, ჭაბუკი, ნამცეცა, ოქრო, ბერი, არეულოდი, მეგონა. ზოონიმადაა ქცეული ჩექმებიანი კატა.

კვაზიონიმები ძველ ქართულ მწერლობაში: ცოლი ჯოჯოკისი, კაცი ერთი სპარსი, ყრმაი ერთი („შუშანიკის წამება“); **ერუშნელი ეპისკოპოსი, უკეთური კაცი, სიძვის დიაცი, სანატრელმან დედამან//სანატრელსა დედასა მისსა** („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“).

ვფიქრობთ, **ძველ ქართულში კვაზიონიმის ჩამოყალიბებაში გარკვეულ როლს ასრულებდა ნაწევარი, რომლის დანიშნულება იყო ზოგადიდან კერძოს გამოყოფა და მისი მეშვეობით აპელატივის ქცევა დენოტატის აღმნიშვნელად: „უთხრა სპარსმან მან“**. აქ ნაწევრით მინიშნებულია, რომ ეს სპარსი ნებისმიერი სპარსთაგანი კი არ არის, არამედ მხოლოდ ის „კაცი ერთი სპარსი“, რომელიც შეიდა შუშანიკთან. ანალოგიურად, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ავტორს შემოჰყავს ერთი პერსონაჟი კვაზიონიმით – **„დედაკაცი სიძვისაჲ“**, რომელიც შემდეგ ხშირად მოიხსენიება ნაწევარდართული აპელატივით „დედაკაცი“, რაც მიუთითებს ერთ კონკრეტულ პირზე („კაცი მოუვლინა **დედაკაცსა მას**“, **„იკითხა დედაკაცი იგი“**, **„დედაკაცსა მას** რქუა“). ს.-ს. ორბელიანის ერთ-ერთი არაკის პერსონაჟია **ქოსა**. აქ ორი მნიშვნელობითაა წარმოდგენილი ეს სიტყვა: **ქოსა** – ზოგადად (აპელატივი) და **ქოსა** – კონკრეტული პიროვნება. მათი გარჩევა ხდება **კონტექსტით** და **სახელდების ფუნქციით**. ამ უკანასკნელი ფუნქციით გამოყენებულ ქოსას ნაწევარი დაერთვის, 2-3-ჯერ კი ნაწევარი წინ აქვს დართული: „შენც **მას ქოსასავით** ქოსა ხარ“. ამ წინადადებაში კვაზიონიმი პირეველია (მას ქოსასავით). ერთი შეხედვით, ძნელია თქმა, აქ ნაწევარია თუ ნაცვალსახელი, მაგრამ ორივე შემთხვევაში აპელა-

ტივს ხელი ეწყობა, რომ გაკვაზიონიმდეს. ვფიქრობთ, „მას“ უფრო ნაწევარია, რადგან „ჯერ კიდევ ადრე ნაწევარიც შეიძლება წინ დასმულიყო“ (ივ. იმნაიშვილი, 1957, 563), ხოლო „ქართული ენის განვითარების გარკვეულ საფეხურზე ნაწევარმა საერთოდ იცვალა ადგილი და წინ გადმოვიდა“ (ლ. ბარამიძე, 1975, 21).

კვაზიონიმით მოხსენიებულია: 1. პერიფერიული პერსონაჟიც და 2. მთავარი პერსონაჟიც.

პერსონაჟთა ერთ ნაწილს პერიფერიულ პერსონაჟებს ვუწოდებთ მათი ერთხელ მოხსენიების გამო, თორემ ხშირად სწორედ ერთხელ ფიქსირებული პერსონაჟები განაპირობებენ მნიშვნელოვან მოვლენებს. მაგალითად, ზენონის ნაბიჯი, რაც „სისხლის დათხევასა ემსგავსების“, მთლიანად განაპირობა ორმა პერსონაჟმა. ამდენად, ისინი მნიშვნელოვანი პირები არიან, მაგრამ ანთროპონიმის ნაცვლად კვაზიონიმით (ისიც თითოჯერ ან ორჯერ) არიან სახელდებული: „უკეთური კაცი“ და „დაჲ იგი“, „დაჲ მისი“ (იგულისხმება ზენონის და): „მონაგები დაუტევეს ზენონსა და დასა მისა“, „დაჲ იგი მისი... შეაცთუნა ვინმე უკეთურმა კაცმან“. ასევე ერთხელაა გაჟღერებული ნერსე ერისთავის მეუღლე, რომელსაც უმნიშვნელოვანესი ღვაწლი მიუძღვის წმინდა გრიგოლის გაზრდაში: „გრიგოლი აღზრდილი იყო ჴელითა... დედოფლისა ნერსეჲს ცოლისაჲთა“. ერთი-ორჯერ არის მოხსენიებული, ისიც კვაზიონიმით, გრიგოლის დედა. ამ ტიპის კვაზიონიმები (ვინმესთან მიმართებით წარმოქმნილი) კვაზიონიმთა სემანტიკურ ველში ცალკე ჯგუფად გეაქვს გამოყოფილი.

მთავარი პერსონაჟი კვაზიონიმით. პერსონაჟის ხატს რიგ შემთხვევაში კვაზიონიმი უფრო სრულყოფს, ვიდრე საკუთრივ ანთროპონიმი. პერსონაჟის ტიპურობას სრულყოფს მეტსახელიც, მაგრამ მეტსახელსა და კვაზიონიმს შორის ავტორი უპირატესობას მთავარი გმირის სახელდებისას ხშირად კვაზიონიმს ანიჭებს. ამის სხვადასხვა მიზეზი არსებობს. პერსონაჟისადმი მწერლის განწყობას არა მხოლოდ კვაზიონიმის შინაარსი გამოხატავს, არამედ ანთროპონიმის ნაცვლად კვაზიონიმის ხმარების ფაქტიც, რასაც ადასტურებს აკ. ხინთიბიძის საინტე-

რესო დაკვირვებაც. იგი ერთმანეთს ადარებს ვაჟა-ფშაველას ორ პერსონაჟს – გმირულად დაღუპული ვაჟკაცის გამზრდელ დედასა და ომში შერცხვენილ-შეშინებულის დედას. შემდეგ წერს: „შეიძლება მისი (შვიდი ვაჟკაცის გამზრდელი დედის) სახელიც არ ეთქვა ჩვენთვის ავტორს, ისე როგორც არ გაუმხელია წიწოლას დედის სახელი, მაგრამ სანათა გმირთა აღმზრდელი დედაა“ (აკ. ხინთიბიძე, 1972). ანალოგიურ მაგალითად ამავე პოემაში დავასახელებთ ლელას მამას, რომელიც უშუალო პერსონაჟად არც არის გამოყვანილი, თხზულებაში არც კი ჩანს, მაგრამ ავტორი გმირი ქალის მამას სახელით ნათლავს (**შანშე**). წიწოლას დედა კი მოქმედი პერსონაჟია, მაგრამ თაელაფდასხმული წიწოლას გაზრდისთვის მას სირცხვილად შვილის სახელი მიეკერა – **წიწოლას დედა**. ამაზე დამაკნინებელი სახელი ასეთი შვილის გამზრდელისთვის სხვა რა უნდა ყოფილიყო. დამაკნინებელი ელფერი აქვს თვით საკუთარ სახელ წიწოლას. კერძოდ, ამ ონიმის ფონეტიკური მხარე აშკარად იწვევს უარყოფით განწყობას, რასაც ქმნის წინაენისმიერი ყრუ-მკვეთრი **წ** ბგერის განმეორადობა. ასევე უსახელოდ, მხოლოდ კვაზიონიმითაა წარმოდგენილი **ხვარაზმშას ძე**, რომლის ინდოეთში დამკვიდრება ინდოეთის „გარდაქარებას“ მოასწავებდა (შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“). მეორე მხრივ, კვაზიონიმით ხდება სწორედ დადებითი თვისებით გამორჩეულ პერსონაჟთა წარმოჩენაც. კვაზიონიმი იტევს ორივე, ერთმანეთისგან განსხვავებული განწყობის გამოხატვის საშუალებას. ეს ბუნებრივიცაა, კვაზიონიმი ონიმის სახეობაა, ონიმით კი (ანთროპონიმით, მეტსახელით თუ ეპითეტიანი სახელით) სახელდებულია როგორც უარყოფითი, ისე დადებითი პირები.

დადებით პიროვნებად წარმოდგენილ დენოტატთაგან კვაზიონიმებით მოხსენიებულია: **განდეგილი, ოთარაანთ ქვრივი** (ი. ჭავჭავაძე), **თავსაფრიანი დედაკაცი** (ნ. ლორთქიფანიძე), ისტორიული პირი **პატარა კახი** (აკ. წერეთელი) და სხვები. ამ ტიპის სახელდებას („წმინდაი იგი ეტყოდა“, „უბრძანა წმინდამან მან“...) გრ. ფარულავა, როგორც აღვნიშნეთ, „ნახევრად დუმილს“ უწოდებს და საგანგებოდ დასძენს მისით პერსონაჟის განსაკუთრებულობის წარმოჩენას: „მთავარი გმირის (საუბარია

სერაპიონ ზარზმელზე, ქ. გ.) ეს გამორჩეულობა მასზე გამორჩეული მანერით მითითებითაც მიიღწეოდა. სახელით საგანგებო მოუხსენებლობა მთავარი გმირის ისედაც **საგულისხმო პირველობას** მიანიშნებდა“ (გრ. ფარულავა, 1982, 221). სიტყვა ონიმთან დართული „კვაზი“ არ ამცირებს სახელდების ამ ტიპის მნიშვნელობას, პირიქით, ადასტურებს იმ ფაქტს, რომ სახელდება არაერთსახოვანია, რომ არსებობს სახელდების ის სახეობაც, რომელიც, კვლავ გრ. ფარულავას სიტყვებს მოვიხმობთ და ვიტყვით: მისით სახელდებულის „საგულისხმო პირველობასაც“ მიანიშნებს. ასე რომ, კვაზიონიმი უდავოდ სახელდების გარკვეული და ანგარიშგასაწევი ფორმაა (ზოგჯერ მეტსახელითაც ერთადერთობასაც ინარჩუნებს), არსებობს ჩვენს სინამდვილეში და მას გვერდს ვერ ავუვლით. ის ჩვენი ყოფიერების განუყოფელი ნაწილია, დაწყებული უბრალო მოკვდავების სახელდებით, დამთავრებული წმინდანთა მოხსენიებით. უდავოდ სახელდების კვაზიონიმური სტატუსი აქვთ შეძენილი სიტყვებს: ღმერთი, ძე ღმერთი, სულიწმიდა, უფალი, მაცხოვარი, ქრისტე, ღვთისმშობელი. ამდენად, კვაზიონიმი ონიმის მნიშვნელოვანი სახეობაა. ამ ტიპის აღმნიშვნელებს რუსი მეცნიერები სხვადასხვა ტერმინებით გამოხატავენ, მაგალითად: საკუთარ სახელთა ეკვივალენტები (ტაიჩი, 1970, 318); საკუთარ სახელთა კონტექსტუალური ეკვივალენტები (ველმეშევა, 1976, გვ.19); საკუთარ სახელთა პერიფრასტული შემცველები. აქ იგულისხმება გამოთქმები (**выражения**), რომლებიც ანთროპონიმებს ენაცვლება (მაკაროვა, 1977, 81)... ძირითადად კი სახელდების ამ სახეობებს მეტსახელებად მიიჩნევენ და უწოდებენ „**Составные прозвища**“. მაგალითებად დასახელებულია: **Бритый Ежик, Подарок Африки, Принцесса Греза** (უშაკოვი, 1981, 99). სახელდების ამ მოდელის მიმართ ორ განსხვავებულ დამოკიდებულებას ავლენს ა. კ. სოლოვიოვა. იგი სახელებს, რომლებსაც მარქსი ქალიშვილს, ლაურას, ეძახდა – **Секретарь, Стряпуха, Наездница, Поэтесса** – უწოდებს **კონტექსტუალურ საკუთარ სახელებს** (რომლებიც გარკვეულ პირობებში შეიძლება გარდაიქმნას მუდმივ მეტსახელებადო), თუმცა იქვე აღმნიშვნელები **Птичий Глаз, Китайский император** – მოხსენიებულია მეტსახელებად (სოლოვიოვა, 1970,

175-176). ანალოგიურად მეტსახელებადაა ჩათვლილი: Архитектор, Новая Колхозница, Молодой Агроном (პოროტნიკოვი, 1970, 153). მეტსახელებადაა მიჩნეული სახელდების ფუნქციით გამოყენებული შემდეგი ტიპის წინადადებები: Миша, спаси меня! (მუშაობდა სამაშველო კატერზე); Дай закурить; Мы-цари (ეს უკანასკნელი ამ გამოთქმის ხშირი ხმარების გამო)... არარუსი ქალიშვილის მეტსახელადაა წარმოდგენილი ორწინადადებიანი ფრაზა: „Возьмём пробирка“, „Нальём воду“ (ფლოროვსკაია, 1976, 302).

ზემოთ წარმოდგენილი მაგალითების სიუხვე მოწმობს იმას, რომ

1) მეორე სახელად რეალურ ყოფაშიც ფიქსირდება გარკვეული ტიპის ფორმულა, ჩვენ მიერ კვაზიონიმად წოდებული, რაც უდავოდ სახელდების მოდელია;

2) მეცნიერთა მიერ სახელდების ერთი და იგივე მოდელი სხვადასხვა კვალიფიკაციითაა წარმოდგენილი.

ქართულ მწერლობაში პერსონაჟთა სახელდების იდენტურ მაგალითებად დავასახელებთ: **კნიაზ-ლიბერალი** (მისი დიდი სურვილი იყო ყმების განთავისუფლება, დ. ჭონქაძე, „სურამის ციხე“), **ბალის მეფა, ჭკუის კოლოფა** (ეკ. გაბაშვილი), **ხორველის ანგელოზი** (შ. არაგვისპირელი), **ბურნუთის კოლოფი, ლაპარაკის მანქანა, სისხლის გუდა, ქში, უცხო მამალი** (ს. მგალობლიშვილი), **ქვეყნის ენა, ლხინის ჭიპი** (ე. ნინოშვილი), **მფრთხალი კურდღელი, სპილენძის ბაბუა, ვერცხლის წყარო** (ჭ. ლომთათიძე), **ისნის ცისკარი, ოჯახს უნდა** (ვ. ბარნოვი), **ცალთვალა დევი, მეტი რა გინდა, ჩემთვის სულ ერთია, შავი ქვრივი, მიწის მგელი, შავი ანგელოზი, ცოცხალი ენციკლოპედია** (მ. ჯავახიშვილი), **ნაგვიანევი ზაქი, რაჭველების გუდა, როკაპის მოზვერი, პანსიონის ჭირი, საელჩოს თხა** (გ. წერეთელი), **ხნიერი ბერწი** (უიარაღო). კვაზიონიმი, შეიძლება ითქვას, პროზაული სახელია. ზოგჯერ მძიმეც კი იწერება ადამიანის აღმნიშვნელ ამ მიკროწინადადებაში: „კაცი, რომელიც იცინის“, „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარს“.

ზემოთ წარმოდგენილ მაგალითებს (რუსულენოვანი მასალიდანაც) ჩვენ განსხვავებული ტერმინით (კვაზიონიმები) ვიხსენიებთ, რადგან მათს მეტსახელებად მიჩნევას ხელს უშლის მათივე ფორმა. მეტსახელი ონიმია (საკუთარი, რა თქმა უნდა), მაგრამ ზედმეტი (მეორე ან მესამე). **ზემოთ მოყვანილი მაგალითები კი არ წარმოადგენენ ტიპურ სახელებს მათი არაანთროპონიმული ფორმის გამო, მათს ანთროპონიმობას განსაზღვრავს მხოლოდ სახელდების ფუნქცია, რაც მათ არ აქცევს ანთროპონიმულ მოდელად, მაგრამ აქცევს დეტონატის მარკირების ერთერთ საშუალებად – კვაზი სახელად.**

საინტერესოა **კვაზიონიმის შერჩევის გზები**: პერსონაჟი ხშირად რამდენიმე მახასიათებლით შემოჰყავს ავტორს, რის შემდეგაც ირჩევს ერთ-ერთს, რითაც ზოგჯერ პერსონაჟისადმი საკუთარ დამოკიდებულებას ავლენს: „იკითხა ერთმა წამოწოლილმა, კბილებჩაჟანგებულმა ჭაღარა ოსმალომ“. ამ სამი ეპითეტიდან ავტორი ირჩევს კბილებჩაჟანგებულს და ერთი შეხედვით უსახელო პერსონაჟს სახელად ამ სიტყვას „აკერებს“ („თქვა კბილებჩაჟანგებულმა ოსმალომ“, „ამბობდა კბილებჩაჟანგებული“, „შენიშნა კბილებჩაჟანგებულმა ოსმალომ“). ამ კვაზიონიმით ავტორი, რა თქმა უნდა, არადადებითი შტრიხით წარმოაჩენს დენოტატს. დადებითი შტრიხით წარმოჩენა რომ ნდომოდა, მიუხედავად მისი ჩაჟანგებული კბილებისა, მეორე ეპითეტით მოიხსენიებდა – „ჭაღარა“ (უიარაღო, „მამელუქი“).

ეპითეტებიდან, რომლითაც ავტორს პერსონაჟი შემოჰყავს თხზულებაში, ხშირად მკითხველმა შეიძლება წინასწარ ივარაუდოს ერთი რომელიმეს გამოყენება სახელდებისათვის, მაგრამ ეს მოლოდინი ხშირად არ მართლდება. ავტორი სხვა ეპითეტს ირჩევს, მკითხველის ვარაუდს კი იწვევს რთულ კონსტრუქციაში იმ ერთი ეპითეტის თითქოს საგანგებო გამოყოფა ქვეწყობილი წინადადებით, მაგალითად: „ებაასებოდა მის წინ მდგომ წითელწვერა კაცს, **რომელსაც შავი ჩოხა ეცვა**“. ამ კაცის კვაზიონიმად მოსალოდნელი „შავჩოხიანის“ ნაცვლად გეხვდება „წითელწვერა“. კვაზიონიმით პერსონაჟის დახასიათებისას ავტორისეული განწყობის გამოხატვის საინტერესო მაგალითია შემდეგი: „ერთი მათგანი... იქნებოდა ზორბა ტანის, შა-

ეულვაშებიანი, წვერმოპარსული, წინაკბილები, მგონია, ჩასმული ჰქონდა“ – ასე შემოჰყავს ავტორს პერსონაჟი, რომლის სახელად, თუკი მაინცდამაინც ამ ეპითეტებისთვის უნდა მიემართა მწერალს, საფიქრებელი იყო ზორბატანიანი, შაულვაშებიანი ან კბილებთან დაკავშირებით წარმოებული სიტყვა-სახელი. ეფიქრობთ, ეს ნიშნები უფრო მეტად გამოკვეთდა პერსონაჟს, ვიდრე „წვერმოპარსული“, მაგრამ ავტორი სწორედ ამ უკანასკნელი მახასიათებლით წარმოგვიდგენს დენოტატს: „წვერმოპარსული გულდადებით უსმენდა“, „წვერმოპარსულმა წაიდუდუნა“, „პირმოპარსული... მისდევდა“, „წარმოთქვა პირმოპარსულმა“... ერთი შეხედვით, წვერის მოპარსვა-მოუპარსაობა, ზემოთ წარმოდგენილი ნიშნების გვერდით, თითქოს არ უნდა აყალიბებდეს პერსონაჟს გარკვეულ ტიპად, მაგრამ შესაძლებელია, სწორედ წვერმოპარსულობა თუ მოუპარსაობა იყო თვალში საცემი მახასიათებელი იმ ეპოქის თუ სოციალური გარემოსათვის. მაშინ ამ მოტივაციით ეს მახასიათებელი უფრო სრულყოფს პერსონაჟის ტიპურობას.

კვაზიონიმები რეალურ ყოფაში. სახელდების ეს ტიპი რეალური ყოფისთვისაცაა დამახასიათებელი. ვთქვათ, როცა ბავშვები საუბრობენ კონკრეტულად ერთ-ერთ მასწავლებელზე და მას იხსენიებენ სიტყვით „მასწავლებელი“ (მასწავლებელმა თქვა, მასწავლებელს ეუთხარი, მასწავლებელმა შემაქო, მასწავლებელი მოდის...). ეს სიტყვა მხოლოდ ამ კონკრეტული მასწავლებლის, ერთი პირის აღმნიშნელია და, შესაბამისად, კვაზიონიმი. კვაზიონიმია ერთი კონკრეტული სკოლის სივრცეში გამოყენებული სიტყვა „დირექტორი“. კვაზიონიმებით მიმართვას თუ პიროვნების მოხსენიებას საერო ცხოვრების ყველა სფეროში ეხვდებით: ექიმო, ბატონო, პროფესორო, პრეზიდენტო (ან ექიმი, პროფესორი, პრეზიდენტი... როცა ამ აპელატივებში მხოლოდ კონკრეტული პიროვნება იგულისხმება). ისტორიული წარსულიდან ცნობილია ვილჰელმ ლიბკნეხტის კვაზიონიმი – **„ბიბლიოთეკა“**. ეს მას შეარქვეს მარქსის შვილებმა, რომლებიც მისგან ხშირად თხოულობდნენ წიგნებს. ამ კვაზიონიმით მას თვით მარქსიც მიმართავდა. პოლ ლაფარგს ეძახდნენ **„აფრიკელს“** (რადგან მას ზანგი ბებია ჰყავდა).

კვაზიონიმი რომ სახელდების ერთ-ერთი განსაკუთრებული და გვერდაუვლელი მოდელია, იქიდანაც ჩანს, რომ მისი გამოყენება ნიშანდობლივია საეკლესიო ფენისთვისაც. ეს სიერცე კიდევ უფრო ავლენს სახელდების ამ ფორმის განსაკუთრებულობას. მღვდელს ეძახიან **მამაოს**, მონაზონ ქალს – **დედაოს** და ასე იხსენიებენ მათ მესამე პირადაც. მართალია, ამ უკანასკნელ შემთხვევაში მესამე პირის აღმნიშვნელ სიტყვებად (მამაო მობრძანდა, მამაომ ბრძანა) **მამაო** არაგრამატიკული ფორმაა და ამაზე არაერთხელ მიუთითებიათ (აფრიდონიძე, 2009) მაგრამ, ვფიქრობთ, **ეს ფორმა დამკვიდრდა**. -ო სუფიქსმა მიიღო ჯერ მასუბსტანტივებელი, შემდეგ მაანთროპონიმებელი ფუნქცია, როგორიც გვაქვს, ვთქვათ, სახელში – იმედ-ო/იმედ-ა და მისთ. ამ ფაქტს უბიძგა იმანაც, რომ მესამე პირად მღვდლის მოხსენიებისას, როცა მისი სახელი არ ვიცით, ვერ ვიტყვით მამა-ს (მამა მოვიდა). ასე რომ, ფორმა მამაო წარმოქმნილი აპელატივის სტატუსით დამკვიდრდა აპელატივ მღვდლის/მოძღვრის პარალელურად. ამ ფაქტის განმაპირობებელი, ვფიქრობთ, შემდეგია: ა) მღვდელი / მღვდლის, თუ შეიძლება ითქვას, კონსონანტური შემადგენლობისაა (ცცცცის), მამაოში კი ვოკალი ჭარბობს (ცჳცჳ), რაც არტიკულაციურად ადვილგამოსათქმელია და, შესატყვისად, პრაქტიკულიც; ბ) მამა-ო ფორმას სემანტიკურად „მშობელთა კლასთან“ (ვიყენებთ შ. აფრიდონიძის ტერმინს) მივყავართ და გარკვეული ემოციურობით იტვირთება; 3) გააპელატივებული მამაო მაშინ იძენს კვაზიონიმის ფუნქციას, როცა კონტექსტით ერთი გარკვეული მოძღვარი იგულისხმება. ზოგადად მოძღვრის მამაოდ მოხსენიებისას კი მამაო, ბუნებრივია, არ არის კვაზიონიმი.

P.S. ამ საკითხს ვეხებით ზემოთ, პარაგრაფში „-ო სუფიქსის კვალიფიკაციისთვის“.

შედგენილობის მიხედვით კვაზიონიმი არის ერთსიტყვიანი, ორსიტყვიანი საკუთრივ ანთროპონიმი. ორსიტყვიანი კვაზიონიმი უმეტესად წარმოადგენს მსაზღვრელ-საზღვრულს, ანუ ეპითეტიან საზღვრულს, რომელშიც ეპითეტი დაერთვის აპელატივს და არა ანთროპონიმს ან მეტსახელს. ონიმურ სახეს უფ-

რო ორსიტყვიანი მოდელი იღებს და ამას დენოტატიც გრძნობს. ამირანი ასე მიმართავს სოფიოს: – ღამე მშვიდობისა, **პატარა დედაკაცო!** ქალი იღიმება: – თქვენც გაიგეთ ჩემი ახალი სახელი? (მ. ჯავახიშვილი).

კვაზიონიმთა აპელატიეობა განსაკუთრებით იკვეთება პირის ერთსიტყვიან ფორმებში. ხშირად ჭირს იმის თქმა – ესა თუ ის კონკრეტული აპელატივი ონიმია, კერძოდ, კვაზიონიმია თუ, უბრალოდ, აპელატივი. **ერთი და იმავე აპელატივით პირის თუ პერსონაჟის მოხსენიება მას** (აპელატივს) **ხშირად სახელდების ფუნქციას ანიჭებს.** ამ ტიპის სიტყვა-ონიმებს რუსულში დიდი ასოებით წერენ. ვ. ნიკონოვის თქმით, უსახელობა (безымянность), უმეტეს შემთხვევაში, მხატვრული ხერხია. იგი ჩამოთვლის აპელატივებს, მაგრამ დიდი ასოებით დაწყებულს, რაც მათ ონიმიზაციაზე მიუთითებს: „Женщина, Старик, Царь...“ (ნიკონოვი, 1974, 236). დასძენს კიდეც, რომ სწორედ ესენია სახელები.

ანთროპონიმისა და კვაზიონიმის პარალელური ხმარებისათვის მხატვრულ თხზულებებში

პერსონაჟის მრავალსახელიანობის ვარიანტთაგან –
საკუთრივ ანთროპონიმი//საკუთრივ ანთროპონიმი;
საკუთრივ ანთროპონიმი//ფსევდონიმი;
საკუთრივ ანთროპონიმი//მეტსახელი;
საკუთრივ ანთროპონიმი//კვაზიონიმი

შევჩერდებით მწერლის მიერ პერსონაჟთა სახელდების შემოქმედებითი პროცესის ამ უკანასკნელ ვარიანტზე – **საკუთრივ ანთროპონიმი//კვაზიონიმი,** ანუ პერსონაჟის მოხსენიება კვაზიონიმისა და ანთროპონიმის მონაცვლეობით. ხშირად სახელდების წამყვან ფუნქციას კვაზიონიმი იძენს მაშინაც კი, როცა მწერალი ზრუნავს, ირჯება, რათა პერსონაჟი საკუთრივ ანთროპონიმით მონათლოს. გ. წერეთელს „გულქანში“ ასე შემოჰყავს ერთი პერსონაჟი: „ბაყაყეთში დაბინავებულიყო ერთი ეინმე ჩრდილოელი, რომელიც ეაჭრობდა“. შემდგომ მას, ჩვეულებრივ, **ჩრდილოელ ვაჭრად** იხსენიებს: „ჩრდილოელმა ვაჭარმა დაიწყო... ტყეების შეძენა“, „ჩრდილოელი ვაჭარი გულდასმით ათვა-

ლიერებდა“, „ჩრდილოელმა ვაჭარმა იფიქრა“, „ასეთ ფიქრებში იყო ჩრდილოელი ვაჭარი“, „ჩრდილოელი ვაჭარი წამოხტა ზე-ზე“, „შეატყო დარცხვენილობა ჩრდილოელ ვაჭარს“, „ღიმილით შეეკითხა ჩრდილოელი ვაჭარი“, „აურია გონება ჩრდილოელ ვაჭარს“, „ჩრდილოელი ვაჭარი მივარდა“, „სათნო ყოფაქცევამ ჩრდილოელ ვაჭრისამ მოხიბლა გულქანის არსება“... და ა. შ. მაგალითების გრძელი სია იმიტომ მოვიყვანეთ, რომ ამ სახით პერსონაჟის მოხსენიების, ასე ინტენსიურად კვაზიონიმის ხმარების შემდეგ ავტორი პერსონაჟის ანთროპონიმსაც გვამცნობს, მაგრამ იმგვარად, თითქოს არ სურს „ჩრდილოელ ვაჭარს“ თავისი ფუნქცია დაუკარგოს: „ნიკოლაი ნიკიფიროვიჩ – ასე ეძახდნენ ჩრდილოელ ვაჭარს, სოვდაგარს“, – ეკითხულობთ თხზულებაში. საკუთრივ ონიმის წარმოდგენის მიუხედავად, სინტაგმა „ჩრდილოელ ვაჭარს“ კვაზიონიმის ფუნქცია არ ეკარგება, უფრო მეტიც, სახელდების თვალსაზრისით, მეტობს. მას შემდეგ, რაც ავტორი გვიმხელს პერსონაჟის ანთროპონიმს, მას კვლავ კვაზიონიმით იხსენიებს: „დაუდასტურა ჩრდილოელმა ვაჭარმა“, „უპასუხა ჩრდილოელმა ვაჭარმა“, „ამ კითხვაზე ჩრდილოელმა ვაჭარმა ვერ მიუგო პასუხი“. ამრიგად, მწერლისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია, შეიძლება ითქვას, უფრო მნიშვნელოვანიც, პერსონაჟის მოხსენიება კვაზიონიმით, ვიდრე ანთროპონიმული ფორმულით – ნიკოლაი ნიკიფოროვიჩი.

შოლტიანი. უიარაღო ერთ-ერთი მოთხრობის („შოლტი“) პერსონაჟს ასე წარმოგვიდგენს: „ასამდე რჩეულ ვაჟკაცს წინ მიუძღოდა ლამაზ-ლამაზი, მოკლე და მოწითალოწვერიანი ვაჟკაცი და ხელში... შოლტი ეჭირა“. ამის შემდეგ მწერალი მას უწოდებს არა ლამაზ-ლამაზს, მოკლეწვერიანს ან მოწითალოწვერიანს (სხვათა შორის, წითელწვერა ამავე მოთხრობის ერთ-ერთი ეპიზოდური პერსონაჟია), არამედ **შოლტიანს**: „დაუძახა შოლტიანმა“, „ქალები დაფრთხნენ შოლტიანის გარშემო“, „ჰკრა ხელი შოლტიანმა მაგიდას“, „ქუხდა შოლტიანი“, „მიუგო შოლტიანმა“... მხოლოდ მოთხრობის დასასრულს ვიგებთ, რომ ეს შოლტიანი იიშუ ყოფილა. აქ **შოლტიანი** უდავოდ კვაზიონიმია. მთელი თხზულების მანძილზე ჩვენ ამ სიტყვას მიეყავართ პერსონაჟთან!

ალ. ყაზბეგის „მამის მკელელში“ ერთ-ერთი პერსონაჟის კვაზიონიმია **ნაცვალი**: „ნაცვალს ვერ გაეგო“, „ნაცვალი არია ამ მოულოდნელმა გაჯავრებამ“, „წინ გამოჭიმული წადგა ნაცვალი“, „უპასუხა ნაცვალმა“, „მივიდა ნაცვალთან“... მხოლოდ ერთ ადგილასაა ნახსენები მისი საკუთარი სახელი. კერძოდ, დიამბეგი აქებს ნაცვალს „შენი ერთგულება არ დამავიწყდებაო“ და დასძენს: „ხარ ღირსი, ჩემო იაკობა, ხარ“. მაგრამ ეს ერთადერთი შემთხვევაა. შემდეგ პერსონაჟს ავტორი კვლავ „ნაცვალი“ კვაზიონიმით იხსენიებს. მოსაქმეობის გამომხატველი აპელატიეის კვაზიონიმურ ფუნქციას უფრო მეტად ამაგრებს თხზულების ის ადგილი, სადაც ის მიმართეის ფორმითაა წარმოდგენილი. „ნაცვალო! – დაუძახა დიამბეგმა. ამრიგად, „ჩემო იაკობა“ და „ნაცვალო“ – ორივე წოდებითში დასმული სიტყვაა და ორივე მიმართვად გამოიყენება, ორივეს ერთ კონკრეტულობამდე მივყავართ. ამდენად, ორივე ონიმია, ოღონდ პირველი – ანთროპონიმი, მეორე – კვაზიონიმი.

თავადის, წერეთლის ქალის, საკუთარი სახელი, მარიამი, მხოლოდ ერთხელაა დამოწმებული დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხეში“. მას არა მარტო მიმართავენ, არამედ იხსენიებენ სიტყვით **ქალბატონი**, რაც უდავოდ სახელდების ფუნქციას ასრულებს: „შენ ქალბატონთან უნდა იყო“, „ქალბატონმა დაუძახა“, „არიგებდა ქალბატონი“, „ასე, ჩემო ქალბატონო“, „რა ექნა, ქალბატონჯან“, „ვიცი, ქალბატონო“.

პალტოიანი – ასე შემოჰყავს და ასე გვამახსოვრებს უიარაღო ერთ-ერთ ეპიზოდურ პერსონაჟს: „**პალტოიანი** დაბეჯითებით უხსნიდა“, „ყურადღებით უსმენდა **პალტოიანი**“ („მაძიებელნი“). პალტოიანი არ არის ენაზე მომდგარი, მექანიკურად ნახმარი სიტყვა, რაც კარგად ჩანს შემდეგი წინადადებიდან: „ეს პალტოიანი გახლდათ... ვანია მოგებაშვილი“. ამ შემთხვევაში კვაზიონიმი და ანთროპონიმი – ორივე სახელდების სახეობებია, სახელ-გვარი, მართალია, აკონკრეტებს სიტყვა „პალტოიანით“ ნაგულისხმებ პირს, მაგრამ ეს ამ აპელატიეის კვაზიონიმობას არ უშლის ხელს. სხვა შემთხვევაში შეიძლება ერთი ანთროპონიმით დამოწმებული ორი პირი დააკონკრეტოს გვარმა

(თუნდაც მეტსახელმა ან კვაზიონიმმა), რაც ანთროპონიმის ონიმობას ეჭვქვეშ არ დააყენებს.

მოხუცი – ასე იხსენიებს, ასე უწოდებს აკაკი წერეთელი იმ პერსონაჟს, რომელსაც გიორგი რქმევია, ხოლო შემდეგ „გასაოცარი ვაჟკაცობისათვის მეტი სახელი დაერქმიათ გელა“ („პატარა კახი“). მიუხედავად ამ პერსონაჟის საკუთრივ ანთროპონიმული და მეტსახელური გზით წარმოდგენისა, თვალშისაცემია მისი მოხსენიება კვაზიონიმური გზითაც. საკუთარი სახელით, გიორგი, ეს პერსონაჟი არ იხსენიება. ერთმანეთს ენაცვლება მისი ორი სახის აღნიშვნა, მაგრამ მეტსახელს რიცხობრივად კვაზიონიმით მოხსენიება სჭარბობს. ბოლო სცენას აკ. წერეთელი ასეთი რემარკით იწყებს: „იგინიეე და **მოხუცი** შემოდის მედიდურად“. საგულისხმოა ისიც, რომ პიესის შესავალში, სადაც მოქმედ პირთა სახელებია ჩამოთვლილი, მწერალი პერსონაჟს სწორედ კვაზიონიმით წარმოგვიჩენს (ეპითეტიანი კვაზიონიმით) – მოხუცი ბრმა, ხოლო დეფისის შემდეგ, სადაც, ჩვეულებრივ, განმარტებულია ხოლმე პერსონაჟის ვინაობა ზოგადად, სწორედ მის საკუთარ სახელს (მეტსახელს) გვაძლევს – გელად წოდებული. სხვა მოქმედ პირთა ჩამოთვლისას კი, ჩვეულებრივ, ჯერ ანთროპონიმია ნაჩვენები, დეფისის შემდეგ კი – პერსონაჟის ვინაობა.

დედოფალი თამარ – მისი მეუღლე
პატარა კახი – მისი ძე
გივი ჩოლოყაშვილი – პატარა კახის გამზრდელი
მოხუცი ბრმა – გელად წოდებული...

ასე რომ, ამ კონკრეტულ თხზულებაში სახლდების სამი სახეობით პერსონაჟის წარმოჩენისას გამორჩეული ადგილი უჭირავს სწორედ კვაზიონიმით მის სახელდებას (მოხუცი ბრმა).

სოსოს დედა – ასე შემოჰყავს შ. არაგვისპირელს ერთ მოთხრობაში („ჩემო შვინდავ“) პერსონაჟი, მაშინ როცა ჯერ სოსოს არ გვაცნობს. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მიუთითებს კვაზიონიმის ანთროპონიმულ დანიშნულებაზე. „სოსოს დედა წამოდგა“, „სოსოს დედაც... იქვე იდგა“. ამის შემდეგ ერთ-ერთი პერსონაჟის პირით გვაგებინებს მის სახელსაც, მაგრამ მწერ-

ლისათვის რომ უფრო ფასეულია მისი კვაზიონიმით – **სოსოს დედა** – მოხსენიება, კარგად ჩანს იმავე წინადადებაში, სადაც მისი ანთროპონიმიცაა დამოწმებული: „**ბაბალე**... გადმოსძახა შუახნის კაცმა, როცა **სოსოს დედამ** წველა გაათავა“. კვაზიონიმში პერსონაჟის შვილთან მიკედლებულობის წარმოჩენა განაპირობა დედის განსაკუთრებულმა დამოკიდებულებამ შვილის მიმართ, რომელსაც „თავის იმედს“ უწოდებს. ამ ფაქტს კი მწერალი ქალის სახელდებითაც წარმოაჩენს. რაც შეეხება მის ანთროპონიმს, ბაბალეს, წამიერად ჩნდება და ისე წამიერად ქრება, რომ მკითხველი ვერც კი აღიქვამს მის საკუთარ სახელს. საკუთარი სახელის ასეთმა წამიერად გაჟღერებამ შეიძლება გვაფიქრებინოს – რა საჭირო იყო მისი სახელის (ბაბალე) დაფიქსირება, რას აძლევს ეს სახელი მწერალს და თხზულებას?!

ორგვარადაა სახელდებული პერსონაჟი ნ. დუმბაძის „ბოშებში“: **ნინა ბებია** და **ძნელაძის ქალი**. როგორც რაოდენობრივი, ისე სახელდების ფუნქციური დატვირთვა მეორე მოდელს ეკუთვნის (ძნელაძის ქალი). აპელატივთა კვაზიონიმიზაცია, ანთროპონიმიზაცია გლობალური თვისებაა სიტყვისა, რაც ავლენს იმ ფაქტს, რომ სიტყვათა სემანტიკურ-ფუნქციური დატვირთვა და დერივაციული შესაძლებლობა ამოუწურავია.

ბ) კვაზიონიმთა სემანტიკური ჯგუფები

შინაარსის მიხედვით კლასიფიკაციისას კვაზიონიმებშიც თითქმის იგივე ჯგუფები გამოიყოფა, რაც მეტსახელებში (რა თქმა უნდა, ზოგიერთის – 8, 9, 10, 11 – გამოკლებით). ეს ბუნებრივიცაა, რადგან სახელდების ორივე სახეობის არსებობას ერთი მოტივაცია განაპირობებს – ესაა დენოტატის დამატებითი კონკრეტიზაცია მისთვის დამახასიათებელი ნიშნების გათვალისწინებით და ნომინატორის მიერ დენოტატის აღქმა ამა თუ იმ ნიშნით. კვაზიონიმთა სემანტიკურ ველს, მეტსახელთაგან განსხვავებით, დაემატება: 1) **ვინ ჯგუფისადმი** კუთვნილების გამომხატველი სიტყვები, 2) ნათესაობის აღმნიშვნელი, 3)

მეტყველების სხვადასხვა ნაწილით გამოხატული კვაზიონიმი (რიცხვითი სახელი და ნაცვალსახელი კვაზიონიმებად).

1. გარეგნობის გამომხატველი კვაზიონიმები (ცალ-ცალკე წარმოვადგენთ ორ- და მეტსიტყვიან კვაზიონიმებს და ერთსიტყვიან კვაზიონიმებს).

ჭორფლიანი ქალი – „ჭორფლიან ქალს ეკითხე“, „გამაწყვეტინა ჭორფლიანმა ქალმა“, „ჭორფლიანი ქალისაგან შენაძენი“ (ლ. გოთუა, „ნისლი ნახატარის ტყეში“); **ტყის კაცი** – „თავპირგაბანჯგლულმა ნიკოლოზ ნაფიჩვაძემ, ტყის კაცმა, როგორც მას ზურგს უკან ეძახდნენ“ (რ. ჯაფარიძე, „მძიმე ჯვარი“); **ინდაურის კვერცხი** – „თქვა ახლა ინდაურის კვერცხივით სახედაჭორფლილმა მსუქანმა კაცმა“. ამ წინადადების მხატვრული შედარება საფუძვლად ედება კვაზიონიმს: „ინდაურის კვერცხმა ჩემოდანი აიღო“, „აყვირდა ინდაურის კვერცხი“, „იყვირა ინდაურის კვერცხმა“, „თქვა ინდაურის კვერცხმა“ (ნ. დუმბაძე, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“); **თეთრკაბიანი ქალი** – „ზამთარ-ზაფხულ თეთრი კაბა ეცვა. ამიტომ მეზობლებმა მისი ნამდვილი სახელი დაივიწყეს და ყველა თეთრკაბიან ქალს ეძახდა“, „თეთრკაბიან ქალს კაბა დაუსველდა, დაულაქავდა. ახლა რომ ვისმე დაენახა, უეჭველად მოიგონებდა მის ძველ ნამდვილ სახელს, რადგან კაბა უკვე აღარ იყო თეთრი, მაგრამ ჩვენ მაინც თეთრკაბიანი დავუძახეთ, რადგან მეზობლის ბავშვები მხოლოდ ამ სახელით იცნობდნენ“ (რ. ჯაფარიძე, „თეთრკაბიანი ქალი“); **აქოჩრილი ვარსკვლავი** – ხოჯა მაჰმადი დადაღულია ლითონზე ამოტვიფრული დაღით, რომელსაც („ქოჩრიან ვარსკვლავს“) მეფის ცხენების დაღად იყენებდნენ (ლ. გოთუა, „გმირთა ვარამი“); **თეთრი ქალი** – ვ. ბარნოვის „უძღების“ ერთ-ერთი პერსონაჟი თეთრ ქალად იხსენიება. მისი ნამდვილი სახელი არ ჩანს მიუხედავად იმისა, რომ პერსონაჟს საკმაო ადგილი უჭირავს მოთხრობაში („თეთრმა ქალმა ხელი მომცა“, „თეთრი ქალი და მე“, „თეთრი ქალიც ერთხანს ეცადა“); **ქერა კაცი** – მხოლოდ კვაზიონიმებით არიან წარმოდგენილი უიარაღოს თხზულების („უსიამოვნო შეხვედრა“) პერსონაჟები. აქ სამი მთავარი გმირია: ამბის მთხრობელი, რომელიც თავის თავს იხსენიებს პირველი პირის ნაცვალსახელით – **მე, ქერა კაცი**

(„თქვა ქერა კაცმა“, „ქერა კაცმა შუბლზე ხელი მოისვა“, „ჩაიცინა ქერა კაცმა“, „ქერა კაცი შეკრთა“) და **წვერმოპარსული**. აქეე ეხედებით პერსონაჟს, რომელსაც ავტორი სახელდებს ასევე ერთსიტყვიანი კვაზიონიმით – **ქურქიანი** („წარმოთქვა ქურქიანმა“, „გაკვირვებით მიუგო ქურქიანმა“).

ერთსიტყვიანი კვაზიონიმები (გარეგნობის აღმნიშვნელი): ჩასუქებული – „ჩასუქებულს მიმართა“, „ჩასუქებულის სიტყვამ დაამუნჯა“, „ტყვიასავით მოხედა ჩასუქებულის სიტყვა“ (შ. არაგვისპირელი, „რა ზიზღით მიცქერი“); **ქულაჯიანი** – „ჰკითხა ქულაჯიანმა“, „დასძინა ქულაჯიანმა“, „ქულაჯიანის გვერდით იჯდა“, „დაიყვირა ქულაჯიანმა“ (გ. წერეთელი „რუხი მგელი“). ამ პერსონაჟის დახასიათებისას ავტორი საკმაოდ იხარჯება. რა მახასიათებლებით არ წარმოგვიდგენს მის გარეგნობას, შეიძლება ითქვას, უფრო მკვეთრი, თვალში საცემი მახასიათებლებით, მაგრამ რატომღაც ქულაჯიანს ირჩევს. ეს პერსონაჟი თხზულებაში ასეა წარმოდგენილი: მოხდენილი მოყვანილობის, განიერბეჭებიანი, კაბაქულაჯიანი, ეხურა ყალმუხის ქუდი, „წითლად დაბრაწული მსხვილი თვალები“, დასიებული კისრის ძარღვები... მაგრამ მწერალი ამდენი მახასიათებლიდან სამისამართოდ ქულაჯიანს ირჩევს, ზოგჯერ – კაბაქულაჯიანსაც; **მშვენიერი** – „შეაჩერდა მშვენიერის ჟუჟუნა თვალებს“, „მშვენიერის ჟუჟუნა თვალები დაკვირვებით უყურებდნენ დესიკოს“, „მშვენიერს წარბებშუა გაუკეთდა... ნაკეცები“, „შეხედა მშვენიერს“, „მშვენიერს წამოეწია“ (ან. ერისთავ-ხოშტარია, „დედები“); **ნაჯახი** – „მგზავრს... ცხვირ-პირი ალესილ ნაჯახს უგავდა“, „გაიმეორა მუქარა ნაჯახმა“, „ამომძახა ნაჯახმა“, „ჩამოეძახე ნაჯახს“, „მითხრა ნაჯახმა“; **ჭაღარა, ჩოფურა, ხელთათმნიანი, მაღალი//პლაშიანი** – „ტყავისპლაშიანი მაღალი უცნობი ედგა წინ“, „პლაშიანი წავიდა“, „უთხრა მაღალმა“, „დაუთბა მაღალს“, „კბილებში გამოსცრა ჩოფურამ“, „თქვა ჭაღარამ“, „ჭაღარამ თქვა“, „იმუქრებოდა ხელთათმნიანი“, „განაცხადა ხელთათმნიანმა“ (რ. მიშველაძე, „განაჩენი“).

რეალური ყოფიდან: ბეღლის თაგვი – პატარა ტანის კაცი; **ბოროტი მანტიორი** – ამ კვაზიონიმით არ ჩანს გარეგნობა. რეალურად სიმაღლის გამო დაარქვეს ქალს, რომელსაც უდე-

ნობის დროს ეხუმრებოდნენ: ასეთი მაღალი რომ ხარ, დენს რატომ არ უშვებ, ბოროტი ხარო (ვაზისუბანი); **კაბლის ღორი** – შეარქვეს სიმსუქნის გამო, სოფ. კაბალის ბაზრობაზე კი მსუქან ღორებს ყიდიან (გურჯაანი); **აფთიაქის გველი** – გველივით წვრილი და გრძელი კაცი (ბოდბისხევი).

2. მოქმედების აღმნიშვნელი კვაზიონიმები: ანგარების გუდა – გიორგი ამილახვარი, რომელმაც ანგარებით საკუთარი ასული შაჰ-აბასს ცოლად დაუსვა; **ჭოეთის ჭოტი** – ძალად მოსაყდრეს ჭოეთის ჭოტი უწოდეს (ლ. გოთუა, „გმირთა ვარამი“).

რეალური ყოფიდან დავასახელებთ შინდისელი კაცის, შაქრო სიმონიშვილის, კვაზიონიმს – **თეთრჩოხა ტელეფონა,** რომელიც მისთვის სტალინს შეურქმევია. იგი ჯერ გორში სწავლობდა, სტალინის კლასელი იყო, შემდეგ რევოლუციონერობდა. დადიოდა თეთრი ჩოხით. სტალინი დავალებას რომ მისცემდა, ფიცხლად ასრულებდა; **სტამბოლის კაჟი** – ძლიერი, დაუმარცხებელი მოჭიდავე ძველი დიდუბის უბანში;[1] **ორჯერ გიჟი** – ზღვარს გადასული კაცი (ვაქირი); **ღიმილის ბიჭი** (ჯუგაანი); **კოკონა ხბვი** – იხვივით დადის (ვაზისუბანი), **მიწის დრელე** – მიწის მუშა (გურჯაანი).

3. შინაგანი ბუნებისა თუ ხასიათის აღმნიშვნელი კვაზიონიმები: მუხრანის ციცინათელა – „სასახლემ და სოფელმა... მუხრანბატონის ულამაზეს ასულს მუხრანის ციცინათელა უწოდა“, რაც, ერთი შეხედვით, დენოტატის გარეგნობაზე მიუთითებს და ეს ასეცაა, მაგრამ ეს სახელი „მით უფრო ენიშნებოდა ყველას, რომ ქეთევანი ოდნავ უკარება და თითქოს უსითბოდ მანათობელი იყო“ (ლ. გოთუა, „გმირთა ვარამი“); **ეჯვის მორევი** – ასე უწოდა „თავის შვილების მამას“ **ჯიქთახანუმმა** (ლ. გოთუა, „გმირთა ვარამი“); **ჯიქთა ხანუმი** – სანადიროს გასული თამარი ჯიქს დაედევნა, თმა რომ ჩამოეშალა, თავად დაემსგავსა ჯიქს. ფარხად-ხანმა, „ხმელეთზე ყველაზე საამაყო სასიძომ“, ჯიქს დადევნებულსა და მასთან მიმსგავსე-

[1] ინფორმაცია მოგვაწოდა ექიმმა ოთარ სიმონიშვილმა.

ბულ ქალს ჯიქთა ხანუმი უწოდა. – ჯიქთა ხანუმ! – ასე ეძახდა. თავადაც ასე აწერდა ხელს: თამარ – ჯიქთა ხანუმი, დედოფალთ დედოფალი (ლ. გოთუა, „გმირთა ვარამი“). ჯიქთა ხანუმი მეტსახელთა სემანტიკური ჯგუფის გარეგნობის აღმნიშვნელთა (I) რიგშიც თაესდება; **ეშმაკის მორჩილი** – საოცარი ძალის გამო მას ეშმაკის მორჩილს უძახდნენ; **წუწკი ბერი** – ეს კვაზიონიმი ორი თვისების ერთიანობითაა მიღებული: ამხანაგებმა თომა შადიშვილს ბერი დაარქვეს მისი განდეგილობის გამო, მაგრამ რადგან იგი წუწკი იყო, ფულს არავის ასესხებდა, **წუწკი ბერი** უწოდეს (მ. ჯავახიშვილი, „ოქროს კბილი“). ამ სინტაგმა-სახელის ორივე კომპონენტი დატვირთულია სახელდების ფუნქციით, მაგრამ განსხვავებულით. მეორე კომპონენტის მიხედვით, ის მეოთხე ჯგუფს მიეკუთვნება, ანუ, როგორც ერთიანი მახასიათებელი, სემანტიკურად პოლისემიურია.

შინაგანი ბუნებისა თუ ხასიათის აღმნიშვნელ კვაზიონიმად უნდა ჩაითვალოს აპელატივი **ქალი**. უიარაღოს ერთ 25-ტაეპიან ესკიზში, სადაც არ არის მოქმედება, მხოლოდ ერთი ქალის ნაფიქრალია ასახული, არ ჩანს მისი ანთროპონიმი. ამ პატარა ესკიზში წარმოდგენილი პერსონაჟი ასე იხსენიება – **ქალი** („ტახტზე წამოწოლილიყო... მოხდენილი აგებულების ქალი“, „გაიფიქრა კელაე ქალმა“). მწერლის მიზანია წარმოგვიდგინოს მშობლებისა და ოჯახური მოვალეობისაგან თავისუფალი ქალის ფიქრები, მარტოდ დარჩენილის ქალური განცდები. ასე რომ, ქალის საკუთარი სახელი ზედმეტი ელემენტი იქნებოდა ამ სახის ესკიზური ხასიათის ნაწერისათვის. მწერალი პირველი წინადადებითვე გვეუბნება მასზე – „სახელი დამავიწყდა ან რა საჭიროაო“. დამავიწყდაო, რომ ამბობს მწერალი, რა თქმა უნდა, საკითხისადმი მხატვრული მიდგომაა. თუნდაც რეალური პროტოტიპი ჰყოლოდა და დავიწყებოდა, მწერლისთვის ძნელი არ იქნებოდა სახელის მოძიება. პროტოტიპის ხატეისას სახელს ხშირად უცვლიან პერსონაჟს. აქ „დამავიწყდა“ ნიშნავს, რომ ავტორი არ თელის საჭიროდ და აუცილებლად მისთვის ანთროპონიმის მორგებას. ამ შემთხვევაში მთავარი ისაა, რომ იგი ქალია, უდედმამოდ დარჩენილი, რომლის ფიქრია მამაკაცების მიზიდვა. ერთი სიტყვით, მართალია, ეს პერსონაჟი

ანთროპონიმით არაა სახელდებული, მაგრამ კვაზიონიმი **ქალი** თითქოს უფრო მეტად შეესაბამება მარტოხელად დარჩენილის, ლამაზი სახისა და მოხდენილი აგებულების ქმნილებას. როცა ავტორი პერსონაჟის სახელად იყენებს სიტყვა **ქალს**, ჩანს, რომ იგი უპირატესობას აძლევს აპელატიურობას პრინციპით – **ზოგადი კონკრეტულში**.

რეალური ყოფიდან: კეთილი დეკი – ამ კვაზიონიმში გაერთიანებულია ორი ნიშანი: სიკეთე და აღნაგობა (ჯუგაანი); **უსუნო ყვავილი** – ხასიათის გამო დაერქვა (ჯუგაანი).

4. სოციალური და საზოგადოებრივი მდგომარეობის აღმნიშვნელი კვაზიონიმები: დათვის აზნაური – გოლა მეაბჯრეს დათვის დამარცხების გამო აზნაურობა უბოძეს და დათვის აზნაური შეარქვეს; **შვილების მამა** – „თამარი ჯერ სრულიად არაფერს ეძახდა თავის გვირგვინოსან მეუღლეს (შაჰ-აბასს), მერე, შვილები რომ ეყოლა... „თავისი შვილების მამა" დაარქვა"; „ტყუილად კი არ უმატა მისი „შვილების მამამ" გურჯთა ხსენებას"; **ზართა ბატონი** – „ზართა ბატონმაც შემოჰკრა დედოზარს", „ამ „ზართა ბატონმა" სულ მოაჯადოვა მნათე", „გრემელი „ზართა ბატონი"... მიიღო", „ზართა ბატონს" გაუშალეს სუფრა"; **მზეზე მაღალი, ცათა სწორი, მზის ყური** შაჰ-აბასის კვაზიონიმებია: „იგი კი – მზეზე მაღალი – აქ ნებივრობს", „მისწერა მზეზე მაღალს", „იცოდა, რომ „მზეზე მაღალს" არ უყვარდა", „არ იცოდა – რა სწადდა „ცათა სწორს", „ცათა სწორო!.. თავად გეახლებათ კახთ ბატონი!" (ლ. გოთუა, „გმირთა ვარამი").

ერთსიტყვიანები. სოციალური მდგომარეობის აღმნიშვნელი ცალკეული აპელატივები ხშირად იძენენ სახელდების ფუნქციას და კვაზიონიმებად გვევლინებიან. ამ ტიპისაა: **გლეხი, დედოფალი, მეფე, კინტო, ქალბატონი**... ამ საკითხზე საგანგებოდ ჩერდება ვ. ნიკონოვი, რომელიც ჩამოთვლის პერსონაჟთა მოხსენიების აპელატიურ ფორმებს: „Женщина, Старик, Царь, 1-ый крестьянин, 2-ой крестьянин" და აღნიშნავს, რომ პერსონაჟები, რომლებიც მხოლოდ ამ სიტყვებით არიან წარმოდგენილი, არ ჩაითვლებიან უსახელო პერსონაჟებად, რადგან თავად ეს

სიტყვებია მათი სახელები – **„Это и есть имена“** (ნიკონოვი, 1974, 236). რუსულენოვან სივრცეში მათს საკუთარსახელობას ავტორი ადასტურებს ორთოგრაფიულადაც და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დიდი ასოებით იწყებს. „თამარ ცბიერში“ დედოფალი თამარი მეფე-მეუღლეს მიმართავს არა საკუთარი სახელით, არამედ მისი სოციალური მდგომარეობის აღმნიშვნელი აპელატივით, რაც უდავოდ კვაზიონიმის ფუნქციას ასრულებს: „მეფეო, გცოდე, როგორც ქმარს და, როგორც მეფეს, მოგფინე ბნელი“ (აკ. წერეთელი). აქ აპელატივი მეფე ორჯერაა ნახმარი, მაგრამ ფუნქციით პირველი მათგანია მიმართვის ფორმით გამოყენებული კვაზიონიმი, მეორე – ოდენ აპელატივი. დავიმოწმებთ სხვა მაგალითსაც: „ამაღლდი, მეფეე, ჩემი სიკვდილით“.

5. საქმიანობის აღმნიშვნელი კვაზიონიმები ახლოს დგას სოციალურ მდგომარეობასთან. გ. წერეთელს „გულქანში“ გამოყვანილი ჰყავს პერსონაჟი კვაზიონიმით – **ხორხიანეთის გამგე**. ეს პერსონაჟი მხოლოდ მოვალეობის აღმსრულებელი კვაზიონიმით გვხვდება: „ხორხიანეთის გამგის ოჯახში ვატარებ დროს“, „ხორხიანეთის გამგის ბაღის შემდეგ დანაღვლიანებული შეიქნა“, „ხორხიანეთის გამგის ბაღში რომ ვიყავით“, „ხორხიანეთის გამგემ ყურები გამოცქვიტა“. ხორხიანეთის გამგე რომ სახელისმაგიერია, იქიდანაც ჩანს, რომ მისი მეუღლე, საკმაოდ აქტიური პერსონაჟი თხზულებისა, მხოლოდ და მხოლოდ ქმართან მიმართებით იხსენიება – **ხორხიანეთის გამგის მეუღლე**.

გამომძიებელი, სინდისიერი მოწამე და **მამასახლისის თანაშემწე** – მოსაქმეობის აღმნიშვნელი ამ კვაზიონიმით იხსენიებს ეგ. ნინოშვილი სამ პერსონაჟს („მოსე მწერალი“): „ათანასემ უპასუხა გამომძიებელს“, „ჰკითხა გამომძიებელმა“, „წაუყენა პირში გამომძიებელმა“, „გამომძიებელს ამის შემდეგ ეჭვი შეუვიდა...“ „საპატიმროში ისხდნენ... კეთილსინდისიერი მოწამე და მამასახლისის თანაშემწე“, „კეთილსინდისიერმა მოწამემ და მამასახლისის თანაშემწემ... გააქარწყლეს“, „გაჭირვებაში ჩაცვივდნენ სინდისიერი მოწამისა და მამასახლისის თანაშემწის ოჯახებიც“, „მოხუცი სინდისიერი მოწამე გზაშივე გარდაცვლილიყო“, „ერთ-ერთი წერილი მამასახლისის თანაშემწემაც მიაწვდინა“.

სინდისიერი მოწამე ეპითეტიანი კვაზიონიმია. ანალოგიურია **დარბაისელი გენერალი,** რომლითაც იხსენიება ვალიდას მამობილი გ. წერეთლის „პირველ ნაბიჯში“: „მას უკან ედგა დარბაისელი გენერალი“, „დარბაისელმა გენერალმა და მისმა მეუღლემ მდაბლად დაუკრეს თავი“, „დარბაისელი გენერალი და მისი მეუღლე აღტაცებაში იყვნენ“. საინტერესო კონტექსტშია ეს კვაზიონიმი ჩასმული შემდეგ წინადადებაში: „ვალიდამ ეს ამბავი შეატყობინა თავის დარბაისელ გენერალს და დედობილს“.

მოხელეობა-მოსაქმეობის აღმნიშვნელი კვაზიონიმები ქართულ მწერლობაში ამოუწურავად შეიძლება დაეასახელოთ: **მენახშირე** (ეკ. გაბაშვილი, „მაგდანას ლურჯა“), **იამშჩიკი** (ი. ჭავჭავაძე, „მგზავრის წერილები“; ეკ. გაბაშვილი „გაბედნიერება“), **მონადირე** (ეკ. გაბაშვილი „ჩიტუნია“), **ძიძა, მჭედელი** (აკ. წერეთელი, „მედეა“), **პოდპორუჩიკი №** (ი. ჭავჭავაძე, „მგზავრის წერილები“), **დალაქი//ქოსა, დალაქი** (ლ. არდაზიანი, „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“). აკაკი წერეთლის თხზულებებში არაერთგზის დასტურდება პერსონაჟები კვაზიონიმებით: **ადვოკატი** („სცენა საპატიმროში“, „ადვოკატის დილა“), **მსაჯული** („მომრიგებელი მოსამართლე“, „ახალი სასამართლო“)... მათი კვაზიონიმობა იმითაც იკვეთება, რომ მოხელეობა-საქმიანობის მიმანიშნებელი სიტყვები წოდებითი ბრუნვის ფორმითაც დასტურდება (ხარდანაძის ქალო, კაკლის პაპავ). ამ ტიპის კვაზიონიმებს ძველი ქართული მწერლობის თხზულებებშივე ვხვდებით: **ყასაბი, მჭედელი, მხატვარი, მკერვალი, ყადი** (ს.-ს. ორბელიანი, „სიბრძნე-სიცრუისა“), **უსენის მებაღე** („ვეფხისტყაოსანი“). მათი ხმარების არე კი შესამჩნევად იზრდება გვიანდელი ეპოქის, განსაკუთრებით, XIX ს-ის მწერალთა თხზულებებში.

„მამის მკვლელში“ ალ. ყაზბეგი ხატავს ერთ-ერთ პერსონაჟს და მას მოსაქმეობის აღმნიშვნელი აპელატივით იხსენიებს. ესაა **დიამბეგი** – „ბატონმა დიამბეგმა საჭიროდ დაინახა“, „ბატონ დიამბეგს კი აღასრულებინებდნენ“, „ბატონმა დიამბეგმა ინება გაღვიძება“; **პრისტავი**: „პრისტავი გადავიდა ასმათთან“, „ეგ, ბატონო პრისტავო“, „ჰკითხა პრისტავმა“, „გეეედრები, ბატონო პრისტავო“ (გ. წერეთელი, „მამიდა ასმათი“). რო-

გორც ეხედაეთ, მწერალი პერსონაჟის სახელს ამ აპელატიეით ანაცვლებს და მას წინ ეპითეტად ბატონსაც კი წარუმძღვარებს (როგორც საკუთარ სახელს). ამავე რიგისაა კვაზიონიმი **ნაცვალი**: „მიეიდა ნაცვალთან“, „ნაცვალო! – ბოლოს დაუძახა დიამბეგმა“ (ალ. ყაზბეგი, „მამის მკვლელი“); **წინამძღვარი**: „წინამძღვარი გაჩუმებული ყურს უგდებდა“, „წინამძღვარმა აკურთხა სუფრა“, „წინამძღვრის ამგვარმა კილომ შიში და კრძალვა დაუკარგა მწირს“ (შ. არაგვისპირელი, „ღმერთო, რა დაგიშავე“); **მღვდელი//ბლაღოჩინი** – „მღვდელმა ხმა არ გასცა“, „მღვდელი ადგა“, „დაუძახა მღვდელმა“, „გაოცებული ვუყურებდი მღვდელს“, „უბრძანა მღვდელმა“, „მღვდელი!.. დაიბღავლა საცოდავად გლახამა“ (ი. ჭავჭავაძე, „გლახის ნაამბობი“). თანამდებობის შეცვლის შემდეგ ავტორი მას უკვე **ბლაღოჩინს** უწოდებს: „ბლაღოჩინი საცოდავად გახდა“, „ბლაღოჩინმა ლოცვა დაიწყო“, „მერმე ბლაღოჩინს უთხრა“, „ბლაღოჩინის წინ დაემხო“. მოთხრობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პერსონაჟს მწერალი, როგორც ვხედაეთ, კვაზიონიმით გვაწვდის.

6. სიბრძნისა და გონიერების გამომხატველი კვაზიონიმები: ცოცხალი ენციკლოპედია – „სადაც მცირე დავა და კამათი ატყდებოდა... იმის მაგივრად, რომ ენციკლოპედიურ ლექსიკონში ჩაეხედათ, დაეის გადასაჭრელად თეიმურაზთან მიდიოდნენ. ამის გამო ვიღაცამ ცოცხალი ენციკლოპედია დაარქვა“ (მ. ჯავახიშვილი, „ჯაყოს ხიზნები“); **ოქროს პაპა** – „სიბრძნისათვის ოქროს პაპას გეძახიან“, „წამოექომაგა ოქროს პაპა“ (ლ. გოთუა, „გმირთა ვარამი“).

7. ადგილის ან წარმომავლობის მიხედვით შერქმეული კვაზიონიმები: კაცი ერთი სპარსი (შუშანიკის წამება“), **ერუშნელი ეპისკოპოსი** („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“). ეს პერსონაჟი ერთხელ გამოჩნდება თხზულებაში, მაგრამ საკმაოდ მნიშვნელოვანი კითხვის დასმით. წამიერი გამოჩენის მიუხედავად, იგი ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველის ცნობიერებაზე. ეფიქრობთ, ამ პერსონაჟის წამიერმა, მაგრამ საკმაოდ მნიშვნელოვანმა კითხვამ მკვიდრი ადგილი მიაკუთვნა მას თხზულებაში, რამაც განაპირობა მისი სახელდების სიმყარეც; **ტყის კაცი**

– ტყის კაცი შეარქვეს პაელეს, რადგან იფნიანის ტყეში დასახლდა (მ. ჯავახიშვილი, „ტყის კაცი“); **ვაგონის კაცი** – ერთმა პერსონაჟმა მეორე მატარებლის ვაგონში გაიცნო. მისი სახელი დააივიწყდა და იხსენიებდა კვაზიონიმით – „ვაგონის კაცი“; **ყვავის კუტი** – გაუქმებულ ეკლესიაში, რომელსაც გრემელები ყვავის საყდარს ეძახდნენ, დასახლებული დედაბერი. მისი არც სახელი იყო ცნობილი, არც ვინაობა. ნასაყდრალის მიხედვით მასაც ყვავის კუტს ეძახდნენ (ლ. გოთუა, „გმირთა ვარამი); **კაკლის პაპა** – „კაკლის ძირში თითქოს მატიანედან გადმოსული წეროსანი მოხუცი დაეინახე“, „კაკლის პაპაჟ“, „კაკლის პაპას ვეხმარები“, „მართლაც კაკლის პაპა ვარ“; **ჯოჯო ბერი** – „აი, ჯოჯობერი. უწინ სახელი და სადგომი ჰქონდა... ახლა კი აი, იქ მეტეხა კლდის ჯოჯოთ ქვაბში აფარებს თავსა“ (ლ. გოთუა, „ნისლი ნახატარის ტყეში“); **ველისციხელი ქალი** (დავით ულუს დედა).

ერთსიტყვიანი კვაზიონიმები. წარმომავლობის აღმნიშვნელი გაონიმებული სიტყვები: **ხატაელი** – „დაუმალა ხატაელმან“ („ვეფხისტყაოსანი“, ხატაელი ამ წინადადებაში ტარიელის მიერ ინდოეთში წამოყვანილი ნებისმიერი ხატაელის აღმნიშვნელი კი არ არის, არამედ კონკრეტულად ერთ პირს აღნიშნავს – ესაა რამაზ მეფე); **გარდაბნელი** – „წამოდგა ერთი გარდაბნელი“, „შურ უგო გარდაბნელმან მან“, „ესმა გარდაბნელისა მიერ“ („მარტყლობაჲ არჩილ მეფისაჲ“); **ისპაანელი, გილანელი, განჯელი, არაბი, ქრისტიანი** – ასე არქმევს ს.-ს. ორბელიანი „სიბრძე სიცრუისას“ პერსონაჟებს; **გლახათუბნელი, ლეჩხუმელი** – გლახათუბნელს ეძახდნენ ერთ იმერელს გლახათუბნიდან, „გლახათუბნელი გაგეშორდა“, „შემოვიდა გლახათუბნელი“, „ჰკითხა ლეჩხუმელმა გლახათუბნელს“, „რასა იქმს ლეჩხუმელი“, „დაუმატა... ლეჩხუმელმა“, „ლეჩხუმელო, ეგ როგორ მოგიყიდა“ (გ. წერეთელი, „კიკოლიკი, ჩიკოლიკი, კუდაბზიკა“); **ფრანციელი** (ი. ჭავჭავაძე, „მგზავრის წერილები“). აკაკი წერეთლის ერთ თხზულებაში დახატული პერსონაჟები მოხსენიებული არიან წარმომავლობის კვაზიონიმებით: **იმერელი, გურული, ქართლელი, სომეხი**. ერთმანეთსაც ამ ეთნონიმური აპელა-

ტიებით მიმართავენ: „ებრაელო, შენ რა გინდოდა“, „ეგ ყველაფერი კარგი, გურულო, მაგრამ“... („სცენა საპატიმროში“).

8. ამოჩემებული სიტყვის ან საგნის მიხედვით შერქმეული კვაზიონიმები:

ბურნუთის კოლოფი – დაარქვეს შეგირდებმა მამა ბართლომეს, რადგან მისი ცემის იარაღი იყო დიდი ბურნუთის კოლოფი (ს. მგალობლიშვილი, „წარსულიდან“); **ჩემთვის სულ ერთია, მეტი რა გინდა** – დათუნა ბარნაველი ყველაფერზე „ჩემთვის სულ ერთიას“ იძახდა, ხოლო ზაალ ბარათაშვილს „მეტი რა გინდა“ აეკვიატებინა. „ვისი უნდა მეშინოდეს, შენი? სულ ერთიასი?“ მწერალი ამ ტიპის სახელდებას ზედმეტ სახელს უწოდებს: „ქერივი ისეთი ღიმილით უმზერდა ძმას, თითქოს მის ზედმეტ სახელს ნამდვილს ადარებდა. რა ზედ გამოჭრილია დათუნაზე არსენას მიერ დარქმეული „ჩემთვის სულ ერთია“ (მ. ჯავახიშვილი, „არსენა მარაბდელი“). „ჩემთვის სულ ერთია“ ნამდვილად ზედმეტი სახელია, მაგრამ არა მეტსახელი (ანუ არა ფორმით ონიმი). იგი ზედმეტი სახელის მეორე სახეობაა – კვაზიონიმი; **სულძაღლიანი** – „რადგან ჩემი ძაღლი, მურადა, თან დამყვება, სოფელში სულძაღლიანს მეძახიან“ (ნ. დუმბაძე, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“); **მაამ-ჰო-ჰო** – „მაამ-ჰო-ჰო!“– წამოიძახა თავისდა უნებურად და სოფელში დაბრუნებულ გიგას ძალაუნებურად დაერქვა „მაამ-ჰო-ჰო“ და ეს სახელი დღემდის შერჩა“ (ირ. ევდოშვილი, „მაამ-ჰო-ჰო“).

რეალურ ყოფაში დადასტურებული ამ ტიპის კვაზიონიმები: Иди, гуляй – ქართული სოფლიდან მოსკოვში ჩასული კაცი რუსის ლაპარაკს რომ ვერ იგებდა, ეუბნებოდა: – иди, гуляй. უკან დაბრუნებულს, ეს ფრაზა (იძი გულაი) სახელად შეარქვეს (ზემო ხვითი); **Понимаешь** – სომეხი ექიმი, რომელმაც ქართული ცუდად იცოდა, წამდაუწუმ იყენებდა ამ სიტყვას, რაც სახელადაც შერჩა (ნიქოზი); **შე-ქალო** – იმერელი ქალის სახელდებაა, რადგან ხშირად ხმარობს ამ სიტყვას (ტიბაანი).

როგორც ვხედავთ, კვაზიონიმთა სემანტიკური ჯგუფები იდენტურია მეტსახელთა სემანტიკური ჯგუფებისა და ეს ბუნებრივიცაა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ორივეს ერთი ფუნქცია აკისრია – დენოტატის შესახებ დამატებითი ინფორმაციის გა-

მოვლინება. არის სხვაობაც, რაც ქმნის განსხვავებულ სემანტიკურ ჯგუფებს.

9. კუთვნილებითი მიმართების გამომხატველი კვაზიონიმები. ზოგჯერ მწერალი პერსონაჟს (ეპიზოდურსაც და არაეპიზოდურსაც) ვინმესთან მიმართებით გვიჩვენებს. აქედან გამომდინარე, მისი სახელდებაც ამ კუთხით ხდება. ასეთი ტიპის კვაზიონიმში ხშირ შემთხვევაში ფუნქციონირებს საკუთარი სახელიც, მაგრამ ეს არის არა მოცემული პერსონაჟის სახელი, არამედ იმისი, ვისთან მიმართებითაც არის წარმოდგენილი პერსონაჟი. ასეთებია: **ცოლი ჯოჯიკისი** („შუშანიკის წამება"), სანატრელი **დედაი მისი** („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება"), **შალვას დედა** (შ. არაგვისპირელი, „ორი მკურნალი"), **სპირიდონის დედა** (ეგ. ნინოშვილი, „ჩვენი ქვეყნის რაინდი"), **ილიასას ძმა** (დ. კლდიაშვილი, „ჩემი ცხოვრების გზაზე"), **ბადოს ბიჭი** (ს. მგალობლიშვილი, „წარსულიდან"), **ჯოტოს მამა** (ლ. ქიაჩელი, „მთის კაცი"), **ოთარაანთ ქვრივი** (ი. ჭავჭავაძე, „ოთარაანთ ქვრივი"). აქ ჩამოთვლილ პერსონაჟებს მწერალი საკუთარი სახელებით არ გვაცნობს, რადგან ისინი არსებობენ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც არსებობენ სხვა, მათთვის უფრო მნიშვნელოვანი პირები (ჯოჯიკი, შალვა, სპირიდონი, ილიასა, ბადო, ჯოტო); ე.ი. ჯოჯიკის, გრიგოლის, შალვას, სპირიდონის, ილიასას, ჯოტოს არსებობა განაპირობებს მათს არსებობას. უფრო მეტის მთქმელია შალვას დედა, ვიდრე ის, რომ მას რქმეოდა რომელიმე ბაბალე... იგი მოთხრობის აქტიური პერსონაჟია. როგორც ერთ-ერთ ცენტრალურ პირს, ეკუთვნის კიდეც სახელით მოხსენიება, მაგრამ ავტორი გვერდს უვლის ამას, რადგანაც პერსონაჟი მას აინტერესებს არა თავისი პირადი მონაცემებით, არამედ როგორც სხვა პიროვნების, კერძოდ, როგორც შალვას დედა, ამიტომ არქმევს მას **შალვას დედას** („შალვას დედა გატრიალდა", „შალვას დედას ბრძანებით", „განაგრძო შალვას დედამ", „შალვას დედამ მიუტანა"). საინტერესო მსჯელობაა ნოდარ დუმბაძის მოთხრობაში ერთ კვაზიონიმთან დაკავშირებით – ესაა **სოსოიეს რუსი**: „სოსოიეს რუსო! – უპოვა სახელი ბეჟანამ", „სოსოიეს რუსია, – უპასუხა მან", „როგორ გეკადრება, სოსოიეს რუსო", „ჩემს რუსს მშვენიერი სახელი ერქვა – ანატოლი და

გვარიც მეფური ჰქონდა – რომანოვი, მაგრამ მთელი სოფელი მაინც სოსოიეს რუსს ეძახდა“ (ნ. დუმბაძე, „მე ვხედავ მზეს“); **„ბიჭი“** – ასე ეძახდა თავის შვილს ელენე (დ. კლდიაშვილი, „მშობლის ნუგეში“). ბიჭი აპელატივი ხშირად საკუთარი სახელის სტატუსს იღებს, მაგრამ ამ მოთხრობაში ბიჭი კვაზიონიმია, რაც იგრძნობა მწერლის რემარკიდან და სიტყვა „ბიჭის“ ბრჭყალებში მოთავსებით. მწერალი ამ კვაზიონიმით (ზოგჯერ ეპითეტდართულით), ოღონდ დედასთან მიმართებით, იხსენიებს პერსონაჟს: „თვალწინ ედგა **მისი** შნოიანი **„ბიჭი“**, „**მისი „ბიჭის“** კუბო“, „რაზედაც **მისი** ძვირფასი **„ბიჭი“** ოცნებობდა“, „მისი „ბიჭი“ ისევ ხმაგაკმენდილი გამოიყურებოდა“, „მაშინ იხილავს მისი დამწუხრებული გული **მისი „ბიჭის“** დიდებულებას“.

პერსონაჟის პერსონაჟთან მიმართების აღმნიშვნელი სინტაგმა რომ კვაზიონიმადაა ქცეული, ეს საკმაოდ გამორჩეულად ჩანს იოანე ბატონიშვილის „კალმასობიდან“. ავტორი ერთ პერსონაჟ ქალს წარმოგვიდგენს ასე: **ავალის დედა**. თვითონ ეს პერსონაჟი ქალიც თავის თავს ავალის დედად იხსენიებს: „ვაი, შენს ავალის დედას“, „გენაცვალოს ავალის დედა“... ანალოგიურია **ზაქარიას ცოლი** (ი. ჭავჭავაძე, „კაცია ადამიანი“); **შალვას დედა** (შ. არაგვისპირელი, „ორი მკურნალი“); **ილიასას ძმა** (დ. კლდიაშვილი, „ჩემი ცხოვრების გზაზე“); **ბადოს ბიჭი** (ს. მგალობლიშვილი, „წარსულიდან“); **ჯოტოს მამა** (ლ. ქიაჩელი, „მთის კაცი“); **ნისლიშვილის მეუღლე** (ვ. ბარნოვი, „სოკო“); **სოსიკაანთ ბიჭი** (ალ. ყაზბეგი, „მამის მკვლელი“); **კალანდაძის ქალი** (ნ. დუმბაძე, „ხაზარულა“); **სანიკაიას ცოლი, გარდაფხაძის ქალი, უთუთიას ქვრივი** (შ. დადიანი, „გვირგვილიანების ოჯახი“); **შაქარაანთ ქვრივი** – „შაქარაანთ ქვრივო, საით გაგიწევია? – გადასძახა ილიამ თალხსამოსიან დედაკაცს, რომელსაც შავი თავსაფრის ქვეშ საფეთქლებთან გამოშლილი ჭაღარა კაეები უფრო უმკაცრებდნენ სახეს. – შაქარაანთ ქვრივი გახლაეარ... ქალაქელო, როგორც გამჭირვებია, კეტ-ქალამანიც ისეთი ამილ-ჩამიცვია“ (ლ. გოთუა, „ნისლი ნახატარის ტყეში“); **ქაჯაიას ნაცოლარი** – „ისინი იქ „ქაჯაიას ნაცოლარს“ უძახიან“ (რ. ჯაფარიძე, „მძიმე ჯვარი“). განსაკუთრებით აღსანიშნავია ის

თხზულება (უიარაღო, „მაძიებელნი"), რომლის პერსონაჟები, ცოლ-ქმარი (მარიკა ხარდანიძე და ბასილ მძებრაძე) ერთმანეთს მხოლოდ კვაზიონიმებით მიმართავენ. ქმარი ცოლს „უბრალოდ, **ხარდანიძის ქალს** ეძახდა". ცოლი ქმარს კი ამაგე ტიპის (ოღონდ შვილთან მიმართებითი) კვაზიონიმით მიმართავს და ეძახის **ძუკუს მამას** – „ხარდანიძის ქალო-მეთქი, – ბოხი ხმით დაიძახა ბასილმა", „აბა, ხარდანიძის ქალო, გოგოს უთხარი", „ხარდანიძის ქალო, გაიგონე", „გესმის, ხარდანიძის ქალო?", „ხარდანიძის ქალო, ქაღალდები მოსძებნე", „ხარდანიძის ქალს დაუძახე" – ასე მოიხსენიებს ქმარი ცოლს მესამე პირშიც. თავის მხრივ, ქალიც ასე მიმართავს: „რას ამბობ, ძუკუს მამავ", „ახირებული ხასიათი გაქვს, ძუკუს მამა", „რამდენი ხანია, ძუკუს მამა, ამას მეც გეუბნები"; **ქერქაძის ქალი** – „დილით ძნელაძის ქალი გადმოვიდა ჩვენს ეზოში. – რა იყო ნინა? – გამოეხმაურა ბებიაჩემი. – ქერქაძის ქალო, შენი ბაღანა უნდა მათხოვო" (ნ. დუმბაძე „ბოშები"); **ინსპექტორის ცოლი** – ასე იხსენიებს ს. მგალობლიშვილი ერთ-ერთ ეპიზოდურ პერსონაჟ ქალს („წარსულიდან"), რადგან მას სწორედ ინსპექტორის ცოლობით მოსწონდა თავი. ეს სიტყვათშეთანხმება რომ კვაზიონიმია და არა ჩვეულებრივი მსაზღვრელ-საზღვრული, კარგად ჩანს შემდეგი წინადადებიდან: „ამ კინკლაობაში საყვედური ხვდებოდა ხოლმე ქმრისგან ინსპექტორის ცოლს, ქმარი კი – ეს თვით ინსპექტორია". ამ კონტექსტიდან (ქმრისგან ინსპექტორის ცოლს) აშკარაა, რომ ინსპექტორის ცოლი სხეა არაფერია, თუ არა სახელდების განსაკუთრებული შემთხვევა; **ბებრის შვილი** – „მიჩვენა ბებრის შვილზე", „მივუბრუნდი ბებრის შვილს", „ბებრის შვილმა მიამბო", „უბრძანა ბებრის შვილსა" (ლ. არდაზიანი, „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი"); **მთავარმართებლის მეუღლე** – „ანიშნა მთავარმართებლის მეუღლემ", „მოახსენა მთავარმართებლის მეუღლეს", „მთავარმართებლის მეუღლე ღიმილით მიეგება", „მთავარმაროებლის მეუღლეს... მოეწონა", „მათ უკან გაჰყვნენ მთავარმართებლის მეუღლე და პოლკოვნიკი". მხოლოდ ამ სახით გვხვდება ეს პერსონაჟი გ. წერეთლის „პირველ ნაბიჯში". ანალოგიური კვაზიონიმითაა მონაოლული ამავე თხზულების მეორე ეპიზოდური პერსონაჟი **გუბერნატო-**

რის მეუღლე – „გუბერნატორის მეუღლემ დაუწყო“, „გუბერნატორის მეუღლემ მიიღო მფარველობა“.

ცალკე გამოვყოფთ სამსიტყვიან კვაზიონიმებს, რომლებიც ორსიტყვიან კვაზიონიმებთან მიმართებითაა შექმნილი: **ხორხიანეთის გამგის მეუღლე** – როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ საქმიანობის გამომხატველი კვაზიონიმით – ხორხიანეთის გამგე – შემოჰყავს გ. წერეთელს ერთი პერსონაჟი თხზულებაში („გულქანი“), მის ცოლს კი, რომანის ერთ-ერთ აქტიურ პერსონაჟს, იხსენიებს მასთან მიმართებით და ასე არქმევს: **ხორხიანეთის გამგის მეუღლე**. ეს სამელემენტიანი კვაზიონიმი პერსონაჟის სახელის მაგიერად ბეერჯერ დასტურდება თხზულებაში: „დაიწყო ხორხიანეთის გამგის მეუღლემ“, „ხორხიანეთის გამგის მეუღლე და გრაფი“, „ხორხიანეთის გამგის მეუღლემ არ გამოუშვა“; **ჭადრაკის მეგობარი** – ამ კვაზიონიმითაა მოხსენიებული ერთ-ერთი პერსონაჟი: „მოსძულდა ჭადრაკის მეგობარი“, „წაიმღერებს ჭადრაკის მეგობარი“, „ჭადრაკის მეგობრის ფიქრითაო“. მასთან მიმართებით კი სახელდება მისი ცოლი – **ჭადრაკის მეგობრის ცოლი**: „შეკრთება ჭადრაკის მეგობრის ცოლი“, „ჭადრაკის მეგობრის ცოლი ჩასდევს“, „მირბის ჭადრაკის მეგობრის ცოლი“ (თ. ჩხეიძე, „კვერნაქი“).

აქ ჩამოთვლილ დენოტატებს, რაგინდ მნიშვნელოვანი პერსონაჟებიც უნდა იყვნენ ისინი, სახელდების თვალსაზრისით, განაპირობებს სხვათა მყოფობა. **ჯოჯიკის ცოლი, შალვას დედა...** მოთხრობის ერთ-ერთი ცენტრალური სახეებია. მათ ეკუთვნით კიდეც სახელებით მოხსენიება, მაგრამ ავტორს ეს პერსონაჟები არ აინტერესებს თავიანთი პირადი მონაცემებით. ისინი არსებობენ იმდენად (თუნდაც გამოკვეთილი ხასიათით), რამდენადაც არსებობენ ისინი, ვისთან მიმართებაშიც არიან წარმოდგენილნი (ჯოჯიკი, შალვა, ჯოტო...).

რეალურ ყოფაშიც ამა თუ იმ პირს იხსენიებენ ან იცნობენ ხოლმე ვინმესთან მიმართებით და არა საკუთარი სახელით. XX ს-ის პირველ ნახევარში, როცა განკულაკება მოხდა, თბილისის ერთ-ერთ იტალიურ ეზოში ორსართულიანი სახლისა და მთელი ეზოს მეპატრონეს (ნადია გოდერძიშვილს) მეზობლები „**ხაზეიკას**“ ეძახდნენ, მის შვილიშვილს კი – „**ხაზეი-**

კას შვილიშვილს“ (ქ. გ.). მედიკოს ბიჭი (ანაგა), ბაბოს ლეო – ბებიას გაზრდილი (სიღნაღი), გელიაანთ ქალი, ღონიაანთ ქალი... გარეკახეთში ამ ტიპის კვაზიონიმთა ურთიერთობაში გამოყენების შემთხვევებს ადასტურებს უ. სახლთხუციშვილი (თუმცა მათ მეტსახელთა ჯგუფში ათავსებს). მეზობელი მეზობელს მიმართავს: „გელიაანთ ქალო, ოსიაანთ ქალმა დამაბარა, ღონიაანთ ქალი წამოვიყვანე და მესტუმრეთო“; ქმარი ცოლს: „ზალაანთ ქალო, დღეს ქალაქში მივდივარ“. „გუდამაყარში ოჯახის დედას მიმართავენ დავაჟკაცებული შვილის სახელით. სოფ. მაქართაში ვასიკო წიკლაურის დედას, მაშოს, ყველა „ვასიკაის დედას“ ეძახდა, განსაკუთრებით ვასიკას თანატოლები, ასე მიმართავდნენ: ვასიკაის დედავ!“ (ხორნაული, 2003, 226).

კვაზიონიმის ამ ჯგუფის არსებობა უნიეერსალიაა, რაც კარგად ჩანს ვ. ნიკონოვის მიერ დამოწმებული ფაქტიდან – ძველ რომში ქალს იხსენიებდნენ მამის, ქმრის ან ვაჟის სახელით, მათთან მიმართებით (ვისი შვილი, ვისი ცოლი ან ვისი დედა); გვარების წარმოშობამდე ძველ ნოვგოროდში მამაკაცის სახელებისგან – პოლიუდი, ზავიდი – მიღებულია პოლუუნაია, ზავიაუნაია, რაც ნიშნავს მიკუთვნებას პოლიუდისადმი, ზავიდისადმი. მოგვიანებით, ავტორის თქმით, პეტრეს ცოლს ეძახდნენ პეტრიხას, რომლის ნამდეილი სახელი შეიძლება დავიწყებასაც მისცემოდა (ნიკონოვი, 1974, 25). ძველად გერმანიაში გათხოვილ ქალთა ქმრებისეულ გვარებს უმატებდნენ -in მარკერს, მაგრამ არტიკლს მამრობითი სქესისას ხმარობდნენ: der Neuberin, der Gottschadin, der Körschin... ერთ-ერთ ძველ ჭიშკარზე ახლაც იკითხება: "Hans Caspar Jung und Katharina Jungin haben diß Haus gebauet Anno 1781" (ეს სახლი ჰანს კასპარ იუნგმა და კათარინა იუნგმა ააშენეს 1781 წელს, ჯიქია, 2005, 242). ძმები გრიმების დედა მოიხსენიებოდა როგორც Frau Amtmännin, ხოლო გოეთეს დედა ცნობილი იყო როგორც Frau Rat. ორივე შემთხვევაში მათი მეუღლეების ტიტული ფიგურირებდა.

10. ნათესაობის აღმნიშვნელი კვაზიონიმები ანალოგიურად წარმოადგენენ აპელატივებს საკუთარი სახელის ფუნქციით. ამ საკითხზე ყურადღებას ამახვილებს არნ. ჩიქობავა და

თელის, რომ მამა/დედა/ბებია/პაპა სიტყვების აპელატიურობას თუ საკუთარსახელობას ავლენს ნათესაობითი ბრუნვის ფორმა. „სახელის ფუძე არ იკვეცება... როცა საზოგადო სახელი „მამა“, „დედა“, „ბებია“, „პაპა“ საკუთარი სახელის ნაცვლად იხმარება“ (**დედას თავშალი** – მაგრამ დედის დარიგება; **მამას ჩიბუხი** – მაგრამ მამის მოვალეობა, ჩიქობავა, 1950, 038).

ნათესაობის აღმნიშვნელი კვაზიონიმები საკმაოდ დაიძებნება მხატვრულ თხზულებებში: „**ნათლიმამ,** გაბედე-მეთქი“, „აბა, **ნათლულო,** არ გასთხოვდები?“ (დ. ჭონქაძე, „სურამის ციხე“); „როგორ მოგწონს, **მამობილო?**“ (ვაჟა-ფშაველა, „ცრუპენტელა აღმზრდელი“); „გამაიქე **პაპასთან**... რა გინდა, **პაპავ?**“ (ვაჟა-ფშაველა, „შალვას ნანახი ხატი“); „არ გიბრძანებიათ, **მამამთილო**“ (ვაჟა-ფშაველა, „მელია-კუდაგრძელია“). ამ ტიპის კვაზიონიმებით საკმაოდ ყოველდღიური რეალური ყოფა: „**დეიდა,** სად მიდიხარ?“, „**დეიდა** მოდის“, „**მამიდა მიყვარს**“, „**მამიდა** წავიდა“, „**ძალო,** როდის ჩამოხვალ?“, „**ძალომ** დაიგვიანა“. ადამიანი სხვის მამიდაზე ან დეიდაზე არ იტყვის მამიდა (ან დეიდა) მოვიდა, არამედ დააკონკრეტებს შენი მამიდა (მამიდა შენი), მისი მამიდა (მამიდამისი). ასე რომ, ძმიშვილის ან დისშვილის მიერ ნათქვამი მამიდა, დეიდა ისევე აკონკრეტებს დენოტატს, ისეთივე სამისამართო ფუნქციის მქონეა, როგორიც ამ ქალების საკუთრივ ანთროპონიმი. ერთი შეხედვით, ნათესაობის გამომხატველი სიტყვები კვაზიონიმის ფუნქციით ძირითადად თითქოს მიმართვის დროს იტვირთება, მაგრამ მათ იგივე ფუნქცია აკისრიათ პერსონაჟის III პირით მოხსენიებისას. სწორედ მესამე პირად გამოყენებისას უფრო მყარდება მათი კვაზიონიმობა. მეორე მხრივ, პოსტპოზიციურად დართული კუთვნილებითი ნაცვალსახელიც ნათესაობის აღმნიშვნელ სიტყვებს არ უკარგავს კვაზიონიმობის ფუნქციას. ამ ტიპის სიტყვებს შ. აფრიდონიძე უწოდებს „მშობელთა კლასს“ და მას საკუთარ სახელთა ტოლფასად წარმოგვიდგენს. უფრო მეტიც, „თუ გავითვალისწინებთ ენის განვითარების ზოგად კანონზომიერებას, ლოგიკურად უნდა დავუშვათ, რომ „მშობელთა კლასის“ **სიტყვებს** საკუთარი სახელის გაგება დაუკარგა ი-ის ხმარებიდან ამოღებამ, რამაც ისინი გაათანაბრა საზოგადო სახელებთან, მაგრამ სა-

ზოგადო და საკუთარ სახელთა ხელახალი დიფერენცირების შედეგად საკუთარ სახელებად გაგებულ „მშობელთა კლასის“ სიტყვებს პოსტპოზიციურად დაერთო კუთვნილებითი ნაცვალსახელები“ (აფრიდონიძე, 1974, 105).

მასალები მხატვრული ლიტერატურიდან: **„მამაჩემს** ვერ მოერეოდი“, **„მამაშენი** შეეყვანე ბოსელში“, **„პაპაშენი** იმათ ჯარში დაბერდა“ (ვაჟა-ფშაველა, „შალვას ნანახი ხატი“); „შენ შემოგეელოს **მამიდაშენი**“ (გ. წერეთელი, „მამიდა ასმათი“); **„ძალუაჩემი**... დაშოშმინდა“, „განაგრძო **ძალუაჩემმა**“ (ეკ. გაბაშვილი, „იორდანე“).

ზემოთ სახელდებული „მშობელთა კლასისაგან“ განსხვავებით, არსებობს მეორე დიდი ჯგუფი ნათესაობის აღმნიშვნელი სახელებისა, რომელსაც პოსტპოზიციურად ვერ დაერთვის კუთვნილებითი ნაცვალსახელები. ეს ჯგუფი კუთვნილებით ნაცვალსახელებს წინ მსაზღვრელად დაირთავს: **ჩემი მული, ჩემი მამამთილი**: „უკაცრავად, ჩემო მულო“ (აკ. წერეთელი, „თამარ ცბიერი“), „რაა მერე, ჩემო სიმამრო?“ (ნ. ლომოური, „ქრისტიანი ლეკები“). უკარგავს თუ არა პრეპოზიციური მსაზღვრელი კვაზიონიმს ონიმურობას? ჩვენი აზრით – არა: ჩემო ნიკოლოზ და ნიკოლოზ ან ჩემო ალექსანდრე და ალექსანდრე – აქ ნიკოლოზის და ალექსანდრეს ანთროპონიმობა არ არის დამოკიდებული „ჩემო“ ნაცვალსახელის ხმარება-უხმარებლობაზე. ნაცვალსახელი „ჩემო“ არ ანელებს ამ საკუთარ სახელთა ონიმურობას. იგივე ითქმის კვაზიონიმთან პრეპოზიციურად დართულ „ჩემო“ ნაცვალსახელზეც, პირიქით კია – რადგან კვაზიონიმი მაინც კვაზი ონიმია და არა ანთროპონიმი, მასთან ნახმარი ნაცვალსახელი უფრო აკონკრეტებს მის ონიმურ ფუნქციასთან გატოლებას.

გასათვალისწინებელია კიდევ ერთი გარემოება – ნათესაობის აღმნიშვნელი აპელატივები კვაზიონიმად მაშინ იკვეთებიან, როცა ისინი დამოუკიდებლად იხმარებიან. ანთროპონიმთან დაწყვილებულ ნათესაობის აღმნიშვნელ აპელატივებს ეკარგებათ კვაზიონიმური ფუნქცია, რადგან სახელდების ფუნქციას მთლიანად ანთროპონიმი ასრულებს. შევადაროთ:

ა) „გოგონას დაეძინა პაპას კალთაში “/ „პაპას თქმით“ და ბ) „ჰკითხავდა **პაპა სოსიკა** თავის შვილიშვილს“ (ვაჟა-ფშაველა);

ა) „აჰ, არა, **მამიდა**“, „ჰკოცნიდა **მამიდას**“, „**მამიდა**, ჩქარა გაეწიოთ“, „**მამიდა** თავის ძმისწულს... გამოუცელიდა საცვალს“ და ბ) „**მამიდა ასმათმა**... დაუმტკიცა“ (გ. წერეთელი, „მამიდა ასმათი“). \

მართალია, აღვნიშნეთ, რომ ანთროპონიმთან დართული ნათესაობის აღმნიშვნელი სიტყვა ოდენ განსაზღვრებაა, მაგრამ ზოგჯერ იგი ონიმის ფუნქციითაც იტვირთება, კერძოდ, ონიმური ეპითეტის ფუნქციით. ამ ტიპის ანთროპონიმული ფორმულა ეპითეტიანი ანთროპონიმების რიგში ჩადგება. ამას ადასტურებს შემდეგი ფრაზები: ნ. ლომოურის ერთ-ერთი მოთხრობის პერსონაჟი არკვევს, თუ რომელია **სიდონიათი** სახელდებული პიროვნება. ბოლოს დასძენს: „ჰო, მომაგონდა, **დეიდა სიდონიას რომ ეძახიან**, ის, არა?“ აქ ჩანს, რომ აპელატივი „დეიდა“ არა მხოლოდ განსაზღვრება-ეპითეტია, არამედ იგი, კონკრეტულ შემთხვევაში, იტვირთება ერთგვარი განმასხვავებლობითი ფუნქციით. აქ არ იგულისხმება კონკრეტული პირის დეიდა. მას ყველა ამ ეპითეტით იცნობს. ავტორს მოთხრობის სათაურადაც ეს ანთროპონიმული ფორმულა გამოაქვს.

ანალოგიურია **დედა მაია** (ს. მგალობლიშვილი, „დედა მაია“); **მარიამ დედა** – მარიამ დედა! – ასე ეძახდა შინაურობაში თავის დედოფალს, საკუთარ მეუღლეს ალექსანდრე მეფე, კახთ ბატონი. „მარიამ დედა! წამო, ჩვენს ყვინჩილებს დაეხედოთ“, „ჩემო კარგო, მარიამ დედი! ამდენ ძმებს ერთი დაც დაამშვენებდა“, „მარიამ დედავ!.. აშოთანს ჰყავს გასათხოვარი ქალი“. ქეთევანი ასე მოიხსენიებს: „მარიამ-დედასთან მეც გამიყოლეთ“. ავტორიც ასე წარმოგვიდგენს: „მარიამ-დედა... ილეოდა“, „ალექსანდრემ მარიამ-დედის პანაშვიდი გადაახდევინა“ (ლ. გოთუა, „გმირთა ვარამი“).

სიმამრი – ასე უწოდებს ნ. ლომოური ერთ-ერთ პერსონაჟს „ქრისტიან ლეკებში“. ეს სიტყვა გეხედება როგორც მიმართვისას („რაა, მერე, ჩემო სიმამრო“), ისე (უმეტესად) პერსონაჟის III პირად წარმოდგენისას. მწერალი მას სიმამრად იხსე-

ნიებს: „ეუბნება კვალად სიმამრი“, „შეხედა სიმამრს“, „ამ ამბავმა სიმამრი... ცოტა არ იყოს, შეაფიქრიანა“. **სიმამრი** აქ გაკვაზიონიმებული აპელატივია, რადგან ამ სიტყვით მიმართავს მას სვიმონა და, რაც მთავარია, ამ სიტყვითვე იხსენიებს მას მწერალი. ე.ი. ეს ზოგადი სიტყვა-აპელატივი დაკონკრეტებულია მოთხრობაში და მით წარმოდგენილია სათანადო პირი. სიმამრი – აქ მიმანიშნებელია პერსონაჟისა, მაგრამ ეს მიმანიშნებელი არ წარმოადგენს ანთროპონიმს, ამდენად იგი კვაზი ანთროპონიმია, კვაზიონიმია.

ამრიგად, ჩვენ შევეცადეთ კვაზიონიმთა ჯგუფში მოგვეთავსებინა ნათესაობის აღმნიშვნელი აპელატივები. ერთი რამ ცხადია: ნათესაობის აღმნიშვნელი აპელატივები მხატვრულ თხზულებებში უდავოდ წარმოადგენენ კონკრეტულ პირთა მიმანიშნებელს. ხშირად ამა თუ იმ პერსონაჟს მხოლოდ ამ ტიპის მიმანიშნებლით გვაცნობს მწერალი, რითაც ხდება ზოგადის კონკრეტიზაცია. აპელატივს დამატებითი ფუნქცია გარკვეულ შემთხვევაში ეკისრება. სიმამრი, ჩვეულებრივ, ნათესაობის გამომხატველი სიტყვაა, კონკრეტულ შემთხვევაში – მამა სვიმონას ცოლისა. **პაპა** ასევე ნათესაობის აღმნიშვნელი სიტყვაა, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში – პაპა შალვასი. ამ დამატებითი ფუნქციის გამო ისინი ონომასტიკაში კვაზიონიმთა ჯგუფს ქმნიან. სწორედ ეკვივალენტ სახელებს აკუთვნებს რ. ტაიჩი ნათესაობითი ურთიერთობის აღმნიშვნელ სახელებს, რომლებიც მუდმივად იხმარება ვინმეს (ამ შემთხვევაში – პერსონაჟის) მიმართ ანთროპონიმის მაგიერ (ტაიჩი, 1970, 318).

ნათესაობის აღმნიშვნელი აპელატივები კვაზიონიმებად გვხვდება სამი სახით: 1. დამოუკიდებლად, 2. აპელატივებზე პოსტპოზიციურად დართული კუთვნილებითი ნაცვალსახელებით, 3. აპელატივზე პრეპოზიციურად დართული კუთვნილებითი ნაცვალსახელებით. რა თქმა უნდა, კვაზიონიმობას, უპირველეს ყოვლისა, სწევს სამისამართო ფუნქციით დამოუკიდებლად გამოყენებული.

11. რიგობითობის გამომხატველი კვაზიონიმები. რიგობითი რიცხვითი სახელი უმეტესად მსაზღვრელადაა წარმოდგენილი. ვთქვათ, მეორე გლეხი, მესამე ბიჭი და ა. შ. აკ. წერეთელს

„პატარა კახში“ გამოყვანილი ჰყავს პერსონაჟები შემდეგი კვაზიონიმებით: **პირველი გლეხი, მეორე გლეხი, მესამე გლეხი, მეოთხე გლეხი**. თითოეულ მათგანს რომ თავ-თავისი რიგობითი სახელით (კვაზიონიმით) იხსენიებს და არა ნებისმიერი ნუმერაციით, კარგად ჩანს პოემიდან. მაგ., III მოქმედების I სცენაში ეს გლეხები ასეა წარმოდგენილი: 1-ლი გლეხი, მე-2 გლეხი, მე-3 გლეხი, მე-4 გლეხი... შემდეგ სხვები საუბრობენ და აი, ლაპარაკში კვლავ ერთვება... მე-2 გლეხი, შემდეგ მე-3 გლეხი (ე. ი. აქ პირველი და მეორე არ ჩანს). ამავე სცენის VIII გამოსვლაში მოსაუბრე გლეხებს ასე ასახელებს მწერალი: პირველი გლეხი, მესამე გლეხი, მოხუცი გლეხი (ანუ ამ უკანასკნელს რიგობითი სახელით არ იხსენიებს), მეოთხე გლეხი, შემდეგ – მესამე გლეხი... პირველი გლეხი, მეორე გლეხი... პირველი გლეხი. ამავე პოემაში ავტორს ორი შიკრიკი შემოჰყავს. პირველს რიგობითი სახელით არ იხსენიებს, უბრალოდ, შიკრიკს არქმევს, განსხვავებით სხვა შიკრიკისაგან, რომელსაც უწოდებს **მეორე შიკრიკს**. ამ პერსონაჟთა სახელდება იფარგლება და არ სცილდება ოდენ რიგობითობის აღმნიშვნელ სიტყვებს. პერსონაჟების სამისამართო ფუნქციას აქ მხოლოდ ნუმერაცია ასრულებს, რაც სხვა არაფერია, თუ არა სახელრქმევის სახეობა – კვაზიონიმი.

ზოგჯერ რიგობითი რიცხვითი სახელი კვაზიონიმის სტატუსით განმარტოებულ მსაზღვრელად გვხვდება. გ. წერეთლის „რუხ მგელში“ პერსონაჟებს ვეცნობით შემდეგი თანამიმდევრობით: „თქვა **ერთმა**... განაცხადა **მეორემ**... გაიხსენა **მესამემ**... თქვა **მეხუთემ**“. აქ არ ჩანს პერსონაჟი, რიგით მეოთხე. ეს იმას ნიშნავს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი რიგითი სახელები მწერლის მიერ მიზანდასახულად და უდავოდ სახელდების ფუნქციითა ნახმარი და არა სპონტანურად.

ასე რომ, **პერსონაჟთა მოხსენიება რიგის მიხედვით მექანიკური აქტი არ არის, არამედ გეგმაზომიერია**. ისე როგორც თამარით მონათლულ ქალს მწერალი მარიამს ვერ უწოდებს, პერსონაჟთა რიგის მიხედვით მოხსენიებაც, როგორც დავინახეთ, სრულიად კანონზომიერად ხდება და არა ქაოსურად. სხვათა შორის, ძველ რომში მიღებული იყო რიცხვითი სახე-

ლით სახელდება. ოჯახში რამდენიმე ქალიშვილის სახელებად იყენებდნენ რიგობით სახელებს: პრიმა, სეკუნდა, ტერცია, კვარტა, კვინტა და ამ სიტყვების მოფერებით ფორმებსაც: ტერტულა, კვარტილა, კვინტალა...

12. ნაცვალსახელური კვაზიონიმები. ცალკე გამოვყოფთ კვაზიონიმებად პირის ნაცვალსახელების გამოყენების ვარიანტს. ნაცვალსახელის კვაზიონიმური ფუნქცია სპეციფიკურად იკვეთება ლიტერატურულ თხზულებებში. უპირველესად დავასახელებთ „ვეფხისტყაოსანს“, რომელიც იწყება ნაცვალსახელით **„რომელმან“**, რაც, ვფიქრობთ, უფლის კვაზიონიმია („**რომელმან** შექმნა სამყარო“). შდრ.: უფლისგან განცხადებული თავისი საკუთარი სახელი, მოსეს რომ აუწყა: „მე ვარ, რომელიც ვარ“ (ქართულ თარგმანში ეს კვაზიონიმია).

დავიმოწმებთ ერთ ნიშანდობლივ მაგალითს, როცა მწერალი მის მიერ პერსონაჟის აღსანიშნად გამოყენებულ **ნაცვალსახელს** თავად უწოდებს **საკუთარ სახელს**. კერძოდ, დ. კლდიაშვილი თხზულებაში – „ჩემი ცხოერების გზაზე“ იმოწმებს კალანდაძის მოთხრობიდან ავტორისეულ სიტყვებს: „ჩემი მოთხრობის გმირს სახელად ვარქმევ „ის“, რადგან, პეტრე რომ დამერქვა – ეს იქნებოდა ქართველი, პიოტრ რომ დამერქვა, იქნებოდა რუსი, პიერ – იქნებოდა ფრანგი, „ის“ კი საერთო იქნება“. ეს პერსონაჟი ასეა ფიქსირებული იმავე აბზაცში: „ბევრი იბორგა ის-მა თავის ხმელ ლოგინზედ... დილას კი მოკვდა“. ტიპური ნაცვალსახელური კვაზიონომია ჯემალ ქარჩხაძის პერსონაჟი, სახელად **იგი** („იგი“) : „იგიმ იცის, რა დარჩება მისგან“, „იგის სხეულში დიდი სისწრაფით შემოიჭრა რიცხვმრავალი ტომი“ აღნიშნულ ვითარებასთან დაკავშირებით კვლავ დავიმოწმებთ ვ. ნიკონოვის სიტყვებს: „Если имя персонажа важно и необходимо для создания художественного образа, то как быть с персонажами безымянными, которым имя заменяет местоимения Я, Ты, Он, Она“... და დასძენს: **„Но это и есть имена“** (ვ. ნიკონოვი, 1974, 236).

მწერალი რომ ნაცვალსახელს კვაზიონიმური ფუნქციით ტვირთავს, ჩანს შემდეგი ფაქტიდანაც: შ. არაგვისპირელის ერთ-ერთი მოთხრობის მთავარი პერსონაჟები არიან შეყვარებუ-

ლები – დათია და თიკო; ზოგჯერ თიკოს მიერ ნათქვამი ეს, მას (დათიას ნაცვლად) ონიმურ დატვირთვას იძენს. ზოგიერთი კონტექსტით თიკოს მიერ წარმოთქმულ ნაცვალსახელში იკვეთება ის დამატებითი ნიუანსი, რითაც იგრძნობა თიკოს დამოკიდებულება დათიასადმი. ყველა კონტექსტი რომ არ დაეიმოწმოთ, მოვიყვანთ მხოლოდ ერთ წინადადებას, სადაც დათიას ნაცვლად ის სამჯერაა გამეორებული და ისეთი ინტონაცია იგრძნობა, თითქოს თიკოსთვის ნაცვალსახელია უფრო ინტიმური, ვიდრე შეყვარებულის საკუთარი სახელი: „შუქმა უნდა ანიშნოს, რომ ისიც, ისიც, რომელმაც მის უმანკო გულში გრძნობა აღძრა... რომ ისიც მთვარის ამოსვლისას გადმოსტვენს". ნაცვალსახელის კვაზიონიმური დატვირთვა განსაკუთრებით ჩანს თხზულების იმ ადგილიდან, სადაც ავტორი თიკოს მიერ წარმოთქმულ ამ ნაცვალსახელს ბრჭყალებში ათავსებს. კერძოდ, უგონო მდგომარეობიდან გამოსული თიკო შუბლშეჭმუხვნით დაეკითხა მამას: „ის?!" და სასწრაფოდ წამოჯდა". ბრჭყალებში ჩასმულ ნაცვალსახელს აქ გარკვეული ფუნქცია აქვს. იგი თითქოს უფრო ღრმად გვახედებს პერსონაჟის სულიერ განცდაში. ნაცვალსახელი „ის" ხაზს უსვამს ამ კვაზიონიმით მოხსენიებული პიროვნების (დათიას) „საგულისხმო პირველობას", რასაც შეყვარებული გოგო ანთროპონიმით ასე ძალუმად თითქოს ვერ გვაგრძნობინებდა. დასასრულ, პერსონაჟის კვაზიონიმით მოხსენიება რომ არანაკლებ მნიშვნელოვანია თვით ავტორისთვისაც, კარგად ჩანს მოთხრობის სათაურიდანაც. სათაურად კი გამოტანილია ბრჭყალებში მოთავსებული ნაცვალსახელი „ის" – კვაზიონიმი და არა ანთროპონიმი – დათია (ანუ ის პირი, რომელსაც უწოდეს „ის").

ნაცვალსახელის კვაზიონიმური დატვირთვა ბრჭყალებით არის გამოკვეთილი ალექსანდრე მეფის ფრაზაში, ჯანდიერს რომ მიმართავს: „შენ „ის" მოინახულე, კვლავ წვრილად გაიგე" (ლ. გოთუა, გმირთა ეარამი"). ამავე თხულებაში ნაცვალსახელის პიროვნულობით დატვირთვაზე მიანიშნებს ასევე მისი ბრჭყალებში მოთავსება: „ტანმა უგრძნო, რომ „იგი" იყო". მ. ი. გორელიკოვა საგანგებოდ ეხება პერსონაჟის ნაცვალსახელით ნომინაციას. იგი წერს, რომ პირის ნაცვალსახელური აღნიშვნა

ჩვეული ხერხია ტოლსტოის „ანა კარენინაში“. ვრონსკისა და კარენინის ფიქრებში „ის“ („Она“) – ეს მხოლოდ ანაა, ლევინისათვის კი „ის“ („она“) არის კიწი (გორელიკოვა, 1980, 18).

ნაცვალსახელურ კვაზიონიმებზე დაკვირვებისას გამოიკვეთა ერთი ტიპი პერსონაჟებისა, რომელთაც პირობითად **წარმოსახვითი პერსონაჟები** ვუწოდეთ. მწერალი თუ პერსონაჟი წარმოსახვით პირზე საუბრისას მათ იხსენიებენ განსაკუთრებული დატვირთვის მქონე ნაცვალსახელით. ნაცვალსახელის განსაკუთრებულობას ორთოგრაფიული დაწერილობაც ავლენს მისი ბრჭყალებში ჩასმით. წარმოსახვით პერსონაჟს ალბათ სახელს ვერც დაარქმევ, რადგან არაკონკრეტული, განზოგადებული სახის პერსონაჟს ანთროპონიმი ვერ მოერგება. წარმოვადგენთ რამდენიმე მაგალითს მხატვრული თხზულებებიდან.

შ. არაგვისპირელის მოთხრობაში („წერილის ნაგლეჯი“) მესამე პირის ნაცვალსახელის (ის) ხმარებისას ნათლად იგრძნობა ორი შრე: ერთი, როცა **ის**-ს ოდენ მესამე პირის ნაცვალსახელის დანიშნულება აქვს, მეორე შემთხვევაში მწერალი მას ბრჭყალებში სვამს. აქვე ანალოგიურად გამოიყოფა ორი შრე **მეორე პირის** ნაცვალსახელის ხმარების დროსაც: 1. **ოდენ ნაცვალსახელურია**: „როცა შენ გხედავ, შენზე ვფიქრობ, შენა ხარ ჩემი ყველაი“, ხოლო „როცა სხვას ვხედავ, ნებისმიერს, ოღონდ მშვენიერს, ის მიყვარს იმჟამად“; მეორე და მესამე პირის ნაცვალსახელთა ონიმური ფუნქცია იკვეთება, რასაც განაპირობებს შეყვარებული კაცის მომდევნო სიტყვები: „იმჟამად „ის“ „შენ“ არის და ახლა კი, როდესაც გესაუბრები, „შენ“ „ის“ ხარ“. პერსონაჟის მიერ ნაცვალსახელის ონიმური ინტიმით დატვირთვა მწერლის მიერ ბრჭყალებითაა დემონსტრირებული. III პირის (ასევე II პირის) ნაცვალსახელის ორფუნქციონობა იმითაც იგრძნობა, რომ მისი ორივე შრე ერთმანეთის გვერდით დამოწმებული და გამიჯნულია. ოდენნაცვალსახელური შრე – უბრჭყალებოდაა, მეორე, კვაზიონიმური – ბრჭყალებშია მოთავსებული. წარმოსახვითი პირის კვაზიონიმით მონათვლის მაგალითს ვაწყდებით ჭ. ლომთათიძის თხზულებაში „სახრჩობელის წინაშე“. აქ ვკითხულობთ: „დღეს მე გარკვევით გავარჩიე ჩემში ორი ადამიანი. ერთი შეყვარებულია მეორეზე

და ეალერსება, ეთამაშება. როცა, მაგალითად, მე დღეს ერთი საჟენის სიმაღლეზე გადავხტი, მე ნათლად ვგრძნობდი, რომ ის მეორე იქვე იდგა და მეუბნებოდა...“ „ისიც იცინოდა“. როგორც ვხედავთ, აქ ერთ კონკრეტულში (ადამიანში) ორი სახეა, ორი ადამიანია, მოცემული. ერთი თავად მთხრობელია, მეორე ზოგადია, წარმოსახვითი პირია, რომლის კვაზიონიმია „ის“. კვაზიონიმით წარმოდგენილი ამ ტიპის პერსონაჟია აგრეთვე აჩრდილი (ი. ჭავჭავაძე).

ნაცვალსახელის სახელდებითი ფუნქციით დატვირთვის ერთ-ერთ მიზეზად ვ. ნიკონოვი სწორედ მათ ინტიმურ ხასიათს თვლის, რადგან ზოგ შემთხვევაში სახე უკეთ იხსნება სწორედ ინტიმური სიტყვებით – მე, შენ (ნიკონოვი, 1974, 236).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნაცვალსახელის კვაზიონიმური ფუნქციით დატვირთვას ჯერ კიდევ ძველ ქართულში ჩაეყარა საფუძველი. ძველ ქართულ ძეგლებში პერსონაჟის კონკრეტიზაციის ფუნქციას ნაწევრებად წარმოდგენილი ნაცვალსახელები ასრულებდნენ. სახელდების კვაზიონიმური სისტემა კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ პერსონაჟთა რქმევა მწერლის მიერ გაღებული ღვაწლის მნიშვნელოვანი ეტაპია.

ამრიგად, ქართულ მხატვრულ თხზულებებზე დაკვირვება გვარწმუნებს, რომ უსახელო პერსონაჟი, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, არ არსებობს. მწერალი პერსონაჟს არქმევს საკუთარ სახელს, მეტსახელს ან კვაზიონიმს. **კვაზიონიმი შუალედური გზაა აპელატივიდან ონიმამდე**. ამაზე ისიც მიგვანიშნებს, რომ ბევრი მათგანი დროთა განმავლობაში ფორმირებულია ან მეტსახელად, ან საკუთრივ ანთროპონიმად (არმინდა, მეგონა, გინატრე, გულსუნდა, მევარკაცი), ან გვარად: მეჯინიბეთუხუცესი, ახალკაცი. აპელატივის კვაზიონიმობა და შემდგომი ონიმობა გლობალური თვისებაა სიტყვისა და არ ხასიათდება ეროვნული შეზღუდვებით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სახელდების ზემოთ წარმოდგენილი სახეობას, რომელიც ჩვენ ცალკე გამოვყავით ტერმინ კვაზიონიმით (გოდერძიშვილი, 1990), ქართულ ანთროპონიმულ სიერცეში ჯერ კიდევ მეტსახელად იხსენიებენ. არადა სულ სხვაგვარი სახეობა სახელდებისა, განსაკუთრებით 2-3-სიტყვიანები.

გ) კვაზიონიმთა გრაფემული ჯგუფი.

სტრუქტურული თვალსაზრისით, გამოიყო კვაზიონიმთა ორი ძირითადი ჯგუფი, რომლებიც წარმოდგენილია: I. ლექსიკური ერთეულებით – ცალკეული სიტყვებითა და გამოთქმებით, II. ინიციალებითა და მათემატიკური სიმბოლოებით – გრაფემებით.

I. კვაზიონიმი შედგენილობით ერთ-, ორ-, სამ- და შეიძლება მეტსიტყვიანიც იყოს. იგი ფუნქციით მეტსახელს უახლოვდება, ფორმით კი განსხვავდება მისგან. თუმცა ეს სხვაობა მცირდება ერთსიტყვიანობის შემთხვევაში. ამ დროს ზოგჯერ ჭირს მკაცრი სადემარკაციო ხაზის გაელება ამ ორ ოდენობას (კვაზიონიმსა და მეტსახელს) შორის. სახელდების ორსიტყვიანი ფორმულა კი, თუ ერთი მათგანი დენოტატის ანთროპონიმი არ არის, კვაზიონიმია, მით უმეტეს, სამ- და მეტსიტყვიანი. ზემოთ მოყვანილი მრავალრიცხოვანი მაგალითებიდან ჩანს, რომ კვაზიონიმები მორფოლოგიურად წარმოადგენენ აპელატივებს, ადიექტივებს, რიგობით რიცხვით სახელებს, ნაცვალსახელებსა და ზმნებს – ცალკე აღებულს ან მათს (მეტყველების ნაწილთა) შესიტყვებას, რომელთაც ზოგჯერ მოკლე წინადადების სახეც აქვთ, ჩვეულებრივ კი – მსაზღვრელ-საზღვრულისა. კვაზიონიმი, ისევე როგორც მეტსახელი, როგორც აღვნიშნეთ, დენოტატის შესახებ დამატებითი ინფორმაციის შემცველია, ოფიციალური ინფორმაცია კი, ანუ დენოტატის საკუთრივ ანთროპონიმი, ხშირად თხზულებაში გაუჩინარებულია ან პარალელურ რეჟიმშია წარმოდგენილი – როგორც გამოირკვა, ხშირ შემთხვევაში კვაზიონიმის დომინანტობით.

II. ხშირია სახელდების ისეთი სახეობაც, რომელიც დენოტატზე არავითარ სიტყვიერ ინფორმაციას არ იძლევა, ანუ ხდება დენოტატის (მხედველობაში გვყავს პერსონაჟი) აღნიშვნა ლექსიკური ერთეულის (ერთეულების) გარეშე. ამ ტიპის აღმნიშვნელები მხოლოდ აღმნიშვნელებად გვევლინებიან. ესენია – ინიციალები და მათემატიკური სიმბოლოები (ანუ გრაფემები). მიუხედავად იმისა, რომ ინიციალები და მათემატიკური სიმბოლოები არალექსიკური ერთეულებია, მათ იგივე ფუნქცია აკისრიათ, რაც ონიმებს, მაგრამ ისინი კვაზიონიმებში ქმნიან გრა-

ფემების ჯგუფს. სახელდების ამ ქვეჯგუფის გამოყენებას, ძირითადად, ორი მოტივაცია განსაზღვრავს – პერსონაჟის გასაიდუმლოება ან მწერლური სტილი.

მაგალითები ქართული მწერლობიდან: „კოხტა გორაზე სული დალია ჩემმა №“ (ლ. ქიაჩელი, „მკელელობა კოხტა გორაზე“); „X – ასე ეძახდნენ თამარის ქმარს“ (ალ. ყაზბეგი, „მოტყუებით ძალდატანება“). დ. კლდიაშვილის თხზულებაში („ჩემი ცხოვრების გზაზე“) ეკითხულობთ: „იასე გურიელი ხუთი მინუტით თუ იქნება დ.ე.-ზე უფრო ჭკუიანიო... როცა გამოელაპარაკები დ.ე.-ს, იქვე შეატყობთ და იტყვით, დურაქიაო“. კონტექსტით ირკვევა, მწერალი აქ საგანგებოდ ხმარობს ერთ-ერთი თავადის სახელის ნაცვლად ინიციალებს – კრიპტო ონიმების ფუნქციით. „თეთრ ღამეში“ მწერალი გვაცნობს პერსონაჟს კვაზიონიმის ლექსიკური მოდელით „მფრთხალი კურდღელი“ (თუმცა თავად მეტსახელს არქმევს) და ინიციალით „ვასოს ძვირფასი მეგობარი კ., მეტსახელად „მფრთხალი კურდღელი“ ლაჩარიაო“. ინიციალებსა და მათემატიკურ სიმბოლოებს მხოლოდ გასაიდუმლოებითი დანიშნულება რომ არ აქვთ და მათს ხმარებას ზოგჯერ მწერლური სტილი განსაზღვრავს, კარგად ჩანს ეგ. ნინოშვილის რომანში („ჯანყი გურიაში“). ორი საკმაოდ აქტიურად მოქმედი, ყოველმხრივ დახასიათებული პერსონაჟი ამგვარი სიმბოლოებით მოიხსენიება: თავადი NN და ქალბატონი NN. სხვათა შორის, ამ რომანში გვარების, როგორც ანთროპონიმული ერთეულის, პირველი ნაწილიც კი ამ სახითაა მოცემული. სიმონ N-ძე, ივანე X-ძე (აქვე ამ სახის ტოპონიმიც გვხვდება – სოფელი N).

კვაზიონიმთა გრაფემული ჯგუფის ხმარება ზოგჯერ პერსონაჟის ეპიზოდურობითაა განპირობებული. ინიციალებითა და სიმბოლოებით გამოხატული კვაზიონიმი არ გამოკვეთს პერსონაჟის ამა თუ იმ თვისებას, რაშიც მწერალი არც არის დაინტერესებული. ამ ტიპის კვაზიონიმებით მონათლული ეპიზოდური პერსონაჟებია: პოლონელი სტუდენტი ხ_სკი, ს_ი („გაიცნო მოხუცი ს...ი“, „სადილად უნდა წასულიყო ს-სთან“ (გ. წერეთელი, „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა“). ლ. არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილში“ ერთ ადგილას სამი ახალ-

გაზრდა ასეა დამოწმებული: **მ...**, **ზ...**, **თ...**, აქვეა **უ.** ექიმი, კნეინა ეფემია N, სალომე N და კნეინა ხორეშან N; დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხის“ ეპიზოდური პერსონაჟები არიან **დ. ბ.**, **ლ. დ.** („კნიაზ-ლიბერალს ვეძახით კნიაზ ლ.დ-სა“).

ამრიგად, როცა მწერალს სურს, გაამახვილოს ყურადღება პერსონაჟის პროფესიაზე, გარეგნობაზე, სოციალურ მდგომარეობაზე, გაამახვილოს ყურადღება მასზე, როგორც ვინმეს ახლობელზე და ა.შ., იშველიებს კვაზიონიმების პირველ ჯგუფს (ლექსიკურს), მეტსახელებსა და ეპითეტიან სახელებს, ხოლო ნიშნულებით, გრაფემებით მათი წარმოდგენისას აშკარად იკვეთება ავტორის საპირისპირო პოზიცია — ოდენ დააფიქსიროს პერსონაჟი.[1]

დ) კვაზიონიმთა სტრუქტურა. კვაზიონიმები, ძირითადად, ორსიტყვიანი ონიმებია, იშვიათად — სამსიტყვიანი და ერთსიტყვიანი. უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ კვაზიონიმს არა აქვს მაანთრპონიმებელი სუფიქსი, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს მათს ორ- და სამსიტყვიანობასაც და კვაზიონიმობასაც.

1. ორსიტყვიანი კვაზიონიმის სამი რიგი გამოიყოფა (**იხ. სქემა**):

ა) ორსიტყვიან კვაზიონიმთა პირველი კომპონენტი ატრიბუტული მსაზღვრელია: მოკლე ჭაბუკი, ნაგვიანევი ზაქი, საერიობო თხა, ხნიერი ბერწი, ლოთი ჩარჩი, თრითინა ბიჭი...

ბ) ორსიტყვიან კვაზიონიმთა პირველი კომპონენტი მართული მსაზღვრელია: რაჭველების გუდა, როკაპის მოზვერი, ხორხიანეთის გამგე, სოსოს დედა, ბურნუთის კოლოფი, ლაპარაკის მანქანა...

გ) ორსიტყვიანთა მცირე ნაწილი ზმნურკომპონენტიანი კვაზიონიმებია (შეიძლება ითქვას, ორსიტყვიანი სრული თუ უსრული წინადადება): ზღვა გასქდა, ოჯახს უნდა...

---

[1] თუმცა მოთხრობის („ჯანყი გურიაში“) ავტორი არ აკლებს დახასიათებას ორ პერსონაჟს, მაგრამ მაინც ცოლ-ქმარს არქმევს NN-ს.


2. სამსიტყვიანი კვაზიონიმები ცოტაა და სხვადასხვა შემადგენლობის: „მაამ-პო-ჰო“, „მეტი რა გინდა“, „ჩემთვის სულ ერთია“, „ქში, უცხო მამალო“, „მე ვარ კაცი“, „მათი ბრწყინვალება დაზგა“. სამსიტყვიან შესიტყვებათა კვაზიონიმობის დამადასტურებელი მაგალითებიც დამოწმებულია ქართველ მწერალთა თხზულებებიდან.

მიუხედავად მათი სამსიტყვიანობისა (ან ორსიტყვიანობისა), მიუხედავად იმისა, რომ ამ ტიპის კვაზიონიმები სტრუქტურულად შორს დგანან ონიმებისაგან და უფრო პროზაული ელფერი დაჰკრავთ, პირის სახელებად მათი ხმარების მობილურობა კარგად ჩანს თხზულებებიდან. დავიმოწმებთ სათანადო ადგილებს: „მათი ბრწყინვალება დაზგა დაბრძანდა დუქნის წინ“, „მათი ბრწყინვალება დაზგა ყველის ვაჭარივით გაიკრიჭა“ (გ. წერეთელი, „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა“); „რუსეთუმეს მომხრეები აბრალებდნენ „მე ვარ კაცს“... „მე ვარ კაციც კარგი განათლებულია და რუსეთუმეცო“, „თქვა „მე ვარ კაცის“ ბიძაშვილმა“, „მე ისეთი პატივისცემა მაქვს მე ვარ კაცისა“ (გ. წერეთელი, „გულქანი“). ეს სამსიტყვიანი შეთანხმება რომ სახელდების სახეობაა, ადასტურებს ი. გრიშაშვილის კომენტარი აკაკის ერთ პოემასთან („მედეა ელადაში“) დაკავშირებით. აქ ვკითხულობთ: „ჯერ კიდევ დღესაც ბევრს შეეხვედებით ჩვენში, რომ „კაცია“, ანუ „მე ვარ კაცი“, ან „ქალია“, ანუ „მე ვარ ქალი“ ერქვას“ (ი. გრიშაშვილი, რედაქტორის შენიშვნები, აკ. წერეთელი, თხზ. ტ. VI, თბ., 1956, გვ. 404). ასეთი ტიპის შესიტყვებები დროთა განმავლობაში საკუთრივ ონიმებადაც იქცევიან, რასაც ადასტურებს წერისას მათი კომპოზიტური ერთფუძიანობა: მევარკაცი, მზევინარი, გულსუნდა, ღვთისაყვარი, არველოდი და სხვ.

3. კვაზიონიმთა რიგში ცალკე გამოვყოფთ იშვიათ, შეიძლება ითქვას, ზეპროზაულ, მაგრამ მხატვრულ ლიტერატურაში რეალურად დადასტურებულ ფრაზებს სამისამართო ფუნქციით: კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარს; კაცი, რომელიც იცინის და სხვ.

საინტერესოა კ. ზაიცევას იდეა, რაც დღესაც ძალაში რჩება. იგი წარმოგვიდგენს პერსონაჟთა ანთროპონიმული ლექსიკონის აგების საკუთარ პრინციპს და წერს, რომ მასში პერსონაჟის საკუ-

თარი სახელის ყველა ვარიანტი უნდა მოთავსდეს, მათ შორის, ნაცვალსახელიც და საზოგადო სახელიც, რომლებიც ტექსტში ანთროპონიმების შემცველად იქცნენ ან იმიტომ, რომ ავტორმა არ დაარქვა პერსონაჟს სახელი, ან იმიტომ, რომ ავტორმა მისცა მას კონტექსტური მხატვრული მეტსახელი (ზაიცევა, 1976, 80).



§4. მეორე სახელი – ფსევდონიმი

ა) ზოგადი მიმოხილვა. მეორე სახელთა რიგში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს ფსევდონიმს. ფსევდონიმის, როგორც ენის ლექსიკური ერთეულის, შესწავლა ონომასტიკის მნიშვნელოვანი საკითხია. ეს კომპოზიტი-ტერმინი სიტყვასიტყვით მიანიშნებს, რომ მისით ნაგულისხები სახელდება უნდა აკმაყოფილებდეს ორ ასპექტს: 1. იყოს ონიმი და 2. ეს ონიმი უნდა იყოს ფსევდო, ცრუ. ზოგ დეფინიციაში ცრუს სინონიმად მიჩნეულია გამოგონილი სახელი: „ფსევდონიმი არის გამოგონილი სახელი... ფსევდონიმი ნიშნავს მოგონილი სახელის მქონეს, ცრუსახელიანს“ (გ. მიქაძე, ფსევდონიმების ლექსიკონი, 1984, 5). ამ დეფინიციაში დამოწმებული სიტყვები მოგონილი და ცრუ – ორივე სწორად ხსნის ფსევდონიმის არსს, მაგრამ გასაცნობიერებელია ის, რომ სიტყვა **გამოგონილი** არ არის **ცრუ**-ს აბსოლუტური სინონიმი. ეს ორი სიტყვა სინონიმად არ უნდა გამოვაცხადოთ. სახელი შეიძლება იძლეოდეს ცრუ ინფორმაციასაც და არაცრუსაც. თუ გამოგონილი სახელი ცრუა (პაატა < მიხეილ ნასიძე), ბუნებრივია, იგი ფსევდონიმია. მაგრამ გამოგონილი სახელი, როგორც აღვნიშნეთ, ყოველთვის არ არის ცრუ. ვთქვათ, ეპითეტიან სახელში ეპითეტით წარმოჩენილია პირის რომელიმე რეალური მონაცემი, რაც ხშირ შემთხვევაში ერთვის დენოტატის ნამდვილ სახელს. ასეთი სახელდება მხოლოდ გამოგონილია, შეთხზული ეპითეტური ნაწილით და არა ცრუ. მაგალითად, **იონა თლუღელი** (იონა ბელიაშვილი, წარმოშობით სოფელ თლუღიდან), **დუტუ მეგრელი** (დიმიტრი (დუტუ) ხოშტარია). მიუხედავად იმისა, რომ ამ ეპითეტიან სახელებში არც ერთი არ არის ფსევდო, ისინი ფსევდონიმებია (შეთხზული ეპითეტით).

თუ მხოლოდ ცრუ სახელს, ცრუ გვარს, ცრუ სიტყვას (ვთქვათ, ეპითეტს) მივიჩნევთ ფსევდონიმად, მთელი რიგი სახელებისა ამ კლასის გარეთ დარჩება. ასე რომ, ტერმინ **ფსევდონიმში** შემავალი კომპონენტ **ფსევდოს** არსი უფრო ფართოა, იგი არ გულისხმობს მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტულ ცრუ სახელს, ცრუ სახელ-გვარს, არამედ მიუთითებს, რომ **სახელდე-**

ბის ესა თუ ის ტიპი არ შეესატყვისება ოფიციალურ საპასპორტო ფორმულირებას. მიუხედავად მისი ცალკეული ნაწილების არაცრუ ინფორმაციისა (იონა თლუღელი), ცრუ არის თავად ერთიანი ანთროპონიმული ფორმულა, რადგან იგი არ არის ადამიანის **პიროვნობის დამადასტურებელი ოფიციალური საბუთი**. თუმცა ფსევდონიმთა ლექსიკონში ბევრი

ისეთი არაცრუ სახელი და არაცრუ ფორმულირებაა მიჩნეულია ფსევდონიმად, რაც აჯარბებს ამ მოვლენის საზღვრებს.

ფსევდონიმის განმარტებას უნდა დაემატოს კიდევ ერთი აუცილებელი დეტალი, რაც უნდა გამოიკვეთოს აღნიშნული ტერმინის დეფინიციისას – ესაა **თვითწოდება**. თვით ეს ორი კომპონენტი – ფსევდო და ონიმი – კომპოზიტ **ტერმინს** რომ ქმნის, არ შეიცავს მითითებას იმაზე, რომ ფსევდონიმი მხოლოდ ის სახელია, რომელსაც ირქმევენ და არავითარ შემთხვევაში ის სახელი, რომელსაც არქმევენ. მიუხედავად ამისა, ფსევდონიმებად მიეიჩნევთ მხოლოდ იმ სახელებს, რომელსაც ირქმევენ, ე.ი., როცა დენოტატი ერთდროულად სახელმდებელიცაა და სახელდებულიც. აზრი, რომ ფსევდონიმი ის სახელია, რომელსაც ირქმევს პიროვნება, მინიშნებულია პ. ცხადაიას, გ. მიქაძის, რ. შამელაშვილის დეფინიციებში; არ არის პოდოლსკაიას (1978), ლეხინას (1949), ჭაბაშვილის (1989) დეფინიციებში. როგორც ჩანს, საჭიროა ამ დეტალის უფრო მკვეთრად გამოყოფა. მისი კიდევ უფრო მეტად გამოკვეთის აუცილებლობას იწვევს ის, რომ ფსევდონიმად არ იქნეს მიჩნეული შემდეგი სახის ფორმულირება: ნესტორ არქიმანდრიტი, თეკლა ბატონიშვილი, გიორგი რუსი, აშოტ კუხი, ადარნასე კლარჯი... (იხ. ფსევდონიმთა ლექსიკონი), რომლებიც თვითწოდებით არაა მიღებული.

ბ. ფსევდონიმისა და კრიპტონიმის ტერმინოლოგიური სხვაობისათვის

მოტივაციის თვალსაზრისით, ფსევდონიმისგან უნდა გავმიჯნოთ კრიპტონიმები. წარმოვადგენთ ტერმინ ფსევდონიმის რამდენიმე დეფინიციას:

„ფსევდონიმი არის ანთროპონიმის სახეობა, მოგონილი სახელი, რომელიც არსებობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ადამიანის ნამდვილ სახელთან ერთად ან მის ნაცვლად“ (პოდოლსკაია, 1978). ანალოგიურია შემდეგი განმარტებებიც: „ფსევდონიმი ანთროპონიმის სახეობაა, მოგონილი სახელი, რომელსაც ატარებენ ნამდვილი გვარსახელის ნაცვლად ან მასთან ერთად. ფსევდონიმი განსაკუთრებით გავრცელებულია მწერლობაში, ჟურნალისტიკაში“ (ცხადაია, 1988). „ფსევდონიმი არის გამოგონილი სახელი ან პირობითი ნიშანი, რომელსაც ავტორი აწერს თავის ნაწარმოებს, – წერს გ. მიქაძე და დასძენს, რომ „ყველა დროში ფსევდონიმის გაჩენის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო, ავტორს თავიდან აეცილებინა დევნა“, ამიტომ უწოდებს მკვლევარი ფსევდონიმებს „სახელის დამალვის ფორმებს“ (მიქაძე, 1998, 5).

ბოლო განმარტებით, ფსევდონიმის გაჩენის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი საკუთარი პიროვნების გასაიდუმლოებაა. პირველი და მეორე დეფინიციის მიხედვით, ფრაზები – „ნამდვილ სახელთან ერთად“, „მასთან ერთად“ – მიანიშნებს იმ ფაქტზე, რომ ფსევდონიმის დანიშნულება არ არის მხოლოდ პიროვნების შენიღბვა. ამის დასტურად დავიმოწმებთ: ს. გუსევ-ორენბურგელი (< სერგეი გუსევი), მამინ-სიბირიაკი (დიმიტრი მამინი). ფსევდონიმი რომ ყოველთვის ავტორის გაუჩინარების საშუალება არ არის, ჩანს გრიშაშვილის ერთ-ერთი ფსევდონიმიდანაც – ესაა ტიმოთეს ლელეი, მისივე ნაწარმოების სახელწოდება. ზოგჯერ მოგონილი გვარის პარალელურად იწერება ნამდვილი გვარი: Новиков-Прибой, Салтыков-Щедрин... და მაინც, საყოველთაოდ აღიარებული აზრის თანახმად, ფსევდონიმის, ფსევდო სახელის გაჩენის მოტივაციად ხშირ შემთხვევაში საკუთარი პიროვნების შენიღბვას მიიჩნევენ. ერთ-ერთ წერილში სოფრომ მგალობლიშვილი წერს: „ვინაიდან მდევნიდნენ, ეწერდი სხვადასხვა ფსევდონიმით“. პოეტი ვარლამ რუხაძეც იგონებს: „რეაქციის გააფთრების გამო იძულებული ვიყავი, ფსევდონიმს ამოვფარებოდი – ჩახრუხაძე, ხუმარა“ (რუხაძე, 1931, 19). ჩახრუხაძე, ხუმარა უდავოდ ფსევდო, ანუ ცრუ სახელებია, რომელთა დარქმევის მიზეზი ამ კონკრეტულ შემთხვევაში მარ-

თლაც საკუთარი ვინაობის შენიღბვა იყო. მაგრამ, ვფიქრობთ, **ესა თუ ის შერქმეული სახელი მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ კი არ არის ფსევდონიმი, რომ ავტორი მალავს საკუთარ პიროვნებას, არამედ იმიტომ, რომ ესენი ცრუ, მოგონილი სახელებია ან სახელდების არასაპასპორტო ფორმებია, ანუ ფსევდომოდელები.**

ვფიქრობთ, შესატყვისი ტერმინი უნდა დაემკვიდროს თვითწოდებას, რომლის მოტივაცია ორივე მომენტს მოიაზრებს: პირველი ის, რომ იგი ცრუ სახელია, მეორე, რომ ახალი ონიმით იმალება რეფერენტის ნამდვილი ონიმი – ასეთი ხელშესახები ტერმინი არის **კრიპტონიმი.** kryptos ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს საიდუმლოს, ფარულს. ნ. პოდოლსკაიას განმარტებით, კრიპტონიმია ის სახელი, რომელიც გასაიდუმლოებულია. აღნიშნული საკითხის ჩვენეული ახსნა ასეთი იქნება: საიდუმლოა არა მარტო ის სახელი, რომელიც მართლა გასაიდუმლოებულია (შეიძლება ითქვას, ტაბუირებულია), არამედ იდუმალებითაა მოცული ის სახელიც, რომელსაც ირქმევს ავტორი, რადგან ეს მოგონილი, იდუმალი სახელი არ არის დენოტატის რეალური მისამართი. შერქმეული, ცრუ სახელიც რომ დენოტატის საიდუმლო სახელის ფუნქციითაა დატვირთული, ჩანს ერთ-ერთი ცნობილი პედაგოგისა და პუბლიცისტის (ნაცვლიშვილის) გამოუქვეყნებელი ავტობიოგრაფიიდან, სადაც წერია, რომ ფსევდონიმს, ლადო ბზვანელს, იგი უფრო ხშირად იყენებდა, „დანარჩენი რვა ფსევდონიმი იყო ჩემთვის საიდუმლოებით მოცულიო“. აქ ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ თვით შერქმეული თვითწოდება-სახელიც საიდუმლოებითაა მოცული. რ. შამელაშვილი კრიპტონიმს განმარტავს როგორც ფსევდონიმის ნაირსახეობას, რომელიც წარმოადგენს ავტორის ინიციალებს ან გვარ-სახელის შემოკლება-დაქარაგმებას (შამელაშვილი, 1975). თუ რამდენად უნდა დაერქვას ონიმები (კრიპტონიმები) დენოტატის ინიციალებს, გვარ-სახელის შემოკლება-დაქარაგმებას ან სხვა რაიმე პირობით ნიშნებს, ამაზე შემდეგ შევჩერდებით. ამ განმარტებაში ჩვენთვის საინტერესო და მისაღებია მხოლოდ ის, რომ „კრიპტოს“ შემცველი ტერმინით (კრიპტონიმით) აღნიშნავენ იმ სახელს, რომლითაც დენოტატი საიდუმლოდება.

თუ გავითვალისწინებთ „კრიპტო“ ლექსემის მნიშვნელობას და შეეადარებთ მას „ფსევდოს“ სემანტიკურ დატვირთვას, ნათელი გახდება, რომ „ფსევდონიმთან“ შედარებით უფრო „კრიპტონიმითაა“ ნაგულვები საკუთარი პიროვნების შენიღბვის მომენტი. გამოგონილ, ცრუ სახელთა შორის კრიპტონიმია სწორედ ის, რომლის დანიშნულებაა საკუთარი პიროვნების შენიღბვის მცდელობა.

ამგვარად, კრიპტონიმი არის ფსევდონიმის ერთ-ერთი სახეობა, რომელიც მისგან გამოიყოფა თავისი კერძოობითი მიზანდასახულობით – ესაა გასაიდუმლოების ფაქტორი, რაზედაც, როგორც აღვნიშნეთ, მიგვანიშნებს თვით ტერმინის სემანტიკა. საკუთრივ ფსევდონიმი შეესაბამება იმ გამოგონილ სახელებს, რომელთა დარქმევა გამოწვეულია არა ვინაობის გასაიდუმლოების მიზნით, არამედ ნათლობის სახელის ან გენეტიკურად მიღებული გვარის დაწუნებით მათი არადადებითი სემანტიკის თუ არაკეთილხმოვანების გამო ან საკუთარი სახელისა თუ გვარის უფრო ლამაზი ჟღერადობით წარმოჩენის მიზნით და სხვ. სწორედ ამ ტიპის მოგონილი (//მოგონილიც და ცრუ) სახელი უნდა აღინიშნოს ტერმინით **ფსევდონიმი**. ის შეთხზული სახელი, რომელსაც საფუძვლად უდევს პიროვნების შენიღბვა, არის ფსევდონიმის სახეობა **კრიპტონიმი**. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, დასავიწროებელია ტერმინ „ფსევდონიმის“ არსი, პარალელურად, გამოსაკვეთია კრიპტონიმის ადგილი მეორე სახელთა რიგში. „მეორე სახელთა“ კლასიფიკაციისას ფსევდონიმსა და კრიპტონიმს თავ-თავისი ადგილი უნდა მივუჩინოთ და დეფინიციისას გაიხაზოს მათი არასინონიმობა, რადგან ამ ორი ტიპის ტერმინს განასხვავებს თავ-თავისი მოტივაცია. არ უნდა მოხდეს მათი აღრევა. არ არის ზუსტი შემდეგ წინადადებაში დაფიქსირებული აზრი: „ფსევდონიმი, ანუ სახელის დამალვის ფორმები“ (მიქაძე, 1998, 22). სახელის დამალვის ფორმად კრიპტონიმიც რომ არ ვაღიაროთ, ფსევდონიმი არ მოიცავს მხოლოდ და მხოლოდ სახელის დამალვის ფორმებს. **კრიპტონიმი მიეკუთვნება ფსევდონიმთა კლასს, მაგრამ ყველა ფსევდონიმი არ არის კრიპტონიმი**. გასაიდუმლოებული სახელების, ანუ კრიპტონიმების ერთ-ერთი უბანია პოლიტიკური ბრძოლები. რევაზ ჯაფარიძის „ენების კვი-

რაში" ვკითხულობთ ბატალიონის მიმართ წარდგენილ მოთხოვნას, რომ „ქართველი თანამდებობის პირები სიაში მხოლოდ ფსევდონიმებით (უფრო ზუსტად

– კრიპტონიმებით, ქ. გ.) მოეხსენებინათ". კრიპტონიმებად (თხზულების მიხედვით – ფსევდონიმებად, ქ. გ.) დასახელებულია: კახელი (შალვა ლოლაძე) – ბატალიონის მეთაური, სერგუდი (სერგო გუჯაბიძე) – კომისარი, არევი (არტემიძე ევგენი) – ორგანიზაციის პარტიული ხელმძღვანელი, შტაბის წევრები: ნოშა (ნოზაძე შალვა), ჯანიმი (იაკიმე ჯანჯღავა), სარდე (სარჯველაძე დავით).

კრიპტონიმები თითქმის ისტორიის კუთვნილებად იქცა. მას არ იყენებენ თუნდაც ცნობილი ადამიანების გაკილვით გაჟღენთილი სტატიების ავტორებიც, მწვავე ოპოზიციური განწყობის გამოხატვისას კრიპტონიმებს ალარ ეფარებიან, რაც უდავოდ დემოკრატიული ამინდის შექმნის შედეგია.

6. ფსევდონიმთა ფსევდონიმობის დაზუსტებისათვის

ქართულ სინამდვილეში ფსევდონიმთა ლექსიკონის პირველი სერიოზული ცდა ეკუთვნის გივი მიქაძეს. მის მიერ ფსევდონიმთა კვლევა, სხვადასხვა სახის ხელმოწერათა და მათი ავტორების ვინაობის დადგენა-წარმოჩენა, ფსევდონიმთა გაჩენის როგორც ზოგადი, ისე კონკრეტული მიზეზების ძიება დიდ შრომატევადობასა და მეცნიერულ ალღოს მოითხოვდა. „ფსევდონიმთა ლექსიკონი" უხვ მასალას იძლევა ანთროპონიმიკული ძიებისათვის. აქ დასტურდება მრავალფეროვანი ფორმები, რაც წარმოაჩენს სახელდების მდიდარ და მრავალფეროვან სურათს. მაგრამ ფსევდონიმებად ვერ მივიჩნევთ გარკვეული სახის ხელმოწერებს, რაც წარმოდგენილია ამ ლექსიკონში. მიზეზი შემდეგია: ფორმისა და სტრუქტურის გათვალისწინებით, ფსევდონიმებად ვთვლით მეტყველების ნაწილთა ერთ რიგს – სუბსტანტივებს, გასუბსტანტივებულ სიტყვებს; გარკვეული სახის სინტაგმურ ერთეულს, რომლითაც აღინიშნება დენოტატი. აქედან გამომდინარე, **ფსევდონიმად ვერ მივიჩნევთ ხელმოწერათა რამდენიმე წყებას: 1.** პირობით ნიშნებს; **2.** დენოტატის მიერ ხელმოწერისთვის

გამოყენებულ ოდენ ნამდვილ გვარებს (სახელისა და ინიციალების გარეშე); 3. სასულიერო ფენის ეპითეტიან სახელებს; 4. მეფეთა, ბატონიშვილთა და სხვა დიდგვაროვანთა სახელებს, ცალკე თუ ეპითეტებით წარმოდგენილს.

მოკლედ შევეხებით ფსევდონიმებად მიჩნეული ხელმოწერების არაფსევდონიმობას:

1. ფსევდონიმი ნამდვილად არის „გამოგონილი სახელი", მაგრამ, ვფიქრობთ, იგი არ არის პირობითი ნიშანი შემდეგი მოტივაციით. პირობითი ნიშანი არ არის ლექსიკური ერთეული, მით უმეტეს, ონიმი. პირობითი ნიშანი – ესაა ხელმოწერის არაონიმური სახეობა, რომელსაც ქვემოთ საგანგებოდ შევეხებით: ამ ტიპისაა: **?!?** (ივანე მაჭავარიანი), **§** (სპ. ლეკვიაშვილი), **z** (ალ. ყიფშიძე), **ϑ** (ილია ჭყონია)...

2. ფსევდონიმი არ არის დენოტატის ხელმოწერა მხოლოდ თავისი საკუთარი გვარით სახელისა და ინიციალის გარეშე შემდეგი მოტივაციით: ა) დენოტატი არ იგონებს, არ ცრუობს; ბ) გვარი ადამიანის პიროვნობის დამადასტურებელი ანთროპონიმული ფორმულის დომინანტური კომპონენტია. მხოლოდ გვარით ხელმოწერის მაგალითები პრაქტიკაში დადასტურებული ფაქტია. ამ ტიპის ხელმოწერები კი ფსევდონიმებადაა ჩათვლილი ლექსიკონში: **ბადრიძე** (გიორგი ბადრიძე), **ზურაბიშვილი** (ივანე ზურაბიშვილი), **ჩომახიძე** (ლუკა ჩომახიძე)... უფრო მეტიც, ფსევდონიმებადაა მიჩნეული ნამდვილი გვარი მსაზღვრელით, როდესაც მსაზღვრელს არანაკლები სამისამართო ფუნქცია აქვს, ვიდრე საკუთრივ ანთროპონიმს და არ არის მხატერული განსაზღვრება, არც რაიმე სახის პოეტურობას მატებს გვარს. ამ ტიპისაა: **ექიმი ბადრიძე** (გიორგი ბადრიძე), იმერელი მღვდელი ჩომახიძე (ლუკა ჩომახიძე).

3. „ფსევდონიმთა ლექსიკონში" შეტანილია ისეთი ანთროპონიმული მოდელი, როგორიცაა:

ა) სასულიერო ფენაში: **ალექსანდრე ეპისკოპოსი** (ალექსანდრე ოქროპირიძე), **ალექსი ბერი/ალექსი მღვდელმონაზონი** (ალექსი შუშანია), **ამბროსი არქიმანდრიტი** (ამბროსი ხელაია), **ონოფრე მწირი** ·(ონოფრე შუშანია), **კალისტრატე მღვდელ-მონა-**

ზონი (კალისტრატე ჩიჩუა), **იაკობ შემოქმედი** (იაკობ დუმბაძე), **პავლე, საქართველოს ეგზარქოსი** (პავლე ლებედევი), **ტიმოთე, ქართლის მთავარეპისკოპოსი**

(**ტიმოთე** გაბაშვილი). ზემოთ გამოყოფილი პირობების გათვალისწინებით, ფსევდონიმად არ ჩაითვლება არც ის ანთროპონიმული მიდგელები, **რომელთა ონიმური ნაწილი შეცვლილია დენოტატის საზოგადოებრივი მდგომარეობის შეცვლით** და რაც გამოწვეულია არა დენოტატის სურვილით, არამედ იმ კანონზომიერებით, რომელიც, სხვა რეალიებთან ერთად, წარმართავს ანთროპონიმიკონსაც (**კირიონ ეპისკოპოსი/კირიონ არქიმანდრიტი** (**გიორგი** საძაგლიშვილი), **ანტონ I/ანტონ I** კათალიკოსი (**თეიმურაზ** ბაგრატიონი), **გაბრიელ, იმერეთის ეპისკოპოსი** (**გერასიმე** ქიქოძე). მართალია, ამ მოღვაწეთა საერო სახელები სხვა იყო, მაგრამ არც **ანტონი** და არც **კირიონი** არის ფსევდო (ცრუ და გამოგონილი) სახელები. ესენი ის მეორე, მართალია, არანათლობის, მაგრამ ნამდვილი ოფიციალური სახელებია, რომლებსაც ისინი იღებენ საერო სივრციდან სასულიეროში გადასვლის, სარწმუნოების შეცვლის თუ სხვა ოფიციალური მიზეზების გამო. პირობითად შეიძლება ითქვას, რომ სახელდების ეს კონკრეტული ფაქტები ადამიანის მეორე ნათლობაა. მით უმეტეს, ხელახალი სახელდება ხდება არა თვითწოდებით, არამედ გარეშე პოზიციიდან;

ბ) საერო ფენაში: დავით სარდალი (**დავით** ორბელიანი), **დავით რექტორი** (**დავით** მესხიშვილი), **სოლომონ მსაჯული** (**სოლომონ** ლიონიძე);

გ) სამეფო დინასტიაში: არჩილ ვახტანგის ძე ბაგრატიონის ფსევდონიმად მიჩნეულია **არჩილი, არჩილ მეფე**. ამავე ტიპისაა: **იოანე ბატონიშვილი** (**იოანე** გიორგის ძე ბაგრატიონი), **თეკლა ბატონიშვილი** (**თეკლა** ერეკლეს ასული ბაგრატიონი-ორბელიანი), **ქეთევან ბატონიშვილი** (**ქეთევან** ბაგრატიონი), ვახუშტი ვახტანგის ძე ბაგრატიონის ფსევდონიმებად – **ვახუშტი, ვახუშტი ბატონიშვილი**. თუ ამ გზას გავყვებით, ფსევდონიმად უნდა გამოცხადდეს ყველა მეფის სახელი, ჩვენი კათალიკოს-პატრიარქის სახელი **ილია მეორეც**. ეს და ამ ტიპის ანთროპონიმული მოდე-

ლი არ არის თვითწოდებით მიღებული, არ არის სახელდების ფსევდონიმური მოდელი. ასევე არ უნდა იქნეს მიჩნეული ფსევდონიმად პოლიტიკური მოსაზრებით განპირობებული სარწმუნოებაშეცვლილი მეფეებისა და მთავრების მეორე სახელები, გამაჰმადიანებული პირების ახალი სახელები: დაუთხანი (დავით XI), შაჰნავაზი (ვახტანგ VI).

ამ სამ პუნქტში ფსევდონიმებად დამოწმებული მაგალითები, ჩვეულებრივ, წარმოადგენს ანთროპონიმულ მოდელს, 1) რომლის შემცველი ონიმი დენოტატის ნამდვილი საკუთარი სახელია, ან მეორე, მაგრამ ისიც ოფიციალური სახელია; 2) ეპითეტი კი მიანიშნებს დენოტატის სოციალური მდგომარეობის შეცვლას ან მემკვიდრეობით სოციალურ მდგომარეობას; 3) **რაც მთავარია,** ეს ანთროპონიმული ფორმულები არ არის მიღებული თვითწოდების შედეგად; 4) ამ ტიპის ანთროპონიმული მოდელი მისით სახელდებულ დენოტატთა ისეთივე ოფიციალური ანთროპონიმული ფორმულაა, როგორიც სხვებისთვის სახელი და გვარი. ასე რომ, ესენი ჩვეულებრივი ეპითეტიანი ონიმებია. დაუშვებელია, არჩილ მეფე, მით უმეტეს, არჩილი, შესაბამისად, თამარ მეფე, დავით აღმაშენებელი, ვახტანგ გორგასალი, ილია მართალი, მამა ბასილი, მამა სოკრატე ფსევდონიმებად ჩავთვალოთ. ამ არასწორი პოზიციის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია ფსევდონიმობის დამადასტურებელი მნიშვნელოვანი დეტალის – **თვითწოდების – გაუთვალისწინებ-** ლობაც.

4. ვფიქრობთ, არც ერთი ასპექტით არ უნდა ჩაითვალოს ფსევდონიმად ასეთი სახის თუნდაც ბეჭდური ხელმოწერები: **ნ. ლორთქ., ვ. ბურჯ.** ეს, **უბრალოდ, ხელმოწერათა ინდივიდუალური გრაფიკული სახეობაა, რასაც შეიძლება რაიმე სახელი მიე-სადაგოს და არა ფსევდონიმი.** გაკერით ხელის მოწერისას ხშირად გვარის ბოლო ნაწილი არც კი ჩანს, რაც ფსევდონიმობისაკენ ნამდვილად არ გვიბიძგებს.

5. ფსევდონიმად თელიან ისეთ სინტაგმასაც, რომლის ონიმური კომპონენტი დენოტატის ნამდვილი სახელია (ან ინიციალი), მეორე კომპონენტი კი ნამდვილი გვარი, აუსლაუტში ერთი თუ ორი ასოთი შემოკლებული ისე, რომ გვარის სემანტიკა არ იკარგება: ვ. დარასელი (< ვინიონ დარასელია). ეფიქრობ ვ. და-

რასელი არ უნდა ჩაითვალოს ფსევდონიმად. დენოტატმა, უბრალოდ, მოიწონა გვარის ასეთი ფორმა, ასე ეთქვათ, შეალამაზა იგი. თუკი დარასელი ფსევდონიმია, მაშინ ფსევდონიმად უნდა გამოცხადდეს სხვა ამ ტიპის პრეტენზიული მიდგომა საკუთარ გვართან. მაგალითად, ფსევდონიმად უნდა ჩაითვალოს რომელიმე თამაზიშვილი (<თამაზაშვილისაგან), თავზიშვილი (<თავზარაშვილი), სუხიშვილი (სუხიაშვილი) იევანიშვილი (< იევანაშვილი), ოქროშიძე (< ოყრეშიძე)... ესენი, უბრალოდ, შელამაზებული გვარებია. მაგრამ აქაც გასათვალისწინებელია ერთი დეტალი. თამაზაშვილიდან მიღებული თამაზიშვილის ტიპის გვარები შეიძლება ფსევდონიმად ჩაითვალოს, თუ იგი მემკვიდრეობით გვარად არ გარდაიქმნება, მაგრამ ამ ტიპის გადაკეთებული გვარები, ჩვეულებრივ, მემკვიდრეობით ფუნქციას იძენენ.

6. ამავე ტიპისაა აუსლაუტში ხმოვანმოკვეცილი ის გვარები, რომელთა სახელის ინიციალი ემთხვევა ნათლობის სახელის დასაწყის ასოს: ვ. გაბესკირი (ვიქტორ გაბესკირია), ე. დარასელი (ეინიონ დარასელია), შ. შენგელი (შალვა შენგელია).

7. ამავე რიგში ჩადგება ამა თუ იმ გარემოსთან ადაპტირებული გვარ-სახელები. მსახიობი პავლე გერასიმოვიჩი ოფიციალური დოკუმენტებით პოლოს კარაპეტოვიჩია (ლისიციანი). სახელისა და მამის სახელის შეცვლა, ავტორისავე თქმით, გამოწვეულია სომხური სახელის შეგუების ცდით რუსული ენის ლექსიკასთან. რუსული ენის სისტემაში მოქცევის მიზნით, ხშირად შესაბამისად იცვლიდნენ სახელებს რუსეთის არარუსი მცხოვრებნი. მაგალითად, ირქმევდნენ Михайл-ს ნაცვლად Мухудтин-ისა (თათრული) ან საშას (სოსო გოდერძიშვილი). Михайл და საშა ამ ვითარებაში, უბრალოდ, **მეორე სახელებია**, რომელთა გაჩენის მიზეზი არის შესაბამის გარემოში მათი ადვილად წარმოთქმა. ასე რომ, თვითწოდება განაპირობებს ფსევდონიმობას (შესაბამისად, კრიპტონიმობას), მაგრამ თვითწოდებით მიღებული სახელი ყოველთვის არ არის ფსევდონიმი.

8. ფსევდონიმადაა წარმოდგენილი ისეთი სინტაგმები, რომლებიც, მიუხედავად სახელდების თვითწოდებით მიღებისა, **ვერ გასწვდენ ფსევდონიმობას**, ამ სიტყვის ენათმეცნიერული გაგებით. ესაა ორსიტყვიანი სინტაგმები – მაგრამ არა ეპითეტიანი

ონიმები, არამედ მსაზღვრელ-საზღვრულის პოზიციაში მყოფი აპელატივები ან ადიექტივ-აპელატივები. მაგალითები: **სორტელი სტუმარი** (კირილე ჯავახია), **ჭოელი მოწაფე** (ბარნაბ ღოღობერიძე), **ნემსის წვერი** (მიხეილ ლელაშვილი), **გლეხთა მეგობარი** (ბარბარე ხერხეულიძე), **ძველი დასელი** (ფილიპე მახარაძე). ა. სუპერანსკაია ამ ტიპის მაგალითებად იმოწმებს: „Главный Теоретик", „Главный Конструктор", „Космонавт-Пять"... და მათ უწოდებს ფსევდომეტსახელებს. ასეთიეე სტატუსით წარმოადგენს ხელმოწერას – „Hans In Allen Gassen" და დასძენს: „ეს ფსევდონიმები შეიძლება ჩადგეს მეტსახელთა რიგშიო" (სუპერანსკაია, 1969, 40-41). ფრაზის ფსევდონიმებად მიჩნევის ქართული მაგალითებია: „ვერ მიცანი ნინიაო", „დავშთები შენი ძმა და მეგობარი ილიკო" (მიქაძე, 1984).

რა შეიძლება ითქვას ფსევდონიმებად თუ ფსევდო-მეტსახელებად წარმოდგენილ ამ ორ ტიპზე?

ამ საკითხს შეეხებით ქვემოთ (ფსევდო-მეტსახელთა/ფსევდო-კვაზიონიმთა ჯგუფები). აქ მხოლოდ ერთს აღვნიშნავთ: მიუხედავად ფრაზების შემადგენელი სიტყვების უცხო ენაში დიდი (მთავრული) ასოებით გამოსახვისა, ისინი ვერ შეიძენენ ონიმის სტატუსს, თუნდაც მეტსახელის სტატუსს. ეს ფრაზები, რომლებიც არ შეიცავენ ან შეიცავენ ანთროპონიმებს, ჩვეულებრივი თხრობითი წინადადებებია (ან უშემასმენლო წინადადებები), რომლებიც სცილდებიან სახელდების ყოველგვარ მოდელს და რომელშიც ჩართული ანთროპონიმი, უპირველესად, მხოლოდ ამ წინადადების წევრობის ან მიმართვის ფუნქციას ასრულებს და არა დენოტატის სახელდებისას. ამრიგად, ბოლო ორი ნიმუში არც სტრუქტურულად, მისი არც ერთი კომპონენტით არ არის ონიმი, მაგრამ არის ერთი კრიტერიუმი, რის მიხედვითაც ისინი ადამიანის მისამართად ითვლებიან – ესაა სახელდების ფუნქცია. სახელდების ფუნქციის გათვალისწინებით, ამ ტიპის ფრაზებს მათი არატიპური, არაუზუალური ხასიათის გამო ვუწოდეთ **ვითომ ონიმები**, ანუ **კვაზიონიმები**. კვაზიონიმი, როგორც ადამიანის მოხსენიების ერთ-ერთი საშუალება, დასტურდება ყოფით ცხოვრებაშიც, ეხვდებით მწერლობაშიც... **თვითწოდებისას გამოყენებულ კვაზიონიმებს კი ფსევდო-კვაზიონიმები უნდა ეწოდოს.**

ფსევდო-კვაზიონიმად გვხვდება ერთსიტყვიანი მოდელებიც. რაც შეეხება ფრაზებს, ფსევდო-კვაზიონიმებად მათს მიჩნევამდე უნდა დადგინდეს, გამოყენებულია თუ არა ისინი სახელდების ფუნქციით, მაგალითად, ფსევდონიმად მიჩნეული ასეთი ფრაზა – „ამ ხერხიანი კაცის უხერხული ძმა თონიკე“...

P.S. საინტერესო ფაქტია, რომ დღეს ფსევდონიმს ნაკლებად, თითქმის აღარ იყენებენ, ალბათ იმიტომ, რომ შეიცვალა მენტალიტეტი. ადამიანებს სურთ საკუთარი გვარ-სახელით დამკვიდრება, თუნდაც ეს გვარ-სახელი არაპოეტურად ჟღერდეს. თუმცა ამ უკანასკნელ ხანს გამონაკლისიც მოხდა: შესანიშნავი მუსიკოსის, ნიკა მემანიშვილის, ანთროპონიმული ფორმულა გახდა ნიკოლოზ რაჭველი. ეს დიდი ხელოვანი ოფიციალურ ქართულ სივრცეში დამკვიდრდა პირველადი სახელის შემოკლებული (აპოკოპირებული) ფორმით, რომელიც, თავის მხრივ, იქცა მის ოფიციალურ სახელად. (შდრ.: ვანო სარაჯიშვილი, ვასო გოძიაშვილი). აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ არ შეცდებით, თუ ვიტყვით, რომ მის სახელად ნიკოლოზი უფრო ფსევდონიმად უნდა მივიჩნიოთ, მით უფრო, რომ ამ სახელის წარმოჩენა განაპირობა თვითწოდებით მიღებულმა ფსევდონიმურმა მოდელმა.

დ. ფსევდონიმთა რამდენიმე ჯგუფის აღმნიშვნელ ტერმინთა დაკონკრეტებისათვის

შეეხებით ფსევდონიმთა იმ ჯგუფებს, რომლებიც უცხოელ მკვლევართა[1] სპეციალურ ლიტერატურაზე დაყრდნობითა და გათვალისწინებით წარმოგვიდგინა გივი მიქაძემ (მიქაძე, 1984). მეცნიერთა მიერ გამოყოფილია ფსევდონიმთა შემდეგი თხუთმეტი ჯგუფი: **საკუთრივ ფსევდონიმები, საზოგადო ფსევდონიმები, ტიტლონიმები, სახუმარო და სიმბოლური ფსევდონიმები, კრიპტონიმები, ასტრონიმები** (ან ასტერონიმები), **თარგმნილი ფსევდონიმები, ფსევდოანდრონიმები, ფსევდოგინიმები, ანაგრამა, პოლინიმები, კოლექტიური ფსევდონიმები, ფსევდოინიცია-**

[1] ი. შნაიდერი, ი. ფ. მასანოვი, ი. ი. მასანოვი, ე. გ. დმიტრიევი, გ. პ. სტარუშენკო, ა. ი. დეი, მ. კახუ.

ლები, ნათლობის სახელები (მიქაძე, 1984, 26-28). როგორც ეხედავთ, თითოეული ჯგუფი სახელდებულია, მაგრამ, ეფიქრობთ, ზოგიერთი სახელდება საჭიროებს დაკონკრეტებას და არა მხოლოდ სახელდება.

1. *საზოგადო ფსევდონიმები* – ამ ტერმინის განმარტება გ. მიქაძეს ორჯერ აქვს მოცემული.

განმარტება I: საზოგადო ფსევდონიმებით გამოყოფილია ის ჯგუფი სახელებისა, „რომლებიც მიუთითებენ ავტორის ეროვნებაზე, წარმომავლობაზე, სადაურობაზე და ა.შ." ასეთებად დასახელებულია: ნიკო მეგრი, აჭარელი ხასანაი, თბილისელი, „ვეჯინის სკოლის მასწავლებელი" (მიქაძე, 1984, 26). ეფიქრობთ, და**საზუსტებელია როგორც ტერმინი საზოგადო ფსევდონიმები, ისე მასში თავმოყრილი ხელმოწერები.** აქ დასახელებულ მაგალითებში იკვეთება პიროვნებათა მხოლოდ კუთხური წარმომავლობა (ცრუ თუ ნამდვილი). დეფინიციაში ნაგულისხმებია ეროვნული წარმომავლობაც. ტერმინი **საზოგადო** ამ ჯგუფს არ შეესატყვისება და არა მხოლოდ ამ ჯგუფს. საერთოდაც, ტერმინი **საზოგადო** იმდენად ფართო მნიშვნელობის სიტყვაა, მასში ბევრი რამ შეიძლება მოიაზრებოდეს. იმის გათვალისწინებით, რომ აქ საკმაო რაოდენობით გვხვდება ეროვნების, კუთხურობის, კონკრეტული სოფლიდან თუ ქალაქიდან წარმომავლობის აღმნიშვნელი ხელმოწერები, საჭიროა მათი გამიჯვნა და არა ერთ ჯგუფში თავმოყრა, ისიც არაშესაბამისი ტერმინით. უნდა გამოიყოს: 1. ეროვნულობის გამომხატველი ხელმოწერები, რომელთაც შეიძლება ეწოდოს – **ეთნოფსევდონიმები: გურჯი** (ილია აღლაძე), **ვრაცი** (მიხეილ წერეთელი); 2. კუთხურობის (თემის) გამომხატველი ხელმოწერები – **თემოფსევდონიმები: კოლხი** (აკაკი ფაღავა), **მეგრელი** (ნიკლოზ ბერიძე), **ქვემო ქართლელი** (ნიკოლოზ ცხვედაძე), **კახ-იმერელი** (ზაქარია სიდამონიძე), **რაჭველი** (ე. დვალი); 3. ერთი კონკრეტული პუნქტიდან წარმომავლობის მიმანიშნებელი ხელმოწერები – **ოიკონიმური ფსევდონიმები:** თბილისელი, არღუნელი (სტეფანე მხარგრძელი).

ტერმინ **საზოგადოს** (ფსევდონიმები) მრავალისმომცველობა იმითაც ვლინდება, რომ „საზოგადო ფსევდონიმები" სხვაგვარი კლასიფიკაციითაცაა წარმოდგენილი.

განმარტება II: „მათში (საზოგადო ფსევდონიმებში) ასახულია აეტორის საზოგადოებრივი მდგომარეობა ან მისი პროფესია. მათში ჩანს აგრეთვე თუ რამდენად ახლოს არის ის თემა, რომლის შესახებაც აეტორი წერს **და ა.შ.**“ (იქვე). მაგალითებად დასახელებულია: **მეთვალყურე** (ილიკო აბაშიძე), **მკითხველი** (ვასილ გოგოლაძე), **არქივისტი** (შალვა ჩხეტია), **ეკონომისტი** (სერგო ამაღლობელი), **სემინარელი** (რაფიელ ერისთავი). არქივისტი და მისი ტიპი ფსევდონიმთა სხვა ჯგუფშიცაა შესული, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს ტერმინ **„საზოგადოს“** არაკონკრეტულობაზე. ამრიგად, საზოგადო ფსევდონიმებად წარმოდგენილია ეროვნების, წარმომავლობის, სადაურობის, საზოგადოებრივი მოვალეობისა და პროფესიის აღმნიშნელი სიტყვები **და ა.შ.**“ (როგორც ორივე დეფინიციაშია აღნიშნული). ვფიქრობთ, საზოგადო იმდენად ფართო გაგების სიტყვაა, რასაც მოწმობს მითითება: **„და ა.შ.“**, რომ მასში შეიძლება ვიგულისხმოთ ნებისმიერი სხვა სემანტიკური დატვირთვის საზოგადო სახელებიც. ამას ისიც ადასტურებს, რომ **საზოგადო სახელები** განსხვავებული სემანტიკური დატვირთვის მაგალითებითაა წარმოდგენილი. ე.წ. „საზოგადო ფსევდონიმების“ პირველი დეფინიციიდან ჩვენ გამოვყავით ფსევდონიმთა სამი სემანტიკური ჯგუფი, ამასთან – გარკვეული ტერმინებით: ა. ეთნოფსევდონიმები; ბ. თემოფსევდონიმები; გ. ოიკონიმური ფსევდონიმები. **საზოგადო** მათთვის ფართო ტერმინია და არა მარტო მათთვის. პირველი განმარტებისგან განსხვავებით, თითქმის ერთი ტიპის ფსევდონიმებია წარმოდგენილი საზოგადო ფსევდონიმთა მეორე დეფინიციაში (განმარტება II) და ეს ერთი ტიპის ფსევდონიმები გაერთიანებულია დენოტატთა დასაქმების, საზოგადოებრივი მდგომარეობის ჩვენებით. ამიტომ მათ შეესაბამება ტერმინი **საზოგადოებრივი: საზოგადოებრივი მდგომარეობის ამსახველი ფსევდონიმები (და არა საზოგადო)**, რომელშიც შეეა: ეკონომისტი-არქივისტი ტიპის ფსევდო-კეაზიონიმები.

2. ***ტიტლონიმები*** – მეცნიერთა მიერ ცალკეა გამოყოფილი ზემოთ წარმოდგენილ კლასიფიკაციაში. რას ნიშნავს ტიტლონიმი? ამ კომპოზიტის პირველ კომპონენტს, ვფიქრობთ, საფუძვლად უდევს **ტიტული** (ლათ. titulus) და არა titlo. Titlo-ს ტერმინ

ონიმთან შერწყმა მექანიკური იქნებოდა და არასწორი. ო. ახმანოვას „ლინგვისტურ ტერმინთა ლექსიკონში“ აღნიშნულია, რომ ტიტლო (titlo) ინგლისური სიტყვაა და განმარტებულია ასე: «Надстрочный знак, указывающий на сокращенное написание слов» (ახმანოვა, 1966). **ტიტლო** რომ ტიტულიდან უნდა იყოს წარმოქმნილი, ჩანს იქიდან, რომ მასში გაერთიანებული ხელმოწერები მიუთითებენ „მანამდე დაბეჭდილი თხზულების ავტორზე“, ე. ი. მათი საზოგადოებრივი მოღვაწეობის ერთ ფრაგმენტზე, რომელთაც ერთგვარ ტიტულად იყენებენ („გუთნის“ შემდგენელი, „სიმახინჯის“ ავტორი, „სიტყვიერების თეორიის შემდგენელნი“). ცალკე უნდა გამოიყოს ამავე ჯგუფს მიკუთვნებული ხელმოწერები: ხელოსანი, მებაღე, არქივისტი... რაც თანამდებობის, პროფესიის... მიმანიშნებელია და მიუთითებს ხელმომწერთა საზოგადოებრივ სტატუსზე. ამდენად, ისინი საზოგადოებრივი ფსევდონიმებია და არა ტიტლონიმები.

3. ერთი ჯგუფი ფსევდონიმებისა გამოყოფილია ტერმინით – **პოლინიმი**. ესაა „ისეთი ხელმოწერა, რომელსაც აქვს რომელიმე დაწესებულების, ორგანიზაციის, საზოგადოების სახელწოდების ფორმა, სინამდვილეში კი აღნიშნავს ერთ პიროვნებას (მიქაძე, 1984, 27). მაგალითებად დასახელებულია: გაზ. **„მუშის ბრიგადა“** (გრიგოლ იარალოვი), **„ქალთა წრე“** (ნინო ყიფიანი). ტერმინ **პოლინიმის** სწორი ფორმა, ვფიქრობთ, უნდა იყოს **პოლინომი (поли+гр. nomos – многочлен)**, თუკი აქ (გადმოტანით) იგულისხმება ის განსაზღვრება, რომელიც მოცემულია უცხო სიტყვათა ლექსიკონებში (ლეხინა, 1949; ჭაბაშვილი, 1989): „ალგებრული გამოსახულება, შემდგარი რამდენიმე ერთწევრისაგან..., მრავალწევრი“ (ე.ი. ონომასტიკური ტერმინით, ერთი ობიექტის აღმნიშვნელ ფორმულაში მრავალი წევრია გაერთიანებული, ქ. გ.).

4. პოლიონიმი – ეს ტერმინი შემოგვაქვს სახელდების იმ ჯგუფის აღსანიშნავად, რომელიც „ფსევდონიმთა ლექსიკონში“ წარმოდგენილია სახელწოდებით „კოლექტიური სახელები“. „კოლექტიური სახელები“ სწორად ესადაგება მასში გაერთიანებული რქმევის ფორმების არსს, მაგრამ ტერმინად უმჯობესია ერთსიტყვიანი ლექსიკური ერთეულის დამკვიდრება. წინასწარ აღვნიშნავთ, რომ სიტყვა **პოლიონიმი**, მხოლობითი რიცხვის ფორმით,

ონომასტიკურ ლექსიკონებში არ დასტურდება. ჩვენ ვეცდებით ამ სიტყვის მხოლობითი რიცხვის ფორმის დატვირთვას შესაბამისი ფუნქციით. ნ. პოდოლსკაიას ლექსიკონში გამოტანილია ამ სიტყვის აბსტრაქტული ფორმა – полионимия (პოდოლსკაია, 1978) და არა პოლიონიმი. პოლიონიმია – ეს მოვლენაა და არა კონკრეტული საგანი, კონკრეტული საგნის აღმნიშვნელი. პ. ცხადაიას ლექსიკონში ეს სიტყვა მრავლობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი – პოლიონიმები, რომლებშიც იგულისხმება ერთი პირის „პარალელური საკუთარი სახელები“ (ცხადაია, 1988). პოლიონიმი, მხოლობითი რიცხვის ფორმით, სიტყვასიტყვით მრავალ სახელს ნიშნავს: ერთ კონკრეტულ სახელს (მისით წოდებულ დენოტატს სხვა სახელებიც რომ ერქვას), ვერ ვუწოდებთ პოლიონიმს. ამიტომ არ არის ლექსიკონებში გამოტანილი ამ სიტყვის მხოლობითი ფორმა. და მაინც, ვფიქრობთ, ტერმინ პოლიონიმით შესაძლებელია აღინიშნოს ერთი სიტყვა, ოღონდ გარკვეული სახის კომპოზიტი, კერძოდ ის, რომელშიც დეფისით შეერთებული იქნება ორი (და მეტი) ონიმი. ამ ტიპის სახელებად წარმოვადგენთ ორ განსხვავებულ წყებას: ა) დენოტატის ორი სახელი: სულხან-საბა-სა და იოანე-ზოსიმეს ტიპის; ბ) ერთად დაწერილი რამდენიმე დენოტატის სახელი. ეს ის ფორმაა ერთად დაწერილი ონიმებისა, რომლებსაც „კოლექტიური სახელების“ ტერმინით გამოყოფენ. სულხან-საბას ტიპისგან განსხვავებით, ესენი მართლაც ერთდროულად წარმოდგენილი და დეფისით შეერთებული კოლექტიური სახელებია იმ ადამიანებისა, რომლებიც ერთად მოღვაწეობენ. ამ ტიპის სახელებს (ბეგ-პან-კირ-ილიკო) სრულიად მართებულად ჰქვია კოლექტიური სახელები, მაგრამ პარალელურად შეიძლება ეწოდოს ერთსიტყვიანი ტერმინი მხოლობითი ფორმით – **პოლიონიმიც**, რაც რეალური სურათის ამსახველი იქნება. ესაა სახელდების ერთ ანთროპონიმულ ფორმულაში, ერთ სიტყვაში, ერთ კომპოზიტში მოქცეული რამდენიმე პირის ონიმი (ონიმის ნაწილი), რაც, თავის მხრივ, მიგვანიშნებს რამდენიმე პირის ერთობაზე რაიმე ნიშნით.

კოლექტიური სახელები, ანუ პოლიონიმი (მხოლობითის ფორმით) ნაირგვარი ფორმითა და შინაარსით გეხვდება ფსევდონიმებად:

ა) კოლექტივის წევრთა სრული ანთროპონიმები დეფისით ან „და“ კავშირით შეერთებული: **თამარ და ელენე** (თამარ შერვაშიძე, ელენე ქიქოძე), **შალიკო-ვალიკო** (შალვა დადიანი, ვალერიან გუნია), **კუპრია და ადიკო** (ალექსანდრე ნიკიტინი, მიხეილ ნასიძე)... კოლექტივის წევრთა ანთროპონიმების პირველი მარცვლების ან პირველი ასოების დასახელებათა ერთად წარმოდგენა (ზოგჯერ „და“ კავშირით): **აკ-სიმ-კოლი** (აკაკი ბელიაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, კოლია ჩაჩავა), **სან-ინ-ვინი** (სანდრო შანშიაშვილი, იოსებ მჭედლიშვილი, ვალერიან გუნია), **ან-და-დონ** (აკაკი შანიძე და დავით ყიფშიძე). ამ ტიპის წარმონაქმნებში, მიუხედავად მათი არალექსიკურობისა, მაინც იკვეთება სიტყვობრივი გარსი, ამიტომ იღებენ ხელოვნური ონიმების სახეს;

ბ) მაგრამ ასეთი წარმონაქმნი ხშირად ნაკლებად იღებს ან ვერ იღებს ონიმურ სტრუქტურას, მაგალითად, გვარების, ვთქვათ, პირველი და ბოლო ასოების ერთად გამოტანა: მ-ლი-მძე (მერაბიშვილი ნიკო, მაღრაძე ვანო). მეორე მხრივ, პოლიონიმს ვერ დავარქმევთ **კოლექტიურ სახელად** წარმოდგენილ: **ნაცვალსახელს**: **ჩვენ** (კონსტანტინე გამსახურდია, იოსებ გრიშაშვილი), **რიცხვით სახელს**: **„ორი“** (იოსებ გრიშაშვილი, სოლომონ თაყაიძე). ე.ი. პოლიონიმი და კოლექტიური სახელები ემთხვევა ერთმანეთს. ამ ტიპის სახელდება (ჩვენ, ორი...) კი უფრო კოლექტიური კვაზიონიმია (**პოლიკვაზიონიმები**).

5. გამოყოფილია ერთი ჯგუფი ფსევდონიმებისა, „რომლებსაც აქვს ქალის სახელის ფორმა (ქალის სახელია), სინამდვილეში ეკუთვნის მამაკაცს. მაგ.: ზაირა, მაყვალა (ს. ბატკუაშვილი), ელენე დარიანი (პაოლო იაშვილი), თამარ ჩქარეული (კონსტანტინე ლორთქიფანიძე)“ (მიქაძე, 27). ამ ტიპის სახელები ონომასტიკურ ლიტერატურაში სახელდებულია ტერმინით – **ფსევდოგინიმები** (პოდოლსკაია, 1978, 119). იქვე დაშლილია ეს სიტყვა სამ მორფოლოგიურ ნაწილად: 1) ψευδη – ფსევდო; 2) γυνη – ქალი; 3) ονομα – სახელი. მეორე-მესამე ნაწილების აბრევიაციით მიღებულია გინ-იმ(ი) ან გი-ნიმ. მართალია, გინიმი-ს შემცველი **ფსევდოგინიმი** მიღებული ტერმინია, მაგრამ, ეფიქრობთ, აბრევიატურაში იკარგება სემანტიკა. უპირველეს ყოვლისა, აქ

დაკარგულია ონომასტიკური ინდიკატორი – ონიმი (ονομα), რომელსაც გამოკვეთილად შეიცავს ყველა ონომასტიკური ტერმინი. მეტი გამჭვირვალობისთვის, რაც ტერმინის დანიშნულებაა, ვფიქრობთ, უმჯობესია ცრუ „ქალის სახელები“, მამაკაცის მიერ მისაკუთრებული, გამოიხატოს ფორმით – **გინეონიმი**. ამაზე ყურადღების გამახვილების უფლებას გვაძლევს: ა) თითქმის ყველა ონომასტიკური ტერმინი, რომელშიც კომპონენტი ონიმი არ არის დაჩრდილული; ბ) მათ შორის, ფსევდონიმთა იმ ჯგუფის ტერმინი, რომელიც გულისხმობს ქალის მიერ

მამაკაცის სახელის მისაკუთრებას – ესაა **ფსევდოანდრონიმი**. შემადგენლობა: 1. ψευδη; 2. ανδρος; 3. ονομα. როგორც ვხედავთ, ამ სამშემადგენლიან ტერმინიშიც არ არის დაკარგული **ონ**, რაც ტერმინს გააბუნდოვანებდა. ასე რომ, უმჯობესია **ფსევდოგინეონიმი**, რის საფუძველსაც იძლევა კიდეც სიტყვის შემადგენელი კომპონენტები.

6. ფსევდონიმთა ერთ-ერთი ჯგუფი სახელდებულია **ასტრონიმებად**, რომელშიც იგულისხმება „ხელმოწერები, შემდგარი ვარსკვლავებით, ციფრებით, წერტილებით და სხვა მსგავსი ბეჭდური ნიშნებისაგან“ (მიქაძე, 1984, 27): * (რაფიელ ერისთავი), ** (სამსონ ფირცხალავა), *** (სილოვან ხუნდაძე), ⁂ (გიორგი ლეონიძე), **** (ი. ჭავჭავაძე), ***** (ი. ჭავჭავაძე)... რა შეიძლება ითქვას დენოტატის აღმნიშვნელ ამ ტიპის ხელმოწერებზე? ონიმი სახელია, სიტყვიერად გამოხატული სახელდება, ლექსიკური ერთეული. ცალკეული ნიშან-გამოსახულებანი, ამ შემთხვევაში ვარსკვლავთა გამოსახულებანი, არ შეიძლება იყოს ონიმი, ამ სიტყვის ენათმეცნიერულ-ლექსიკოლოგიური და ონომასტიკური გაგებით. ესენი **კრიპტოგრამებია**, რაც ბერძნული სიტყვაა. კრიპტო, როგორც აღვნიშნეთ, ნიშნავს საიდუმლოს, გრამა – ჩანაწერს, ნიშანს (და არა სიტყვას). კრიპტოგრამად მიჩნეულია წარწერა «сделанная знаками» (ლეხინა, 1949). რ. შამელაშვილიც ასე განმარტავს კრიპტოგრამას: „პირობითი, საიდუმლო ნიშნებით ნაწერი“ (შამელაშვილი, 1975). გარდა ამისა, ტერმინით – **ასტრონიმი** ონომასტიკურ ლიტერატურაში აღნიშნავენ „ონიმის სახეობას“, რომელიც არის „ცალკეული ციური სხეულის, მათ შორის,

ვარსკვლავის, პლანეტის, კომეტის, ასტეროიდის საკუთარი სახელი. მაგ.: მარსი, ვენერა (ქართ. ცისკარი)... (ცხადაია, 1988, 27). ფსევდონიმთა ასტრონიმების ჯგუფში (მიქაძე, 1984) შეტანილია აგრეთვე შემდეგი სახის ნიშნულები: ?(ივანე მაჭავარიანი), ???(თეიდორე კიკვაძე), ?! (ივანე მაჭავარიანი), !? (სამსონ ფირცხალავა), – (ნიკო ნიკოლაძე), § (ილია რუხაძე), 0000 (ივანე როსტომაშვილი), **X-X** (დიმიტრი ნადირაძე), **XX-ლი** (გიორგი წერეთელი)... ამ ტიპის ხელმოწერები „ონიმებადაც" რომ მივიჩნიოთ, მათ „ასტრონიმებთან" არავითარი საერთო არ აქვთ. რაც მთავარია, ყველა ზემოთ წარმოდგენილი ხელმოწერა ნიშანია, კრიპტოგრამაა, და არა ონიმი (კრიპტონიმი თუ ფსევდონიმი).

7. ფსევდონიმთა კლასიფიკაციის ერთ-ერთი ჯგუფად დასახელებულია სახუმარო და სიმბოლური ფსევდონიმები (მიქაძე, 1984, 26). აქ არ არის აღნიშნული – რას ნიშნავს „სიმბოლური". მხოლოდ ჩამოთვლილია შემდეგი ტიპის ხელმოწერები: „ვერ მიცანი ნინიაო", „ამ ხერხიანი კაცის უხერხული ძმა თორნიკე", „ხვალიკო დღევანდელიძე", „დალაქი იუშია", „ბარონ-ფონ-ბეგლარიონ", „ბაირონის ნაგლეჯი". ამ ჯგუფში გაერთიანებული ხელმოწერებიდან არც ერთი არ წარმოადგენს სიმბოლოს. საერთოდაც, ტერმინები **სახუმარო** და **სიმბოლური** სხვადასხვა დატვირთვისაა. თავისთავად, ყველა სემანტიკური ჯგუფი სიმბოლურად აერთიანებს მასში შემავალ ლექსიკურ ერთეულებს, რაც აისახება მათთეის სწორად მორგებულ ტერმინში. ასე რომ, სახუმარო ფსევდონიმები ცალკე უნდა გამოიყოს **შესაბამისი მაგალითებით**. მაგ., სახუმარო ფსევდონიმის სახელით წარმოდგენილია ფრაზა, რომელიც აკაკი წერეთელს ეკუთვნის: „მარად თქვენი მადიდებელი ერთი კოღობუზთაგანი აკაკია-ბაკაკია" (მიქაძე, 1984,56). თუ გავითვალისწინებთ ფრაზის – „აკაკიებო-ბაკაკიებო" – სიმწვავეს, ეფიქრობთ, აკაკის სახუმარო განწყობა არ ექნებოდა. ეს ფრაზა **ნიშნის მოგებით** წარმოთქმული უფროა, ვიდრე სახუმარო. გარდა ამისა, რამდენად უნდა ჩაითვალოს მოკითხვის (გულწრფელი, ირონიული თუ სახუმარო) გამომხატველი ასეთი გრძელი ფრაზა სახელად? ფსევდონიმად?

8. ფსევდონიმთა ერთ-ერთ ქვეჯგუფად გამოყოფილია **„ნათლობის" სახელები**: **აკაკი** (აკაკი წერეთელი), **გალაკტიონი** (გა-

ლაკტიონ ტაბიძე), **ბესიკი** (ბესარიონ გაბაშვილი), **სილოვანი** (სილოვან ხუნდაძე), **ვახუშტი** (ვახუშტი ბატონიშვილი), **კაკი** (კაკი ანთაძე), **ამირანი** (ამირან შერვაშიძე), **ირაკლი** (ირაკლი გოგოლაძე), **ბაბილინა** (ბაბილინა ხოხიტაშვილი), **ალისტრო** (ალისტრო ვადაჭკორია), **არჩილი** (არჩილ ბაგრატიონი, მეფე)... იქვე ავტორი დასძენს, რომ „ასეთ ხელმოწერას ზოგიერთი მკვლევარი ფსევდონიმად არ თვლის, რადგან იგი გამოგონილი, ყალბი არ არის“ (მიქაძე, 1984, 29). თავად ავტორს კი ფსევდონიმებად მიაჩნია იმ თვალსაზრისით, რომ სეხნიები უამრავია, გვარი კი რჩება უცნობი, ე.ი. ვინაობის დამალვისკენ სწრაფვა ჩანსო. ვფიქრობთ, ამ კონკრეტულ შემთხვევას (მხოლოდ საკუთრივ ანთროპონიმებით ხელმოწერას) ალბათ სხვა კრიტერიუმებით უნდა მივუდგეთ. ხელაღებით იმისი თქმა, რომ ესენი ყველა განურჩევლად ფსევდონიმებია ან არ არის ფსევდონიმები, გაჭირდება. თუ ღრმად ჩავწვდებით ხელმოწერათა მოტივაციას, ძირითადად, სამი შემთხვევა გამოიკვეთება: 1. დამალვა; 2. გამოჩენა, ანუ ყურადღების მიქცევის სურვილი; 3. დამალვა-გამოჩენის თვალსაზრისით, ინდიფერენტული განწყობა. უბრალოდ, პოეტური რქმევის სურვილი ან სახუმარო განწყობის გამოხატვა (ხვალიკო დღევანდელიძე).

შევეხებით მეორე მომენტს. ვფიქრობთ, მეტ-ნაკლებად ყველა კარგ შემოქმედს აქვს იმის პრეტენზია, რომ იგი გამორჩეულია (ხშირ შემთხვევაში ეს გამართლებულია და ამიტომ არც არის უარყოფითი ემოციის გამომწვევი). **რჩეულთა შორის რჩეულებს კი მისამართი არ სჭირდება. მისამართში ვგულისხმობთ გვარს ან სახელსა და გვარს გვარის დომინანტობით. გამორჩეულობის ერთ-ერთ გამოვლინებად გამოიკვეთა სახელის დომინანტობა, სახელისთვის გვარის ფუნქციის მინიჭება.** სახელი, გვართან შედარებით, უფრო ინტიმური განწყობის გამომხატველი ლექსიკური ერთეულია. როდესაც სახელით მიმართავენ იმ დაწესებულებასა თუ საზოგადოებაში (სკოლა, ჯარი...), სადაც გვარებით მიმართვის ფორმაა დამკვიდრებული, ამით უფრო მეტ სიახლოვეს, თუნდაც სიყვარულსა და კეთილგანწყობას გამოხატავენ ერთმანეთის მიმართ, ვიდრე ეს გვარით მიმართვისას გამოვლინდებოდა. ასე რომ, სახელი ინტიმურია, გვარი – ოფიციალური. ამიტომაა, რომ ნებისმიერი ადამიანის სახელს, ოფიცია-

ლურობის მისანიჭებლად, უმატებენ პიროვნობის წარმომჩენ სიტყვას: პატივცემული, ბატონი... როცა სახელდების ინტიმური (ანთროპონიმი) და ოფიციალური (გვარი) კომპონენტი ერთმანეთს ერწყმის და თავს იყრის ერთ სიტყვაში, კერძოდ, საკუთარ სახელში, ეს მომენტი მისით აღნიშნული პირის გამორჩეულობაზე ან გამორჩეულობის სურვილზე მიანიშნებს. დრო ადასტურებს ერთს ან მეორეს. გამორჩეულობას არა მხოლოდ ავტორი გეთავაზობს ხელმოწერითა თუ სიტყვიერად, არამედ საზოგადოებაც იღებს (რა თქმა უნდა, გარკვეულ შემთხვევებში). მაგ., ხშირად ვამბობთ შოთა, თუმცა ეს თვით რუსთაველის ხელმოწერით არ არის შეპირობებული. „როგორც ერთია მტკვარი, რიონი, ისე ერთია გალაკტიონი", – ეს სრულიად გამართლებული შემოთავაზებაა, რადგან ამ სიტყვების ავტორი ის პიროვნებაა, რომელმაც შექმნა უკვდავი პოეზია და არ უნდა გვიკვირდეს, რომ მან დაინახა ამ მაღალი პოეზიის შემოქმედის (ანუ საკუთარი) ღირსებაც („რომ მეფე ვარ და მგოსანი და სიმღერით ვკვდები") და ეს გამოხატა ენათმეცნიერული პრინციპის დარღვევითაც – საკუთარ სახელში **ქ** შეიცვალა **კ-დ** და ამ მკვეთრი აბრუპტივით უფრო გაამკვეთრა თავისი საკუთარი სახელიც (გალაკტიონი).

შემოქმედთა მიერ შემოთავაზებული და ხალხის მიერ აღიარებული საკუთრივანთროპონიმული ხელმოწერებია: ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი... აქვე უნდა დავასახელოთ **ყაზბეგი**, რომელიც, კონკრეტულ შემთხვევაში, ცალკე აღებული გასაკუთარსახელებული ეპითეტია, ვიდრე ჩოფიკაშვილის მეორე გვარი. ამავე რიგისაა დენოტატის საკუთარი სახელიდან მიღებული ფორმა: ბესიკი (ბესარიონ გაბაშვილი)... **ესენი არ არის ფსევდონიმები,** რადგან აღნიშნულ პიროვნებათა ნამდვილი სახელებია. რაც მთავარია, მართალია, ამ შემთხვევაში ოფიციალურ დონეზე დარღვეულია პიროვნობის დამადასტურებელი ფორმულა (სახელგვარეული სისტემა), მაგრამ გამონაკლის შემთხვევაში რჩეულთათვის ოდენსაკუთრივ ანთროპონიმიცაა მათი პიროვნობის დამადასტურებელი ფორმულა. სახელდების ამ ტიპს ვუწოდებთ **რჩეულთა სახელებს**.

9. არასრული ფსევდონიმები. რჩეულთა სახელებისაგან გავმიჯნეთ და ცალკე სახეობად გამოვყავით **მხოლოდ ანთროპო-**

ნიმებით წარმოდგენილი ხელმოწერების მეორე დიდი ჯგუფი, რომლებიც ავტორთა ასევე ნამდვილი ონიმებია და არა ფსევდო ან კრიპტო ონიმები. ამ ჯგუფს **პირობითად არასრული ფსევდონიმები ვუწოდეთ, რადგან, ვფიქრობთ, მათ შუალედური საფეხური უკავიათ ნამდვილ საკუთარ სახელებსა და ფსევდონიმებს შორის.** ფსევდონიმების კლასთან მათი ცალსახად მიკუთვნება გაჭირდება შემდეგი მოტივაციით: მართალია, ა) ეს ხელმოწერები მიიღებიან თვითწოდებით, რაც ფსევდონიმობის ერთ-ერთი განმაპირობებელია; ბ) ხელმოწერა წარმოდგენილია ფსევდოანთროპონიმული სტრუქტურით (ე.ი. დარღვეულია ხელმოწერის სახელგვარული ფორმულა); რაც მთავარია გ) ოდენანთროპონიმული თვითწოდებები, თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, ვერ ასრულებენ სამისამართო ფუნქციას, რაც მათ უფრო ფსევდონიმობისკენ ხრის, მაგრამ, მიუხედავად ფსევდონიმობისათვის დამახასიათებელი დეტალებისა, ხელმოწერათა ეს ოდენანთროპონიმული ჯგუფი ავტორთა ნამდვილი სახელებია. ამიტომ ვუწოდეთ მათ **არასრული ფსევდონიმები.** ამ ტიპისაა: **ილიკო** (ილია ასლამაზიშვილი), **კობა** (იაკობ ცინცაძე), **პეტრუზა** (პეტრე ახალციხელი), **საშა** (საშა ახველედიანი), **ოქროპირ** (ოქროპირ ბაგრატიონი), **ლეო** (ლეო ნათაძე), **ირაკლი** (ირაკლი გოგოლაძე), **ანდრია** (ანდრო გეელესიანი).


არასრულ ფსევდონიმებში გამოიყო მცირე ჯგუფი ნამდვილი ანთროპონიმებით ხელმოწერებისა, რომელშიც მათი იშვიათობისა თუ ჟღერადობის გამო ადვილად იკითხება ავტორის ვინაობა. ესენია: **სეზმანი** (სეზმან ბატკუაშვილი), **სილოვანი** (სილოვან ხუნდაძე)... გარდა იშვიათად ხმარებულობისა, ნამდვილმა ანთროპონიმმა რომ სამისამართო ფუნქცია გასწიოს, აუცილებელია ავტორის მეტ-ნაკლებად ცნობილობაც. მათი იშვიათი (ნაკლებხმარებული თუ ჟღერადობით გამორჩეული) საკუთარი სახელები თავად მიმართავენ საზოგადოების ყურადღებას დენოტატისადმი. ვფიქრობთ, ნამდვილი საკუთარი სახელებით ხელმომწერნი, განსაკუთრებით კი იშვიათი სახელების მატარებელნი, ცდილობდნენ გამორჩევით დამკვიდრებას ანთროპონიმული გზითაც, მაგრამ უშედეგოდ. სილოვანი, მიუხედავად სილოვან ხუნდაძის დიდი ღვაწლისა ქართულ ენათმეცნიერებაში, დასრულე-

ბულ ანთროპონიმულ ფორმულად ვერ დამკვიდრდა. დენოტატის პირადი სახელით დამკვიდრებას ალბათ მაღალპოეტური სიერცეც განაპირობებს.

ამრიგად, ჩვენ გამოვყავით ნამდვილი საკუთარი სახელებით ხელმოწერის ორი წყება: 1. რჩეულთა სახელები (მცირე ჯგუფი); 2. არასრული ფსევდონიმები (ილიკო-სილოვანი ტიპის).

10. ფსევდონიმთა ერთ-ერთ ჯგუფად გამოყოფილია ე.წ. **„საკუთრივ ფსევდონიმები“**. ასეთებად მიჩნეულია ხელმოწერები, რომელთაც „ჩვეულებრივ აქვს გვარის ან სახელის ფორმა“ (მიქაძე, 1984, 26). იქვე დამოწმებული მაგალითებით ირკვევა – არა აქვს მნიშვნელობა, ანთროპონიმი ცრუა თუ არა. ასეთებია: „ილიკო“ (ილია ალხაზიშვილი), ტრისტან მაჩაბელი (ვალერიან გაფრინდაშვილი). მართლაც ორივე საკუთრივ ანთროპონიმიცაა და ფსევდონიმიც (ერთი ავტორის, ნამდვილი, მეორე – ცრუ ანთროპონიმი), მაგრამ ამავე პრინციპით საკუთრივ ფსევდონიმებად წოდებულ ჯგუფებში დაშვებულია ნებისმიერი სხვა ჯგუფის გვარ-სახელიც: ფსევდოანდრონიმის – **გიორგი ჩიქობავა** (იზა ორჯონიკიძე), ფსევდოგინეონიმის **თამარ ჩქარეული** (კონსტანტინე ლორთქიფანიძე), **ზაირა** (სეზმან ბატკუაშვილი), კრიპტონიმის – **ვლადიმერ მ.** – ყველა აქ ჩამოთვლილი საკუთრივ **ანთროპონიმია**. მაგრამ გაურკვეველია, კონკრეტულად რა იგულისხმება „საკუთრივ ფსევდონიმში“. ჩვენი პოზიციით, საკუთრივ ფსევდონიმი არ შეიძლება ეწოდოს ფსევდონიმთა ერთ რომელიმე ჯგუფს, **ყველა ხელმოწერა, რაც კი ფსევდონიმადაა მიჩნეული, საკუთრივ ფსევდონიმია**. ამასთან, ამ ტერმინის დაშვებაც მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ დამკვიდრდება ჩვენ მიერ გამოყოფილი მცირე ჯგუფი პირობითი ტერმინით – **„არასრული ფსევდონიმები“**. რომ არ გამოგვეყო ეს უკანასკნელი ჯგუფი, ტერმინ საკუთრივ ფსევდონიმების საჭიროება არ იქნებოდა.

დასკვნა: დენოტატთა **ოდენ სახელით ხელმოწერების** სამი პლასტი გამოიკვეთა. თვალსაჩინოებისათვის წარმოვადგენთ სქემას:


ოდენანთროპონიმული ხელმოწერები
რჩეულთა სახელები
ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი...
(არ არის ფსევდონიმები)
არასრული ფსევდონიმები
ავტორთა ნამდვილი სახელები,
რომლებიც გვარის გარეშეც
ასრულებენ სამისამართო ფუნქციას
იშვიათობისა თუ ყღერადობის
წყალობით (სილოვანი ტიპის)
ავტორთა ნამდვილი სახელები,
რომლებიც გვარის გარეშე
ვერ ასრულებენ სამისამართო ფუნქციას

9. ეპითეტ-ფსევდონიმები და ეპითეტიანი ფსევდონიმები

ერთგვარი სადემარკაციო ხაზი უნდა გავავლოთ ეპითეტ-ფსევდონიმებსა და ეპითეტიან ფსევდონიმებს შორის.

ეპითეტი ზოგადი მნიშვნელობის აღწერითი სიტყვაა, მაგრამ ანთროპონიმთან კონტექსტში, განსაკუთრებით, პოსტპოზიციური წყობისას, კარგავს ზოგადობას და იძენს ინდივიდუალიზაციის, კერძოდ, ონიმის ფუნქციას. ეპითეტიანი ანთროპონიმები სახელდების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახეობაა. მისი გამოყენების ასპარეზი განიზომება არა მხოლოდ სივრცეში, არამედ დროშიც, რასაც ადასტურებენ ისტორიული წყაროები (ფარსმან ქველი, რევ მართალი, კონსტანტინე მონომახი, ლიპარიტ ბაღვაში).

ეპითეტის ონიმიზაციის ფუნქციას ადამიანები იყენებენ ფსევდონიმებადაც. შინაარსობრივი მრავალფეროვნების მიხედვით, სხვაობაა სხვა პირთა მიერ რომელიმე ადამიანის საკუთრივ ანთროპონიმებზე დართულ ეპითეტებსა და თვითწოდებით მიღებულ ეპითეტებს შორის. კერძოდ, ფსევდონიმური ეპითეტების შინაარსობრივი ჯგუფები გაცილებით მცირეა. ეს მოსალოდნელიც იყო. საზოგადოებრივი ურთიერთობები, სხვათა თვალით ადამიანის აღქმა გაცილებით მრავალფეროვან მახასიათებლებს ბადებს.

თვითწოდების დროს მიიღება ეპითეტ-ფსევდონიმები და ეპითეტიანი ფსევდონიმები:

ეპითეტიან ფსევდონიმად მიეიჩნევეთ აეტორის მიერ მოგონილ ფსევდოსახელს, ეპითეტდართულს: **ვაჟა-ფშაველა** (ლუკა რაზიკაშვილი), კიკნა-ფშაველა (სიმონ ბადურაშვილი), ვაჟიკა ფხოველი (დიმიტრი ცალხელაშვილი), **დემიან ბედნი** (ეფიმ პრიდვოროვი), ლესია უკრაინკა (ლარისა კოსაჩი).

ეპითეტ-ფსევდონიმებად მიეიჩნევეთ თვითწოდებით მიღებულ იმ **ორკომპონენტიან მოდელებს,** რომელთა ონიმური ნაწილი აეტორის ნამდვილი ანთროპონიმია – წარმოდგენილი სრულად, ნაწილობრივ ან ინიციალით. ფსევდონიმობას კი სწევს მასზე დართული ეპითეტი. თვითწოდების უდიდესი ნაწილი ეპი-

თეტ-ფსევდონიმებია. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეპითეტების ფსევდონიმური ფუნქციის გამო არ ჩნდებოდა სახელის შეცვლის აუცილებლობა. ამიტომ ხშირად უცვლელი რჩებოდა თვითმწოდებლის საკუთარი სახელი თუ მისი ინიციალები. ეპითეტიანი ფსევდონიმების რიცხვი ერთეულებით განისაზღვრება. გაცილებით ჭარბობს ეპითეტ-ფსევდონიმები ეპითეტის დომინანტობით.

ეპითეტ-ფსევდონიმთა სემანტიკური ჯგუფები (მაგალითებს აქვე დავიმოწმებთ):

1. **ეთნოფორული: შ. გრუზინსკი** (შოთა ქურიძე), **ილიკო რუსსელი** (ილია სავიცკი), **ეთიმ გურჯი** (იეთიმ დაბლიშვილი);

2. **თემოფორული** (თემის, ტომის მიმანიშნებელი): ა) ეპითეტ-ფსევდონიმები: **თომა კახელი** (თომა მთავრიშვილი), **ევგ. ქართველი** (ევგენია პოპოვა), **ა. კოლხი** (აკაკი ფაღავა), **გ. კახი** (გ. ჯანდიერი);

3. **ოიკონიმური** (ან ტოპოფორული, ანუ ტოპონიმიდან მიღებული) ეპითეტ- ფსევდონიმები (შერჩეულია წარმომავლობის ან მოღვაწეობის ადგილის მიხედვით): **ქსნელი მიხ.** (მიხ. ნასიძე), **მ. ღორეშელი** (მ. დავითაშვილი), **შ. ხიდისთაველი** (შიო კალანდაძე), **ხიმშელი სევერიან** (სეველიან მუსერიძე), **მ. გორელი** (მიხეილ გალკინი), **პ. მარტყოფელი** (პროკოფი გუჯაბიძე), **ნ. ზომლეთელი** (ნოე ქორიძე), **შ. ნავთლუღელი** (შაქრო კირაკოზაშვილი), **ა. საჩინოელი** (ალ. ჩახუნაშვილი), **კ. კარდანახელი** (კ. გულიაშვილი), **ბ. ახალციხელი** (ზედგინიძე ბაგრატ), **ნ. ვეღისციხელი** (თათარაშვილი ნიკოლოზ), **იაკობ შემოქმედელი** (იაკობ დუმბაძე), **პ. ტაიგელი** (პოლიექტოს კალანდაძე), **ნიკ. სტეპნოი** (ნიკოლოზ აფინოგენოვი), **სეზმან ერთაწმინდელი** (სეზმან ბატკუაშვილი), **იონა თლუღელი** (იონა ბელიაშვილი);

4. **სოციალური მდგომარეობის ამსახველი ეპითეტ-ფსევდონიმები: გ. უბედური** (გიორგი ჩხეიძე), **გოლოდნი მიხ.** (მიხეილ ეპშტეინი), **სანდრო ეული** (სანდრო ქურიძე), **გ. ფაბრიკანტი** (გ. სტრახოვენკო), **ნიკოიე ლაქია** (ნიკოლოზ დოლიძე).

ეპითეტ-ფსევდონიმები ზოგჯერ სახელგვარულ ფორმულას უთანაბრდებიან. ეს განსაკუთრებით ითქმის დენოტატის წარმომავლობის (ან მოღვაწეობის) აღმნიშვნელ ეპითეტებზე,

რომლებიც ფსევდონიმობიდან სამემკვიდრეო გვარებადაცაა ქცეული: დარასელი, გრუზინსკი, ნ. ზომლეთელი,[1] ბარნოვი (< ბარნაველი), რონდელი (რონდა სოფელია მდ. ცხენისწყლის მარცხენა მხარეს). ისინი გვარად ქცევისკენ, შეიძლება ითქვას, გაჩენისთანავე მიდრეკილი არიან. გვარადაა ქცეული სოლომონ დაგარგულიას ფსევდონიმი ცაიშვილი (ცაიშიდან), მისი მემკვიდრეებიც ცაიშვილები არიან. სახელ-გვარულ სტატუსს ღებულობენ ეპითეტიანი ფსევდონიმებიც.

5. **გარეგნობის ამსახველი ეპითეტ-ფსევდონიმები: კ. გრძელი** (კოტე ანთაძე), **ა. ლილიპუტი** (ალ. მირიანაშვილი).

§5. ფსევდოსახელთა კლასიფიკაცია

(სქემები დართულია ბოლოს)

I. ფსევდონიმები. ზოგადად, ფსევდოსახელებში, რომლებიც ლექსიკური ერთეულებითაა გამოხატული, გამოიყო სამი ტიპი (იხ. **სქემა №1**):

I. ფსევდო ონიმები, ანუ ფსევდონიმები (კრიპტონიმები). ესენია: დენოტატის მოგონილი საკუთრივ ანთროპონიმები, გვარები ან მათი ხელოვნური ფორმები, რომლებიც ინარჩუნებენ ონიმურ სახეს;

II. ფსევდო-მეტსახელები;

III. ფსევდო-კვაზიონიმები.

სანამ უშუალოდ შევეხებით მათს სტრუქტურასა, უნდა აღინიშნოს, რომ საკუთარ სახელთა კლასიფიკაციას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ა. სუპერანსკაია და თელის, რომ ონომასტიკურ მუშაობაში იგი წარმოადგენს თავისებურ პლატფორმას (სუპ., 1973, 148). ტოპონიმიკურ მასალაზე დაყრდნობით, ონომას-

---

[1] ვინ ჯგუფის საგანთა წარმომაელობის აღმნიშენელი სიტყვები უმეტესად იწარმოებიან **-ელ** სუფიქსით, რაც გვარის მაწარმოებელ აფიქსადაც გეხვდება. -ელ სუფიქსი: ა) ტოპოფორმებიდან აწარმოებს წარმომაელობის ეპითეტებს ან გვარს (იშხნელი); ბ) ხშირად **-ელ**-სუფიქსიანი ფორმა შუალედური რგოლია ახალი გვარის (-შვილით გაფორმებული) საწარმოებლად: ახმეტა → ახმეტელი → ახმეტელიშვილი (მელიქიძე, 1998, 81).

ტიკური კლასიფიკაციის პირველ სერიოზულ ცდას ჯერ კიდევ XIX ს-ის I ნახევარში ჩაეყარა საფუძველი ჩეხი მეცნიერის – ფ. პალაცკის, გერმანელი მეცნიერის – ფ. მიკლოშიცის, მიერ. აქედან მოყოლებული, ტოპონიმთა კლასიფიცირებაზე მუშაობდნენ ფ. ჩერნი, პ. პაშა, ტ. ვოიცეხოვსკი, ფ. შვარცი, ვ. ტაშჩიცევი და სხვები. მაგრამ ეს ხდება ტოპონიმიკის სფეროში. 1973 წელს ა. სუპერანსკაია აღნიშნავს, რომ დღემდე მეცნიერთა მიერ შემუშავებული ონომასტიკური კლასიფიკაცია მოიცავდა მხოლოდ ტოპონიმიკურ მასალას (სუპ., 1973, 148). ასე რომ, ანთროპონიმთა კლასიფიკაციას გაცილებით ნაკლები ისტორია აქვს. ეს განსაკუთრებით ითქმის ანთროპონიმის ერთ-ერთი სახეობის, ფსევდონიმის, შესახებ, რომელიც, ონომასტიკური თვალსაზრისით, ნაკლებად შესწავლილია. წარმოვადგენთ ფსევდონიმთა და კრიპტონიმთა[1] ჩვენეულ კლასიფიკაციას. ძირითადად, დავეყრდნობით იმ მდიდარ მასალას, რომელიც მოკრებილი და გამოტანილია გივი მიქაძის მიერ „ფსევდონიმთა ლექსიკონში“ (მიქაძე, 1984). ჩვენი კლასიფიკაციიდან გამოვრიცხავთ ზემოთ განხილული ხელმოწერის რამდენიმე ტიპს (რჩეულთა სახელები, სასულიერო პირთა და მეფეთა წოდებრივი ფორმულირებანი...).

ლექსიკურ-მორფოლოგიური ერთეულებით გადმოცემულ ფსევდონიმებში ორი ძირითადი მოდელი გამოიყო:

* საკუთრივ ონიმური მოდელი;

გაონიმებული ეპითეტები – **ეპითეტ-ფსევდონიმები (ორსიტყვიანი).

---

[1] ზოგჯერ (და არა ყოველთვის) ძნელია თქმა, ამა თუ იმ ხელმოწერის მოტივაცია გასაიდუმლოებაა თუ სხვა მიზეზითაა შექმნილი (ეთქვათ, ულერადობა, პოეტური მოდა...). დანიშნულების მიხედვით ძნელია მათ შორის ზღვრის გაელება (ეს ლიტერატურის ისტორიის საკითხია და არა ენათმეცნიერების). იმდენად, რამდენადაც ფსევდონიმსა და კრიპტონიმს მხოლოდ მათი დანიშნულება განასხვავებს და არა ფორმა ან ამ ფორმით გამოხატული შინაარსი, მათი ენათმეცნიერული კლასიფიკაცია იდენტურია. ამიტომ პირობითად გამოვიყენებთ ტერმინს – ფსევდონიმთა კლასიფიკაცია.

საკუთრივ ონიმური მოდელი ფსევდონიმებად (№1, 1ª)

ეს მოდელი მოიცავს სამ ვარიანტს. ფსევდონიმი წარმოდგენილია:

A. ოდენ ანთროპონიმით (რომელიც არ არის დენოტატის ნამდვილი სახელი, მაგრამ საკუთრივ ანთროპონიმია, იშვიათად, ნამდვილი სახელია);

B. ოდენ გვარით (რა თქმა უნდა, არა პირადი, არამედ **ფსევდოგვარით**);

C. სახელ-გვარით, რომელშიც ფსევდონიმობას სწევს:

I. **სახელი**;

II. **გვარი**;

III. **ორივე ერთად (სახელი და გვარი)**.

ზოგიერთ ვარიანტში გამოიყო ქვევარიანტები (ქვეჯგუფები) იმის გათვალისწინებით, თუ რით გამოიხატება ისინი. შეეხებით თითოეულ მათგანს:

A კლასი — საკუთრივ ანთროპონიმი ფსევდონიმებად — დენოტატის მიერ შერჩეულია შემდეგი პრინციპით (მაგალითები: **სქემა №2**)

① ► იმაევე სქესის სახელი;

② ► საპირისპირო სქესის სახელი (ფსევდოგინეონიმი, ფსევდოანდრონიმი);

③ ► უცხოენოვანი ასოებით გამოსახული სახელი;

④ ► დენოტატის სახელის ან გვარის დერივაციული ვარიანტი ანთროპონიმად (ზოგჯერ უჩვეულო ორთოგრაფიით);

⑤ ► რომელიმე პერსონაჟის (ან პირის) ანთროპონიმული მოდელი;

6 ► არასრული ფსევდონიმები (ხელმოწერა მხოლოდ ნამდვილი საკუთარი სახელით).

B კლასი – ოდენ ფსევდოგვარები (სქემა №1, 1*B)

ფსევდოგვარი, როგორც ტერმინი მიუთითებს, მოგონილი გვარია[1]. დენოტატი ირქმევს სხვა (ან სხვის) გვარს. ფსევდოგვარის წარმოების საინტერესო გზები გამოვლინდა. წარმოვადგენთ ოთხ ძირითად ვარიანტს (მაგალითები: **სქემა №3**). დენოტატი წარმოგვიდგება:

1. სხვისი (სხვა) გვარით;

2. სხვა ეროვნების გვარით;

3. სხვადასხვა თემატური კუთხით მოგონილი გვარით;

4. თვით დენოტატის ან მისი ახლობლის საკუთარი სახელიდან მიღებული გვარით.[2]

C კლასის ფსევდონიმთა ფონდს ქმნის **სახელგვარული სისტემა**, რომელშიც გამოიყო სამი ქვეჯგუფი. იხ. სქემა №1, 1* -ში: **(C) I, (C) II, (C)III.**

C I: ამ ჯგუფში გაერთიანდა ორკომპონენტიანი ხელმოწერები (სახელ-გვარი), **სადაც ფსევდონიმია სახელი.** გამოიყო რამდენიმე ვარიანტი (სქემაში არაა აღნიშნული 1 და 2):

1. ორკომპონენტიანი მოდელის ანთროპონიმი რაღაც ნიშნით მიმსგავსებულია დენოტატის საკუთარ სახელთან. ფსევდონიმია სახელი, რომელსაც ადამიანი თავის საკუთარ სახელს ამსგავსებს (ან სხვა სახელია): **გივი მდივანი** (გიორგი მდივანი), **პაველ აბულაძე** (საელე აბულაძე), **შაჰრუხ ჩარკვიანი** (შალვა ჩარკვიანი), **ნანა გვარიშვილი** (ნადიდე გვარიშვილი);

2. არასრული ფსევდონიმები – ამ ქვეჯგუფში განთავსდა ორკომპონენტიანი ხელმოწერები, რომლებშიც წარმოდგენილია ავტორის **ა)** ნამდვილი ონიმი სრული ფორმითა და **ბ)** გვარის ინიციალი. აქ არც ერთი კომპონენტია ცრუ და არც მეორე

---

[1] ფსევდონიმთა ლექსიკონში ფსევდონიმადაა მიჩნეული B ტიპის (ოდენ გვარით) ხელმოწერები მაშინაც, როცა იგი ნამდვილი გვარია დენოტატისა (ზურაბიშვილი←ივანე ივანეს ძე ზურაბიშვილი), რაც, ვფიქრობთ, არ არის მართებული.

[2] ეს ოდენ გვარები ორ კომპონენტადაც დასტურდება და ვიღებთ პარალელურ მოდელებს: ბოროვიჩი/ნ. ბოროვიჩი, სომხიშვილი/ი. სომხიშვილი, გორგასლიძე /ს. გორგასლიძე...


(ინიციალი საკუთარი გვარიდან არის მიღებული). ზემოთ ჩვენ საგანგებოდ შეეხეთ ე. წ. არასრულ ფსევდონიმებს (მხოლოდ პირადი სახელით ხელმოწერა ილიკო-სეზმანი ტიპის). ამ ტიპის ორკომპონენტიანი ხელმოწერაც **არასრულ ფსევდონიმად** მივიჩნიეთ იმავე მოტივაციით: 1. ხელმოწერა არღვევს ოფიციალურ ანთროპონიმულ მოდელს; 2. დენოტატი ამოუცნობი რჩება უამრავ ელადიმერსა თუ ნიკოლოზს შორის: **ვლადიმერ მ.** (ელადიმერ მიქელაძე), **სამსონ დ.** (სამსონ დათეშიძე), რაც ამ ტიპის ხელმოწერებს ფსევდონიმთა კლასს მიაკუთვნებს, მაგრამ ორივე კომპონენტი ნამდვილია და არა ფსევდო.

C II (სქემა №1, 1*-ში). ამ ჯგუფის ორკომპონენტიან ფორმულირებაში **ფსევდონიმად წარმოდგენილია გვარი,** ხოლო დენოტატის ნამდვილი სახელი სამი ფორმით ფიქსირდება: სრული, შემოკლებული ან ინიციალი. გამოიყო ფსევდოგვარების ორი წყება: **a** და **b:**

C II a. აქ გაერთიანდა ფსევდოგვარები, რომელთაც შენარჩუნებული აქვთ საკუთრივ გვარის ფორმა, გვარის ტრადიციული მოდელი (B ჯგუფის ტიპის). მართალია, სქემა №1, 1*-ში ცალ-ცალკე ჯგუფებად გამოვყავით **B** ჯგუფი და **C II-ის a ქვეჯგუფი,** მაგრამ გარკვეულწილად ისინი იდენტური არიან – ორივეგან ფსევდონიმად გვარია. სხვაობა ისაა, რომ: B კლასის ფსევდოგვარები ერთსიტყვიანი ფსევდონიმებია. C კლასის II ჯგუფის **a** მოდელი, **ფსევდოგვარების დომინანტობით,** ორკომპონენტიანია, რომლის ონიმი (ან მისი ნაწილი) არ არის ფსევდონიმი. გვარის ფსევდონიმური მრავალფეროვნება მდიდრადაა წარმოდგენილი C II a ჯგუფში (ვიდრე B ჯგუფში). ავტორისთვის ზოგჯერ იმდენად მნიშვნელოვანია გვარის ფსევდონიმიზაციის შემოქმედებითი პროცესი, რომ ხშირად ნამდვილი სახელის გაუჩინარების აუცილებლობას აღარ ხედავს.

C II b. თვითწოდებისას გვარის სტრუქტურის შეცვლით ზოგჯერ მიიღება **ხელოვნური სიტყვები,** რომლებიც შევიტანეთ ფსევდო-კვაზიონიმთა შესაბამის ჯგუფში **(სქემა №1, 3, IV).** ამიტომ ამ ჯგუფზე აქ არაფერს ვიტყვით.

С II а. ამ **ორკომპონენტიან** ჯგუფში (ტრადიციული ფორმით), ძირითადად, გამოიკვეთა ფსევდოგვარების მიღების სამი გზა:



ა. ავტორის ნამდვილი გვარი შეცვლილია ისევ გვარით. ან უკვე არსებული,[1] ან ახალი გვარი მოგონილია (ზოგჯერ საკუთარი გვარის გათვალისწინებით): ს. დარიანი (სერგეი დანელია), გოგიჩაიშვილი ვ. (ვ. გოგნიაშვილი), ნ. მანიძე (ნესტორ მალაზონია), აბულაძე მიხ. (გორდაძე მიხეილი), ბაკურცევი ა. (ალექსანდრე ტოკარევი).

ბ. ფსევდოგვარები, მიღებული დენოტატის ნამდვილი გვარიდან **მხოლოდ სტრუქტურული გზით.** სტრუქტურულად ახალი გვარი იგივე ლექსიკურ-ონიმური ოდენობაა, ისევ გვარის ფორმის მქონეა (**მაგალითები იხ. სქემა №4**):

① გვარის მაწარმოებელი მორფემის შეცვლა;
② გვარის მაწარმოებელი მორფემის მოკვეცა;[2]
③ წინა (ან ნებისმიერი) მარცვლის მოკვეცა;
④ ასოს (ასოების) ჩანაცვლება.[3]

---

[1] ეს ჯგუფი ემთხვევა В ჯგუფს, რომლის ცალკე გამოყოფა მხოლოდ ერთკომპონენტიანობამ განაპირობა.

[2] ზოგი გვარის ფუძე თავად შეიცავს აუსლაუტში -ელ, -ურ, -ია... ელემენტებს. ამიტომ ამ ტიპის შეკვეცილი ზოგი გვარი ფორმით უტოლდება -ელ, -ურ, -ია... დერივატებით წარმოქმნილ გვარებს (წერეთელი) და შეკვეცის შემდეგაც გვარის ფორმას ინარჩუნებს (დარასელი ტიპის). ზოგი მათგანი არ გეხვდება გვარად, მაგრამ პოტენციურად შეიძლება იქცეს რეალურ გვარად (სინაური(ძე), საგანელი(ძე).

გ. ფსევდოგვარები, მიღებული სტრუქტურულ-სემანტიკური გზით. თუ ფსევდოგვათა სტრუქტურული ფორმები უშუალოდ დენოტატის გვარიდანაა წარმოქმნილი, სტრუქტურულ-სემანტიკური – სხვადასხვა სიტყვებიდან (დენოტატის ანთროპონიმული ფორმულის რომელიმე კომპონენტიდან ან სხვა სიტყვიდან) ონომასტიკური აფიქსაციის გზით. მათ აქვთ სემანტიკური დატვირთვაც. სემანტიკურ დატვირთვაში ვგულისხმობთ როგორც უშუალოდ სემანტიკას, შინაარსს, ისე ონომასტიკურ-სემანტიკურ ასპექტს. მაგალითად, ვარლამ მალაქიას ძე ხუროძის ფსევდონიმია **მალაქიაშვილი**, რომელიც სტრუქტურულად მეორადია, სემანტიკურად კი – დენოტატის მამის პირსახელიდანაა წარმოქმნილი.

სტრუქტურულ-სემანტიკური გზით მიღებულ ფსევდოგვართა ვარიანტები **(მაგალითები იხ. სქემა №5)**:

① მამაკაცის (ძირითადად, მამის ან ნათესავის პატივსაცემად) სახელიდან ნაწარმოები გვარები;

② ქალის (ძირითადად, დედის ან ნათესავი ქალის პატივსაცემად) სახელიდან ნაწარმოები გვარები;

③ სოციალური მდგომარეობის და მისით გამოწვეული ყოფის აღმნიშვნელი ფსევდოგვარები;

④ პოლიტიკური თუ შინაგანი მრწამსის ამსახველი ფსევდოგვარები;

⑤ ფსევდოეთნონიმური გვარები (ამ ჯგუფიდან ზოგი თარგმნილია).

ეს ჯგუფები შესაძლებელია კიდევ შეივსოს. მაგ., გამოიყოს ჯგუფი – წარმომავლობითი გვარი: ცაიშვილი სოლომონ (სარგის ცაიშვილის მამა), რომლის გვარია დაგარგულია. ფსევდოგვარი მიღებულია სოფელ ცაიშის სახელწოდებიდან.

C. III (სქემა №1). ამ მიკროსისტემაში წარმოდგენილია ორკომპონენტიანი ფსევდონიმები, რომლებშიც ორივე კომპონენტი

---

[3] ჩვენ წარმოვადგინეთ ფსევდოგვართა სტრუქტურული წარმოების **ძირითადი** გზები, რაც, ბუნებრივია, უფრო მეტია. მაგალითად, მარცელის დამატება (გორგაძე ს.→გორგასლიძე ს.) და ა.შ.

ფსევდოა. მათგან პირველი – ფსევდოანთროპონიმი ან ფსევდოინიციალია. (**მაგალითები იხ. სქემა №6**) დენოტატი ირჩევს:

1. რომელიმე ცნობილი ადამიანის სახელ-გვარს (ან ეპითეტიან სახელს);

2. რომელიმე პერსონაჟის სახელ-გვარს;

3. მოგონილ სახელ-გვარს;

4. საპირისპირო სქესის სახელ-გვარს;

5. პირადი სახელიდან წარმოქმნილ გვარს, სახელად კი მისიეე გვარის ინიციალია;

6. მეტსახელური ტიპის გამოგონილ სახელ-გვარს (სახუმარო ფსევდონიმი).

II ფსევდო-მეტსახელები (სქემა №1, 2)

მეტსახელი სახელდების არანაკლებ გამოყენებადი სახეობაა, ვიდრე საკუთრივ ანთროპონიმი. მეტსახელისგან უნდა გავმიჯნოთ ცნება **მეტსახელური სიტყვები**. მეტსახელური სიტყვები ენის ლექსიკური ფონდის ის ჯგუფია, რომელიც წარმოადგენს ძირითად წყაროს მეტსახელთათვის და არა მხოლოდ მათთვის. იგი მოიცავს თითქმის მთელ ანთროპონიმულ სივრცეს, რადგან **მეტსახელური სიტყვები** გეხვდება: 1. საკუთრივ მეტსახელებად (აფთარა, წიწმატა...); 2. საკუთრივ ანთროპონიმებად, რასაც ჩვენ პირველწოდებული (ინდიგენური) ანთროპონიმები ეუწოდეთ (კესანე, ენძელა, მაყვალა, ფოთოლა, ჩიტო); 3. კვაზიონიმებად (არწივი, აფთარი, ჩიტი...).

მეტსახელური სიტყვები უხვადაა გამოყენებული თვითწოდებისას. თვითწოდებით მიღებულ მეტსახელურ სიტყვებში გამოიყო ორი შრე: **ფსევდო-მეტსახელები** და **ფსევდო-კვაზიონიმები**. ორივე სახელდების ფუნქციას ასრულებს, მაგრამ მათ შორის ფორმობრივი სხვაობაა. მეტსახელი ანთროპონიმის სახეობაა, ამიტომ თვითწოდებისას მიღებულ მეტსახელებს უნდა ჰქონდეთ ონიმის ფორმა. საზოგადო სახელებისგან ანთროპონიმის ფორმის მიღება ხდება აფიქსებით. აქედან გამომდინარე, თვითწოდებით მიღებული სიტყვა ფსევდო-მეტსახელად, ძირითადად, ჩამოყალიბდება:

1) აფიქსების დართვით (წიწმატა, ცხვირა);

2) ძირეული სიტყვის ხმოვანფუძიანობის შემთხვევაში (ყუმბარა, ხოზიკა);

3) საკუთარი გვარების შემოკლებით.

საზოგადოდ, შემოკლებული გვარები მეტსახელებადაა ქცეული (ჩლაო, შუბა, გველესა, ჯობიკა...). თვითწოდებით მიღებული ამ ტიპის ფორმები ფსევდო-მეტსახელთა სტატუსს იღებენ: დოლი (დოლიძე), ლაღი (ლაღიძე), ტაბი (ტაბიძე), ბურთიკა (ბურთიკაშვილი)... აუსლაუტში ხმოვნის წყალობით.

III ფსევდო-კვაზიონიმები

ზოგადი მიმოხილვა. ფსევდო-მეტსახელთაგან განსხვავებით, ფსევდო-კვაზიონიმებად (რომლებიც ფსევდონიმთა ჯგუფში III რიგად გამოიყოფა) მივიჩნიეთ თვითწოდების ის ფორმები, რომელთაც არ აქვთ ონიმური სტრუქტურა, მაგრამ მაინც სახელდების ფუნქციითაა გამოყენებული. ასეთია ყველა თანხმოვანფუძიანი აპელატივი ნომინატივის ფორმით (აფთარი, არწივი, მახათი).

ფსევდო-მეტსახელები და ფსევდო-კვაზიონიმები ისეთივე ონიმური ერთეულებია, როგორიც ყოფითი, საზოგადოებრივი ურთიერთობით განპირობებული მეტსახელები თუ კვაზიონიმები. სხვაობა მათ შორის გამოყენებითი სივრცე და რქმევის წყაროა. თუ რქმევის მომენტი მოიცავს ორ მხარეს – დენოტატს და ნომინატორს (დეპენდენტს), საკუთრივ მეტსახელია (ან საკუთრივ კვაზიონიმია), მაგრამ, თუ დენოტატი და ნომინატორი ერთი და იგივე პირია, ანუ სახელდება თვითწოდებითაა მიღებული, ფსევდო-მეტსახელია (შესაბამისად, ფსევდო-კვაზიონიმია). მასალა, რომელსაც ჩვენ ვეყრდნობით („ფსევდონიმების ლექსიკონი"), ფსევდო-მეტსახელებით არ არის მდიდარი. აქ უფრო მეტსახელური ტიპის სიტყვებია დადასტურებული. ესენია სახელდების ფუნქციით გამოყენებული უაფიქსო თანხმოვანფუძიანი აპელატივები ნომინატივის ფორმით, რომლებიც ფსევდო-კვაზიონიმთა ჯგუფს მივაკუთვნეთ (აფთარი, არწივი, გადარეული). ფსევდო-მეტსახელებად კი მივიჩნიეთ თვითწოდებით მიღე-

ბული ხმოვანფუძიანი სიტყვები ან მაანთროპონიმებელი მორფემით წარმოქმნილი სიტყვები: **სევდია** (ნინო გოგოლაძე), **კოჟანდარა** (დავით დონდუა), **შხანკოლა** (ვალერიან ჭყონია), **ნახშირა** (მნაცაკან ისაკოვი), **ცხვირა** (ვარლამ რუხაძე), **ცვარა** (ბეგლარ აღამოვი), **ეშმაკუნა** (ვარლამ ხუროძე), **შავბიჭა** (ელადიმერ იაშვილი). ონიმურ ფუნქციას იძენენ აგრეთვე -ა-ფუძიანი პირველადი აპელატივები, რომლებიც გამოყენებულია სახელდების (ამ კონკრეტულ შემთხვევაში, თვითრქმევის) ფუნქციით: **მედუზა** (სიმონ გაჩეჩილაძე), **მიმოზა** (პაჭუ ჟორდანია), **ხოზიკა** (ელადიმერ ბერაძე), **ყუმბარა** (ალ. ქურიძე)...

ტერმინთა – ფსევდო-კვაზიონიმი და ფსევდო-მეტსახელი – ორთობრაშია. რატომ გამოვყავით ეს ორი სიტყვა დეფისით? ფსევდო ნიშნავს ცრუს. მეტსახელი კი, მით უმეტეს, კვაზიონიმი, თავისთავად ცრუ სახელია (არ არის საკუთრივ ანთროპონიმი). მათს ფუძეში მსაზღვრელ კომპონენტად გამოყენებული „**ფსევდო**“ სემანტიკურ სიჭარბეს მიიღებდა და დაკარგავდა ფუნქციას. კომპოზიტის ერთად დაწერილობის შემთხვევაში (**ფსევდომეტსახელი**) ფსევდო მიუთითებდა, რომ მისით განსაზღვრული სახელი, კერძოდ მეტსახელი, არ არის მეტსახელი, ანუ კომპონენტი **ფსევდო** უარყოფდა ფუძეში მისით განსაზღვრული სიტყვის მეტსახელობას, შესაბამისად, კვაზიონიმის კვაზიონიმობას, რაც უაზრობაში გადაგვიყვანდა. ვფიქრობთ, ამგვარი მსჯელობისაგან (რაც თავისთავად იბადება) გამოსავალი დეფისია. დეფისი ტოლადშერწყმულ სიტყვებად წარმოგვიდგენს მათ, რაც სინამდვილეშიც ასეა. რომელიმე სევდია, ნახშირა... მეტსახელებია, რითაც სახელს სდებენ დენოტატს. მეორე მხრივ, დასტურდება ამ სიტყვებით თვითწოდების შემთხვევებიც, რის შედეგადაც ის მეტსახელი ფსევდონიმიცაა. კომპოზიტი ფსევდო-მეტსახელი, დეფისით გამიჯნული, ხაზს უსვამს სწორედ მისით ნაგულვები სახელის მეტსახელობასაც და ფსევდონიმობასაც. იგივე ითქმის ფსევდო-კვაზიონიმზე. ასე რომ, ა. სუპერანსკაიას მიერ ჩამოთვლილი ფსევდოსახელების გაფართოებული წრიდან – псевдоимена, псевдоотчества, псевдопрозвища, псевдофамилии, псевдогеографические названия (სუპერ., 1969, 38) – უნდა გამოიყოს псевдопрозвища, რაც, ონომატი-

კურ-სემანტიკური თვალსაზრისით, არ უდრის დანარჩენებს, რადგან მეტსახელი ისედაც ფსევდოა როგორც ანთროპონიმი. თვითწოდებად გამოყენებული კი მეტსახელიცაა და ფსევდონიმიც, რაც რუსულ ენაშიც მისი, როგორც ტოლადშერწყმული სიტყვა-ტერმინის, დეფისით დაწერისაკენ გვიბიძგებს.

ა. ფსევდო-კვაზიონიმთა ჯგუფები (სქემა №1, 3)

ფსევდონიმი – ეს, ერთი შეხედვით, ეტიმოლოგიურად გამჭვირვალე ტერმინი, პრაქტიკულად იმდენად მრავალფეროვან მასალას მოიცავს, რომ მისი სტატუსით გამოყოფილი ერთეულები სემანტიკისა და ფორმის თვალსაზრისით, ზოგჯერ აჭარბებენ ამ სტატუსს. სახელდების ამ ოკაზიონალური ტიპის ფორმებით განსაკუთრებით გამოირჩევა ფსევდონიმთა კვაზიონიმური ჯგუფი, ჩვენ მიერ ფსევდო-კვაზიონიმებად სახელდებული. ფორმის თვალსაზრისით, ფსევდო-კვაზიონიმთა 5 ძირითადი ჯგუფი გამოიყო (სქემა №1, 3):

I **ერთსიტყვიანები;**

II **ორსიტყვიანები;**

III **ფრაზები;**

IV **ხელოვნური სიტყვები კვაზიონიმებად;**

V **არასიტყვობრივი ნიშნები.**

ამათგან სამი (I, II, III) ლექსიკური ერთეულებითაა გადმოცემული, ორი კი (IV, V) – არალექსიკურით. შევეხებით სათითაოდ.

I ერთსიტყვიანი ფსევდო-კვაზიონიმები

ფუძის მიხედვით სიტყვები იყოფა ორ ჯგუფად. ხმოვანდა თანხმოვანფუძიანებად. პირველადი წარმოების **ხმოვანფუძიანი** ერთსიტყვიანი ფსევდო-კვაზიონიმები თავისი მოქნილობით უფრო ონიმური ბუნებისაა (კოკანდარა, მედუზა), ხოლო ნომინატივის ფორმით წარმოდგენილი **თანხმოვანფუძიანი** ფსევდო-კვაზიონიმი ფორმითა და შინაარსით არ არის ონიმური ტიპი, მით უფრო, ონიმი (ამხანაგი, ასოთამწყობი, იმედი). თეითწოდებით შერჩეული ნომინატივის ფორმის თანხმოვანფუძიანი ფსევდო-კვაზიონიმები მეტსახელური სიტყვებია და არა მეტსახელე-

ბი. თვითწოდებისას გამოყენებული აპელატივები და ადიექტივები, იფარგლებიან რა დოკუმენტური სივრცით, რჩებიან აპელატივებად, ოღონდ სახელდების ფუნქციით, რაც უფრო მეტად გამოკვეთს მათს მოჩვენებით (კვაზი) ონიმობას.

ჩვენი დაკვირვებით, გარკვეულ სხვაობას ავლენს ფსევდო-კვაზიონიმებად წარმოდგენილი **ვინ** და **რა ჯგუფის** აღმნიშვნელი აპელატივები.

ვინ ჯგუფის აღმნიშვნელი აპელატივები, ფსევდო-კვაზიონიმად წარმოდგენილი, რომლებიც თავის თავში შეიცავენ ცნებას – ადამიანი, ძირითადად, თანხმოვანფუძიანი სახელებია და არ არიან ონიმიზაციისაკენ მიდრეკილი (აგრონომი, მეგობარი...). იგივე ითქმის თვითწოდებით არჩეულ **ვინ** ჯგუფის **ზოგიერთ** ხმოვანფუძიან აპელატივზე: **დამსწრე** (გიორგი ქქვთიმეს ძე წერეთელი), **რისხვა** (თომა ჩიქვანია), **მისტიფიკაცია** (დიომიდე კილაძე).

დასკვნა: ადამიანის ცნებასთან ადაპტირებული სიტყვა ონიმურ ფუნქციას ვერ იძენს, თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა.

ვინ ჯგუფთან ასოცირებული სიტყვები ფსევდო-კვაზიონიმებად (მაგალითები ის.: სქემა №7). ძირითადად, გამოიყო შემდეგი ჯგუფები, რომლებშიც იხატება დენოტატის:

1. საზოგადოებრივი მდგომარეობა სხვადასხვა ასპექტით;
2. სოციალური მდგომარეობა;
3. რისამე მიმდევრობა;
4. განწყობა და ხასიათი;
5. გარეგნობა;
6. წარმომაელობა;
7. გარდა ამისა, დასტურდება სახელდებისთვის უჩვეულო მეტყველების ნაწილები: არავინ, გარეშე, ეს ერთი...

რა ჯგუფის სიტყვები ფსევდო-კვაზიონიმებად (მაგალითები იხ. **სქემა №8**). **რა ჯგუფის** სიტყვები, თუნდაც არაონიმური ფორმისა, თავისი ბუნებით მახასიათებლები არიან და ადამიანთა სახელდებისას ეპითეტობას სწევენ. ამიტომ მეტსახელებად, კვაზიონიმებად უფრო სახელთა ეს ტიპი დომინირებს (ვიდრე ეინ ჯგუფის სიტყვები), მით უმეტეს, ფსევდო-კვაზიონიმებად.

რა ჯგუფის სიტყვებიდან სემანტიკური კრიტერიუმით, ძირითადად, გამოიყო:

1. ზოოფორული ფსევდო-კვაზიონიმები;

2. ფიტოფორული ფსევდო-კვაზიონიმები;

3. სხვადასხვა საგნის (კონკრეტული თუ აბსტრაქტული) აღმნიშვნელი ფსევდო-კვაზიონიმები.

II. ორსიტყვიანი ფსევდო-კვაზიონიმები (სინტაგმები) (სქემა №9)

ამ ჯგუფში გაერთიანებულია **სინტაგმები**, რომელთა საზღვრული აპელატივია და სემანტიკურად ერთსიტყვიან კვაზიონიმებს უტოლდება, მსაზღვრელად კი ატრიბუტული ან სუბსტანტიური მსაზღვრელია. ერთიანად ეს სინტაგმა ძალიან შორს დგას ონიმობისგან. ის უფრო პროზაული სტილის სახელდებაა. იგი რადიკალურად განსხვავდება ეპითეტიანი სახელისგან, რომელშიც ორივე კომპონენტი ონიმის ფუნქციითაა დატვირთული;

III ფრაზები (იხ. სქემა №9). კიდევ უფრო შორს დგას ონიმური მოდელისგან ხელმოწერები, რომლებიც, ფაქტობრივად, ფრაზებია. ამ სქემაზე (№9) წარმოდგენილი მასალა დავიმოწმეთ გ. მიქაძის ფსევდონიმთა ლექსიკონიდან. ვფიქრობთ, ზოგიერთი მათგანის თუნდაც ფსევდო-კვაზიონიმობა საეჭვოა. თუ ამ გზას გავყვებით, მაშინ ყველა ხელმოწერისას დაფიქსირებული ავტორის გრძნობა-განცდის გამომხატველი ფრაზა უნდა მივიჩნიოთ სახელდების რომელიმე სახეობად, რაც აბსურდია.

ბ. ფსევდო-კვაზიონიმთა არალექსიკური და არასიტყვობრივი ერთეულები (სქემა №1, 3, IV-V)

ონიმი სიტყვაა, მორფოლოგიური ოდენობაა, ბგერათა ის კომპლექსია, რომელიც ქმნის დასრულებულ ლექსიკურ ერთეულს. მას აქვს ლინგვისტური ფორმა და ეძლევა გარკვეული ენობრივი კვალიფიკაცია. ონიმი არ არის ბგერათა დესემანტიზებული გროვა. ყველა მათგანი გაჩენისთანავე, გარკვეულწილად, სემანტიზებული იყო. ამას ადასტურებს ბიბლიურ სახელთა ფონ-

დი. დროთა განმავლობაში ონიმში იჩრდილებოდა შინაარსი, რადგან მისი პრაქტიკული დანიშნულება ოდენ სახელდება იყო. სემანტიკის დაბინდვას იწვევდა ონიმის გამოყენების გეოგრაფიული სივრცე და დროის ფაქტორი. რაც უფრო სცილდებოდა ესა თუ ის სახელი თავის გაჩენის ადგილსა და დროს, მით უფრო კარგავდა იგი სემანტიკასა და პირველფორმას. მიუხედავად ამისა, ერთი შეხედვით შინაარსდაცლილი სახელები (მხედველობაში გვაქვს, მაგალითად, ბიბლიური სახელები) ინარჩუნებდნენ სიტყვიერობას, სიტყვიერ გარსს და შესაბამისი კანონიკური მოდელით მკვიდრდებოდნენ ამა თუ იმ ენაში. მართალია, დღეს ჩვენთვის უცნობია ზოგიერთი ონიმის სემანტიკა, მაგრამ ისინი ისტორიული თუ ენობრივი ქვეცნობიერებით ვრცელდება ხალხში, რადგან აღიქმებიან სიტყვებად, ანუ იმად, რაც არიან. ასეა საზოგადო სახელთა სფეროშიც. ჩვენ არ ვიცით, რატომ ეწოდა სკამს სკამი, მთას – მთა, მაგრამ ვიცით, რა არის სკამი, რა არის მთა, თუმცა ეს ყოველივე არ ნიშნავს იმას, რომ რომელიმე უშინაარსო სიტყვას, ბგერათა ნებისმიერ კომპლექსს თუ ასო-ბგერას, რაც კი შეიძლება სახელდებისთვის გარკვეული მიზნით გამოიყენოს ადამიანის ფანტაზიამ, ონიმის სტატუსი მიეცეს. გამონაკლისია გარკვეული სახის მარცვალთნაერთი, რომელიც თითქოს უშინაარსოა, მაგრამ პოტენციურად ონიმური ოდენობისაა, გარკვეული ემოციური დატვირთვით. ამ ტიპის ონიმებია: ორი ერთნაირი თუ სხვადასხვა მარცვლის ნაერთი: ბაკო, ბუკა, კუკა, ბაჩი, ბიბი, ბუბა, ბუბუ, ჩიჩი, ჩუკა, ტუკა...

მიუხედავად ზემოთ ნათქვამისა, რეალურად დასტურდება სახელდების არარეალური სახეები. ესენია:

1. არაენობრივი, არალექსიკური „სიტყვები" (ხელოვნური სიტყვები);

2. არასიტყვობრივი ერთეულები.

მათ შორის სხვაობა ისაა, რომ **პირველი ჯგუფი,** მიუხედავად ენობრივი თვალსაზრისით არარეალური ოდენობისა, ფორმით ინარჩუნებს სიტყვიერობას, სიტყვისთვის დამახასიათებელ გარსს. მაგრამ ისინი არ არიან სიტყვები, არიან კვაზისიტყვები. რქმევის ამ ტიპის **მეორე სახეობა** ვერ ყალიბდება სიტყვად, არ არის სიტყვა. ამ ორ სახეობას შორის საერთო ისაა,

რომ ორივე ტიპი ხელოვნურია. ისინი არ წარმოადგენენ მეტყველების ნაწილებს, არ მიეკუთვნებიან ენის ამოუწურავ ლექსიკურ მარაგს, მაგრამ მაინც არსებობენ და ქმნიან, შეიძლება ითქვას, ენის არალექსიკურ ფონდს. ისინი გამოიყენებიან სახელდების ფუნქციით და ამიტომ კვაზიონიმთა (მისი არალექსიკური სახეობის) რიგში შევიტანეთ. ასეთ ხელოვნურ „სახელთა“ შექმნის პირობა არ არის ადამიანთა შორის ურთიერთმიმართება, რაც წარმოშობს მეტსახელებს, ეპითეტიან ონიმებს, თუნდაც კვაზიონიმებს. ისინი თვითწოდების შედეგად იქმნებიან. **განსაკუთრებული არაპრაგმატულობით გამოირჩევა მეორე რიგი — არასიტყვობრივი ერთეულები.** მათი შექმნისა და გამოყენების სიერცე მხოლოდ დოკუმენტურია, ისიც გაუხმოვანებელი (წარმოთქმაში ვერგამოსაყენებელი) ხელმოწერებია, რადგან, ძირითადად, წარმოადგენენ:

ა) **ცალკეულ ასოს თუ ასოებს** (რაც არ ქმნის სიტყვას);

ბ) **მათემატიკურ სიმბოლურ** აღმნიშვნელებს.

1. ფსევდო-კვაზიონიმთა არალექსიკური (ხელოვნური ფორმების) ჯგუფი — კვაზისიტყვები (სქემა №10)

ესაა ხელოვნურად შეკოწიწებული კვაზი სიტყვები, რომლებშიც ხშირად გამოყენებულია დეფისი, წერტილი... და სხვა ნიშნულები. ესენი სამი მოდელით გეხვდება: 1. სახელებად, 2. გვარებად — რომლებიც მეტსახელებად აღიქმებიან და 3. სახელ-გვარის ფორმით. მათი მიღების ნაირი გზიდან, რასაც ეხება გ. მიქაძე, გამოვყოფთ რამდენიმე ჯგუფს, რომლებიც გარკვეულ სიტყვიერ გარსად აღიქმება:

1. ასოთა ან მარცვალთა გადასმა;

2. ინიციალების ან სახელ-გვარის შემადგენელი ასოებისგან მიღებულ-შეკოწიწებული კვაზი სიტყვა;

3. უკუღმა დაწერილი სახელ-გვარი;

4. სახელ-გვარის ან მხოლოდ ერთი მათგანის **ინიციალის** სრული დასახელებით მიღებული სიტყვა-სახელები;

P. S. აქ ჩამოთვლილი ოთხივე გზით მიღებული ერთეული ანაგრამაა.

5. სახელ-გვარიდან ან მხოლოდ ერთი მათგანის მარცვლებით შედგენილი სიტყვები, რომელთაგან ზოგს კომპოზიტის სახე აქვს;

6. პოლიონიმები (კომპოზიტური სტრუქტურით);

7. გვარიდან ან სახელიდან მიღებული ორკომპონენტიანი ფორმულები. გვარის (ან სახელის) ანლაუტი – სახელის ინიციალად, დანარჩენი – გვარად.

2. სახელდების არასიტყვობრივი ერთეულები (სქემა №11)

აქ შემოგვაქვს არატიპური ხელმოწერები: ა) ინიციალები, ბ) სხვადასხვა სახის ნიშნები (მათემატიკური, ორთოგრაფიული...), გ) ანთროპონიმთა გრაფემებამდე დაყვანილი შემოკლებანი, სადაც გრაფემები ერთმანეთისგან გამოყოფილია ან, უბრალოდ, ახლავს წერტილები, დეფისები... სახელდების ყველა ეს შემთხვევა რეალურად არსებობს. ისინი ენაცვლებიან დენოტატის ანთროპონიმებს, მაგრამ წმინდა დოკუმენტური ხასიათის აღმნიშვნელებად რჩებიან. ამ არასიტყვიერ ონიმნაცვლებს უნდა მიეცეს შესაბამისი კვალიფიკაცია და ეწოდოს თავისი სახელი. ბუნებრივია, ესენი ვერ იქნებიან კვაზი **ონიმები**, თვითწოდებისას კი – ფსევდო-კვაზიონიმები, რადგან ეს არასიტყვიერი ერთეულები **გრაფემებია** (ბერძ. grapho „წერითი მეტყველების უმცირესი ნიშნადი ერთეული“. შეესაბამება ზეპირი მეტყველების ფონემას) და **გრამებია** (ბერძ. gramma „ასო, ხაზი, ჩანაწერი“) და არა ონიმები. **ამგვარ ხელმოწერებს პირობითად ვუწოდეთ კრიპტოგრამები (ან კრიპტოგრაფემები)**. მაგრამ, რადგან მათ თვითაღმნიშნელის ფუნქციით იყენებენ, ფსევდო-კვაზინომთა რიგში შევიტანეთ. კრიპტოგრაფული ხელმოწერები საკმაოდ ბევრი და მრავალფეროვანია. ძირითადად, ორი ჯგუფი გამოვყავით: I. **არაანბანური კრიპტოგრამები** (ნიშნულებიანი კრიპტოგრამები). აქ თავმოყრილია ნიშნები – მათემატიკური, პუნქტუაციური, ვარსკვლავური, ძველი ქართული ენის გრაფემები, ავტორის მიერ ნიშნებად გამოყენებული; II. **ანბანური კრიპტოგრაფები**, რომელშიც. ძირითადად, ორი ტიპის ხელმოწერა გაერთიანდა:

ა) ოდენგრაფემული (ასოებრივი) – დენოტატის ანთროპონიმული ფორმულის მიხედვით;

ბ) ანთროპონიმული ფორმულის კომპონენტთა მარცელოვან-გრაფემული ერთეულები. ამათგან:


1. კრიპტოგრამის ბოლო კომპონენტი (დეფისით გამოყოფილი) გვარის ან სახელის ინდიკატორია;

2. კრიპტოგრამა არატიპური დაბოლოებით (-ისა, -სი, -საგან და სხვა).

როგორც ვხედავთ, კრიპტოგრამები მკვეთრად გამორჩეული ჯგუფია და თავისი არალექსიკურობით მკაფიოდ ემიჯნება ფსევდო ონიმთა მთელ სისტემას – (სქემა №1, 3, V).

ს. როსპონდის თქმით, კლასიფიკაცია უნდა გამოირჩეოდეს ერთიანი პრინციპით და ამომწურავად მოიცავდეს, იტევდეს მთელ მონაცემებს. მაგრამ ტოპოროვის მიერ მისი (როსპონდის) და სხვათა კლასიფიკაციის განხილვიდან ჩანს, რომ ეს საკმაოდ რთულია (Топоров, 1963, 76). სირთულის კოეფიციენტი უფრო მეტად იზრდება, რაც უფრო მრავალფეროვანია მასალა. ფსევდონიმთა წარმოების გზები კი ადამიანის ფანტაზიასთანაა დაკავშირებული. განსაკუთრებით ამოუწურავია ფსევდონიმთა ფორმები. აქედან გამომდინარე, ფსევდონიმთა კლასიფიკაციის სქემატური მონაცემები კიდევ შეიძლება გაიზარდოს. მაგ„ სახელში მარცვალთჩამატებითაა მიღებული საფამფსოფონიფი (სამსონ ყიფიანი)... ამ ტიპის ფსევდონიმთა იშვიათობის გამო მისთვის საგანგებო ჯგუფი არ გამოგვიყვია, თუმცა შეიძლება მოერგოს აქ წარმოდგენილ რომელიმე ჯგუფს. ერთ-ერთი აეტორი წერს: „მიზეზები, რომლებსაც მწერლები მიმართავენ ფსევდონიმების ან პიროვნების შენიღბვისაკენ, ისევე მრავალფეროვანია, როგორც ადამიანთა ბუნება“ (ვუდმორპე, 2002, 23). უფრო მეტიც, იგი დასძენს, რომ „შესაძლებელია კლასიფიკაციის გვარიანად იგნორირებაო“. ჩვენ მაქსიმალურად ვეცადეთ, გაგვეანალიზებინა (ქვეჯგუფების გამოყოფითაც) მეორე სახელთა სისტემა და მათში თავმოყრილი მრავალფეროვანი მასალა, შეგვედგინა შესაბამისი კლასიფიკაციები, მაგრამ ბუნებრივი და საყარაუდოა მათი ახალი ვარიანტებითა და საკლასიფიკაციო კრიტერიუმებით შევსებაც, რის შესაძლებლობასაც იძლევა არსებული ნაირფეროვანი ფსევდო ფორმები.

სქემა №1


მეორე სახელები
ფსევდოსახელთა ტიპები
1. ფსევდონიმები
2. ფსევდო-მეტსახელები
3. ფსევდო-კვაზიონიმები
* საკუთრივ ონიმური მოდელი
** ეპითეტ-ფსევდონიმები (ორსიტყვიანი)
გამოიხატება
A. ანთროპონიმით
B. გვარით
C. სახელ-გვარით
ერთსიტყვიანები
რომელშიც ფსევდონიმია
I სახელი
II გვარი
III სახელი და გვარი
ა. ტრადიციული ფორმა
ბ. ხელოვნური სიტყვები
ლექსიკური ერთეულებით გადმოცემული
არალექსიკური ერთეულებით გადმოცემული
I ერთსიტყვიანი
II ორსიტყვიანი
III მეტსიტყვიანი/ წრაზები
IV ხელოვნური სიტყვები
V არასიტყვობრივი ნიშნები (კრიპტოგრამები)
რა ჯგუფი
ვინ ჯგუფი

ᲔᲠᲗᲡᲘᲢᲧᲕᲘᲐᲜᲘ ᲛᲡᲔᲕᲓᲠᲝᲜᲘᲛᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲘᲕ ᲐᲜᲗᲠᲝᲞᲝᲜᲘᲛᲣᲚᲘ ᲛᲝᲓᲔᲚᲘ

1	2	3	4	5	6
ბეჭანი (მულიტონ პერაშვილი) **ალმასხან** (პოლიეექტოს კალანდაძე) **ჰაატა** (მიხეილ ნასიძე) **ონისიმე** (ნოე ქურიძე) **ვალენტინი** (სეეურიან ჯულელი) **თვანიკა** (შალვა ჯანბურიძე) **კობა** (იოსებ ჯუღაშვილი) **ბერიკა** (დავით ნახუცრიშვილი)	**სიუზანა, ზაირა,** **მაყვალა** (სეზმან ბატკუაშვილი) **ნატო** (გრიგოლ წულუკიძე) **მელანია** (ნიკოლოზ ნათიძე) **ტორე** (ავროორა დიუდეევანი) **ლუბა** (კირილი მოსეშვილი) **ჯორჯ** ულიოტი (მერი-ენ ეევანსი)	**Виктор** (ჭ. ლომთათიძე) **Sandro** (სანდრო შანშიაშვილი **Solomon** (სოლომონ ყუბანეიშვილი) **Basille** (ვასილ ბიბილაშვილი)	**მარიჯან** (მარიამ ალექსიძე) **ქოწო** (ქაიხოსრო ყიფიანი) **სიკო** (იოსებ იმედაშვილი) **შარლი** (შალვა გაჩეჩილაძე) **სიპიტო** (სიმონ გაჩეჩილაძე) **პეტრუზა** (პეტრე ახალკაცი) **ანდრონიკო** (კონსტანტინე ანდრონიკაშვილი) **თედო - ია** (თედო სახოკია) **ვალიკო - ია** (ეალერიან გუნია)	**დონ-კიხოტი** (მ. გოგიაშვილი) **დონ-ბაზილიო** (ვ. პატარაია) **რიგოლეტო** (ი. ევდოშვილი) **ამირანი** (პ. გოგუა) **ოსმან-ალა** (ს. ჭეიშვილი) **გარდანქეშანი** (ს. შანშიაშვილი) **დონ-ჟუანი** (ი. გრიშაშვილი) **ტარზანი** (ს. ბატკუაშვილი) **ბრუტუსი** (ქრისტეფორე რაჭველიშვილი)	ა **ოქროპირ** (ოქროპირ ბაგრატიონი) **ამირანი** (ამირან შერვაშიძე) **სამსონი** (სამსონ ფირცხალავა) **პლატონ** (პლატონ ცქიტიშვილი) **ირაკლი** (ირაკლი გოგოლაძე) ბ **სილოვანი** (სილოვან ხუნდაძე) **სეზმანი** (სეზმან ბატკოშვილი)


სქემა №3

B. ოდენგვარული ზსევდონიმები

1	2	3	4
პართენაშვილი (იოსებ გიორგის ძე ირემაშვილი) გუჭიტაშვილი (ივანე ბობოხიძე) გორგასლიძე (სერგი გიორგაძე)	კლაიჯღოვი (პაელე ბაღოშვილი) მანოელიძე (არტემ ახნახაროვი) ვოლტერი (მარი ფრანსუა არე) დიოგენი (პეტრე ჩხაიძე) აჩკასოვი (ილია სადოფიევი)	დესპანიშვილი (ბიკენტი ლომთათიძე) გლეხისშვილი (დავით ნახუცრიშვილი, სოლომონ ცაიშვილი) სიმართლიშვილი (დავით ბაღდაეაძე) მართალაძე (გრიგოლ წინამძღვრიშვილი) ვარდოშვილი (ხარიტონ ნიკოლაიშვილი) მუშიშვილი (გრიგოლ ხოფერია)	ბეგლარიძე (ბეგლარ აღამოვი) ბოროვიჩი (ბორის ფილკენშტეინი) ილინი (ილია მარშაკი) ნატალიაშვილი (მელიტონ გობერია)

სქემა №4


C. II. a. ფსევდოგვარები სტრუქტურული გზით გვარის ფორმიდან → გვარის ფორმამდე



1	2	3	4
ყეშაპელი გრიგოლ (გრ. ყეშაპიძე) ნადირაძე გიორგი (გ. ნადირაშვილი) ბარნოვი ვასილი (ბარნაველი ვ.) მათიკაური ნ. (ნ. მათიკაშვილი) დ. ხუროძე (დ. ხუროშვილი) პ. პეტრენკო (პ. პეტრიაშვილი) მიშა დავიდოვი (მ. დავითაშვილი) ს. ხვიჩიშვილი (სპ. ხვიჩია) მ. ხუდადოშვილი (მ. ხუდადოვი)	გაგაშელი ვ. (ივ. გაგაშელაშვილი) დარასელი ვ. (ვ. დარასელია) ქუთათელი ალ. (ალ. ქუთათელაძე) შენგელი შალვა (შ. შენგელია) საგანელი გ. (გ. საგანელიძე) გრ. ჯაფარი (გრ. ჯაფარიძე) ს. დადია (ს. დადიანი)	გ. ბერიძე (გ. შალამბერიძე) სარიძე (ტრ. ინასარიძე) გ. თაგზიშვილი (გ. თაქსარაშვილი)	ალ. გოჭორიშვილი (ალ. ბოჭორიშვილი) დ. კაზაროვი (ყაზაროვი დავით) ოქროშიძე (ოყრეშიძე) კოჩლავაშვილი (კოჭლავაშვილი)


სქემა №5

C. II. a _ ზსეედოგეარები სტრუქტურულ-სემანტიკური გზით




სქემა №6

C. III. ზსეჟდო სახელ-გვარი



სქემა №7


ვინ ჯგუფის აღმნიშვნელი სიტყვები ფსევდო-კვაზიონიმებად[1]



[1] არ აქვს მნიშვნელობა, სიტყვები უშუალოდ პირის მახასიათებლებია, თუ ფსეუდონიმები.


სქემა №8

რა ჯგუფის ამოცანებში შედის კვაზიონიმებად



სქემა №9

ფსევდო-კვაზიონიმთა ორი ჯგუფი



[1] „ფსევდონიმთა ლექსიკონში“ ფსევდონიმებად დასახელებული ამ ერთეულთა ფსევდონიმობა(ონიმობა) გადასასინჯია.


სქემა №10

ფსევდო-კეაზიორნიმთა ხელოვნური ფორმების ჯგუფი

I	II	III	IV	V	VI
დოთე (თედო რაზიკაშვილი) გრამენ (გერმანე გიორგაძე) დადა (ვაჟა ფშაველა) ტონკმელი (მელიტონ კელენჯერიძე) ნილომ (ნიკო მერაბის ძე ლორთქიფანიძე)	ღმაჭ (გენერალ-მაიორი ალექსანდრე ჭაკვეტაძე) გსი (იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილი) დრობა (დიმიტრი ბოცერია) შამბი (შ. ამირეჯიბი)	ალგოგ (გიგლა მებუკე) ესომ, ესმო (მოსე ჯანაშვილი) ნილოპა (აპოლონ წულაძე) ენაგი ინასოლინ (იოანე წილოსანი) ტარბაგ ფოტუანარა (ბაგრატ არნუტოვი) რ. ოდეთ (თედო რაზიკაშვილი) ჭ. უმბაზე (ა. ჯუმბაზე) ფ. ადური (ვანო შადური) ქ. ალაძე (რ. კალაძე) ჭ. ოლია (ჭოლა ლომთათიძე) მ. ამია (მამია ორახელაშვილი) მ. ადლი (მ. ჯავახიშვილი//მადლი)	ერლი (ერთაწმინდელი) არ-გი (არნაუტოვი ბაგრატ) გი-გი (გიორგი ბოკერია) ფა-ლი (იასონ ყანაშვილი) ნილომ (ნ. ლორთქიფანიძე) არკო (არჩილ კოკილაშვილი) ნიგა (ნინა გალავანოვა) რაფკალი (რაფიელ კალაძე) ფლადონი (ელ. დონაძე) ნაშა (ნაეთლულელი შაქრო) ფდ-ინ (ეფგნატე ინგოროყვა) ფასკაჭი (ეასიელ კაჭარავა) ბოშა (ბორდო შაყდია) შო-ბე (შოთა ბერიძე) რო-ნი (როსტომ მაჭავარიანი) გა-ლი (ვ. მეალობლიშვილი) ლე-და (ლ. დადეშქელიანი) შოგრი (სოსო გრიშაშვილი) ბო-პანი (პანტ. ბოჭორიშილი) ინ-მამი (იეანე ნიკოლოზის ძე მაჭავარიანი)	სანი (ანდრო სირაურიძე) დონი (დავით ნაცელიშვილი) განი (გიორგი ლასხიშვილი) ნარი (ნოე ჟორდანია) რანქანი (რომდიონ ქორქია) ფინგანი (ეალერიან გუნია) ფინლან (ეიქტორ კუპრაძე) ემბე (მიხ. ბებუთაშვილი) გან-მანი (გრ. მაჭავარიანი) დონ-ენი (დავით ერისთავი) ანფანი (ანტ. ჟორჟოლიანი) უნმინი (ე. ნახუნაშვილი) ანგანი (ანდღულაძე გერმანე) ნარ-ქანი (ნ. ქამუშაძე)	პოლიონიქები: აგ-სომ-ჯოლი (აკაკი ბელიაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, ნიკოლოზ ჩაჩავა) სან-ინ-ფონი (სანდრო შანშიაშვილი, იოსებ მჭედლიშვილი, ეალერიან გუნია)

სქემა №11

ფსევდო-კვაზიეონიმთა კრიპტოგრამების ჯგუფი



§5 ორმაგი სახელდების ტიპები

ზოგადი მიმოხილვა. სახელებში ორი სისტემა გამოიყო: **მონაცვლე სახელები** (საკუთრივ ანთროპონიმი, მეტსახელი, კვაზიონიმი, ფსევდონიმი) და ორმაგი სახელდება. თავის მხრივ, **ორმაგ სახელდებაშიც** გამოიკვეთა ორი სახეობა.

I. ერთსიტყვიანი კომპოზიტები; II. ორსიტყვიანი სახელდება.

ერთსიტყვიანი კომპოზიტი – ესაა ერთი პირის აღმნიშვნელი ტოლად შერწყმული ორი ანთროპონიმი (სულხან-საბა, იოანე-პაელე, იოანე-ზოსიმე). დღევანდელი ყოფიდან ორ მაგალითს დავასახელებთ: **ანა-მარია, ლაშა-გიორგი** (ბერძნული მითოლოგიიდან: **ათენა-პალადა**...).

სახელდების **ორსიტყვიანი** ფორმებიდან იკვეთება სამი ჯგუფი, მათგან ორი ჯგუფი არ შეესატყვისება ორმაგი სახელდების ტიპებს, არამედ **კვაზიონიმებია, ესენია:**

1. ორსიტყვიანი სახელდება, რომელიც არ შეიცავს ანთროპონიმს – ეს ტიპი **არ** წარმოადგენს ორმაგ სახელდებას, უბრალოდ, ორსიტყვიანია. გავიხსენოთ: ორსიტყვიანი სახელდების აპელატივთა ან ადიექტივ-აპელატივის მსაზღვრელ-საზღვრულის (და არა ეპითეტიან სახელთა) წყვილი: ანგარების გუდა, დათვის აზნაური, მთის შეიხი, მუხრანის ციცინათელა, ცათა სწორი, ჭოეთის ჭოტი (ლევან გოთუა, „გმირთა ვარამი"), ხნიერი ბერწი (უიარაღო), საელიობო თხა(გ. წერეთელი)... ესენი კვაზიონიმთა ერთი სახეობაა (ერთცნებიანი სემანტიკით).

2. კვაზიონიმია ასევე ის ორსიტყვიანი სახელდება, რომელიც შეიცავს ანთროპონიმს, მაგრამ ეს ანთროპონიმი ეკუთვნის სხვა პირს, ვისთან მიმართებითაც ხდება დენოტატის (ანუ სახელდებულის, ნომინაციის ობიექტის) სახელდება. მაგალითად: ჯოტოს მამა (ლ. ქიაჩელი, „მთის კაცი"); ბადოს ბიჭი (ს. მგალობლიშვილი, „წარსულიდან"). აქ ჯოტო, ბადო არ არის დენოტატის სახელები.

3. ორსიტყვიანი სახელდება, რომელთა **ერთი კომპონენტი თვით სახელდებული პირის ანთროპონიმია, უკვე ორმაგი სახელდებაა. ამ ტიპის ორსიტყვიანი სინტაგმა ეპითეტიანი სახე-**

ლია, რადგან ორსიტყვიანი სახელდების ანთროპონიმი თვით დენოტატის სახელია (მუნჯი ბაჩუა, არსენა მარაბდელი, მიშკა-კამარინსკი).

ორმაგი სახელდების საყოველთაოდ მიღებული სახეა ეპითეტიანი საკუთარი სახელები (რადგან ლაშა-გიორგის ტიპი უფრო იშვიათია).

ეპითეტიანი საკუთარი სახელები

ეპითეტიანი საკუთარი სახელი ორ- (ან სამ-) კომპონენტიანია. ეპითეტი აღწერითი სახელია ან აპელატივია, მაგრამ საკუთრივ ანთროპონიმთან ხმარებისას ინდივიდუალიზდება. ანთროპონიმული ფორმულის განუყოფელ კომპონენტად ქცეული ეპითეტი არა მხოლოდ აკონკრეტებს ანთროპონიმით სახელდებულ პირს, ანუ ხელს უწყობს ანთროპონიმის შემდგომ ინდივიდუალიზებას, არამედ თავადაც განიცდის ინდივიდუალიზებას, გაონიმებას. ამის შესანიშნავი მაგალითია ლაშა-გიორგი. ამ სახელში ეპითეტი ლაშა(=მანათობელი) დროთა განმავლობაში ონიმად იქცა. გაონიმებული ეპითეტებია: აღმაშენებელი, გორგასალი... მხოლოდ სახელზე ეპითეტის დართვისას წარმოგვიდგება ნაცნობი ისტორიული, ლიტერატურული თუ სხვა პირთა სახეები. მაგალითად, **დავით წინასწარმეტყველი, სოლომონ ბრძენი, რევ მართალი, მურვან ყრუ, ბაგრატ რეგვენი, აგ-გიორგი, სოსია მეწისქვილე, ბაბაჭუა ფეიქარი, როსტომ მეჯიხურე, მუნჯი ბაჩუა, მიშკა კამარინსკი** და მისი ტიპის წყვილები გაცილებით შთამბეჭდავია, ვიდრე ცალკე აღებული დავით, სოლომონ, მურვან, ბაგრატ, როსტომა, ფირუზა, მიშკა... ვერ ქმნიან კონკრეტული პიროვნების პროფილს. ეს ფაქტი ადასტურებს თვით ეპითეტის სუბსტანტივობას, ინდივიდუალიზებას. ამიტომაც მივაკუთვნეთ ეპითეტიანი სახელები ორმაგი სახელდების ჯგუფს (სულხან-საბას ტიპს).

ადარნასე ბრმა – ამ ორმაგი სახელის განუყოფელი კომპონენტია ეპითეტი ბრმა. თუ ეპითეტს არ ვახსენებთ, გაუგებარი იქნება, კონკრეტულად რომელ ადარნასეზეა ლაპარაკი:

ადარნასე პატრიკზე, ადარნასე კურაპალატზე, ადარნასე ერისთავთერისთავზე თუ სხვაზე. ამიტომ ეპითეტიან სახელებში უნდა დავინახოთ არა ცალკეული კომპონენტები, არამედ მას უნდა შევხედოთ როგორც ერთ მთლიან, დასრულებულ სახელს, ერთ ოდენობას. ანთროპონიმი ადამიანს გამოყოფს ინდივიდუალურ პირად, მაგრამ ხშირად საპირისპირო ვითარება გვაქვს — საკუთრივ ანთროპონიმები საგვარეულო, მემკვიდრეობით სახელებადაც იქცევიან ხოლმე, რის გამოც საკუთარ სახელს ეცლება განმასხვავებლობითი ძალა. საიდენტიფიკაციო ფუნქციას კი ამ დროს იძენს ეპითეტი. **ამიტომ არის ეპითეტი ზოგ შემთხვევაში, თუ შეიძლება ასე განვოთქვათ — ონიმზე მეტი ონიმი.**

ერთსახელიანობით გამოირჩევა საქართველოს (ისე როგორც სხვა ქვეყნების) სამეფო თუ საეკლესიო დინასტია. საქართველოს სამეფო დინასტიაში ბევრი გიორგი და დავითია ცნობილი, თითოეული მათგანი სხვადასხვა ლიტერატურულ წყაროებშიცაა პერსონაჟად დამოწმებული. გიორგი და დავითი თითქოს სამეფო დინასტიის ერთ-ერთ საგვარეულო სახელად იქცა, რაც ამ სახელებს ერთგვარად უკარგავს დისტინქციურ ფუნქციას, რის შედეგადაც თითქოს გვარსაც უტოლდებიან. ამასთან, მრავალ დავითსა და გიორგის ბაგრატიონობაც აერთიანებს. ამ დროს კონკრეტიზაციის როლი ეკისრება ისევ და ისევ ეპითეტს, რომლის ფუნქციას ასრულებენ რიგობითი რიცხვითი სახელები: პირველი, მეორე, მესამე... ან ზედსართავი სახელები: დიდი, მცირე, ბრწყინვალე... რიგობით რიცხვით სახელებს რომ ონიმური ფუნქცია ეკისრებათ, კარგად ჩანს ერთი და იმავე პირის სახელდებიდანაც: გაერთიანებული საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი მერვე 1466 წელს გახდა კახეთის მეფე და დაერქვა გიორგი პირველი.

ზოგჯერ ერთი ეპითეტი არ არის საკმარისი ამა თუ იმ პიროვნების დასამოწმებლად, ე.ი. ეპითეტიანი სახელიც კარგავს განმასხვავებლობითსა და ინდივიდუალიზების ფუნქციას, რაც არ უნდა ახასიათებდეს პირის სახელს, მით უმეტეს, ეპითეტიანს. თვით რიგობითობის აღმნიშვნელი სიტყვა-ონიმიც კარგავს დისტინქციურობას. მაგალითად, საქართველოს ისტო-

რიაში ცნობილია რამდენიმე – დავით პირველი, დავით მეორე, დავით მესამე, დავით მეოთხე, ამიტომ სახელდების ფორმულაში ჩნდება მეორე ეპითეტი ან წოდების აღმნიშვნელი სიტყვა. მაგალითად, **დავით პირველი**: დავით პირველი კურაპალატი (876-881), დავით პირველი მამფალი (943 წ.), დავით პირველი კახეთის მეფე (1601-2წწ.); **დავით მეორე**: დავით მეორე ერსთავთერისთავი (908 წ.), დავით მეორე ქართველთა მეფე (928-37 წწ.), დავით მეორე იმერეთის მეფე (1784-89 წწ.), **დავით მესამე**: დავით მესამე ერისთავი (922 წ.), დავით მესამე კურაპალატი (978-1001). იგივე ითქმის **გიორგი ჰირველზე**: გიორგი I – აფხაზთა და ქართველთა მეფე (XI ს.) და გიორგი I კახეთის მეფე (XVს.); გიორგი II – აფხაზთა და ქართველთა მეფე (XIს.) და გიორგი II კახეთის მეფე (XXI ს.), რომლის უფრო ზუსტი საიდენტიფიკაციო სახელია აე-გიორგი (ისევდაისევ ეპითეტიანი სახელი). საერთოდ, საიდენტიფიკაციო ფუნქციას უფრო აპელატივ-ადიექტივი ახდენს (თუკი ამ ტიპის ეპითეტით სახელდებულია პირი), ვიდრე რიგობითი რიცხვითი სახელი. ნუ ეპითეტიანი სახელი, ფორმულით ანთროპონიმი + რიგობითი რიცხვითი სახელი ზოგჯერ არ არის საკმარისი პიროვნების ინდივიდუალიზაციისათვის. რა თქმა უნდა, პირის ინდივიდუალიზაციის პროცესს განაპირობებს პიროვნების პოპულარობაც. სანიმუშოდ ავიღოთ გიორგი III. ეს სახელი დამატებითი ეპითეტის გარეშეც გულისხმობს საქართველოს მეფეს, თამარის მამას, გიორგი III-ს, ხოლო, რაც შეეხება იმერეთის მეფეს, გიორგი III-ს (ზოგადი საუბრის დროს, ე.ი. თუ იმერეთის მეფეებზე არა გვაქვს საუბარი), მას სჭირდება დამატებითი მსაზღვრელ-საზღვრულიანი სინტაგმის (ამ შემთხვევაში – „იმერეთის მეფე“) დართვა დენოტატის კონკრეტიზაციის მიზნით. იგივე შეიძლება ითქვას სხვა საგვარეულო სამეფო სახელებზეც. მეორე მხრივ, ეპითეტის ონიმიზაცია ხშირად განაპირობებს ანთროპონიმოის სტატუსით, მათს დამოუკიდებლად ხმარებასაც. მაგალითად, ქველი, ნარინი, ულუ...

მსგავს შემთხვევებს ეხვდებით საეკლესიო დინასტიაშიც. საეკლესიო მოღვაწეთა სახელებს ხშირად ჩვეულებრივ ეპითეტად ერთვის აპელატივები: წმიდა, მამა (ამბა), ნეტარი, დაყუდე-

ბული, მოწამე... ეს ეპითეტები ლოკალურ შეზღუდვებს არ ექვემდებარებიან. ეპითეტიანი (ანუ ორმაგი) სახელების ტრადიცია უძველესი დროიდან მოდის. ქართული ლიტერატურის ძეგლებში **დამოწმებულია ბიბლიური წიგნების თარგმანიდან ცნობილი ათობით** ეპითეტიანი სახელი: იოსებ დიდი, წმინდა ნინო, არტემი მთაფოლო, აბესალომ ოქროსთმოსანი, იოანე ნათლისმცემელი, პაველე მოციქული, მარიამ ღვთისმშობელი, მარიამ მაგდალინელი, მოსე წინასწარმეტყველი, გრიგოლ საკვირველთმოქმედი, გრიგოლ ღვთისმეტყველი, დავით წინასწარმეტყველი, სოლომონ ბრძენი, ანდრია პირველწოდებული, ურწმუნო თომა... სწორედ ეპითეტებით განირჩევა ერთმანეთისაგან სხვადასხვა სასულიერო ისტორიული პიროვნება, სახელით ბასილი: ბასილი მონაზონი, ბასილი მთაწმინდელი, ბასილი ჭყონდიდელი (უამთააღმწერელი) და ბასილი ეზოსმოძღვარი (ბასილი ეზოსმოძღვარი, „ცხოვრება თამარისი“).

ყოველივე ზემოთ თქმულიდან იკვეთება ეპითეტის, როგორც ანთროპონიმული ფორმულის შემადგენელი კომპონენტის, წარმმართველობა დენოტატის ინდივიდუალიზაციის პროცესში. ამ დებულებას ხელს არ უშლის ის ფაქტი, რომ ერთი ეპითეტი ზოგჯერ კარგავს ინდივიდუალიზაციის უნარს. ის ეპითეტი მაინც რჩება პირის ანთროპონიმული ფორმულის შემადგენელ ნაწილად, მხოლოდ მას ემატება ახალი სიტყვა დისტინქციურობისთვის, რაც ისევ და ისევ ეპითეტია ან ეპითეტის შემცველი სინტაგმა. ვთქვათ, ბაგრატ მეორე, რეგვენი (=ახალგაზრდა).

რა კონკრეტდება ეპითეტ-სახელებით?

1. ადამიანის სოციალური მდგომარეობა. მაგალითად, ფატმან **ხათუნი** (რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“), ბაგრატ **მაგისტროსი,** ბაგრატ **მამფალი,** დავით **მამფალი,** ადარნასე **პატრიკი,** იოანე **პატრიკ-ყოფილი** („მატიანე ქართლისა“). აქვე დამოწმებულია ისტორიული პირი **გურგენ ბერი.** აპელატივს **ბერი** უდავოდ აკისრია მოცემულ კონტექსტში ეპითეტის, ზედწოდების ფუნქცია, უფრო დამაზუსტებელი სიტყვის ფუნქცია, რადგან აღნიშნული პირი ამ ეპითეტით არის გამორჩეული გურგენ დიდის, გურგენ კლარჯის, გურგენ II-ის, გურგენ ერისთავისგან.

მეორე მხრივ, სხვა ჯგუფის ფონზე იმავე ეპითეტმა (ბერი) შეიძლება დაკარგოს ძალა, ანუ აღარ „იმუშაოს“ მისმა ონიმურმა ფუნქციამ. მაშინ ამ ჯგუფში დისტინქციური ფუნქცია დაუბრუნდება ანთროპონიმს. ეს ხდება სხვადასხვა პირთა სახელდების ერთგვარეპითეტიან ჯგუფში: **გურგენ ბერი, საბა ბერი, ნიკოლოზ ბერი**. ამ უკანასკნელ ჯგუფში კონკრეტიზაციის როლს საკუთრივ ანთროპონიმი ასრულებს. ამ ტიპისაა **დაუდბეგი** (ალ. ყაზბეგი, „წამება ქეთევან დედოფლისა“), **დურსუნ-ბეგი** (ალ. ყაზბეგი, „დურსუნ-ბეგ ქობულეთელი“), **საფარ-ბეგი** (აკ. წერეთელი, „გამზრდელი), **აბდულა ბეგი** (იოანე ბატონიშვილი, „კალმასობა“)... სოციალური მდგომარეობის აღმნიშვნელი ეპითეტებით არიან წარმოდგენილი ლიტერატურული პერსონაჟები: **ბაკურ ყმა** („ისტ. და აზმ.“), **გიორგი შეყენებული** (ი. ბატონიშვილი, „კალმასობა“), **ანთიმოზ დაყუდებული** (ტ. გაბაშვილი „მიმოსვლა“), **აბუტალიბ დარიბი** („ამირანდარეჯანიანი“), **მირეან აზნაური** (გიორგი მერჩულე, „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“), **იოანე გლახაკი** (ს.-ს. ორბელიანი „მოგზაურობა ევროპაში“), **სვიმონა გლახა** (აკ. წერეთელი, „ბენია და ბეშტია“), **კაკო-ყაჩაღი** (ი. ჭავჭავაძე, „კაკო-ყაჩაღი“), **ნაბერალი საბა**: „უცნობს სოფელში ნაბერალ საბას ეძახდნენ“ (ვაჟა-ფშაველა, „სააღდგომოდ“), **მთხოვარა გლახა** (ალ. ყაზბეგი, „მამის მკვლელი“), **სიკოლიე ბუში** (ეგ. ნინოშვილი, „ცოლი და ქმარი“)... ამავე ტიპისაა: **დავით ულუ და დავით ნარინი**. მართალია, ბოლო ორი სახელდების ეპითეტები ასაკით უმცროს-უფროსობაზე მიუთითებს (ნარინი – უმცროსი, ულუ – უფროსი), მაგრამ დავით ნარინი ქვეცნობიერად გრძნობდა, რომ მათს ეპითეტებში მონღოლებმა მდგომარეობით განსხვავებული ვითარების აღნიშვნაც ჩადეს პოლიტიკური მიზნით.

2. დენოტატის დამსახურება (მელიორატიული ეპითეტები). ხშირად ეპითეტი მიუთითებს ქვეყნისა და ერის მიმართ ამა თუ იმ პირის ღვაწლზე. ასეთებია: **ქველი, აღმაშენებელი, თავდადებული, ბრწყინვალე**... ამ ღვაწლმოსილების გამომხატველი ეპითეტებით ცნობილნი არიან ისტორიული პირები: დავით აღმაშენებელი, დემეტრე თავდადებული, გიორგი ბრწყინვალე,

ფარსმან ქველი... აქვე შემოვა ეპითეტი დიდი: **ბასილი დიდი** („ცხოვრება მეფეთ-მეფე დაჲთისა"), **დიდი არსენი** (გიორგი მერჩულე, „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა"), **ბაგრატ დიდი** (V) **ალექსანდრე დიდი** (I). ამაეე რიგისაა **მგელ-ბაბია** ს. მგალობლიშვილის „წარსულიდან", სადაც ეკითხულობთ: „ბაბიამ მგლობა მოიხვეჭა მედგარი და შეუპოვარი ბრძოლისათვის".

ზოგჯერ ღვაწლმოსილება თავმდაბლური ეპითეტით გამოიხატება. ასეთია **მცირე** (ეფრემ მცირე) ეფრემ ასურთან (დიდად წოდებული) მიმართებით.

3. გარეგნობა. გარეგნობის აღმნიშვნელი ეპითეტებია ანთროპონიმებზე დართული: ქოსა, ბრუტიანი, გონჯი, მოკლე, კოჭლი და მისთ. მაგალითად, ადარნასე ბრმა, ლანგ-თემური, შაეი გრიგოლ, მოკლე თედო, (ს. მგა- ლობლიშვილი, „წარსულიდან"), შავ-გიორგა (ს. მგალობლიშვილი, „სიყმაწვილის მოგონებანი"). ყარა-მიხუა, ყარა-ვანუა (ს. მგალობლიშვილი, „წარსულიდან"), ყარა-მურადი (ვ. ბარნოვი, „გადატყდა ხმალი"). **ყარა** თურქული სიტყვაა. მას ორი მნიშვნელობა აქვს: შავი და დიდი. ქართველ მწერალთა თხზულებებში და, საერთოდ, ქართულ სინამდვილეში **ყარა** ცალსახად დაფიქსირებულია პირველი მნიშვნელობით – **შავი;** კოჭლი ოსანა ან ოსანა კოჭლი (ვ. ბარნოვი, „დაეწაფა სურვილით"), ქოსა აბრია (ვ. ბარნოვი, „სოვდაგარი"), ბრუტიანი სტეფანა ან სტეფანა ბრუტიანი (ვ. ბარნოვი, „შინაური მტერი"), ყვითელი პეტრე (ვ. ბარნოვი, **„გველის ზეიმი"), მიქელა ჭოტი ან მიქელა ბრუტიანი:** „ცალი თვალი ყვავილისაგან ჰქონდა წამხდარი და ამის გამო სამასხროდ ხან ჭუტას ეძახდნენ, ხან მიქელა ჭოტსო" (გ. წერეთელი, „გულქანი"), იერემია წარბა – ამ ეპითეტიანი სახელით გეხვედება ფირალიძე, რომელსაც აქვს „სქელი წარბები, შუბლზე გაბარდნილი და ერთმანეთზე გადახლართული" (გ. წერეთელი, „პირველი ნაბიჯი"), ბენია კუზიანი ან ბეშტია კოჭლი (აკაკი, „ბენია და ბეშტია"), წითელი ბასილა დაარქვა არსენამ მაიორ ვასილ არლოვს, „რადგან მართლა წითელი იყო, „კარტუზის" ძაღარაც წითელი ჰქონდა და მის დაბალ კისერს მაღალი საყელოც ყაყაჩოსფერ ავშარასავით ერტყა, ეს სახელი დიდ მოხელეს ადვილად მიეკერა და შერჩა" (მ. ჯავახიშვილი, „არსენა

მარაბდელი"), **ახმახი დარეჯანი**: დარეჯანს, რომელსაც სოფლელები პატივისცემის გამომხატველი სხვადასხვა მეტსახელით იხსენიებდნენ, ეაჭრები „ახმახ დარეჯანს" ეძახდნენ, რადგან ეს „შავგვრემანი, უზომოდ მაღალი", შეუპოვრად მაცქირალი დედაკაცი „სუსხს აძლევდა" (ვაჟა, „დარეჯანი"). ამ ჯგუფში შეიძლება მოთავსდეს ისტორიული პირის ეპითეტიანი სახელდება – ბაგრატ რეგენი (ძველ ქართულში რეგვენი ახალგაზრდას ნიშნავდა). ერთი და იგივე აპელატივი ზოგჯერ შინაარსობრივადაც სხვადასხვა ფუნქციითაა დატვირთული. მაგ., **დიდი** ვასო. ამ კონტექსტში ეპითეტით „დიდი" ყურადღება გამახვილებულია პიროვნების ფიზიკურ აღნაგობაზე. თხზულებაში ვკითხულობთ: „აი, თურმე რატომ ვეძახით ამ პატარა კაცს დიდ ვასოსო" (ლ. ქიაჩელი, I, 251). სულ სხვა დანიშნულება აქვს იმავე ეპითეტს მეფეთა სახელდებისას: დავით დიდი კურაპალატი, არსენ დიდი, იოსებ დიდი... ეს ეპითეტები მიუთითებენ, როგორც ზემოთ აღინიშნა, პიროვნების ღვაწლმოსილებაზე;

4. ანთროპონიმებზე დართული ეპითეტების ერთი ჯგუფით ასახულია **პირის ქცევის ესა თუ ის ნორმა, მისი შინაგანი ბუნება**. ასეთებია: რევი მართალი: „რევი ქართლის მეფე იყო, რომლის მეფობის დროსაც აიკრძალა ყრმების შეწირვა მსხვერპლად ამიტომ მეფეს **რევ მართალი** უწოდეს" (ლეონტი მროველი. „ცხოვ, ქართელთა. მეფეთა"), **ფარსმან ქველი** (იქვე), **ბინქარან მაცდური** (ჯუანშერი, „ცხოვ. ვახტანგ გორგასლისა"). იბერიაში მისი ქადაგებით ბევრი ქართველი გამაზდეანდა, რის გამოც მას მაცდური შეარქვეს. **ავ-გიორგი** (ბ. ეგნატაშვილი, „ახალი ქართ. ცხოვ."), **მურვან ყრუ**. **სალინ ბეგი** (კარგი ბეგი) – ასე მიმართავდნენ თათრები ბეგა სურამელს („ჟამთააღმწერელი"), **დელუ სვიმონი** გიჟ სვიმონს ნიშნავს (ბერი ეგნატაშვილი, „ახალი. ქართ. ცხოვ."), **გიორგი უკეთური** (გიორგი მთაწმინდელი, „ცხოვ. იოვანესი და ეფთუმესი"), **ანდრია სალოსი** (იოანე ბატონიშვილი, „კალმასობა"), სახელი იუდა თავად იქცა გამცემლობის გამომხატველ ეპითეტად, მაგრამ ზოგჯერ მაინც შევხვდებით ამ სახელს, ეპიტეთდართულს – **იუდა გამცემელი** (უირაღო, „მამელუკი"). **თეკლა-ბიჭი** დაარქვეს მეფის ასულს, რომელიც არც ერთ ვაჟკაცს არ ჩამოუვარდებდა ჯირითსა და

სროლაში (ვაჟა-ფშაველა, „ორი ამბავი...“). ამავე რიგისაა: **ოთარ უძლეველი** (რაფ. ერისთავი, „სადილი მარშლისას“), **ანდრო ჭორიატყაჭუნე** (რაფ. ერისთავი, „სურათები“...), **ჯორ-ზაქარია** შეარქვეს ზაქარია ჯიღაურს, როგორც ჯიუტსა და შეუპოვარს (ს. მგალობლიშვილი, „ჯორ-ზაქარა“), **თამარ ცბიერი** (აკ. წერეთელი, „თამარ ცბიერი“), **თიმსალ-მაკო** (აკ. წერეთელი, „ბაშიაჩუკი“), **პეტრე სალოსი** (ეგ. ნინოშვილი, „ჯანყი გურიაში“), **რევაზ თავქარიანი** (აქვ. ცაგარელი, „ბაიყუში“), **როსტომ რეტიანი** (მ. ჯავახიშვილი, „ხუთის ამბავი“), **მართალი აბდულაჰ** (მ. ჯავახიშვილი, „მართალი აბდულაჰ“), **ბერიძე გაუტეხელი**: „არც იყო ჩვეული უკან დახევას, რისთვისაც ხალხი „გაუტეხელს“ ეძახდა (ვაჟა-ფშაველა, „ბერიძე-გაუტეხელი“); **გიჟ-ბერიძე** დაარქვეს ბერიძეს, როგორც მოუხელთებელ, მეტისმეტად ცოცხალ და პირდაპირი ხასიათის კაცს (ვაჟა-ფშაველა, „საშობაო მოთხრობა“), **მყრალ-მოსია** (ს. მგალობლიშვილი, „სიყმაწვილის მოგონებანი“), **გიჟ-მიხაკა** (ვ. ბარნოვი, „თეთრი გვირგვინი“), სესია ღვარძლიანი (ვ. ბარნოვი, „სოვდაგარი“), **დარისპან უკარებელი**: „ვერვინ მოინადირა დარისპან უკარებელი, არ შეიძლება მისი მოშინაურება“ (ვ. ბარნოვი, „ღიმი დამღუპავი“). თონიკეს სახელს ეპითეტად **ბანი-ბატიაური** მიეკერა. ბანი იმიტომ, რომ სიმღერისას კარგი ბანის მიცემა იცოდა. ერთხელ კი, როცა ხმა დავარდა „ომარ-ფაშა დიდი ჯარით მოსულა ყულევსო“, „დაგვაწყვეს რაზმებად, დაგვთვალეს, რომ არავინ ჰკლებოდა... ამის შემდეგ მეძახდნენ „თონიკე-ბანი-ბატიაური...“ „ამ გაპტყელებულმა სახელმა ძალიან კარგი საქმე მიყო,“ – ამბობს თავად პერსონაჟი (გ. წერეთელი, „ჩვენი ცხოვრების ყვავილი“).

ეპითეტი გვარის ფუნქციით. ეპითეტი ზოგჯერ იმდენად იღებს ონიმის ფუნქციას, რომ იგი, ერთი შეხედვით, გვარადაც კი აღიქმება ხოლმე. ლ. ქიაჩელის „ჰაკი აბბაში“ ეკითხულობთ, რომ კუზმა კილგას მტრებმა მეტსახელად **„მრისხანე“** შეარქვეს, რაც **მის სახელს გვარის მაგიერ მიემატა,** როგორც აუცილებელი ეპითეტი. ანალოგიურად აღიქმება იერემია **წარბა** (გ. წერეთელი, „პირველი ნაბიჯი“). ხშირად ეპითეტის ფუნქციით გვარებია წარმოდგენილი. გვარებად გაფორმებული ეპითეტებია:

ოთარ ზარმაცაძე, გრიგოლ ფუქსავატაშვილი, ფარნაოზ ცრუაძე, გრიგოლ გაბერილაძე (რაფ. ერისთავი, „სურათები“); სპირიდონ მცირიშვილი, გოგია უიშვილი, ტარიელ მკლავაძე (ეგ. ნინოშვილი)... ანალოგიური მაგალითები (ე.წ. მოლაპარაკე გვარები) ქართული მწერლობის ძეგლებში მრავლად დასტურდება, მაგრამ ეს საკითხი ცალკე განხილვის საგანია.

5. სემანტიკურად გვარს უახლოვდება **პერსონაჟის სახელზე დართული ტომობრივი (ეროვნული) წარმომავლობის, სადაურობის ან სამოღვაწეო ადგილის მაჩვენებელი ეპითეტები**: დავით **გარეჯელი** („ცხოვრება დავით გარეჯელისა“) წყვილია, რომელშიც გარეჯელი გვარს ცვლის. ამისთანა ტიპის სინტაგმები მაშინაა შექმნილი, როდესაც გვარი ჯერ კიდევ არ ყოფილა ჩამოყალიბებული. პირის ტომობრივ წარმომავლობასა და მოღვაწეობის ადგილს აღნიშნავდნენ შემდეგი ეპითეტიანი სახელებით: **იაკობ ცურტაველი, გრიგოლ ხანძთელი, იობ სომეხი** (ლეონტი მროველი, „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“), **ეფთჳმე ქართველი, ბუღა თურქი, ალხაზი სარანგი** (სარანგები, როგორც ცნობილია, ტომია, აღმოსავლეთ ირანში). **დემეტრე კლარჯი, კვირიკე ბანელი,** („მატიანე ქართლისა“), **პეტრე ქართველი,** რომელსაც ერისკაცობაში ერქვა მურვანოს (ლეონტი მროველი, „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“), **იოსიპოს ებრაელი** („ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“), **გაბრიელ სომეხი** (იოანე ბატონიშვილი, „კალმასობა“), **ფარსა ოსი** (ა. ფურცელაძე, „ავაზაკი“), **სიმონა ციმბირელი** (გ. წერეთელი, „პირველი ნაბიჯი“), **გიორგი სვანი** (გ. წერეთელი, „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა“), **ტეტიკა იმერელი, გიგოლა რაჭველი** (ე. გაბაშვილი, „ხოლერა“), **აბდულა თათარი** (ეკ. გაბაშვილი, „საახალწლო სურათი“), **რახმან არაბი** (ვ. ბარნოვი, „ტრფობა წამებული“), **კვირიკე კიკეთელი** (ვ. ბარნოვი, „ნაძვნარის დევი“), **ლეონ აფხაზი** (ვ. ბარნოვი, „ხაზართა სასძლო“), **სიმონა მთიული, კოდელი ნონო** (ს. მგალობლიშვილი, „წარსულიდან“). ამავე მოთხრობაში გამოყვანილია პერსონაჟი, სოლომონ კვანჭაძე, რომელიც ოსებში იყო დაბადებული და თავის დედაენაზე არანაკლებ იცოდა ოსური ლაპარაკი, ოსური ჩოხა ეცვა, თავზე ოსურივე ფაფახი

ეხურა, ამიტომ მას **„სოლიკო ოსს“** ეძახდნენ. იური ბოგოლუბსკის ქართულ სახელს, გიორგის, ეპითეტად რუსი დაერთო (გიორგი რუსი), ანთიმოზ იერიელი (ელახეთში მოღვაწე ქართველი ბერი).

6. ეპითეტების დიდი ნაწილით გამოელენილია დენოტატის **მოხელეობა-მოსაქმეობა**. ასეთებია: **სოსია მეწისქვილე** (ი. ჭავჭავაძე, „ოთარაანთ ქვრივი“), **ქაცვია მწყემსი** (დ. გურამიშვილი, „დავითიანი“), **სულეიმან მკერვალი, დავით ფეიქარი** (იოანე ბატონიშვილი, „კალმასობა“), **ნიკოია მზარეული** (ეკ. გაბაშვილი, „გამარჯვებული ნიკო“), **ივანე დალაქი** (ეკ. გაბაშვილი, „ბაირახტარი“), **პავლია მეცხვარე** (ეკ. გაბაშვილი, „რად დაგვიეიწყეს?“), **სვიმონა მზარეული** (ეკ. გაბაშვილი, „დედის მარჯვენა ხელი“), **შიო დალაქი** (ეკ. გაბაშვილი, „ნათლიღება ღამეს“), **ნინიკა მებაღე** (ეკ. გაბაშვილი, „სწავლის გულისათვის“), **მიშკა-კამარინსკი** (ეკ. გაბაშვილი, „მიშკა-კამარინსკი“), **გიორგი დალაქი** (ნ. ლომოური, „ქრისტიანი ლეკები“), **თუნო დალაქი** (ს. მგალობლიშვილი, „წარსულიდან“), **სოსიკა მოურავი** (ს. მგალობლიშვილი, „ჯორ-ზაქარა“), **ეფრემა მედავითნე** (ს. მგალობლიშვილი, „სიყმაწვილის მოგონებანი“), **მეჩექმე გაბო** (მ. ჯავახიშვილი, „მეჩექმე გაბო“), **ივანე მეჭიანურე, ქლესა მედოლე, ხლეპუზა მედაიარე, ქოპეპა მედუდუკე** (რაფ. ერისთავი, „Литературный вечер“), **ივანე მჭედელი** (გ. წერეთელი, „პირველი ნაბიჯი“), **გოგია მეჩონგურე** (აკ. წერეთელი, „გოგია მეჩონგურე“), **მჭედელი პავლე, მებაღე ივანიკა** (მ. ჯავახიშვილი, „უპატრონო“), **მიხაკა თერძი** (მ. ჯავახიშვილი, „კურკას ქორწილი“), **იოთამ მსაჯული** (ვ. ბარნოვი, „ტრფობა წამებული“), **პეტრე დურგალი** (ვ. ბარნოვი, „სოვდაგარი“), **გაიოზ ოსტატი** (ვ. ბარნოვი, „ხაზართა სასძლო“), **იოანე დიაკვანი, პეტრე დალაქი** (ვ. ბარნოვი, „თეთრი გვირგვინი“), **მოსე მწერალი** (ეკ. ნინოშვილი, „მოსე მწერალი“), **ღამის მეხრე ცეცო** (ს. მგალობლიშვილი, „ღამის მეხრე ცეცო

სტრუქტურული აგებულების თვალსაზრისით, ეპითეტი და სახელი მსაზღვრელ-საზღვრულიანი სინტაგმაა. მსაზღვრელ-საზღვრულის წყობა ორნაირია: პრეპოზიციული და პოსტპოზი-

ციური. თანამედროვე ქართულისათვის, ჩვეულებრივ, უფრო მიღებულია პრეპოზიციური წყობა (მაღალი ხე და არა ხე მაღალი). მაგრამ ეპითეტიან ანთროპონიმებში გეხვდება ერთიც და მეორეც. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ **პოსტპოზიციური წყობა უფრო მეტად აძლევს ანთროპონიმულ სინტაგმას ონიმის იერს. ეპითეტიანი საკუთარი სახელის მიდრეკილება მდგრადი ანთროპონიმული ფორმულისაკენ უფრო სინტაგმის პოსტპოზიციური წყობის დროს იგრძნობა. ეპითეტი საკუთრივ ანთროპონიმთან უფრო შეკრულია პოსტპოზიციური წყობისას: სოსია მეწისქვილე, ბაბაჭუა ფეიქარი, ქაცვია მწყემსი, თამარ ცბიერი, რევ მართალი, მოსე მწერალი** – უფრო ერთიანი, მდგრადი სახელია, ვიდრე ფეიქარი ბაბაჭუა, მეწისქვილე სოსია, მწყემსი ქაცვია, ცბიერი თამარ, მართალი რევ, მწერალი მოსე იქნებოდა. **თუმცა – ეს არ ნიშნავს, რომ მუნჯი ბაჩუა, მოკლე თედო, წითელი ბასილა, მეჩექმე გაბო ნაკლებად გამოირჩევა შეკრულობითა და მდგრადობით.** სინტაგმის ამ ორ წყობას შორის აღნიშნულ განსხვავებას, ჩვენი დაკვირვებით, ქმნის შემდეგი დეტალი: სახელდების **პოსტპოზიციური წყობა,** როგორც ნაკლებად დამახასიათებელი ფორმა ახალი ქართულისთვის, **თავად არის მიდრეკილი გაონიმებისკენ,** პრეპოზიციული წყობის სინტაგმების ერთ ოდენობად (ონიმობად) ქცევას კი განაპირობებს ოდენ პერსონაჟის რაიმე ნიშნით განსაკუთრებული გამორჩეულობა (ღამის მეხრე ცეცო. მიუხედავად იმისა, რომ ეპითეტი პრეპოზიციულია, უფრო მეტიც, **აშოტ ერისთავთერისთავი, ზედწოდებით კუხი** (ორკომპონენტიანია, ონიმურ მოდელში ჩაჯდა პერსონაჟის ტიპად ქცევის შედეგად).

პრეპოზიციური წყობისას ანთროპონიმსა და ეპითეტს ხშირად ერთვის ხოლმე მიმღეობა „წოდებული“ ან არსებითი სახელის მოქმედებითი ფორმა „ზედწოდებით“, რის შედეგადაც ვიღებთ გამოთქმებს: **იოანე ზედწოდებით პეტრიწი, გიორგი გოდად წოდებული** (იოანე ბატონიშვილი, „ქალმასობა), **დარჩია მელიქად წოდებული** (იქვე), გიორგი მერჩულე, „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“). ასე რომ, ეპითეტიანი სახელის ხმარების პრაქტიკა მწერლობაში სწორედ რეალური ყოფიდან მოდის.

კვლავ ყურადღებას გავამახვილებთ იმ ფაქტზე, რომ ზოგჯერ ანთროპონიმის დამხმარე ეპითეტის ონიმიზაციის გაძლიერება განსაზღვრავს მის ცალკე, დამოუკიდებლად გამოიყენებასა და საკუთრივ ანთროპონიმული ფუნქციით დატვირთას. მაგ., მაცხოვარი, ღვთისმშობელი, წინამორბედი, აღმაშენებელი, ნარინი, ულუ, ლენგი, მაგრამ ეს საგანგებო შემთხვევებში ხდება. ეპითეტის განმარტოებულ ხმარებას წყვილში შემავალი ონიმით ნაგულისხმები დენოტატის გამორჩეულობა, მისი ცნობილობა განაპირობებს. ალბათ მხოლოდ საზოგადოების გარკვეული წრისთვის აქვს სამისამართო ფუნქცია ეპითეტს „მაცდური“ (ბინქარან მაცდური) თუმცა V ს-ში იგი ცნობილი იყო, როგორც მზაკვრული მისიით, მშვიდობიანი ქადაგების გზით იბერიის გასამაზდეანებლად წარმოგზავნილი სპარსი). ხშირად მხოლოდ ეპითეტებითაც იხსენიებიან მხატვრული თხზულებების პერსონაჟები: **ციმბირელი** (სიმონა ციმბირელი, გ. წერეთელი, „პირველი ნაბიჯი“), ეპითეტით **კამარინსკი** მოიხსენიება მოცეკვავე მიშკა-კამარინსკი. სოლომონ ბარამიძეს „ჩაჩანაკ სოლოს“ ეძახიან ან მხოლოდ **ჩაჩანაკი** ეპითეტით იხსენიებენ (მ. ჯავახიშვილი, „პატარა დედაკაცი“).

იმ ფაქტმა, რომ ზოგჯერ მხოლოდ ეპითეტი ახდენს პიროვნების იდენტიფიკაციას, განაპირობა გარკვეული ტიპის გვარების ჩამოყალიბება დღევანდელი გვარების ერთი ნაწილი უძველეს დროში საკუთარ სახელებთან ხმარებულ ეპითეტთა ძლიერი ონიმიზაციის შედეგია. ასეთებია – აფხაზიშვილი, მთიულიშვილი, სომხიშვილი, იმერლიშვილი, რაჭველიშვილი, ღურგლიშვილი, დიაკვნიშვილი, მჭედლიშვილი... სწორედ ეპითეტიდანაა მიღებული ერთ-ერთი პირველი გვარი საქართველოში, როგორც ამას პროფ. ზ. ჭუმბურიძე მიიჩნევს. ესაა X ს-ის მოღვაწის, მეფის დიდი აზნაურის, გაბრიელის, ეპითეტი – **დაფანჩული**. ზ. ჭუმბურიძის კვლევით ვლინდება, რომ ეპითეტმა დაფანჩულმა საფუძველი დაუდო საქართველოში გვარის ფენომენს, ყოველ შემთხვევაში ასეა დღევანდელი მონაცემებით. ვფიქრობთ, არ არის ურიგო, ამ ტიპის წინარეგვარების გამოყენა (თოფჩიშვილი 1997).

დაბოლოს, ეპითეტიანი სახელი სახელდების ორსიტყვიანი სახეობაა, მაგრამ ეპითეტის ონიმიზაციისკენ მიდრეკილება ხშირად ცვლის ორსიტყვიანი სახელდების ორთოგრაფიას და ზოგჯერ ერთსიტყვიან კომპოზიტად გვეელინება, რითაც უფრო მეტად უახლოვდება ორმაგი სახელდების კომპოზიტურ ჯგუფს (სულხან-საბა). ეპითეტისა და ანთროპონიმის ერთმანეთთან შერწყმა ხდება დეფისით, რაც ეპითეტის შემდგომი ანთროპონიმიზაციის ერთ-ერთი გზაა. ვფიქრობთ, ეს გზა უკვე განვლო ეპითეტმა ლაშამ, რაც მანათობელს ნიშნავს და დღეს **გიორგი** სახელთან ერთად ორმაგ სახელადაა ჩამოყალიბებული ან ცალ-ცალკე სახელებად. ორსიტყვიანი სახელდების **ერთსიტყვიან კომპოზიტად** ქცევა ხელშესახებია **პრეპოზიციური** წყობისას. ეპითეტი ხშირად ფუძის სახით შედის კომპოზიტში საკუთრივ ანთროპონიმთან. მაგალითად, ჯორ-ზაქარა, მგელ-ბაბია, გიუ-ბერიძე, ავ-გიორგი, თიმსალ-მაკო. ზოგჯერ კი მყარი წყობის ორსიტყვიან ეპითეტიან ონიმად რჩება ეპითეტის ონიმიზაციით (მუნჯი ბაჩუა...) ამასთან, კომპოზიტად ხშირად უფრო ყალიბდება პოსტპოზიციური წყობის ეპითეტიანი სახელები: ფატმანხათუნი, ქაცვია-მწყემსი, ვაჟა-ფშაველა, მიშკა-კამარინსკი, კაკო-ყაჩაღი და ა.შ. განსაკუთრებით ეს შეიმჩნევა რეალურ ყოფაში : აბო თბილელი, გრიგოლ ხანძთელი, დავით აღმაშენებელი, დემნა ბატონიშვილი გიორგი რუსი, გიორგი ბრწყინვალე, დავით ულუ... თუმცა, კვლავ აღვნიშნავთ, რომ არანაკლებ გამოიკვეთა ონიმურ მოდელად პრეპოზიციური ატრიბუტული ეპითეტებით: მუნჯი ბაჩუა, მეჩექმე გაბო, მშვენიერი ელენე.

ეპითეტიანი სახელების მეტსახელებისგან გამიჯვნისათვის.

ორმაგი სახელდების ყველაზე რიცხვმრავალ ქვეჯგუფად გამოიყო **ეპითეტიანი სახელები**. ონიმზე დართული ეპითეტი ფუნქციით ისე უახლოვდება ონიმს, რომ ეპითეტიანი ონიმების პარალელურად ვიყენებთ ტერმინ ეპითეტ-ონიმს, რადგან სწორედ ეპითეტი გვეელინება საიდენტიფიკაციო საშუალებად. ზემოთ ეპითეტიანი სახელების ნიმუშები წარმოვადგინეთ ისტორიულ და ლიტერატურულ ჭრილში, ასევე სასულიერო სივრცეში. მაგრამ არის ერთი დიდი და უმნიშვნელოვანესი სივრცე,


რომელშიც სპეციფიკურად ნიშანდობლიეია ეპითეტიანი სახელების გამოყენება – ესაა ყოველდღიური რეალური ყოფა (არასამეფო და არასასულიერო ფენა). ეპითეტიანი სახელებით ერთმანეთის სახელდება კი ნიშანდობლიეად დამახასიათებელია საქართველოს რეგიონებისთეის. პერიფერიულ ლოკალურ სიერცეში ხალხი მათ მეტსახელებს ეძახის.

რადგან მხატერული ტიპის სრულყოფილ სახეს უფრო გამოკვეთილად გეიჩვენებს ეპითეტიანი სახელები. სახელდების ეს ფორმულა, ერთი შეხედეით, ზედაპირულად, თითქოს მეტსახელსაც უტოლდება. სწორედ ამიტომაა, რომ (უფრო რეგიონებში) **ეპითეტიან სახელსაც და კვაზიონიმსაც** (ორჯერ გიჟი, აფთიაქის გველი...) ხალხში მეტსახელს უწოდებენ. თუ გავაცნობიერებთ ტერმინის (ეპითეტიანი სახელები) კომპონენტებს, ეპითეტი ერთვის პირის ნამდვილ სახელს და არა მეტსახელს, მაგრამ რადგან თეით ეპითეტი იქცეება დამხმარე საიდენტიფიკაციო საშუალებად, ონიმად, ბუნებრივია, სწორედ ეპითეტს აღიქვამს ხალხი მეტსახელად, ეპითეტიან საკუთარ სახელს კი მეტსახელიან სახელად, სიმარტივისთვის მეტსახელად. ასე რომ, ხალხის ყოველდღიურ ყოფაში გავრცელებული, ხალხში ლოკალიზებული ეპითეტიანი სახელები ხალხური ენით იწოდება მეტსახელებად. ვფიქრობთ, **ოფიციალურ ნაშრომებში (ვთქვათ, ლექსიკონებში) მეორე სახელთა ტიპები უნდა გაიმიჯნოს და თითოეული ტიპი თავისი ტერმინით წარმოჩინდეს.** მაქსიმე აღმსარებელი, იოანე ნათლისმცემელი, ეახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, აშოტ კუხი, გრიგოლ ხანძთელი... **ამ ტიპის ეპითეტი ზედწოდებაა. ანალოგიურად, სამეცნიერო კვლევის დონეზე არც ლიტერატურული პერსონაჟების ეპითეტიანი სახელები უნდა განიხილებოდეს მეტსახელებად** (სოსია მეწისქვილე, მოსე მწერალი, ქაცვია მწყემსი...) **და არც რეალური ყოფიდან დამოწმებული** (დევი თინა, ბოთე გია, გრძელი თემო), მით უფრო კვაზიონიმები (ოთარაანთ ქვრიეი, თავსაფრიანი დედაკაცი, ჯოტოს მამა...).

ეპითეტიანი სახელი, რომელშიც არ არის ონიმი, ასევე კვა'ხიონიმია (მაგ., „ხნიერი ბერწი"), და **არა ორმაგი სახელდების ტიპი,** ანუ, ჩეულებრიე, მსაზღერელ-საზღერულია (ან სხეა

ტიპის სინტაგმა: „ზღვა გასქდა“, „ოჯახს უნდა“...), რადგან ცალ-ცალკე არც ერთ სიტყვას არ აქვს ონიმური დატვირთვა, მაშინ როცა შესიტყვებაში მშვენიერი ელენე ორივე კომპონენტი ონიმური ფუნქციითა წარმოდგენილი.

ორმაგი სახელდების სქემა



P.S. შდრ. სოსოიეს რუსი.

თავი V

§1. ადამიანი გვარსა და სახელს შორის (ძართულ სივრცეში)

გვარი და სახელი ადამიანის მყოფობის უპირველესი ნიშანია. უგვარო და უსახელო ადამიანი პრაქტიკულად არ არსებობს. სახელი და გვარი – ორივე ერთად არის პიროვნობის დამადასტურებელი ფორმულა და მისამართი დენოტატისა, რაც მხატვრულად ასე აქვს გამოხატული რევაზ ჯაფარიძეს: „კაცის გვარი არ ვიცი და სახელი, წადი და ეძებე თევზი წყალში“ („გრძელი გზა“). ქართული რეალობის მიხედვით, ცალმხრივია ადამიანის მისამართად მხოლოდ გვარის ცოდნა ან მხოლოდ სახელის. გვარი და სახელი ერთმანეთს ავსებენ, აქედან გამოდინარე, **გვარი და სახელი სხვადასხვა ოდენობაა, კერძოდ:**

1) ერთ გვარში დაბადებულ პირთა კონკრეტიზაცია ხდება საკუთარი სახელებით. თავის მხრივ, ერთი გვარის ფარგლებში ერთსახელიანობა მოითხოვს დისტინქციური ფუნქციის მქონე მესამე ოდენობას. ადამიანის მესამე საიდენტიფიკაციო ინდიკატორად უკანასკნელ დრომდის სახელ-გვართან ერთად იყო მამის სახელიც, რაც, როგორც ძველი საისტორიო წყაროებიდან ირკვევა, ქართული მოვლენაა და არა რუსულის გავლენა. ადამიანის პიროვნობის დამადასტურებელი ეს სამი ოფიციალური ინდიკატორი თვისებრივად სხვადასხვა ოდენობაა, რასაც ადასტურებს მათი გაჩენის სხვადასხვა ეტაპიც. მათგან გვარი „**ისტორიულად**... მეორეულია, ხოლო პიროვნული სახელი – პირველადი“ (ცხადაია, 1988, 33).

2) გვარი პირველადია, სახელი კი – მეორადი. გვარი მეორეულად და სახელი პირველადად შეფასებულია ისტორიული კუთხით, მათი ქრონოლოგიური წარმომავლობით (ცხადაია, 1988, 33), მაგრამ საზოგადოების განვითარების შემდგომ ეტაპზე, მას შემდეგ, რაც გვარი და სახელი ჩამოყალიბდა სახელდების ოფიციალურ სახეებად, „პირველადობა-მეორადობა“ შეიძლება სხვა კუთხითაც განვიხილოთ. ადამიანი თავისი დაბადებით ემატება გვარს. ადამიანი თავისი გენეტიკური გვარის

გამგრძელებელია. გვარი (დედისეული თუ მამისეული[1]) დროში უსწრებს ადამიანის დაბადებას. გვარია პირველადი ფორმულა, რომლითაც ფორმდება პიროვნობა, რის შედეგადაც პიროვნება გვარდებული ხდება. უფრო მეტიც, ბავშვი, ჩვეულებრივ, თუკი რაიმე ექსტრემალურ შემთხვევასთან არ გვაქვს საქმე, დაბადებამდეც გვარდებულია. ერთი გვარით გაერთიანებული ჯგუფის რომელიმე წარმომადგენელმა შეიძლება შეიცვალოს თავისი გვარი, მაგრამ გენეტიკურად იგი მაინც თავისი საკუთარი გვარის შვილია, რასაც ავლენს მისი ფიზიკური და შინაგანი ბუნება. სწორედ გენეტიკა განაპირობებს გვარის სიმყარეს, მდგრადობას და მასში დაბადებული პირის მიჯაჭვულობას საკუთარ გვარზე. გარდა ამისა, გვარის თითოეული წევრი, თავის მხრივ, თავად ქმნის ახალ ფუძეს. რას ნიშნავს ეს? ამა თუ იმ გვარში დაბადებულ თითოეულ პირს იმ ძირითად გვარში (ვთქვათ, მამისეულში) შეაქვს ახალი (მეორე) გვარის (კერძოდ, დედის) გენი და ამით დასაბამს აძლევს ერთ გვარში ახალი შტოს შემატებას. თითოეული პირი, თავისდა უნებურად, ასე ხდება ამ გვარის (ვთქვათ, მამისეულის) ახალი ფუძე და რგოლი იმ ჯაჭვისა, რასაც ჰქვია გვარი (და არა სახელი). საკუთარი ფუძეობიდან გაქცევა კი შეუძლებელია (ახალი გვარის მიღების შემთხვევაშიც). პოტენციურად, მომავალ ყველა ბავშვს ელოდება ის ჯაჭვი, რომლის შემდგომ რგოლს თავად შექმნის, ანუ ბავშვი იბადება გვარში გვარისა და გენის (თუ მამრობითი

---

[1] საგანგებო შემთხვევის მაგალითად დავიმოწმებთ ოთარ ჩხეიძის თხზულებიდან ერთ დეტალს: ქალმა ქორწინების გარეშე იმშობიარა. სხვა ქალაქში მცხოვრებ მამად მიჩნეულ კაცს „სახელად ამირანი მოსწონდა და – ამირანიო, – შეატყობინა“. გვარისა რა ვქნა, ჩემს გვარზე დავწეროო, – მიაგება ქალმა კითხვა. – როგორ თუ შენს გვარზეო, – იტკიცა ვაჟკაცმა... ჩემს გვარზე უნდა დაიწეროსო. – უქორწინოდ არ სჩადიან, იღონე რამე, თორემ ჩემს გვარზე სწერენო... აქ ჩამოდიო, – დაიბარეს. ვესტიბიულში დახვდნენ. მმაჩის წარმომადგენელიც იქ იყო. დედაც გამოიყვანეს... და ასე, სამშობიაროს ვესტიბიულში მოაწერინეს ხელი. დაგვიანებული თადარიგი გახლდათ, მაგრამ უამისოდ არ იყარგებოდა („კვერნაქი“).

სქესის წარმომადგენელია) ან გენის, რომელსაც გვარი მოიცავს, გამგრძელებლად (თუ მდედრობითი სქესის წარმომადგენელია).

3) რაც შეეხება სახელდებას, სახელრქმევას, იგი ბავშვის დაბადების შემდგომი პროცესია. („შენ თუ გლახუნა ხარ, კარქუნა ვინღა გეყოლებათ? – რა ეიცი, ბატონო, ცხონებულმა ნათლიაჩემმა ასე დამანათლა“ (ლ. გოთუა, „გმირთა ვარამი“). ასე რომ, სახელი მოსდევს ბავშვის დაბადებას, თუნდაც ეს სახელი წინასწარ იყოს შერჩეული. ბიბლიის მიხედვით, სახელრქმეისთვის, წინადაცვეთასთან ერთად, დაბადებიდან მერვე დღე იყო დაწესებული უფლის მიერ. ცნობილი გამოთქმა – „ჯერ ბავშვი არ დაბადებულა და აბრამს არქმევენო“ – სწორედ იმას ადასტურებს, რომ სახელდება ქრონოლოგიურად ბავშვის დაბადების შემდგომი ფაქტორია. მართალია, სახელი ხშირად წინასწარ არის შერჩეული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სახელი არ არის უწინარესი. სახელდება მხოლოდ ბავშვის დაბადების შემდეგ რეალიზდება,[1] გვარი კი ბავშვის დაბადებამდეა მარკირებული. გვარი რომ უწინარესია და არა სახელი (მათ შორის რომ ქრონოლოგიური დისტანციაა) და, აქედან გამომდინარე, **გვარი და სახელი რომ სხვადასხვა ოდენობაა,** ადასტურებს შემდეგი ფრაზებიც: „ადამიანი იბადება გვარში“, „ადამიანი ამა და ამ გვარის (და არა სახელის) წარმომადგენელია“; ეერ ვიტყვით: „ადამიანი იბადება სახელში“ ან „მის სახელს ბედნიერება ხვდა წილად“.

---

[1] ვთქვათ, ელიან ბიჭს, დაიბადა გოგო, სახელი კი ბიჭისთვისაა შერჩეული. დასაშვებია წინასწარ შერჩეული სახელის გადაფიქრებაც... რაც იმაზე მიუთითებს, რომ სახელდებას ადამიანის ნება წარმართავს, ნება კი სუბიექტურია, ხოლო გვარი ობიექტურად, ადამიანის ნების გარეშე, არსებობს. სახელის არჩევითობა, მიუხედავად წინასწარ შერჩეული ანთროპონიმებისა, ჩანს შემდეგი დეტალიდანაც: გიორგი ბატონიშვილი, კახთა მეფის, ალექსანდრეს, ძე სწერს ცოლს, ნათელას: „თუ უჩემოდ გაჩნდა ვინმე... ეაჟს ალექსანდრე (მეფე-მამის სახელი, ქ. გ.) დაარქვი, ქალს ხორეშანი (სიდედრის სახელი, ქ. გ.), **...თუ შენი სურვილიც იქნება**“ (ლ. გოთუა, „გმირთა ვარამი“).

4) შეიძლება ითქვას, სახელდებამდე სახელი ჯერ კიდევ აბსტრაქციაა. სახელის სიცოცხლისუნარიანობა იწყება რქმევის პროცესში. **სახელი ცოცხლობს მის მატარებელ ადამიანთან ერთად და მისი ნებით.**

გვარი კი, გარდა იმისა, რომ უწინარესია ადამიანის დაბადებაზე და სახელზე, მდგრადიცაა მასთან შედარებით. გვარის სიცოცხლისუნარიანობას მისი ისტორიულად ჩამოყალიბების შემდეგ თაობები განსაზღვრავს. **გვარი ცოცხლობს მის მატარებელ თაობებთან ერთად.** უფრო მეტიც, იგი რჩება მისით გაერთიანებულ თაობათა გადაშენების შემდეგაც, რჩება ადამიანთა ჯგუფის აღმნიშვნელ და გამაერთიანებელ გვაროვნულ სიტყვად, ისტორიულ გვარად. ე. ი. **გვარი და სახელი სხვადასხვა ოდენობაა.**

5) „**გვარსახელი არის მემკვიდრეობითი სახელი,** რომელიც, სულ ცოტა, სამი თაობის განმავლობაში მაინც გადაეცემა თაობიდან თაობას“ (თოფჩიშვილი, 1997, V). მეორე მხრივ, სამი და მეტი თაობის მანძილზე ხშირად რომელიმე სახელიც **ტრიალებს**: დედა – ქეთევანი, შვილი – ქეთევანი, შვილიშვილი – ქეთევანი. რეალური ყოფიდან ამ ტიპის მაგალითები სხვაც საკმაოდ დასახელდება, განსაკუთრებით, სამეფო დინასტიაში (ამ შემთხვევაში ხომ არ მოიაზრება **მემკვიდრეობით სახელად** სახელიც?). გვარში მემკვიდრეობით გადაცემული სახელების მიხედვით, გარკვეულ ეპოქაში ერთმანეთისგან განირჩევა თავადებისა და გლეხების სახელები[1] (გოდერძიშვილი, 1994, 14-30). თავის მხრივ, სახელთა დიფერენციაცია, სოციალური თვალსაზრისით, ეფუძნება გვართა დიფერენციაციას (ვთქვათ, კლასობრივ საზოგადოებაში). ამრიგად, გარკვეულ შემთხვევაში გვარი და სახელი ერთმანეთის შემავსებელი **სხვადასხვა ოდენობაა.**

6) წამოვაყენებთ შემდეგ დებულებას: **გვარი მდგრადია, სახელი – სიტუაციური.** რას ნიშნავს სახელის სიტუაციურობა? ყველა გვარში მოიპოვება ადამიანი, რომელსაც აქვს თავისი

[1] ამ განსხვავებას კარგად გრძნობენ მწერლები და შესაბამისად იყენებენ ამა თუ იმ მხატვრული ტიპის შექმნისას.

სახელის მემკვიდრეობით გადაცემის პრეტენზია. მეორე მხრივ, ასეთი პიროვნება გვარში და იმ გვართან შეერთებულ (დაქვემდებარებულ, მაგ., დედის გვარი) გვარში არაერთი შეიძლება იყოს (ბებიები, ბაბუები, დეიდები, ბიძები...), მაგრამ საბოლოოდ ირჩევენ ერთს. ასე რომ, სახელი მაინც სიტუაციურია,[1] არჩევითია. სახელის რქმევის სიტუაციურობა განაპირობებს სახელის ცვლილებას. ხშირად მეორე სახელი უფრო სიცოცხლისუნარიანობით, ქმედითუნარიანობით გამოირჩევა, ვიდრე პირველი. მაგალითად, მეტსახელზე იტყვიან: „ეს სიტყვა-სახელი მიეკერაო“ (ს. მგალობლიშვილი, „წარსულიდან“). „მიკერება“ კი მდგრადობის გამოვლინების ერთ-ერთი ფორმაა. შეიძლება ითქვას, მდგრადობით მეტსახელი უფრო უახლოვდება გვარს, ვიდრე ნათლობის სახელი, მიზეზი კი, ვფიქრობთ, ისაა, რომ მეტსახელიც ხშირად გენეტიკის გარკვეულ გამოვლინებასთანაა დაკავშირებული – გარეგნობის, თვისების, დაბადების ფუძე-ადგილის... სახით. მეტსახელი ადამიანის მეორე სახელია, მაგრამ მეორე სახელი მარტო მეტსახელი არ არის, რაც იწვევს მრავალსახელიანობას. შეიძლება ითქვას: **ადამიანი მოქცეულია გვარსა და სახელთა წყებას** შორის, ანუ გვარ-სახელებს შორის.

საყოველთაოდ ცნობილია ოფიციალურ-დოკუმენტური გაფორმებით გვარის გამოცვლის ფაქტები. ამავე გზით ხდება სახელის გამოცვლაც, აღმოჩნდა, რომ დიდი უმეტესობით. შესაბამისი სამსახურის წარმომადგენელმა ტელევიზიით ერთი წლის განმავლობაში სახელის შეცვლის 3000 ფაქტი დაასახელა (2012, ივნისი), რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს სახელის სიტუაციურობას (ამ შემთხვევაში მეტსახელებს არ ვითვალისწინებთ).

---

[1] სახელის სიტუაციურობის ერთ-ერთ მაგალითად დავიმოწმებთ შემდეგ დეტალს: „თქვენი სახელი, ქალბატონო? – ნაბინას მეძახიან. უცნაური სახელია, არა? მამაჩემის ერთმა კარგმა მეგობარმა ექიმმა შემარქვა. ასე შემომრჩა ეს სახელი“ (მ. მრეველიშვილი, „ინონ“).

7) გვარი და სახელი, უპირველესად, საყოფაცხოვრებო ტერმინებია. როგორც აკ. შანიძე წერს: „ჩვეულებრივ საუბარში ლუარსაბი სახელია, თათქარიძე – გვარი“ (შანიძე, 1973, 98). ყოველივე ზემოთ ნათქვამის საფუძველზედაც, ვფიქრობთ, არ იქნება სადავო, თუ ვიტყვით: **გვარი ისევე არ არის სახელი, როგორც სახელი არ არის გვარი. სახელი ერთი პიროვნების აღმნიშვნელია, გვარი კი – სისხლით მონათესავე ჯგუფისა.** გვარი რომ არ არის სახელი, ჩანს შემდეგი ფრაზებიდანაც:

ა) რა გქვია შენ? (как тебя зовут?)

რა არის შენი სახელი? (как твое имя?)

ეს ორი ფრაზა ერთმანეთის მიმართ სინონიმურია, რადგან ორივე პასუხად ითხოვს მხოლოდ პიროვნულ სახელს, ანუ პირსახელს და არა გვარს.

ბ) რა გვარის ხარ? (как твоя фамилия?)

ამ კითხვის პასუხად კი პირსახელი არ სახელდება. შეკითხვა პასუხად მოითხოვს გვარს.

გ) თუ პიროვნობის დამადასტურებელი ორივე ოდენობაა გასარკვევი, კითხვაში ჩაერთვება ორივე ტერმინი: (რა არის) შენი სახელი და გვარი?

§2. ტერმინ „გვარსახელისათვის“

ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობის საფუძველზე შეიძლება ითქვას:

ა) **ონომასტიკური პოზიციით,** ეს ორი სიტყვა – გვარი და სახელი – ორი სხვადასხვა ცნების გამომხატველია, სახელდების ორი საშუალებაა (ისე როგორც მესამე – მამის სახელი). ისინი ონომასტიკური ფუნქციით ისე განსხვავდებიან ერთმანეთისგან, როგორც ორივე – „მამის სახელისგან“. სახელსა და გვარს, მართალია, ერთი საერთო ფუნქცია აქვთ (სახელდება), მაგრამ აქაც სხვაობენ თავიანთი კერძო დანიშნულებით. ისინი სხვადასხვა ასპექტით წარმოგვიდგენენ ადამიანს. ეს ორი ლექსიკური ერთეული არა მხოლოდ ფონემატურად ემიჯნება ერთმანეთს, არამედ თვისებრივადაც, პოდოლსკაიას განმარტებით, „სხვაობა პიროვნულ სახელსა და გვარს შორის არის

ფუნქციური, სოციალური და სტრუქტურული“ (პოდოლსკაია, 1978, 156). ამ ციტატიდანაც ჩანს, რომ, ონომასტიკური თვალსაზრისით, სხვადასხვაა პირის სახელი და გვარი, შესაბამისად, განსხვაებული ძალისხმევა სჭირდება მათს კვლევას.

ბ) გრამატიკული თვალსაზრისით, ორივე, გვარიც და სახელიც, როგორც მეტყველების ნაწილები, მიეკუთვნება სახელებს, ისე როგორც სხვა აპელატივები (მაგიდა, წიგნი). ესე იგი, ტერმინი გვარი – გრამატიკულად არის სახელი, კერძოდ, არსებითი სახელი, და არა ონომასტიკურად.

არსებობს მყარად ფეხმოკიდებული დეფინიცია, რომ გვარი ანთროპონიმის სახეობაა. ანთროპონიმი ადამიანის საკუთარი სახელია, შესაბამისად, გვარიც საკუთარ სახელად მიიჩნევა. ეს ნამდვილად ასეა გრამატიკული ასპექტით. მაგრამ, ონომასტიკური ასპექტით, გვარისა და სახელის ერთ სიბრტყეში განხილვა, ვფიქრობთ, გარკვეულ წინააღმდეგობას იწვევს. მართალია, ორივე ანთროპონიმია – გვარიც და სახელიც, მაგრამ მათ შორის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სხვაობაა, რაც ვლინდება ტერმინითაც – „საკუთრივ ანთროპონიმი“. ამ ტერმინით ოდენ ადამიანის საკუთარი სახელს აღნიშნავენ. ვფიქრობთ, ამ სხვაობის ფიქსირების აუცილებლობამ განაპირობა შემდეგი ფრაზა: „Состав личхых имен **(в узком смысле)** и фамилии“ (ნიკონოვი, 1974).

ვფიქრობთ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ მხოლოდ „გვართა ლექსიკონს“ არ დაარქმევენ (არ დაერქმევა) ანთროპონიმთა ლექსიკონს.

ახლა უშუალოდ შეეჩერდეთ ტერმინებზე – **გვარი** და **გვარსახელი**. გვარი ლექსიკურად პოლისემიური მნიშვნელობის სიტყვაა (გოდერძიშვილი, 2004, 113). „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ ჩამოთვლილია გვარის რამდენიმე მნიშვნელობა ლიტერატურაში მოძიებული ფრაზების დამოწმებით. ძირითადად, ესენია: **1. გვარი** – საოჯახო სახელწოდება, რომელიც ერთვის ადამიანის საკუთარ სახელს და გადაეცემა შვილს მამისგან: ა) გვარი, ანუ ჩამომაელობა („გვარსა და ჩამომაელობაზე ნუ ეილაპარაკებთ“); ბ) გვარი – ადამიანთა ჯგუფი („გვარში თითო სულელი არ დაილეკა“); **2. გვარი** – ჯიში,

მოდგმა როგორც ბინ ჯგუფის, ის ერა ჯგუფის სახელებისა („კეიცი გვარზე ხტის"; „მელიამ თქვა... ასეთია ჩემი გვარი"); **3. გვარი** — ბიოლოგიური ტერმინი, აერთიანებს წარმოშობით ახლომდგომ ორგანიზმთა სახეობებს; **4. გვარი** — გრამატიკული ტერმინი, ზმნის მორფოლოგიური კატეგორია. პოლისემია (თუნდაც ომონიმია) არ ქმნის ენაში ანარქიას. პოლისემიური სიტყვის, ისე როგორც ომონიმის, კერძო მნიშვნელობა ვლინდება კონტექსტით. მაგალითად, ამილია ლათინურად ოჯახს ნიშნავს. პოდოლსკაია წერს, რომ რუსულში ზოგჯერ სიტყვით — **ფამილია** — აღნიშნავენ ოჯახს (პოდოლსკაია, 1978, 156). როგორც ცნობილია, ამას არ გამოუწვევია რუსულ ენაში ტერმინ **ფამილიაზე** დამატებითი საინფორმაციო კომპონენტის დართვა. იმავეს ვიტყვით ცალკე აღებულ სიტყვებზე — **ანკარა** (ქვეწარმავალი, დედაქალაქი და წყლის მდგომარეობა); **ფანჯარა** (სარკმელი და შესვენების აღმნიშვნელი სიტყვაც).

რა იგულისხმება ქართულ ონომასტიკაში ტერმინ „გვარსახელის" მეორე კომპონენტში („სახელი") — პირის საკუთარი სახელი, გრამატიკული სახელი თუ მემკვიდრეობითი სახელი?

*თუ პირის სახელი იგულისხმება, გვარი არ არის პირის სახელი (პირსახელი). გვარი „ერთვის პიროვნულ სახელს... აკონკრეტებს და აზუსტებს დასახელებულ პირს" (პ. ცხადაია).

*თუ გრამატიკული სახელი იგულისხმება, ტერმინი გვარიც და რომელიმე გვარი (ვთქვათ, მიშელაძე) უდავოდ სახელია, კერძოდ, არსებითი სახელი, კონკრეტული გვარი კი — საკუთარი სახელი. სახელია ასევე, ვთქვათ, „ერთგული", კერძოდ, ზედსართავი, „შვიდი" რიცხვითი სახელია და ა.შ.

*ონომასტიკურ ლიტერატურაში გვარს მემკვიდრეობით სახელად ასახელებენ, მაგრამ ტერმინ მემკვიდრეობით სახელს სემანტიკურად „პირსახელისკენაც" მიეყაყართ, ანუ მემკვიდრეობაში//გვარში გაერცელებული სახელისკენ.

***გვარსახელი** მიჩნეულია ერთცნებიან კომპოზიტად და ვარაუდობენ „გვარის სახელსაც", რაც, ვფიქრობთ, ტავტოლოგიაა. ამ ტერმინის მეორე კომპონენტი, ცნებითობის თვალსაზრისით, ვერაფერს მატებს მას. პირიქით კია: 1. გვარის აღმნიშვნელ ამ ტერმინს ზოგჯერ დეფისით ეხვდებით, რაც არ

მოიაზრებს გვარს; 2. ეს არტოლად შერწყმული კომპოზიტი გზას უღობავს იმავე ფონემატური შემადგენლობის ორცნებიან კომპოზიტს, რომელიც მოიაზრებს გვარსაც და სახელსაც და რომელიც იწერება ტოლად შერწყმული სიტყვის ორთოგრაფიით – **გვარ-სახელი**. ამიტომ ვფიქრობთ, სისხლით ნათესაობის აღმნიშვნელი ჯგუფი აღინიშნოს ერთფუძიანი, ადვილად გამოსათქმელი და ფართო საზოგადოებისათვის მიღებული და ცნობილი ტრადიციული ტერმინით – „გვარი“.

გვარსახელი – ეს ტერმინი მისი მეორე კომპონენტის გამო ისეთივე სიჭარბით ხასიათდება, როგორიცაა არამართებული გამოთქმა, ვთქვათ, კარგი ავტორიტეტი. გარდა ამისა, ტერმინი გვარსახელი არც საერთაშორისო მოხმარების სიტყვაა, უფრო იოლად გამოსათქმელ „გვარს“ რომ ვამჯობინოთ.

§3 ზოგიერთი არსებითი სახელის ონომასტიკური სტატუსისათვის

ქართული ენის გრამატიკულ ლიტერატურაზე დაყრდნობით, აღვნიშნავთ, რომ აქ მარკირებულია არსებითი სახელების ორი ჯგუფის – საკუთარი და საზოგადო სახელების – ერთი ტრადიციული დეფინიცია. არსობრივად ეს დეფინიცია ასეა ჩამოყალიბებული: „საზოგადოა სახელი, რომელიც აღნიშნავს არა ერთ გარკვეულს, არამედ მრავალ ერთგვარ საგანს“, ხოლო „საკუთარია სახელი, რომელიც ჰქვია ერთ რომელიმე საგანს“ (შანიძე, 1953, 38). ჩამოთვლილია შესაბამისი მაგალითებიც, მაგრამ როგორც აკ. შანიძის, ისე ზოგ სხვა გრამატიკულ სახელმძღვანელოშიც გვერდაევლილია რამდენიმე საგნის აღმნიშვნელი არსებითი სახელის – **მზე, მთვარე, დედამიწა, ცა** – მიკუთვნება ერთ კონკრეტულ ჯგუფთან – საზოგადოსთან ან საკუთართან, რაც იმის მაუწყებელია, რომ ამ სიტყვების ლექსიკურ-სემანტიკური სტატუსი საორჭოფოდ ქცეულა. უდავოდ ამ მოტივაციით არ ფიგურირებს ეს ლექსიკური ერთეულები ზოგი ავტორის მიერ გამოცემული ქართული ენის გრამატიკის მორფოლოგიური კურსის, კერძოდ, მისი ლექსიკურ-სემანტიკური

ჯგუფების ერთ წყვილში – საკუთარ ან საზოგადო სახელებში. არადა, აპელატივები **მზე, მთვარე, დედამიწა, ცა,** ხმარების სიხშირის მიხედვით, არ ჩამოუვარდება სხვა არსებით სახელებს. ჩვენი პრაქტიკული მუშაობის პერიოდში აღნიშნულ ლექსიკურ-სემანტიკურ ერთეულებზე არაერთხელ შეუჩერებიათ ყურადღება სტუდენტებსაც – ეს სიტყვები საკუთარი სახელებია თუ საზოგადო. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობაა.

ჟ. ფეიქრიშვილის „ქართული ენის მორფოლოგიაში“ ერთი ფრაზით, მაგრამ მაინც აღნიშნულია, რომ ავტორი საკუთარ სახელებად მიიჩნევს პლანეტების სახელებს (ფეიქრიშვილი, 1992, 21). ჩვენთვის საინტერესო სიტყვებიდან პლანეტა დედამიწაცაა, ანუ სიტყვა დედამიწა, სხვა პლანეტების დარად, საკუთარ სახელადაა წარმოდგენილი. რაც შეეხება სიტყვებს – **მზე, მთვარე, ცა** – ამის შესახებ არაფერია ნათქვამი.

ლ. კვაჭაძის „ქართული ენა“ (მორფოლოგია) ამ თვალსაზრისით უფრო მეტს გვეუბნება. აქ პირდაპირაა მითითებული, რომ **საკუთარი სახელებია** ციურ სხეულთა სახელები: მზე, მთვარე, დედამიწა, ე. ი. გარდა დედამიწისა, აქ საკუთარ სახელებად მიჩნეულია მზე და მთვარეც (კვაჭაძე, 2001, 105). ცაზე არაფერია ნათქვამი.

ვეთანხმებით ლ. კვაჭაძის აზრს და წარმოვადგენთ ამ სიტყვების (მზე, მთვარე, დედამიწა...) საკუთარ სახელებად მიჩნევის მოტივაციას. წინასწარ შევნიშნავთ, რომ დომინირებს საპირისპირო აზრიც როგორც ქართულ, ისე უცხოურ ლინგვისტურ ლიტერატურაში. მაგალითად, ა. ვ. სუპერანსკაია წერს, რომ დანიელი ლინგვისტი სიორენსენი, მართალია, აღნიშნულ სიტყვებს მიაკუთვნებს საკუთარ სახელთა რიგს, მაგრამ არ თვლის ტიპურ საკუთარ სახელებად. მკვლევარი მათ უწოდებს კვაზი საკუთარ სახელებს (სუპერანსკაია, 1973, 85). თავად ონომასტიკის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი სუპერანსკაია კი ცალსახად არ აკუთვნებს მათ (მზე, მთვარე, დედამიწა, ცა) საკუთარ სახელებს. მიზეზად ასახელებს შემდეგ ძირითად ფაქტორებს:

1. ეს სიტყვები ცნებითია (ანუ შინაარსის შემცველი, понятийны...);

2. მათგან შეიძლება გარკვეული სახის აბსტრაჰირება. მაგალითად ასახელებს: Солнечная улыбка; лицо, как полная луна; посерел, как земля...

ასეთ კონტექსტებში გამოყენების გამო არ თვლის მკვლევარი ამ სიტყვებს (მზე, მთვარე, დედამიწა) საკუთარ სახელებად (სუპერანსკაია, 1973, 94-95). ჩვენი აზრით, ცნებითობა არ აკლია არც საკუთარ სახელებს: ა) ანთროპონიმები ცნებითობას კარგავენ სხვა ენებში ადაპტირებისას. ამ ტიპისაა ბერძნულ-რომაული თუ სხვა წარმოშობის საკუთარი სახელები; ბ) ცნებითობა მკვეთრად იკვეთება ანთროპონიმთა ქართულ ადგილობრივ ფონდში: გელოდი, არველოდი, რაინდი, ჭაბუკი, იმედა და მისთანები; გ) ცნებითობით განსაკუთრებით გამოირჩევა მეტსახელები და ეპითეტიანი სახელები; დ) ცნებითია ტოპონიმებიც: საქართველო (ქართველთა საცხოვრისი), შესაბამისად, საფრანგეთი, რუსეთი და ა.შ.

რაც შეეხება აბსტრაჰირებას, არც საკუთარი სახელია მოკლებული აბსტრაჰირების უნარს, როცა რაიმე თვისების სიმბოლოდ იქცევა: კვაჭი, თათქარიძე, კრეზი... მაგრამ სუპერენსკაია გულისხმობს სხვა ტიპის აბსტრაჰირებას, თუკი ამას მართლა აბსტრაჰირება ჰქვია. მაგალითად, მზისგან მიღებული გამოთქმის – Солнечная улыбка-ს – გათვალისწინებით, ავტორი მზეს არ მიიჩნევს საკუთარ სახელად, რადგან თვლის, რომ აქ მზის ძირითადი თვისებაა აბსტრაჰირებული.

ამ ტიპის, ე. წ. აბსტრაჰირებული, ფრაზები საკუთარ სახელთაგანაც შეიძლება წარმოიქმნას. მაგ.: თბილისური სიცხე, გურული სიფიცხე, სვანური ქუდი. ამ პოზიციით, არც თბილისი, არც გურია და სვანეთი ჩაითვლება საკუთარ სახელად.

დედამიწის საკუთარ სახელად არმიჩნევის დასტურად წარმოდგენილ ფრაზას – посерел, как земля-ს – დაეუპირისპირებთ ასეთ ფრაზას, რუსულადვე რომ ვთქვათ – испепелилась, как Помпеи. შემოთავაზებული კრიტერიუმით, არც პომპეი უნდა მივიჩნიოთ საკუთარ სახელად.

ამრიგად, ეს ორი მიზეზი, რომ საკუთარ სახელს არ ახასიათებს ცნებითობა და აბსტრაჰირება, ეფიქრობთ, გასაქარწყლებელია.

ზოგიერთი მკვლევარი ჩვენ მიერ წარმოდგენილ სადისკუსიო სიტყვებს ორმაგი კრიტერიუმით უდგება. მხედველობაში გვაქვს აკ. დავითიანის პოზიცია. ავტორი გარკვეულწილად აკონკრეტებს საკუთარ და საზოგადო სახელთა დეფინიციას და წერს: „საკუთარ და საზოგადო სახელთა დაჯგუფება თავისთავად სიძნელეს არ შეიცავს, თუმცა სასურველია რამდენადმე დაზუსტდეს სახელმძღვანელოში წესი, რომ საზოგადო სახელი აღნიშნავს **მრავალ ერთნაირ საგანს**". უმჯობესია ვიხმაროთ „ყველა ერთნაირ საგანსო" (დავითიანი, 1977, 103). ასეთი დეფინიციის შემთხვევაშიც არ იცვლება საკუთარი სახელის ფორმულირება. დავიმოწმებთ ავტორისეულ განმარტებას: „საკუთარია სახელი, რომელიც ჰქვია ერთ რომელიმე საგანს". ამის შემდეგ იგი ჩერდება იმ საკითხზე, რომელზედაც დღემდე არ ჩამოყალიბებულა ერთიანი აზრი. კერძოდ, აკ. დავითიანი წერს, რომ „ხშირად დავას იწვევს **ცალეულ სახელთა** ადგილი, რომელთაც ხან საკუთარ სახელს მიაკუთვნებენ, ხან საზოგადოსო" და ასახელებს სამ სიტყვას: მზეს, მთვარეს, დედამიწას. ამ სახელებთან დაკავშირებით ავტორი გვთავაზობს ასეთ კვალიფიკაციას: „ეს სახელები საზოგადოა, მაგრამ ცალეული, რადგან ისინი თითო საგანს ჰქვია" (დავითიანი, 1977, 103). როგორც ჩანს, ავტორს აფიქრებს ის ფაქტი, რომ ეს სიტყვები თითო, ცალეული საგნის აღმნიშნელია, რაც, ეფიქრობთ, თავისთავად უნდა განაპირობებდეს მის საკუთარსახელობას, მაგრამ იქვე აკ. დავითიანი ამ საკითხს წყვეტს მოკლე, სამსიტყვიანი ფრაზით: „ეს სახელები საზოგადოაო", თუმცა დასძენს, „მაგრამ ცალეული". ეფიქრობთ, ეს ორი დეფინიცია ერთმანეთის გამომრიცხველია. განცხადება – საგანი ცალეულია, მაგრამ მაინც საზოგადო – ეს არის მიკვლეული პრობლემიდან უკან დაბრუნება და საკითხის კვლავ ღიად დატოვება. თუმცა გრამატიკოსი მთლად უპასუხოდ არ ტოვებს ამ საორჭოფო საკითხს. უფრო მეტი დამაჯერებლობისთვის ავტორი ასახელებს მიზეზს, თუ რატომ თვლის იგი ამ ცალეული საგნების აღმნიშვნელ

სიტყვებს საზოგადო სახელებად, ანუ რატომ არ თელის საკუთარ სახელად. იმ კონკრეტული განცხადების შემდეგ, რომ ეს ლექსიკური ერთეულები (მზე, მთვარე, დედამიწა) საზოგადო სიტყვებიაო, მიუხედავად მათ მიერ ცალეული საგნების აღნიშვნისა, ავტორი ასე ასაბუთებს თავის დებულებას: „საკუთარ სახელთაგან ისინი თუნდაც იმით განსხვავდებიან, რომ სხვა ენებზე მათი გადათარგმნა შეიძლება“. მაგალითად ასახელებს: მზე//Солнце//Die Sone, „ხოლო საკუთარი სახელი არ ითარგმნება, მას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ და მხოლოდ ფონეტიკური ვარიანტიო“. ამ საბუთის პარალელურად თუ საპირისპიროდ დაეიმოწმებთ შემდეგს: პორტუგალიური ენის ლექსიკით წარმოდგენილი კაბო ვერდეს (რესპუბლიკა) ქართული თარგმანია მწვანე კონცხის რესპუბლიკა (კუნძულები), რუსული – „Острова зелёного мыса“... ასევე, დღევანდელი კოტ დიეუარის (ფრანგული სიტყვა) ქართულ შესატყვისად გამოიყენებოდა – სპილოს ძვლის ნაპირი (რესპუბლიკა), რუსულად Берег слоновой кости; ჩრდილოეთი დვინა თარგმნილია „северная двина“-დან. თარგმანებია: „წყნარი ოკეანე“, „ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანე“, ყოფილი იუგოსლავიიდან გამოყოფილი Черногория საერთაშორისო ასპარეზზე თარგმნილია შესატყვისად – მონტენეგრო. თუმცა გვაქვს უთარგმნელობის მაგალითებიც, განსაკუთრებით, მიკროტოპონიმიაში. ნიშანდობლივია, რომ ბერძნული მითოლოგიური ღმერთების საკუთარი სახელები რომაულ სივრცეში რომაული ლექსიკური ფონდის გამოყენებითაა დამკვიდრებული.

ასე რომ, მზე, მთვარე, დედამიწა სიტყვების არმიჩნევა საკუთარ სახელებად იმიტომ, რომ ისინი ითარგმნებაო, არ უნდა იყოს ხელმოსაკიდებელი ორი მიზეზის გამო: 1) ეს სიტყვები არ არის თარგმნილი, ამ საგნებს ყველა ენაზე თავისი სახელდება აქვს; 2) ასეც რომ იყოს, თარგმანობა, როგორც აღვნიშნეთ, არ ეწინააღმდეგება სიტყვის მიჩნევას საკუთარ სახელად, ონიმად. გარდა ამისა, **მზე, მთვარე, დედამიწის** საკუთარსახელობის, კოსმონიმობის, განმაპირობებელია: 3) სწორედ მათი ცალეულობა; 4) მრავლობითი რიცხვის უქონლობა.

რა თქმა უნდა, ტოპონიმთა გარკვეული რაოდენობა ერთი ძირიდან მიღებული სხვადასხვაენოვანი პარალელური ფორმაა,

ვთქვათ: Россия//რუსეთი//Rasha, Espania//Spain//Испания//ესპანეთი... ასეთივე ფონეტიკური პარალელები აქვს ტოპონიმებს – საფრანგეთი, პოლონეთი... ტოპონიმთა ერთი ნაწილი კი, მიუხედავად სხვადასხვა ენაში მათი განსხვავებულად გახმოვანებისა (და არა ფონეტიკური ვარიანტულობისა), შეიძლება ითქვას, არ წარმოადგენს თარგმანს. თითოეული მათგანი ეყრდნობა იმ ენაში არსებულ შესაბამის ლექსიკურ ერთეულს, კერძოდ, ეთნოსის სახელს: საქართველო//ჯორჯია//გეორგია//გურჯისტანი//გრუზია, საბერძნეთი//Греция, გერმანია//Deutschland, სომხეთი//არმენია. ვფიქრობთ, ასევე არ უნდა მივიჩნიოთ ერთი ენიდან სხვა ენაზე თარგმნილად მზე, მთვარე, დედამიწა. ეს საგნები სხვადასხვა ენაში საკუთრივ ლექსიკური ფონდიდანაა სახელდებული. ამ შემთხვევაში და, საერთოდაც, თარგმანა მეორეული ეტაპია, როცა ერთი ენა იყენებს მოცემული სხვაენოვანი სიტყვის შესაბამის ლექსიკურ ერთეულს საკუთარი ენობრივი ფონდიდან. ე. ი. თარგმანია, ვთქვათ, კაბო ვერდე → მწვანე კონცხის კუნძულები. ფონეტიკური ვარიანტია Россия → რუსეთი... მაგრამ თარგმანი, ამ სიტყვის ტრადიციული გაგებით, არ არის – ჰაისტანი//Армения//სომხეთის ტიპის ტოპონიმები. ამავე რიგს მივაკუთვნებთ მზეს, მთვარეს და დედამიწას, თუმცა აღნიშნულ ტოპონიმთა ონიმობას არ აბრკოლებს არც პირველი ფაქტი (კაბო ვერდე → მწვანე კონცხის კუნძულები), არც მეორე (რუსეთი//Россия), არც მესამე (სომხეთის ვარიანტები).

ეს სიტყვები, თავისთავად აღებული, ნამდვილად არ არის რომელიმე სხვა ენიდან ნათარგმნი. თითოეულ მათგანს სხვადასხვა ენაში აქვს თავისი სახელდება, რის საფუძველზედაც ხდება თარგმანება, რაც, კვლავ გავიმეორებთ, მეორეული ეტაპია. ამრიგად, თარგმანება არ არის განმსაზღვრელი საზოგადო და საკუთარ სახელთა გამიჯვნისას. როგორც დავინახეთ, ითარგმნება ტოპონიმებიც. გარდა ამისა, როცა ხდება აღიარება რომელიმე საგნის ცალეულობისა, ეს ფაქტი ლოგიკურად უნდა იწვევდეს ამ ცალეული საგნების აღმნიშვნელი სიტყვების აღიარებას საკუთარ სახელებად, მით უფრო, რომ **დედამიწა, მზე, მთვარე,** ცა უფრო ცალეულია, ვიდრე ნებისმიერი ანთროპონიმი.

დავუბრუნდეთ ჩვენს მოტივაციას. თუ დედამიწა არ არის საკუთარი სახელი, მაშინ დანარჩენი პლანეტების სახელებიც (მერკური, ვენერა, მარსი, იუპიტერი, ნეპტუნი, პლუტონი...) არ უნდა ჩაითვალოს საკუთარ სახელებად (შეუძლებელია სამყაროს 9 სახელდებული პლანეტიდან 8 პლანეტის აღმნიშვნელი ტერმინი იყოს საკუთარი სახელი, ერთი პლანეტის აღმნიშვნელი კი – საზოგადო). მართალია, ამ პლანეტის აღმნიშვნელი რომაული სიტყვები საერთაშორისო ტერმინებად იქცა, პლანეტა დედამიწას კი ყველა ენაზე თავისი შესატყვისი აქვს (და არა თარგმანი), მაგრამ, ვფიქრობთ, ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ პლანეტის სახელებად გახდომამდე ისინი უკვე ონიმები იყო (ღმერთების საკუთარი სახელები). შემდეგ მოხდა მათი მზამზარეული გადასვლა თეონიმებიდან კოსმონიმებად.

რაც შეეხება სიტყვა „ცას“, „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ (ქეგლ, VIII, 1964) ცას ასეთი დეფინიცია აქვს: „ცა – ესაა დედამიწის ზემოთ არსებული სივრცე, რომელსაც გუმბათის ფორმა აქვს“, ე. ი. ცა არის რეალურად არსებული ადგილი, რომელიც მხედველობით აღიქმება. მყარ გამონათქვამებში ცა სწორედ რეალურ სივრცედ იგარაუდება: „ცა ქუდად არ მიაჩნია, დედამიწა – ქალამნად“, „ცაში ვარსკვლავს ეთამაშება“. ბიბლიურად ცა იმ შორეული წარსულის ერთადერთი მყარი საგანი იყო. იქამდე ჯერ დედამიწაც არ იყო გაჩენილი „და მყარს უფალმა უწოდა ცა“, ისე როგორც ხმელეთს – დედამიწა.

ჩვენი მიზანია, საბოლოოდ დადგინდეს **მზე, მთვარე, დედამიწა, ცა** არსებით სახელთა რომელ სემანტიკურ ჯგუფს უნდა ეკუთვნოდეს. ამ საკითხს გვერდს ვერ ავუვლით. დავიმოწმებთ ა. ვ. სუპერანსკაიას ერთ თვალსაზრისს აღნიშნულ სიტყვებთან დაკავშირებით. მეცნიერს მათი არასაკუთარსახელობის მოტივაციად დამატებით მოჰყავს საკმაოდ ორიგინალური მოსაზრება, რომელსაც მხოლოდ დავიმოწმებთ (უკომენტაროდ). მისი თქმით, ამ ციურ საგანთა ერთადერთობის ფაქტის შესახებ კაცობრიობამ შედარებით გვიან გაიგო, მაშინ, როცა ენა უკვე ჩამოყალიბებული იყო.

§4 საკუთარი სახელის საკითხისათვის ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში

საკუთარი სახელი ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში ყველაზე ნაკლებადაა შესწავლილი არსებით სახელთა სხვა ჯგუფებთან შედარებით.

1. ზურაბ შანშოვანი, რომლის „მოკლე ღრამმატიკა ქართულისა ენისა“ უსწრებს XVIII ს-ში შექმნილ სხვა ანალოგიურ ნაშრომებს, მხოლოდ ორიოდე სიტყვით ჩერდება საკუთარ სახელზე. „სახელი არს კერძო სიტყვისა სასრბოლო, თუნიერ ჟამისა და პირისა, რომელი არს: ვახტანგ, პეტრე“ (ზ. შანშოვანი, 1881, 9). სხვა რამ საკუთარი სახელის თავისებურებაზე ამ ნაშრომში თითქმის არაფერია ნათქვამი. მართალია, ავტორი საკუთარ სახელს სასრბოლო სიტყვად თვლის, მაგრამ არაფერს ამბობს მისი ბრუნების თავისებურებებზე.

2. შედარებით მწყობრი მოძღვრება არსებითი სახელის შესახებ XVIII ს-ის ქართულ გრამატიკაში **ანტონ პირველმა** შეიმუშავა. მისი „ქართული ღრამმატიკა“ თავისი დროის მეცნიერებისათვის უეჭველად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ქართული სახელის თეორიას ნიადაგი პირველად სწორედ ანტონის ნაშრომმა მოუმზადა. ანტონი თვლიდა, რომ არსებითი სახელის სისტემაში სამი ჯგუფის ფენომენია გაერთიანებული: საკუთარი, საზოგადო და კრებითი: „სახელი არსებითი იწუალების სამთა მიმართ საქმეთა: 1. მხოლოობითისად, 2. საზოგადოჲსად, 3. შემკრებელობითისად“ (ანტონ I, 1885, 125). აქედან გრამატიკოსი პირველად გამოყოფს და განიხილავს სწორედ მხოლოობითს, ანუ საკუთარ სახელს: „მხოლოობითი არს მნიშუნელი ნივთისა, განუყოფელად და განუჭრელად“. ნიმუშებად კი დასახელებულია პირის (ფარნავაზ, ვახტანგ) და ადგილის (მცხეთა, მტკვარი) სახელები. ანტონი „სათუთოს“ უწოდებს საკუთარ სახელს და გვაძლევს ფრიად მნიშვნელოვან დაკვირვებას საკუთარ სახელთა თავისებურებებზე ბრუნვის დროს, კერძოდ იმას, რომ საკუთარ სახელებში არ ხდება კეცა: „სახელნი სათუთონი, -ა, -ე, -ო, -უ-ით დაბოლოებულნი, უსპობელად კიდურქონებულისა... მიიღებენ ნიშანსა ბრუნჳსასა ერთსა, რომელა -სი, მა-

გალითებრ: ანდრეასი, იოანესი, პიროსი, იისუსი და სხუანი“ (იქვე, 135). ასევე ი-ბოლოხმოენიანი სათუთო სახელებიც „არა მერყეობისა არს მიმღე“ (იქვე, 11). ნათესაობითის ნიშნად კი აქვთ -სა (ანტონი-სა, ათანასი-სა...). საგანგებოდ ჩერდება გრამატიკოსი ამაეე ფუძის მოთხრობით ბრუნვაზე, რაზედაც ყურადღებას ამახვილებს ე. ბაბუნაშვილი: „მეორე რედაქციაში ანტონი წერს, რომ მოთხრობითის მან ნიშანი კვეცს წრფელობითის ი და ჳ ნიშანს საზოგადო სახელებში (კაცმან, მოგუმან), საკუთარში კი – არა (სოგრატიმან, არისტოტელიმან)“ (ელ. ბაბუნაშვილი, 1970, 102). აქ, როგორც ვხედავთ, ი ფუძისეულად არის მიჩნეული, ისევე როგორც სახელში – ანტონი. განსაკუთრებით აღსანიშნია ის, რომ რიცხვის კატეგორიის მიხედვით, გრამატიკოსი საკუთარ სახელს უთანაბრებს საზოგადოს. ანტონი ფიქრობს, რომ საკუთარ სახელს აქვს უნარი მრავლობითი რიცხვის წარმოებისა, ბუნებრივად თვლის ფორმებს:

მარიამ-ნ-ი და მარიამ-ებ-ი.

წრფ.	მარიამნი
ნათ.	მარიამებისა // მარიამ<u>თ</u>ანი
მიც.	მარიამებს // მარიამებთა
შემასმ.	მარიამებნი // მარიამნი
დაწყ.	მარიამებისაგან // მარიამთაგან
მოთხ.	მარიამებმან
მოქმ.	მარიამებითა
წოდ.	მარიამნო

ეს პარადიგმები, რა თქმა უნდა, ხელოვნურია, მაგრამ მიგვანიშნებს ერთ ფაქტზე: „ებ-სუფიქსიანი მრავლობითის ფორმა ძველ ქართულში არ არის ისე იშვიათი, როგორც ეს ზოგჯერ მიაჩნიათ“ (ალ. ონიანი, 1989, 223). ხელოვნურია ისიც, რომ ბრუნვის ერთ ფორმაში ანტონი ერთდროულად გვთავაზობს მრავლობითის ებ-იან და ნართანიან ვარიანტებს.

რით უნდა აიხსნას საკუთარი სახელის ერთ ფორმაში ორი სხვადასხვა სახის მრავლობითობის ნიშნის ხმარება?[1] საეარაუდოა, რომ ანტონმა ერთ-ერთი მათგანი, კერძოდ, ორმაგი ნიშნის პირველი ნაწილი -ებ (ებთ, ებნ) და -თა (თან) ძალადაკარგულად მიიჩნია მრავლობითობის ჩვენებისათვის. გარდა ამისა, არანაკლებ დამაფიქრებელია ის ფაქტი, თუ რას ეყრდნობა გრამატიკოსი საკუთარი სახელის მრავლობითი რიცხვის ფორმით წარმოდგენისას. ძველი ქართული მასალა, რასაც მკვლევარი კარგად იცნობს, ამდაგვარი შეხედულების საფუძველს არ იძლევა. ერთეულ და ცალკე საკითხთან დაკავშირებით გამოთქმული აზრი, ან გნებავთ, დამოწმება რამდენიმე მაგალითისა, რაც შეიძლება დაფიქსირებულია ძველი ქართულის ძეგლებში, სურათს ვერ შეცვლის. საინტერესოა ზ. სარჯველაძის მიერ დასახელებული ფაქტი. იგი აღნიშნავს, რომ XII ს-ის -52 ხელნაწერში მოიპოება საკუთარი სახელის ფორმა – მარიამნი, XI ს-ის ერთ-ერთ ძეგლში – იოანენი, სჳმეონნი. სალიტერატურო ენის ძეგლებში, ვიმეორებთ, ამისთანა მაგალითები შეიძლება მართლაც ვიპოვოთ, მაგრამ ეს იშვიათი გამონაკლისები ენის ნორმად ვერ მიიჩნევა. „ცალკეულ მწერალთა ინდივიდუალური ენობრივი თავისებურებანი, როცა ისინი მკვეთრად უპირისპირდებიან ენის ნორმებს, ვერავითარ ზეგავლენას ვერ ახდენენ ენის განვითარების ტენდენციებზე“ (ზ. სარჯველაძე, 1987, 301). ანტონის დებულებათა ტრადიციამ გზა გაიკვლია გაიოზ რექტორის, სოლომონ დოდაშვილისა და სხვათა გრამატიკულ შრომებში.

---

[1] ორმაგი მრავლობითობის ფაქტი საზოგადო სახელების მაგალითზე პირველად მიუთითა ნ. მარმა (ნ. მარი, 1925, 29), ხოლო შემდეგ პროფ. კარპეზ დონდუამ (კ. დონდუა, 1933, 61). მას დამოწმებული აქვს ძველი და საშუალო ქართულის ძეგლებიდან ორმაგი მრავლობითობის შემთხვევები: არაკ-ებ-თა, დაბ-ნ-ებ-თა, სოფლ-ებ-თა. აქვე დამოწმებულია დიალექტური გამოთქმებიც: ანგელოზ-ნ-ებ-ი, ძმა-ნ-ებ-ი... ორმაგი მრავალობითის ფორმებზე საგანგებოდ ჩერდება ზ. სარჯველაძე (ზ. სარჯველაძე, 1984, 380-381), მაგრამ ყველგან საუბარია საზოგადო სახელებზე.

3. გაიოზ რექტორის „ქართული ღრამმატიკის“ (1789 წ.) თეორიული საყრდენი ანტონის ნაშრომია. ანტონის მსგავსად, გაიოზი თვლიდა: „არსებითი სახელი განიყოფების სამად: საზოგადოდ, სათუთაოდ, ანუ კერძოობითად და შემკრებელობითად“. ტერმინი სათუთო, ანუ კერძოობითი ავტორს გამოყენებული აქვს საკუთარი სახელის აღსანიშნად და აზუსტებს: „სათუთო, ანუ კერძოობითი სახელი იგი არს, რომელიც დაჰნიშნაჳს პირსა, ანუ ნივთსა სათუთოდ განრჩევით; მაგალ. პეტრე, პაელე, ვარდი, მარგარიტი და სხუანი“ (გაიოზ რექტორი, 1970, 52). მოცემული განსაზღვრებიდან ჩანს, რომ ავტორს ვარდი, მარგალიტი სათუთო, ანუ კერძოობით სახელებთან აქვს გაიგივებული. ანტონისავე მსგავსად, ბრუნების პარადიგმებში გაიოზს ჩართული აქვს ონიმის მრავლეითი რიცხვის ხელოვნური ფორმები:

წრფ.	მარიამნი
ნათ.	მარიამებისა
მიც.	მარიამებს
შემასმ.	მარიამნი
დაწყ.	მარიამებისაგან
მოთხ.	მარიამებმან
მოქმ.	მარიამებითა
წოდ.	მარიამნო (დასახ. ნაშრ., 58).

ამ პარადიგმებს ავტორი ურთავს „სხოლიოს“, რომელშიც მოტივირებულია საკუთარი სახელის მრავლობითობის წარმოება. „ყოველნი სათუთონი სახელნი... იბრუნუან ოდენ მხოლობითსა შინა ბრუნუასა და იძულებით – მრავლობითსა შინა, და უშუშრცა; მაგალ. ანტონი, ანტონნი, ანტონებნი, ანტონებისა, ანტონთანი, ანტონებს, ანტონთ და სხუანი“ (დასახ. ნაშრ., 60). ამ დეფინიციაში სიტყვა „იძულებით“ თითქოს თავად გრამატიკოსი მიგვანიშნებს, რომ „მარიამების“ ტიპი ხელოვნური ფორმაა (იძულება = „მძლაერობა“, ძალის დატანება, ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, 1973). უნდა აღვნიშნოთ, რომ საკუთარ სახელთა მრავლობითი რიცხვის ხელოვნურობას განაპირობებს შესაბამისი ტექსტობრივი მასალის დაუმოწმებ-

ლობა. ანთროპონიმთა მრაელობითის ფორმები, გარკვეულწილად, შესაძლებელია დაიშვას და მას კომენტარიც გაუკეთდეს (ვიები = ოთხი გია), მაგრამ გრამატიკულ ლიტერატურაში ამ მოვლენის ასე საგანგებოდ, დაბეჯითებით ნორმად მიჩნეყა ყველა ბრუნვის ფორმით მისი მწყობრ სისტემაში ჩაყენება, მართლა „იძულებით“ ნორმად უნდა ჩაითვალოს; მით უფრო, რომ ეს ხელოვნური ფორმები არ არის დადასტურებული ტექსტებით. სინტაქსის ნაწილში არ გვხვდება წყვილები: ანტონნი ბრძანებენ, ანტონები მოვიდნენ... ამისთანა წყვილების დაუსახელებლობა მოწმობს იმას, რომ ისინი პრაქტიკულად არ იხმარებოდნენ. ამიტომ ვთვლით, რომ გაიოზის გრამატიკაში საკუთარ სახელთა მრავალობითობის წარმოების აღნიშნული პარადიგმები გადმოსულია ენის არა რეალური არსენალიდან, არამედ ანტონის ნაშრომიდან, ხოლო დებულება არც ერთ ნაშრომშია არგუმენტირებული და არც – მეორეში. შესაბამისი ტექსტობრივი მოწმობანი ძველი ან საშუალი ქართული ძეგლებიდან მოშველიებული არ არის, რაც დებულებას დამაჯერებლობას უკარგავს. ამ გრამატიკაშიც ეხვდებით საკუთარი სახელის მრავალობითობის ორსუფიქსოვან წარმოებას – ანტონებნი.

4. იოანე ქართველიშვილის გრამატიკა. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, იოანე ქართველიშვილი ანტონის მიმდევარი იყო. მან „თავის გრამატიკაში, – წერს ა. ფოცხიშვილი, – შეძლებისდაგვარად გადმოიტანა ანტონისა და გაიოზის გრამატიკების დადებითი დებულებების თითქმის უმეტესი ნაწილი“ (ალ. ფოცხიშვილი, 1979, 275). ამ გრამატიკაში

წრფ.	მარიამ	-მნი	-ები
ნათ.	მარიამისა	-მთა	-ებისა
მიც.	მარიამსა	-მთა	-ებსა
შემასმ.	მარიამი	-მნი	-ები
დაწყ.	მარიამისგან	-მთაგან	-ებისაგან
მოთხ.	მარიამმან	-მთა	-ებმან
მოქმ.	მარიამისმიერ	-მთამიერ	-ებითა
წოდ.	მარიამ	-მნო	-ებო

მარიამ საკუთარი სახელის შემდეგი პარადიგმები გვხვდება:

(იოანე ქართველიშვილი, 1815, 20).

პარადიგმებში გამიჯნულია როგორც ებიანი, ისე ნარიანი და თანიანი მრავლობითის მაწარმოებლები, მაგრამ, ანტონისა და გაიოზის მსგავსად, გრამატიკოსს ბრუნვისა და რიცხვის ნიშნები ერთმანეთისაგან არა აქვს გამიჯნული. „იოანე ქართველიშვილი, – აღნიშნავს ალ. ფოცხიშვილი, – პირველი გრამატიკოსია, რომელმაც ერთიმეორის პარალელურად მოგვცა მრავლობითი რიცხვის ნარ-თანიანი და ებიანი სახეობა“ (ალ. ფოცხიშვილი, 1979, 282).

ანტონისეული შეხედულებები საკუთარ სახელთა ბრუნებაზე გადმოეცა XIX ს-ის პირველი ნახევრის გრამატიკულ ლიტერატურასაც და ნაწილობრივ მათ გზა გაიკელიეს გვიანდელი დროის გრამატიკოსთა ნაშრომებშიც.

5. XIX ს-ის პირველ ნახევარში ანტონის სკოლის პრინციპების ერთ-ერთი ერთგული დამცველი იყო **ს. დოდაშვილი,** რომელმაც მნიშვნელოვნად წასწია წინ ქართული ენის გრამატიკული წყობის შესწავლა. „არსებითი სახელი, – მიუთითებს ავტორი, – განიყოფების სამად: საკუთრებითად, საზოგადოდ და შემკრებლობითად“ (დოდაევი, 1830, 4). ეს ანტონის დებულების პერიფრაზია. თვით ამ ძირითადი ცნებების დეფინიციებიც ანტონისეულია: „საკუთრებითი არსებითი სახელი არს იგი, რომელიც დანიშნავს ერთსა განუკვეთელსა ანუ განუჭრელსა საგანსა; მაგალ., პეტრე, ეფრატ, როსსია, კაეკასია და სხუანი“ (იქვე, 4-5).

ამასთან, ავტორს საკუთარი სახელის ბრუნება განხილული აქვს არა ცალკე, არამედ სახელთა კანკლედობის საერთო პროცესთან ერთად. ამიტომ, ს. დოდაშვილის აზრით, საკუთარ სახელთა მრავლობითი რიცხვი არსებით სახელთა სხვა კლასების შესატყვისად იწარმოება. ანტონისგან განსხვავებით და იოანე ქართველიშვილის მსგავსად, აქაც გამიჯნულია -ებ- და -იან-იანი მრავლობითი:

წ.	მარიამნი	-ები	ანნანი	-ები
ნ.	მარიამთა	-ებისა	ანნათა	-ებისა
მ.	მარიამთა	-ებსა	ანნათა	-ებსა
შ.	მარიამნი	-ები	ანნანი	-ები

დ.	მარიამთაგან	-ებისაგან	ანნათაგან	-ებისაგან
მ.	მარიამთა	-ებმან	ანნათა	-ებმან
მ.	მარიამთამიერ	-ებითა	ერ	-ებითა
წ.	მარიამნო	-ებო	ანნანო	-ებო

6. პლ. იოსელიანი აგრძელებს თავისი თანამედროვე გრამატიკოსების ტრადიციას, მაგრამ გვაწვდის სიახლესაც – კერძოდ, აღარ ხმარობს წრფელობითს, შემასმენლობითსა და დაწყებითს ბრუნვებს: საკუთარი სახელის იოსელიანისეული განსაზღვრება პერიფრაზია ს. დოდაშვილის მსჯელობისა.

გრამატიკოსის აზრით, ადამ საკუთარი სახელი ასე იბრუნვის:

სახ.	ადამ	ადამნი	-ები	
ნათ.	ადამისა	ადამთა	-ებისა,	-ებთა
მიც.	ადამსა	ადამთა	-ებსა	-ებთა
მოთხ.	ადამმან	ადამთა	-ებმან	-ებთა
მოქმ.	ადამთა	ადამთა მიერ	-ებითა	-ებთა მიერ
წოდ.	ადამ	ადამნო	-ებო	-ებნო

პლ. იოსელიანს საკუთარი სახელის მრავლობითი რიცხვის სამი შემთხვევა აქვს აღნიშნული:

1. ნარ-თანიანი: ადამნი, ადამთა...
2. ებიანი: ადამები, ადამებისა...
3. შერეული სახისა: ადამებთა, ადამებნო...

სქოლიოში მითითებულია ხმოვანფუძიანი საკუთარი სახელების ბრუნების შესახებაც: „სათჳთონი სახელნი, დაბოლოებულნი მათვე ასოთა ზედა (ე.ი. ა და ჱ) არა ისპობენ თჳსთა დამაბოლოებელთა ასოთა, არცა ერთსა შინა ბრუნუასა ორთავე რიცხუთა, მაგ. ისაია – იასი; ალექსანდრე – ესი და სხ.“ (იქვე, 21).

შერეული მრავლობითის ფორმებს ანტონის შრომაშიც ვხვდებით, მაგრამ პლ. იოსელიანთან ეს სისტემის სახითაა მოცემული. აქ მკვეთრადაა გამიჯნული ნარ-თანიანი, ებიანი და

შერეული მრავლობითი, ანტონი კი მათ არ მიჯნავს. მაგრამ ამჯერად არსებითია ის, რომ პლ. იოსელიანისთვისაც მისაღებია საკუთარ სახელთა მანამდე არსებული ხელოვნური მრავლობითის ფორმები.

როგორც ვხედავთ, ანტონი და მისი სკოლის ზემოთ ჩამოთვლილი გრამატიკოსები საკუთარი სახელის სტრუქტურის აგებაში შემოფარგლული არიან გარკვეული ჩარჩოებით, მიღებული დასკვნები არ არის გამაგრებული მასალით. უგულებელყოფილია ენობრივი ტექსტები და მათი ჩვენება.

ორიოდე სიტყვით ყურადღება უნდა შევაჩეროთ საკუთარ სახელთან ემფატიკური ა-ს ხმარებაზე.

აკაკი შანიძის „ძველი ქართული ენის გრამატიკაში“ ვკითხულობთ: საკუთარ სახელებს „საერცობი -ა არ დაერთვის მიცემითში, ნათესაობითსა და მოქმედებითში“ (ა. შანიძე, 1976, 41). ივ. იმნაიშვილის დაკვირვებითაც, V-X სს-თა ძეგლებში ადამიანთა საკუთარი სახელები იმითაც განსხვავდებიან საზოგადო სახელებისაგან, რომ ისინი არ დაირთავენ ემფატიკურ ა-ს, რომელიც, როგორც ცნობილია, ნაწევრად გამოყენებული ნაცვალსახელის ნაშთია, შეზრდილი ბრუნვის ფორმასთან. თუ რატომ არ დაირთავენ საკუთარი სახელები ემფატიკურ ა-ს, ამაზე მკვლევარი უპასუხებს: „ადამიანის სახელებს არ სჭირდებოდა ნაწევარი და არც მისგან გამომდინარე -ა გააჩნიათ მათ“. იმავე ნაშრომში ავტორი შენიშნავს: „რაკი ძველსავე ქართულ'ში დაიწყო ადამიანთა სახელების საზოგადო სახელებთან გათანაბრება, ეს პროცესი ემფატიკურხმოვნიან ბრუნვებსაც შეეხო, პირველ რიგში — მიცემითს“ (ი. იმნაიშვილი, 1957, 373-374). „გათანაბრებას ადგილი აქვს ნათესაობითშიც“, მაგრამ ავტორი იქვე მიუთითებს, რომ „საკუთარი სახელების საზოგადო სახელებთან გათანაბრების შემთხვევები ნათესაობითს ბრუნვაში ნაკლებადაა დადასტურებული“ (დასახ. ნაშ., 375).

საგულისხმოა, რომ ანტონისა და გაიოზის გრამატიკებში მოცემულ საკუთარ სახელთა ბრუნებისას მიცემითში ემფატი-

კური -ა არ ჩანს;[1] თუ გამოჩნდება, მათი ხმარება მერყეობა, ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში კი — გვხვდება. გაიოზის გრამატიკაში ცალკე წარმოდგენილ ბრუნვის ნიშნებში მიცემითის ნიშნად დასახელებულია „ს, ანუ სა“, მაგრამ კანკლედობისას ამავე ბრუნვაში მოცემულ სახელებს (როგორც საზოგადოს, ისე საკუთარს) ემფატიკური ა არ დაერთვის (გაიოზ რექტორი, 1970, 58-59); ე.ი. თეორიულად ემფატიკური ა ივარაუდება, მაგრამ პრაქტიულად, სახელთა კანკლედობისას, არ ჩანს.

მიცემითში საერცობი -ა არ გვხვდება აგრეთვე ანტონის გრამატიკის ბეჭდურ გამოცემაში.[2] ეს გარემოება იმითაც შეიძლება აიხსნას, რომ მიცემით ბრუნვაში ემფატიკურ ა-ს ხსენებული ავტორების გრამატიკებში ვერც საზოგადო სახელებთან ვხვდებით. საკუთარ სახელებთან ემფატიკური ხმოვანი მიცემით ბრუნვაში დაცულია ი. ქართველიშვილის, ს. დოდაშვილის, პლ. იოსელიანის ნაშრომებში.

ადრინდელი ქართული გრამატიკული ლიტერატურა ანტონის დოგმებთან ერთად მეტ-ნაკლებად შებოჭილი იყო რუსული გრამატიკის გავლენით და ამიტომ ქართული სახელისა და ზმნის, მათ შორის საკუთარი სახელის, სტრუქტურისა და

სემანტიკის სპეციფიკის ჩვენებას აკლია მეცნიერული სიღრმე. ამ ლიტერატურაში საკუთარ სახელთა შესახებ გამეორებულია მხოლოდ ის, რაც საერთოდ გრამატიკაში მოიპოვებოდა, ხოლო ქართული საკუთარი სახელის სიღრმისეული ნიშანთვისებები ზედაპირულად, არასრულყოფილად იქნა გათვალისწინებული.

7. ლომონოსოვი საკუთარ სახელებს აყენებდა იმ საზოგადო სახელთა გვერდით, რომელთაც საგნობრიობა განსაზღვრავს. გრამატიკოსი სახელთა ერთობლიობიდან გამოყოფდა გვარებსა და სახელებს, ზოგჯერ კი გვარსა და სახელს აერ-

---

[1] ძირითადად ვეყრდნობით ანტონ პირველისა და გაიოზ რექტორის გრამატიკების დასახელებულ ბეჭდურ გამოცემებს.

[2] გამონაკლისია ანტონის გრამატიკის პირველი რედაქცია, საიდანაც ელ. ბაბუნაშვილს დამოწმებული აქვს მიცემითი ბრუნვის მრავლობითში პარალელურად ორი ფორმა: მარიამებთა // მარიამებთ.

თიანებდა. მისი აზრით, ადამიანი გამოხატავს გვარს, ხოლო მეორმარი, მოსამართლე, გლეხი – სახელებია, რომლებსაც იმავე დროს ზოგჯერ გვარის გაგებაც აქვთ. მოსამართლე, მაგალითად, კაცის მსჯელობაში არის სახე, მაგრამ იაკობის, თევდორეს, ივანეს მსჯელობაში – გვარია, რადგან მოსამართლედ შეიძლება იყვნენ ივანე, იაკობი, თევდორე, რომლებიც არიან სახეები. ამისთანა სახეს ლომონოსოვი საკუთარ სახელს ეძახდა (მ. ლომონოსოვი, 1952, 409). სხვა ინფორმაცია საკუთარ სახელთა შინაგანი სტრუქტურისა და სემანტიკის შესახებ ლომონოსოვის გრამატიკაში არ გვაქვს. ლომონოსოვი ამოდის იმ კრიტერიუმებიდან, რაც ანტიკურმა ეპოქამ შეიმუშავა და პირველ გრამატიკულ მოძღვრებაში პოვა ასახვა.

დიონისე თრაკიელის ერთ სქოლიოში სახელი მნიშვნელობის მიხედით იყოფა – საკუთრად და საზოგადოდ. საზოგადოა, მაგალითად, ადამიანი, კერძოდ – სოკრატი (Античные теории... М.,-Л., 1936, 118).

შუა და ახალი საუკუნეების ეპოქას ასაზრდოებდა შეხედულებები, რომლებიც შეიმუშავეს ალექსანდრიელმა გრამატიკოსებმა. ერთი საერთო წყაროთი იკვებებოდა ქართული გრამატიკა ანტონიდან მოყოლებული და რუსული გრამატიკა – ლომონოსოვიდან მოყოლებული.

ჯერ კიდევ ანტონის გრამატიკაში, რომელიც მისი რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ დაიწერა, იგრძნობა რუსული გრამატიკის გავლენა, რასაც თვით ავტორიც აღნიშნავს თავისი ნაშრომის წინასიტყვაობაში.

8. გ. ფირალიშვილი, მაგალითად, ანტონის დოგმებთან ერთად განიცდიდა იმ პერიოდის რუსული სასკოლო გრამატიკის გავლენას. იგი წერს: „სახელი საკუთრებითი არს იგი, რომელიცა ერთსა ოდენ პირსა, ანუ ერთსა ოდენ ნივთსა ეკუთვნის. მაგალ., მოსე, ალექსანდრე, ირაკლი, მოსკოვი, ტფილისი, მტკვარი და მებრ სხვანი“ (გ. ფირალოვი, 1920, 32). აქ დასმულია წერტილი. საკუთარ სახელთა შესახებ მეტი აღარაფერია ნათქვამი. გეერდი აქვს ავლილი საკუთარ სახელთა ბრუნებასაც.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ქართველი გრამატიკოსებისათვის ამოსავალი სამი წყარო იყო: 1. ადგილობრივი ტრადიცია, 2. ანტიკური ხანის ბერძენ გრამატიკოსთა შეხედულებანი, 3. რუსული გრამატიკის მიღწევები.

ანტონის დებულებათა ტრადიციამ გზა გაიკვლია არა მარტო მისი სკოლის წარმომადგენელთა ნაშრომებში, რაც, ცხადია, ბუნებრივი და მოსალოდნელიც იყო, არამედ ამ დებულების მოწინააღმდეგეთა შრომებშიაც შეუნია, რაც მოულოდნელი იყო. ამ გარემოებას თვალნათლივ მოწმობენ, ერთი მხრივ, ზემოთ განხილული ავტორების — გაიოზ რექტორის, სოლომონ დოდაშვილისა და სხვათა, მეორე მხრივ კი, ვთქვათ, დიმიტრი ყიფიანის გრამატიკული შრომები.

9. დ. ყიფიანის „ახალი ქართული გრამმატიკა“ არ მიჰყვება ანტონის ტრადიციას და ქართული ენის სტრუქტურულ სისტემას ახალი თვალსაზრისით აშუქებს, მაგრამ ანტონის შეხედულებანი XIX ს-ში იმდენად ძლიერად იყო ფეხმოკიდებული და დამკვიდრებული, რომ მათ გავლენას მთლიანად ვერც დ. ყიფიანი ასცდა. ანტონის თავისებური რევიზიონისტი ზოგ რამეში მისი მიმდევარიც კი გახდა. ეს განსაკუთრებით საკუთარ სახელთა ბრუნების ყიფიანისეულ გადმოცემაზე უნდა ითქვას. ტერმინის შინაარსი ავტორს ტრადიციულად ესმის. „სახელი არსებითი — ამბობს დ. ყიფიანი, — მაშინ არის საკუთრებითი ან კერძოობითი, როდესაც მარტო იმასა ჰქვია, ვისზედაც ან რაზედაც არის ლაპარაკი ჩამოგდებული: ივანე, პეტრე, ანდრია... ანნა, მართა, მარიამ... ტფილისი, ქუთაისი, ბათომი... მტკვარი, რიონი, ჭოროხი, ყაზბეგი, იალბუზი, კავკასია“ (დ. ყიფიანი, 1882, 16). ავტორი ეყრდნობა საკუთარი სახელის არსის იმხანად საყოველთაოდ გავრცელებულ გაგებას და მართებულად ახასიათებს მის რაობას. ეს გაგება ზოგადია და დღესაც ძალაშია. მისგან შორს არსებითად არც თანამედროვე გრამატიკა წასულა. საკუთარი სახელის არსი თითქმის ანალოგიურად აქვს განმარტებული ისეთ დიდ გრამატიკოსსაც, როგორც ა. შანიძეა, ოღონდ დაკონკრეტებულად: „საკუთარია ისეთი სახელი, რომელიც ჰქვია ერთ რომელსამე საგანს: ქვეყანას ან კუთხეს, სოფელს ან ქალაქს, მთას, ადგილს, მდინარეს, ტბას და სხე., მაგ.,

საქართველო, მოსკოვი, ტაბახმელა, მტკვარი და სხვ. საკუთარ სახელებად ითვლება აგრეთვე ადამიანთა სახელები (შოთა, იოსებ, ლავრენტი, რუსუდან, თინათინ, მაიკო) და გვარებიც (ჭავჭავაძე, წერეთელი, ღომოური, შევჩენკო, პუშკინი, შექსპირი და სხვ.)“ (აკ. შანიძე, 1973, 38).

გაკვირვებას იწვევს დ. ყიფიანის მიერ ანტონის თვალსაზრისის გამეორება საკუთარ სახელთა მრავალობითის წარმოების საკითხში. ყოველგვარი შენიშვნის, მოტივირებისა და ტექსტობირივი მოწმობის გარეშე ავტორი ამბობს: „საკუთრებითი სახელი, მარტივად თქმული, შეიძლება მრავალობითშიაც დაბრუნდეს: მარიამ, მარიამები, თამარ, თამარები, ანტონნი, ანტონთა“ (დ. ყიფიანი, 1882, 25). ამავე დროს ავტორი გვაფრთხილებს: „თუ სხვა სახელიც დაჰყვა ღირსებისა და წოდების გამომხატველი, მაშინ მრავლობითად დაბრუნება აღარ შეიძლება: მარიამ დედოფალი; თამარ-მეფე; ზურაბ-სარდალი; პავლე-მოციქული (დ. ყიფიანი, დასახ. ნაშრ., 25).

დ. ყიფიანი, თავის დროის უეჭველად დაკვირვებული გრამატიკოსი, რომელიც ეძიებდა მეცნიერებაში ახალ გზებს, საკუთარ სახელთა ბრუნების საკითხში ვერ გასცდა ანტონის ტრადიციას და დაშორდა ახალი ქართულის ნორმებს.

საკუთარ სახელთა მერყეობისას (ე.ი. ბრუნებისას) დ. ყიფიანი ერთმანეთს უპირისპირებს სასაუბრო და სამწიგნობრო კილოს. დაპირისპირება აშკარაა მოთხრობით ბრუნვაში:

სასაუბრო კილო	სამწიგნობრო კილო
მოთხ. ანტონმა	ანტონმან

როგორც ჩანს, საკუთარი სახელის სტრუქტურის გაგების საკითხში ვერც ანტონი და მისი სკოლა, ვერც ამ სკოლის რეციზიონისტები (ყოველ შემთხვევაში, XIX ს-ის ბევრი გრამატიკოსი) ვერ გასცდნენ ხელოვნურად შექმნილ ზღუდეს, მიღებული დასკვნები არ არის გამაგრებული მასალით.

XIX ს-ის II ნახევრის გრამატიკოსთაგან ჩვენს პრობლემასთან დაკავშირებით ცალკე უნდა გამოვყოთ დ. ჩუბინაშვილი, თ. ჟორდანია და პ. კვიცარიძე.

10. დ. ჩუბინაშვილი თავის „ქართულ ღრამმატიკაში“, რომელიც შესავლის სახით ერთვის 1887 წელს გამოცემულ „ქართულ-რუსულ ლექსიკონს“, არსებით სახელს (მათ შორის, საკუთარსაც) იხსენიებს ასე: „უფალი ჰაზრისა წინადადებაში ან ძიება ზმნისა“. მან პირველმა მოგვცა სახელთა სემანტიკური სტრუქტურის მეცნიერული კლასიფიკაცია და სიახლე შეიტანა პრობლემის პოზიტიურად გადაწყვეტაში. მის გრამატიკაში მკაფიოდაა დეფინიცირებული რვავე სემანტიკური რკალი. დაძლეულია ანტონის დოგმები. სახელთა სემანტიკურ რკალებად განლაგება დ. ჩუბინაშვილის სქემის მიხედვით ვერ გაერცელდა, მას მიმდევარი არ გამოუჩნდა.

დ. ჩუბინაშვილი მოკლედ იხილავს საკუთარ სახელთა სტრუქტურის თავისებურებებს, **ხაზგასმით აღნიშნავს: „საკუთარნი სახელნი არ იხმარებიან მრავალობითს რიცხვში“** (დ. ჩუბინაშვილი, 1887, VII).

უნდა ითქვას, დ. ჩუბინაშვილის შეხედულებებს ძველი წყაროები ასაზრდოებდნენ – კერძოდ, „გვაროვნობით სახელებზე“ მისი მსჯელობა (დასახ. ნაშრ. VIII) პერიფრაზია ნ. ჩუბინაშვილის მსჯელობისა, რომელიც დაწერილია დ. ჩუბინაშვილის ნაშრომის გამოქვეყნებამდე 70 წლით ადრე, ოღონდ პირველად 1961 წელსაა დაბეჭდილი (ნ. ჩუბინაშვილი, 1961, 110).

11. ნ. ჩუბინაშვილი საკუთარ სახელს, მართალია, არსებითი სახელის ერთ-ერთ სემანტიკურ რკალად მიიჩნევდა, მაგრამ მაინც განაცალკევებდა არსებითი სახელის სხვა რკალებისგან და დამოუკიდებლად განიხილავდა, თუმცა დამოუკიდებელ ლექსიკურ-სემანტიკურ ერთეულად არ გამოყოფდა განმარტებით ლექსიკონში (ნ. ჩუბინაშვილი, იქვე, 120), საბა კი პირიქით იქცეოდა. საკუთარ სახელს საზოგადო სახელის ფარდ ლექსიკურ ერთეულად თვლიდა და მასთან ერთად იმოწმებდა განმარტებით ლექსიკონში. ამდენად, ცხადია, ნ. ჩუბინაშვილის თვალსაზრისი წინ გადადგმული ნაბიჯია. ეს კონცეფცია ზოგადი ხასიათისაა და შემდეგ საფუძვლად დაედო არა მარტო დ. ჩუბინაშვილის ლექსიკოგრაფიულ შრომებს, არამედ ტრადიციულად დამკვიდრდა ქართულ ლექსიკოგრაფიაში. საკუთარ სახელებს ამჟამად ადგილი არ ეთმობა განმარტებით ლექსიკონებ-

ში, ისინი აღბეჭდილი არიან სპეციალური დანიშნულების საკუთარ სახელთა (ანთროპონიმთა და ტოპონიმთა) სიტყვარებში.

12. **არ. ქუთათელაძის** გრამატიკაში, რომელიც იმავე წლებშია გამოცემული, როდესაც დ. ჩუბინაშვილის დასახელებული ნაშრომი დაიბეჭდა, სხვა გზაა არჩეული. მისი აზრით, სუბსტანტივთა ფონდში გამოიყოფა არა 8 რკალი, არამედ – მხოლოდ სამი, ტრადიციული სქემის შესაბამისად: ა. საკუთრებითი არსებითი სახელი, ბ. საზოგადო არსებითი სახელი, გ. შემკრებლობითი არსებითი სახელი (არ. ქუთათელაძე, 1888, 1231). „საკუთრებითი არსებითი სახელი გვიჩვენებს საგნის საკუთარ სახელს“ (იქვე, 29); **პარადიგმებში გვაჩვენებს, რომ საკუთარ სახელს მრავლობითის წარმოება არ ძალუძსო** (იქვე, 31).

13. ამავე ეპოქის მოღვაწეა პ. კვიცარიძე, რომელსაც, მართალია, ქართული ენის გრამატიკა არ შეუდგენია, ‘მაგრამ თავის ცნობილ „ქართულ სწორმეტყველებაში“ საკუთარ სახელზე შეიმუშავა ფრიად საინტერესო, ახლებური, მეცნიერულად არგუმენტირებული შეხედულება. პ. კვიცარიძის აზრით, „ერთადერთ საგანს რომ ჰქვია, ან კიდევ ადამიანის პირადობას რომ აღნიშნავს, ასეთი სახელი არსებითი იწოდების განკუთვნითად. ადამიანთა სახელები ყველა განკუთვნითი არიან, მაგ. შალვა, ფარნაოზი, ვახტანგი, ქეთევანი; ქვეყნის ნაწილები: ევროპა, აფრიკა; სახელმწიფოები: საფრანგეთი, რუსეთი; ქალაქის უბნები: სოლოლაკი, ორთაჭალა; მდინარენი და ტბები: ალაზანი, რიონი, გოგჩის ტბა; ტყეები, მთები და ხეობანი, ველები: აჯამეთი, დიღომი, ულევი, მტკვრის ხეობა, რივნის ხეობა, დარიალის ხევი“ (პ. კვიცარიძე, 1888, 63).

მთლიანად ეს მსჯელობა ავტორის თანამედროვე ზოგად ენათმეცნიერებაში საყოველთაოდ გავრცელებულ აზრს ემყარება, მაგრამ პ. კვიცარიძე თავის შეხედულებებსაც გვიზიარებს. საინტერესოდ აშუქებს ის საკუთარი (//განკუთვნითი) სახელის წარმომავლობასა და საზოგადო სახელთა თანრიგში გადასვლის გზებს. თეორიულად საყურადღებოა პ. კვიცარიძის შემდეგი მოსაზრება: „ადამიანთა თავდაპირველს მდგომარეობაში თვით ზოგადნი სახელწოდებანიც განკუთვნითნი ყოფილან და

მათით აღინიშნებოდა თურმე ცალ-ცალკე მოკიდვითი საგნები. ბოლოს და ბოლოს რამდენათაც ადამიანის გონება წარმატებაში შესულა, იმდენად თანდათან სათითაო სახელები განზოგადებულან და მთელს გვარზე და ჯგუფზე გავრცელებულან. ზოგადი ცნებების შესათვისებლად ხომ უფრო გაშლილი გონებაა საჭირო, ვინემ სათუთაოთა და კერძოთათვის" (იქვე, 64). საკუთარი სახელის ამგვარი აბსტრაქცია და ოპოზიცია სახელთან, თანაც უკუპროცესის თეორიულად დაშვება, ე.ი. საზოგადო სახელის მიჩნევა თავდაპირველი საკუთარი სახელის პროდუქტად, ადამიანის აზროვნების განვითარების გარკვეულ საფეხურზე მართლაც დასაშვებია და ამის ახსნა ენის ფაქტებით მნიშვნელოვნად წაწევდა წინ საკუთარ სახელთა თეორიას, მაგრამ ამ აზრმა შემდეგდროინდელ გრამატიკულ ლიტერატურაში ფეხი ვერ მოიკიდა, თუმცა თავისი თეზისის არგუმენტად პ. კვიცარიძემ ერთობ საინტერესო ფაქტები დაასახელა. „ამითვე აიხსნების ის გარემოებაცა, – მიუთითებს შემდეგ პ. კვიცარიძე, – ა) რომ ჩვილს კერძო სახელი მთელს გვარზე გადააქვს. მან იცის, ვთქოთ, ერთის მდინარის სახელი, რომელსაც რიონი ჰქვია, იგივე ყმაწვილი რომ მტკვარზე, გინა ალაზანზე მიიყვანო, მათაც რიონს დაარქმევს: რიონი აქაც ყოფილაო; ბ) დაბიო ხალხს, რომელიც, რასაკვირველია, ერთ რიგათ უახლოვდების თავდაპირვანდელს ადამიანთ კრებას, ზოგადი სახელწოდება განკუთვნითად აუჩემებია და ამბობს: „ქალაქი" (ე.ი. თფილისია, თუმცა დღეს იცის, რომ ქალაქია ქუთაისიც და გორიც), „მტკვარი" (ზოგადი სახელია ყოველის მტკნარათ, თქორვით, მიმდინარე წყლის ამრაკისა)" (იქვე, 64).

მეორე მხრივ, ყურადღებას იპყრობს პ. კვიცარიძის შეხედულება იმის შესახებ, რომ საკუთარი სახელი განზოგადების ფუნქციას მაშინაც ინარჩუნებს, როდესაც ის პიროვნებას აღნიშნავს. ამ საინტერესო დებულების წყაროა ზოგადი თვალსაზრისი, რომლის მიხედვით, სიტყვა, რა სემანტიკური რკალის ემბაზშიაც უნდა იყოს განბანილი, მაინც განზოგადებას შეიცავს და საკუთარი სახელიც, როგორც სიტყვა, ერთეული ენისა, განზოგადებასაც გულისხმობს. ავტორი დაასკვნის: „განკუთვნილი სახელი, როცა პირადობას გვისახავს, მაშინაც კი

ზოგადდების, მაგ., კრეზი – სათუთაო სახელია, მარა ეტყვიან ძვირფას განძეულობით მდიდარსაცა; სოლომონი – ეტყვიან ბრძენს მიგნებულ მსაჯულსაც, არისტიდი – მტკიცე პატიოსნების მექონესა; სატანა – მთავარ მაცთურსა; გოლიათი – ბრგეობით და ტანოვნობით საკვირველს კაცსა; ფრანგი – ჭკუაგამჭრიახსა; ინგლისი – შემმართველობაში მედგარსა; ალემანიო – წესდარიგის და გამოწვლილვაში მომთმინესა“ (იქვე, 64). ეს ნამდვილად წარმოსახვითი, განპირობებულობით გამოწვეული განზოგადებაა, რაც საკუთარი სახელის გაარსებითების ერთ-ერთ საშუალებად უნდა მივიჩნიოთ. ამის მოწმეა მრავალ ენაში ინგლისურის მეშვეობით შესული სიტყვა ხულიგანი, ჩვენებური ტარიელი, კვაჭი და სხვა საკუთარი სახელები, რომლებიც დღეს საზოგადო სახელთა თანრიგში არიან გადასული. სოლომონი მართლაც ბრძენის სინონიმადაა გაგებული, ისევე როგორც კრეზი – მდიდრის, შეძლებულის.

პ. კვიცარიძე XIX ს-ის მეორე ნახევრის ქართველ გრამატიკოსთა შორის იყო ერთ-ერთი პირველი ავტორი, რომელიც შეეცადა საკუთარ სახელთა კვალიფიკაციაში ჩაერთო თავისი ორიგინალური განზოგადებანი. მართალია, ეს შეხედულებები მეტ-ნაკლებად იმ ხანებში უცხოური წყაროების მეშვეობით რუსულ ენათმეცნიერებაში იყო დამკვიდრებული, მაგრამ ქართულ სინამდვილეში პირველად იქნა წამოყენებული.

14. თედო ჟორდანიას „ქართული გრამატიკა“ XIX ს-ის მეორე ნახევრის ავტორთა გრამატიკული ნაშრომებიდან გამოირჩევა ორიგინალობით. არსებით სახელთა სემანტიკურ რკალებს მან თავისებური თვალით შეხედა. ტრადიციული ტერმინოლოგიის პარალელურად გრამატიკოსი ახალ ცნებებსაც გვთავაზობს. არსებით სახელთა რკალებში ხედავს ისეთ სემანტიკურ სტრუქტურებს, რომლებიც წინა ავტორებს არ აღუნიშნავთ. მართალია, საკუთარი სახელები მასაც ტრადიციულ ჩარჩოებში აქვს მოქცეული და მათ მეტად სქემატურად განიხილავს, მაგრამ არსებით სახელებზე საერთოდ მწყობრი და თავისი დროისათვის უეჭველად პროგრესული თვალსაზრისი აქვს განვითარებული (თ. ჟორდანია, 1889, 72-73). ავტორის მსჯელობიდან აშკარად ჩანს, რომ ცნება არსებითი სახელისა გრამატიკოსს

ფართოდ ესმის და მისი სემანტიკურ რკალებად დაყოფა გარკვეულ თეორიულ ასპექტს ეყრდნობა. რაც შეეხება საკუთარ სახელს, მოკლედაა ნაჩვენები. ავტორი დაკმაყოფილდა მხოლოდ იმ ინფორმაციის მოწოდებით, რაც ადრინდელი გრამატიკოსების ნაშრომებიდან იყო ცნობილი, ახალი რამ მას აქ არ მოუცია, მოსალოდნელი კი იყო სწორედ ამ გრამატიკაში გვეპოვა სიახლენი საკუთარ სახელთა კვალიფიკაციისთვის. ავტორმა გვერდი აუარა სახელთა წარმოებისა და ბრუნების საკითხებსაც, თუმცა კარგად იცნობდა სპეციალურ ლიტერატურაში ამის შესახებ გამოთქმულ მართებულსა და უმართებულო შეხედულებებს. იგი მხოლოდ გაკვრით წერს, რომ საკუთარ სახელებს, რომლებიც ხმოვნებზე მთავრდებიან, ბრუნებისას ეს ხმოვნები არ ეკვეცებათ (პეტრე – პეტრეჲსა ანუ პეტრესი და არა: პეტრისა; პეტრეთი, ანუ პეტრეჲთა და არა: პეტრითა).[1] ეს წესი ვრცელდება გასაკუთარსახელებულ საზოგადო სახელზე, როგორიცაა „გვრიტი“ ან „ლომი“, „სიმი“. „გვრიტი“, „სიმი“ – საკუთარი სახელისა და „გვრიტი“ „სიმი“ – საზოგადო სახელის ერთმანეთისაგან გარჩევის საშუალებაა ბრუნება. მაგ., საკუთარი სახელის, სიმის, ბრუნებია: სიმისი, სიმის (მიცემითი), სიმიმ, სიმით. ან კიდევ: გვრიტისი, გვრიტის, გვრიტიმ და არა გვრიტსა, გვრიტმა და სხვ. „ერთი სიტყვით, ქართული ენა ჰაზრთა აღურევლობისათვის საკუთარ სახელებს არც ერთ ასოს არ აკვეცს“ (თ. ჟორდანა, დასახ. ნაშრ., 138).

15. მცირე ინფორმაციას გვაწვდიან საკუთარ სახელზე ქართველი გრამატიკოსები: ა. ბენაშვილი, მ. ჯანაშვილი, ს. ხუნდაძე, ი. ნიკოლაიშვილი, მ. კელენჯერიძე, დ. კარიჭაშვილი, ი. სიხარულიძე. ამათგან ანთროპონიმთა მრავლობით რიცხვში კანკლედობას აღიარებს დ. კარიჭაშვილი, ხოლო ა. ბენაშვილი,

---

[1] XI საუკუნის ერთ ხელნაწერში დასტურდება ხმოვანფუძიანი ანთროპონიმის კვეცაც: „ჰპა ამისვე დღისა პაელის სუნაქსარსა“, რაც, როგორც ზ. სარჯველაძე აღნიშნავს, ხელოვნური ფორმაა და იგი არასოდეს ახასიათებდა ცოცხალ მეტყველებას, ამიტომაც ვერ დამკვიდრდა სალიტერტურო ენაში.

მ. ჯანაშვილი, ს. ხუნდაძე დუმილით უვლიან გვერდს ამ საკითხს.

16. ი. სიხარულიძის გრამატიკაში ვკითხულობთ: „ადამიანთა სახელები ჩვეულებრივ მხოლობით რიცხვში იბრუნვის. იშვიათად მრავალობით რიცხვშიც გეხვდება, როცა ადამიანთა სახელები არა საკუთარი, არამედ ზოგადი მნიშვნელობით უნდა იხმარონ **მრავალ მსგავს პირთა დასახასიათებლად.** მაგალითად, იტყვიან: ახლა არა ერთი და ორი ასეთი ივანე, დავითი, თამარი გეყავს. ივანეები, დავითები, თამარები დღეს მეტად გამრავლდნენ; ანდა: აკაკიები, ბაკაკიები, რიონელები, გოგიტელები“ (ი. სიხარულიძე, 1936, 31). **ვფიქრობთ, ეს უკვე სპეციფიკური მიდგომაა და არა ონიმთა მრავლობითობის ქადაგება.**

17. დ. კარიჭაშვილის „ქართული ენის გრამატიკა“ XX ს-ის I ნახევარს ეკუთვნის, თუმცა გვთავაზობს ანთროპონიმთა მრავლობითი რიცხვის ფორმებს:

სახ.	დავით-ი	დავით-ებ-ი	დავით-ნი
ნათ.	დავით-ის	დავით-ებ-ის(ა)	დავით-თ(ა)
მიც.	დავით-სა(ა)	დავით-ებ-სა(ა)	დავით-თ(ა)
მოთხ.	დავით-მა(ნ)	დავით-ებ-მა(ნ)	დავით-თ(ა)
მოქმ.	დავით-ით(ა)	დავით-ებ-ით(ა)	
ცვალ.	დავით-ად(ა)	დავით-ებ-ად(ა)	
წოდ.	დავით	დავით-ებ-ო	დავით-ნო

მაგრამ, „როდესაც ასეთ საკუთარ სახელს მოსდევს გვარის სახელი, მაშინ იგი არ ღებულობს არაეითარ საბოლოებელს“ (დ. კარიჭაშვილი, 1930, 12).

აღსანიშნავია, რომ გრამატიკოსი **ა, ე, ო**-ბოლოხმოვნიან საკუთარ სახელებში ამ ბოლო ხმოვნებს უწოდებს „სახელობითი საბრუნავის დაბოლოებას“ და დასძენს, რომ ამ ტიპის საკუთარი სახელები ყველა საბრუნავში ინარჩუნებენ სახელობითი საბრუნავის დაბოლოებას, როგორც ძირმსახს“, „მრავლობით რიცხვს კი აწარმოებენ საზოგადო წესით“ (იქვე, 13).

იქვე პარადიგმებში წარმოდგენილ მაგალითებში ავტორი საგანგებოდ გამოყოფს დაბოლოებებს:

სახ.	გიორგი	შალვა	პეტრ-ე
ნაო.	გიორგ-ი-ს(ა)	შალვ-ა-ს(ა//ი)	პეტრ-ე-ს(ა ან ი)
მიც.	გიორგ-ი-ს(ა)	შალვ-ა-ს(ა)	პეტრ-ე-ს(ა)
მოთხ.	გიორგ-იმ(ა ან ან)	შალვ-ა-მ(ა ან ან)	პეტრე-მ(ა ან ან)
მოქმ.	გიორგ-ი-თ(ა)	შალვ-ა-თ(ი)	პეტრე-ე-თ(ი)
ცვალ.	გიორგ-ი-დ(ა)	შალვ-ად(ა)	პეტრე-ე-დ(ა)
წოდ.	გიორგ-ი	შალვ-ა	პეტრ-ე

18. იაკობ გოგებაშვილი, ამ და სხვა ზემოთ მოყვანილი პარადიგმებისგან განსხვავებით, ადამიანის საკუთარ და საზოგადო სახელებში დამატებით გამოყოფს კიდევ ერთ ბრუნვას. ესაა მყოფობითი ბრუნვა. რა ტიპის ბრუნვაა მყოფობითი, ამას თვით ავტორი ასე განგვიმარტავს: „ეს ბრუნვა აჩვენებს მყოფობასა რომელსამე პირთან და ამიტომ უნდა იწოდებოდეს მყოფობით ბრუნვადო“ (ი. გოგებაშვილი, 1961, 428). მისივე თქმით, სხვა არსებით სახელებს (ე.ი. პირის საკუთარ და ადამიანის აღმნიშვნელ საზოგადო სახელებს გარდა) ეს ბრუნვა არ გააჩნია. მყოფობითი ბრუნვის ნიშნად მხოლობით რიცხვში წარმოდგენილია დაბოლოება **-ისას,** მრავალობითში კი — **-თასა.** მაგ.: მე ვიყავ დავითისას, სამსონისას, მე ვიყავ მღვდლისას, მეზობლისას, მე ვიყავ მღვდელთასა, მეზობელთასა (იქვე, 426-427). თუმცა სქოლიოში მითითებულია, რომ 80-იან წლებში მ. ნასიძესთან პოლემიკის დროს ი. გოგებაშვილი მყოფობისას, როგორც ცალკე ბრუნვას, აღარ ცნობდა.

მ. კელენჯერიძე, მ. ჯანაშვილი, ს. ხუნდაძე და **ი. ნიკოლაიშვილი** საკუთარ სახელთა **კნინობით ფორმებზე** ჩერდებიან.

19. ს. ხუნდაძე საკუთარ სახელებში გამოყოფს მოფერებით (ვანო, სანდრო, მიხაკო, მიხო) და დამცირებით (ვანოია, სანდროია, ივანიკა, მიხელია) სახელებს (ს. ხუნდაძე, 1906, 33). აქვე შემოაქვს მეტსახელები დაცინვითი ხასიათის: ტირია, წუნია, ცხვირა, ხუმარა, კბენია.

20. მ. ჯანაშვილი საკუთარ (აგრეთვე საზოგადო) სახელებში ასევე გამოყოფს კნინობით სახელებს, „რომლებიც არის: საალერსო: დაიკო, შვილიკო, ჭიჭიკო, გვრიტუნა, ჩიტუნია, გოგონა... სოსიკო, ვანო, ია, ილო; დასამცირო: პეტრიკელა, პეტრიკა, დათიკა, დათიკელა, ივანიკა, სახლუკა, პეტუა, ვარდუა, კაცუნა“... **ავტორი ახალ პოზიციას გვთავაზობს:** „დასამციროა აგრეთვე სიტყვები – გიგოია-მიგოია, ივანია-მივანია, გიოია-მიოია, კიტრი-მიტრი, ქალაქი-მალაქი“. და იქვე განმარტავს შენიშვნის სახით: „ამნაირ სიტყვებს განუსაზღვრელი მნიშვნელობა აქვთ. ქლიავ-მლიავი, ე.ი. მარტო ქლიავი თუ სხვა ხილიც. გიგოია-მიგოიას მე ყურს არ ვუგდებ, ე.ი. გიგოს და მისთანა კაცებს“ (მ. ჯანაშვილი, 1906, 19).

21. მ. კელენჯერიძე საკუთარ სახელებში გამოყოფს: **1. კნინობით სახელებს:** დათიკო, ნიკო, კოწია, ეასო, სოსო, თამრო, ქეთო, ნუციკო, პელო და მათს გვერდით ჩამოთვლის ამ საკუთარ სახელთა სრულ ფორმას – დავითს, ნიკოლოზს, კონსტანტინეს, ვასილს, იოსებს და სხვა. **2. დაცინვით სახელებს:** ბორბალიკა, გლახუკა, მახარიკა, თედორია, დათიკა, დათიელა, ნიკოია... „ვის ეძახიან ასე? – კითხულობს ავტორი, – ვისაც დიდ პატივს სცემენ? არა, ვისაც საცინლად იგდებენ. ამიტომ ასეთ სახელებს დაცინვითი სახელები ეწოდება (მ. კელენჯერიძე, 1925, 8-9).

საინტერესოა, რომ მსგავსი მოსაზრება გვხვდება ჯერ კიდევ ადრე **ზ. შანშოვანის** ნაშრომში. იქ ვკითხულობთ: „თჳსი სახელნი რაჟამს სწორისაგან დასწორად იწოდების, ვითარცა საწრფელოჲ: გიორგი, დანიელ, თომა. ხოლო რაჟამს უმფროსისაგან უმცროსა ეთქმის, სამდაბლოდ იწოდების, ვითარცა: გიორგავ, დანიელავ, თომაე“ (ზ. შანშოვანი, 1881, 19-20).

22. ნ. მარმა თავის ცნობილ „ძველი ქართული სალიტერატურო ენის გრამატიკაში“ ახალი თვალსაზრისით განიხილა ქართული ენის ძირითადი თავისებურებანი და საკუთარ სახელთა სტრუქტურულ-სემანტიკური შესწავლა მნიშვნელოვნად წასწია წინ. მართალია, მკვლევარი საკუთარ სახელთა საერთო სტრუქტურულ-სემანტიკურ სისტემაზე საგანგებოდ არ შეჩერებულა და საკმარისად ჩათვალა მათი ბრუნების ნიმუშების ჩვე-

ნება ძველი ქართული სალიტერატურო ენის ტრადიციის მიხედვით, მაგრამ მიყვანილ პარადიგმებზე დართულ მოკლე შენიშვნებს ჩვენთვის მაინც მნიშვნელობა აქვს. ნ. მარი მიუთითებს, რომ ძველ ქართულში საკუთარი სახელი მოთხრობით ბრუნვაში (მისი ტერმინოლოგიით, მიც. II) ნიშანს არ დაირთავდა, არ გექონდა ფორმა, ვოქვათ, გიორგი-მან და ენა ამგვარ შემთხვევაში კმაყოფილდება წრფელობითი ბრუნვის ფორმით – გიორგი (ნ. მარი, 1925, 57). სახელობითსა და მოთხრობით ბრუნვებში საკუთარი სახელები იწარმოებოდა ასე: ელისაბედ მოვიდა, ელისაბედ ქმნა, პეტრე ჰრქუა, აბრაჰამ აკურთხა (იქვე, 23). ასეთი მაგალითები უხვად შეგვეძლო მოგვეყვანა ძველი ქართულის ძეგლებიდან. ამავე დროს ნ. მარი ბრუნების საერთო პარადიგმებში მოთხრობითი ბრუნვის ნიშანს მაინც ურთავდა საკუთარ სახელს – მას პარადიგმებში დამოწმებული აქვს გიორგი-მან სტრუქტურა, რაც გვხვდება ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში, აგრეთვე საშუალ ქართულშიც.

23. აკაკი შანიძემ დააზუსტა ახალი ქართულის ვითარება, გამოავლინა და ახსნა საკუთარ სახელთა ბრუნების ძირითადი მოდელები. ბრუნების მიხედვით, ქართული საკუთარი სახელები ორ ჯგუფად იყოფა: ანთროპონიმებად და ტოპონიმებად. თითოეულ მათგანს თავისებური ბრუნება აქვს. ხმოვანფუძიანი ანთროპონიმები ფუძისეულ ბოლო ხმოვანს არ იკვეცენ, ხმოვანფუძიანი ტოპონიმები კი კვეცადია (აქვე შემოდის ძე-ზე დაბოლოებული გვაროვნული სახელები). ანთროპონიმთა ფუძეებში არ დასტურდება კუმშვის პროცესი, ყველა უკუმშველია, ტოპონიმები კი ამ მხრივ საზოგადო სახელების ბრუნების თავისებურებებს იმეორებენ. „საკუთარი სახელი გრამატიკული რიცხვის გაგებას საპირისპირო ფორმების უქონლობის გამო მოკლებულია“ (ა. შანიძე, 1953, 52).

თუ ძველ ქართულში საკუთარ სახელებს არ ჰქონდათ განსხვავებული ფორმები სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში, ახალმა ქართულმა ამ მხრივ საკუთარი სახელი საზოგადო სახელს გაუთანაბრა. ეს გარემოება კარგად აქვს შენიშნული ა. შანიძეს: „საზოგადო სახელების მსგავსად, კარგა ხანია მათ ბრუნვის ნიშანი აქვთ შეძენილი სახელობითსა და

მოთხრობითში. ძველებური მდგომარეობა შეირჩინა მხოლოდ წოდებითმა, რომელიც გარეგნულად ფუძეს წარმოადგენს“ (იქვე). თუმცა ავტორი იმასაც მიუთითებს, რომ „პირის სახელებმა ბრუნვის ნიშნები შეიძინეს... ნაწილობრივ წოდებითში და ამით ესენი გაუთანაბრდნენ საზოგადო სახელს... ასეთი გათანაბრების გამო გასაკვირი არ არის, რომ კილოებში. შეგვხვდეს -ვ წოდებითის ნიშნად ა-სთან და ე-სთან: თორღავ, კობავ (ალ. ყაზბეგი), პეტრევ, პეპიავ (ი. ჭაჭავაძე), მინდიავ, მზიავ, სანდუავ (ვაჟა-ფშაველა, „გველის მჭამელი“, იქვე, 69).

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ XIX-XX სს-თა პირველი ნახევრის ქართულ გრამატიკებში, ორიოდე გამონაკლისის გარდა, საკუთარი სახელის სტრუქტურისა და სემანტიკის პრობლემატიკამ ვერ მიიღო სისტემური სახე, რადგან ის ჩაერთო არსებითი სახელის საერთო სისტემაში და მასთან ერთად იქნა განხილული. ეს ნაკლი ახასიათებდა არა მხოლოდ ქართულ გრამატიკას, არამედ საერთოდ გრამატიკას, რაც კარგადაა ნაჩვენები მ. ი. პრივალოვას სტატიაში. „სასწავლო-მეთოდურ და სპეციალურ ნაშრომებში, – ამბობს მკვლევარი, – საკუთარ სახელთა კლასი, როგორც წესი, განიხილება არსებით სახელთა რიგში, ამასთან, უმეტესად ისაზღვრებიან არსებით სახელთა ზოგადი კლასიდან გამოყოფით, შემდეგ მიუთითებენ, რომ საკუთარ სახელებს აქვთ (ან არა აქვთ) ლექსიკური მნიშვნელობა, აღნიშნავენ ან არ აღნიშნავენ ზოგად ცნებებს, რის შემდგომაც გადადიან საზოგადო სახელების უფრო დაწვრილებით განხილვაზე“ (პრივალოვა, 1979, 56).

The monograph consists of five chapters. Introduction ("history of the issue") states that onomastics is a linguistic science which was formed as a special field at the beginning of XX century and immediately was extended over Europe and Asia.

Among the founders of this field in Russia we selected A. Nikonov, V. Suporanskaia and A. Podolskaia, as for Georgia, by accepted opinion, A. Glonti, Z. Chumburidze and I. Maisuradze.

Chapter I

§1. The mystic aspect of naming from the historic perspective

The first personal name on the earth is Adam, which is given by the God. Further the God granted this creative function of naming to the man and Adam became the creator of a second name – Eva. Starting from this moment naming is the prerogative of humans with one or two exceptions (John, Israel, Isaac, Mary). However they have wrapped up in a mist this creative duty received from the God that within the centuries was established as a tradition. This tradition obtained different forms among the various people and tribes however they were connected with one thing - mystics. The magic nature of the name is a strong code put into consciousness of a primitive man which even after the millennium has been retained in our nearest past with different aspects (and not only in Georgia). One exhibition of the mystic aspect of the name is the tradition of taboo.

§2. Religious anthroponymic space in a Georgian reality

In pre-Christian and Christian epochs the life of man was estimated by two aspects – life on the earth and the other state in heaven. They are not separated with any sharp limits. The sphere of action of the latter is so strong that it invades lives of secular persons: a) by its moral-ethical dogmas and b) also by the personal names transformed in dogmas[1].

Using of non-calendar names in secular society is not tabooed, but this road has been broken off or has not preserved its uniqueness after the ritual of christening.

[1] Goderdzishvili, "Iveria", Paris 2001, pages 103-108

Further to specific historical facts (e.g. 9 March 1225, Jalaluddin's invasion in Georgia that granted to Georgia 100 000 saints) non-canonical names were added to the canonical anthroponymical system, such as: a) eastern – Khatuna, Elgudja, Ramazi, Otari, Edisheri etc. b) derivative – Aftari, Mzekala, Mzekhatuna, Mamisimedi etc. c) single names derived by suffix – Anuka, Maka (and not Ketino – Nanka types).

Religious names have wider notion than calendar names. They incorporate:

1) Above presented groups of calendar names;
2) Onyms, marked with words: God, Lord, Christ;
3) Onyms, derived from names of Idols of paganism epochs of different countries (Aphrodita, Diana etc.);
4) Religious epithets converted in onyms (Khantsteli, Mesvete, Modrekili);

§3. Names of saints, kings, heroes and antiheros as the source of naming

We answer the question: what determines the frequency of the name in case the onym represents king's family name, some popular person's name and saint's name at the same time. For example, the name David (Daviti), nevertheless this is the name of great biblical king, we think that the frequency of its distribution in Georgia (the second place) is connected to the hero of Didgori War – well-known Georgian king David the Builder (XI-XII centuries). George - the most popular family name between Georgian kings is at the first place in Georgia that is determined by the great popularity of saint George's cult in Georgia. Name Alexander is related to the popularity of Alexander of Macedon.

It seems strange, but it is fact, that names of negative persons have not disappeared in Georgian anthroponymics, such as Shadimani (in Georgian history Shadiman Baratashvili is a symbol of traitor), Luarsabi (the name of negative personage of well-known Georgian writer I. Chavchavadze). The only name that has been protested in Georgia is name Judas. Whereas it is contrary in Israel, as the action of Judas Iscariot is considered as ordinary sin.

§4. Motivated and "non-motivated" anthroponyms

Actually "non-motivated" anthroponyms do not exist. Such anthroponyms are formed after they leave the space of mother tongue. For the borrowed names we used the term "moving anthroponyms and compared them with semantic terms which has semantics in mother tongue but does not have it in the recipient language.

§5. Indigenous names

Indigenous names are local onyms, which first left own natural ground, circle of common names, received the individual features and from general notion of denoting the object became a sign of a specific object– onym. To already existing three groups of scientific literature (phitophoric, zoophoric, theophoric) we added following groups using our own terminology:

1) Antrophoric onyms (personalized words expressing the notion of man): Deduna, Gogona, Kochi, Mamida;
2) Cosmophoric anthroponyms: Badri, Natela, Shuqia, Mtvarisa;
3) Verbaphoric anthroponyms: Megona, Velodi, Mirchqilia, Andria;
4) Epitophoric anthroponyms: Zviadi, Makvala, Okropiri;
5) Thikunophoric anthroponyms: "the main part of anthroponyms derived from nicknames" (A. Glonti).

All semantic onyms can be considered as indigenous. Namely the process of derivation of such type of onyms represents not only the road of forming of Georgian anthroponymics, but the road of developing the speech and thinking of the nation.

§6. Personal name and region

This paragraph separately describes: 1) personal name and nationality; 2) city and village; 3) east and west Georgia.

Indigenous (local) names are not only national names , but borrowed names as well as it is fairly defined by Z. Chumburidze. We only concretized this view and named this phenomenon as "second nationality". This phenomenon is so deep that often leaves the frame of mentioned definition. As an example, we provide the name Tamari, which is Jewish (Hebraic) name by its origin, but the authority of the King Tamar has made it Georgian (according to Superanskaia, name Tamara, popular in Russia, was mostly considered as Georgian name).

We draw certain demarcation line between anthroponyms of the city and the village (we have in mind the Georgian village of XIX century). Difference is especially visible between anthroponyms of the city and village of mountain regions. Elizbar who came to Khevsureti from the city was first called Vakika and later Jiqi (M. Javakhishvili "White Collar"). Unusually picturesque are antroponyms of Samegrelo and Svaneti. Note that differences are less between anthroponyms of the city and village located on plain. For example, the woman from the village has the name Magdana (the

personage from prose of E. Gabashvili) and the woman from the city has the name Magda (the personage from novel of Ch. Lomtatidze).

§7. Role of suffix formations in anthroponyms of Georgian regions

Naturally all suffixes have universal usage on the not so big territory of Georgia, however certain suffixes have showed up as a regional characteristics: "ia" (Samegrelo), "iko" (Imereti), "ie" ("i") (Guria), "ise" (West Georgia, anthroponyms of mountain regions).

Chapter II

§1. The structural forms of anthroponyms

In parallel forms of anthroponyms (Ivan / Vania / John / Ovanes) we selected:

1) Intralanguage parallel forms and international parallel forms;
2) Anthroponyms of primary and secondary formation.

Demarcation line of the latter goes through the origin of anthroponym. Anthroponym is primary if it is received immediately from appellative without derivation, with derivation or with composition (Lamaziseuli, Nugesha, Makhare, Mzechabuki etc.). Secondary is an anthroponym that is derived from the anthroponym itself. Meaning, the primary anthroponym can be either derived (Imed-a) or composed (Mamiseuli). Based on this thesis, names such as Imeda and Vazha, known in grammatical literature as diminutive-caressing type names and regarded as secondary anthroponyms, should be considered as primary anthroponyms. This paragraph also contains structural – semantic forms of primary anthroponyms.

§2. In this paragraph we try to specify and restrict notions of hypocoristic and diminutive.

The traditional definition of hypocoristic comprises of two aspects: structural and semantic (more precisely – expressive). However these two aspects represent two different features of the name and it is not correct to determine two phenomenons with one term. As we take into consideration that the origin of hypocoristic is hypo[1] we suppose that it is not adequate to regard it as a caressing term. Hypocoristic should keep the function of denoting the abbreviated name.

[1] Podolskaia - down, below, lower in comparison with the norm, lower state

As regarding diminutive we had to reconsider diminutive – caressing and diminutive – humiliating terms.

After certain discussions we concluded that:

1) They should not be considered as synonyms;

2) We separated diminutive phenomenon and named it as moving qualitative. Moreover, it is necessary to consider separately caressing and humiliating names;

3) Each category having emotional shade should be named personally. As per our analysis diminutive expresses diminution and humiliation, this term is pejorative. As concerning caressing, this term may be based on the word reflecting caress (Georgian – Latin dictionary);

4) It is necessary to take out of use the composite terms (diminutive-caressing, diminutive-humiliating) which are considered as one notional, whereas they are double notional due to their inconsistent one notional semantic components.

§3. Suffix and subjective-emotional shade of onyms

We continue to discuss about the necessity of separation of diminutive, caressing and humiliating terms. For the first time we conducted detailed study of each affix. When it is added to personal name the latter gets an emotional shade. As it showed up besides affix, ability of expressing emotional shade is also defined by: a) forms with different semantic and structural basis, which add affix; b) age-specific and social state of denotatum; c) caller's identity etc. For example, abbreviated names which add "a" have caressing shade (Ket-a, Nik-a), as for full-based names they have humiliating shade (Ketevan-a, Nikoloz-a). "A" added to appellative is derivative affix and does not have any emotional assignment (Ded-a, Imed-a, Vaj-a) (as it is considered in some grammatical literatures). The suffix "a" (and others) marked in such type of names we called as suffix creating anthroponyms. In case of complicated suffixes (like "una", "ika") in order to determine emotional shade of the personal name more details should be taken into consideration.

One special case has drawn our attention while using anthroponyms with suffix. Personal name which is used for expressing negative emotion often obtains function of opposed estimation. Namely, when a respected person is addressed with the name derived from humiliating suffix, would it be familiar "complaint" or something said mockingly beyond his back,

immediately reflects function of opposed estimation and indicates triteness of the caller. .

In this paragraph we distinguished several forms of onym with caressing shade, which earlier were not regarded:

1) Anthrophonyms with suffix "i" (Tamri – Keti types);

2) Non-affix anthroponyms with CVC composition, which are used only while addressing the person and are observed with continued vocal among consonants: Keet, Ruus, Soof;

3) Forms of name ending with VC suffix: Ketush, Nikush, Makush;

4) Without contradiction using vowel reduced forms of vowel based primary anthrophonyms while addressing the person has caressing shade, but these forms transfer us to the dialectical space: Makval! Manan!

Based on above stated, name and its forms have informative character. It is worth mentioning that within last two centuries Georgian language has been invaded with suffix added names, especially at the official level of the contemporary epoch. This is much supported by TV and Press, e.g. Nanka, Ruska, Natika, Miko, Goka. Such invasion is negatively estimated by certain people. However as per our opinion it is difficult to unilaterally oppose this process. These forms assist us in identifying the persons particularly in such period when we observe overwhelming increase of popular faces. It is also notable that these forms much more contribute to popularity of the persons.

§4. In this paragraph we separated qualification of suffix "o".

Some scientists consider that suffix "o" in name Dato –is a sign of vocative (in Georgian "tsodebiti") case or is a given name (in Georgian "Natsodebitari").

1. As per our opinion, suffix "o" in abbreviated names is same as suffix "a", "iko" etc. We assume that one of the obstacles of "tsodebiti" (vocative) case is that vowels do not compress, whereas adding suffix "o" to personal names sometimes causes reduction, like Tamr-o, Zakr-o.

2. In primary anthroponyms suffix "o" has a function of creating anthroponym (Taphl-o, Imed-o).

3. Suffix "o" in three syllabic and multisyllabic anthroponyms: a) in vowel based anthroponyms it has derivative function (Makvala →Makvalo), since adding "o" reduces an anthroponym that does not characterize vocative "o". b) in consonant based anthroponyms "o" is the sign of vocative case:

Ketevan-o, Tamar-o. Certain names of this type obtained primary form of the name: Davito, Erasto.

Special attention requires forms like "mamao-dedao" (mother – father), where vocative "o" has so much absorbed into the word that we received a form determining the third person. Form of "mamao-dedao" obtained the status of the name, namely quasionym.

§5. Personal name is incompressible and cannot be cut

This is axiom, but applies only to paradigmatic system (in Case). Anthroponyms often appear as some components of lexical units, where they are compressed and cut. (Elene →elen-oba, Arsena→Arsen-ob-d-a; Barata→Barat-el-i, Daredjani→Dardjania, Kakhaberi→ Kakhabrishvili). Moreover, from the perspective of compress – cutting, anthroponym not only comes close to appellative, but sometimes exceeds modern common name, i.e. they reduce i/u vowels (example.g. Meliton → Melton, Jujuna→Jujna).

Chapter III

§1. This paragraph reviews personages of Georgian writers (V-XIX centuries).

We assume that "name is the name that exists without author's wish as certain phenomenon of the language, but selection of names occurs at the author's discretion. While creating artistic image the writer could not be indifferent to the name. He chooses personage and by this shows his attitude towards not only personage but towards the phenomenon of anthroponyms". Sometimes anthroponym so harmoniously absorbs into interior and exterior world of the personage that we have expression that the personage was specially created for this name. It is obvious that Mindia would not be Mindia, if Vazha-Pshavela has given him the name Giorgi or Ivane (Vazha-Pshavela "Gvelismchameli").

We also talk about the expressiveness of phonetic structure of the personage. We selected the principle of uniqueness of the personage: the writer also manages to create a strong artistic type by not naming other personages with the same name, which makes this personage original.

The personal name becoming personage's name often obtains the ability of abstraction and generalization. With this right it exceeds even the personage and within the frame of given anthroponym it integrates other people

similar to this personage, of course according to the certain feature or features.

§2. Reflection of personage's social, communal and personal dignity with anthroponyms

Based on our analysis we conclude that "anthroponym itself contains certain information. Personal name not only selects, but also provides a place to the anthroponym in a society. When one person calls another, for example, who stands below him using non-diminutive form, this fact indicates not only on the dignity of the addressed person, but, first of all, on the internal culture of the caller.

Chapter IV

This chapter is the biggest one. We presented second names: 1) second anthroponym itself; 2) nickname; 3) quasionym; 4) pseudonym. We separately placed double names: 1) Sulkhan-Saba type and 2) epithet names. We studied in details each type and provided structural – semantic classifications. We introduced following terms for nicknames: anger causing nicknames and back standing nicknames (1990).

Quasionym is the third type of second names. This term we introduced in 1990. As per our definition quasionym is a word determining the person that on the one hand accomplishes function of the anthroponym, and, on the other hand, is illusive. This is confirmed by the component quasi (as if). In fact these are appellatives of descriptive character. Such character determines their two-three word type models as well (certain deacon, his own wet-nurse's child, widow of Otaraant, Woman with kerchief). Their anthroponymic function is determined only by their style of naming.

Pseudonyms. We distinguished separate points, for example, "for specifying pseudonym style of Pseudonyms". Based on "the dictionary of pseudonyms", we strongly reject some of the signatures proposed as pseudonyms, such as 1) doctor Badridze, bishop Aleksandre, juror Solomon, princess Ketevan; 2) N. Lortk., V. Burdj.; 3) Ilia, Akaki, Vazha etc. We named this type as "names of chosen ones". We specified certain terms denoting several groups of pseudonyms. For example, "pseudonyms themselves", "general pseudonyms". We renamed the as "common". We distinguished "incomplete pseudonyms" from the classification of

pseudonyms, because they are placed between real personal names and pseudonyms.

We considered two new groups: pseudo-nicknames, and pseudo-quasionyms, also epithet-nicknames, which we separated from epithet pseudonyms. Besides we considered epithet-pseudonyms (Ietim Gurdji ← Ietim Dabgashvili) and pseudonyms with epithet (Vazha-Pshavela ←Luka Razikashvili).

We took out from the list of pseudonyms: artificial words (Eg-In ←Egnate Ingorokva; Bo-Pani –Panteleimon Bochorishvili) and non-wordy signs, which we named as cryptograms: §, №, that are not onyms.

Double names are reviewed in a separate paragraph. Such names are: 1). Athena-Pallada, Ioane –Zosime; 2). Names with epithets. Epithet has a function of onym, like Beautiful Helen, David the Builder, Richard the Lionheart.

Chapter V

This chapter consists of 4 paragraphs. In first two paragraphs we discuss the term gvarsakheli (family name). In our opinion, it is better to replace it with simple, flexible, traditional word – the family.

In paragraph 3 we discuss the issue – what status should obtain the words: the sun, the moon, the earth, the heaven – appellative or onym? We suppose that they are personal names that are determined by the uniqueness of these words.

In paragraph 4 we describe the place of personal name in Georgian grammatical literature of XVIII-XX centuries.

გამოყენებული ლიტერატურა

აბულაძე ი. ძველი ქართული ენის ლექსიკონი, 1973

ანტონ პირველი, ქართული ღრამმატიკა, ტფ., 1885

აფრიდონიძე შ., ბოლოკიდურ ხმოვანთა საერთო ფუნქციისათვის ქართულში, თსუ ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა შრომები, №3-4, 1974.

აფრიდონიძე შ. მაკალათია ფ., ქართული ოიკონიმები, ტოპონიმიკა, II, 1980.

აფრიდონიძე შ., ანთროპონიმთა ქართული ეროვნული ფორმები, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, IV, თბ., 1981.

აფრიდონიძე შ., ანთროპონიმთა მიმართვის ფორმები ყაზბეგის პროზის მიხედვით. ონომასტიკური ძიებანი, I,ახალციხე, 1995.

აფრიდონიძე შ., ჩვენი ენა ქართული, თბ., 2002.

ახვლედიანი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები,თბ., 1940.

ბაბუნაშვილი ე., ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1970.

ბარამიძე ლ., ნაწერისა და ჩვენებითი ნაცვალსახელების ბრუნება საშუალ ქართულში, თსუ შრომები, ტ. 164, თბ.,1975.

ბარამიძე ალ., ძველი ქართული მწერლობის პრობლემები. თბ., 1980.

ბარდაველიძე ბ., პერსონაჟის ხატვის პრინციპები ქართულ რეალისტურ პროზაში(XXს.), თბ., 1967.

ბარდაველიძე ვ., ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიიდან, მიმომხილველი, I, თბ., 1949.

ბიბლია, საქართველოს საპატრიარქო, თბ., 1989.

ბოძაშვილი ლ., ფშაური და ფშაველები, თბ., 1988.

გაიოზ რექტორი., ქართული ღრამმატიკა – 1789წ., თბ., 1970.

გეგუჩაძე ლ., ქართული ენა, თბ., II, 1999.

გოგებაშვილი ი., მოკლე გრამატიკა ქართული ენისა, IX,1961

გოდერძიშვილი ქ., სახელი და ხასიათი, მნათობი, თბ., 1974.

გოდერძიშვილი ქ., საკუთრივ ანთროპონიმი და მეტსახელი, ონომასტიკა, II,1990.

გოდერძიშვილი ქ., პირის საკუთარი სახელი ქართულ მხატვრულ თხზულებებში (Vს-დან XXს-ის 30-იან წლებამდე, დისერტაცია, 1990.

გოდერძიშვილი ქ., ონომასტიკურ ტერმინთათვის, საენათმეცნიერო ძიებანი, V, თბ., 1996.

გოდერძიშვილი ქ. ტერმინ დემინუტივის დაზუსტებისათვის, ქართველური მემკვიდრეობა (სიმპოზიუმის მასალები), I, ქუთაისი, 1996.

გოდერძიშვილი ქ. ფსევდონიმისა და კრიპტონიმის ტერმინოლოგიური სხვაობისათვის, ტიპოლოგიური ძიებანი, IV, თბ., 2000.

გოდერძიშვილი ქ. რელიგიური ანთროპონიმული სივრცე ქარიოულ სინამდვილეში, იერია, IV-V, პარიზი, 2000-2001.

გოდერძიშვილი ქ., -ო სუფიქსის კვალიფიკაციისათვის ანთროპონიმებში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, VIII, თბ., 2003.

გოდერძიშვილი ქ., ერთი რიგის უეპითეტო ფსევდონიმთა კლასიფიკაციისათვის, მაცნე, თბ., 2003.

გოდერძიშვილი ქ., ტერმინ „გვარსახელის" დაზუსტებისათვის, ონომასტიკა, II,2004.

გოდერძიშვილი ქ., კვაზიონიმთა რაობისათვის, მაცნე, თბ., 2004-2005.

გოდერძიშვილი ქ., ზოგიერთი არსებითი სახელის ლექსიკურ-სემანტიკური სტატუსისათვის, ქართველური ონომასტიკა, თბ., 2011.

გურგენიძე ნ., ჯიქია მ., თურქული წარმომავლობის ანთროპონიმები ქართულში, თბ., 1994.

დავითიანი აკ., პრაქტიკული ვარჯიშობა ქართულ ენაში, თბ.,1977.

დავითიანი აკ. ქარიული ენის სინტაქსი,თბ., 1973.

დოდაევი ს., შემოკლებული ქართული ღრამმატიკა, თბ., 1930.

ერთელიშვილი ფ., მიმღეობის ერთი ტიპი ქართულში, თსუ შრომები, ტ. 71,1959.

ვაჟა-ფშაველა, ფშაველების ამოდ მორწმუნეობანი, IX, 1964.

ვაჟა-ფშაველა, მცირე შენიშვნა, IX, 1964.
თოფურია ვ., რედუქციისათვის ქართველურ ენებში, იკე, I, 1946.
თოფჩიშვილი რ., როდის წარმოიქმნა ქართული გვარსახელები., 1997.
თოფჩიშვილი რ., ქართული ანთროპონიმული მოდელი წარსულში, აწმყოსა და მომავალში, ქართველური მემკვიდრეობა, IV, თბ., 2000.
თოფჩიშვილი რ., სახელების ეთნოლოგია და ისტორია, თბ., 2010.
იმნაიშვილი ივ., სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, თბ., 1957.
იოსელიანი პლ., პირუელ-დაწყებითნი კანონნი ქართულისა ღრამმატიკისა, თბ., 1863.
ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა, თბ., 1958.
კარიჭაშვილი დ., ქართული ენის გრამატიკა, 1930.
კახაძე ო., -ა-ზე დაბოლოებული ზოგი სახელის ბრუნებისათვის ქვემოიმერულში, იკე, V, თბ., 1953.
კელენჯერიძე მ., ქართული პრაქტიკული გრამატიკა, ქუთაისი, 1920.
კვაჭაძე ლ., ქართული ენა, თბ., 2001
კვიცარიძე პ., ქართული სწორმეტყველება, თბ., 1888.
კოშორიძე ე., მეტსახელთა მოტივაციისა და წარმოების შესახებ გარეკახურში, ქართველური ონომასტიკა II 2004.
ლომთაძე ე., სიტყვათწარმოების -ო სუფიქსი ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, VII, 1998.
მაისურაძე ი., ქართული გვარსახელები (სემანტიკა, სტრუქტურა, ეტიმოლოგია), თბ., 1979.
მაკალათია ს, თუშეთი თბ., 1933.
მაკალათია ს., ხევსურეთი, თბ,1935.
მაკალათია ფ., -ა სუფიქსის მასუბსტანტივებელ-მატოპონიმებელი ფუნქციისათვის ქართულში, ონომასტიკა, I, 1987.

მეგრელიძე ი., ალ. ყაზბეგის „მოძღვარში“ შეტანილი ერთი ოქმ'ულების შესახებ, ლიტერატ'ურ'ული ძიებანი, XIV, თბ., 1963.
მელიქიძე ს., ონომასტიკური ძიებანი, თბ., 2005.
მეტრეველი რ., დავით IV აღმაშენებელი, 1986.
მიქაძე გ., ფსევდონიმების ლექსიკონი, თბ., 1984
მიქაძე გ., .,ქართულ ფსევდონიმთა სამყაროში, თბ., 1998.
ნეიმანი ალ., ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, 1975.
ნიკოლაიშვილი ელ. გაიოზ რექტორი და მისი ქართული გრამატიკა, თბ., 1970.
ონიანი ა. ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები, თბ., 1989.
პირთა ანოტირებული ლექსიკონი, I, კ.კეკელიძის სახ-ის ხელნაწერთა ინსტიტუტი,თბ 1991.
ჟორდანია თ., ქართული გრამატიკა, 1889.
რუხაძე ვ., ჩემი ცხოვრების ფურცლები, 1931.
სარჯველაძე ზ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.
სარჯველაძე ზ., ანთროპონიმთ ი'შვიათი ფორმები ძველ ქართულ'ში, ონომასტიკა, I, თბ., 1987.
საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ., 1999.
საქართველოს საეკლესიო კალენდარი, თბ., 2003.
საქართველოს მეფეები, რედაქტორები: მ. ლორთქიფანიძე, რ. მეტრეველი, 2000.
საქართველოს ტოპონიმია, III, 2001.
სახლთხუცი'შვილი უ., ქალთა მეტსახელების წარმომავლობისათვის გარეკახეთში, ქართველური ონომასტიკა, II, თბ., 2004.
სილაგაძე ა., თოთაძე ა., გვარსახელები საქართველოში, თბ., 1997.
სიხარულიძე ი., ქართული ენის გრამატიკა, თბ.,1936.
სიღნაღი — 2 (ონომასტიკური კრებული), რედაქტორ-შემდგენელი პ.ცხადაია, თბ., 2007.
უთურგაიძე თ., სახელობითი ბრუნვის -ი სუფიქსის შეხორცებისათვის ადამიანთა სახელებში, იკე, XXIV, თბ.,1985.

უთურგაიძე თ., ქართული ენის სახელის მორფონოლოგიური ანალიზი, თბ., 1986.
ფარულავა გრ., მხატვრული სახის ბუნებისათვის ძველ ქართულ პროზაში, 1982.
ფეიქრიშვილი ჟ., ქართული ენის მორფოლოგია, ქუთაისი, 1992.
ფირალოვი გ., თვით მასწავლებელი, ტფ., 1820.
ფოცხიშვილი ალ., ქართული გრამატიკული აზრის ისტორიიდან, თბ.,1979.
ფუტკარაძე ტ., ეთნოსის, ეთნონიმისა და სხვა ტერმინთა შესახებ
ქამადაძე მ., ავტორეფერატი, ბ., 1999.**ქართველიშვილი იოანე,** გრამატიკა, თბ., 1815.
ქალდანი მ., სვანური საკუთარი სახელების სემანტიკა და სტრუქტურა, ონომასტიკა, I, 1987.
ქართული სამართლის ძეგლები, II-III, 1970.
ქუთათელაძე არ., პირველდაწყებითი ქართული გრამატიკა, თბ.,1888.
ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955; **IV,** 1973.
ღლონტი ალ., ქართული ლექსიკოლოგია, თბ., 1964, // თბ., 1974.
ღლონტი ალ., ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1967, / თბ., 1986
ყაზბეგი ალ., მოხევეები და მათი ცხოვრება, I, თბ., 1958.
ყაუხჩიშვილი ს., ბერძნული მამაკაცთა სახელების გადმოცემისათვის ქართულში, „არილი", თბ., 1925.
ყაუხჩიშვილი ს., ლათინურ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1961.
ყიფიანი დ., ახალი ქართული ღრამმატიკა, 1882.
შამელაშვილი რ., ენათმეცნიერულ ტერმინთა მოკლე ლექსიკონი, თბ., 1975.
შანიძე აკ, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953.
შანიძე აკ., ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.
შანიძე მზ., ი- ხმოვანფუძიანი ანთროპონიმების ბრუნების ისტორიისათვის ქართულში, კრებული „თბილისის უნივერსიტეტი გიორგი ახელედიანს," თბ.,1969.
შანშოვანი ზ., მოკლე ღრამმატიკა ქართულისა ენისა, სპბ,1881.

ჩიქობავა არნ., „მახვილის საკითხისათვის ქართულში, მოამბე, III, 1942.
ჩიქობავა არნ., ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952.
ჩუბინაშვილი დ., ქართულ-რუსული ლექსიკონი, 1887.
ჩუბინაშვილი ნ., ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, ალ. ღლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, 1961.
ცოცანიძე გ., გიორგობიდან გიორგობამდე, თბ.,1987.
ცხადაია პ., -ლე-ე, სა//სა-ო აფიქსების შემცველი ანთროპოტოპონიმები მთიან სამეგრელოში, ტოპონიმიკა I, თბ., 19736.
ცხადაია პ., ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1988.
ცხადაია პ., გვარები და გვართა დასახელებანი სამეგრელოში, თბ., 2000.
ცხადაია პ., ონომასტიკის შესავალი, თბ., 2005.
ჭაბაშვილი მ., უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ., 1989.
ჭავჭავაძე ი., პასუხი, III, 1958.
ჭუმბურიძე ზ., საკუთარ სახელთა ბრუნება სვანურში, თსუ ძვ. ქართული ენის შრომები, 9, თბ., 1964.
ჭუმბურიძე ზ., რა გქვია შენ, თბ., 1966, თბ., 1971.
ჭუმბურიძე ზ., „ტექსტისთვის," ბუვიე, იზა, თბ., 1959.
ძიძიგური შ., ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკურ პროცესთა საერთო საფუძველი კილოებსა და ზანურში, იკე, I, თბ., 1973.
ძიძიგური შ., ალ. ყაზბეგის ლექსიკონი, ალ. ყაზბეგი, I, თბ., 1998.
ხაჭაპურიძე ლ. სემანტიკურ ნიუანსთა ფორმობრივი გამიჯვნის ერთი ნიმუშისათვის, ქართველური მემკვიდრეობა, IV, ქუთაისი, 2000.
ხინთიბიძე აკ., ბახტრიონი, თბ.,1972.
ხორნაული გ., ქართული ონომასტიკა თბ.,2003.
ხორნაული გ., შვილისთვის დასარქმევი სახელები, თბ., 2005.
ხუნდაძე ს., ქართული გრამატიკა, თბ.,1906.
ჯანაშვილი მ., ქართული გრამატიკა, ტფ., 1906.

ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, I, 1960.
ჯაოშვილი ვ., სოფრომ მგალობლიშვილის უცნობი ფსევდონიმები... მნათობი, №4, 1972.
ჯიქია მ., ქართული ანთროპონიმები გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში, ქართველური ონომასტიკა, II, თბ.,2004.
ჯიქია მ., ენა და სოციოკულტურული ფაქტორები გერმანული დომინანტით, ტიპოლოგიური ძიებანი, V,თბ.,2005.
ჯიქია მ., თურქიზმები ქართველურ ანთროპონიმიაში, თბ., 2008.
ჯიქია ს., გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, თბ., 1998.
ჯორბენაძე ბ., კობაიძე მ., ბერიძე მ., ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988.
Андреева А. И., Семантика литературного антропонима, Русская ономастика, Рязань, 1977.
Андреева Н. В., Принципы нонинации в современных прозвищах лиц, Русская ономастика, Рязань, 1977.
Античная теория языка и стиля, М., 1936.
Апридонидзе Ш., Грузинская антропонимическая система Личные имена, 1982.
Ахманова О. С., Словарь лингвистических терминов, М., 1966.
Бестужев-Лада И. В., Исторические тенденции развития антропонимов, Личные имена в прошлом, настоящем, будущем, М., 1970.
Болотов В. Н., К вопросу и значении имён собственных, Восточно-славянская ономастика, М., 1972.
Вельмешева В.С., Еквиваленты собственного и система именования героя... Вопросы ономастики, III, Самарканд, 1976.
Гасанова С. М., Прозвища, как один из источников образования личных имён у даргинцев, Ономастика Кавказа, Махачкала, 1976.
Гафуров А., Лев и Кипарис, (о восточных именах), М., 1971.
Годердзишвили К.М., Собственные имена в грузинской художественной литературе, программа 3-й конференции по ономастике кавказа, Москва-тбилиси, 1983..

Годердзишвили К. М., Собственное имя и регион по материалам грузинской прозы XIX века, Проблемы референции в языке и литературе, 1987.

Годердзишвили К. М., Структура собственных имён по материалам грузинской класической литературы, Топонимика и ономастика кавказа, Пятигорск, 1997.

Гореликова М.И., Функционально-типолоческий анализ...художественного текста, М.,1980.

Дворецкий И. Х., Древнегреческо-русский словарь М., 1958.

Зайцева К.Б., Антропонимический словарь писателя, Вопросы ономастики.III, Самарканд,1976.

Карпенко А.Ю., Деминутивное антропонимическое словообразование, Вопросы ономастики, Свердловск, 1980.

Карпенко М. В.,Русская антропонимика, Конспект лекции спецкурса, Одесса, 1970.

Коков Дж. И., Вопросы адыгской (черкесской) антропонимики, Нальчик, 1973.

Л. Леви-Брюль, Первобытное мышление, М., 1930.

Ломоносов М. В., Российская грамматика, М. -Л., 1952.

Лопушанская-Бучко А. Структура личного имени у Гомера, Антропонимика, М.,1970.

Магазаник Е. Б., Ройзензон Л.Н.,Поэтическая ономастика и фонетическая экспрессия к инструментовке собственных имён в русской художественной литературе, Вопросы ономастики, I, Самарканд, 1971.

Макарова С.Я., Перифрастические замены личных имён, Русская ономастика, Рязань, 1977.

Марр Н. Я., Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925.

Марузо Ж. Словарь лингвистических терминов, М., 1960.

Михайлов В.Н., Роль ономастической лексики в структурно-семантиччеcкой организации художественного текста, Русская ономастика, сб. научных трудов, Одесса, 1989.

Морган Люис, Древнее общество,1934.

Никитин А.К., О функционировании антропонимов в поэтической речи А.Вознесенского, Вопросы ономастики, сб. III, Самарканд,1976.

Никонов В.А., Задачи и методы антропонимики, Личние имена в прошлом, настоящем, будущем . М., 1970
Никонов В.А., Имя и общество, 1974.
Никонов В.А.,Загадки и методы антропонимики, Личные имена в прошлом,настоящем, будущем, М., 1974.
Подольская Н.В., Словарь русской ономастической терминологии, М.,1978.
Поротников П.Т., Групповые и индивидуальные прозвища , Антропонимика, М., 1970.
Поротников П.Т., Антропонимия замкнутой территорий, Казань,1972.
Привалова М.П., Собственные имена и проблема омонимии, Вопросы языкознания, 5, М.,1979.
Силаева Г.А.,Антропонимия художественных произведений А. Толстого, Рязань, 1986.
Симина Г.Я., Фамилия и прозвище, Ономастика, М.,1969.
Лехина Н. В. и Петрова Ф.Н., Словарь иностранных слов, М.,1949.
Соловёва А.К. Материалы для изучения прозвищ по переписке К. Маркса и Ф. Энгельса,
Антропонимика, 1970.
Суперанская А. В., Как вас зовут, где Вы живёте, М., 1965.
Суперанская А. В., Структура имени собственного, М.,1969.
Суперанская А. В., К вопросу о кодификации личных имён, Ономастика и норма, М., 1976.
Суперанская А. В., Общая теория имени собственного, М., 1973.
Суперанская А.В., Лингвистический аспект ономастических исследовании, Вопросы
ономастики, III, Самарканд,1976.
Суперанская А. В., Сталтмане В. Э., Подольская Н. В.,Султанов А.Х., Теория и методика
ономастических исследований, М., 1986.
Тайна имени, Харьков, 1995.
Танч Р. У., опыт антропонимического словаря писателя, М., 1970.
Топоров В. Н., К проблеме классификации в топонимии, Исследования по структурной типологии, М.1993.
Успенский Б. А., Из истории руских канонических имён, М., 1969ю

Ушаков И.Н., О грамматических особенностях прозвищных имён, Ономастика и грамматика, М.,1981.
Флоровская В. А.,Прозвища в русских говорах Кубани, Ономасыика кавказа, Махачкала, 1970.
Цулая Г., Системы личных имён у народов мира,М., 1989.
Щетинин, Л М. Имена и названия, Ростов,1968.
Apridonidse Sch., Das System der georgischen Anthroponymie (Personennamen), Georgika, Heft, Iena, 1984.
Goderdzischwili K., Zur Verallgemeinerung von Personymen, Georgika, Heft 23, Iena, 2000.

სტილისტ-რედაქტორი: ხათუნა ღლონტი – ფილოლოგიის დოქტორი.

დაიბეჭდა გამომცემლობა „უნივერსალში"

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge